

ე. ბარათაშვილი  
ნ. გალახვარიძე  
ზ. ნასარაია

# ეთნოგენეტიკა

თბილისი  
2023

ევგენი ბარათაშვილი  
ნაირა გალახვარიძე  
ზურაბ ნასარაია

# ეთნოგენეზი



გამომცემლობა „ქანიკალი“  
თბილისი 2023

*ნაშრომი ეძღვნება ბიზნეს აღმშენებლობის დოქტორის,  
პროფესორის ნინო მახარაშვილი-ბარათაშვილის,  
სოფლის მეურნეობის დოქტორის, პროფესორის ვლადარ გუგავას  
ნათელს ხსოვნას.*

**სამეცნიერო რედაქტორები:**

1. ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი: **ლარისა თაკალანძე**
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი: **ბადრი ცხადაძე**

**რეცენზენტები:**

1. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: **თეიმურაზ ბაბუნაშვილი**
2. ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი: **დოდო ჭუმბურიძე**
3. ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე: **გიორგი ფხაკაძე**

ნიგნის ავტორები მადლობას უხდებიან დახმარებისათვის: საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერს მამუკა ქაფიანიძეს და ახალგაზრდა მკვლევარს, ნიკოლოზ გუგავას.

© ე. ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, ზ. ნასარაია, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. კოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-435-1

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე ეთნოსებს შორის თანაცხოვრებისა და საქმიანობის საუკუნოვანი გამოცდილების კვლევადიება მენეჯმენტის კუთხით, რაც საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაციის სწორად წარმართვის მყარი საფუძველია.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია იმ ღირებულებებისა და კულტურის შენარჩუნება განვითარებისათვის, რომლებსაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ. თავის მხრივ ეს გავლენას ახდენს სოლიდარული და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე.

ნაშრომში განხილულია როგორ ზემოქმედებს გლობალიზაცია ქვეყნებისა და ხალხის კულტურულ განვითარებაზე, ამასთან ერთად ნაშრომში მოცემულია ისიც, რომ გლობალიზაცია ეთნიკურ ჯგუფებს აძლევს ახალ რესურსებს უნიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესების წინააღმდეგობების გასაწევად.

ნაშრომი განკუთვნილია მაგისტრების, დოქტორანტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისათვის. იგი საინტერესო იქნება აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

## **Abstract**

The present work discusses the research of centuries-old experience of coexistence and activities between ethnic groups on the example of Georgia and other countries from the point of view of management, which is a solid basis for the proper management of civil integration of the society.

Protecting the rights of ethnic minorities is important for the development of the values and culture that the representatives of this group share. In turn, this affects the formation of a solidary and peaceful society.

The paper discusses how globalization affects the cultural development of countries and peoples, and also shows that globalization provides ethnic groups with new resources to resist the processes of unification and assimilation.

The work is intended for masters, doctoral students and researchers. It will also be interesting for a wide circle of readers interested in the mentioned issues.

# **შინაარსი**

---

შესავალი..... 10

## **თავი I. თანამედროვე მენეჯმენტი და მისი როლი საბაზრო**

<b>ეკონომიკაში .....</b>	<b>17</b>
1.1. მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა .....	17
1.2. მენეჯმენტის როლი საბაზრო ეკონომიკაში .....	21
1.3. მენეჯმენტის ძირითადი სკოლები .....	30
1.4. კროსკულტურული მენეჯმენტი .....	40
1.5. ეთნომენეჯმენტის არსი .....	47

## **თავი II. შედარებითი მენეჯმენტის ზოგადი თეორიის**

<b>აქტუალური საკითხები .....</b>	<b>53</b>
2.1. შედარებითი, ანუ კროსკულტურული მენეჯმენტი, როგორც მენეჯმენტის ზოგადი თეორიის მიმართულება.....	53
2.2. კულტურების სტერეოტიპიზაცია გლობალიზაციის პირობებში .....	67
2.3. კულტურის თეორიები.....	93
2.4. საქმიანი კულტურების კლასიფიკაცია მენეჯმენტში და გ. ჰოფსტედეს თეორიები .....	106

## **თავი III. გლობალიზაცია – სამეურნეო საქმიანობის**

<b>ინტერნაციონალიზაციის სივრცობრივი მახასიათებლები .....</b>	<b>121</b>
3.1. გლობალიზაციის არსი და მისი განვითარების ეტაპები....	121
3.2. გლობალიზაციის მეთოდოლოგია და მისი შეხამება ეროვნულ ინტერესებთან .....	126
3.3. საქართველო მსოფლიო გლობალურ პროცესებში, გლობალიზაცია და ნაციონალიზაცია .....	130

- 3.4. საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ეროვნული ინტერესების არსი..... 135
- 3.5. ეკონომიკის გლობალიზაცია და კულტურათაშორისი სხვაობები..... 144

**თავი IV. საქართველოს საქმიანი კულტურის თავისებურებები და მათი გავლენა მართვის ეროვნული სტილის ჩამოყალიბებაზე, ქართული ეთნოლოგიის მიმართულებები..... 151**

- 4.1. ეთნომენეჯმენტის, შედარებითი მენეჯმენტის, კროსკულტურული მენეჯმენტის, ინსტრუმენტების გამოყენება მართვის ქართული სტილის ჩამოყალიბებაზე..... 151
- 4.2. ეთნოკულტურული პროცესები საქართველოში ..... 167
- 4.3. მიხაკო წერეთელი ეთნოსსა და ერის თეორიებზე..... 196

**თავი V. ეთნიკურ საკითხებზე საქართველოს საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა ..... 204**

- 5.1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს მოქალაქეთა უფლებების შესახებ ..... 204
- 5.2. ჩარჩო კონვენცია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ..... 205
- 5.3. ეთნიკური უმცირესობების განმარტება და სპეციალური უფლებები, რომლებიც ამ ჯგუფის-თვისაა დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ..... 212
- 5.4. ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის ანგარიში საქართველოზე ..... 222
- 5.5. ევროპის ქარტია, რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ..... 234
- 5.6. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ..... 237

5.7. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა საბჭო.....	239
--	-----

**თავი VI. ეთნიკური აღორძინება, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე ..... 245**

6.1. თანამედროვეობის ეთნიკური პარადოქსი .....	245
6.2. თანამედროვეობაში ეთნიკური იდენტობის ზრდის ფსიქოლოგიური მიზეზები 6.3. ეთნიკური იდენტობა სოციალური არასტაბილურობის სიტუაციებში.....	248
6.5. ეთნოფსიქოლოგიის გაგება .....	253
6.4. ეთნოსი, როგორც ფსიქოლოგიური ერთობა.....	255
6.5. ეთნოფსიქოლოგიის გაგება .....	263
6.6. ეთნიკური ფსიქოლოგიის ფუნქციები და მახასიათებლები .....	265
6.7. ეთნოფსიქოლოგიური სუბიექტები და მახასიათებლები....	267
6.8. ეთნოფსიქოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან.....	292
6.9. ეთნიკური და შიგაეთნიკური კვლევის მეთოდები .....	295

**თავი VII. ეთნიკურობისა და ეთნოპოლიტიკის თეორიები ..... 301**

7.1 ეთნიკური თემი და ეთნიკურობა .....	302
7.2. პრიმოდიალიზმი, როგორც მეცნიერული მიმართულება..	312
7.3. ფუნქციონალიზმი ეთნიკურობის ბუნებაზე .....	317
7.4. კონსტრუქტივიზმი ეთნოლოგიაში .....	320
7.5 ეთნოლოგიაში ინსტრუმენტალური მიდგომის არსი.....	324

**თავი VIII. ეთნიკურობა და დემოკრატია ..... 329**

8.1. დემოკრატის მოდელები .....	331
8.2. დემოკრატის მოდელების კრიტიკა .....	340
8.3. დემოკრატისა და უმცირესობების საკითხები.....	341
8.4. ადგილობრივი თვითმართველობის არსი და ადგილობრივი თვითმართველობის სისტემა საქართველოში .....	353



<b>თავი IX. კონფლიქტების ცვილებებისა და სტრესის მართვა</b>	
<b>ეთნომენეჯმენტში .....</b>	<b>374</b>
9.1 კონფლიქტის ბუნება და ტიპები .....	375
9.2 ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის არსი.....	384
9.3 ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტიპები .....	390
9.4 კონფლიქტების მართვის პრობლემები.....	397
9.5. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრაში სიძულვილისა და ტოლერანტობის როლი .....	409
9.6. ეთნიკურობის ნიადაგზე წარმოქმნილი დანაშაულობები ..	413

<b>თავი X. სოციალურ-კულტურული სფეროს მენეჯმენტი .....</b>	<b>423</b>
10.1 სოციალურ-კულტურული სფერო, როგორც მართვის ობიექტი. არასანარმო სფეროს არსი და სტრუქტურა....	423
10.2 სოციალურ კულტურული სფეროს არსი და დახასიათება.....	431
10.3 კულტურა, სოციალურ-კულტურული სფეროს შემადგენლობაში კულტურის არსი, სტრუქტურა და მართველობის თავისებურებანი.....	435
10.4 სოციალურ კულტურული საქმიანობის პროდუქტების (შედეგების) არსი .....	447
10.5 სოციალურ კულტურული საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასება.....	459
10.6 კულტურის პროდუქტების მოხმარება, როგორც ეკონომიკური ანალიზის საგანი .....	465
10.7 სოციალურ-კულტურული სფეროს ფინანსები და თავისებურებანი .....	474

<b>თავი XI. სოციალური ქცევის რეგულატორების კულტურული ვარიაციულობა .....</b>	<b>491</b>
11.1 კულტურის რეგულაციური (მარეგულირებელი) ფუნქცია.....	491
11.2 ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი .....	491

11.3 დანაშაული და სირცხვილი, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმები..... 507

**თავი XII. ახალ კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია ..... 516**

12.1 ადაპტაცია, აკულტურაცია, შეგუება ..... 516

12.2 ახალ კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის პროცესზე ზეგავლენის ძირითადი ფაქტორები ..... 525

12.3 ჯგუფებისა და ინდივიდებისათვის კულტურათაშორისი კონტაქტების შედეგები..... 534

**თავი XIII. ეთნოპედაგოგიკა და ადამიანის ხალხური იდეალი . 542**

13.1 ხალხი, როგორც პედაგოგიური კულტურის შემოქმედი ..... 542

13.2 რელიგია, როგორც პიროვნების სულიერების ფორმირების მთავარი ფაქტორი ..... 548

13.3 ხალხური პედაგოგიკის თანამედროვე ფუნქციონირება ... 554

13.4 მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება ..... 559

13.5 იუნესკო კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ..... 567

**თავი XIV. გლობალიზაცია და ეთნიკურობა..... 573**

14.1 გლობალიზაციის პროცესის არსი და ისტორიული ეტაპები ..... 573

14.2 გლობალიზაცია და ეთნიკურობის დაცვა-შენარჩუნების პრობლემა ..... 575

14.3 გლობალიზაცია და ეთნიკური საზოგადოებების პოლიტიკური კოოპერაცია..... 577

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სიღრმისეული პროცესები: გლობალიზაცია, ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია, ეკონომიკური სისტემების დაახლოება, მართვაში ადამიანური როლის ზრდა, არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

მართვის მეცნიერებისადმი ინტერესი განსაკუთრებით იმატებს მსოფლიო საქმიან თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრირების გაფართოებისა და ბაზრის განვითარებასთან ერთად.

ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასთან ერთად ფორმები-თა და ხასიათით სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება თანამშრომლობა ქართველ და უცხოურ კომპანიებს შორის იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს უცხოურ ფირმებთან ღირსეული კონკურენცია, ან თუნდაც თანამშრომლობა. აუცილებელია მათი სპეციფიკის კარგი ცოდნა. გაჩნდა ეფექტიანობის განსაზღვრის აუცილებლობაც.

დღეს, მსოფლიოში არსებობს საზოგადოების კულტურული და ნაციონალური დიფერენციაცია, რომელიც თავს იჩენს ცივილიზაციათა, კონფესიათა და ეთნიკურ დაჯგუფებათა შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში. ამასთან ერთად ცხადი ხდება, რომ კულტურულ-ინსტიტუციური სხვაობები და მენეჯმენტში გათვალისწინება, იმ გლობალურ კონკურენციაში წარმატების წინაპირობაა, რომელშიც ჩართული არიან ფირმები, ქვეყნები, კულტურები, ცივილიზაციები.

ამდენად, ეკონომიკის გლობალიზაციის საერთო ტენდენციები, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, კულტურის ფაქტორის როლის ზრდა, ქვეყნებისა და ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში აქტუალურს ხდის ეთნომენეჯმენტის თანამედროვე მოდელების ანალიზსა და მასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.

ცივილიზებული აზროვნებითა და გაგებით საქართველო წარმოადგენს ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც ევროსაბჭოს წევრია და ესწრაფვის ევროპულ სტრუქტურაში სრულფასოვან გაერთიანებას. მიუხედავად ამისა ჩვენი ქვეყნის ცივილიზებული ეკონომიკური და პოლიტიკური არსი, ჯერ კიდევ რჩება საქართველოს კონკრეტული საშინაო სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ფარგლებს მიღმა. ამასთან ერთად ცხოვრებაც უფრო დაჟინებით მოითხოვს ევროპული აზრის გათვალისწინებას. საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოს დასავლური კურსი ცნობილია, მაგრამ ქვეყნისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ინტერესები მოითხოვს საქართველოსა და აზიის რეგიონის ურთიერთობის სტრატეგიის დამუშავებას. ამოსავალ საყრდენად ამ შემთხვევაში მიჩნეული უნდა იქნას მიდგომები, რომლებიც გულისხმობს, რომ ინტერესების შეხამების მექანიზმები არ უნდა იყოს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული. მათ უნდა ჰქონდეთ სივრცე მანევრირებისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისად. საქართველოს სტრატეგიული მიზანია აზიის რეგიონთან ურთიერთობაში საქართველო გადაიქცეს ეკონომიკური, საფინანსო, კომუნიკაციური, კულტურული, ცივილიზებული მიმართულებით ევროპული და აზიური რეგიონის დამაკავშირებელ რგოლად. დღეს, მთავარია კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება გლობალიზაციის მეთოდოლოგიის შეხამება ეროვნულ ინტერესებთან.

ეროვნული ინტერესების ფორმირება დამოკიდებულია მოთხოვნილებათა სტრუქტურაზე, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარულ მოთხოვნილებებზე, ამ მოთხოვნილებათა სტრუქტურის ცვლილების საშუალებითა და ფორმირების მეშვეობით გლობალიზაციის მეთოდოლოგიაში შეიძლება შეიცვალოს ეროვნული ინტერესების ფორმირებაც.

თანამედროვე პირობებში ცივილიზაცია, განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული

და სხვა სახის ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის პირობებში ვითარდება. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ისტორიული პროცესი დღითიდღე მეტ ძალას იკრეფს და აყალიბებს გლობალიზაციის ობიექტურ ნანამძღვრებს. გლობალიზაციის პროცესში წარმოიქმნება სოციალური კავშირებისა და ურთიერთობების, ქცევის ნორმების ახალი სტანდარტები. შესაბამისად გლობალიზაცია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის საუკუნეების განმალობაში ჩამოყალიბებულ ცხოვრების რიტმს უქვემდებარებს, მოცემული ეთნოსისათვის ხშირად მიუღებელ და არასასურველ ტრანსნაციონალურ სტანდარტებს. გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით ილახება განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, ვინაიდან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ტრანსნაციონალური კაპიტალი. ამდენად, ამის გათვალისწინებით მეტად აქტუალურია ეთნომენეჯმენტის კუთხით საკითხების განხილვა და გაანალიზება, მით უმეტეს საქართველო გამოირჩევა ეთნომრავალფეროვნებით. ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. საქართველოში, საუკუნეების განმალობაში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდრობენ და მშვიდობიანად ახერხებენ თანაცხოვრებას, რითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ.

საქართველოს მაგალითზე ეთნოსებს შორის თანაცხოვრებისა და საქმიანობის საუკუნოვანი გამოცდილების კვლევაძიება მენეჯმენტის კუთხით, საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაციის სწორად წარმართვის მყარი საფუძველია.

2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: ქართველები — 86,8 %, აზერბაიჯანელები — 6,3 %, სომხები — 4,5 %, რუსები — 0,7 %, ოსები — 0,4 %, იეზიდები — 0,3 %, უკრაინელები — 0,2 %, ქისტები — 0,2 %, ბერძნები — 0,1 %, ასირიელები — 0,1 %, სხვა 0,4 %;

რელიგიური შემადგენლობა (ძირითადად საქართველოს 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით): მართლმადიდებელი ქრისტიანები — 84,00 %, მაჰმადიანები — 9,9 %, სომეხი გრიგორიანელები — 3,9 %, კათოლიკეები — 0,8 %, იეზიდები — 0,4 %, იუდეველები — 0,1 %, ნესტერიანელები — 0,1 % და სხვები.<sup>1</sup>

ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის თითქმის ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტში ვხვდებით. გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატებში არსებული ინსტრუმენტები სხვადასხვა დოზით აღიარებს და ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობას და ამით ასევე განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო თანასწორი, ინკლუზიური და პლურალური საზოგადოების მნიშვნელობას. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია იმ ღირებულებებისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისთვის, რომლებსაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სოლიდარული და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, როგორცაა მათი იდენტობის აღიარება, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა, მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების უზრუნველყოფა, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე, საჯარო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაძლიერება, უმცირესობების პრობლემების გათვალისწინება, განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის პროცესებში, დასაქმების კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა და სხვ. ეთნიკური უმ-

---

<sup>1</sup> <http://census.ge/ge/results/census>

ცირესობების დაცვა რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას ეფუძნება:

- ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა. აღნიშნული უპირველესად მნიშვნელოვანია დომინანტ სოციალურ ჯგუფთან მათი იძულებითი ასიმილაციის, კულტურის, რელიგიისა და ენის დაკარგვის პრევენციისთვის;
- სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით თანასწორი სარგებლობა;
- სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება. თითოეულ მიმართულებას აქვს თავისი მნიშვნელოვანი როლი უმცირესობების უფლებების ეფექტიანად დაცვაში. სამივე მიმართულებით თანაბარმნიშვნელოვანი მუშაობის გარეშე, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა იქნება ფორმალისტური და უშედეგო. ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტორებზე – მათი იდენტობის დაცვასა და უფლებების დაცვისთვის პოზიტიური გარანტიების შექმნაზე. ეს გარანტიები მოიცავს ინტეგრირებას ეროვნულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ აქტივობებში, დაცვას დისკრიმინაციისაგან, რაც მოითხოვს სახელმწიფოსგან პოზიტიური ვალდებულებების შესრულებასა და მათი თანასწორობის დაცვას, როგორც უმრავლესობასთან, ასევე სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზების საკითხი, მათი ინტეგრაციისა და პოლიტიკურ – სოციალური ინკლუზიის გზით კვლავ მნიშვნელოვანია. ავტორთა შემოქმედებითი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო „ეთნომენეჯმენტი“ პირველი მოკრძალებული მცდელობაა ამ კუთხით მენეჯმენტის აქტუალური საკითხების განხილვა გაანალიზებისა. ნაშრომზე მუშაობისას დავინახეთ, რომ ამ კუთხით საკითხების გაანალიზება სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიისა და

ტრადიციის წარმოჩენის დროს თითოეული განხილული საკითხი, განსაკუთრებულ სიფრთხილით მოპრყობას მოითხოვს.

ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა:

- ეთნომენეჯმენტის, კროსმენეჯმენტისა და შედარებითი მენეჯმენტის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები;
- გლობალიზაცია და ეთნიკურობა;
- ქართული ეთნოლოგიის მიმართლებები;
- ეთნოკულტურული პროცესები საქართველოში;
- ეთნიკურობის თეორიები;
- ეთნიკური წარმომავლობა და სახელმწიფო;
- ასიმილაცია;
- მულტიკულტურალიზმი და ექსტრემიზმი;
- ეთნიკური თვითშეგნება და ქცევა;
- ეთნოკონფლიქტებზე მუშაობის სტრატეგია;
- კომუნიკაციის უნივერსალური და კულტურული ასპექტები;
- ეთნიკური იდენტობის განვითარება;
- კულტურული ცვალებადობა სოციალური ქცევის რეგულირებაში;

1991 წლის შემდეგ, ქვეყანაში რადიკალურ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებთან დაკავშირებით, მენეჯმენტის საზღვარგარეთული თეორიებისა და მართვლობითი ტექნოლოგიების, საქართველოში დანერგვისა და გამოყენების აუცილებლობა შეიქმნა, რისთვისაც აუცილებელია;

- ან მენეჯმენტის უცხოური თეორიების ხელუხლებელი გადმოღება, კოპირება, დასავლური მართვის თეორიების პრაქტიკაში დანერგვა;
- ან მენეჯმენტის დასავლური თეორიების თანამედროვე ქართულ რეალობაზე მორგება, ადაპტაცია.



სპეციალისტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დასავლური და აღმოსავლური გამოცდილების, არც პირდაპირი კოპირებაა შესაძლებელი, არც დასავლური და აღმოსავლური მენეჯმენტის სკოლების მიღწევების სრული უგულებელყოფაა მიზანშეწონილი. საჭიროა, რომ ქართულ მენეჯმენტს ქონდეს თავისი სპეციფიკური შინაარსი, მართვის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ქართული მენეჯმენტის სპეციფიკას.

მენეჯმენტის ეროვნული მოდელების შედარებითი კვლევა საშუალებას გვაძლევს თავი დავახნიოთ სხვის შეცდომებს. გავმიჯნოთ ორგანიზაციის უნივერსალური თვისებები და მისი ინსტიტუციურ-კულტურული სპეციფიკა. ასეთი კვლევები საინტერესო და აუცილებელია, როგორც ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც ითვისებენ დასავლურ გამოცდილებას, ისე უცხოურ ფირმებისათვის, რომლებიც ხსნიან თავის ფილიალებსა და წარმომადგენლობებს საქართველოში.

# თავი I.

---

## თანამედროვე მენეჯმენტი და მისი როლი საბაზრო ეკონომიკაში

### 1.1. მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა

მსოფლიოს თანამედროვე მაღალგანვითარებული მდგომარეობა, მნიშვნელოვან წილად წარმატებული მართვით აიხსნება. მართვა ხორციელდება თანამედროვე ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სტადიაზე, ყველა სფეროსა და დარგში: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, განათლებაში და ხელისუფლებაში. ყოველ ორგანიზაციაში საჭიროა კომპენტენტური მართვა და ხშირ შემთხვევაში მისი არსებობა წარმატების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მთლიანად მენეჯმენტი განისაზღვრება, როგორც პროფესიულად განხორციელებული საქმიანობა ობიექტის ხელმძღვანელობისა და მართვის სახით, რესურსების ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე, დასახული მიზნის მისაღწევად.

მენეჯმენტის როგორც მართვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება მიმდინარეობდა საზოგადოების სანარმოო ძალების განვითარებასთან მჭიდრო კავშირში. სხვადასხვა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაში მენეჯმენტმა მრავალ საუკუნოვანი ევოლუციის გზა განვლო. მეცნიერული მიდგომის საფუძველზე მენეჯმენტი ჩამოყალიბდა დასავლეთში XIX საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. მის სამშობლოდ ამერიკას მიიჩნევენ. მენეჯმენტის ფორმირების ისტორიული წინაპირობა იყო სამრეწველო რევოლუციით განპირობებული მეცნიერული, ტექნიკური მიღწევები და სანარმო ძალების თანმივდევრული, სწრაფი განვითარება. სიტყვა „მენეჯმენტს“ აქვს ლათინური, იტალიური და ფრანგული ფესვები. იგი სათავეს იღებს ლათინური „manus“, რომელიც აღნიშნავს არამარტო „ხელს“, არამედ „ძალაუფლებასაც“, ასევე „უფლებამოსილების სფეროს“. იტალიური სიტყვა

„maneggiare” წარმოიშვა შუა საუკუნეებში საკუთრებისა და კომერციული საწარმოების მართვის სფეროში. სწორედ ამ პერიოდიდან ხმარებაში შემოდის ფრანგული „managerie”. ინგლისური სიტყვა „manage” პირველად წარმოიშვა 1561 წლიდან და სიტყვა „manager” – 1588 წლიდან, ხოლო სიტყვა „management” – 1589 წლიდან, თუმცა ყველა მათგანს თავდაპირველად ჰქონდა ურთიერთობა ცხოვრების თავისებურებებთან სოფელ ადგილას. ინგლისური ენის მოკლე ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით სიტყვა „management” პირველად გამოყენებული იქნა თავისი თანამედროვე მნიშვნელობით 1670 წლიდან, აქედან მოყოლებული იგი ნიშნავს „კომერციული საქმიანობის მართვას“.

ინგლისური სიტყვა „management” ნიშნავს არამარტო მართვას, არამედ მოხერხებას, არა უბრალოდ მართვას, არამედ დაბრძენებას, ბრძნულად ქმედებას. სხვა სიტყვებით, წარმატების მიღწევას, სხვების სარგებლობის მოტანასა და დამშვიდებას. მთავარი მენეჯმენტის ხელოვნებაში ისაა, რომ ადამიანები მოტივირებული და დაინტერესებული იყვნენ ნებაყოფლობითი დაქვემდებარების თვალსაზრისით. თუკი თქვენ ადგენთ ადამიანთა იძულებას, ანდა მანიპულირებას, ესე იგი მოქმედებს „წკეპლისა და წესრიგის” მეთოდი, ეს უკვე მენეჯმენტი აღარ არის და მენეჯმენტის ხელოვნებასთან მას საერთო არაფერი არ აქვს.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და შესაბამისად საქართველოში, მენეჯმენტი მისი თანამედროვე ფორმით აქტიურად ვითარდებოდა XX ს. 90-იანი წლებიდან, ეკონომიკური ურთიერთობების საბაზრო ტიპზე გადასვლის კვალობაზე. ამასთან ერთად, მართვის განვითარების ისტორია საქართველოში, რამდენიმე ასწლეულს ითვლის. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მრავალ თაობას, მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს ღირსეული წვლილი შეჰქონდათ ეკონომიკის მართვის სისტემის სრულყოფასა და მართველობითი აზრის განვითარებაში.

თანამედროვე საწარმოში მენეჯმენტი შესაძლებელს ხდის, რეალიზებული იქნას სამეწარმეო საქმიანობის ძირითა-

დი მიზანი, მოგების მიღება საწარმოს ყველა სახის რესურსის ეფექტიანად გამოყენების პირობებში.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მენეჯმენტის მიზნების რეალიზაცია მიიღწევა პერსონალის შრომითი საქმიანობის ორგანიზაციის შედეგად ე. ი „სხვისი ხელებით“ (მ.პ. ფოლეთი). ამ პროცესის არსი აიხსნება მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქციონირების ა. ფაიოლის გამანათქვამით: „მართო – ეს ნიშნავს წაიყვანო საწარმო მისი მიზნებისაკენ, არსებული რესურსებიდან მაქსიმალური შესაძლებლობების მიღების გზით.“<sup>1</sup>

თანამედროვე მენეჯმენტი არ არის ცალკე დისციპლინა, არამედ ეს არის ცოდნის დისციპლინათაშორისი სფერო და მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა: ფსიქოლოგიამ, ფილოსოფიამ, რელიგიამ, სოციოლოგიამ, ეთიკამ და სხვ.

თანამედროვე მენეჯმენტი არის ინტეგრირებული, ყველა პროგრესული კონცეფციის (ჰუმანისტური, მარკეტინგული და ა. შ.) და მიდგომების (სამეცნიერო ადმინისტრაციული, კიბერნეტიკული და ა. შ.) გაერთიანება, რომელიც განიხილება მართვის დონისა და ფუნქციების მიხედვით (წარმოების, ტექნოლოგიების, ინოვაციების, დაფინანსების რისკების, პერსონალისა და ა. შ.). XXI საუკუნის მიჯნაზე ჩამოყალიბდა მენეჯმენტის მთავარი ფაქტორი, სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილება. სულ უფრო იზრდება მართვის მუშაკების სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების ყველაზე დონეზე.

მენეჯმენტის ეფექტიანობა დაკავშირებულია მმართველობითი გადაწყვეტილების განუმეორებელ უნიკალურობასთან და მოქნილობასთან, რაც საშუალებას იძლევა XXI საუკუნის მენეჯმენტი დახასიათდეს ინდივიდუალურობითა და კორპორატიული სულით.

მენეჯმენტი – ესაა ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და კონტროლის


---

<sup>1</sup> Файоль А., Эмерсон Г., Тейлор Ф., Форд Г. Менеджмент – это наука и искусство. М., 1982 г.

გზით სანარმოს მიზნის ეფექტიანად და რაციონალურად მიღწევა<sup>1</sup> მოცემულ განმარტებაში ჩადებულია ორი მნიშვნელოვანი იდეა:

- 1) მართვის ძირითადი ფუნქციები, – დაგეგმვა, ორგანიზაცია, ლიდერობა და კონტროლი.
- 2) სანარმოს მიზნების ეფექტიანი და რაციონალური მიღწევა.

მართვის ძირითადი ფუნქციების შესრულება გულისხმობს მენეჯერების მიერ სხვადასხვა ჩვევისა და უნარების გამოყენებას. ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად რესურსების გამოყენების პროცესი წარმოდგენილია ნახ.



**ნახ. 1.1 მენეჯმენტის პროცესის ორგანიზაციული შედეგები**

ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს მენეჯმენტის სხვა ფუნქციებსაც, კერძოდ, კადრების შერჩევას, კომუნიკაციების

<sup>1</sup> Richard L. Daft. Management. Vanderbilt University. South – Western. Tomson Learning. 2008. p. 30.

განხორციელებას და გადანყვეტილების მიღებას, რომელთაც განიხილავენ მართვის ძირითადი ფუნქციების კონტექსტში.

მენეჯმენტი გულისხმობს სხვა ადამიანების მიერ სამუშაოს შესრულების ორგანიზაციას. ყველაფერი მენეჯერმა არ უნდა აკეთოს მისი სამუშაო, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დასახული მიზნების მიღწევაში სხვა ადამიანების ჩასართავად შექმნას გარემო და პირობები. მენეჯმენტი სხვა ადამიანების შრომითი საქმიანობის კოორდინაციისა და გაერთიანების პროცესია იმგვარად, რომ იგი ეფექტიანი და შედეგიანი იყოს. მენეჯერს რიგითი თანამშრომლებისაგან განასხვავებს ის, რომ იგი კოორდინაციას უკეთებს და აერთიანებს სხვა ადამიანების შრომას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მენეჯერებს შეუძლიათ აკეთონ ის, რაც მათ უნდათ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი გზით. მენეჯმენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის საქმიანობა წარმართოს მაქსიმალურად ეფექტიანად და შედეგიანად. უკიდურეს შემთხვევაში, მენეჯერებმა ამ მიზნის გარშემო უნდა გააერთიანონ ფირმის თანამშრომლები.

ეფექტიანობის მაჩვენებელი ასახავს თანაფარდობას რესურსებსა და წარმოების მოცულობას შორის; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ იქნას მიღწეული პროდუქტის მაქსიმალური შემოსავალი რესურსების მინიმალური დანახარჯებისას. იმდენად, რამდენადაც მენეჯერებს საქმე აქვთ შეზღუდულ რესურსებთან – ადამიანებთან, ფულთან და მონეცილობასთან, ისინი ცდილობენ, გამოიყენონ ისინი, რაც შეიძლება ეფექტიანად.

## **1.2. მენეჯმენტის როლი საბაზრო ეკონომიკაში**

მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, ამოცანაა წარმოების მართვის კანონებისა და კანონზომიერებათა აღმოჩენა, კვლევა, მათი პრინციპების გამოვლენა, მოქმედების მექანიზმის შესწავლა და, აქედან გამომდინარე, მენეჯმენტის სისტემების ეფექტიანი სტრუქტურებისა და ორგანიზაციული ფორმების შემუშავება. მენეჯმენტი ეკონომიკურ მეცნიერებათა

რიგს მიეკუთვნება, მაგრამ იგი შეისწავლის ურთიერთობათა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ფილოსოფიურ, სამართლებრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ეთიკურ და სხვა ასპექტებსაც. მენეჯმენტი, როგორც მეცნიერების, ამოცანაა ახსნას კანონზომიერებანი, რომლებიც აღნიშნული ურთიერთობების პროცესში ვლინდება და ამის საფუძველზე დაამუშაოს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები.

მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკის და ტექნოლოგიის, ადამიანურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა, რომელიც ოთხი ძირითადი ელემენტისაგან შედგება<sup>1</sup>:

1. მენეჯმენტის თეორიისაგან, რომელიც ავლენს და შეისწავლის მართვის სფეროში მოქმედ კანონებს, კანონზომიერებებს, პრინციპებს, კატეგორიებსა და ცნებებს, ახდენს მათ სისტემატიზაციას.
2. მენეჯმენტის მეთოდებისაგან, რომლებიც შეისწავლის საშემსრულებლო ჯგუფებზე და მის თითოეულ წევრზე ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ადმინისტრაციული ზემოქმედების ხერხებსა და მეთოდებს, მათი პრაქტიკული გამოყენების გზებს.
3. მენეჯმენტის ორგანიზაციისაგან, რომელიც შეისწავლის მართველობით ფუნქციებს, ადგენს ურთიერთ დაქვემდებარების წესს, მართვის ორგანიზაციული ფორმებისა და მათი ქვედანაყოფების დებულებებს, თანამედროვე ინსტრუქციებსა და ა. შ.
4. მენეჯმენტის ტექნიკისა და ტექნოლოგიისაგან, რომელიც სწავლობს მენეჯმენტის სისტემაში ინფორმაციის მიღების, დამუშავების მმართველობით გადაწყვეტილებათა შემუშავების, სისტემური ანალიზის საქმეში

---

<sup>1</sup> ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ., „ინოვაცია“, 2007. გვ 29.

შესაბამისი პროგრესული ტექნიკის, მათემატიკური მეთოდების გამოყენების გზებს.

ჩამოთვლილ ოთხ ელემენტთაგან პირველს – მენეჯმენტის კანონებს, კანონზომიერებებსა და პრინციპებს, ობიექტური ხასიათი აქვს ეს იმას ნიშნავს, რომ მენეჯერი მათ არ ირჩევს, არამედ მათ მოქმედებას ითვალისწინებს, თავისი საქმიანობის აუცილებელ წესად იხდის, ვინაიდან ისინი არსებობენ და მოქმედებენ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად; რაც შეხება დანარჩენ სამ ელემენტს, მათი შერჩევა მენეჯერის ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული. ამიტომ მათ მენეჯმენტის შემადგენელ ელემენტებსაც უწოდებენ. მენეჯერის მართვის ხელოვნება არის ზოგად თეორიული დებულებებისა და ტიპური მმართველობითი სიტუაციების კონკრეტულ პირობებში გამოყენების შემოქმედებითი და ყველაზე ეფექტიანი მეთოდების დაუფლება.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მენეჯმენტის მეცნიერების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დააჩქაროს ტიპიური სიტუაციების შერჩევა და ფორმირება, ჩამოაშოროს მათ შემთხვევითი, კერძო მომენტები, მოახდინოს სისტემატიზაცია და განზოგადება. მართვის ხარისხი დამოკიდებულია მენეჯერის არამართო დაგროვილ ცოდნაზე მეცნიერულ ჭვრეტაზე, არამედ მის უნარზე – პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს ეს ცოდნა – ესაა სწორედ მენეჯერის ხელოვნება.

მენეჯმენტი არის წარმოების მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რაც ნიშნავს:

- საწარმოს ორიენტაციას ბაზრის მოთხოვნებზე, მომხმარებელთა მოთხოვნებზე. ისეთი სახისა და ხარისხის პროდუქციის წარმოების ორგანიზაციას, რომელიც სარგებლობს მაღალი მოთხოვნილებითა და მათ რეალიზაციას შეუძლია მოუტანოს საწარმოს მოსალოდნელი მოგება.
- მუდმივი მისწრაფება იმისაკენ, რომ იზრდებოდეს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა: მინიმალური



მატერიალური და შრომითი დანახარჯებით მიღებულ იქნას მაქსიმალურად მაღალი შედეგები – მოგება.

- სამეურნეო დამოუკიდებლობას, რომელიც უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას იმის მიერ, ვინც პასუხს აგებს საწარმოოს ან მის ქვედანაყოფების შრომის საბოლოო შედეგებზე.
- მიზნებისა და პროგრამების მუდმივ კორექტირებას, საბაზრო კონიუქტურის გათვალისწინებით.
- მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღება-გადამუშავებისათვის თანამედროვე საინფორმაციო ბაზის მოწყობას კომპიუტერული ტექნიკის საფუძველზე, მრავალ ვარიანტულ გაანგარიშებათა ჩატარებისათვის, დასაბუთებული მართველობითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ამრიგად, მენეჯმენტის განმარტებაში ზოგადად 4 ასპექტის გამოყოფა შეიძლება:

- მენეჯმენტი – ადამიანების გაერთიანებაა (ერთობლიობა), რომლითაც ახორციელებენ ხელმძღვანელობას მართვის ყველა დონეზე.
- მენეჯმენტი – პრინციპების ფუნქციებისა და ტექნიკის ერთობლიობაა, რომელსაც მართვაში დასაქმებული ადამიანები იყენებენ. სხვანაირად – ესაა მართვის ინსტრუმენტები: გარკვეული თეორიები, რომლებიც გამოიყენება მართვაში ნახალისებისა და სასჯელების სისტემაში, გარკვეული ტექნიკური ბაზაა.
- მენეჯმენტი – მეცნიერება ან მოძღვრებაა, რომელშიც ხორციელდება მართვის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადება და გამომუშავდება, სწორი ანუ რაციონალური მართვის თეორიული პრინციპები;
- მენეჯმენტი – ესაა საბაზრო საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ერის საუკეთესო რესურსებს იზიდავს, დასაქმების პრესტიჟუ-

ლი და მიმზიდველი სფერო. მენეჯმენტი განსაზღვრავს ერის იდეალებს, ღირებულებით ორიენტაციებსა და კულტურულ სტერეოტიპებს.

მენეჯმენტი შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისით: როგორც მოვლენა, როგორც პროცესი, როგორც სისტემა, როგორც მეცნიერება, როგორც ხელოვნება, როგორც ადამიანების კატეგორია, რომლებიც დაკავებული არიან მმართველობითი შრომით, ანუ მართვის ორგანო.

როგორც მოვლენა, მენეჯმენტი წარმოადგენს მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე, მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ზემოქმედებას.

როგორც პროცესი მენეჯმენტი თავის თავში მოიცავს რიგ თანამიმდევრულ ფუნქციას. მათ მიეკუთვნება: დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, მოტივაცია, კონტროლი, აღრიცხვა.

როგორც სისტემა, მენეჯმენტი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ელემენტების ერთობლიობას, როგორცაა, ინფორმაცია, სტრუქტურა და ა.შ.

როგორც მეცნიერება, მენეჯმენტი წარმოადგენს ისეთ მეცნიერებას, რომელიც მართვის პრობლემებს შეისწავლის. მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: მმართველობითი შრომის ბუნების ახსნა, მმართველობით პროცესებში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, იმ პირობების გამოვლენა სადაც, ადამიანების ერთობლივი შრომა ეფექტიანი აღმოჩნდება. სისტემატიზებული მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობა მმართველობაზე იმაში ვლინდება, რომ იგი საშუალებას იძლევა დროულად და ხარისხიანად ვმართოთ ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობა, პროგნოზირებულ იქნას ვითარების შესაძლო განვითარების ვარიანტები და ამის შესაბამისად შემუშავებულ იქნეს ფუნქციონირების სტრატეგია და ტაქტიკა, გონივრულად განხორციელდეს მიზნებისა და ამოცანების დასახვა.

ხშირად მენეჯმენტს განიხილავენ, როგორც ხელოვნებას, რომელიც ემყარება მის საფუძველში არსებულ კონცეფციას,

კანონებს, პრინციპებსა და მეთოდებს. ასეთი მიდგომა იმას ემყარება, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია, როგორც მმართველობითი მოღვაწეობის ობიექტი, რთული სოციალურ-ტექნიკური სისტემების ერთობლიობა და თავმოყრას, რომელთა ფუნქციონირებაზეც გავლენას ახდენს მრავალრიცხოვანი შინაგანი და გარეგანი ფაქტორი.

ხშირად მენეჯმენტის ცნება ადამიანებთან ასოცირდება, რომელთა მუშაობა გამოიხატება სანარმოს მთელი პერსონალის ძალისხმევის კოორდინაციაში, ფუნქციონირების მიზნების მისაღწევად.

რას წარმოადგენს მენეჯმენტის ახალი რეალობა? უკანასკნელი 10-12 წელი აშშ-ში წერს პ. დრუკერი ჟურნალ ამერიკაში გამოქვეყნებულ სტატიაში „ევოლუცია საზოგადოებრივ შრომაში“ (1989 წელი. N394) სწრაფად ვითარდება ეგრეთ წოდებული „მესამე სექტორი“ ეს არაა ბიზნესის სფერო, სადაც წარმოიშვა მენეჯმენტი და არც სახელისუფლებო სფერო, სადაც იგი მოგვიანებით გავრცელდა და რომელიც თავის გავლენას დაუქვემდებარა. ლაპარაკია რიგითი ამერიკელების „ხსნის არმიის“, მილიონობით მოხალისეების, ამერიკის კარდიოლოგიური ასოციაციის, გელს – კაუტების ორგანიზაციისა და ათიათასობით რელიგიური გაერთიანების საქმიანობაზე, რომლებიც მიმოფანტულია მთელ ქვეყანაში და აერთიანებს 20 მილიონამდე ადამიანს.

მოხალისეთა რიცხვი, რომლებიც მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სწრაფად იზრდება. არ არის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები „მესამე სექტორის“ შესახებ, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ როგორც ამას პიტერ დრუკერი აღნიშავს, იგი დღეისათვის ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია ქვეყანაში. მოხალისეები დაკავებული არიან იმით, რომ დადიან სახლიდან სახლში და აგროვებენ შემოწირულობას, აწყობენ მსოფლიო მარშებს, ხელს აწარენ პეტიციებს და აკეთებენ სხვა მსგავს საქმეებს, რისთვისაც მათ არავინ არაფერს არ უხდის.

მენეჯმენტი უნივერსალურია და მზად არის შეცვალოს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფერო რაციონალურ სანყისებზე, იგი შეიჭრა „მესამე სექტორშიც“. ჯერ კიდევ რამოდენიმე ათეული წლის წინ მოხალისეები იყვნენ დიასახლისეები, პენსიონერები და ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ საკუთარი სიამოვნებისათვის და არა ფულისათვის. ახლა მათ ასწავლიან, ინსტრუქტაჟს უტარებენ, ირჩევენ სპეციალური ტესტების მიხედვით. მოსალისეებს განეკუთნებიან არა აუნაზღაურებელი შრომით დაკავებული მუშაკები და არა შემთხვევითი ადამიანები, ამრიგად, „მესამე სექტორი“ ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების განსახელმწიფოებრიობის ალტერნატივა, რომელიც მას ფორმალურ ელფერს აძლევს და აღიქმება, როგორც ზემოდან მითითებების შემსრულებელი, მოხალისეთა მოძრაობას, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ახალ ფორმას, რომელსაც დიდი მომავალი აქვს ყველა ქვეყანაში.

XIX საუკუნეში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ორჯერ განხორციელდა მსხვილ მასშტაბიანი გადასვლა საზოგადოების ერთი ტიპიდან მეორეში. 1917 წელს მოხდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, ხოლო 1991 წელს ადგილი ჰქონდა შებრუნებულ პროცესს – სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში გლობალური გადასვლა ითვალისწინებდა პირველ რიგში მმართველობით რევოლუციას. საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური საფუძვლის ცვლილება 1917 და 1991 წელს განხორციელდა „ზემოდან“ და წარმოადგენდა არა ბუნებრივ ისტორიულ განვითარებას, არამედ პოლიტიკური ელიტის მიერ დაგეგმილ და მართულ გადატრიალებას, მმართველობითი რევოლუციის შედეგად 1991 წელს სახელმწიფო ძალაუფლება ისევ კერძო გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მმართველობითი რევოლუციები მოხდა ძველ აღმოსავლეთში, სწორედ ანტიკურ საბერძნეთში ორ ნახევარი ათასი წლის წინათ აღინიშნა საფუძვლიან გატარიალება ფასეულობათა ახალი სისტემის მი-

მართ, რომელმაც შესაძლებელი გახადა მენეჯმენტის შემდგომი განვითარება. შუმერულმა ქურუმებმა ნამდვილად მოუვლინეს მსოფლიოს ახალი ტიპის საქმიანი ადამიანები, ეგვიპტელმა ჩინოვნიკებმა აჩვენეს მაღალ ეფექტიანი ცენტრალიზებული მართვის მაგალითი, მაგრამ მხოლოდ ბერძნებმა შექმნეს ცივილიზაციის პრინციპულად ახალი ტიპი – საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ემყარებოდა კეთილსინდისიერ, პატიოსან შრომას, დემოკრატიული ხელმძღვანელობის მაღალ კულტურასა და პიროვნების თავისუფალ განვითარებას.

პოლიტიკურად ანტიკური ცივილიზაცია იწყება პოლისით „ქალაქ-სახელმწიფოების“, ეკონომიკური – აგორით (სავაჭრო ფართობები), ლიმენების (საპორტო ჰავანები) და კომები (სოფლები) წარმოშობით.

მეურნეობრიობის სრულყოფილებამდე დაყვანილი ინტენსიური სისტემა ბერძნებს საშუალებას აძლევდა, კონკურენცია დაემყარებინა ტრადიციულ აგრარულ რეგიონებსა და განვითარებულ აღმოსავლეთის ცივილიზაციის ცენტრებს შორის. წარმოების ნებისმიერი დარგი ანტიკურ საბერძნეთში, მინათმოქმედება, ვაჭრობა, მშენებლობა, ხელოსნობა, გადაიქცა „გამოყენებითი მათემატიკის“ სფეროდ. ბერძნები ითვალისწინებდნენ ყველა წვრილმანს სახელდობრ, შედარებით რაციონალურად როგორც განთავსებულიყო შეზღუდულ ნაკვეთებზე მაქსიმალური ოდენობის ვაზი; როგორ გათხრილიყო საჭირო სიღრმის თხრილები და მიერთებოდა ისინი საირიგაციო სისტემას, რომელიც არ დაარღვევდა მთის დახრილობას და ნიადაგის სტრუქტურას.

ძველ ბერძნებს სჭირდებოდათ თავისუფალ შრომაში გამოვლინებული მშვენიერების ნიმუშები და მშვენიერების შეგრძნება, პროპორციულობის შეგრძნება თანაბარ ზომიერი უნდა იყოს ყველგან, მით უმეტეს იქ და იმაში, სადაც და რაზეც დამოკიდებულია მათი არსებობა შრომასა და მართვაში.

შუმერების, ეგვიპტელების ბაბილონელების, ასირიელების ცივილიზაციასთან შედარებით, პრინციპულად ახალი ისტორიული ტიპის საკუთარი ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესში ბერძნები სწავლობდნენ ლამაზად და გემოვნებით

შრომას და ცხოვრებას, მოკრძალებულ და ნატიფ ყოფას. სინატიფე უბრალოებაშია, ხელოვნება განსაკუთრებულად ნიჭიერი ერისათვის, ესაა მთელი მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შექმნა არაფრისაგან ბევრი, როგორ ააგო კულტურა წვრილმანებით და მიაღწიო დიდ წარმატებებს. სწორედ ასეთი გზა გაცილებით გვიან გაიარეს იაპონელებმა და ამერიკელებმა, რომელთაც ცივილიზებული მართვის თავიანთი საკუთარი წყობა შექმნეს. სწორედ წვრილმანების კულტურას აყალიბებდნენ რიგითი ამერიკელებისათვის ტეილორი, ფორდი და რუზველტი.

გონივრული და მარტივი დამოკიდებულება თავისი ყოველდღიური ყოფისადმი, საცხოვრისისადმი და ჩაცმისადმი, ყოფითი საგნებისადმი თანდათან აყალიბებდა ბერძნებში სპეციფიკურ ფსიქოლოგიას და ქცევის განსაკუთრებულ პოლიტიკურ წილს. თანდაყოლილი მისწრაფება შექმნან მოხერხებული, სარგებლის მომტანი დინამიკური ცხოვრება, იგრძნობოდა ყველაფერში: ქცევისა და განსჯის მანერაში, აუჩქარებელ და ღრმა ფილოსოფიურ აზროვნებაში. ბერძნები დიდ პატივს მიაგებდნენ ინტელექტუალურ და მაღალ პროფესიონალურ შრომას. გაკიცხვას იმსახურებდნენ ისინი, რომლებიც ფლანგავდნენ სხვისი და არა საკუთარი შრომის შედეგს.

ბერძნული კულტურა თანამედროვე ტერმინოლოგიით, რომ ვიმსჯელოთ, აისახა ვენჩურული ფირმების ცივილიზაციაში. არქაულ პოლისში სჭარბობდა მცირე ხელობის საწარმოები – ერგასტერიები მსხვილი სახელოსნოები (100-120 მონა) შედარებით მცირე იყო. სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო საოჯახო ფერმები. ანტიკურ საბერძნეთს ვენჩურული ფირმების ცივილიზაცია შეიძლება ვუწოდოთ სხვა ნიშნების მიხედვითაც. ესაა ინიციატივიანობა და რისკი, გერგილიანობა და ნოვატორობა, საქმიანობა და რაციონალიზმი, ნებისმიერი საქმის სადმი სამეცნიერო პრაქტიკული, გამომგონებლობითი მიდგომა და ბოლოს მართვის ინოვაციური სტილი, სწრაფად გადაწყობისა და წარმატების მიღწევის უნარი ახალ აპარეზ-

ზე. ბერძნები იყვნენ გასაოცრად პრაქტიკულები და უმრავლესობა განათლებული.<sup>1</sup>

ძველი საბერძნეთისაგან ჩვენ მრავალი ასეული წელი გვაშორებს. შეიცვალა სამყარო, შეიცვალნენ ადამიანები, მაგრამ იმ შორეულ წარსულში დედამიწის ამ მცირე მონაკვეთზე შექმნილი ცივილიზაცია დღესაც ალაფრთოვანებს ადამიანებს და ასაზრდოებს მათ აზროვნებას, ფანტაზიას, შემოქმედებას. აოცებს თავისი ჰარმონიულობით, ერთდროულად ღვთაებრივი ამაღლებულობითა და ადამიანურობით.

ძველი ბერძნული ცივილიზაცია ბოლომდე ამოუცნობი და ამოუწურავი სამყაროა.<sup>2</sup>

### 1.3. მენეჯმენტის ძირითადი სკოლები

მენეჯმენტის ძირითადი სკოლების არსი, მიღწევები და თავისებურებები შემდეგში მდგომარეობს:

**მეცნიერული მართვა (1885-1920 წლები)** – ამ სკოლის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ: ფ. უ. ტეილორი, ჰ. ჰანტი, ფ. ლ. გილბრეტები, გ. ემერსონი, ჰ. ფორდი, ა. ა. ბოგდანოვი, ა. კ. გასტევი. ფუძემდებლური ცნებები იყო შრომის დანაწილება მწარმოებლურობის ამაღლება, „ეკონომიკური“ ადამიანი, მართვისადმი მეცნიერული მიდგომები, მეცნიერული მართვის სკოლის მიზანი იყო, წარმოების განხორციელება რესურსების უმცირესი დანახარჯებით, მაქსიმალური შედეგების მიღების მიზნით.

**ფ. ტეილორი (1856-1915 წლები).** „მეცნიერული მენეჯმენტის მამად“ სამართლიანად ითვლება ამერიკელი ინჟინერი ფრედერიკ უინსლოუ ტეილორი. მისმა 1911 წელს გამოცემულმა წიგნმა, „მეცნიერული მართვის პრინციპები“ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მმართველობითი აზრის პროგრესზე.

---

<sup>1</sup> ე. ბარათაშვილი., ლ. ქოქიაური. მენეჯმენტის პრინციპები. თბ., 2010. გვ. 101.

<sup>2</sup> ა. კლდიაშვილი, ანტიკური საბერძნეთი, თბ., 2014.

ტილორის კონცეფციის ძირითადი დებულებებია:

- მენეჯმენტის აღიარება საქმიანობის დამოუკიდებელ სფეროდ, რომლის მიზანია წარმოების რაციონალიზაცია;
- წარმოების პროცესისა და შრომითი ოპერაციების დაყოფა ცალკეულ ელემენტებად, დროის დანახარჯის გამოვლენა, მათ შესრულებაზე მუშათა შრომის ნორმირების მიზნით;
- დაგეგმვა, მუშების დავალების ნორმების საფუძველზე სპეციალიზებული ქვედანაყოფების გამოყოფით, რომლებიც განსაზღვრავენ სამუშაოთა თანამიმდევრობას, დროის შესრულების ვადებს;
- შრომის ნაყოფიერების გზა უფრო მაღალი გამოიმუშავების გზით;
- მუშაკთა შერჩევა მათი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად და მათი სწავლება.

ტილორის მიდგომა მართვის პროცესის კვლევისადმი ძალზე მექანიკური იყო. იგი გულისხმობდა წარმოების განხორციელებას რესურსების მინიმალური დანახარჯებით. მაქსიმალური შედეგების მიღწევას, ოპერაციების ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციის საფუძველზე.

ტილორმა მართვას შრომის რაციონალიზაციის შემდეგი პრინციპები დაუდო საფუძვლად:

- საწარმოო ოპერაციების დაყოფა შემადგენელ ელემენტებად;
- შრომის იარაღებისა და ტექნოლოგიური პროცესების იძულებითი ცენტრალიზაცია;
- მართვა – წარმოების აქტიური ფაქტორი;
- მაღალი, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების შემოღება;



- შრომის დანაწილება უშუალოდ მართვის სფეროში. გამომუშავების ზრდის მასტიმულირებელი შრომის ანაზღაურების შემოღება;
- დაგეგმვის, როგორც მართვის ფუნქციის, ცალკე გამოყოფა;
- მკაცრი იერარქიული დაქვემდებარება;
- სქემა – ინსტრუქციების შემოღება;
- ადმინისტრაციისა და მუშების მჭიდრო თანამშრომლობა

ტიელორის იდეებმა თავის განვითარება პოვა მისი თანამოაზრეების შრომებსა და საქმიანობაში.

**ჰ. ემერსონი (1853-1931 წლები)** იკვლევდა შრომითი საქმიანობის პრინციპებს საქმიანობის სფეროებისაგან დამოუკიდებლად და ჩამოაყალიბა შრომის მწარმოებლურობის 12 პრინციპი. ესენია:

- ზუსტი მიზნების დასახვა;
- დისპეტჩერული ორგანიზაცია;
- ჯანსაღი აზრი;
- ნორმები და განრიგი;
- კომპენტენტური კონსულტაცია;
- პირობების ნორმალიზაცია;
- დისციპლინა;
- ოპერაციების ნორმირება;
- სამართლიანი დამოკიდებულება პერსონალთან;
- სტანდარტული ინსტრუქციები;
- საიმედო, სრული, ზუსტი და უწყვეტი აღრიცხვა;
- დაჯილდოვება მწარმოებლურობისათვის.

**ჰ. ფორდმა (1863-1947 წლები)** – განავითარა ტიელორის იდეები წარმოების ორგანიზაციის შემდეგი პრინციპებით:

- შრომის მაქსიმალური დანაწილება, სპეციალიზაცია;
- მაღალმწარმოებლური სპეციალური მოწყობილობის, ინსტრუმენტების ფართო გამოყენება;

- მოწყობილობის განთავსება ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობის შესაბამისად;
- პროდუქციის წარმოების რიტმის რეგლამენტირება;
- სატრანსპორტო ოპერაციების მექანიზაცია.

**ადმინისტრაციული სკოლა (1920-1950 წლები)** – სკოლის მთავარი წარმომადგენლები არიან: ა. ფაიოლი, ლ. გიულიკი, ლ. ურვიკი, ჯ. მუნი, მ. ვებერი, ა. სლოუნი და სხვები. ძირითადი კატეგორიებია: მართვის პრინციპები, მართვის ფუნქციები, ორგანიზაციული სტრუქტურები. კლასიკური სკოლის მიზანი იყო მართვის უნივერსალური პრინციპების შექმნა, რომლის შედეგადაც ორგანიზაცია წარმატებული ხდება.

ამ მიმართულების ფუძემდებელია ფრანგი სამთო ინჟინერი ა. ფაიოლი (1891-1925 წლები). მან შეიმუშავა მთლიანად მართვის ორგანიზაციის სრულყოფის მიმართულებები, რომლებიც გადმოსცა 1916 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: „საერთო და სამრეწველო მართვა“. ფაიოლის მიხედვით, ნებისმიერი საქმიანი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია საქმიანობის განსაზღვრული სახის ფუნქციის შესრულება, ეს ფუნქციებია:

- ტექნიკური და ტექნოლოგიური – წარმოება, დამზადება, გადამუშავება;
- კომერციული – შესყიდვა, გაცვლა, რეალიზაცია;
- ფინანსური – კაპიტალის მოზიდვა და ეფექტიანი მართვა;
- დაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საკუთრების დაცვა;
- სააღრიცხვო (ეკაუტინგი) – ანალიზი, აღრიცხვა, სტატისტიკა;
- ადმინისტრაციული (მმართველობითი) – განჭვრეტა, ორგანიზაცია, კოორდინირება, კონტროლი, თადარიგის გიანობა.

ფაიოლიმ მართვის ყველა ფუნქცია დაყო საერთო და სპეციფიკურ ფუნქციებად, პირველი მიეკუთვნება საქმიანობის

ნებისმიერ სფეროს, ხოლო მეორე კი უშუალოდ სამრეწვლოს საწარმოს მართვას. მან გამოყო მენეჯმენტის 5 სავალდებულო, საერთო ფუნქცია. ესენია: განჭვრეტა (დაგეგმვა), ორგანიზაცია, თადარიგიანობა, კოორდინაცია და კონტროლი. მან შეიმუშავა მათი განხორციელების წესების ტაქტიკა. ფაიოლის კვლევებმა მას საშუალება მისცა ჩამოეყალიბებინა მართვის 14 უნივერსალური პრინციპი, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ადამიანისეული საქმიანობის დროს.

- შრომის დანაწილება;
- უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა;
- დისციპლინა;
- ერთმართველობა;
- მიმართულების ერთიანობა;
- პირადი ინტერესების საერთოსადმი დაქვემდებარება;
- პერსონალის დაჯილდოება;
- ცენტრალიზაცია;
- იერარქია;
- წესრიგი, სამართლიანობა;
- პერსონალის და სამუშაო ადგილის სტაბილურობა;
- ინიციატივა;
- კორპორატიული სულისკვეთება;

ფაიოლიმ შეიმუშავა ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ორგანიზაციის აგებისა და ფუნქციონირების საფუძველია.

ადმინისტრაციული დოქტრინის დებულებები შემდგომში განავითარეს ფაიოლის თანამოაზრეებმა. რაციონალურ ბიუროკრატის კონცეფციის ავტორმა მაქს ვებერმა (1864-1920 წლები) შეიმუშავა პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ იერარქიული ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურების აგებას. ეს პრინციპებია:

- მართვის მკაფიო იერარქია და შემსრულებელთა მუშაობაზე კონტროლი;

- მუშაობის რეგლამენტაცია ორგანიზაციული რეგლამენტების შემუშავების საფუძველზე;
- შრომის დანაწილება და მუშაკთა სპეციალიზაცია;
- საქმიანობის ფორმალიზაცია და სტანდარტიზაცია ნორმებისა და ნორმატივების საფუძველზე;
- სამუშაოების შესრულების გაუპიროვნებობა სუბიექტივიზმის გამორიცხვის მიზნით;
- პერსონალის შერჩევა და შეფასება კვალიფიციური მოთხოვნების მიხედვით;

**ადამიანური ურთიერთობების სკოლა (1930-1950 წლები) –**

სკოლის მთავარი წარმომადგენლები არიან: ე. მეიო, მ. პ. ფოლეთი, რ. ლაიკერტი, ფ. როტლისბერგი. ფუძემდებლური დებულებებია ადამიანური ფაქტორი, არა ფორმალური ურთიერთობები, პიროვნება ორგანიზაციაში. ადამიანური ურთიერთობების სკოლის მიზანია ორგანიზაციაში ადამიანის ქცევისა და ფსიქოლოგიის შესწავლა მართვის კლასიკურ კონცეფციებში. ადამიანური ურთიერთობების დოქტრინის წარმოშობა დაკავშირებულია ამერიკელი მეცნიერის ე. მეიოსა და რ. როტლისბერგის კვლევებთან.

ამ სკოლის მიერ ჩატარდა ექსპერიმენტები და შესწავლილი იქნა პერსონალის ურთიერთდამოკიდებულება ორგანიზაციის ყველა დონეზე, მუშაკის ქცევის პრობლემები და მათი მართვა შრომითი საქმიანობის პროცესში. ამან შესაძლებელი გახადა შემუშავებულიყო მოტივაციის პრობლემები, შრომითი კმაყოფილება და ჯგუფური დინამიკა პერსონალის საწარმო საქმიანობაში. ამის შედეგად ამ მიმართულებების წარმომადგენლებმა შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად რეკომენდაცია გაუწიეს გამოეყენებინათ ადამიანური ურთიერთობების ჰარმონიზაციის ხერხი.

ადამიანური ურთიერთობების დოქტრინა ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

- ურთიერთკავშირისა და ინფორმაციის სისტემა;
- ფსიქოლოგიური მრჩევლების საუბრები მუშებთან;

- მუშების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში (მუშების ჩართვა წარმოების მართვაში);
- არაფორმალური ჯგუფების ორგანიზაცია და მათი მართვა;

აღნიშნული მიმართულებების წარმომადგენლებმა გამოავლინეს, რომ ადამიანების ქცევის მოტივებს განსაზღვრავს არამართო და არა იმდენად ეკონომიკური ფაქტორები, რამდენადაც სხვადასხვა მოთხოვნა, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დაკმაყოფილდეს ფულის მეშვეობით. მართვის სისტემის ცენტრში წარმოდგენილი იყო ინდივიდის ინტერესები, მოთხოვნები და მოლოდინი, ჯგუფური ნორმები და ფასეულობები.

აღნიშნული სკოლის ძირითადი მიღწევებია: ადამიანურ რესურსებზე პრინციპულად ახალი შეხედულება, რომელიც მუშაკის პიროვნებას წარმოადგენს, როგორც ორგანიზაციის მთავარ ფასეულობას.

**ქცევითი მეცნიერებები (სოციალური სისტემების თეორია)**

**1950 – დღემდე.** მთავარი წარმომადგენლები არიან: ა. მასლოუ, დ. მაკგრეგორი, ფ. ჰერცბერგი, კ. არდჰირისი, ვ. ვრუმი და სხვები. ფუძემდებლური დებულებებია: მოტივაცია, მოთხოვნილებები, ურთიერთზემოქმედება, „სოციალური ადამიანი“, პერსონალის აქტივიზაცია, შრომითი ცხოვრების ხარისხი. ამ სკოლის მიზანი იყო სამეურნეო სუბიექტის შედეგიანობის უზრუნველყოფა, მისი ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე. სკოლის მიერ გამოკვეთილი იყო მენეჯერისა და მუშაკთა სოციალური ურთიერთქმედების ასპექტები, დამუშავდა ინდივიდუალური და ჯგუფური მოტივაციის პრობლემები, ძალაუფლების, ლიდერობის ჯგუფთა შორის ურთიერთობების, კომუნიკაციების, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის პრობლემები. დასაბუთდა იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა ცალკეული ორგანიზაცია განხილულ იქნას, როგორც სოციალური სისტემა, რომლის ცენტრში დგას ადა-

მიანი, რომლის საქმიანობა მოითხოვს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

დასაბუთდა. რომ ქცევითი მეცნიერების სკოლის ძირითადი დებულებების რეალიზაცია მენეჯერს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად აამაღლოს, პერსონალის მუშაობის ეფექტიანობა, ჩამოაყალიბოს ორგანიზაციული კულტურის ინოვაციური ტიპი და საბოლოოდ, აამაღლოს მართვის ობიექტის კონკურენტუნარიანობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შედეგის მიღწევა უზრუნველყოფილია ადამიანური ფაქტორის აქტივიზაციის ხარჯზე. ე. ი. შედარებით ეკონომიკური ხერხებით, რომლებიც არ მოითხოვენ მხოლოდ ფინანსურ დანახარჯებს.

სკოლის ძირითადი დასკვნა მდგომარეობს შემდეგში;

ყოველი საწარმო წარმოადგენს სოციალურ სისტემას, რომელიც შედგება არაფორმალური ჯგუფებისაგან და რომლებიც არეგულირებენ ადამიანურ ქცევებს. ამ ეტაპის დებულებები საფუძვლად დაედო ადამიანურ რესურსების მართვისადმი ბიჰევიორისტულ მიდგომას, რომელიც ახლაც აქტუალურია. ადამიანური რესურსები თანამედროვე ორგანიზაციის ძირითადი კაპიტალია და მისი მთავარი კონკრეტული უპირატესობაა. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება მართვის ინოვაციურ ჰუმანისტურ პარადიგმას, რომელიც ადამიანურ ფაქტორს თანამედროვე ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად კომპონენტად განიხილავს. მუშაკთა კვალიფიკაცია, ოსტატობა მათი თვითგანვითარების უნარი გამოდის როგორც XXI საუკუნის მენეჯმენტის სტრატეგიული საფუძველი.

**მართვის მეცნიერების სკოლა (რაოდენობრივი მიდგომა)**

**1950 – დღემდე.** ამ სკოლის მთავარი წარმომადგენლები არიან: პ. სამუელსონი, პ. დრუკერი, ვ. ვ. ლეონტიევი, ვ. ვ. ნოვოჟილოვი, ს. გ. სტრუმინი, ვ. კანტაროვიჩი, ი. ანსოფი. ფუნქციონალური დებულებებია: ტექნოლოგიზაცია, ფორმალიზაცია, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, ავტომატიზაცია, კომპიუტერიზაცია, მართვის ეფექტიანობის ამაღლება. ამ მიმართულების მიზანია – მართვის პრობლემების გადან-

ყვეტა სისტემური ანალიზისა და კიბერნეტიკული მიდგომის საფუძველზე. მართვის მეცნიერების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება დაკავშირებულია კიბერნეტიკის, სისტემების საერთო თეორიისა და ოპერაციების კვლევის მეთოდების აღმოცენებასთან, ასევე მათემატიკის, სტატისტიკის, საინჟინრო მეცნიერებებისა და მათთან მომიჯნავე სფეროების განვითარებასთან. მართვის მეცნიერული სკოლის ძირითადი მახასიათებელია სიტყვიერების რესურსების შეცვლა მოდელების აბსტრაქტულ-აღწერილობითი ანალიზით, სიმბოლოებით, რაოდენობრივი პარამეტრებითა და მათემატიკური დამოკიდებულებებით. განიხილება ამ სკოლის ორი ძირითადი მიმართულება.

- წარმოება განხილულია როგორც სოციალური სისტემა, სისტემური, პროცესული და სიტუაციური მიდგომების გამოყენებით;
- მართვის სისტემების კვლევა სისტემური ანალიზის მეთოდებისა და კიბერნეტიკული მიდგომის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით;

**თანამედროვე მეცნიერული მენეჯმენტის მეთოდოლოგია (1970-დან დღემდე)** – თანამედროვე მეცნიერული მენეჯმენტის მეთოდოლოგია ემყარება სამ ძირითად მიდგომას:

- პროცესული მიდგომა (ა. ფაიოლი, მ. მესკონი და სხვები) – მართვის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება შემდეგ მოსაზრებას: მენეჯმენტი არის ლოგიკურად განპირობებული, ერთიმეორესთან თანამიმდევრულობით დაკავშირებული და ერთიმეორეზე დამოკიდებული ქმედებები (ფუნქციები), რომელთა განხორციელება მიიღწევა მართვის პროცესის უწყვეტობით.
- სისტემური მიდგომა (ლ. ფონ ბერტალანფი, პ. კ. ანოხინი და სხვ.) მართვის ობიექტების მეთოდოლოგია, პროექტირება და კონსტრუირება სისტემური ურთიერთდაკავშირების საფუძველზე. ეს მიდგომა ორგანიზაციას წარმოადგენს, როგორც ურთიერთდაკავშირე-

ბული ელემენტების ერთიანობას, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და წარმოადგენენ ერთიმეორესთან დაკავშირებულ ერთიან მთელს. ამავე დროს სისტემის ქვეშ მოიაზრება გარკვეული მთლიანობა, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან, თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს მთელის დახასიათებაში. მენეჯმენტი ყველა თანამედროვე ორგანიზაციას განიხილავს, როგორც ღია სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, მრავალფაქტორულ და მრავალმიზნობრივ წარმონაქმნს, რომლის საქმიანობა მიმართულია დასახული მიზნების მიღწევაზე.

- სიტუაციური მიდგომა (მ. პ. ფოლეთი, ტ. ბერნსი, გ. სტალკერი და სხვ). მართვის მეთოდოლოგია ემყარება გადანყვეტილებების მიღებას შექმნილი სიტუაციების ანალიზის, კონკრეტული პირობებისა და თავისებურებების შეფასების საფუძველზე. ასეთი მიდგომა თავიდან იცილებს სტანდარტული გადანყვეტილებების მიღებას და სხვისი გამოცდილების მექანიკურ გამოდღეებას. შერჩეული ოპტიმალური არჩევანი მაქსიმალურად შეესაბამება შექმნილ სიტუაციას. ასეთ მიდგომა განსაზღვრავს მენეჯერის არასწორხაზოვან, სიტუაციურ აზროვნებას ორგანიზაციული პრობლემებისა და მათი გადანყვეტის მოსაგვარებლად.

თანამედროვე პირობებში მართვის მეცნიერების სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა პროგნოზირებადი სისტემის შემუშავებას. შემუშავებულია დაპროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავების სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგნოზირების მოდელები, სხვა აქტუალური თეორიული და გამოყენებითი დამუშავებები. ყოველმა სკოლამ თავისი შესამჩნევი წვლილი შეიტანა მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების განვითარებასა და სრულყოფაში, მაგრამ ამასთან ერთად ყოველ მათგანს აქვს გარკვეული შეზღუდვები.



მთლიანად მენეჯმენტის განვითარების ძირითადი ტრანსფორმაციული მიმართულებები შეიძლება გამოიხატოს შემდეგ თეზისებში:

- ტექნოკრატიულ მიდგომაზე უარის თქმა, მართვის ჰუმანისტური მოდელების სასარგებლოდ;
- დახურული სისტემიდან ღია სისტემებზე გადასვლა;
- აბსტრაქტული მიდგომების შეცვლა მართვის ფორმალისტული ხერხებით;
- ავტორიტარული მიდგომებიდან მართვის პროგრესული დემოკრატიული ხერხების გამოყენებაზე გადასვლა;
- ინდივიდუალურ მიდგომაზე უარის თქმა, მუშაობის ორგანიზაციის საკომანდო მეთოდების სასარგებლოდ;
- მენეჯმენტის გამოსვლა ეროვნული საზღვრების ჩარჩოებიდან და მენეჯმენტის საერთაშორისო, ინტერნაციონალური მოდელების შექმნა.
- ლოკალური მენეჯმენტის გადაზრდა დივერსიფიცირებულ მენეჯმენტად.

#### **1.4. კროსკულტურული მენეჯმენტი**

მსოფლიო სამეურნეო ცხოვრების გლობალიზაციის პირობებში 1970-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება – კროსკულტურული (შედარებითი) მენეჯმენტი, ე. ი. მენეჯმენტი ეროვნული საქმიანი კორპორატიული კულტურის მიჯნაზე, ამ მიმართლებამ სწრაფი განვითარება პოვა 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში მკვლევრების გ. ჰოფსტედის, ფ. ტრომპენაარსის, ე. ჰოლის და სხვების მიერ.

კროსკულტურული მენეჯმენტი ყურადღებას აქცევს იმ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია ეროვნული საქმიანი კულტურისათვის და ცდილობს, შეიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები, გლობალური ორგანიზაციების მართვის

ეფექტიანობის ამალღების მიმართულებით, საერთაშორისო ბიზნესის სფეროში. მართვის ჩვევების ფორმა კროსკულტურის ასპექტების გათვალისწინებით არანაკლებ მნიშვნელოვანია მიკროდონზე – დარგობრივი ორგანიზაციების მასშტაბებში, ან კორპორატიული კულტურა, რომელიც ფლობს მულტინაციონალურ თვისებებს.

მენეჯმენტის ნაციონალური მოდელის ფორმირებაზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები; საკუთრების ტიპი, სახელმწიფო მონყობის ფორმა, საბაზრო ურთიერთობების სიმნიფე, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, მორალური, ეთიკური, კულტურული, რელიგიური, კლიმატური და სხვა თავისებურებები.

მენეჯმენტის მოდელების მრავალფეროვნება შეიძლება დაიყოს სამ კონცეპტუალურად განსხვავებულ ჯგუფად:

- ინდივიდუალური;
- ჯგუფური;
- კლანური.

ისინი განსხვავდებიან შემდეგი ნიშნების მიხედვით: მიდგომა, გადანყვეტილებების მიღებისადმი, მუშაკის მიღწევების შეფასების კრიტერიუმები, ორგანიზაციული აგების საფუძვლები, კონტროლის პროცედურის ორგანიზაცია და ხასიათი; კარიერული წინსვლის ტიპი, კადრების შერჩევის კრიტერიუმები, მართვის სტილი, ხელმძღვანელობის იმპერატივების მენეჯმენტის სისტემაში, ურთიერთობების ფორმალიზაციის დონე. უფლებამოსილების დელეგირების ხარისხი, ინიციატივის გამოვლენისადმი დამოკიდებულება, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირებისადმი კრიტერიუმები, მიდგომები.

ინდივიდუალიზებული (ამერიკული) მოდელი ემყარება მართვისადმი ინსტრუმენტალურ (ტექნოკრატიული) მიდგომას, ინდივიდუალიზმის კულტივირებას, ორიენტაციას უტილიტარიაზე (ეთიკური თეორია, რომლის მიხედვითაც მოქმედებების სწორი კურსის არჩევა მაქსიმალურს ხდის შესაძლებლობას, რომ ეს მოქმედება საერთო „სიკეთის“ მომტანი იქნე-

ბა. ეს არის კონსეკვენციალიზმის ფორმა რაც გულისხმობს, რომ მოქმედების მორალური ღირებულება მისი შედეგით განისაზღვრება. [ამ თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს იერემია ბენტამმა და ჯონ სტიუარტ მილმა.] ეს ვლინდება სხვადასხვა ფორმით: ინდივიდუალური ინიციატივების წახალისება; პირადი პასუხისმგებლობა, მართვის სტრუქტურისა და კონტროლის პროცედურების ფორმალიზება, კარიერული ზრდის სწრაფი შესაძლებლობები, პირად შესაძლებლობებზე დამოკიდებულებით, შრომის ანაზღაურების სიდიდის დამოკიდებულება ინდივიდუალურ მიღწევებსა და წარმოებლურობაზე და ა. შ.

კოლექტივიზებული (იაპონური) მოდელი შედარებით ნათლად ავლენს ეროვნული კულტურის მიღწევას, რომლის საფუძველია: კოლექტივიზმი (ჯგუფიზმი); პიროვნული იდენტიფიკაცია ჯგუფთან; მისწრაფება მიღწევებისა და ჰარმონიისადმი გამოვლენის ფორმებია, ჯგუფური და არაინდივიდუალური ინიციატივების წახალისება, ჯგუფური პასუხისმგებლობა, მოქნილი არაფორმალური მიდგომა მართვის სტრუქტურის აგებისადმი, კონტროლის არაფორმალური პროცედურები, ნელი წინსვლა სამუშაოს სტაჟზე დამოკიდებულებით, „დაქირავება სიცოცხლის ბოლომდე“, შრომის ანაზღაურების სიდიდის დამოკიდებულება ჯგუფურ მაჩვენებლებსა და მუშაობის სტაჟზე.

კლანური (არაბული) მოდელი – ესაა ნათესაური კავშირები ხელქვეითებთან ადამიანის და მისი სამუშაოს შეფასება, მართვის სტრუქტურის აგებისადმი, კლანური მიდგომა, წინსვლა ნდობაზე და პატივისცემაზე დამოკიდებულებით ხელმძღვანელის მხრიდან, ორიენტაცია კადრების შერჩევისას ნათესაურ დამოკიდებულებაზე, მართვის სტილი, რომელიც ორიენტირებულია „სხვებზე“, შრომის ანაზღაურების სიდიდის დამოკიდებულება მუშაკის, ხელმძღვანელის ლოიალობაზე.

განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება უფრონაკლებ ტენდენციური მენეჯმენტის დასავლეთ-ევროპული მოდელი.

იგი აღიარებს რაციონალიზმისა და უტილიტარიზმის აუცილებლობას მართვის სისტემაში და მასთან ერთად ორიენტირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირების ჰუმანიტარული, სოციალურად ორიენტირებული საფუძვლების განვითარებაზე, შიგა ორგანიზაციული სოციალური ურთიერთობების სისტემების სრულყოფაზე. ამ მოდელის მახასიათებლებია:

- „მართვაში მონაწილეობის“ კონცეფცია (ინგლისი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი) ემყარება გადაწყვეტილების ერთობლივ მუშაობას, რჩევების ფორმირებას, პროფკავშირების, კომიტეტების, კომისიების როლის გაძლიერებას;
- „თეზისი – შრომის გამდიდრება“ (შვედეთი) ნიშნავს მართვის ფსიქოლოგიზაციას, შრომის შინაარსიანობის ამაღლებას სამუშაო ადგილზე, შემოქმედების განვითარებასა და მუშაკთა ინიციატივის ნახალისებას;
- კონცეფცია „სოციალური ადამიანი“ (გერმანია, საფრანგეთი, იტალია) – გულისხმობს ზემოქმედებას მუშაკის ქცევაზე ჯგუფურ ფაქტორებზე. შრომითი ურთიერთობების ჰუმანიზაციას, სოციალური ურთიერთობების სისტემის სრულყოფას;
- ჯ. მ. კეინსის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონცეფცია (ინგლისი) ამტკიცებს ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის აუცილებლობას რეგულირების ეკონომიკური ბერკეტების საფუძველზე;
- ლ. ერჰარდის სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელი (გერმანია) ორიენტირებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე, ბაზრის სოციალური ორიენტაციაზე, დაგეგმის ინდივიდუალურ სისტემაზე, მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, სოციალურ პარტნიორობაზე, რეალიზაციაზე „პოლიტიკა მილიონერებისათვის“;
- გ. მიურდალის სოციალიზმის შვედური მოდელი, აგებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიაზე,

სოციალურ რეგულირებადი ეკონომიკის ფორმირებაზე, სოციალურ პარტნიორობაზე. მისი მიზანია – „კეთილდღეობა – ყველასათვის“.

ყოველი ეროვნული მოდელის თავისებურებები განისაზღვრება მართვის სისტემების მნიშვნელოვანი პარამეტრებით სახელდობრ, ხელმძღვანელობის სტილით კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან დამოკიდებულებით, კონტროლის სისტემით, მუშაობის მოტივაციით და პერსონალის სტიმულირების მეთოდებით, კომუნიკაციების ფორმებით, ორგანიზაციული და პიროვნებათაშორისი კავშირების ხასიათით, კორპორატიული კულტურით და ა. შ, ამასთან ერთად, მსოფლიო ურთიერთობების გლობალიზაცია, ტრანსნაციონალური ბიზნესის ვირტუალიზაცია და გავრცელება მიგრაციული ნაკადების ინტენსივობა განსაზღვრავენ ეროვნულ კულტურათა ურთიერთკავშირსა და ურთიერთშერწყმას.

პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში მენეჯმენტის განვითარების წამყვანი პერსპექტიული ტენდენციებია:

- ორგანიზაციული ჰუმანიზმის კონცეფციების გააქტიურება;
- ყურადღების აქცენტირება კორპორატიულ კულტურაზე;
- მართვის ფორმალურ მიდგომებზე უარის თქმა;
- სამუშაოების ორგანიზაცია მაღალ პროდუქტიული ჯგუფების ფორმირების პრინციპით;
- ყურადღების გაძლიერება ცოდნაზე, სწავლებასა და მენეჯმენტზე;
- მართვის მოქნილობა და ადაპტურობა, განწყობა „სიტუაციის მიხედვით“;
- კლიენტებზე ორიენტირებული მიდგომა, მარკეტინგ-მენეჯმენტის კონცეფციის საფუძვლებისადმი;
- მმართველობითი ტექნოლოგიების სრულყოფა მონიკვე მიღწევების დანერგვის გზით;

- მენეჯმენტის ინფორმატიზაცია და ინტელექტუალიზაცია;
- მართვის გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია მსოფლიო სამეურნეო კავშირებისა და ურთიერთობების სისტემაში.

კროსკულტურული მიდგომა ასევე ითვალისწინებს შედარებას, მაგრამ ისინი მიმართლია მართველობით პრაქტიკაში სოციოკულტურული კონტექსტის ინდენტიფიკაციისაკენ. კულტურა განსაკუთრებულ როლს თამაშობს მენეჯმენტში ცნობილია, თეორიულ და ემპირიული ნაშრომები არის მხოლოდ მცდელობა, გამოავლინოს კულტურული განსხვავებების ზეგავლენის მასშტაბები და ფორმები მენეჯმენტზე.

კროსკულტურული მენეჯმენტი შეისწავლის იმ ადამიანთა ქცევას, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა კულტურას, მაგრამ მუშაობენ ერთი ორგანიზაციის სივრცეში. მისი აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთქმედება ხდება ტრანსნაციონალური ფორმების, საერთაშორისო პროექტების, ქვეყანათა შრომითი სამუშოს ჯგუფების სტრატეგიული ალიანსების, ორგანიზაციებისა და მართვის ფორმების გამრავალფეროვნების ფონზე. საუბარი ეხება იმ შესასწავლ საკითხებს, როგორც ორგანიზაციული ქცევაა, კერძოდ, საერთაშორისო კონტექსტში მოიცავს მოტივაციას, ლიდერობას, გადანყვეტილებების მიღებას, ჯგუფურ დინამიკას.

კროსკულტურული მენეჯმენტი გულისხმობს კულტურული განსხვავების შესწავლას, როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის (ეროვნულ) დონეზე, როგორც ეროვნული საზღვრების მიღმა, ისე მის შიგნით. იგი მოიცავს იმ ადამიანთა ქცევის შედარებით აღწერას, რომელიც სხვადასხვა კულტურას მიეკუთნებიან და მუშაობენ ერთ ორგანიზაციაში, ანდა მუშაობენ ორ და მეტ სხვა ორგანიზაციაში. ამდენად, კროსკულტურული მენეჯმენტი აფართოებს ორგანიზაციული ქცევის სფეროს მულტიკულტურული განზომილების მეშვეობით. კროსკულტურული მენეჯმენტი ანალოგიურად ავსებს საერთაშორისო ბიზნესისა და მენეჯმენტის კვლევის სფეროსაც.

კროსკულტურული მენეჯმენტი ავსებს შედარებით მენეჯმენტს, რომელიც ფოკუსირდება ნაციონალური მენეჯმენტის მოდელებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე და ამიტებს მას კიდევ ერთ კროსკულტურული ურთიერთობების განზომილებას. ამდენად, კროსკულტურული მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი და როგორც შედარებითი მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილიც, რომლის ჩარჩოებში შეისწავლება კულტურული განსხვავებების ზემოქმედება კომპანიებში, ბიზნესის წამართვის ეფექტიანობაზე, ანდა სხვა სიტყვებით იგი სწავლობს მართველობით ურთიერთობებს მულტიკულტურულ გარემოში. შედარებითი მენეჯმენტი ინტერდისციპლინურია. იგი მოიცავს ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის კულტუროლოგიისა და სხვა მეცნიერებების მენეჯმენტებს. ერთი მხრივ, ეს აიხსნება თავად დისციპლინის კულტურასთან კავშირით და შესაბამისად შესასწავლი მასალის ეკლექტიკურობით (სხვადასხვა სტილის შერჩევა-დაკავშირება. ტერმინი შემოიღო ფილოსოფიურმა სკოლამ, ეკლექტიზმის ფუძემდებელმა, პოტამონმა II საუკუნეში. ხელოვნებაში სხვადასხვა სტილის, განსხვავებული კომპოზიციური ხერხებისა და ელემენტების აღრევა. ეკლექტიკა — მიმართულება არქიტექტურაში, დომინირებდა ევროპაში 1830-1890-იან წლებში. ეკლექტიკა — მიმართულება ანტიკურ ფილოსოფიაში, ნაირგვარი სტილების შემაერთებელი), მეორე მხრივ კი, ქვეყანათა შორისი შედარების აუცილებლობით, თუმცა ინტერ და მულტიდისციპლინობა საშუალებას იძლევა, გამოყენებული იქნეს ცოდნის სხვადასხვა სფეროს მიღწევა. შედარებითი მენეჯმენტის საგანი ხშირად ემთხვევა თავისი მონათესავე დისციპლინების – საერთაშორისო და კროსკულტურული მენეჯმენტების, აგრეთვე ძალიან უახლოვდება შედარებითი ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის, კულტუროლოგიის და ანთროპოლოგიის საგანს, ასევე ჩვენ მიერ განსაზღვრულ ეთნომენეჯმენტს. ამრიგად, კროსკულტურული მენეჯმენტი არის მენეჯმენტის მიმართულება, რომელიც ეფუძნება ეროვნული, საქმიანი კორპორაციული კულტურების თავისებურების განხილვას და

რეკომენდაციების გამომუშავებას, გლობალური ორგანიზაციების მიერ მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საერთაშორისო ბიზნესის სისტემებში.

## 1.5. ეთნომენჯემენტის არსი

სხვადასხვა ერისა და ხალხის მიზანმიმართული შესწავლა ცალკეულ მეცნიერებათა ფარგლებში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. სხვადასხვა ხალხის ისტორიული განვითარების თავისებურებებთან ერთად თანდათანობით ვლინდება ეთნოსების ფუნქციონირების ძირითადი კანონები და კანონზომიერებანი, განისაზღვრება მათი არსებობის ეკონომიკურ, სოციალური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ფაქტორები. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეთნიკური სოციო-ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირის ანალიზი, ეკონომიკური ქცევის ეროვნული თავისებურებების კვლევა. ამ პრობლემების შესწავლისას რამდენიმე პრინციპულად განსხვავებულ მოსაზრებას გამოყოფენ.

მარქსისტული მიდგომისა და, პირველ რიგში, ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ სწავლების მიხედვით, აგრეთვე საწარმოო ურთიერთობების, საწარმოო ძალების განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისობის კანონთან კავშირის გათვალისწინებით, ეთნიკური პროცესი განისაზღვრება საწარმოო ურთიერთობების განვითარების ხარისხის მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საწარმოო ძალების ხასიათსა და დონეზე.

გერმანელი მეცნიერის მ. ვებერის სწავლებაში: ეთნოსის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი – იდეაოლოგია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებისა და საწარმო ურთიერთობების განვითარების ხარისხს. მრავალრიცხოვანმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჭეშმარიტება სადღაც შუაში იმყოფება. ამას ადასტურებს ე. წ. ტრადიციული, აღმოსავლური საზოგადოების ანალიზი, და მასში მაცხოვრებელი ხალხის ფსიქოლოგია, რომელიც უკიდურესი კონსერვატიზმით გამოირჩევა. ამის გამო ინოვაციები ძალიან



რთულად აღიქმება, თვით მარქსიზმშიც შეიძლება გამოვყოთ განცალკევებით მდგომი კონცეფცია წარმოების აზიური მე-თოდის შესახებ. მარქსიზმის ამ ფორმისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური დეტერმინიზმის მიუხედავად, სანარმოო ურთიერთობების განვითარების ხარისხსა და დონეზე გავლენას ახდენს აზიური ტრადიციები და აღმოსავლური ფსიქოლოგია.

პროფესორ ირმა ბარათაშვილისა და მეცნიერთა ჯგუფის აზრით, ჯაჭვში „სანარმოო ძალები – სანარმოო ურთიერთობები – ეთნოსი, უფრო მიზანშეწონილია არა პირველადი მიზეზების ძებნა, არამედ ამ ჯაჭვის შემადგენლების ურთიერთქმედებისა და ურთიერთგავლენის შესწავლა.“<sup>1</sup>

მრავალი მკვლევარი გამოყოფს სხვადასხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელ ეროვნული ფსიქოლოგიის სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკის მდგომარეობაზე. მაგალითად, იაპონელების ისტორიული და ეროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებების ეკონომიკაში ასახვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს თითქმის მუდმივი დაქირავება და მუშათა გათავისუფლების შეზღუდვა, რის გამოც იაპონური ფირმები დიდი სიფრთხილით უდგებიან ახალი კადრების აყვანას და აქტიურად ახორციელებენ წარმოების აცტომატიზაციას; ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის კორელაცია და მათი ზეგავლენა სოციალ-ეკონომიკურ სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე კიდევ მრავალი მაგალითით დასტურდება.

ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ინტეგრაციის აუცილებლობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ უკვე რამდენიმე ათწლეულია ნაყოფიერად ვითარდება ისეთი სამეცნიერო მიმართულება, როგორცაა ეკონომიკური ფსიქოლოგია. ამავდროულად ეთნოსის ფუნქციონირებისა და საზოგადოებრივი კვლავწარმოე-

---

<sup>1</sup> ი. ბარათაშვილი., ე. ბარათაშვილი., ვ. დათაშვილი. ეთნომენეჯმენტი, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება,,სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები,“ N – 2 – 3. 2019.

ბის კავშირის შესწავლის აუცილებლობასთან ერთად საკმარისი აღარაა მხოლოდ ეკონომიკურ ფსიქოლოგიის ფარგლებში დარჩენა, ვინაიდან ეროვნული ფსიქოლოგია ეთნოსის მხოლოდ ერთი მხარეა, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ასევე ტრადიციებით, ნეს-ჩვეულებებით, იდეოლოგიით, კულტურით და ა. შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ეთნოსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ეროვნული ფსიქოლოგია, მიზანშეწონილია, ეკონომიკურ ფსიქოლოგიასთან ერთად ისეთი სამეცნიერო მიმართლებების განვითარება, როგორცაა ეთნოეკონომიკა, ეთნომენეჯმენტი, რომელთა ფარგლებშიც გადაიჭრება ისეთი პრობლემები როგორცაა: ეთნიკური და ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების ურთიერთკავშირი; ეკონომიკური ქცევის ეთნიკური თავისებურებების, მათ შორის სხვადასხვა ერისა თუ ხალხის საბაზრო ადაპტაციის სპეციფიკის გამოვლენა და მართვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ **ეთნოეკონომიკა არის მეცნიერება ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის შესახებ რომელსაც სხვადასხვა ეთნოსის ტრადიციები, ნეს-ჩვეულებები, კულტურა, ფსიქოლოგია, იდეოლოგია, რელიგიური შეხედულებები და ა. შ. ახდენენ საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების ხასიათსა და ხარისხზე.** შესაძლებელია უამრავი მაგალითის მოყვანა, როდესაც პირველმიზეზის როლში არაეკონომიკური მოვლენები, არამედ ეთნოსის თავისებურებები წარმოგვიდგება.

**ეთნოეკონომიკა ასევე შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეცნიერება სხვადასხვა ეთნოსის სოციო-ეკონომიკური ქცევის შესახებ.**

სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ეთნოეკონომიკის, როგორც ახალი სამეცნიერო მიმართულების, არსის განსაზღვრის განსხვავებული ვარიანტებიც. უმეტესწილად ეს მიდგომები უკავშირდება ეთნოეკონომიკის, განსაკუთრებით კი ოდესღაც აყვავებულ და მერე XX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა მიზეზით დაკარგულ ხალხური რენვის, როგორც ეროვნული წარმოებების განვითარების შესახებ მიცნი-

ერების, გაგებას. ეს მიდგომები არსობრივად, ამ მეცნიერების განსაზღვრების კერძო მაგალითებს წარმოადგენენ.

უკანასკნელ პერიოდში მენეჯმენტის თეორიაში ინტენსიურად შეისწავლება მენეჯმენტის ეთნიკური, ეროვნული მოდელები ეს პროცესი ხორციელდება „ეთნოეკონომიკად“ წოდებულ, ასევე ინტენსიურად განვითარებად ახალ სამეცნიერო მიმართულების პირობებში. **იმის გათვალისწინებით, რომ მართვის სისტემა მთლიანად ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს „მენეჯმენტის სხვადასხვა განსხვავებული ეროვნული მოდელების შესწავლის პროცესს, მიზანშეწონილია „ეთნომენეჯმენტი“ ვუნოდოთ<sup>1</sup>**

მენეჯმენტის ეთნოეროვნული მოდელებისადმი სერიოზული ინტერესის გაღვივება XX საუკუნის 80-იან წლებში მოხდა, როდესაც იაპონიის ეკონომიკამ გაასწრო საბჭოთა კავშირის ეკონომიკას. იაპონიის ეკონომიკის ომისშემდგომი განვითარება ისეთი თვალშისაცემი იყო, რომ მას „იაპონური სასწაული“ უწოდეს. ზრდის ტემპით მაშინ იაპონიის ეკონომიკა საგრძნობლად უსწრებდა ამერიკისას. 80-იანი წლების ბოლოს სპეციალისტების უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ იმ დროისათვის მენეჯმენტის იაპონური მოდელი, ამერიკულზე არანაკლები იყო, თუ უკეთესი არა, ამას ხელი შეუწყო იაპონური წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის პ. ოუჩის იაპონური მენეჯმენტის მოდელის თავისებურებისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო კვლევებმა. **მენეჯმენტის ნებისმიერი ეთნო-ეროვნული მოდელი ყალიბდება კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური, სოცო-ეკონომიკური, გეოგრაფიული ფაქტორების გავლენით. ტერმინ მენეჯმენტის მოდელში ხშირად ესმით ორგანიზაციის მართვის სისტემის საფუძველში ჩადებული იდეებისა და მიდგომების ერთობლიობა.**

---

<sup>1</sup> ი. ბარათაშვილი., ე. ბარათაშვილი., ვ. დათაშვილი. ეთნომენეჯმენტი, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება,,სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, N – 2 – 3.2019, გვ. 65.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა იაპონური მოდელის ჩამოყალიბებაზე, არის რელიგიური ფაქტორი, კერძოდ კი, კონფუციანიზმისა და ბუდიზმის გავლენა იაპონელების სოციალურ კულტურასა და ფსიქოლოგიაზე. აქ შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ფაქტორი უმთავრესია, არამარტო იაპონურისათვის, არამედ მთლიანად მენეჯმენტის აზიური მოდელისათვის. მენეჯმენტის იაპონური მოდელის მთავარ განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს კოლექტივიზმი, ამერიკული მართვის სისტემის საფუძველში ჩადებული ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ.

სხვადასხვა ეთნოსის ეკონომიკურ ქცევა შეიძლება საგრძობლად განსხვავდებოდეს საბაზრო სტანდარტებისგან, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ეთნოეკონომიკაში რეგიონალური სექტორების განვითარება. ეთნოეკონომიკა სერიოზულ გავლენას აუცილებლად მოახდენს სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიაზე, განსაკუთრებით ისეთზე, როგორცაა მარგინალისტური კონცეფციები, კერძოდ, მაქსიმალური სარგებლიანობის თეორია.

მაქსიმალური სარგებლიანობის თეორიის წარმოშობა მნიშვნელოვნად განაპირობა ეკონომიკური და ფსიქოლოგიური კონცეფციების სინთეზმა. ამ თეორიის ძირითად პოსტულატებში იგულისხმება ადამიანის როგორც ინდივიდის საბაზო ქცევა, გადახრები ადამიანურ ქცევაში ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული, მათ შორის კულტურული თავისებურებებით, განათლების დონით, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებებით და ა. შ., მაგრამ ინდივიდუალურ ქცევით თავისებურებებთან ერთად შეგვიძლია გამოვყოთ მთლიანად ეთნოსებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც მათ საშუალოსაგან განასხვავებენ.

ამასთანავე, კვლევის ჩატარებისას ეთნიკური თავისებურებების გარდა სხვა პირობები და ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ, ის ფაქტორი, რომ როგორც ცალკე აღებული ინდივიდის, ისე მთელი ეთნოსის ქცევაც დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ პირობებზე, ისეთზე, როგორცაა ეკონომიკის კრიზისისა, თუ აღმავლობის ფაზა,

საზოგადოების გენდერულ-ასაკობრივი სტრუქტურა, ამიტომ მარგინალისტური თეორიის ზოგიერთ დასკვნასა და შედეგზე უმნიშვნელოვანესი გავლენა შეიძლება მოახდინოს არამარტო ეთნოფსიქოლოგიურმა, არამედ სოციო-ეკონომიკურმა ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებამ.

### **საკონტროლო კითხვები:**

1. სად და რომელ საუკუნეში ჩამოყალიბდა მენეჯმენტი, მეცნიერული მიდგომის საფუძველზე?
2. რა იყო მენეჯმენტის ფორმირების ისტორიული წინაპირობა?
3. რას ნიშნავს ინგლისური სიტყვა „management“?
4. როგორ შეიძლება დახასიათდეს 21-ე საუკუნის მენეჯმენტი?
5. რას ნიშნავს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „მენეჯმენტი არის წარმოების მართვა“?
6. ჩამოთვალეთ მენეჯმენტის ძირითადი სკოლები.
7. რა დებულებებს ეფუძნება, ადამიანური ურთიერთობების დოქტრინა?
8. ჩამოთვალეთ მართვის მეცნიერული სკოლის (რაოდენობრივი მიდგომა) ფუძემდებლური დებულებები?
9. რამდენ ძირითად მიდგომას ემყარება თანამედროვე მეცნიერული მენეჯმენტის მეთოდოლოგია?
10. რა თვისებებს აქცევს ყურადღებას კროსკულტურული მენეჯმენტი?
11. რით განისაზღვრება ყოველი ეროვნული მოდელის თავისებურებები?
12. რას შეისწავლის კროსკულტურული მენეჯმენტი?
13. განმარტეთ „ეთნოეკონომიკა“.
14. რას სწავლობს ეთნომენეჯმენტი?

## თავი II.

---

### შეღარაბითი მენეჯმენტის ზოგადი თეორიის აქტუალური საკითხები

#### 2.1. შეღარებითი, ანუ კროსკულტურული მენეჯმენტი, როგორც მენეჯმენტის ზოგადი თეორიის მიმართულება

უკანასკნელ წლებში გლობალიზაციის გავლენით თანამედროვე ეკონომიკა იძენს მთელ რიგ განმასხვავებელ, სხვადასხვა კულტურებისათვის დამახასიათებელ თვისებას, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკურ პროცესზე. სხვადასხვა საქმიანი კულტურის სულ უფრო ძლიერ დაახლოვებასა და ურთიერთ შეღწევას, გლობალიზაციას, ერთობლივი სანარმოების რაოდენობის ზრდას და ურთიერთგავლენების გაძლიერებას, შედეგად მოაქვს სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლების ურთიერთქმედება, ამდენად, მართვის სფეროში გამოცდილების მიმოცვლა თანამედროვე ბიზნესის განუყოფილი ნაწილი ხდება.

საზღვარგარეთ შეღარებითი მენეჯმენტის პრობლემატიკა უკვე დიდი ხანია შეისწავლება, ხოლო ეკონომიკურად ყველაზე მეტად განვითარებული ქვეყნები როგორც იაპონია და აშშ-ია აფასებდნენ სხვა ქვეყნების მართვის მოდელებსა და იყენებდნენ ცალკეულ მიდგომებს ჯერ კიდევ წინა საუკუნის ოციანი წლებიდან. 60-იანი წლების ბოლოდან მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყანაში მენეჯმენტის პრინციპების სისტემურ და შეღარებით ანალიზს დიდი ყურადღება მიაქციეს, ხოლო აღნიშნული პრობლემატიკისადმი „ინტერესის აფეთქება“ 90-იან წლებზე მოდის, როდესაც მსოფლიოს განვითარების ტენდეციებმა მისი აქტუალობა დაადასტურა.

საქართველოში შეღარებითი მენეჯმენტი მხოლოდ ახლა იძენს პოპულარობას. შეიქმნა მისი შესწავლისათვის მთელი რიგი ობიექტური წინამძღვარი, ჯერ კიდევ 2003 წელს ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანი ეთიკის კომი-

ტეტმა ევროპის პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრთან ერთად „ქართული საქმიანი კულტურის“ ეროვნული პროგრამის ფარგლებში, დაიწყო ექსპრესკვლევა, თემაზე „ქართული ბიზნესის საქმიანი კულტურის თვისებურებანი: სტერეოტიპები და განვითარების ძირითადი ტენდეციები“. კვლევის მიზნებს შორისაა:

- ქართული ბიზნესის საქმიანი კულტურის სტერეოტიპებისა და ტენდეციების შესწავლა;
- ბიზნესის ფასეული ორიენტაციების ტენდენციების გამოვლენა და ფორმირება;
- ქართლი საშუალო რგოლის ბიზნესმენებისა და მენეჯერების მზაობა მართვის ტექნოლოგიების დასაწერად, რომლებიც დაფუძნებულია უცხოურ და ქართულ ეთიკურ სტანდარტებზე;

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გადაწყვეტილება მიიღო, შექმნილიყო პროგრამა ქართული საქმიანი კულტურის თავისებურებებისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის შესასწავლად, რომლის მიზანიც სამამულო ბიზნესის პრობლემებისა და განვითარების პერსპექტივების გამოვლენაა. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს შედარებითი მენეჯმენტის შესწავლის განვითარებას საქართველოში, ხოლო მათი გამოყენების აუცილებლობა თანდათან გაძლიერდება, რაც უფრო მეტად ჩაერთვება საქართველო საერთაშორისო გარემოში.

შედარებით მენეჯმენტის შესწავლის აუცილებლობას, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ აჩქარებს მართვაში ადამიანის ფაქტორის გაძლიერების ტენდენცია. მართვის უამრავი ფაქტორიდან, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბიზნესზე, ნაწილი ინტერნაციონალურია, მაგრამ მათ შორის უმთავრესსა და ყველაზე რთულ ფაქტორს წარმოადგენენ ადამიანები, რომელთა შორის განსხვავებები ძალზე დიდია კულტურულ გარემოზე დამოკიდებულების გამო. თანამედროვე გარემოში სწორედ ადამიანებია ორგანიზაციის მთავარი სიმდიდრე, ამიტომაც ადამიანების მართვა ყველაზე რთული საქმეა. ეროვნული ხასიათისა და ქცევის თავისებურებების,

ტრადიციების ერთგულების გამო, ის რაც წარმატებით დაინერგა იაპონიაში, შეიძლება ძნელად აღსაქმელი იყოს გერმანიაში, ან საფრანგეთში, ან პირიქით. ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა ითვალისწინებს მუშაკების კულტურული სპეციფიკისა და მენტალიტეტის ცოდნას.

საქმიანი კულტურების თავისებურებების საკითხის კვლევით მრავალი მკვლევარი იყო დაკავებული, რის შედეგადაც წარმოიშვა ეთნომეტრია-ეთნოსოციალური კვლევების ახალი მიმართულება, რომელიც მოიცავს განსხვავებული ეთიკური ჯგუფების მენტალური მახასიათებლების ანალიზს, გაზომვის ფორმალიზებული, მათ შორის მათემატიკური მეთოდების გამოყენებით. ამ მიმართულების მკვლევრები ცდილობენ მახასიათებლების ხარისხობრივი მაჩვენებლების რაოდენობრივში გადაყვანას, მიღებული ინდექსების შედარებასა და ასეთი შედარებების შედეგების ინტერპრეტაციას, ანუ ცდილობენ ეროვნული კულტურების მათემატიკურ მოდელირებას. ეთნომეტრიის ფარგლებში მიმდინარეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მიმართ სხვადასხვა ერების მიდრეკილების გაზომვის მეთოდის დამუშავება, რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს მართვის პროცესზე. ამგვარი სახის კვლევების დამფუძნებლად ითვლებიან დასავლეთის ისეთი სახელმძღვანელო მეცნიერები, როგორც არიან გერტ ჰოფსტედე, ფონს ტრომპერნაარსი, ჰარი ტრიანსიდი, რობერტ ჰოუზი და სხვები.

საქმიანი კულტურების შესწავლის სფეროში თავდაპირველი და მომდევნო კვლევებს შორის განსხვავებების შედეგია ის, რომ ამერიკელები ინდივიდუალისტური ერია, ხოლო იაპონელები და ჩინელები კოლექტივისტური, ეს იცოდნენ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, თუმცა მაშინ ეს ცოდნა ეფუძნებოდა სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ხარისხობრივ შეფასებებს. ახლა მასობრივი კვლევების მონაცემების დამუშავების საფუძველზე შესაძლებელია გამოითვალოს გარკვეული ციფრული ინდექსები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება რაოდენობრივად განისაზღვროს, თუ რამდენად დიდია ამ ნიშნით განსხვავება ამერიკელებსა და იაპონელებს შორის,



იაპონელებსა და ქართველებს შორის და ა. შ. ამრიგად, ეთნომენტალობის შესწავლის ამჟამინდელი ეტაპის თავისებურებად იქცა ეთნიკური, თუ ეროვნული თავისებურებების მათემატიკური სკალირება და გაანგარიშება, რამაც განაპირობა ეთნომეტრიის წარმოშობა.

სხვადასხვა საქმიანი კულტურების შედარებების ჩატარებისას, შედარებითი მენეჯმენტის ფარგლებში ჩნდება მთელი რიგი პრობლემები.

მთავარი პრობლემა კრიტერიუმების უნიფიკაციაა, რომელთა საშუალებითაც აღწერენ ეროვნულ თავისებურებებს. სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის განსხვავებებზე მეცნიერები უკვე საუკუნენახევარია მსჯელობენ. ბევრი მათგანი საყოველთაოდ ცნობილი კრიტერიუმი გახდა: მაგალითად ვინ არ იცის, რომ „მკაცრი გერმანული გენი“ დაკავშირებულია სიზუსტესა და დისციპლინიზებულიობასთან, ხოლო „მოსწრებული გალური აზრი“ – შემოქმედებით წარმოსახვასთან. ამრიგად, შესაძლებელია ეროვნული ხასიათის სრული პორტრეტის შექმნა, მაგრამ, თუ ეროვნული ხასიათების კლასიფიკაციას გავიგებთ როგორც სტერეოტიპების სისტემატიზაციას, მაშინ ჯერ ერთი ყველა მახასიათებელი აღმოჩნდება „სხვადასხვა გვარი“, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეული ეროვნული კულტურის მონაცემები დამოკიდებული იქნება საკუთრივ მკვლევარის ეროვნულ კუთვლინებაზე.

ამრიგად, იმისათვის, რომ შეიქმნას ეროვნული კულტურების მეცნიერული, „პერიოდული სისტემა“, უპირველესად, ისინი უნდა დახასიათდნენ უნივერსალური კრიტერიუმებით, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროა ამის გაკეთება არა მხოლოდ ხარისხობრივი შეფასებებით, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებითაც. ამასთან დაკავშირებით განვითარდა ეთნომეტრია – „მათემატიკური ეთნომეტრია“.

ეთნომეტრიის მიმართულების სანყის ფუძემდებლად მიიჩნევენ ჰოლადიელ – მეცნიერს – მკვლევარს გერტ ჰოფსტედეს. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, როდესაც ის იყო ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო კომპანიის „IBM“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, მან შეძლო გრანდიოზუ-

ლი კროსკულტურული პროექტის ორგანიზება. ჰოფსტედეს მიერ შედგენილი ანკეტიტ ტესტირებულ იქნა “IBM”-ის ქვე-გაყოფილებების ასიათასზე მეტი თანამშრომელი. ამის შედეგად მეცნიერთა ხელში აღმოჩნდა ფასდაუდებელი მონაცემები, რომელიც სხვადასხვა ეროვნული კულტურის ერთიანი სტანდარტებით ობიექტურად დახასიათების საშუალებას იძლევა.

შედარებითი, ანუ კროსკულტურული მენეჯმენტი, მენეჯმენტის ზოგადი თეორიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომლის შესწავლის საგანია სხვადასხვა საქმიანი კულტურის თავისებურებები და მართვის პროცესზე მისი გავლენა. ამ მიმართულების ფარგლებში ფასდება ეროვნულ-კულტურული ფაქტორის გავლენა მენეჯმენტის სისტემაზე, ყალიბდება წარმოდგენები და შეისწავლება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების ურთიერთქმედების კანონზომიერები, ბიზნესის განხორციელების პროცესში.<sup>1</sup>

პრაქტიკულ ასპექტში ბიზნესის სხვადასხვა ფორმის განხორციელების ფარგლებში, შედარებითი მენეჯმენტი ურთიერთობათა კომპლექსია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის მართვის ორგანიზაციასა და საქმიან კულტურებს, ძირითადი მიზანი კი კულტურათა შორის გამოცდილების გაცვლის სრულყოფაა მართვის სფეროსა და საქმიან კომუნიკაციებში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბიზნესზე გლობალიზაციის გავლენა სულ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, რაც მენეჯმენტის პარადიგმის შეცვლას იწვევს. ერთი ქვეყნიდან მეორეში ტექნოლოგიების გატანისა და ერთობლივი ბიზნესის ორგანიზებისას, ბევრ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა, რომელთა გათვალისწინება მართვის პროცესში აუცილებელია და ის საკმაოდ ღრმად შეინავლება საერთაშორისო მენეჯმენტის ფარგლებში. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საერთაშორისო მენეჯმენტი ძალზე მჭიდროდაა

---

<sup>1</sup> ე. ბარათაშვილი., ჯ. ზარანდია., მ. მარიდაშვილი., მ. ჩეჩელაშვილი., ი. მახარაშვილი., თ. ლამბაშიძე. შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია, თბ., 2016, გვ 15.

დაკავშირებული შედარებითი მენეჯმენტის გაგებასთან, თუმცა შედარებითი მენეჯმენტი განსხვავდება იმით, რომ კულტურული ფაქტორების გავლენას უფრო სიღრმისეულად სწავლობს.

საერთაშორისო მენეჯმენტის სფეროში მკვლევრებს შორის ტრადიციულად არსებობს სხვადასხვა შეხედულება, საერთაშორისო ბიზნესზე კულტურული ფაქტორის გავლენის შესახებ. პირობითად შესაძლებელია შემდეგი ჯგუფების გამოყოფა:

- უნივერსალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კულტურული ფაქტორის მნიშვნელობა გადაჭარბებულია, რადგანაც ადამიანის ფსიქოლოგია პრაქტიკულად უნივერსალურია, არ არის საჭირო კულტურაზე მნიშვნელოვანი გათვლა. ზოგიერთი ანალიტიკოსი, ასევე მოუწოდებს, არ შეაფასონ გადაჭარბებით, ბიზნესში ეროვნული კულტურისა და ტრადიციების გავლენა, განსაკუთრებით ისეთი მოვლენის ფონზე, როგორც გლობალიზაცია;
- ეკონომიკურ-კლასტერული მიდგომის მომხრეები გამოდიან იქიდან, რომ ქვეყნები და ერები, უპირველესად, განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების დონით. შედარებითი ეკონომიკური განვითარება (ანუ ქვეყნების შედარება ეკონომიკური განვითარების დონით) წარმოადგენს ქვეყნების კლასტერებად დაყოფის ძირითად ნიშანსა და კრიტერიუმს, ხოლო კულტურული ფაქტორი მხედველობაში უმნიშვნელოდ მიიღება;
- კულტურაზე ორიენტირებული მიდგომის მომხრეები, რომელიც დღეისათვის ყველაზე პოპულარულია, იცავენ სწორედ კულტურის ფენომენის მნიშვნელოვან როლს. ისინი ვარაუდობენ, რომ კულტურული ფაქტორის შესწავლა და შესაბამისი შედეგების პრაქტიკული გამოყენება აამაღლებს საერთაშორისო მენეჯმენტის ეფექტიანობას.

ამდენად, შედარებით მენეჯმენტის ფარგლებში მიმდინარეობს:

1. სხვადასხვა ქვეყნისა და ქვეყანათა ჯგუფების მმართველობითი გამოცდილების შესწავლა, მენეჯმენტის მოდელების თავისებურებების გამოვლენით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულად განვითარებული ქვეყნები. შედეგად:
  - ვლინდება მართვის სისტემის ყველაზე აშკარა ნიშნები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მოდელის წარმატებულობის შემთხვევაში, ეს ნიშნები შეიძლება გამოიყენოს სხვა ქვეყნებშიც;
  - ფასდება ამა თუ იმ მოდელის სპეციფიკურობა, სხვა ქვეყნებში მისი შესაძლო გამოყენების თვალსაზრისით.
2. საკუთარი მართველობითი გამოცდილების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა, ასევე ამ გამოცდილებაზე გავლენის შესაძლებლობები.
3. სხვადასხვა ქვეყნის მენეჯმენტის მოდელების განვითარების ტენდენციების შესწავლა, მართვის სისტემებზე გლობალიზაციის გავლენა და მოვლენათა შემდგომი განვითარების პროგნოზირება.
4. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობის რეკომენდაციების შემუშავება, მართვის გამოცდილების ურთიერთგამდიდრების პროცესების ორგანიზება.

ნებისმიერი ქვეყნის საქმიანი კულტურის თავისებურებები ვრცელდება პროცესების სხვადასხვა ასპექტისა და ფირმის მართვის მექანიზმებზე, როგორცაა სტრატეგიული დაგეგმვა, გადანყვეტილებების მიღების პრაქტიკა, საკადრო პოლიტიკა, ფირმის შრომის ანაზღაურების შიგა სისტემის შემუშავება და ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია, მოტივაციის, კომუნიკაციის, ლიდერობის, პრინციპები, პარტნიორობთან ურთიერთობის როლები და სხვ.

თანამედროვე მენეჯერისათვის, რომელიც ფუნქციონირებს გლობალურ ეკონომიკურ ქსელში, მთავარი ამოცანა თა-

ნამედროვე ტექნოლოგიების ეროვნულ თავისებურებებთან შეთავსება. მარკუს რეიჰლენი სტატიაში „ეროვნული კულტურის გავლენა მართვის სტილზე“ ჟურნალში „European Business Forum“ წერს: „ბიზნესის სკოლების მთავარი ამოცანა გახდება არა მხოლოდ სტანდარტული მართვის მექანიზმების სწავლებაში წინსვლა, არამედ მათი შესვლა ეროვნულ თავისებურებათა კონტექსტში, მართვის ეროვნული მოდელის სპეციფიკის გაგების გათვალისწინებით“.

თუ მხედველობაში მივიღებთ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის მიმართლებით განვითარების ტენდენციებს, მაშინ არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ გამონათქვამს, ასევე მენეჯმენტის პროფესიული საქმიანობის გაფართოებას, ლოკალურიდან საერთაშორისომდე. შედეგად ჩნდება იმის გარკვევის აუცილებლობა, თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ სოციალურ-ფსიქოლოგიური, კულტურული, ეთნიკური ფაქტორები ცალკეული ქვეყნის მართვის თავისებურებებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებაზე.

სხვა კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებისას, მენეჯერებმა უნდა იცოდნენ, თუ რამდენად ისწრაფიან ეს უკანასკნელნი თავიანთი ვალდებულებების შესრულებისაკენ, თუ რომელი არგუმენტი მოქმედებს მათზე უფრო ძლიერად და რა უფრო სუსტად, როგორ უნდა იქნას მოპოვებული მათი ნდობა და ა. შ. ამ კითხვებზე პასუხების მოძებნისა და ამით კულტურათაშორისი ურთერთობების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ არის მონოდებული, სწორედ შედარებითი მენეჯმენტი. დღეისათვის მთელს მსოფლიოში აღინიშნება სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების ნამდვილი ბუმი, რომლებიც ეძღვნება კაცობრიობის კულტურული მრავალფეროვნების შესწავლას. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული აბსტრაქტული ფილოსოფიური ნაზრევები სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა შორის განსხვავებების შესახებ, მასობრივად მიმდინარე კვლევებში, სტერეოტიპებისა და ფასეულობების შესახებ, პოულობენ დადასტურებას.

შეიძლება გამოვყოთ შედარებითი მენეჯმენტის ორი ასპექტი: თეორიული და გამოყენებითი. თეორიული მენეჯმენ-

ტი, ძირითად მიზნად განიხილავს კულტურული განათლებულობისა და სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი კულტურების თავისებურებებში გათვითცნობიერებას. არსებობს უამრავი პუბლიკაცია, რომლებიც შეიცავენ ამა თუ იმ საქმიანი კულტურის თავისებურებების დანვრილებით აღწერას, რომლებიც დაფუძნებულია მრავალწლიან დაკვირვებებზე.

გამოყენებითი, ანუ პრაქტიკული ასპექტი გულისხმობს სხვადასხვა ქვეყანას შორის გამოცდილებით ურთიერთგამდიდრების ორგანიზებას, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას, ერთობლივი ბიზნესის განსახორციელებლად, თანამშრომლობის ორგანიზებას და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მენეჯმენტის ყველაზე ეფექტიან მოდელებს, სადაც ასეთი ეფექტიანობის ძირითადი კრიტერიუმი ამა თუ იმ ეკონომიკის წარმატებულობაა. რაშიც აისახება, ცალკეული ბიზნესერთეულების ეფექტიანობის საერთო შედეგი. შედარებითი მენეჯმენტის პრაქტიკული ასპექტი გულისხმობს მენეჯმენტის ძირითადი ნიშნების გამოვლენას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამა თუ იმ მოდელის ეფექტიანობას, ფასდება ამ თავისებურებების სპეციფიკურობა, სხვა ეკონომიკურ სისტემებში მათი შესაძლო გამოყენების მიზნით.

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შედარებით მენეჯმენტის გამოყენებით ხასიათს აქვს. იგი მოწოდებულია მნიშვნელოვნად აამაღლოს მართვისა და საქმიანობის ეფექტიანობა.

ეკონომიკასა და მართვაში თანამედროვე ტენდენციების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შედარებითი მენეჯმენტი განვითარდება შემდეგი მიმართულებებით:

1. მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს შემადგენლობაში ინკორპორაციის (ჩარიცხვა, მიღება რაიმე კავშირში, შემადგენლობაში საზოგადოებაში), შესაბამისად, გაიზრდება შედარებითი მენეჯმენტის აქტიულობა რიგ ობიექტურ ფაქტორებთან დაკავშირებით: ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობის ზრდა, გასვლა საერთაშორისო ბაზარზე, საქართველოში უც-

ხოური კომპანიების რაოდენობის მომრავლება და ა. შ.;

2. შედარებით მენეჯმენტის აქცენტი შესამჩნევად გადაინაცვლებს მისი თეორიული, კვლევითი ასპექტებიდან (როგორცაა, სხვადასხვა ქვეყანაში მართვის სისტემების ისტორიისა და თავისებურებების შესწავლა) პრაქტიკულისაკენ (უცხოური გამოცდილების ოპტიმალური პროცედურების დანერგვა, პერსონალის მულტინაციონალურ კომპანიებში მუშაობის ორგანიზაცია და ა. შ.);
3. სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი კულტურების შედარების უამრავი არსებული სკალებიდან, შემუშავდება ერთიანი სკალა, რომლითაც შესაძლებელი გახდება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება, სისტემური შედარებითი ანალიზის ჩატარება;
4. თანამედროვე ტენდენციებთან დაკავშირებით მუდმივად გაიზრდება ეროვნული სანარმოების თანამშრომლობა, საზღვარგარეთულ ინსტიტუტებთან, ასევე უცხოური ტექნოლოგიების გამოყენება ყოველ დღიურ მართვის პრაქტიკაში, რის გამოც გაიზრდება შედარებითი მენეჯმენტის მნიშვნელობა;
5. საქართველოში ჩატარდება ეროვნული საქმიანი კულტურის კვლევა, საიდანაც გამოვლენილი იქნება, ბიზნესის მართვის ძირითადი თავისებურებები, მათი ტენდენციები და გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე (რომლის მსგავსიც დაწყებულია სავაჭრო პალატის მიერ);

ეროვნული თავისებურებებისა და უცხოური ტექნოლოგიების ბაზაზე ჩამოყალიბდება მართვის ახალი სტანდარტები.

ამრიგად:

- შედარებითი მენეჯმენტი არის ახალი პროგრესული მიმართულება რომლის წარმოშობაც განპირობებულია გლობალიზაციით, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციით

და მართვაში ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებით;

- ყველაზე დიდ ინტერესს ინვესს შედარებითი მენეჯმენტის გამოყენებითი ასპექტი, რომელიც გულისხმობს ისეთი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას, რომლებიც მოწოდებულია მართვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მენეჯმენტის საერთაშორისო შედარებებში ძირითადად კულტურული ტიპი დომინირებს ამის ახსნა ძალზე მარტივია: შედრებით მენეჯმენტი ხშირად აღიქმება, მხოლოდ როგორც სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მმართველობითი ტრადიციების შეპირისპირება. ვინაიდან კულტურათა შორის არსებობს აშკარა სხვაობები, ბუნებრივად აღიქმება ის ფაქტიც, რომ ეს ასახვას პოვებს ნებისმიერ ეროვნულ ფენომენში და მათ შორის მენეჯმენტშიც. ამასთან შედარებითი მენეჯმენტი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მართვისა ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციების განხორციელებაზე მხოლოდ კულტურული ფენომენის ზეგავლენის შესწავლით, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ინსტიტუციონალურ განსხვავებებსაც.

ჩ. ჰემპდენ-ტერნერმა და ფ. ტრომპენაარსმა შემოგვთავაზეს ეროვნული საქმიანი კულტურების ანალიზისა და ინტერპრეტაციის შვიდი პარამეტრი. გარდა ამისა, მათ შეისწავლეს ეროვნული და შიგა საფირმო მართველობითი კულტურების ურთიერთქმედებისა და ურთიერთზეგავლენის პრობლემები, ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. მათი დასკვნა მდგომარეობდა შემდეგში: თუ კომპანიაში ორგანიზაციულ კულტურასთან, ეროვნული საქმიანი კულტურის ურთიერთქმედების პროცესში ეს უკანასკნელი დომინირებს, მაშინ კომპანიის მენეჯმენტის რამდენიმე მოდელის არსებობების შესაძლებლობა იქმნება.

ფრანგმა მკვლევარმა ა. ლორანმა 1970-1980-იან წლებში – ეროვნული მენეჯმენტის თავისებურებები გამოიკვლია. ლორანის მიერ ჩატარებული კვლევის ყველაზე პრინციპული შედეგია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მიუხედავად ზეგავლენისა, რომელსაც ახდენს მენეჯერებზე ტრანსნაციონალურ



კომპანიაში მიღებული ქცევის ნორმები, კულტურული ქცევების დონეზე ისინი ეყრდნობიან საკუთარ ეროვნულ ტრადიციებსა და საკუთარ წარმოდგენებს.

1990-იან წლებში განხორციელდა აშშ-ის ერთ-ერთი ცნობილი, უორტონის ბიზნეს სკოლის კვლევითი პროგრამა (ჟურნალ Fortune-მა აშშ-ის საუკეთესო ბიზნეს-სკოლების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც პირველი ადგილი პენსილვანიის უნივერსიტეტის სკოლამ – უორტონმა დაიკავა. ამ სკოლაში ბიზნესის მართვის სწავლისთვის, 90 ათასი დოლარის გადახდაა საჭირო, ხოლო უორტონის კურსდამთავრებულის საშუალო ხელფასი წელიწადში 100 ათას დოლარს, ბონუსების ჩათვლით კი – 140 ათას დოლარს აღემატება.), რომელიც მიეძღვნა გლობალური ლიდერობისა და ორგანიზაციული ქცევების ეფექტიანობის შესწავლას. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ემპირიული მონაცემების საფუძველზე ფირმებში დასაქმებულებზე ეროვნული კულტურის ზეგავლენის თეორიის დასაბუთება. პროექტის ფარგლებში გამოიკითხა 800-ზე მეტი ორგანიზაციის, ჩვიდმეტი ათასი საშუალო რგოლისა და 825 ტოპმენეჯერი, რომელთაც შესთავაზეს ოთხი ანკეტის შევსება. კვლევა საკმაოდ ფართო მასშტაბიანი იყო და მოიცავდა 60 ქვეყანას, რომლებიც მსოფლიოში არსებულ ყველა კულტურას წარმოადგენდნენ, მონვეულ იქნა 170 სპეციალისტი ამ ქვეყნებიდან. ანკეტირებისა და ინტერვიუს გარდა, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა მაჩვენებლების გაზომვა და ამ მიმართულებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი.

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ჰოფსტედეს მოდელის მოდიფიცირება და მისი 5 ფაქტორის გარდა (ძალაუფლებრივი დისტანცია განუსაზღვრელობითი აცილება, მამაკაცურობისა და ქალურობის თანაფარდობა, ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის თანაფარდობა; მოკლე და გრძელვადიანი ორიენტაცია, ანუ კონფუციანური დინამიზმი), ეროვნულ კულტურათა შორის არსებულ განსხვავე-

ბებზე მოქმედი სხვა ფაქტორებისა და პარამეტრების დამატება.

გ. რედინგი თვლის, რომ შედარებითი მენეჯმენტის საკითხების თანამედროვე კვლევები შეიძლება განლაგდეს და პოზიციონირდეს ორ კონტინიუმში (მოვლენების, პროცესების უწყვეტობა, ერთობლიობა):

1. აღწერითი – განმარტებითი (ანუ ეთნოცენტრულ-პოზიტივისტური) კონტინუმი, რომელზეც განლაგდება კვლევათა მასივი, რომლებშიც, ერთი მხრივ, აღინერება და დარეგისტრირდება საქმიან, მმართველობით პრაქტიკაში არსებული კულტურული და ინსტიტუციური განსხვავებების ფაქტები, მეორე მხრივ კი ამ ფაქტების განმარტებები, მათი ახსნები;

2. იდეოგრაფიულ-უნივერსალურ კონტინუუმზე შედარებითი მენეჯმენტის კვლევა მიმდინარეობს დიაპაზონში იდეოგრაფიულიდან (სადაც განზოგადება ხდება ცალკეული ორგანიზაციისა, თუ ქვეყნის დონეზე) უნივერსალურამდე (სადაც გამოიმუშავდება მეთოდოლოგიური დებულებები და კრიტერიუმები ეროვნული მენეჯმენტის მოდელების შესადარებლად).

ამა თუ იმ კონტინუუმზე, პოზიციების მიხედვით განსხვავდება შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიებიც.

შედარებით მენეჯმენტში ერთმანეთს უდარდება და უპირისპირდება მენეჯმენტის სხვადასხვა ეროვნული მოდელი. შედარებითი მეთოდი გამოიყენება იმ კვლევებშიც კი, რომელიც ეძღვნება ერთი ქვეყნის მენეჯმენტის მოდელის შესწავლას, ვინაიდან გლობალიზაციის პირობებში ასეთი კვლევა მოითხოვს ქვეყნის მოდელის, მსოფლიო კონტექსტში გადაყვანას.

მკვლევართა ინტერესი მენეჯმენტის ეროვნული მოდელებისა და მათი შედარებებისადმი, მრავალი მიზეზით აიხსნება. ერთ შემთხვევაში ეს არის ეკონომიკური საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია, მეორეში, კონკრეტული ქვეყნის მიერ მიღწეული ეკონომიკური წარმატებებით, ან მასში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებით დაინტერესება.

განვიხილოთ შედარებით მენეჯმენტში „საერთაშორისო“ და „კროს-კულტურულ“ მიდგომებს შორის არსებული განსხვავებები. საერთაშორისო მიდგომა მოიცავს მენეჯმენტის მოდელების შედარებას, შეპირისპირებას ქვეყანათა შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავების გამოსავლენად. კროსკულტურული მიდგომა ასევე ითვალისწინებს შედარებას, მაგრამ ისინი მიმართულია მმართველობით პრაქტიკაში სოციო-კულტურული კონტექსტის ინდენტიფიკაციისაკენ. ის, რომ კულტურა განსაკუთრებულ როლს თამაშობს მენეჯმენტში კამათს არ იწვევს. თეორიული და ემპირიული ნაშრომები არის მხოლოდ მცდელობა, გამოავლინოს კულტურული განსხვავებების მენეჯმენტზე ზეგავლენის მასშტაბები და ფორმები.

კროსკულტურული მენეჯმენტი შეისწავლის იმ ადამიანთა ქცევას, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა კულტურას, მაგრამ მუშაობს ერთი ორგანიზაციის სივრცესში. ამ დისციპლინისა და კვლევის სფეროს აქტუალურობა განპირობებულია, იმიტომ რომ სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენელთა ურთერთქმედება ხდება ტრანსნაციონალური ფირმების, საერთაშორისო პროექტების, ქვეყანათაშორისი სამუშაო ჯგუფების, სტრატეგიული ალიანსების, ორგანიზაციებისა და მართვის ფორმების გამრავალფეროვნების ფონზე.

კროსკულტურული მენეჯმენტი გულისხმობს კულტურული განსხვავებების შესწავლას, როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის დონეზე, როგორც ეროვნული საზღვრების მიღმა, ისე მის შიგნით. იგი მოიცავს იმ ადამიანთა ქცევის შედარებით აღწერას, რომელიც სხვადასხვა კულტურას მიეკუთვნება და მუშაობს ერთ ორგანიზაციაში, ანდა მუშაობს ორ და მეტ სხვა ორგანიზაციაში. ამდენად, კროს-კულტურული მენეჯმენტი აფართოებს ორგანიზაციული ქცევის სფეროს მულტიკულტურული განზომილების მეშვეობით.

კროსკულტურული მენეჯმენტი ავსებს შედარებით მენეჯმენტს, რომელიც ფოკუსირდება ეროვნული მენეჯმენტის მოდელებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე და ამატებს მას კროსკულტურული ურთიერთობების განზომი-

ლებას, ამდენად კროსკულტურული მენეჯმენტი განიხილება, როგორც შედარებითი მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი, რომლის ჩარჩოებში შეისწავლება კულტურული განსხვავებების ზემოქმედება კომპანიებში, ბიზნესის წარმართვის ეფექტიანობაზე. იგი სწავლობს მმართველობით ურთიერთობებს მულტიკულტურულ გარემოში.

შედარებით მენეჯმენტი ინტერდისციპლინარულია. იგი მოიცავს ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, კულტურულილოგიისა და სხვა მეცნიერებების ელემენტებს.

## **1.2. კულტურების სტერეოტიპიზაცია გლობალიზაციის პირობებში**

გლობალიზაციის პირობებში, როგორც შედარებითი მენეჯმენტი, ისე ეთნომენეჯმენტი გულისხმობს ბიზნესის წარმოების ეროვნული თავისებურებების შესწავლას. საქმიანი კულტურა არის ცენტრალური დებულება შესასწავლი საგნის ფარგლებში და წარმოადგენს პრინციპების, ტრადიციებისა და ქცევითი სტერეოტიპების კომპლექს ბიზნესის წარმართვის პროცესში.

ჩვეულებრივ, კულტურად განიხილავენ ქცევის მანერებისა და ადათების ერთობლიობას. სოციოლოგები განმარტავენ მას, როგორც „ადამიანური ცხოველმყოფელობის ორგანიზაციისა და განვითარების სპეციფიკურ საშუალებას, რომელიც წარმოდგენილია მატერიალური და სულიერი შრომის პროდუქტებში, სოციალური ნორმების სისტემაში. სულიერ ფასეულობებში, ადამიანის ბუნებასთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულების ერთიანობაში“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ე. ბარათაშვილი., ჯ. ზარანდია, მ. მარიდაშვილი., მ. ჩეჩელაშვილი., ი. მახარაშვილი., თ. ლამბაშიძე. შედარებით მენეჯმენტი და კლასტიკიზაცია“, თბ., 2016, გვ. 29.

ეს არის სისტემების ნორმების, ცოდნის, სიმბოლოების კომპლექსი, რომლებიც არეგულირებენ ამა თუ იმ სოციალურ გარემოში ცხოველმყოფელობას.

კულტურის ფორმირება ხდება ცოდნის, რწმენის, ხელოვნების, მორალის, კანონების, ადათ-წესების, ნებისმიერი სხვა უნარებისა და ჩვევების ზეგავლენით, რომლებიც შექმნილია საზოგადოების მიერ საკუთარი განვითარების პროცესში. კულტურის გავლენით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს უყალიბდებათ ღირებულებათა საკუთარი სისტემა.

თავის მხრივ, მენეჯმენტისათვის ღირებულებათა სისტემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ცალკეული მუშაკებისა და კოლექტივების მართვა ასე თუ ისე ეყრდნობა ღირებულებათა სისტემაზე ობიექტურ წარმოდგენას, რომლებიც საფუძვლად უდევს ქცევას, ხოლო მართვის ბევრი ასპექტი, მაგალითად, მოტივაცია საერთოდ მთლიანადაა აგებული ფასეულობათა ბაზისზე.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტურის გავლენის შესწავლა საზოგადოების ეკონომიკის სფეროზე, საქმიან გარემოზე, მოგების მიღებისა და განაწილების პროცესზე.

ცნობილია, რომ ეროვნული კულტურების ადრინდელი კვლევები აგებული იყო მოცემული საზოგადოების წარმომადგენლების სპეციფიკური ქცევის ნიმუშების გამოვლენაზე სხვადასხვა სიტუაციაში. შედარებით და ეთნომენეჯმენტის ფარგლებში კულტურების ურთიერთობების შესწავლის მიზანი კი არის ურთიერთ კავშირის განსაზღვრა ეროვნული კულტურის განზომილებასა და საქმიანი ორგანიზაციების მართვას შორის.

კულტურას აქვს მრავალდონიანი სტრუქტურა, რაც ასახავს მისი ფუნქციების მრავალფეროვნებას ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში.

კულტურის ძირითადი ფუნქციებია:

- საინფორმაციო (თაობიდან თაობაზე, ეპოქიდან ეპოქაზე სოციალური გამოცდილების გადაცემის საშუალება);

- შემეცნებითი (სამყარის შესახებ ცოდნის დაგროვებისა და შესაბამისად მისი გაგებისა და შეთვისების საშუალებას იძლევა. შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოება ინტელექტუალურია იმდენად, რამდენადაც იყენებს ის მთელი მსოფლიოს გამოცდილებას, რის მაგალითს წარმოადგენს იაპონია, რომელიც აჩვენებს დინამიზს ეკონომიკის ყველა სფეროში);
- ნორმატიული (დაკავშირებულია ადამიანებისა და საზოგადოების ცხოველმყოფელობის სხვადასხვა მხარის განსაზღვრასთან, ყოფის ნებისმიერ სფეროში: შრომა, ყოფა-ცხოვრება, პიროვნებათაშორისი კავშირები, ურთიერთობების რეგულირება და ა. შ. კულტურა ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებებზე, აკონტროლებს ქცევასა და ქმედებებს. აქვე შეიძლება აღინიშნოს მორალი და უფლებები);
- მანიშნებელი (ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა კულტურის მთელს სისტემაში. ამ ფუნქციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ენას, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა);
- ღირებულებითი (ადამიანს უყალიბდება ღირებულებებისა და ორიენტაციების გარკვეული სისტემა).

პირველ რიგში მეცნიერები კულტურას ყოფენ მისი მატარებლის მიხედვით: შეიძლება გამოვყოთ მსოფლიო და ეროვნული კულტურა. ეროვნული კულტურა ასახავს კონკრეტული საზოგადოების თავისებურებებს სულიერ (ენა, რელიგია, მუსიკა და ა. შ.) და მატერიალურ (ეკონომიკური წყობის თავისებურებები, მეურნეობის წარმართვა, შრომისა და წარმოების თავისებურებები) სფეროში.

სხვადასხვა კულტურის ურთერთქმედების პროცესში ხშირად წარმოიქმნება სტერეოტიპიზაციის საშიშროება, რაც ხელს უშლის კონსტრუქციულ ურთიერთობებს. ზოგჯერ გარკვეული ტიპის სტერეოტიპები, ე. წ. იარლიყებს, რომლებსაც

ჩვენ ვანიჭებთ სხვა კულტურებისა და ერების წარმომადგენლებს, ინვესს ინფორმაციის არა ობიექტურ აღქმას, ანალიზს და ვიქცევით „ნაციონალური შტამპებით“. ეროვნული სტერეოტიპიზაცია განპირობებულია გარკვეული ფსიქოლოგიური, პოლიტიკური მოვლენებისა და სხვა პროცესების ზეგავლენით. ეთნომენეჯმენტის ერთ-ერთი ამოცანა მართვის სფეროში სტერეოტიპების დამსხვრევაა, სხვა კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობის პროცესების ოპტიმიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. კულტურის ზემოქმედების ქვეშ ფორმირდება ერის მენტალიტეტი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს ნებისმიერი სახის ორგანიზაციის ფორმირებისათვის. ფაქტობრივად, ყველა თანამედროვე მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ ეროვნული და რეგიონული მენტალიტეტი – უმთავრესი ფაქტორია, რომელიც ზემოქმედებს მართვის ფორმებზე, ფუნქციებზე და სტრუქტურაზე.

გარდა ამისა, მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის არსებობს უფრო ღრმა. არსებითი ურთიერთკავშირი რომელიც ვლინდება „მენეჯმენტისა და მენტალიტეტის შესაბამისობის პრინციპში“. არსებობს მენტალიტეტის სხვადასხვა განსაზღვრება. ერთ-ერთ განმარტებით, მენტალიტეტი არის ერის ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიური თავისებურებების ერთობლიობა; მეორე განმარტების მიხედვით, ერის ერთგვარი მეხსიერებაა წარსულზე, იმ მილიონობით ადამიანის ქცევის დეტერმინანტია, რომლებიც ერთგული არიან თავისი ისტორიულიად ჩამოყალიბებული „კოდისადმი“ ნებისმიერ ვითარებაში; მესამე განმარტების მიხედვით, ეს არის სუბიექტის – ერის, ეროვნების, ხალხის, მისი მოქალაქეების მენტალიტეტი, გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა (არა ხალხის მეხსიერებაში, არამედ მის ქვეცნობიერში) სუბიექტის ცხოვრების ეთნიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგია. მეცნიერები იზიარებენ შეხედულებებს, რომ მენტალიტეტი ერის ქცევის ფსიქოლოგიუ-

რი თავისებურებების, სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპლექსია, რომელიც ჩამოყალიბდა ბუნებრივი, ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, რომლებიც ზემოქმედებენ ქვეყნის ხანგრძლივი ევოლუციის განმავლობაში.

განსაზღვრებაში ლაპარაკია მენტალიტეტის არამხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ბუნებაზეც. მეცნიერები ბუტენკო და კოლსენიჩენკო აღნიშნავენ ამ მოვლენის გენეტიკურ, ისტორიულ, ბუნებრივ კლიმატურ წყაროებს, გამოყოფენ მენტალიტეტს, როგორც „კოდს“. რომელიც ცალკეული ადამიანისა და ერის სოციალურ-ეკონომიკურ ქცევას განსაზღვრავს.

ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებების გამოვლინება თავის დაღს ასვამს ადამიანის სხვადასხვა სფეროს: ყოფითს, ურთერთობითს, წარმოებით საქმიანობას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართვაზე. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნის მართვის ფორმებისა და მეთოდების ანალიზისას შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ გერმანული პედანტიურობა, ინგლისური კონსერვატიზმი, ამერიკული პრაგმატიზმი, იაპონური პატერნალიზმი, რუსული უდარდებლობა, ქართული გულუხვობა. ადამიანს არ შეუძლია თავისუფალი იყოს საზოგადოებისაგან, საკუთარი თავისაგან, საკუთარი მენტალობისაგან.

მენტალიტეტის თავისებურებებზე დამოკიდებულებით აიგება ძირითადი ურთიერთობები, მენეჯმენტის სისტემები. თუ ადამიანი მიეჩნია ჯგუფურ ცხოვრებას, მაშინ მართვის სისტემის ჩამოყალიბებულ სპეციფიკურ საფუძველს წარმოადგენს კოლექტივზე დაყრდნობა, კოლექტიური კონტროლი და გადანყვეტილებების მიღება. თუ საზოგადოებაში დამკვიდრდა ინდივიდუალიზმზე, საკუთარი ღირსების მოჭარბებული გრძნობაზე და ა. შ. დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა, მაშინ მართვის სისტემა დაეყრდნობა ინდივიდუალურ თვისებებს, კონტროლის ინდივიდუალური ფორმების გამოყენებით.

შრომის მოყვარეობის, გაფრთხილების უნარი, პუნქტუალობის სიჭარბე, ასევე განსაზღვრავს მართვის ფორმებსა და



მეთოდებს, მნიშვნელოვნად მოქმედებს მმართველთა ქცევასა და ქმედებებზე. მენეჯერებმა ისინი მხედველობაში უნდა მიიღონ, გაითვალისწინონ ადამიანური ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები მართვის პროცესში. ნახალისებისა და დასჯის სისტემები, მატერიალური და მორალური სტიმულირების, ქვეგანყოფილებათა ურთიერთქმედების ორგანიზება (რომელიც ემყარება უფროსების პატივისცემას ან ინდივიდუალიზმს) და სანარმოო მართვის სხვა ასპექტი უნდა შეესაბამებოდნენ მენტალიტეტს. სწორედ ამ შემთხვევაში იქნებიან ისინი ეფექტიანი.

ამრიგად, მართვა და, კერძოდ, ეთნომენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ, შიგა, სიღრმისეული სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების გამოვლინებად, რომელიც ადამიანშია ჩადებული, ამ სახით მენტალიტეტი – ქცევითი მენეჯმენტის ზოგადი საფუძველია. მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის კავშირის გათვალისწინება განაპირობებს წარმოების შედარების მდგრად სისტემას, არბილებს წინააღმდეგობებს მმართველებსა და მართულებს შორის, ხელს უწყობს კრიზისული სიტუაციების გადალახვას, როცა შესაბამისობა მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის დაცულია, სოციალური კონფლიქტები ნაკლებია.

წინააღმდეგობრიობა „მენტალიტეტი – მენეჯმენტი“ განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების ჩასახვასა და ხანგრძლიობას. ამის ნათელი მაგალითია, საქართველო, სადაც საბაზრო სისტემაზე გადასვლა და მასთან დაკავშირებულმა მართვის სისტემის რეფორმების აუცილებლობამ წინააღმდეგობები წარმოშვა ქართულ მენტალიტეტსა და მართვის ახალ ფორმებს შორის. მენეჯმენტის მენტალიტეტთან შესაბამისობის კანონი ნიშნავს, რომ განსაზღვრულ მენტალობას, ეროვნული ხასიათის თითოეულ კონკრეტულ ნიშანს, მენტალიტეტის მხარეს მთლიანობაში შეესაბამება მენეჯმენტის ადეკვატური ფორმები, სახეები, სისტემები.

მიუხედავად ზოგიერთი მდგრადი ნიშან-თვისებისა, ეროვნული მენეჯმენტი არ შეიძლება განვიხილოთ სტატიკუ-

რად. ის გვევლინება როგორც მართვის დინამიკური განვითარებადი სისტემა.

უკანასკნელ ათწლეულების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქმიანი კულტურების თავისებურებების ანალიზისა და ამ თავისებურებების შესაბამისად ქვეყნების ჯგუფებად დაყოფისათვის.

გ. შეინისა და ჯ. დი სტეფანოს თეორიის მიხედვით, არსებობს კულტურის ექვს განზომილებიანი მაჩვენებელი: ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობა, ორიენტაცია დროში, რწმენა და ადამიანის ბუნება, ორიენტაცია საქმიანობაზე, ურთიერთობები ადამიანთა შორის, ორიენტაცია სივრცეში.

უ. ოუჩის „კულტურის შვიდ განზომილებიანი მაჩვენებლის“ მიხედვით საქმიან კულტურაზე გავლენას ახდენენ ორგანიზაციის ვალდებულება თავის ნევრებთან მიმართებით, სამუშაოს შესრულების შეფასება, კარიერის დაგეგმვა, კონტროლის სისტემა, გადაწყვეტილებების მიღება, პასუხისმგებლობის დონე, ინტერესი ადამიანის მიმართ.

მეცნიერი ჯეიმს რ. ლუისი აფასებდა დროსთან ურთიერთობას, როგორც ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საქმიანი კულტურების თავისებურებებზე. მეცნიერის რუპერტ მერდოკის მიდგომა ვარაუდობს დაახლოებით 80 ე. წ. უნივერსალიას, რომლებიც საკმაოდ სრულად მოიცავენ ეროვნული კულტურის ფენომენს. შემოთავაზებულ უნივერსალიებს შორისაა: ეთიკა, მორალი, რელიგია, ოჯახური მახასიათებლები, მითოლოგია, ფოლკლორი, მუსიკა, არავებერბალური ურთიერთობის თავისებურებები, თამაშები, ცეკვები, სპორტი და ა. შ. მოცემული მიდგომა მენეჯერს ადგილობრივი კულტურის საკმაოდ დიდი დიაპაზონის ცოდნას აძლევს, მაგრამ იმავდროულად, მოითხოვს დროის დიდ დანახარჯებს. აღნიშნული უნივერსალიების გამოყენება, მიზანშეწოლილი და რაციონალურია მენეჯერისათვის უცხო ქვეყანაში, ან უცხოელ პარტნიორებთან მრავალ წლიანი მუშაობის პირობებში, მიდგომის გარკვეული გამარტივება, განსაკუთრებით საერთაშორისო მენეჯერისათვის, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში მუშაობს, შეიძლება შედგებოდეს

5-7 ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსალიისაგან, რომელსაც ემატება ამ ქვეყნების დანვრილებითი შესწავლა.

როკიჩის თეორიის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს საბაზისო და ინსტრუმენტური ღირებულებები. საბაზისო ღირებულებები გულისხმობს იმ ღირებულებებს, რომლებიც ცხოვრების საფუძველია, მთავარი მისწრაფებებია, რომელთაგანაც მოქმედებს ადამიანი. ინსტრუმენტური ღირებულებები კი საბაზისო ღირებულებების უზრუნველყოფის საშუალებებია. ყოფით ღირებულებებს როკიჩმა მიაკუთნა ცხოვრებისეული კომფორტი, ოჯახი, მეგობრობა, უსაფრთხოება და ა. შ., ინსტრუმენტულებს კი სწრაფვა კარიერისაკენ, პასუხისმგებლობა, ეფექტიანობა, დამოუკიდებლობა და სხვ. როგორც ჩანს, თუ შევუცვლით ადგილებს საბაზისო და ინსტრუმენტურ ღირებულებებს, მაშინ ადამიანის ქცევა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. თავისი ხელქვეითების, პარტნიორობის, კონკურენტების საბაზისო და ინსტრუმენტული ღირებულებების გაგებით, მენეჯერს შეუძლია ადეკვატურად ააგოს საკუთარი ქცევის სისტემა და გამოიყენოს ისინი თავისი ბიზნესის განვითარებისა და გამტკიცებისათვის. ეროვნული განსხვავებები სერიოზულად ზემოქმედებენ ღირებულებების საბაზისო და ინსტრუმენტულ დაყოფაზე, ასევე მათ რანჟირებაზე. კვლევებმა, მაგალითად, აჩვენა, რომ აღმოსავლური კულტურის ადამიანებისათვის სამყარო ხშირად წარმოადგენს არა იმდენად საბაზისოს, რამდენადაც ინსტრუმენტულ ღირებულებას. მაგალითად, დამოუკიდებლობა, ან საკუთარი რელიგიის სხვებზე გამარჯვება, უმნიშვნელოვანესი საბაზისო ღირებულებებია. დასავლური კულტურის ადამიანები ინელექტუალურობას ხშირად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საბაზისო ღირებულებად თვლიან, იმ დროს როდესაც შინაგან ჰარმონიასა და სულიერ სიმშვიდეს, არ უკავიათ აქ ისეთი განმსაზღვრელი ადგილები, როგორც მათ აღმოსავლურ კულტურებში აქვთ.

საკმაოდ საინტერესოა საქმიანი კულტურის ტრომპენარსისა და კ. ჰამპდენ-ტერნერის „შვიდ განზომილებიანი მაჩვენებელი“. მიუხედავად ამისა, ყველა არსებული მოდელიდან

ყველაზე დიდი პოპულარობით დღეისათვის სარგებლობენ გ. ჰოფსტედეს, ვ. ვარნის, რ. ლუისის სისტემები. მსოფლიოს საქმიანი კულტურების შედარებისას უპირველესად აუცილებელია ქვეყნების ტრადიციულად დაყოფა აღმოსავლური და დასავლური სამყაროების წარმომადგენლებად. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები განასახიერებენ სამყაროზე ურთიერთსაინანაღმდეგო შეხედულებებს. იმავედროულად დასავლური კულტურა ტრადიციულად წარმოადგენს აგრესიულობის, საქმიანობის ნიმუშს, რომელიც უპირატესად ორიენტირებულია საგნობრივ საქმიანობაზე და ობიექტურ შემეცნებაზე მაშინ, როდესაც აღმოსავლურ, უფრო მიმართულია აღქმისა და ინტროსპექციისაკენ (ადამიანის მიერ უშუალოდ თავისი ცნობიერების მდგომარეობაზე დაკვირვება; თვითდაკვირვება). კულტურის პირველი ტიპი უფრო მოძრავი და დინამიკურია, მაგრამ შეიძლება მოექცეს სულიერი გამოფიტვის საფრთხის ქვეშ. იმ კულტურებს კი, რომლებიც ორიენტირებულია აღქმაზე, შეუძლიათ განავითარონ დიდი სულიერი აქტიურობა, თუმცა ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე იმაზე ნაკლებად დინამიკურები, ვიდრე ამას საჭიროებს ადამიანთა საზოგადოების მოთხოვნები.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქმიანი კულტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ საფუძვლად ზოგჯერ ურთიერთსაინანაღმდეგო წანამძღვრები, განწყობები და რწმენები უდევს. მართვის დასავლური მიდგომები კი უფრო პოპულარულია და შედარებით წარმატებულად გამოიყენება სხვა ქვეყნებშიც. საკმაოდ აქტიურად ხდება დასავლური ეკონომიკური აზროვნების მიღწევების გადაღება სხვა ქვეყნების მიერ. „აღმოსავლური ინსტრუმენტები“ კი უფრო სპეციფიკურია, თუმცა მათი გამოყენებაც შესაძლებელია.

ამრიგად, ერთი მხრივ, არსებობს ქვეყნების დაყოფა აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებად, თვალსაჩინოა საპირისპირო თავისებურებები, რომლებიც ამ ორ ჯგუფს ახასიათებს, მეორე მხრივ, გლობალიზაციის გავლენით, ამ ჯგუფებს

შორის განსხვავებები სულ უფრო ნაკლებად პრინციპული ხდება და მსგავს ნიშნებს იჩენს.

განვიხილოთ ყველაზე ფართოდ ცნობილი და აღიარებული კლასიფიკაცია, რომელიც შეიმუშავა ჰოლანდიელმა მეცნიერმა გ. ჰოფსტედემ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან ოთხი ძირითადი სკალა შეიმუშავა, რომლებიც გავლენას ახდენს საქმიან კულტურაზე. თითოეული ქვეყანა შეიძლება აღინეროს ამ სკალების გამოყენებით. მოგვიანებით მკვლევარმა დაამატა კიდევ ერთი სკალა, რაც მ. ჰარის ბონდთან ერთობლივი კვლევის შედეგია. მახასიათებლები, რომლებიც მიიღო ქვეყანამ თითოეული სკალის მიხედვით, განაპირობებს მართვის მოტივაციის წახალისების, დასჯის და ა. შ. სხვადასხვა სისტემებს. სკალები ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

1. „იერარქიული კიბის სიგრძე“, ანუ „ძალაუფლების დისტანცია“ ახასიათებს საზოგადოებაში, ორგანიზაციაში ადამიანთა შორის თანასწორობას. მხედველობაში მიიღება ინდივიდუალურ გამოვლინებებში საზოგადოების დამოკიდებულება ადამიანთა შორის უთანასწორობაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, სიმდიდრეზე. ქვეყნები, სადაც უთანასწორობის იერარქია ფუნდენტური პრინციპია და მას ეყრდნობა ყველა ურთიერთობა, ხოლო განსხვავება ზედა და ქვედა ფენებს შორის ძალზე დიდია, განეკუთნებიან უთანასწორობის დიდი დისტანციის მქონე ქვეყნებს. საპირისპირო მონაცემების მქონენი განეკუთნებიან უთანასწორობის პატარა დისტანციის მქონე ქვეყნებს. ძალაუფლების ძირითადი განმპირობებელია კომპეტენტურობა; საზოგადოებაში ურთიერთობები აგებულია პიროვნების პატივისცემაზე, თანასწორობაზე, ხოლო უთანასწორობა ურთიერთობებში „უფროსი-ხელქვეითი“ არ არის მისაღები. კულტურებში, სადაც ძალაუფლების დისტანციის მაჩვენებელი მაღალია, მაგალითად, (არგენტინა, იტალია), ხელმძღვანელობისაგან ელიან ძალაუფლების გამოვლინებას, იმ კულტურებში კი, სადაც ეს მაჩვენებელი დაბალია (მაგალითად, კანადა, ავ-

სტრალია), ადამიანთაშორისი ურთიერთობები უფრო მჭიდროა ხელისუფლების იეარქიის ყველა დონესთან.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ზოგად საკაცობრიო ტენდეციები მიმართულია ძალაუფლების პატარა დისტანციის სასარგებლოდ. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საინფორმაციო საზოგადოებაში შესვლამ, თუმცა ყველა ქვეყანა არ მოძრაობს ერთნაირი სიჩქარით, ძალაუფლების პატარა დისტანციისაკენ. ეს დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის განვითარების ტენდენციებზე. საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ ძლიერი ძვრა მოხდა ამ კუთხით, რაც ადვილად ასახსნელია ჩვენში მიმდინარე რეფორმებით.

2. „გაურკვევლობის აცილება“ ეხება ადამიანების დამოკიდებულებას საკუთარი მომავლისადმი და მათ მცდელობებს, აიღონ ბედი საკუთარ ხელში. გაურკვევლობის აცილების დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია საკუთარი ცხოვრების დაგეგმვისა და კონტროლის მცდელობა.

ეროვნული კულტურის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია, რომ გაურკვევლობის გრძნობა არ წარმოადგენს მხოლოდ პირადულს, არამედ ნაწილობრივ გაზიარებული საზოგადოების სხვა წევრების მიერ. ამასთან დაკავშირებით გ. ჰოპსტედე განსაზღვრავს გაურკვევლობის თავიდან აცილებას, როგორც დონეს, რომლის მიხედვითაც მოცემული კულტურის წარმომადგენლები აღიქვამენ და რეაგირებენ გაურკვეველი, უცნობი სიტუაციების საფრთხეზე. ეს მდგომარეობა უშუალოდ გამოისახება სტრესის დონით და დაწერილ, თუ დაუწერიელ კანონებში განსაზღვრულობის მოთხოვნის გამოხატვით.

გაურკვევლობაზე სუსტი რეაგირების საზოგადოებებში ადამიანები მომთმენები არიან განსხვავებული აზრების მიმართ, იმიტომ, რომ მათ არ აღიქვამენ, როგორც მუქარას, არ ერიდებიან რისკიან ქმედებებსა და პასუხისმგებლობას, არიან უფრო ტოლერანტულები. გაურკვევლობაზე ძლიერი რეაგირების ქვეყნებისათვის (მაგალითად, იაპონია, ირანი, თურქეთი) დამახასიათებელია ადამიანთა მცდელობები ზეგავლენა მოახდინონ საკუთარ მომავალზე. ასეთ ქვეყნებში ადამიანებს

აქვთ ემოციურობის, პიროვნული შფოთვის, აგრესიულობის უფრო მაღალი დონე.

გაურკვევლობაზე ძლიერი რეაგირების კულტურების წარმომადგენლები ისწრაფიან უფრო კონსტრუირებული ცხოვრებისაკენ. მათ სურთ, მომავალი უფრო ცხადი და განჭვრეტადი იყოს. ისინი ორიენტირებული არიან უფრო ზუსტ წესებსა და ინსტრუქციებზე, გამოირჩევიან შიშთანობის მაღალი დონით, ბეჯითი შრომით და ასევე დაბალი ტოლერანტობით, განსხვავებული იდეებისა და ქცევების მქონე ადამიანებისა, თუ ჯგუფების მიმართ. ეს კულტურები უფრო მეტად ეწინააღმდეგება ნებისმიერ ცვლილებებსა და ნაკლებად მიდრეკილი არიან რისკისაკენ, მის ნებისმიერ ფორმაში.

3. კულტურის, „მასკულინიზმის“ (მამაკაცობის) დონე ასახავს მამაკაცებისა და ქალების როლების სქესის მიხედვით დაყოფას, მათ როლსა და პოზიციებს გამოიჯნავს, ახასიათებს ქცევის მანერას და საზოგადოებაში მამაკაცისა და ქალის ღირებულების უპირატესობებს. რაც უფრო ძლიერია მამაკაცური სანწყისი მით მაღალია მასკულიზმი. მამაკაცური კულტურები პრიორიტეტს ანიჭებენ მოქმედებებში გამბედაობას, მატერიალური წარმატებისაკენ სწრაფვას; ქალები – ცხოვრებისეულ კომფორტს, ცხოვრების ხარისხს გარემოს, ადამიანებს შორის ურთერთობას, ზრუნვა სუსტზე („ქალური“ კულტურების მაგალითებია დანია, ნიდერლანდები, შვეიცარია) მამაკაცური, ან ქალური სანწყისის დომინანტი ინვეს რადიკალიზმს ან კონსერვატიზმს.

მოცემული განზომილების ყოველი განხილული მხარის ფორმირებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ისტორიამ და ტრადიციებმა. მაგალითად, „ქალური“ კულტურები რიგ მიზეზთა გამო მტკიცდებოდა ცივი კლიმატის საზოგადოებებში, სადაც მამაკაცსა და ქალს შორის პარტნიორული ურთიერთობების ხასიათი ზრდიდა გადარჩენისა და განვითარების შანსებს.

მიიჩნევენ, რომ „მამაკაცურ“ საზოგადოებაში ქარბობს ტენდეცია, რომელიც გამოიხატება ფორმულით „სიცოცხლე მუშაობისათვის“, ხოლო „ქალურებში“ მუშაობა სიცოცხლისათვის.

4. „ინდივიდუალიზმის დონე“ გამოხატავს ადამიანების სურვილს იმოქმედონ დამოუკიდებლად, ან მიანიჭონ უპირატესობა ჯგუფურ არჩევანს. რაც მეტია გადახრა პირადი თავისუფლებისა და პირადი პასუხისმგებლობისაკენ, მით უფრო მაღალია ინდივიდუალიზმის დონე.

ინდივიდუალისტური საზოგადოებების ისტორიულ ფესვებს სამონადირეო-შემგროვებელი საქმიანობა და ინდივიდუალური ფერმერობა წარმოადგენდა. მას ხელს უწყობდა მუდმივად დაყოფადი ოჯახის მცირე ზომა. კოლექტივიზმი უფრო კულტივირდებოდა დიდ გახსნილ სივრცეებში, დიდ ოჯახებში (რამდენიმე თაობა და კომპაქტურად მცხოვრები ნათესავები)

ინდივიდუალისტურ კულტურებში ბავშვებს ადრეული ასაკიდან აჩვენებენ დამოუკიდებლობას. პირად და პროფესიულ ცხოვრებაში მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ, დიდი პირადი თავისუფლების გამო. კოლექტივიზმი დამახასიათებელია უფრო ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ცხოვრება საკმაოდ მძიმეა და მოითხოვს ურთიერთგატანას, ან სადაც მოსახლეობა ხშირად აწყდება საყოველთაო უბედურებებს. კოლექტივისტურ კულტურებში პრიორიტეტს ოჯახის, კლანის, სოფლისა და ა. შ. ინტერესები და კეთილდღეობა წარმოადგენს. ასეთ ქვეყნებში ადამიანებს ახასიათებთ ურთიერთდახმარება, სოციალური სოლიდარობა, მოკრძალების გამოჩენა და სხვების პატივისცემა. აქ სწორედ საზოგადოებრივი კავშირები და საზოგადოებრივი ინტერესები განსაზღვრავენ ადამიანების ქცევას.

ინდივიდუალიზმი ვარაუდობს ადამიანის ქცევას, რომელიც განპირობებულია, პირველ რიგში, მისი საკუთარი ინტერესებით, რაც ამაღლებს რისკის დონეს. კოლექტივიზმი, პირიქით მოთხოვნათა ბაზარზე ინტერესების სტანდარტიზაციას იწვევს. ასეთ საზოგადოებაში ადამიანმა უნდა დაიცვას ჯგუფში ქცევის გარკვეული მოდელი, რაც ზღუდავს თავი-



სუფლებას, მაგრამ აქვეითებს რისკს. ეს ორი სხვადასხვა პოლუსია, მაგალითად, იაპონია კოლექტივიზმის ქვეყანაა და აშშ – ინდივიდუალიზმის განსახიერება. როდესაც იაპონიაში ლაპარაკობენ „ინდივიდუალიზმზე“, გულისხმობენ ადამიანის ეგოიზმს, უზნეო საქციელს, რომელიც საკუთარ ქვენა ინტერესებს მისდევს. დასავლურ საზოგადოებებში პირიქით, ერთიანობისაკენ მისწრაფება სუსტადაა გამოხატული, მართველობა ორიენტირებულია ცალკეულ პიროვნებაზე და ამ მართველობის შეფასება გამომდინარეობს ინდივიდუალური შედეგებიდან. საქმიანი კარიერა განპირობებულია პირადი შედეგებითა და სამსახურში დაჩქარებული წინსვლით, ხოლო მენეჯმენტის ასეთ მოდელში ხელმძღვანელობის მთავარი დადებითი ნიშან-თვისება პროფესიონალიზმი და ინიციატივა, ხელმძღვანელის ინდივიდუალური კონტროლი და კონტროლის მკაფიოდ ფორმალიზებული პროცედურაა.

ფართოდ გახდა ცნობილი ნიდერლანდელი მეცნიერის კულტუროლოგის – ლინგვისტის რიჩარდ ლუისის კვლევები, რომელიც კროსკულტურული კომუნიკაციებისა და კორპორაციული ბიზნესის პრობლემების ერთი-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტია. ლუისმა თავის კვლევას საფუძვლად დაუდო, სხვადასხვა კულტურების დამოკიდებულება დროსა და მისი გამოყენებისადმი. ამ მიზნით განსხვავდება მონოქრომიული დრო (მოვლენები ნაწილდება, როგორც ცალკეული ერთეულები და ორგანიზდება თანამიმდევრობით) და პოლიქრომიული დრო (დროის პოლიქრონიული აღქმა მონოქრონიული აღქმის საპირისპიროა. პოლიქრონიული დრო გაგებულია, როგორც მრავალი პრობლემის ერთგვარი შერწყმა, ამიტომ ის ნაკლებად ხელშესახებია). დროით სისტემაზე დამოკიდებულების მიხედვით მართვის პროცესები სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად ორგანიზდება. მონოქრომიული კულტურები აქცენტს აკეთებენ მენეჯმენტის სტრატეგიასა და განრიგზე, ხოლო ორგანიზაციის დროს აქვს ხისტი, იძულებით ჩარჩოები, მაგალითად, სამრეწველო წარმოება ორგანიზებულია ფაზების, ან სტადიების ფიქსირებული თანამიმდევრობის შესაბამისად. თუ ირღვევა ხანგრძლივობა და წეს-

რიგი, მაშინ საწარმოო პროცესები ჩერდება. პოლიქრომიული კულტურები ნაკლებად დამოკიდებულია მოვლენების განრიგზე, შეიცავს უფრო მეტ საქმიანობას და უფრო მეტად დაფუძნებულია ლიდერობაზე. შედეგად, მათ სხვადასხვაგვარი ადმინისტრაციული კულტურა, წარმოების განსხვავებული პრინციპები და ბიუროკრატიული ორგანიზების სხვადასხვა მოდელი აქვთ.

ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, ძალიან პირობითად, „დავაჯგუფოთ“ ადამიანები და შევიმუშავოთ მართვის დიფერენცირებული მიდგომა, მათი ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. ავტორის მიერ შემოთავაზებული ჯგუფები პრინციპულად განსხვავდება თავისი საქმიანი სტილით, ლიდერობის ტიპით, მუშაობის პრინციპით. მაგალითად, ინფორმაციის შეკრებისას მონოაქტიური კულტურები, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ფორმალურ საინფორმაციო სისტემებს, პოლიაქტიურები – პირადი შეხვედრების შთაბეჭდილებებს, საუბრების დროს მიღებულ მონაცემებს და ა. შ. მოცემული ტიპის მენეჯერების ხასიათების გაერთიანებისას შესაძლებელია ყოველ ტიპზე საკმაოდ სრული სურათის მიღება. მონოაქტიური მენეჯერი განსხვავდება შემდეგი თავისებურებებით: დროის ერთ პერიოდში დაკავებულია ერთი საქმით, რის შედეგადაც დრო იყოფა ნაწილებად და ხდება საგრძნობი; კონცენტრირებულია მხოლოდ შრომაზე, სერიოზულად ეპყრობა დროით ვალდებულებებსა და გეგმებს;

შემოთავაზებული კვალიფიკაცია არ ამოწურავს ეროვნულ თავისებურებებს. ადამიანთა უმრავლესობა, ამა თუ იმ ჯგუფში მოხვედრისას იძენს სხვა ჯგუფების დამახასიათებელ ნიშნებსაც.

ნიდერლანდელმა მეცნიერმა ფონს ტრომპენარსმა ამერიკელ მკვლევარ-კონსულტანტ ჩარლზ ჰუმბლენ-ტერნერთან ერთად მოდელირების საფუძვლად გამოყო საქმიანი კულტურების დამოკიდებულება ისეთ მახასიათებლებთან, როგორცაა:

- ძალაუფლების მართვის ცენტრალიზაციის დონე და დისტანცია (დილემის გადაჭრისას უპირატესობა ენი-

ჭება იერარქიულობა – ეგალიტარიზმს. ეგალიტარიზმი არის გონებრივი მიმდინარეობა, რომელიც ქადაგებს ადამიანების თანასწორობას; თანასწორობა გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობას. შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც უტოპიური სოციალიზმის ნაირსახეობა);

- მმართველობითი ფუნქციების ფორმალიზაციის დონე (დილემა: ფორმალური სტრუქტურა – არაფორმალური სტრუქტურა);
- საქმიანობის მიზნობრივი მიმართება (დილემა: ორიენტაცია პიროვნებაზე და პიროვნებათა შორის ურთიერთობებზე, ორიენტაცია ამოცანების გადაწყვეტისაკენ და მიზნების მიღწევისაკენ).

ქცევის კონცეფციაზე დამოკიდებულების მიხედვით გამოიყოფა ძირითადი მოდელები: „ინკუბატორი“, „მართული რაკეტა“, „ეიფელის კოშკი“, „ოჯახი“.

სისტემა „ინკუბატორი“ ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს:

- ეგალიტარული აქცენტი პიროვნებაზე, არაფორმალური, ორიენტირებულია პიროვნების განვითარებაზე;
- მართვა განვითარებისა და პიროვნების პროფესიული ზრდის პრიზმაში;
- მუდმივი ცვლილებებისათვის მზადყოფნა, ჩადებულია კომპანიის სტრატეგიაში;
- დელეგირების მაღალი დონე.

ფირმები.

„მართული რაკეტის“ მახასიათებლები:

- ეგალიტარული, ფორმალიზებული, ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზე;
- მართვა, სტრატეგიის, მისიის, ხედვის პრიზმიდან – დელეგირების მაღალი დონე;
- შედეგის საზღაური.

ეს მოდელი ყველაზე მეტად დამახასიათებელია ა.შ.შ-ის, კანადის, ევროპის, ანგლო-ნიდერლანდური ჯგუფის ქვეყნებსა და სკანდინავიური კომპანიებისათვის.

„ეიფელის კოშკის“ სისტემა შემდეგ მდგენელებსა და მახასიათებლებს ეფუძნება:

- იეარქიული, ფორმალიზებული, ორიენტირებული ამოცანების გადანყვეტაზე;
- მართვა სტრუქტურისა და ფუნქციური ვალდებულებების საფუძველზე, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, „როგორ“ და „რა“ გზით.
- იეარქიული, ფორმალიზებული, ორიენტირებული ამოცანების გადანყვეტაზე;
- მართვა სტრუქტურისა და ფუნქციური ვალდებულებების საფუძველზე;
- საზღაური ფუნქციების რეალიზაციისათვის.

ეს მოდელი განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსათვის რადგანაც შეიცავს ზოგიერთ პოსტულატს, რომლებიც დამახასიათებელია ქართული კომპანიებისათვის. მაგალითად, „ოჯახისა“ და „მისი წევრების“ კეთილდღეობის გაიგივება. მსგავსი ორგანიზაციის ხელმძღვანელს განსაკუთრებული როლი ეკისრება, რომელიც წმინდა მართველობითი უნარჩვევების გარდა, ვარაუდობს „ქარიზმატული ლიდერის“ ნიშნებს, რომელიც ცოდნითა და სიბრძნითი კავშირებით გამოირჩევა. ამ მოდელში ძალზე ძლიერია პატერნალისტული ამოცანები, რაც ნიშნავს ხელქვეითების ქმედებების შეთავსებადობას, ხელმძღვანელის სურვილებთან. ამ მოდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი უფლებამოსილების დელეგირების სიმცირეა. ეს ნიშნავს ცალკეული მენეჯერების მიერ დამოუკიდებელი გადანყვეტილებების მიღების შეუძლებლობას, პასუხისმგებლობის – ხელმძღვანელზე „გადატანას“. მეორე, ყველაზე არსებითი ნაკლი იმალება ცვლილებების მართვის პროცესში, რომლებიც თითქმის ყოველთვის მტრულად აღიქმება, რასაც თან ახლავს არაერთი სირთულე, რადგანაც ბიზ-

ნესის წარმართვა თანამედროვე პირობებში მუდმივ სრულყოფასა და ცვლილებებისათვის მზად ყოფნას მოითხოვს.

ასე რომ, „ოჯახისათვის“ დამახასიათებელია:

- მაღალი კონტექსტი ერთი შეხედვით მარტივი ურთიერთობებისას;

(კონტექსტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მთლიანად კულტურა, ან კულტურის რომელიმე ასპექტი. არჩევენ ვერბალურ და არავერბალურ კონტექსტს, კომუნიკაციის პროცესში ფონური, ან კოგნიტური ინფორმაციის პრიორიტეტის მიხედვით არჩევენ ძლიერად კონტექსტურ (ან მაღალკონტექსტურ) და სუსტად კონტექსტურ (ან დაბალკონტექსტურ) კულტურებს. სუსტი კონტექსტურობა არის მოვლენა, რომელიც ინფორმაციის გაცვლისას ორიენტირებულია კოგნიტურ სტილზე. ასეთ კონტექსტში წამყვანია მეტყველების სისწრაფე, ცნებათა სიზუსტე და მოლაპარაკის ლოგიკურობა – აქ არ ენდობიან იმას, რაც ვერბალურად მკაფიოდ ფორმალიზებული არაა. ამ ტიპის კონტექსტი დასავლურ კულტურებს ახასიათებს. ძლიერად კონტექსტურ კულტურებში არსებითი ისაა, ვისთან და რა ვითარებაში ხდება კომუნიკაცია და არა იმდენად ის, რას ამბობენ. ძლიერ კონტექსტურად მიიჩნევენ აღმოსავლურ კულტურებს, სადაც დამახასიათებელია მეტყველების ნაკლები კონკრეტულობა და არაკატეგორიული ფორმები).

- ფუნქციური ვალდებულებები არ მუშაობს;
- მიზანს დამატებული მატერიალური სტიმულირება, „მამის“ მონაწილეობისა და კონტროლის გარეშე;
- „ოჯახისგან“ გამოყოფა გაძნელებულია, როგორც გამონაკლისი, ეს შესაძლებელია „მამის“ მხარდაჭერით;
- მოდელი „ოჯახი“ უფრო მეტად გავრცელებულია აღმოსავლეთისა და ევროპის სამხრეთის ქვეყნებში (იტალია, ესპანეთი, სამხრეთ საფრანგეთი, საბერძნეთი, კვიპროსი).

მეცნიერი როკიჩის მონაცემების პრაქტიკული შესწავლის საფუძველზე მეცნიერმა ვებერმა საბაზო ფასეულობებს მია-

კუთნა ამბიციურობა, შრომისუნარიანობა, მდიდარი წარმოსახვა, დამოუკიდებლობა, ინტელექტუალობა, ლოგიკურობა და პასუხისმგებლობა, მაშინ როდესაც ინსტრუმენტულ ფასეულობებს მიაკუთნა ისეთი, როგორიცაა სიცოცხლის ხალისი, გულწრფელობა, სიმამაცე, პატიებისადმი მიდრეკილება, დახმარების სურვილი, სიყვარული, მორჩილება და ზრდილობიანობა. ფასეულობათა ცალკეულ ჯგუფებს შესაძლოა მისდევდნენ, როგორც ცალკეული პიროვნებები, ისე მთელი საზოგადოებები. ვებერის მიერ ემპირიული გზით მიღებული კლასიფიკაციის სხვა თეორიებთან შედარებისას, რომლებშიც გამოყოფილია ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ასპექტები, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ინდივიდუალისტურ საზოგადოებების წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბაზო ფასეულობებს, იმ დროს როდესაც კოლექტივისტური საზოგადოებების წარმომადგენლები მხარს უჭერენ ინსტრუმენტულ ღირებულებებს. ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში, სადაც ცალკეული ინდივიდუმების მიზნები და ამოცანები პრევალირებენ (უპირატესობის მოპოვება; ვინმეზე, რამეზე მეტობა, სიჭარბე) ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებზე, ინდივიდუმები ემხრობიან ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ამბიციურობა, ინტელექტუალობა, მდიდარი წარმოდგენა და დამოუკიდებლობა ინდივიდუალური წარმატების მისაღწევად, თუმცა კოლექტივისტურ კულტურებში, ინდივიდის ქცევებს წარმართავს სოციალური ნორმები, ვალდებულება და მოვალეობები საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, კოლექტივისტური კულტურები აქცენტს აკეთებს შემდეგ ინსტრუმენტულ ღირებულებებზე, როგორცაა: კოოპერაცია, ჰარმონია, სიცოცხლის ხარისხი, პატიების უნარი, დახმარების უნარი, სიყვარული, მორჩილება და ზრდილობიანობა.

ზემოთ აღნიშნული სკალების გარდა, არსებობს ობიექტური ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც გავლენას ახდენენ საქმიან კულტურებზე:

- რელიგია;
- პოლიტიკა და სამართალი, გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები;

- განათლება, ტექნოლოგიები;
- ღირებულებები, ურთიერთობები;
- სოციალური ორგანიზაცია;
- ენა.

განვიხილოთ ამ ფაქტორების გავლენა საერთაშორისო ბიზნესსა და კომპანიების საქმიანობაზე: **რელიგია** ასახავს ადამიანების მიერ იდეალური ცხოვრების ძიებას და მოიცავს შეხედულებებს სამყაროზე, ჭეშმარიტ ღირებულებებზე, რელიგიურ რიტუალებზე. რელიგია, როგორც კულტურის ელემენტი გავლენას ახდენს ადამიანებისა და საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაზე. ფატალიზმმა (ლათ. *fatalis* — ბედისწერით წინასწარ განსაზღვრული, საბედისწერო) შეიძლება შეამციროს მისწრაფება ცვილებებისადმი, მატერიალური სიმდიდრე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც წინაღობა სულიერი გამდიდრებისაკენ და ა. შ. უეჭველია, არამხოლოდ რელიგია ახდენს გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების დონეზე, მაგრამ საქმიანი კულტურის გასაგებად შედარებითი მენეჯმენტის, ეთნომენეჯმენტის დონეზე ძალზე მნიშვნელოვანია სწორედ რელიგიური ფაქტორებისა და ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე მათი ზეგავლენის გათვალისწინება.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა, რომ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება რელიგიურობასა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) სიდიდეს შორის. მიღებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მაღალი მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოდის ქრისტიანულ პროტესტანტულ საზოგადოებებზე, რადგანაც პროტესტანტული ეთიკა უბიძგებს ხალხს სიმდიდრის დაგროვებისაკენ. მეორე ადგილზეა საზოგადოებები, რომლებიც ბუდიზმს აღიარებენ, ხოლო ყველაზე ღარიბები არიან სამხრეთ-ბუდისტური და სამხრეთ-ინდუისტური საზოგადოებები.

ზემოთ ხსენებული საზოგადოებების ეფექტიანობის მიზეზს წარმოადგენს ფასეულობათა სისტემები, რომლებიც დაკავშირებულია მათ რელიგიურ ეთიკასთან, სადაც კულტივი-

რებულია სპეციფიკური დამოკიდებულება, როგორც შრომისადმი, ისე ადამიანის მოვალეობისა და ვალდებულებებისადმი. მართალია, ეს ეთიკური ნორმები შემუშავებული იყო მთელი რიგი დასავლეთ-ევროპული და აღმოსავლეთ-აზიური საზოგადოებების მიერ, სოციოლოგების, სოციალური ფსიქოლოგების, მენეჯმენტის სპეციალისტების შრომები გვიჩვენებენ, რომ სხვა კულტურული ტრადიციების მქონე საზოგადოებებში შესაძლებელია შესაბამისი ფასეულ-სამოტივაციო სტრუქტურების მიზანმიმართლი ფორმირება.

რელიგიურ საფუძველთან ეკონომიკური მოდელის წარმატების დამოკიდებულების შესასწავლად სოციოლოგმა მაქს ვებერმა ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგები მოცემულია მის ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული.“ კაპიტალისტური განვითარების ფესვების მაქს ვებერი-სეული ანალიზი შემდგომში გააკრიტიკეს ისტორიკოსებმა, რომლებიც სამართლიანად მიუთითებდნენ, ისეთ ალტერნატიულ ისტორიულ ფორმებზე, რომლებიც ასევე ეფექტურად უჭერდნენ მხარს კაპიტალიზმს, მაგალითად, როგორცაა ანგლოსაქსური კულტურა, თუმცა სხვაგვარ ინსტიტუციურ ფორმებში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ვებერმა დაიწყო პირველად ეკონომიკური კულტურის განხილვა ეროვნულ-რელიგიური ტრადიციების პრიზმაში. შესაბამისად, რელიგიურ სამეურნეო კულტურების ძირითადი ტიპები ემთხვევა ძირითად რელიგიურ კონფესიებს: შეიძლება გამოიყოს პროტესტანტული, კათოლიკური, მართმადიდებელი, ისლამური, ინდოზუდისტური და კონფუციანური ეკონომიკური ეთიკა. ეს სამეურნეო კულტურები, დიდ გავლენას ახდენენ საბაზრო მოდერნიზაციის პროცესებზე. თვით ქრისტიანობის შიგნითაც კი მკაფიოდ ჩანს გარკვეული იერქია: თუ კი პროტესტანტიზმი ყველაზე ხელმშენყობია საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის, კათოლიციზმი ბოჭავს მათ უკიდურესობებს, ხოლო მართმადიდებლები პირქით მიესალმებიან მათ განვითარებას. კონფუციანური ეკონომიკური კულტურა კი რომელიც დამყარებულია უფროსებისადმი პატივისცემაზე და პიროვნებას



კოლექტივის ინტერესებს უქვემდებარებს, მუდმივ თვით-სრულყოფას და მაღალ მორალს გულისხმობს, რამაც გახადა იგი „დასავლური“ კაპიტალიზმის სამენარმო კულტურის პირველი ალტერნატივა.

მაჰმადიანური და ინდო-ბუდისტური ქვეყნების საქმიანი კულტურა არ გამოირჩევა პროდუქტიულობით. ამის მიზეზი ძირითად არის რწმენებისა და წესების კომპლექსი, რომელიც გულისხმობს სრულ შერევას კოლექტივში, ამის საპირისპიროდ ცალკეული პიროვნების ინიციატივას, სიბეჯითეს მიზნების მისაღწევად, პრინციპულად ინტერესს მსოფლიო სიკეთეებისადმი არ მიესალმებიან. ეკონომიკური თვალთახედვით, დღეისათვის ყველაზე „წარმატებული“ პროტესტანტული (ამერიკული), კათოლიკურ-პროტესტანტული (დასავლეთ-ევროპული) და კონფუციური (შორეული აღმოსავლეთის) კულტურებია. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე 3 ჯგუფი გამოიყოფა:

ა. ანგლოსაქსური ლიბერალური მოდელი („პროტესტანტული“ კაპიტალიზმი: – აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია), რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფო რეგულირების მინიმუმაციის ტენდენცია, რომელიც დაფუძნებულია ძირითადად სამეურნეო ცხოვრების სამართლებრივ რეგულირებაზე;

ბ. დასავლეთ ევროპული (კონტინენტური) სოციალ-დემოკრატიული მოდელი („კათოლიკურ-პროტესტანტული კაპიტალიზმი“ – საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია, დასავლეთ ევროპის დანარჩენი ქვეყნების უმეტესეობა), რომელიც გულისხმობს „ძლიერ“ სახელმწიფოს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სამეურნეო ცხოვრებაში და იმავდროულად მთავარი ყურადღება ექცევა სოციალურ პოლიტიკას;

გ. შორეულ-აღმოსავლური პატრიარქალურ-კორპორაციული მოდელი („კონფუციანური კაპიტალიზმი“ – იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჩინეთი), როდესაც „ძლიერი“ სახელმწიფო აქტიურად არეგულირებს და წარმართავს სამეურნეო

ცხოვრებას, დაკავებულია უმთავრესად ეკონომიკური ზრდის სტრატეგიით.

**პოლიტიკა და სამართალი** საქმიან კულტურაზე ზეგავლენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, პირველ რიგში, ზოგიერთ ქვეყანაში, ეკონომიკაში, სახელმწიფოს ჩარევის დონის გათვალისწინებით (მაგალითად, ჩინეთი და ბელარუსი). მოცემული ფაქტორის ზეგავლენის შესასწავლად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს კონტროლის დონის დადგენა (ეს ძირითადად ახასიათებთ ქვეყნებს გარდამავალი ეკონომიკით), საექსპორტო პოლიტიკის ხასიათის, სხვადასხვა კავშირისა და ასოციაციის საქმიანობა, სხვადასხვა უწყების კორპორაციულად დაკავშირებული ჩინოვნიკების არსებობა, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლების საქმიანობაც კი, ნაციონალიზმის დონე. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მექანიზმებს განეკუთნება: ექსპორტ-რიაციები (სახელმწიფოს მიერ საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან გასხვისება). კონფისკაციები, ლიცენზირება და ექსპორტის, ან იმპორტის კვოტირება, ფისკალური პოლიტიკა და ა. შ. მთლიანობაში სიტუაცია კი ხასიათდება ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობებით.

**გეოგრაფიული, ბუნებრივი პირობები** გავლენას ახდენენ ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ნაწილობრივ განსაზღვრავენ საზოგადოების ღირებულებებს, პოზიციებსა და ნორმებს. ეს სერიოზული ფაქტორია, რომელმაც ბევრ ქვეყანაში გავლენა იქონია საქმიან კულტურაზე.

**განათლების ხარისხისა და ტექნოლოგიების განვითარების** შეფასება გულისხმობს მოსახლეობის განათლების დონეს, ტექნიკურ სწავლებასა და საბაზრო კავშირების დამყარებაზე მისი გავლენის შესწავლას. სხვა სახელმწიფოს ტექნიკური დონის ფართო გაგებით შესწავლამ შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია ბაზრის განვითარებაზე, პოტენციალზე და ასევე იმაზე, თუ როგორია ურბანიზაციისა და მოსახლეობის „სამ-

რენველო ღირებულებების“ განვითარების დონე. გარდა ამისა, მსგავსი კვლევები შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს სამუშაო ძალის ბაზრის სტაბილურობა, სამუშაო ძალის განათლების სწავლის უნარი და მისი დამოკიდებულება მეცნიერებასთან, სიახლეების დანერგვასა და საქმიან სამყაროსთან თანამშრომლობასთან.

საზოგადოებაში ღირებულებებისა და ურთიერთობის ხასიათი მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიურ გრძნობებთან, პირველად საკითხი ღირებულებათა სისტემის გავლენის საწარმოო ქცევაზე გამოიკვლია მაქს ვებერმა, რომელიც რელიგიებიდან აცალკევებდა ეთიკურ კომპონენტს. დამოკიდებულება დროსთან ბევრი მკვლევრის აზრით, წარმოადგენს ერთ საბაზისო ფაქტორს, რომელიც ქვეყნების ჯგუფებად დიფერენცირებას ახდენს. პოლიქრონიული, მონოქრონიული და რეაქტიური კულტურების გამოყოფა ადასტურებს დროისადმი დამოკიდებულების პრინციპულ განსხვავებას, ხოლო აღნიშნული საკითხის არასწორმა გაგებამ შეიძლება სიძნელები გამოიწვიოს ბიზნესის განხორციელებისას.

მიღწევებისა და სიმდიდრის მიმართ დამოკიდებულება ყველა ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა, ხშირად მასზე რელიგია ახდენდა ზეგავლენას. იმ პოსტულატებზე დამოკიდებულებით, რომლებიც რელიგიურ მიმდინარეობების საფუძველში იყო, მოსახლეობას უყალიბდებოდა გარკვეული დამოკიდებულებები სამყაროს მიმართ, მათ შორის საქმიანი მოღვაწეობისადმი. იქ, სადაც მატერიალური სარგებელი და სულიერი განვითარება შეუთავსებლად ითვლებოდა საქმიან ურთიერთობებს მცირე მნიშვნელობა ენიჭებოდა, ზოგიერთი რელიგია კი ბეჯითი შრომისა და სამწარმოო უნარის სტიმულს იძლეოდა (რაც ყველაზე მეტად ახასიათებს პროტესტანტულ საზოგადოებებს).

სოციალური ორგანიზაცია ახასიათებს რა სოციალურ სტრუქტურებსა და ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულებებს, აუცილებლად გასათვალისწინებელია საზღვრებს გარეთ ბიზნესის წარმოებისას.

საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციაზე ზეგავლენას

ახდენს „ენა“, როგორც ნებისმიერი ხალხის მნიშვნელოვანი კულტურული ასპექტი. ვერბალური და არავერბალური ენები იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოლაპარაკების პროცესის, სარეკლამო და მარკეტინგული კომპანიების ორგანიზებისას. ძალზე ხშირად, საზღვრებს გარეთ ბიზნესის გაფართოებისას კომპანიებს უწევთ თავისი პოლიტიკის პრინციპულად შეცვლა საქონლის წინსვლისათვის. ეს შეიძლება იყოს საქონლის დასახელების შეცვლა, მაგალითად, „ჟიგული“ ექსპორტზე გავიდა სხვა მარკის „ლადას“ სახელწოდებით, იმის გამო, რომ ფრანგულ ენაზე ეს შეიძლება გაგებული ყოფილიყო, როგორც „უნესო ქალი“, „ალფონსი“ ან „ბარდაყი“, ხოლო ჯენერალ მოტორს იძულებული იყო შეეცვალა თავისი მოდელის „ნოვას“ სახელი ესპანურენოვან ქვეყნებში ექსპორტისას, რადგან ესპანურად ეს ნიშნავს „არ მუშაობს“, „არ მიდის“. სარეკლამო კამპანიების ჩატარება, კერძოდ, სარეკლამო რგოლების შექმნა, ყველა ქვეყნისათვის ასევე ძალზე ინდივიდუალურია და ეფუძნება ყოველი ტერიტორიული წარმონაქმნის კულტურულ ღირებულებებსა და ჩვევებს.

არავერბალური ენა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოლაპარაკებების ორგანიზებისას და ასევე რეკლამირებისას. მეცნიერის მეჭრებიენის მონაცემებით, ურთიერთობის დროს სიტყვებით გადაეცემა ძირითადი ინფორმაციის მხოლოდ 7%, ხოლო 55% აღიქმება სახის გამომეტყველებით, პოზით, შესტებით, 38% ხმის ინტონაციებითა და მოდულაციით. შესტები მიმართულია სოციალური გარემოცვისაკენ, ან სახით განისაზღვრება, თუ რომელი გამოვლინებებია სასურველი და რომელი არა, ან მიუღებელიც კი. შესტის სოციალური ნორმირებისა და სტილიზაციის მაგალითია, ამერიკაში და ევროპაში გავრცელებული მოთხოვნა უპირატესად საშუალო კლასში „გაიღიმეთ“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ე. ბარათაშვილი., ჯ. ზარანდია, მ. მარიდაშვილი, მ. ჩეჩელაშვილი., ი. მახარაშვილი., თ. ლამბაშიძე. შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია, თბ., 2016, გვ. 46.

ეს ასახავს დამოკიდებულებას „წარმატების“ მიმართ. ადამიანი, რომელიც ყოველთვის ილიმება აჩვენებს კეთილგანწყობას, საქმეებში საკუთარ წარმატებას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მის მომავალ წარმატებებს და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტრადიციულად შესტებს, ეს ასახავს დამოკიდებულებას „წარმატების“ მიმართ.

ადამიანი, რომელიც ყოველთვის ილიმება, აჩვენებს კეთილგანწყობას, საქმეებში საკუთარ წარმატებას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მის მომავალ წარმატებებს და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტრადიციულად შესტებს, რომლებიც გამოხატავენ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, წარმოადგენს არამხოლოდ ღიმილი, არამედ თავის დახრადა მზერა.

სხვადასხვა კულტურაში აშკარაა ვერბალური ნიშნების სერიოზული განსხვავებები. მაგალითად, ხელით შესტი, რომელიც ამერიკელებში ნიშნავს „გამეცალე“ ბუნოს აირესის რესტორნებში იქნება ოფიციალტის დაძახება, რადგან იქ ეს ნიშნავს „მოდი აქ“. თუმცა, მოძრაობა რომელიც ამერიკელებში ნიშნავს „მოდი აქ“ სამხრეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში ნიშნავს „ნახვადმის“. ლოყაზე ხელის გასმა იტალიაში ნიშნავს, რომ საუბარი იმდენად გაგრძელდა, რომ წვერმა დაიწყო ამოსვლა და დროა მოვრჩეთ დისკურსიას და ა. შ. ერთსა და იმავე შესტების მსგავსი აღქმების შეუთავსებლობები უამრავია.

ნიშნების არაერთგვაროვან აღქმას შეუძლია დააქვეითოს რეკლამის ეფექტიანობა, გამოიწვიოს უხერხული სიტუაციები მოლაპარაკებების დროს. საქმიანი კულტურის, როგორც შედარებითი და ეთნომენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი დებულების განხილვას მიყვავართ შემდეგ დასკვნამდე:

- კულტურა და მენტალიტეტი ახდენენ რა ძლიერი გავლენას ყოველდღიური საქმიანობის პრაქტიკაზე, იმყოფებიან მენეჯმენტთან უწყვეტ კავშირში. კულტურის ზოგიერთი მახასიათებლები ქმნიან განსაკუთრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს მართვის სფეროში;

- ეროვნული კულტურების შეფასების უამრავი მიდგომების არსებობა საშუალებას იძლევა, შევადგინოთ ისინი სხვადასხვა კრიტერიუმებით, მრავალმხრივად გამოვიკვლიოთ მართვის კულტურები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზებას. ქვეყანა – პარტნიორის მრავალმხრივი შესწავლა ამაღლებს შესაბამისი გადანყვეტილების მიღებისა და სწორი სტრატეგიის შემუშავების ალბათობას;
- შედარებითი და ეთნომენეჯმენტის შემდგომი განვითარების შედეგად გამოყოფილი იქნება ის „ცენტრალური ლერძი“, რომლის გარშემოც აიგება საქმიანი კულტურის ყველა დანარჩენი თეორია;
- მთელი რიგი ობიექტური ფაქტორები გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბიზნესზე, შედარებით და ეთნომენეჯმენტზე. ამ უკანასკნელის ორგანიზებისას აუცილებელია ყოველი თუნდაც უმნიშვნელო ფაქტორის გავლენის გათვალისწინება.

### 2.3. კულტურის თეორიები

ემპირიულმა კვლევებმა და საერთაშორისო ბიზნესში დაგროვილმა გამოცდილებებმა კულტურული ასპექტის განსაკუთრებული მნიშვნელობა აჩვენა ამასთან დაკავშირებით კულტურის გამოკვლევის არსებითი გზების განხილვის აუცილებლობა გაჩნდა. კულტურის საკმაოდ ბევრი თეორია არსებობს. მხოლოდ კულტურის განსაზღვრებები ათეულებს ითვლის. ორ მათგანზე, რომლებიც უფრო შემაჯამებელი ხასიათისაა, გავამახვილოთ ყურადღება.

პირველზე დაყრდნობით, კულტურაში (ფართო გაგებით) უნდა ვიგულისხმოთ ცხოვრების სტილი და მსოფლმხედველობის სისტემა, რომელიც ამა თუ იმ ერს (ხალხის ჯგუფს) თანდაყოლილი აქვს. ეს განსაზღვრება მოიცავს ხალხის

ცხოვრების ყველა მხარეს, არსებითად ხდება კონკრეტული კულტურის იდენტიფიკაცია მოცემულ ქვეყანასთან.

მეორე შედარებით უფრო ვიწრო და კონკრეტული განმარტებაა: კულტურა მოცემულ საზოგადოებაში გავრცელებული ფასეულობებისა და ნორმების ერთობლიობაა. ამ შემთხვევაში მატერიალური ობიექტები უკვე საინტერესოა მხოლოდ, როგორც ნიშნები ან, როგორც ამა თუ იმ კულტურის გარემოცვა.

დღეისათვის, კულტურის ასეთი გაგება დომინანტურია და მკვლევრების უმრავლესობა იყენებს, ამ შემთხვევაში კულტურა გარკვეულად არამატერიალური და უხილავია, მაგრამ ხალხის ქცევას აყალიბებს.

კულტურის მნიშვნელობა საზოგადოებაში შესრულებული ფუნქციებით განისაზღვრება. გამოირჩევა კულტურის შემდეგი ფუნქციები:

- ადაპტაციური (გარემოსთან ადაპტაცია);
- კომუნიკაციური (ურთიერთობისათვის საჭირო ფონდებისა და პირობების შექმნა);
- ინტეგრაციული (ერთი კულტურის ხალხი შეადგენენ ერთ სოციალურ ჯგუფს);
- სოციალიზაცია (ადამიანის განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფში ჩართვის პროცესი);

კულტურის ფენომენს აქვს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

- გადადის თაობიდან თაობაზე;
- მუდმივად ვითარდება;
- თავისი თავის შიგნით აყალიბებს განსაკუთრებულ ფენომენებს, სუბკულტურებს, რომლებიც ხასიათდება განსაზღვრული კულტურული თავისებურებებით, რომლებზეც მოცემულ კულტურაში თანდაყოლილია ადგილობრივი ასაკობრივი, პროფესიონალური, სქესობრივი და სხვა ჯგუფები;
- ერთსა და იმავე კულტურასთან მიკუთვნების მიუხედავად, ხალხს შეუძლია სხვადასხვანაირად აღიქვას და

შეაფასოს ის, იყოს უფრო მეტად, ან უფრო ნაკლებად ერთგული მის მიმართ, არ მიიღოს მისი ცალკეული ელემენტები, ანუ უფრო მეტიც, მთლიანად კულტურა.

ზოგადად ცნობილია, რომ, ერთი მხრივ, ერის ცხოვრება დიდ წილად განისაზღვრება მისი კულტურით, მეორე მხრივ, კულტურა გარკვეულ წილად კონტროლდება თვითონ ერის განვითარებადი და განახლებადი ცხოვრებით. შედარებითი ან ეთნომენეჯმენტის ჭრილში ეს გამოიხატება კულტურის, საჯარო ინსტიტუტებისა და ბიზნეს-სისტემების ურთიერთმოქმედებასა და ურთიერთ დამოკიდებულებაში.

სხვადასხვა ფაქტორის გაერთიანების სიმრავლე წარმოშობს ნაციონალური კულტურის უნიკალურობას.

ერთმანეთისაგან ყველაზე მეტად „დაშორებული“ ამერიკისა და იაპონიის კულტურების ანალიზი მათ 33 ურთიერთ საპირისპირო თვისებას გვიჩვენებს, განსხვავებული მიდგომის გამო ისეთი ღირებულებებისადმი, როგორც არის თავისუფლება, თანასწორობა და აქტივობა. მაგალითად, იაპონელები თავს, ბუნების ნაწილად თვლიან, არიან ფრთხილები და მისწრაფიან მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. ამერიკელები კი აქცენტს გარემოს გარდაქმნაზე აკეთებენ, გამბედავ გადანწყვეტილებებსა და საკუთარ თავზე რისკის აღებას აფასებენ. თუ განვიხილავთ კულტურის უფრო ფართო წრეს, დავინახავთ, რომ დიფერენციაცია კიდევ უფრო ვრცელდება. ინდივიდუალური თავისუფლება – ამერიკელების პიროვნული საფუძველია. მისთვის არ არის პრიორიტეტული ლოიალურობა იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მიეკუთნება, მისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი ქცევის ნორმების რეალიზაციის განხორციელება.

მექსიკელი, საკუთარი ოჯახის გარეთ თავის სამუშაო ადგილზე, კოლექტივში ასევე ახდენს თავისი ქცევის ინდივიდუალურობის დემონსტრაციას. სამუშაო მისთვის არის აუცილებელი საკუთარი თავისა და ოჯახის შესანახად. შესაბამის გარემოებებში ის ორიენტირებული იქნება ოჯახისა და კლანის ინტერესებზე.



არაბი მენეჯერისათვის ტომობრივი და ოჯახური ლოიალურობა ყველაზე პრიორიტეტულია, მაგრამ ვალდებულება შრომითი კოლექტივის მიმართ, პატივისცემა ნებისმიერი პიროვნებისადმი, მათ შორის დაქვემდებარებული პირების მიმართ, ასევე მნიშვნელოვანია. ტრადიციულ არაბულ კულტურაში. მართველისათვის შემარცხვენელია გადაწყვეტილების ისე მიღება, თუ არ მიიღებს რჩევას და არ მოითათბირებს დაქვემდებარებულ პირებთან.

ორგანიზაციულ ქცევებში, იაპონელები, ამერიკელებისაგან განსხვავებით იმყოფებიან „ინდივიდუალიზმი-კოლექტიურობის“ სკალის მეორე ბლოკში. შემთხვევით არ გვეუბნება იაპონური ანდაზა, რომ ჩასაჭედებელ ლურსმანს აჭედებენ. ჯგუფისადმი ლოიალურობა, ერთგულება ამ კულტურაში წარმოადგენს მკაცრ ნორმას და სამსახურეობრივ კიბეზე წინ ნაწევის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს.

დღემდე, არ არსებობს კულტურის ერთიანი თეორია, რომელიც მოიცავდა ცალკეული თეორიების ძირითად ნაწილს. შესაბამისად შეუძლებელია მართვაზე კულტურის ზეგავლენის გამოკვლევის შედეგების წარმოდგენა, რომელსაც დაეყრდნობა შედარებითი და ეთნომენეჯმენტი. განხილული მიდგომები რომელთაგან თითოეული გვაძლევს კულტურის ფენომენიდან გარკვეულ მახასიათებელს და შესაბამისად მენეჯერს შეიარაღებს ამა თუ იმ სპეციალური რეკომენდაციით. საერთაშორისო მენეჯერს უნდა ჰქონდეს უნარი, შეარჩიოს ყველაზე მეტად შესაბამისი თეორია კონკრეტული სიტუაციისათვის, რათა გაიგოს ქვეყნისა და ამა თუ იმ სამართავი კოლექტივის თავისებურებები.

შედარებით მენეჯმენტში გამოიყენება კულტურის თეორიული გამოკვლევების სამი მიმართულება: **უნივერსალური, სისტემური და ღირებულებებითი მიდგომა.**

უნივერსალური მიდგომა ეყრდნობა იმას, რომ ნებისმიერი კულტურა შედგება ელემენტების სტანდარტული ნაკრებისაგან, ამოცანა მდგომარეობს მათ გამოყოფაში და აღწერაში. 1945 წელს, ჯორჯ მერდოკმა წარმოადგინა 70 ე. წ. „კულტურული უნივერსალის“ განმარტება, რომლებიც მოიცავდნენ

ნაციონალური კულტურის ფენომენის საკმაოდ დიდ ნაწილს. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი, როგორცაა: ეთიკა, მორალი, რელიგია, ოჯახის ტიპების დახასიათება, მითოლოგია, ფოლკლორი, მუსიკა, არავერბალური ურთიერთობების თავისებურებები, თამაშები, ცეკვები, სპორტი და ა. შ. მერდოკის მიდგომა უბიძგებს მენეჯერს, რომ ორიენტირება გააკეთოს ადგილობრივი კულტურის ცოდნის საკმაოდ დიდ დიაპაზონზე. გასათვალისწინებელია, რომ ის ფაქტობრივად არარეალურ მოთხოვნებს აკისრებს მენეჯერს, ასეთი სახის გამოკვეთვებზე დროის ხარჯის მხრივ. სავარაუდოდ, კულტურული უნივერსალების გამოყენება არარაციონალურია. მიდგომას გარკვეულად ამარტივებს განსაკუთრებით საერთაშორისო მენეჯერისათვის, რომელიც მუშაობს რამდენიმე ქვეყანაში, 6-7 უფრო მეტად მნიშვნელოვანი უნივერსალების გამოყოფა და მათი დანვრილებითი შესწავლა ამ ქვეყნისათვის.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში განვითარდა კულტურისადმი სისტემური მიდგომა. ამ თეორიაში ნავარაუდებია, რომ კულტურა მისი შემადგენილი ქვესისტემების ურთიერთქმედებით და ჩარევით განისაზღვრება. პ. რ. ჰარისი და რ. ტ. მორანი გამოყოფენ 8 ძირითად ქვესისტემას: ნათესაობრივი სისტემები, განათლება, ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია, საზოგადოებრივი გაერთინებების ხასიათი და მიღებული ფორმები, ერის ჯამრთელობის მდგომარეობა, დასვენების ფორმები და ტრადიციები. რა თქმა უნდა, კულტურის ქვესისტემებად დაყოფა არ ამოწურავს მის მთლიანობას, მაგრამ შესაძლებლობებს გვაძლევს ეროვნული კულტურის პროფილის შესაქმნელად, მათი ორგანიზაციულ მოქმედებებზე ზეგავლენის გათვალისწინებით. საერთაშორისო მენეჯმენტის აზრით, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ბევრ ქვეყანაში ბიზნესი ექვემდებარება ოჯახის ინტერესებს, წარმოადგენს ოჯახურ საქმეს. ხშირად საქმიანი და საოჯახო ურთიერთობები გადაჯაჭვულია. ბიზნესი იწარმოება არაფორმალურ საფუძველზე, ეყრდნობა პირად ურთიერთობებს. ასეთ დროს მმართველის კარიერა დამოკიდებულია ადამიანის მდგომარეობაზე სოციალურ ქსელში. თავდაპირველად კლასიკური მენეჯმენტი, რო-

მელიც ძირითადად ამერიკულ გამოცდილებას ეყდრნობოდა, იგნორირებას უკეთებდა სოციალურ ქსელს, რომლებიც მკვლევართა ყურადღების ცენტრში მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში მოექცა. კულტურები ერთმანეთისაგან ასევე განსხვავდებიან განათლების მიღების ორგანიზაციული სისტემით. განათლების სისტემა შეიძლება შეიცავდეს საფეხურების განსხვავებულ რაოდენობას, გვაძლევდეს ალტერნატიულ შესაძლებლობებს, ან მკაცრად განსაზღვრავდეს ადამიანის პროფესიული განვითარების ტრაექტორიას.

მენეჯერის თვალთახედვით სერიოზული ვარიაციები შეიძლება შეგვხვდეს განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებში. ქვესისტემა „ეკონომიკა“ მრავალ ასპექტიანია. მწარმოებლური ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბდეს კონტრაქტის საფუძველზე, ან არასაბაზრო მექანიზმების გამოყენებით, ჯგუფზე ან ინდივიდზე ორიენტაციით და ა. შ. საკმაოდ ხშირად ადარებენ ერთმანეთს ანგლოსაქსურ (ლიბერალურ) და რეგულირებადი ბაზრის ეკონომიკურ მოდელებს. პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება თავისუფალ ბაზარზე და ინდივიდზე, ხოლო მეორე შემთხვევაში შემოდის გარკვეული არასაბაზრო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ სიმშვიდეს და მოქალაქეების დაცვას მნიშვნელოვანი საბაზრო რყევებისაგან. ლიბერალური საბაზრო მოდელის რეალიზაციის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს აშშ, ხოლო საბაზრო ეკონომიკის მაგალითია გერმანია.

მწარმოებლური ურთიერთობების სისტემის განსხვავებულობები და მწარმოებლური კულტურა ზეგავლენას ახდენს ფირმის ინოვაციურობაზე, მათ ტექნოლოგიურ პოლიტიკასა და ანაზღაურების სისტემაზე. ქვესისტემაში პოლიტიკა ჩართულია ხელმძღვანელობასთან, ურთიერთობაში. პოლიტიკური სისტემის თავისებურებები (დიქტატურა, დემოკრატია, სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმები) განსაზღვრავენ ბიზნესის წარმოების თავისუფლებას. უნდა გამოიყოს ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების ორი ასპექტი: ბიზნესის მონაწილეობა ხელისუფლებაში და ხელისუფლების მონაწილეობა ეკონომიკაში. არსებობს პოლი-

ტიკური სისტემები, რომლებიც არ უშვებენ ბიზნესის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას. ეს ავტომატურად არ ნიშნავს სახელმწიფოს ბიზნესის საქმეებში ჩარევას, მაგრამ ხშირად ეს დაკავშირებულია ამა თუ იმ დონეზე ხელისუფლების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევაზე. საპირისპირო პოლუსზე იმყოფება პოლიტიკური სისტემები, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს ხელისუფლების ეკონომიკაში ჩარევა.

ამ ქვესისტემის როლი მენეჯმენტისათვის ნათელი გახდება, თუ კი ვახსენებთ ისეთ მოვლენებს, როგორცაა ცენტრალიზებული დაგეგმვა, ეკონომიკის დაპროგრამება, თავისუფალი მრეწველობის იდეოლოგია და პრაქტიკა.

ქვესისტემა „რელიგია“ იმაზე უფრო ფართოდ განიხილება, ვიდრე მისი დასახელების მიხედვით შეიძლება მსჯელობა. მასში შედის ხალხის მსოფლმხედველობა, მათი ეთიკური ფასეულობები და ნორმები. პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ ვებერის მიერ ტრადიციის მიხედვით ჩამოყალიბებული იდეა, რომელიც პროტესტანტობის გავლენის ქვეშ კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას, საქმიანი ეთიკის რელიგიურ წარმოშობას უკავშირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური ნორმები იცვლება ეკონომიკის ცვლასთან ერთად. ადამიანის ქცევების პროტესტანტული იდეალი უკვე დიდი ხანია სერიოზულად მოდიფიცირდა, რაც უფრო მეტად უსვამს ბაზს სხვადასხვა მსოფლმხედველური სისტემების მნიშვნელობას, რომლებიც პირდაპირ, ან ირიბად მოქმედებენ მმართველობით პრაქტიკაზე. ამის საკმაოდ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ისლამის ბანკების შექმნა, რომლებიც ფინანსურ ოპერაციებს ისე ასრულებენ, რომ არ კვეთენ შარიათის ნორმების საზღვრებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში რელიგიური დოგმები ასევე განსაზღვრავენ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, რისთვისაც გამოიყენება საეკლესიო და სახელმწიფო სტრუქტურები. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თუ ეკლესია სახელმწიფოსაგან არ არის გამოყოფილი.

ქვესისტემა „გაერთიანების ფორმებისა და ხასიათის მიღება“ აღწერს, თუ ხალხის როგორი გაერთიანებები მიიღება მოცემულ კულტურაში, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეპატრიანტებისთვის (ადამიანები რომლებიც ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში და იბრუნებენ მოქალაქეობას), იმიტომ, რომ სხვადასხვა გაერთიანების ნევრობა კარს ხსნის გავლენისა და ინფორმაციის მართვის სისტემაში, რომლებთანაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელია შეღწევა. ასოციაციის მიერ მიღებული ფორმები ასევე გათვალისწინებულია ფირმაში მომუშავე პირების გაერთიანების შექმნის დროს, რაც აუმჯობესებს კლიმატს სანარმოში და აადვილებს მათ მართვას.

ქვესისტემაში „ერის ჯანმრთელობის მდგომარეობა“ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვები განიხილება. ჯანმრთელობა მწარმოებლური რესურსის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მაგრამ მისდამი დამოკიდებულება და მისი შენარჩუნების სისტემა განსხვავდება კულტურიდან კულტურაში.

თანამედროვე მრავალნაციონალურ კომპანიებში სამედიცინო დაზღვევა მომუშავისადმი შეთავაზებული სოციალური პაკეტის შემადგენელი ნაწილია და ხელშეწყობის სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები ავადმყოფ ხალხთან, უნარშეზღუდულ პირებთან, კატასტრობის მსხვერპლთან ურთიერთობაა. კულტურების ერთ ნაწილში მათთვის საცხოვრებელი პირობები იქმნება ჯანმრთელ მოსახლეობასთან ერთად, ხოლო მეორეში მათი საჭიროებები იგნორირდება, უფლებები ირღვევა და ხანდახან ისინი საზოგადოებისაგანაც გამოიყოფა. ქვესისტემა „დასვენების ფორმები და ტრადიციები“ ყურადღების ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ როგორ ატარებენ ადამიანები თავიანთ თავისუფალ დროს. ქვეყნების ერთ ნაწილში აქტიური დასვენება და სპორტით დაკავება ურჩევნიათ, ხოლო მეორეში – ბარში და კინო-თეატრებში სიარული; ზოგიერთ კულტურაში ტრადიციულად ისვენებენ ოჯახთან და მეგობრებთან ერთა, სხვა კულ-


ტურებში სასურველად ითვლება დროის გატარება ძირითადი საურთიერთობო წრისაგან განცალკევებულად.

სისტემური მოდელი – კულტურის აღწერისადმი სისტემური მიდგომა ასევე გამოიყენება ტ. ნ. გლედვინის და ვ. ტერპსტრის გარემოს აღწერის მოდელში, რომელშიც ფუნქციონირებს საერთაშორისო ბიზნესი [ნახაზი 2.3.1.]. მოცემულ მოდელში კულტურა წარმოდგენილია. როგორც რვა ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთმოქმედი ბლოკი: ენა, ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებები, ფასეულობები და დადგენილებები, უფლება, განათლება, პოლიტიკა, ტექნოლოგია და მატერიალური კულტურა, სოციალური ორგანიზაციები.

თითოეული ბლოკის სტრუქტურირებულობა, განვითარებულ ქვეყნებში ინვესტირების ინფორმირებულობის განსხვავებულობის აღწერის საფუძველი გახდა. ასეთი მიდგომის ღირსებაა: აღწერის ინვარიანტულობა (უცვლელობა), რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პირობები, მივიღოთ საქმიანი გადაწყვეტილებები.

წინა საუკუნის 70-იან წლებიდან დაწყებული ასეთ შედარებებს აწარმოებს ბევრი საკონსულტაციო კომპანია, რომლებიც საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არიან დასპეციალიზებული. ეს განისაზღვრება თეორიული შეხედულებებით, რომლებიც დევს აღწერის საფუძვლებში, მაგალითად, ერთი მხრივ, ტ. ნ. გლედვინის და ვ. ტერპსტრის მოდელის თავისებურებას წარმოადგენს „ხელოვნების“ ბლოკის არქონა, რომელიც ძირითადად მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა თეატრი, მუსიკა, ლიტერატურა, გამომგონებლური ხელოვნება და ა. შ. მეორე მხრივ, ბლოკი „ტექნოლოგია და მატერიალური კულტურა“, როგორც წესი, ჩართულია სიტუაციის ეკონომიკურ ანალიზში.

კულტურის ფასეულობრივი მოდელი – ფასეულობრივი მიდგომა დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიდგომაა. მას საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომ ფასეულობები კულტურის ბირთვს შეადგენს და მეცნიერის ამოცანაა ფასეულობების სისტემის სტრუქტურის გამოვლენა.



**ნახაზი 2.3.1. საერთაშორისო ბიზნესის კულტურული გარემოცვის სტრუქტურა**

სხვადასხვა კულტურის ფასეულობრივი თეორიებიდან ჯ. როკინის მიდგომა ყურადღებას იქცევს იმით, რომ ყველა ფასეულობას ე. წ. საბაზო და ინსტრუმენტულ ფასეულობებად ყოფს. ამასთან საბაზო გულისხმობს იმ ფასეულობებს, რომლებიც შეადგენს სიცოცხლის საფუძველს. ეს არის ძირითადი მისწრაფებები, რის გამოც ცხოვრობს და მოქმედებს ადამიანი. ინსტრუმენტულ ფასეულობებს მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ საბაზო ფასეულობების უზრუნველყოფისათვის, გარკვეული შესაძლებლობების განსაზღვრაში.

საერთაშორისო მენეჯერისათვის არსებითია, ის რომ საბაზო და ინსტრუმენტული ფასეულობების ნაკრები ქვეყნიდან ქვეყანაში იცვლება. დასავლეთის ქრისტიანულ კულტურაში ჯ. როკინმა გამოყო სხვადასხვა სახის ფასეულობა [ცხრილი 2.3.2.] საბაზო ფასეულობებს მან მიაკუთნა მაგალითად, პირადი დაცვა, ცხოვრებისეული კომფორტი, თანასწორობა, ოჯახი, მეგობრობა, ხოლო ინსტრუმენტულს – კარიერული წინსვლა, ეფექტიანობა, ლოგიკურობა. თუ ადგილებს შევუცვლით საბაზოსო და ინსტრუმენტულ ფასეულობებს, ინდივიდის მოქმედება არსებითად შეიცვლება. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოს დასავლეთის კულტურების მიმდევარ ადამიანებისათვის, უფრო მნიშვნელოვანია ინსტრუმენტული ფასეულობები, ვიდრე საბაზო, ხოლო, მაგალითად, დამოუკიდებლობა, ან საკუთარი რელიგიის გამარჯვება სხვა რელიგიებზე – უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. დასავლეთის კულტურის ადამიანისათვის მსოფლიოს ასეთი გაგება არ ამართლებს მის მოლოდინს.

თუ მენეჯერს კარგად ესმის თავისი პარტნიორების, დაქვემდებარებული პირებისა და საერთოდ ამ ქვეყანაში მყოფი ადამიანების საბაზო და ინსტრუმენტული ფასეულობები, მაშინ მას შეუძია ოსტატურად გამოიყენოს ეს ცოდნა და ამოქმედოს ისინი ბიზნესის ინტერებისა და ფირმის პოზიციის დამყარების სასარგებლოდ. გარდა ამისა, როკინის თეორია აშკარად ამდიდრებს მენეჯერის შეხედულებას სუბკულტურებზეც. ის უფრო მკაფიოდ აყალიბებს, რომ სუბკულტურა ნაწილობრივ ფორმირდება ფასეულობების საერთო კულტურ-



რული კონტექსტიდან ამონარიდებით. თუ განვიხილავთ ახლო წარსულში პოპულარულ ჰიპების კულტურას, ის იყო აშენებული ადამიანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აბსოლუტიზებული ფასეულობების გარშემო.

**ცხრილი 2.3.2**

**დასავლური ფასეულობების სისტემა<sup>1</sup>**

ძირითადი ფასეულობები		ინსტრუმენტალური ფასეულობები	
საცხოვრებელი კომფორტი	ოჯახის უსაფრთხოება	კარიერისადმი სწრაფვა (ამბიციურობა)	დიდსულოვნება
Camoyalibebuli siyvaruli	საინტერესო (მოვლენებით აღსავსე)	ლოგიკურობა	შეხედულებების მასშტაბი
სოციალური აღიარება	სიამოვნება	დახმარებისათვის მზადყოფნა	სიყვარული
დასრულებულობის გრძნობა	სიბრძნე	უნარი (პოტენციური შესაძლებლობები)	პატიოსნება
გადარჩენა (ქრისტიანული გაგებით)	მშვიდობა მსოფლიოში	დაქვემდებარებისადმი მზადყოფნა	მხიარულება, გართობა
თავისუფლება	საკუთარი თავისადმი პატივისცემა	წარმოსახვა	თავაზიანობა

<sup>1</sup> Rokeach J. The Nature of Human Values, N.Y.: Free Press, 1973

სილამაზე მსოფლიოში	ბედნიერება	სისუფთავე	დამოუკიდებლობა
ნამდვილი მეგობრობა	თანასწორობა	პასუხისმგებლობა	გამბედაობა, სიმამაცე
შინაგანი ჰარმონია	ნაციონალური უსაფრთხოება	ინტელექტუალურობა	თვითკონტროლი

პიროვნების შიგა არსის თეორია შემოთავაზებულია ამერიკელი მკვლევრების გ. ვოლპორტის, თ. ე. ვერნონის და კ. ლინდზის მიერ. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს, რომ ფასეულობების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება არაკულტურები, არამედ ინდივიდები. ამასთანავე განსაკუთრებულია კულტურული ფასეულობები, რომლებსაც აღიარებენ ადამიანები და რომლებიც ქმნიან მათი ქცევის ძირითად ხასიათს.

გამოიყოფა ადამიანების 6 ძირითად ტიპი:

- თეორიული ადამიანი, რომლისთვისაც ძირითადად ფასეულობას წარმოადგენს ჭეშმარიტების გამოვლენა, ცოდნა რაციონალურობა, და გამოცდილება;
- ეკონომიკური ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად აფასებს პრაქტიკულ საქმიანობას, რეალურ მატერიალურ მიღწევებს;
- ესთეტიკური ადამიანი, რომლისთვისაც მთავარი არის სილამაზე და ჰარმონია ხელოვნების ფასეულობები და ა. შ.
- სოციალური ადამიანი – ის თავის მთავარ ფასეულობას ხედავს საზოგადოებისადმი უანგარო სამსახურში, სხვებისთვის სარგებლობის მოტანაში, საერთო ურთიერთდახმარებაში, საზოგადოებრივი მიზნებისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვაში;

- პოლიტიკური ადამიანი, რომლისთვისაც მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ძალაუფლება და გავლენა, ლიდერობა, შეჯიბრებებითა და ბრძოლებით სიამოვნების მიღება;
- რელიგიური ადამიანი, რომლისთვისაც ძირითადი ფასეულობები განისაზღვრება რელიგიით.

ამ მიდგომის შეფასებისას უნდა ვაღიაროთ, რომ ის გვიჩვენებს განსხვავებული ერების ადამიანების ინდივიდუალური ქცევების ერთ-ერთ მხარეს. ასევე არსებობს აზრი, რომ ამ ექვსი ტიპიდან თითოეული შემადგენილი ადამიანების რიცხვი ქვეყნიდან ქვეყანაში მნიშვნელოვნად მერყეობს.

#### **2.4. საქმიანი კულტურების კლასიფიკაცია მენეჯმენტში და გ. ჰოფსტედეს თეორიები**

განსხვავებულ კულტურებში ორგანიზაციული ქცევის პირველივე ემპირიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ერთმანეთსაგან განსხვავდებოდა. ბევრი მკვლევარი კულტურული ფაქტების ზეგავლენაზე მიუთითებდა. ამ ჰიპოთეზის დადასტურება, ან უარყოფა დაკავშირებულია ორ მთავარ პრობლემასთან: აუცილებელია ინდივიდუალურ ფასეულობებზე, გარემოსა და საერთო ფასეულობებზე ზეგავლენა ვაჩვენოთ კულტურული გარემოსა და ასევე გამოვიკვლიოთ ამ კანონზომიერებებისა და ორგანიზაციაში ადამიანთა ქცევის კავშირი. მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა ფორმულირება: „ქვეყნის გარდაქმნა“ კულტურული კვლევების ორგანიზაციულ ქცევაზე დამოკიდებულებით. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში არაერთი გამოკვლევა ჩატარდა, რომლებიც ორიენტირებულები იყვნენ ამ ამოცანის ამოხსნაზე.

გამოირჩევა იმ პერიოდის სამუშაოსათვის დამახასიათებელი ორი მიდგომა. მეცნიერების უმრავლესობა იყენებდა „კაბინეტურ მიდგომას“, რომელიც დაფუძნებული იყო ვარაუდზე, რომ არსებობს გარკვეული ცვლადები, რომლებიც პასუ-

ხისმგებელია თანამშრომლების ქცევებსა და დამოკიდებულებებში ეროვნულ განსხვავებებზე. ასეთ ერთეულებად ყველაზე ხშირად მიიჩნეოდა რელიგია, ენა (კულტურული ანარეკლი), პოლიტიკური სისტემა და ინდუსტრიალიზაციის დონე (ეროვნული, სახელმწიფოებრივი თვისებების ანარეკლი) და ასევე გეოგრაფიული მდებარეობა (თუ როგორ ასახავს კომპლექსური მაჩვენებელი კულტურულ და ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს). ინდუსტრიალიზაციის დონის მაჩვენებლის რანგში ხშირად გამოიყენებოდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე. სხვა მიდგომა, რომელსაც ემპირიული ეწოდება, მდგომარეობს ემპირიული გარდაქმნების გამოყოფაში („კულტურული განზომილებების“), დადგენილებებში, განსხვავებების ანალიზის გზით და შემდეგ უკვე ამათუიმ ობიექტურად შემონმებადი ნაციონალური და კულტურული განსხვავებების (მშპ ერთსულ მოსახლეზე, გეოგრაფიული მდებარეობა და ა. შ.) ერთად დაკავშირების მცდელობაში. ამ მიდგომის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს ნიდერლანდელი მეცნიერის გ. ჰოფსტედეს მიერ 1967-1969 და 1971-1973 წლებში ჩატარებული გამოკვლევები.

მოცემული გამოკვლევა კლასიკური გახდა. მისი აღწერა ჩართულია და საინტერესოა არამარტო შედარებითი და ეთნომენეჯმენტისათვის, არამედ ზოგადი მენეჯმენტის განვითარებისთვისაც. ეს გამოკვლევა მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია არამარტო ემპირიული კუთხით, არამედ თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომის დეტალური შესწავლითაც.

გ. ჰოფსტედე გამომდინარეობდა იქიდან, რომ კულტურა, როგორც „კოლექტიური სულიერი პროგრამირება“, განსაზღვრავდა ადამიანების ქცევას და დამოკიდებულებას. თვითონ კულტურა ძნელად იცვლება და თუ იცვლება, ძალიან ნელი ტემპით. მას აქვს განხორციელება და ადამიანების მიერ შექმნილ ინსტიტუტებში კრისტალიზაციის ტენდენცია. თავის მხრივ, საჯარო ინსტიტუტები გარკვეულწილად, როგორც ზღუდავენ, ისე ახდენენ განსხვავებული აზროვნების მეთოდის სტიმულირებას.

გ. ჰოფსტედემ გამოიკვლია ფასეულობებს შორის განსხვავება, რომლებიც დაკავშირებული იყო სამუშაოსთან, იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა კულტურის ზეგავლენა. მას განსაკუთრებულად აინტერესებდა მეთოდები, რომლის დახმარებითაც განსაზღვრული კულტურა და აზროვნება ახდენენ თვით გამართლებადი პროგნოზების რეალიზაციას. მონაცემების ანალიზის დროს, გ. ჰოფსტედემ ძირითადი ყურადღება დაუთმო პასუხების გაცემას, კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო სამუშაო გარემოსთან. ეს კითხვები ეხებოდა სამუშაოს ორგანიზაციას, კოლექტივში არსებულ კლიმატს და ასევე ტერმინ „სასურველის“ ფასეულობას. სამუშაოს ორგანიზაციის აღთქმა უკავშირდებოდა იმ დონეს, რომელშიც მმართველები უწევდნენ კონსულტაციას დაქვემდებარებულ პირებს.

გ. ჰოფსტედეს გამოკვლევებში „სასურველი“ აღიქმებოდა, როგორც მომუშავეის ზოგიერთი იდეოლოგიური ორიენტაცია, მაგალითად, თანამშრომლებს შორის ნეგატიური დამოკიდებულება კონკურენციის მიმართ, რომელსაც უფრო ხშირად მოაქვს მეტი ზარალი, ვიდრე სარგებელი. სასურველი ფასეულობები სამუშაოს განსხვავებული ასპექტების მნიშვნელობას მიუთითებდა.

საბოლოო ანალიზი მიმდინარეობდა 32 კითხვის მიხედვით, რომელიც არჩეული იყო გამოვლენილი სტატისტიკური კანონზომიერებებისა და თეორიული მოსაზრებების საფუძველზე. ფაქტორულმა ანალიზმა, სადაც თითოეული ქვეყანა ანალიზის ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო ქვეყანაში მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობა ცვალებადი იყო, ოთხი კულტურული განზომილების გამოკვეთა გახდა შესაძლებელი, ან როგორც თვითონ გ. ჰოფსტედემ უწოდა, ინექსები გახდა. ამ ინდექსების დახმარებით აიხსნებოდა ფასეულობების თემაზე ქვეყნებს შორის კითხვებზე პასუხების სხვაობის 50%. ინდექსების შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც შეიძლება საქმიანი კულტურის აღწერა, ნიდერლანდელი მეცნიერის საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც შედარებით მენეჯმენ-

ტში, ისე კროსმენეჯმენტში და ეთნომენეჯმენტში. ამიტომ, სასურველია ეს ინდექსები უფრო დეტალურად განვიხილოთ. ინდექსი „ძალაუფლების დისტანცია“ (PD) ასახავს ორგანიზაციაში ძალაუფლების არათანაბარ დონეს. ამ არათანაბრობის განმსაზღვრელია ძალაუფლების ცენტრალიზაცია და ხელმძღვანელობის ერთპიროვნულობა. ამ ინდექსის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის გვიჩვენებს არამართო იმას, თუ რამდენად არიან მმართველები განმსჭვალულები ძალაუფლების ცენტრალიზაციის იდეით, არამედ იმასაც, თუ რამდენად ღრმად შეაღწია მან საზოგადოების კულტურაში და როგორ აღიქმება რიგითი თანამშრომლების მიერ. ამ მიდგომის განვითარებისას, მ. მალდერმა გაზომა **ძალაუფლების დისტანცია** სამი მაჩვენებლის დახმარებით: დაქვემდებარებული პირის შიშები, რომ მისი აზრი არ ემთხვევა ხელმძღვანელობის აზრს, ხელმძღვანელობის აღქმისა და სასურველობის სტილს. მისი ლაბორატორიული და საველე კვლევების სერია, საშუალებას იძლევა გავაკეთოთ ადამიანებისათვის ძალაუფლების დისტანციის შემცირების ჰიპოთეზის ფორმულირება, რომელთა ძალაუფლებისადმი სწრაფვა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

ძალაუფლების დისტანცია, ისევე როგორც კულტურული განზომილება, იქმნება ოჯახების, სკოლებისა და სხვა სოციალური ინსტიტუტების სოციალიზაციის პროცესში. სოციალიზაციის ადრეულ საფეხურებზე წარმოქმნისას, ძალაუფლების დისტანცია განსაზღვრავს ორგანიზაციულ ქცევას. გ. ჰოფსტედეს თანახმად, PD-ის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი აღნიშნავს ძალაუფლების დიდ ცენტრალიზაციას, იერქიის დონეების დიდ რაოდენობას, მართვადი პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს, ხელფასის დიდ დიფერენციაციას, ინტელექტუალური სამუშაოსადმი უფრო დიდ პატივისცემას, ვიდრე ფიზიკურისადმი და სტატუსით დაბალი თანამშრომლის დაბალ კვალიფიკაციას. საინტერესოა, რომ შეიმჩნეოდა ინდექსის სიდიდის თანამშრომლის განათლებაზე დამოკიდებულება. ნაკლებად განათლებული თანამშრომლები მეტად ახდენდნენ ინდექსის დიდი მნიშვნელობის დემონსტრირებას, ვიდრე მა-

ლალი განათლების მქონეები. ქვეყნებს შორის შედარებამ გამოავლინა, რომ დაბალი განათლების მქონე ჯგუფებში ინდექსის მნიშვნელობების შეუსაბამობა ნაკლებია, ვიდრე სხვადასხვა ქვეყნის მაღალი განათლების თანამშრომლებს შორის.

გ. ჰოფსტედეს ჰიპოთეზის თანახმად საზოგადოებებში, სადაც ძალაუფლების დისტანცია დიდია, დაქვემდებარებული პირები მიილტვიან დამოკიდებულების ან ურთიერთდამოკიდებულებისაკენ. ამავე დროს ქვეყნებში, სადაც ამ ინდექსის მნიშვნელობა არც თუ ისე დიდია, დაქვემდებარებული პირები უპირატესობას ანიჭებენ ხელმძღვანელობის საკონსულტაციო სტილს.

გ. ჰოფსტედეს გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნებს შორის ამ ინდექსით განსხვავებების 43% განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით, 51% გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის რაოდენობის კომბინაციით, ვარიაციების 58% აიხსნება, თუ ამ ორ ფაქტორს დავუმატებთ მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე. გ. ჰოფსტედეს ვარაუდით, „გეოგრაფიული მდებარეობა“ – „ძალაუფლების დისტანციის“ ვარაუდზე დაყრდნობით მთავარ მომენტს წარმოადგენს. ცივი კლიმატის გამო ჩრდილოეთის ქვეყნებში ტექნოლოგიური განვითარების დიდი მოთხოვნილებაა, რაც წარმოშობს განსაზღვრულ (უფრო განვითარებულ) სოციალურ სტრუქტურას.

ძალაუფლების მნიშვნელოვანი დისტანცია დამოკიდებულია შემდეგ მომენტებზე. მსოფლიოში არსებობს უთანასწორობა. ამასთან, თითოეულმა ადამიანმა უნდა დაიკავოს თავისი კანონიერი ადგილი. მაღალი და დაბალი სტატუსი დაცულია დადგენილი წესებით. ხოლო ცოტა ადამიანს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი, დანარჩენი დიდ ნაწილი დამოკიდებულია. იეარქია აღნიშნავს უთანასწორობის არსებობას. ხელმძღვანელობა განიხილავს მათ მიერ დაქვემდებარებულ პირებს, როგორც სხვა სახეობის ადამიანებს. თავის მხრივ, დაქვემდებარებული პირებიც ისე განიხილავენ ხელმძღვანელობას, როგორც რაღაც თავის თავისაგან განსხვავებულს. ძალაუფლება ძირითადი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც წინ უძღვის დისკუსიებს სიკეთეზე და ბოროტებაზე. ძალაუფ-

ლების ლეგიტიმაციის საკითხი აქ არაფერ შუაშია. უნდა აღვნიშნოთ, რომ პატარა ძალაუფლების დისტანციის მქონე კულტურებისათვის, ამ უკანსკნელის გამოყენება უნდა იყოს დაკანონებული და უნდა წარმოადგენდეს ამ საკითხის გადწყვეტილებას, არის თუ არა ეს სასიკეთო. ანუ კანონიერება ნინ უძღვის ძალაუფლების გამოყენებას და ემსახურება მას საფუძვლად. ძალაუფლების მატარებლებს აქვთ პრივილეგიები (ინდექსის დაბალი მაჩვენებლების დროს – ყველას აქვს თანაბარი უფლებები).

ძალაუფლების მატარებლები უნდა გამოიყურებოდნენ იმდენად სერიოზულ პიროვნებებად, რამდენადაც შესაძლებელია. გარშემო მყოფები წარმოადგენენ პოტენციურ საფრთხეს ძალაუფლების შემნარჩუნებლებისათვის და მათი ნდობა იშვიათად შეიძლება. ძნელია კოოპერაციის განხორციელება იმ ადამიანებს შორის, რომელთაც არ გააჩნიათ ძალაუფლება, იმის გამო, რომ დომინირებს ადამიანების მიმართ უნდობლობის ნორმა.

**განუსაზღველობის თავიდან აცილება (UA).** ეს ინდექსი განსაზღვრავს ზღვარს სადამდეც საზოგადოება განიხილავს თავის თავს, როდესაც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ განუსაზღვრელი, ანუ ორაზროვანი სიტუაციის გამო. რაც უფრო დიდია ეს ინდექსი, მით უფრო მეტია სწრაფვა, რომ ავერიდოთ მსგავს სიტუაციებს. პროფესიონალურ კარიერაში, მეტი სტაბილურობის, ფორმალური წესების შექმნის, დევიაციური და განსხვავებული ქცევისადმი მოუთმენლობისა და აბსოლუტური ჭეშმარიტებისადმი რწმენის არსებობის ხარჯზე. ამავდროულად, ასეთ საზოგადოებაში დიდია შფოთვის და აგრესიის დონე, რაც ქმნის ძლიერ შინაგან სწრაფვას, შრომისადმი.

გაურკვევლობისაგან თავის არიდების ბუნება არ არის იმდენად ნათელი, როგორც ძალაუფლების დისტანცია, მაგრამ მოცემული ფასეულობების ჯგუფი წარმოადგენს დამახასიათებელს ე. წ. საშუალო კლასის წარმომადგენლების უმრავლესობისათვის. ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ფასეულობების ჯგუფთან, იწვევს შფოთვის ზრდას. ქვეყნებში, სადაც ინდექსის მაღალი მაჩვენებელია, შფოთვა აიხსნება



ემოციის და აგრესიულობის გამოჩენის მეშვეობით. კულტურებში, სადაც ინდექსის დაბალი მაჩვენებელია, განუსაზღვრელობის თავიდან აცილების რელაქსაციას (შესუსტება) აქვს პასიური ხასიათი, ემოციების გამოჩენა არ არის ხელშეწყობილი. საერთოდ, ასეთ კულტურებში მაღალია ტოლერანტობა (გულისხმობს განსხვავებული მსოფლალქმის, ცხოვრების წესების, ქცევისა და ჩვეულებების ატანას).

გაურკვეველობის აცილების ინდექსის მაღალი მნიშვნელობა დაკავშირებულია შემდეგ სოციალურ ასოციაციებთან:

- ცხოვრებაში გაურკვეველობა აღიქმება, როგორც მუდმივი საფრთხე, რომელთანაც საჭიროა ბრძოლა;
- დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ნერვიულობა და ძლიერი სტრესი;
- დრო – ფულია;
- არსებობს შინაგანი სწრაფვა ძლიერი შრომისადმი;
- საკუთარი აგრესიული საქციელი (ისევე, როგორც გარშემომყოფების);
- სასურველია ემოციების ღია გამოვლენა;
- კონფლიქტსა და კონკურენციას შეუძლია გამოიწვიოს აგრესია და უნდა ვერიდოთ;
- კონსენსუსის მკაცრი აუცილებლობა;
- დევიაციური (ქცევის აღნიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს) პიროვნებები და იდეები საშიშია, აქედან გამომდინარე, ტოლერანტურობის დაბალი დონეც;
- გავრცელებულია ნაციონალიზმი;
- ახალგაზრდა ადამიანები არიან საეჭვონი;
- დიდი ყურადღება ეთმობა დაცვის საკითხებს;
- მიმდინარეობს წმინდა, აბსოლუტური სიმართლის და მუდმივი ფასეულო – ების ძებნა;
- იგრძნობა წერილობითი ინსტრუქციებისა და წესების საჭიროება;

ეს ინდექსი ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციულ ქცევაზე, თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილებისას. მაღალი და დაბალი **UA** ინდექსის მაჩვენებლის მქონე ქვეყნების მენეჯმენტის მოდელის სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები წარმოდგენილია ცხრილში 2.4.1.

**ინდივიდუალიზმი (IN).** მესამე განზომილება გ. ჰოფსტედეს მიერ წარმოდგენილია სკალით, რომლის ერთ ბოლოში მდგარ წერტილს ინდივიდუალიზმი წარმოადგენს, ხოლო მეორეში – კოლექტიურობა. ეს სკალა ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობას, როგორც ერთ მთლიანობას ასახავს. ინდივიდუალურობისკენ მოძრაობა აღნიშნავს ინდივის ტენდენციას იმის შესახებ, რომ, პირველ რიგში, იზრუნოს საკუთარ თავსა და ოჯახზე.

ჯგუფური სული ასევე დამახასიათებელია ინდექსი IN-ის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებისათვის, მაგრამ კოლექტივში ჩართულობის საფუძველი აქ სხვაგვარია, უფრო რაციონალური „იმედის მომცემი“. ამ ინდექსის მახასიათებლების დეტალური აღწერა მოცემულია ცხრილში 2.4.2.

„ინდივიდუალიზმის“ ინდექსის მნიშვნელობაში განსხვავებები აისახება ორგანი – ზაციულ ქცევაზეც.

გ. ჰოფსტედემ აჩვენა, რომ მეტად განვითარებულ ქვეყნებს (მაღალი მშპ-ის მაჩვენებლით ერთსულ მოსახლეზე) IN-ის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე იყო აღნიშნული, რომ ინდივიდუალიზმი იზრდება საზოგადოებაში რთული ოჯახების დანგრევიდან უფრო მარტივზე გადასვლისას, ანუ მოდერნიზაციის პროცესის დროს. ასევე იყო აღნიშნული PD და IN ინდექსებს შორის უარყოფითი კორელაციის არსებობა.

**მასკულიზმი.** გ. ჰოფსტედეს მიერ მასკულიზმში მოიაზრება საზოგადოებაში ტრადიციული მამაკაცური ფასეულობების დომინირება, როგორიცააა წარმატება, ფული და მატერიალური ფასეულობები. მოცემული განზომილებისათვის უკეთესი იქნებოდა გვეწოდებინა „ფემინიზმი – მასკულიზმი“ იმიტომ, რომ ის ასახავს გადასვლას ტრადიციული ქალური ფასეულო-

ბებიდან (სხვებზე ზრუნვა, ცხოვრების ხარისხი) მამაკაცური წარმოდგენების მართველობისკენ.

**„გაურკვევლობისაგან თავის დაღწევის“ ინდექსის გავლენა ორგანიზაციულ ქცევაზე**

ინდექსი UA-ს დაბალი მნიშვნელობა	ინდექსი UA-ს მაღალი მნიშვნელობა
<ul style="list-style-type: none"> <li>- მოღვაწეობის ნაკლები სტრუქტურირება;</li> <li>- ნაკლები წერილობითი წესები;</li> <li>- თანამშრომლები მეტად უნივერსალური განათლებით;</li> <li>- დამახასიათებელია საერთო ან დილენტატური მიდგომა;</li> <li>- დაშვებულია აზრის პლურალიზ - მი;</li> <li>- მენეჯერები მეტ ყურადღებას უთმობენ სტრატეგიულ საკითხებს;</li> <li>- მენეჯერები უმეტესად ორიენტი - რებული არიან ჯგუფის შიგნით არსებულ ურთიერთ ქმედებებზე და ცვლიან მართველობის სტილს გარემო - ებებზე დაყრდნობით;</li> <li>- მენეჯერები საკმარისად იღებენ ინდივიდუალურ და რისკიან გადაწყვე - ტილებს;</li> <li>- მომუშავე ძალების ბრუნვის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- მოღვაწეობის მეტი სტრუქტურირება;</li> <li>- მეტი წერილობითი ინსტრუქცია;</li> <li>- გაუნათლებელი თანამშრომლების დიდი რაოდენობა. ყველაფერი უნდა იყოს უნიფიცირებული (სტანდარტული) იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია;</li> <li>- მენეჯერები მეტ ყურადღებას უთმობენ დეტალებს;</li> <li>- მენეჯერები უფრო მეტად არიან ორიენტირებული დავალებებზე და ნაკლებად იხრებიან თავიანთი მმართველობის სტილის შეცვლისაკენ;</li> <li>- მენეჯერები არასაკმარისად იღებენ ინდივიდუალურ გადანწყვეტილებებს რისკის პირობებში;</li> <li>- მომუშავე ძალების ბრუნვის დაბალი დონე;</li> <li>- ნაკლებად ამბიციური მომუშავეები;</li> <li>- დაკმაყოფილების მეტად მაღალი დონე;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>– მაღალი დონე;</li> <li>– მეტად ამბიციური მომუშავეები;</li> <li>– დაკმაყოფილების მეტად დაბალი დონე;</li> <li>– გაურკვეველობის კონტროლის საფუძველზე მეტი ძალაუფლება;</li> <li>– ნაკლებად რიტუალიზებული ქცევა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>– გაურკვეველობის კონტროლის დამსახურებით მეტი ძალაუფლება</li> <li>– მეტად რიტუალიზებული ქცევა</li> </ul>
--	--

წყარო: Hofstede G. Culture's Consequences. International Differences in Work Related Values, Beverly Hills: Sage, 1980.

გ. ჰოფსტედეს კვლევებზე დაყრდნობით, შეიმჩნევა კორელაცია ამ ინდექსსა და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას შორის. რაც უფრო ახლოსაა ქვეყანა ეკვატორთან, მით უფრო მეტია მასკულიზმის ინდექსი და შესაბამისად პოლუსებთან მიახლოებისას ის მცირდება.

გ. ჰოფსტედე ამ ფაქტს ხსნიდა მძიმე კლიმატურ პირობებში კომპლექსური ცოდნის ფლობის აუცილებლობით. ასევე, გამოვლინდა სხვა სტატისტიკური კანონზომიერებები: მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდასთან ერთად მასკულიზმის ნეგატიური კორელაციის ზრდა და ამ რამდენიმე მაჩვენებლის დადებითი კორელაცია ლარიზმი ქვეყნებისათვის.

ამ ინდექსის მაჩვენებლებს შორის სხვაობა აიხსნება ქვეყნის ისტორიით და ტრადიციებით. ორგანიზაციული თვალთახედვით მასკულიზმის ინდექსი გვიჩვენებს ნაციონალური კულტურებისათვის მაღალი მოგების, ალიარების, მიღწევებისა და გამონგვევების მიღების მნიშვნელობას. ამ მაჩვენებლებს შორის განსხვავებების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში „მასკულიზმის ინდექსის მნიშვნელობები“. თვითონ ინდექსი აღწერილია ფაქტორებით, რომლებიც დაკავშირებულია შრომით საქმიანობის მნიშვნელოვნების შეფასებაზე.

ისეთ მაჩვენებლებს, როგორც არის მიღწევა და მოგება, აქვთ მასკულიზმის ინდექსით დადებითი კორელაცია, იმ

დროს, როდესაც სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლები უარყოფითია.

აქედან გამომდინარე, კარგ სამუშაო გარემოზე და საქმის ჰუმანურ ხასიათზე წარმოდგენები არ ემთხვევა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებში. „მასკულიზურ“ კულტურებში შრომითი ხასიათის კონვერტაცია უნდა ითვალისწინებდეს ადამიანების მისწრაფებებს ალიარების, მიღწევებისა და სირთულეების გადალახვისაკენ. ქალური კულტურები ჯგუფური კოოპერატივის კარგ სამუშაო ატმოსფეროზე ორიენტირებას ითხოვს.

### 2.4.2. IN ინდექსის მახასიათებლები

ინდივიდუალიზმი	კოლექტივიზმი
საზოგადოების ყველა წევრი უნდა ზრუნავდეს საკუთარ თავზე და ოჯახზე;	საზოგადოების წევრები ეკუთნიან დიდ ოჯახს – კლანს, რომლებიც ზრუნავენ მათზე;
გავლენა აქვს ინდივიდუალურ ცნობი – ერებას;	გავლენა აქვს კოლექტიურ ცხოვრებას;
იდენტურობა ეფუძნება ადამიანის პირად თვისებებს;	იდენტურობა ეფუძნება სოციალური ჯგუფისადმი კუთნილებას;
არ არსებობს ემოციური დამოკიდებუ – ლება ორგანიზაციისა და ინსტიტუტე – ბისადმი;	არსებობს ადამიანის ემოციური დამოკი – დებულება ორგანიზაციისა და ინსტიტუ – ტებისადმი;
ორგანიზაციაში ჩართულობა ეფუძნება რაციონალურ მოტივებს;	ორგანიზაციაში ჩართულობა ეფუძნება მორალს;
აქცენტი კეთდება პირად ინიციატივაზე და მიღწევებზე;	აქცენტირება ხდება ორგანიზაციის მიმართ კუთვნილებისადმი;
იდეალს წარმოადგენს ლიდერობა;	იდეალს წარმოადგენს მისი წევრობა;
თითოეულს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აზრი და პირადი ცხოვრება;	ადამიანის პირად ცხოვრებას კონტროლს უწევს ის ორგანიზაციები, ან კლანები რომლებსაც ეკუთნის;

სოციალურ – ეკონომიკური სისტემი – საგან მოითხოვება პიროვნების ავტონო – მია, მრავალფეროვნება, სიამოვნება და ფინანსური უსარფთხოება;	ინდივიდი ორგანიზაციებისაგან და კლანებისაგან იღებს ექსპერტულ ცოდნას, წესრიგს, მოვალეობებს და უსაფრთხოებას;
იგრძნობა განსხვავებული (პირადი), მეგობრული ურთიერთობების მოთ – ხოვნილება;	მეგობრული ურთიერთობები განისაზ – ღვრება სტაბილური სოციალური ურთი – ერთობებით, მაგრამ იგრძნობა პრესტიჟის მოთხოვნილება ამ ურთიერთობის საზ – ღვრებში;
ნდობით სარგებლობს გადანყვეტი – ლების მიღების ინდივიდუალური პროცესი;	ნდობით სარგებლობს ჯგუფის მიერ კოლექტიურად მიღებული გადანყვეტი – ლება;
ფასეულობებს და ნორმებს აქვს უნივერსალური ხასიათი (უნივერსა – ლიზმი);	ჯგუფში და ჯგუფის გარეთ ქცევები რეგულირდება სხვადასხვა ფასეულობე – ბით და ნორმებით (პარტიულობა);

წყარო: Hofstede G. Culture's Consequences. International Differences in Work Related Values, Beverly Hills: Sage, 1980.

### ცხრილი 2.4.3

#### მასკულიზმის ინდექსის მნიშვნელობები

მასკულიზმის ინდექსის დაბალი მნიშვნელობის მქონე ქვეყნები	მასკულიზმის ინდექსის მაღალი მნიშვნელობის მქონე ქვეყნები
ზოგიერთი ახალგაზრდა მომუშავე მიისწრაფის კარიერული ზრდისაკენ – ზოგიერთი არა;	ახალგაზრდა მომუშავეებისაგან კარიე – რულ წინსვლას ელიან ისინი, ვინც ვერ მიდიან სამსახურებრივად წინ, რომლებიც თავს განიხილავენ და თვლიან უიღბლოებად;
ორგანიზაცია არ უნდა ერეოდეს მომუშავეების პირად ცხოვრებაში;	ორგანიზაციის ინტერესები – პირად ცხოვრებაში ჩარევის კანონიერი მიზეზია.
სამუშაო ადგილზე, სადაც მო-	სამუშაო ადგილებზე, სადაც მო-

ითხოვება მაღალი კვალიფიკაცია და მეტად ანაზღაურებადია, უნდა იყვნენ მეტი ქალები;	ითხოვება მაღალი კვალიფიკაცია და მეტად ანაზღაურებადია, უნდა იყვნენ ნაკლები ქალები;
ქალებს, სამუშაო ადგილზე, სადაც მოითხოვება მაღალი კვალიფიკაცია, დიდად არ მოაქვთ თავი;	ქალებს სამუშაო ადგილზე, სადაც მოითხოვება მაღალი კვალიფიკაცია, დიდად მოაქვთ თავი;
ნაკლებია პროფესიონალური სტრესი;	მეტია პროფესიონალური სტრესი;
ნაკლებია სამრეწველო დავები;	მეტია სამრეწველო დავები;
მიმზიდველია სამუშაო ადგილების რესტრუქტურისზაცია, რომელიც ზრდის ჯგუფურ ურთიერთობას	მიმზიდველია სამუშაო ადგილების რესტრუქტურისზაცია, რომელიც იძლევა ინდივიდუალური შედეგების მიღწევის შესაძლებლობა

წყარო: Ronen S. Comparative and Multinational Management. – N.Y., 1986.

## ცხრილი 2.4.4

### მასკულიზმის ინდექსის მახასიათებლები

„ქალთან“ კულტურა	„კაცთან“ კულტურა
მამაკაცებისათვის არ არის აუცილებელი იყვნენ აგრესიულები, მათ ასევე შეუძ – ლიათ შეასრულონ აღმრზდელობითი ფუნქციები;	მამაკაცები უნდა იყვნენ აგრესიულები ხოლო ქალები კი უნდა ასრულებდნენ აღმრზდელობით ფუნქციებს;
საზოგადოებაში სქესობრივი როლები უფრო ბუნდოვანია;	საზოგადოებაში სქესობრივი როლები მკაფიოდ არის განერილი;
მოსალოდნელია თანასწორობა;	საზოგადოებაში დომინირებენ მამაკა – ცები;
მნიშვნელოვანია ცხოვრების ხარისხი	სამუშაოს შესრულების ხარისხი არის ის, რასაც პირველ რიგში აქცევენ ყურად – ლებას;

იმუშავე, რომ იცხოვრო;	იცხოვრო, რომ იმუშავო;
მნიშვნელოვანია ადამიანები და გარემო;	მნიშვნელოვანია ფული და მატერია – ლური ფასეულობები;
იდეალს წარმოადგენს ურთიერთდამო – კიდებულება;	იდეალს წარმოადგენს დამოუკიდებ – ლობა;
სერვისი უზრუნველყოფს მოტივაციას;	ამბიციები უზრუნველყოფს წინსვლას;
უიღბლოები სარგებლობენ თანაგრძნო – ბით;	აღფრთოვანებული არიან ადამიანით, რომელმაც წარმატებას მიაღწია;
პატარა და ნელი, ლამაზია;	დიდი და სწრაფი ლამაზია;
იდეალს წარმოადგენს უნისექსუალობა და ადამიანურობა;	ფასდება მიზანმიმართული მამაკაცუ – რობა (მაჩოდ ყოფნა)

### საკონტროლო კითხვები

1. რას შეისწავლის შედარებითი მენეჯმენტი?
2. რა არის შედარებითი მენეჯმენტის ძირითადი მიზანი?
3. რით განსხვავდება შედარებითი მენეჯმენტი, საერთაშორისო მენეჯმენ – ტისაგან?
4. რაზე მიუთითებენ და ამტკიცებენ უნივერსალისტები საერთაშორისო ბიზნესზე, კულტურული ფაქტორის გავლენის შესახებ?
5. რას აღნიშნავენ ეკონომიკურ – კლასტერული მიდგომის მომხრეები და როგორ აღიქვამენ კულტურულ ფაქტორს?
6. რას უკავშირებენ კულტურაზე ორიენტირებული, მიდგომის მომხრეები საერთაშორისო მენეჯმენტის ეფექტიანობას?
7. რა არის მთავარი ამოცანა თანამედროვე მენეჯერისათვის, რომელიც ფუნქციონირებს გლობალურ ეკონომიკურ ქსელში?,
8. რამ განაპირობა შედარებითი მენეჯმენტის წარმოშობა?
9. რით განსხვავდება შედარებითი და კროსკულტურული მენეჯმენტი ერთმანეთისაგან?



10. ჩამოთვალეთ სკალების გარდა, ის ობიექტური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქმიან კულტურებზე.
11. დაასახელეთ სოციოლოგ მაქს ვებერის ნაშრომი, სადაც მოცემულია მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, რელიგიურ საფუძვლებთან, ეკონომიკური მოდელის და მოკიდებულების კუთხით.
12. რა იგულისხმება სიტყვა კულტურაში?
13. ჩამოაყალიბეთ კულტურის უფრო დომინანტური განმარტება.
14. რით (რა ფუნქციებით) განისაზღვრება საზოგადოებაში კულტურის მნიშვნელობა?
15. რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს კულტურის ფენომენს?
16. კულტურის თეორიული გამოკვლევების რა მიმართულებები გამოიყენება შედარებით მენეჯმენტში?
17. რით იქცევს ყურადღებას კულტურის ფასეულობრივი თეორიებიდან ჯ. როკიჩის მიდგომა?
18. რა აჩვენა გ. ჰოფსტედეს გამოკვლევებმა?
19. რა იგულისხმება გ. ჰოფსტედეს მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებში „მასკულიზმი“?

## **თავი III.**

---

### **გლობალიზაცია – სამეურნეო საქმიანობის ინტეგრაციონალიზაციის სივრცობრივი მახასიათებლები**

#### **3.1. გლობალიზაციის არსი და მისი განვითარების ეტაპები**

გლობალიზაცია – სამეურნეო საქმიანობის ინტეგრაციონალიზაციის სივრცობრივი მახასიათებელია, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში მეტად ინტენსიურ ხასიათს იღებს და მთელ მსოფლიოს მოიცავს. სამეურნეო ცხოვრების მსხვილი სუბიექტები, გლობალური მასშტაბის მოთამაშეებად იქცნენ, პრინციპულად შეიცვალა ეროვნული საზოგადოებრივი ორგანოების განვითარების ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება, ასევე სახელმწიფოთა, როგორც ორგანიზაციურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების როლი, რომლებიც ასაზრდოებენ ამგვარი ორგანიზაციების ფუნქციონირებას.

საგულისხმოა, რომ ამ მიმართულების ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციის სათავედ მე-19 საუკუნეს მიიჩნევს, ზოგიერთი კი უფრო შორსაც მიდის და მის საწყისს ეტაპად მე-16 საუკუნეს ასახელებს. აიგივებს რა მას საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებასთან, ეროვნული მეურნეობების საფინანსო ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან და სხვ., აღნიშნული მკვლევრები ასკვნიან, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ინდუსტრიალ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ბევრი პარამეტრის მიხედვით არანაკლები იყო, ვიდრე მეოცე საუკუნის ბოლოსათვის. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა იდეა გლობალიზაციის ორი ან სამი ტალღის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებსა და დასახელებულ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (ძირითადად განვითარებული ქვეყნების) სამეურნეო სისტემების განვითარებასა და ურთიერ-

თდამოკიდებულების ხასიათს შორის გარკვეული საერთო მახასიათებლები შეინიშნება, მაგრამ გლობალიზაციის არსი, უფრო რთულია და შესაბამისად, სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის რთულ თვისებრიობაში გადასვლასა და მსოფლიოს ეკონომიკის ისტორიის თვისებრივად ახალი ეტაპის დაწყებაში გამოიხატება.

ბოლო ათწლეულში იმფორმაციული რევოლუციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარების კვალობაზე, მსოფლიოს ეკონომიკის განვითარება პრინციპულად და თვისებრივად ახალ საფეხურზე აღმოჩნდა, რაც რეალურ ეკონომიკასთან ერთად, ვირტუალური ეკონომიკის განვითარებასაც ითვალისწინებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წარმართველი სუბიექტები ტრანსნაციონალური კომპანიებია, რომელთა რაოდენობამ მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის 40 ათასს მიაღწია, ხოლო 2021 წლისათვის შეადგინა 60 ათასი. აღნიშნული ტენდენციების შედეგად ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური, სამეცნიერო ტექნიკური, სამართლებრივი და ინფორმაციული ურთიერთდა – მოკიდებულების ხარისხმა მიაღწია იმ პრინციპულ ზღვარს, როდესაც გარდაუვალია მინიმუმ სამი პრინციპულად ახალი მოვლენა.<sup>1</sup>

1. მსოფლიოს ეკონომიკური თანამეგობრობა ტრანსფორმირდება ერთიან ეკონომიკურ სისტემად (ორგანიზაციად), სადაც ეროვნული სოციუმები ყალიბდება მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ელემენტებად, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია, არა მარტო შრომის საერთაშორისო დანაწილებით, არამედ გლობალური ფინანსური სისტემითა და პლანეტარული ინფორმაციული ქსელით, აგრეთვე, მსოფლიოს წარმოებისა და რეალიზაციის სტრუქტურების გიგანტური მასშტაბებით;

---

<sup>1</sup> Шишков Ю., Глобализация – враг или союзник развивающихся стран?, журнал. МЭ и МО № 4, 2003, с. 4 – 5.

2. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული და მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთობის როლები იცვლება. კერძოდ, წინაპლანზე გამოდის მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები;
3. გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობების სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციის დასუსტებასა და გაუფასურებას, ვინაიდან მას (იგულისხმება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) ამ პირობებში ნაკლებად შეუძლია ეროვნული მეურნეობის დაცვა ნეგატიური – საგარეო-ეკონომიკური ზეგავლენისაგან.

„გლობალიზაციის პროცესში წარმოიქმება სოციალური კავშირებისა და ურთერთობის, ქცევის ნორმების ახალი სტანდარტები. შესაბამისად, გლობალიზაცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ცხოვრების რიტმს უქვემდებარებს მოცემული ეთნოსისათვის ხშირად მიუღებელ და არასასურველ ტრანსნაციონალურ სტანდარტებს.

ამასთან, მიმდინარეობს იდეოლოგიური და ეკონომიკური ექსპანსია-ზენოლა კოლექტიური თვითშეგნების აღმოსაფრხველად და ტრადიციული სოციალური კავშირების დასასუსტებლად.“ გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით ილახება განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, ვინაიდან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომელიც ცდილობს ადგილობრივი წარმოების ტრადიციული დარგების მოხრჩობას, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ სამსახურში მათ ჩაყენებას..... სასურველი სასათბურო პირობები იქმნება გლობალური ფირმების მოღვაწეობისათვის, რაც, უმრავლეს შემთხვევაში მიმართულია სუვერენულ სახელმწიფოთა ეროვნული მეურნეობის ინტერესების სანინაალმდეგოდ.“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> დ. კვარაცხელია, გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო და ეროვნული ეკონომიკა, გაზ. „ახალი ერა“, 2003, 9 სექტემბერი, გვერდი. 7-8.

21-ე საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო-პრაქტიკულ წრეებში აქტიურად განიხილება გლობალიზაციის ნეოლიბერალური ტიპის კრიზისისა და მისი ახალ თვისებრიობაში გლობალიზაციის სინერგეტიკულ ტიპში გადასვლის საკითხები. (სინერგეტიკა – მეცნიერებაა თვით განვითარებადი რთული, ღია სისტემების შესახებ, ამგვარი სისტემები ხასიათდება გარე და შიგა რყევებით, მათში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები მთელს სისტემას მოიცავს, როგორც ერთიან ორგანიზმს. ასევე შეინიშნება გადასვლის ფაზები ენტროპიიდან (თვითგანადგურება, სისტემის მოძველება) მონესრიგებული ქაოსისაკენ (დისიპაცია). თანამიმდევრული ცვლილებების შედეგად სისტემა შედის ახალ დინამიკურ რეჟიმში, რომელიც მიმართულია განსაზღვრული საფინანლო წონასწორობის მიღწევისაკენ, რომელიც რეალიზაციას უკეთებს წინა ეპოქაში დაგროვილ ტრანსფორმაციულ პოტენციალს).

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს პროცესები გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გაძლიერებით, თუ გლობალიზაცია „მსოფლიოს ქვეყნების პროგრესულ ინტეგრაციას გამოხატავს, ლოკალიზაცია გამოხატავს რეგიონული ცნობიერების დამკვიდრების აუცილებლობას“<sup>1</sup>

ცნობილია, რომ გლობალიზაცია თავის განვითარებაში გაივლის რამდენიმე ეტაპს. ეკონომიკური გლობალიზაციის პირველ ეტაპზე ხორციელდება პრაქტიკულად ყველა ეროვნული ეკონომიკის ისეთი გაძლიერებული დამოკიდებულება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიების, ცოდნისა და ნოუჰაუს საერთაშორისო ბაზრებზე, რომ ეროვნული ეკონომიკის წინსვლითი და ეფექტიანი განვითარება შეუძლებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე.

მეორე ეტაპზე, წარმოიშობა და წყდება სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკურ-სამართლებრივი პირობების გამოთანაბ-

---

<sup>1</sup> თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა 21-ე საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 49.

რების ამოცანები და ხორციელდება სახელმწიფოთა, საფინანსო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია. ასეთი გამოთანაბრება და კოორდინაცია ხორციელდება რეგიონული ინტეგრაციის შედეგად.

მესამე ეტაპზე, როგორც ეს დღევანდელი პოზიციებიდან ჩანს, მოხდება ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მაკროდონეზე ეკონომიკური პროცესების ერთიანი მართვა და მიკროდონეზე ერთიანი „თამაშის წესების შემოღება“.

მსოფლიო ეკონომიკის ორგანიზაციას წინ უძღვის ან, პირიქით, ეწინააღმდეგება რეგიონალიზმი, ასევე მოასწავებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებასა და სამეურნეო სუბიექტების ინტერესების ეროვნული საზღვრებიდან გასვლას, მაგრამ, ამასთან ერთად ამ ტენდენციების მოქმედების სფერო შეზღუდულია რეგიონულ ჩარჩოებში. რეგიონალიზმი, არსებობს როგორც რეგიონული განვითარების ტენდენცია და როგორც შეგნებულად ფორმირებადი მიზანი.

ღია რეგიონალიზმი, რომელიც მოცემული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და ინტეგრაციულ ურთიერთქმედებას განიხილავს მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში, მოქცეულია ეკონომიკური გლობალიზაციის კალაპოტში. ამასთან, ღია რეგიონალიზმი არსებითად წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თავისებურ წინა ეტაპს, წინამდებარე, სტადიას. ასეთი ღია რეგიონალიზმის მაგალითად, გვევლინება ევროკავშირი. ღია რეგიონალიზმი, როგორც ანალიზისა და გადანყვეტილებათა გამომუშავების მეთოდოლოგია წარმოადგენს გლობალიზაციის მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილს.

რაც შეეხება დახურულ რეგიონალიზმს, ის გლობალიზაციის საწინააღმდეგო ქმედებაში გამოიხატება. ასეთი რეგიონალიზმი გამიზნულია მოცემული რეგიონის გლობალიზაციის ნეგატიური შედეგებისაგან დასაცავად. იგი წარმოადგენს რეგიონის საზღვრებამდე გაფართოებულ პოლიტიკას, სწორედ დახურული რეგიონალიზმის სტრატეგია გახდა მსოფლიოს სოციალისტური სისტემის კრახის მიზეზი, რადგანაც აღნიშ-

ნული სისტემა უუნარო აღმოჩნდა, მზარდი მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების მიმართ ადაპტირებისადმი. დახურული რეგიონალიზმის მეთოდოლოგია არსებითად პროტექციონიზმის მეთოდოლოგიას წარმოადგენს.

გლობალიზაციის, როგორც მიზნის შინაარსის გაგება უკავშირდება ადამიანების, სახელმწიფოთა ლიდერების, მსხვილი ბიზნესის ხელმძღვანელების, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების, ეროვნული და საერთაშორისო ჩინოვნიკების მოღვაწეობას, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართულია ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნისაკენ და მის შესატყვისად მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მონყობისაკენ. ამასთან შეიძლება გამოვეყოთ ასეთი მოღვაწეობის სამი დონე

- გლობალური, საერთაო პლანეტარული;
- რეგიონული;
- ეროვნული;

აღნიშნულ დონეებზე თითოეული ქვეყანა წყვეტს ეროვნული ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მოთხოვნებთან ადაპტაციის თავის სპეციფიკურ ამოცანებს.

### **3.2 გლობალიზაციის მეთოდოლოგია და მისი შეხამება ეროვნულ ინტერესებთან**

გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით და ჩვენი ძირითადი იდეიდან გამომდინარე, აუცილებელია განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში ინტეგრაციული ფაქტორების გათვალისწინება. რაც შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. საჭირო და აუცილებელია გლობალიზაციის სწორი გაგება, მის მიმართ განონასწორებული და გონიერი დამოკიდებულება. საჭიროა გლობალიზაციის არსის განხილვა მის ყველა განზომილებაში, გლობალიზაციისადმი დამოკიდებულება გავხადოთ ცალსახა, ვაღი-

- როთ, რომ გლობალიზაცია არის ეკონომიკური ზრდა – განვითარების საუკეთესო საშუალება;
2. გლობალიზაცია ქვეყნებს უქმნის შესაძლებლობას, მოახდინონ თავიანთი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის ადაპტირება, გლობალიზაციის დინამიკასთან მიმართებაში, თავიანთი ეკონომიკის სტრატეგია შეუხამონ ევროპული და აზიური რეგიონალიზმის განვითარებას, აგრეთვე ყველა დონის ინტეგრაციულ პროცესებს – რეგიონულს, სუბ რეგიონულს, ორმხრივს;
  3. გლობალიზაციისადმი, როგორც მიზნისადმი მიდგომა, რომელსაც თავის თავის წინაშე აყენებენ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები, საშუალებას იძლევა გლობალიზაციის პროცესი წარიმართოს მდიდრებისა და ღარიბების ინტერესების შეხამებისაკენ, მათ შორის მდიდრების სტრატეგიულ ინტერესებში გათვალისწინებისაკენ. საქართველოსათვის და სხვა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა მსოფლიოს ლიდერი ქვეყნებისაგან გლობალიზაციის პროცესებისაგან, თვითიზოლაცია;
  4. ეს არის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საქონელწარმოების დაცვის პრობლემა, რომელიც საჭიროებს ძალიან ანონილ – დანონილ მიდგომას. არ უნდა დავეშვათ ისეთი სიტუაცია, როდესაც, მაგალითად, საქართველო ხელიდან გაუშვებს სარგებლიანობას. სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებისა და კონკრეტულად საქართველოსათვის ხელსაყრელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთქმედების ისეთი პოლიტიკა, რომელიც ადგილობრივ მწარმოებელს თავისი პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიური დონის ამალღების სტიმულს მიცემს, ლიბერალიზაციის, ვაჭრობისა და ინვესტიციების წესებისა და სტანდარტების გამოთანაბრების მეშვეობით. ამ კონტექსტში საქართველოსა და რეგიონის ყველა ქვეყნის ინტერესებს უპასუხებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში



განევრება. (საქართველო ამ ორგანიზაციის წევრი გახდა 2000 წლის 14 ივნისს).

5. როგორ იქნეს გამოყენებული დასავლეთ ევროპის, აზიის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უსაფრთხოებისა და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან.
6. ინტერნაციონალური ძალისხმევით, როგორ გამოვაცოცხლოთ საქართველოს სამეცნიერო – ტექნოლოგიური პოტენციალი, როგორ გამოვიყენოთ ის გლობალური და რეგიონული ცოდნის კონტექსტში, გლობალიზაციის ყველა გამონწვევების მიმართ ეფექტიან პასუხზე არის დამოკიდებული მთელი სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების დინამიზმი. ამიტომ, ეს გარემოება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისას.

ცნობილია, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე. ქვეყნის შიგა ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის გლობალურ და რეგიონულ ლიდერებთან კოორდინაციის გარეშე. ქვეყნის ობიექტურ სტრატეგიულ მიზნად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაციისა და პერსონიფიცირების პროცესში.

ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები პრაქტიკულ საქმიანობაში გლობალიზაციის მეთოდოლოგიის ანალიზისა და გადამწყვეტილებების მიღებისათვის, აწყდებიან ბევრ სხვადასხვა კითხვას. დღეს მთავარია, კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ

ხდება გლობალიზაციის მეთოდოლოგიის შეხამება ეროვნულ ინტერესებთან. რადგან ეროვნული ინტერესების ფორმირება დამოკიდებულია მოთხოვნილებათა სტრუქტურაზე, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარულ მოთხოვნილებებზე, ამ მოთხოვნილებათა სტრუქტურის ცვლილების საშუალებითა და ფორმირების მეშვეობით გლობალიზაციის მეთოდოლოგიაში შეიძლება შეიცვალოს თვით ეროვნული ინტერესების ფორმულირება.

როგორია პასუხი კითხვაზე, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისობის პრობლემასთან? ეროვნული ინტერესების გაგება, არა, როგორც „მუდმივის“, არამედ, როგორც „ინტერპრეტაციაში არსებულის“, საშუალებას იძლევა, რომ დიალოგის, ურთიერთობის, ჩართვის სადემონსტრაციო ეფექტისა და ა. შ. საშუალებით შეიძლება ზეგავლენა მოვახდინოთ გლობალიზაციის მონინაალმდეგეთა ჰუმანიტარულ მოთხოვნილებათა სტრუქტურაზე. ზეგავლენის მოხდენა არ ნიშნავს შეცვლას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ვაწყდებით საზოგადოებრივი განვითარების არსის სხვადასხვაგვარ გაგებას. ამაში მდგომარეობს გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოწვევა: აქვს რა ობიექტური ხასიათი იმ აზრით, რომ გლობალიზაცია არის რეალობა და თანამედროვე საინფორმაციო – კომუნიკაციური რევოლუციის ლოგიკური შედეგი, მსოფლიო ბაზრის განვითარების შედეგი, იგივე არ იძლევა თავისთავად მსოფლიო პროგრესის გარანტიას. მხარდაჭერისათვის გლობალიზაციის ტენდენციები საჭიროებს ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ქვეყნების შეცნობილ, შეგნებულ მოქმედებას. ტრანსნაციონალური კორპორაციების, აგრეთვე საერთაშორისო ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ცნობილი პიროვნებების მხარდაჭერას, რომლებიც მიზნად ისახავენ გლობალიზაციის შემდგომ განვითარებას; ამასთან ისინი აყალიბებენ თავიანთ ინტერესებს გლობალიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

საქართველოში დღეს გლობალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს ის შეხედულება, თითქმოს მას ჩვენთვის მოაქვს ბევრი ცუდი და უბედურება, ვიდრე გვთავაზობს შესაძლებ-

ლობებს. მაგრამ ამასთან ერთად ჩამოყალიბებას იწყებს სხვანაირი პოზიციის ფორმულირებაც, საქართველოს ეროვნული ინტერესების ფორმულირება გლობალიზაციის შუქზე, ჩვენს ქვეყანას აძლევს მძლავრ ორიენტაციას იმაზე, რომ დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკასთან.

გლობალიზაციის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, საქართველოს ინტერესებს უდავოდ უპასუხებს გლობალიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა, ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ახალ პირობებთან, ახალ შესაძლებლობებთან და გლობალიზაციის ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია.

### **3.3. საქართველო მსოფლიო გლობალურ პროცესებში, გლობალიზაცია და ნაციონალიზაცია**

უახლესი გლობალური სოციალურ-კულტურული, ზოგადისტორიული პროცესების შედეგად საქართველო გადაიქცა ახალი გლობალური ტენდენციების რეალიზაციის ასპარეზად, რაც მნიშვნელოვნად ცვლის მისი ისტორიული ევოლუციის ხასიათს. აღნიშნული ურთულესი ცივილიზაციური პროცესების სწრაფი და ინტენსიური ინფორმაციული ნაკადებით ზემოქმედებს მთლიანად ქვეყანაზე და თითოეულ პიროვნებაზე.

ტერმინი გლობალიზაცია წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „გლობუსი“ და ეტიმოლოგიური მნიშვნელობით დედამიწას, მის მთლიანობას ნიშნავს. გლობალიზაციის რეალობა ეხება ნებისმიერ ადამიანს. თითოეულ ჩვენგანს აქვს მოთხოვნილებები სხვადასხვა სიკეთეზე, ხშირად ვიძენთ საზღვარგარეთულ საქონელს, რითაც ძალაუწევს ვერთვებით საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ვსარგებლობთ ინტერნეტით, მობილური კავშირგაბმულობით, პრესით, ტელევიზიით. ეს შეეხება არამხოლოდ საქართველოს, არამედ ყველა ქვეყანას. აღნიშნული პროცესი შეუქცევადია, ისე როგორც ვერ დაბრუნდება წარსული. არსებობს გლობალიზაციის მრავალი განმარტება: გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთდამოკიდებუ-

ლების გაძლიერების პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ პოლიტიკურ ფსიქიკურ ბარიერებსა და მიმართულია კულტურულ ცივილიზაციური – ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ.<sup>1</sup>

გლობალიზაცია არის ისტორიულ მასშტაბში სხვადასხვა ცივილიზაციების თანდათანობით მზარდი ურთიერთქმედებისა და ურთიერთშერწყმის პროცესი. გლობალიზაცია შედარებით ახალი მოვლენაა, მისი კვლევა დასავლეთში იწყება მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. ტერმინი გლობალიზაცია პირველად გამოყენებულია 1983 წელს ამერიკელი მეცნიერის ი. ლევიკინისა და რ. რობერტსონის ნაშრომებში.

ერთი შეხედვით ათასწლეულების წინ ცივილიზაციური და ლოკალური კულტურები იზოლირებულად ვითარდებოდა, მაგრამ მათ შორის სავაჭრო ეკონომიკური და კულტურული კავშირები საუკუნეების განმავლობაში სულ უფრო ძლიერდებოდა. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიო ბაზრის გაძლიერებას მოჰყვა აღნიშნული პროცესის აზვირთება. ქვეყნები და რეგიონები დაუკავშირდნენ ერთმანეთს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სისტემებით. თავი იჩინა გლობალიზაციის ახალმა ფაქტორებმა: გეოპოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურ-კულტურულმა, დემოგრაფიულმა ეკონომიურმა, ტექნოსფეროს გლობალიზაციამ და ა. შ.<sup>2</sup>

მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაში ყალიბდება ახალი წესრიგი, რამაც შეიძლება სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოშვას. ახალი გამოწვევებს საქართველო მომზადებული უნდა შეხვდეს. სტრატეგიული განვითარების ვექტორი ინაცვლებს სამხედრო პოლიტიკურ სფეროდან, ეკონომიკურისა-

---

<sup>1</sup> ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, 2005, გვ. 380.

<sup>2</sup> ე. ბარათაშვილი., ზ. ნასარაია., ნ. გალახვარიძე., ლ. მამულაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022 გვ. 565.

კენ. სულ უფრო პრიორიტეტული ხდება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები.

გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის ჩამოყალიბება უბიძგებს კაცობრიობას იდეოლოგიის კონვერგეციისაკენ და საერთო მსოფლიო ფასეულობების შექმნისაკენ. ქვეყნები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. თანდათან ქმნიან რა ერთიან კულტურას. ბიზნესის წარმართვის საერთო წესებს. განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, მისი მიახლოებაა ევროპულ სტანდარტებთან ბოლონიის ევროპულ სისტემასთან.

კულტურის არსებობა მიმდინარეობს ადამიანთა საზოგადოების შექმნიდან. კულტურა სცილდება მხოლოდ იდეოლოგიის ჩარჩოებს. კულტურები ყალიბდება სხვადასხვა დონეზე – ოჯახის, კლანების, სოფლის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნისა და ა. შ. კულტურული იდენტიფიკაცია ახასიათებს როგორც ერს, ისე სახელმწიფოს. კულტურული იდენტიფიკაციის ყველაზე დიდი კონსტრუქციაა ცივილიზაცია, რომელშიც სხვადასხვა ხალხების ინდენტიფიკაცია ხდება. მათი დამაკავშირებელი ესთეტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული თუ სოციალური ტრადიციები მათი დამაკავშირებელია. ფაქტობრივად ცივილიზაციები ტრანსნაციონალური ერთობებია. ცივილიზაციები დინამიკურია სივრცესა და დროში, სხვადასხვა კულტურების გაერთიანებასთან ერთად ისინი ყალიბდება წარსული ცივილიზაციების ფასეულობებსა და იდეებზე.

მაგალითად, შუა საუკუნეების ქრისტიანობა გარკვეულ წილად დაეფუძნა ძველ ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციების ფასეულობებს.

კულტურის გლობალიზაცია ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი მოვლენაა. საუკუნეებისა და ათწლეულების განმავლობაში ერები საკუთარი თვითყოფადობის შენარჩუნებას ეროვნული კულტურის შენარჩუნების ფასად ახერხებდნენ. დღეს ეროვნული კულტურის ნაცვლად ყალიბდება დასავლური, ძირითადად აშშ-ის კოსმოპოლიტიკური იდეოლოგია და კულტურა. სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას აცვია ერთნაირად, უსმენენ ერთსა და იმავე მუსიკას, უყურებენ ერთსა და იმავე

ფილმებს და ტელეგადაცემებს. იკვებებიან ერთსა და იმავე საკვებით, სასმლით: კოკა-კოლა, მაკდონალდსი და ა. შ. შედეგად, თანდათან ერთნაირ ფასეულობებს იძენენ. განსხვავებები ხალხებსა და ქვეყნებს შორის იშლება, დრო და სივრცე იკუმშება, თანამედროვე კომუნიკაციებისა და მედიის საშუალებებით. ყალიბდება უეროვნებო, კოსმოპოლიტური მსოფლიო მოქალაქე, ასეთ ფონზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია და აქტუალური ეთნომენეჯმენტის საკითხების შესწავლა, პრობლემებისა და წინააღმდეგობების კუთხით.

საერთაშორისო უნივერსალური ენის იდეა წარმოიშვა მე-19 საუკუნის ბოლოს. მსოფლიოში ხუთი ათასზე მეტი ენაა, მიუხედავად ესპანური და გერმანული ენების პოპულარობისა, ჩინური მასშტაბურობისა, მსოფლიო ენად მაინც ინგლისური იქცა, აღნიშნულს შემდეგმა გარემოებამ შეუწყო ხელი. პირველ რიგში, აშშ-ისა და ინგლისის ეკონომიკურ-პოლიტიკურმა, სამხედრო სიძლიერემ, ასევე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებმა. დღეს. ნებისმიერი დარგის მეცნიერისათვის, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია მისი საპირისპირო ფენომენის ნაციონალიზმის გაძლიერება. შეიძლება ითქვას გლობალიზაცია და ნაციონალიზმი თანამედროვე ეპოქის მთავარი დაპირისპირებული ძალებია.

თუ ახლო წარსულში ნაციონალიზმი განიხილებოდა, როგორ სიძველის გადმონაშთი, ბოლო პერიოდში ნაციონალიზმმა, როგორც იდეოლოგიამ და სოციალურმა მოძრაობამ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიოს ფორმირების პროცესში, სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, ნაციონალური ნიშნით, მეოცე საუკუნის დასასრულს ოთხი სახელმწიფო დაიშალა – საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია. წარმოიშვა 22 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა კვლავ არ შენელებულა. ნაციონალიზმის არსშია, დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა, ხალხთა განსაკუთრებული კულტურისა და ისტორიის არსებობის ხასკასმა.

ნაციონალური სიმბოლოებია: ენა, ეროვნული დღესასწაულები, დროშა, ჰიმნი, გერბი, ჩასაცმელი, საკვები და ა. შ.

ნაციონალიზმის თანახმად ცალკეული ერები და შესაბამისად „ეროვნული გრძნობა“ – ათასწლეულების მანძილზე არსებობს, თუმცა ნაციონალიზმის დოქტრინა მე-18 საუკუნის დასასრულიდან იწყებს გავრცელებას. მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპა ნაციონალური მოძრაობების აღმავლობის ფაქტის წინაშე დადგა. იმპერიები თანდათან თმობდნენ პოზიციებს, პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ გეოპოლიტიკური სურათი რადიკალურად შეიცვალა. 1991 წელს დაიშალა ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა კავშირი.

როგორც გლობალიზაციას, ნაციონალიზმსაც აქვს პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. პოზიტიურია:

- ნაციონალიზმი იწვევს ლეგიტიმურობის პრინციპის შექმნასა და გაძლიერებას. ემყარება სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა გამოხატოს საკუთარი ხალხის ინტერესები;
- ნაციონალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების რეალიზაციას, ის საშუალებაა, რომლითაც წარმომადგენლობის პრინციპი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო არენაზე;
- ნაციონალიზმს აქვს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფუნქცია. იგი იწვევს საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის გაძლიერებას, კულტურულ ერთიანობას და ა. შ.;
- ნაციონალიზმი იყო და რჩება საზოგადოების შემოქმედებისა და მრავალ ფეროვნების წყაროდ: ხელოვნების, ლიტერატურის, ენის, სპორტის და ა. შ. მიღწევებში.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ნაციონალიზმს აქვს ნეგატიური მხარეებიც:

- ნაციონალიზმი არის კონფლიქტებისა და ომების მთავარი მიზეზი. ქმნის წინააღმდეგობებს სავაჭრო, ეკონომიკური თუ სხვა თანამშრომლობისათვის;
- სეპარატიზმის ხელშეწყობით, ასუსტებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებებს;
- სახელმწიფოების შიგნით შეიძლება მოხდეს ძალაუფლების უზურპაცია, ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრა და ა. შ.

### **3.4. საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ეროვნული ინტერესების არსი**

ეკონომიკური განვითარების მთავარ მიზანს საზოგადოებრივი მოთხოვნილება და დაკმაყოფილება წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს საქონელზე და მომსახურებაზე ადამიანების ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მოთხოვნილებათა გაჯერების სტადიაზე ყურადღებას იპყრობს სამი ასპექტი: რა ზომით არის ადამიანის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული, რა ძალებითა და როგორი სიხშირით მეორდება ეს პროცესი.

მოთხოვნილებათა გაჯერების სტადიები, ან მისთვის საჭირო ძალისხმევის დონე, შეიძლება იყოს უსასრულოდ მრავალნაირი:

- საერთოდ სულაც არ იქნეს დაკმაყოფილებული;
- დაკმაყოფილებული იქნეს მინიმალური დონით;
- დაკმაყოფილებული იქნეს მისაღები დონით (სანახევროდ);
- დაკმაყოფილებული იქნეს თითქმის მთლიანად (სრულად);
- დაკმაყოფილებული იქნეს მთლიანად.



მოთხოვნილება განისაზღვრება „ხედვის სხვადასხვა დონით“ და ის შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს შემდეგი სახეებით:

- ინდივიდუალური მოთხოვნილება, როდესაც ადამიანი სხვებზე უკეთ განსაზღვრავს, რამდენი და როგორი ხარისხის საქონელი, მომსახურება სჭირდება მას მოცემული საბაზრო სიტუაციისა და მისი საფინანსო შესაძლებლობების პირობებში;
- საფირმო – საქარხნო, ანუ საწარმოო დონე – ან მიკრო დონეზე ფირმის ხელმძღვანელობამ შეიძლება ძალიან ზუსტად განსაზღვროს თავისი მოთხოვნა ნედლეულზე, მანქანა-დანადგრებზე, კაპიტალზე, სამუშაო ძალაზე, გასაღების ბაზარზე;
- დარგობრივი, ამ დროს საკითხი ეხება ეკონომიკის მთელი დარგის მოთხოვნებს. ასეთი დონის მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საჭიროა სამინისტროს, ან მთავრობის გადანყვეტილება;
- ტერიტორიული, აქ მხედველობაშია მოთხოვნილება წარმოების ფაქტორებზე, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, ცალკეული რეგიონების ერთი ქვეყნის ფარგლებში;
- საერთო სახელმწიფოებრივი, ამ შემთხვევაში საქმე ეხება სახელმწიფოს მოთხოვნილებებს მთიანად;
- რეგიონული მოთხოვნილება განისაზღვრება იმ რეგიონების ფარგლებში, სადაც განლაგებულია მოცემული ქვეყანა;
- გლობალური, საერთო – მსოფლიო მოთხოვნილება. საკითხი ამ შემთხვევაში ეხება მთელი კაცობრიობის მოთხოვნილებებს (მაგალითად, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება);

საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობები გამოვლინდება ინტერესების შეჯახებითა და ურთიერთქმედებით. ინტერესი წარმოადგენს შეგნებულ მოთხოვნილებას, რომელიც

გარდაიქმნება მოღვაწეობის მოტივად. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ ინიციატივას განვსაზღვრავთ, როგორც მოქმედებაში მოყვანილ ეკონომიკურ ინტერესს, როგორც ეკონომიკურ ინტერესების სარეალიზაციოდ მიმართულ მოღვაწეობას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესსა და ინიციატივას შორის შესაძლებელია არსებობდეს განსხვავება, რაც მოსახლეობის შრომით აქტიურობის კონსერვაციისა და ეკონომიკური განვითარების სტაგნაციის მომასწავლებელია.

აღამიანებს, როგორც წესი, ახასიათებთ ჰუმანიტარული მოთხოვნილება და პირად ურთერთობათა მოთხოვნილება. აღამიანის ჰუმანიტარული მოთხოვნილე – ბები მოიცავს:

- ცოდნას, ანუ ინფორმაციის მიღების მოთხოვნა;
- იფიქროს ანუ ცხოვრებისა და თვითანალიზის გააზრების მოთხოვნილება;
- სჯეროდეს ანუ მოთხოვნილება იდეოლოგიურ და რელიგიურ მრწამსზე;
- ჰქმნიდეს, ე. ი. შექმნას კულტურული, მეცნიერული იდეოლოგიური ფასეულობები;
- გამოთქვამდეს და იყოს მოსმენილ – გაგებული;
- გავლენას ახდენდეს პირად ცხოვრებაზე და საზოგადოების ცხოვრებაზე, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით. ამ მოთხოვნილებას შეიძლება ეწოდოს აღამიანის პოლიტიკური მოთხოვნილება.

პირადი უსაფრთხოების მოთხოვნილებისაგან განსხვავებით, ჰუმანიტარული მოთხოვნილებები აღამიანს არ ეძლევა ბუნებისაგან, არამედ ფორმირდება საზოგადოების განვითარების კვლობაზე, მისი პირადი უსაფრთხოების მოთხოვნილებისა და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა გაჯერების მიხედვით. ჰუმანიტარულ მოთხოვნილებებს აღამიანის პირადი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მოთხოვნილებების მიმართ დაქვემდებარებული ხასიათი აქვთ.

აღამიანის ჰუმანიტარულ მოთხოვნილებათა ფორმირების წყარო შეიძლება იყოს, ან სახელმწიფო – სახელმწიფოებრივი,

პოლიტიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუტების სახით, ან კიდევ თვით ადამიანი, რომელმაც უკვე მიაღწია განვითარების გარკვეულ დონეს. ადამიანის სულიერი განვითარების დონე, რომლის შემდეგ ადამიანი თვითონ ხდება პირადი ჰუმანიტარული მოთხოვნილებების წყარო, შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოებრივ – პოლიტიკური სიმნიფის დონე.

ადამიანთა ცხოვრების შემაერთებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს პირადი ურთიერთობათა მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის სხვა დანარჩენი მოთხოვნილებების რეალიზაციის წინა პირობას. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და მისი მიზანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაა, ხოლო ასეთი ურთიერთობის გარეშე ადამიანის სიცოცხლე აზრს კარგავს. ამ ურთიერთობაში ადამიანი წარმოგვიდგება თავის ორის ერთიანობაში – როგორც ადამიანი – პიროვნება და როგორც ადამიანი ფუნქცია. ადამიანი – პიროვნება წარმოადგენს თავის თავს, მუშაობს და საქმიანობს თავისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადამიანი – ფუნქცია კი წარმოადგენს იმ ორგანიზაციის ინტერესებს, სადაც ის მუშაობს, რომელსაც ის განეკუთნება.

გლობალიზაციას ადამიანის მოთხოვნილებები გააქვს ეროვნული საზღვრების გარეთ. ადამიანის საერთაშორისო ურთიერთობებში უკვე გამოდის არა როგორც უბრალოდ თავისი ქვეყნის მოქალაქედ, არამედ როგორც დამოუკიდებელ სუბიექტად, როგორც მსოფლიოს მოქალაქედ.

აქვე საინტერესოა განვიხილოთ ეროვნული ინტერესების არსი. ზოგადად ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეულ მიზნებს, რომელთა მიღწევისათვის სახელმწიფომ უნდა გაატაროს სათანადო პოლიტიკა. ეროვნული ინტერესები გულისხმობს აგრეთვე პოლიტიკის ისეთ მიმართულებას, რომელიც დანარჩენებისაგან გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რაოდენ ალტერნატიულადაც არ უნდა გამოიყურებდნენ ისინი. ამგვარი პოლიტიკა გულისხმობს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც ცალკეული პირების, ჯგუფების ინტერესებს კი არ გა-

მოხატავენ, არამედ მთელი ერის, სახელმწიფო ინტერესებს. ამგვარი პოლიტიკა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ეროვნული, სახელმწიფო ინტერესებს არის დაქვემდებარებული. პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი „მამამთავარი“ ჰ. მორგენტთაუ აღნიშნავს, რომ ეროვნულ ინტერესებს დაცვა სჭირდებათ („ეროვნული ინტერესები დაცულ უნდა იქნან არაეროვნული ინტერესების მიერ უზურპაციისაგან“)<sup>1</sup>

ჰ. მორგენტთაუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოღვაწეები საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფიქრობენ და მოქმედებენ, ასე იყო წარსულში, ასეა ამჟამად და ასევე იქნება მომავალში.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, პირველ ყოვლისა, „მაღალი პოლიტიკის“, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს გულისხმობს. ნებისმიერი მთავრობა დემოკრატიულია იგი თუ არა, ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას გაატარებს, რადგან დაუნდობელ ანარქიულ საერთაშორისო ასპარეზზე ეს ერთადერთი არჩევანია. რას ნიშნავს ეროვნული ინტერესები? კ. დოიჩის აზრით, ინდივიდისა, თუ ჯგუფის ინტერესები განისაზღვრება ორი მომენტი: ყურადღების პრიორიტეტითა და ჯილდოს მოლოდინით<sup>2</sup>

თუ რაიმემ აღძვრა ჩვენი ინტერესი, იგი ჩვენს ყურადღებას მიიქცევს და გარკვეულ გამოცდილებას, კმაყოფილებას მოგვანიჭებს, ან „ჯილდოს“ მიღების იმედს მოგვცემს. „ჯილდოს“ მიღება ნიშნავს ისეთი რამის მიღებას, რასაც ჩვენთვის ფასი აქვს, ან იმის შენარჩუნებას, რაც გვეძვირფასება და რის დაკარგვასაც ვერ შევურიგდებით. პოლიტიკაში კი უპირველესი „ჯილდო“ უსაფრთხოებაა, ამასთან ერთად – თავისუფლება, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობა, ეროვნული ღირსება, ეკონომიკური კეთილდღეობა და სხვ. როგორც ვხედავთ, ეროვნული ინტერესების საფუძველში გარკვეული ფა-

<sup>1</sup> H.j. Morgenthau. Another “Great Debate” ....., p. 963.

<sup>2</sup> K.W Deutch. The Analysis of International Relations. Prentice – Hall, Englewood Cliffs, 1968, p.

სეულობები ძვეს. ეს ფასეულობები ერის ფასეულობებია, მისი კულტურის პროდუქტს წარმოადგენს და მის ერთიანობას გამოხატავს. ფასეულობები გამოიხატება იდეოლოგიაში, რომელიც შეიძლება დემოკრატიულიც იყოს და ტოტალიტარულიც.

ფასეულობათა სისტემები ხანდახან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ ფასეულობებს მოიცავენ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა კულტურა ერთსა და იმავე ფასეულობებს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. ადამიანები უმაღლეს ფასეულობას ყოველთვის ეძიებდნენ, მაგრამ ამ როლის შესასრულებლად „ეროვნულ ინტერესებს“ საკმარისად მკაფიო მნიშვნელობა არ აქვთ მინიჭებული, ხოლო უმაღლესი ფასეულობის როლს „ძალაუფლება“, და „ძლიერება“ ასევე ვერ შეასრულებს.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები გულისხმობს ისეთ ფასეულობებსა და მიზნებს, რომელთა მიღწევად, თუ შესაწარმუნებლად იგი შეიძლება უდიდეს მსხვერპლზე დათანხმდეს. სწორედ ეს ფასეულობები და მიზნები არის, ჩვეულებრივ, ჩადებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებში. ისინი ამის გამო განიხილება, როგორც წმინდათა წმინდა ინტერესები და მიზნები. ამგვარ ინტერესებს მეცნიერები ძირითად, მთავარ ფასეულობებს უწოდებენ. რომელი ინტერესები და ფასეულობებია სასიცოცხლო? ტრადიციულად, სახელმწიფოს ასეთი ინტერესები დაკავშირებულია მის სიცოცხლის უნარიანობასა და არსებობასთან. ეს არის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, კულტურული თვითმყოფადობა, პოლიტიკური ინსტიტუტები, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.

საციცოცხლო ინტერესებს ხშირად აიგივებენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ზოგჯერ სასიცოცხლო ინტერესებად, წმინდა პრესტიჟული მომენტებიც კი ცხადდება. გამოყოფენ ეროვნული ინტერესების სხვადასხვა ტიპებს, მაგალითად, განასხვავებენ სასიცოცხლო და მეორე ხარისხოვან, ზოგად და განსაკუთრებულ ინტერესებს. განასხვავებენ ასევე იდენტურ,

„ურთიერთშემავსებელ“ და წინააღმდეგობრივ ეროვნულ ინტერესებს. ჯ. ფრენკელი გვათავაზობს ეროვნული ინტერესების ორ დონეს: სასურველსა და ოპერაციულს (შესაძლებელს)<sup>1</sup>

პირველი მოიცავს, იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა რეალიზება სასურველი იქნებოდა სათანადო წანამძღვრებისა და საშუალებების არსებობის პირობებში. როგორც წესი, ამგვარი ეროვნული ინტერესები გრძელვადიანი. პანარაბიზმი (პანარაბიზმი არის მოძრაობა, რომლის მიზანია არაბულენოვანი ხალხებისა და არაბული ქვეყნების ერთ სახელმწიფოში გაერთიანება. პანარაბიზმი მჭიდრო კავშირშია არაბულ ნაციონალიზმთან.), პანთურქიზმი (არის საზოგადოებრივ – პოლიტიკური მოძრაობა აზერბაიჯანსა და თურქეთში, რომელიც მიზნად ისახავს ყველა თურქი ხალხის კულტურულ და პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი, საერთო სახელმწიფოს, ან კონფედერაციის შიგნით.), მსოფლიო რევოლუცია, ამგვარი ინტერესების კარგი მაგალითებია. მეორე დონის ინტერესები, ჩვეულებრივ მოკლე ვადიანი, არსებული პირობებისა და შესაძლებლობების ადეკვატურია.

საერთაშორისო ურთერთობათა თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეროვნული ინტერესების „ეკონომიკური კომპონენტების“ მკვეთრად გაზრდილი მნიშვნელობა. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ინტეგრაციული პროცესები, ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა, გეოპოლიტიკის, გეოეკონომიკად ტრანსფორმირება, ქმნიან ისეთ ვითარებას, როცა არამხოლოდ კონფლიქტების მიზეზები, არამედ მათი გადაწყვეტის საშუალებები სულ უფრო ხშირად ეკონომიკურია. ეს კი ეროვნულ ინტერესებს ძლიერ ეკონომიკურ „შეფერილობას“ ანიჭებს. ყოველი სახელმწიფო, ეკონომიკურად იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენ სამყაროსთან, რომ მისი სიცოცხლისუნარიანობა, მისი მოსახლეობის დასაქმება და კეთილდღეობა საერთაშორისო სამეურნეო პროცესებზეა დამოკიდე-

---

<sup>1</sup> J. Frankel National Interest. London, Praeger, 1970, pp. 31-39.

ბული. ეკონომიკური ფაქტორები ლამის ეროვნული ინტერესების „გამგებლებად“ იქცნენ. ეროვნული ინტერესების ეკონომიკურ კომპონენტს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები იმდენად „ეკონომიზებულია“, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური მხარე, ეკონომიკური ინტერესებით თითქმის იჩრდილება, ამიტომ არის, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი თანამედროვე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკურ კეთილდღეობას მიიჩნევს.

ვინ აყალიბებს, განსაზღვრავს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს? ჰ. მორგენტაუ აღნიშნავს, რომ საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფი ეროვნული ინტერესების განსაზღვრას ცდილობენ.

ცნობილია, რომ ეროვნული ინტერესების განსაზღვრის ორი ტრადიცია თუ გზა არსებობს. პირველს უწოდებენ ელიტისტურს, ანუ პლატონისეულს, რადგან იგი სათავეს იღებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის წრიდან. ელიტისტური ტრადიციის მიხედვით, იმას, თუ რა არის საზოგადოებისათვის სიკეთე, უნდა განსაზღვრავდეს საზოგადოების ელიტა, ანუ განსწავლულთა და ბრძენთა ჯგუფი. მეორე ტრადიცია სათავეს იღებს არისტოტელეს ფილოსოფიური წრიდან და დემოკრატიულ ტრადიციად იწოდება. არისტოტელესეული ტრადიციის თანახმად, საზოგადოებისათვის უკეთესი რა იქნება, უნდა დადგინდეს დემოკრატიული პროცესის შედეგად, ე. ი. საზოგადოებაში უნდა მუდმივად ხდებოდეს საჯარო განხილვა ყველაფერ იმისა, რაც საზოგადოებას აწუხებს და აინტერესებს. ამგვარი განხილვის საფუძველზე უნდა განისაზღვროს, რა არის უკეთესი. საზოგადოებრივი, კოლექტიური, თუ ეროვნული ინტერესების განსაზღვრის ხსენებული ორი გზა რეალობაში წმინდა სახით არ არის წარმოდგენილი და ყველაზე ხშირად ეროვნული ინტერესების განსაზღვრა ხდება ადამიანთა არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიერ, მაგრამ მათი გადაწყვეტილება გაბატონებული საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო ვერ იქნება.

მენარმეები, ეთნიკური უმცირესობები, პარლამენტი, მთავრობა, ყველანაირი იდეოლოგიები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავიანთი კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებად გამოაცხადონ. მორგენტაუ ამას „ეროვნული ინტერესების“ უზურპაციის (ხელისუფლების მითვისება კანონის დარღვევით, ძალადობრივი გზით, განხორციელებული ერთი პირის ან ჯგუფის მიერ) მცდელობას უწოდებს. მისი აზრით, მთავარია ობიექტური ანალიზის გზით ეროვნული ინტერესების „რაციონალური ბირთვის“ განსაზღვრა.<sup>1</sup>

ყოველ ერსა და ეთნიკურჯ გუფს საკუთარი ისტორიული ხედვა აქვს. საკუთარი წარსულის განდიდება და უკუღმართი ისტორიული მოვლენების მსხვერპლად საკუთარი თავის გამოცხადებაც აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ამგვარ პირობებში მოვლენების ობიექტური, რაციონალური ჭვრეტა და ეროვნული პერსპექტივის, ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და სათანადო პოლიტიკის გატარება მეტად რთული ამოცანაა.

დემოკრატიულად არჩეულმა ხელისუფლებამ რომ არ მიაციოს სათანადო ყურადღება თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, მას ხელმეორედ აღარ აირჩევენ. მაგრამ, ეროვნულ ინტერესებში გლობალური ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ტერორიზმი, მაგალითად, ყველა ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენს. საერთაშორისო ვაჭრობა ასევე ყველა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებშია. გლობალური ბუნების დაცვითი პრობლემა (კლიმატის დათბობა, დაბინძურება და სხვ.) ყველა სახელმწიფოსათვის არის ძალზე სამიში, რომ არაფერი ვთქვათ ეპიდემიებზე.

დღეს უკვე ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანების უფლებათა დაცვა, დემოკრატიისათვის და ეკონომიკის გარკვეულ სფეროებში განვითარებისათვის ხელშეწყობა. ჰუმანიტარული ინტერესები ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც ყველა ადამიან-

---

<sup>1</sup> H.J. Morgenthau. In Defence of National Interest: A Critical Examination of American Foreign Policy. A Knopf, New York, 1951, pp. 33-34.



ნისათვის და ყოველი ქვეყნის საგარეო პოლიტიკისათვის, მაგრამ ბუნებრივია გარკვეული ეროვნული ინტერესები განისაზღვრება როგორც კვლავაც სასიცოცხლო და პრიორიტეტული, რადგან მათი უზრუნველყოფა სახელმწიფოთა ყოფნა – არ ყოფნასთან გადარჩენასთან არის დაკავშირებული.

### **3.5. ეკონომიკის გლობალიზაცია და კულტურათაშორისი სხვაობები**

მძლავრი სამრეწველო ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი მრავალეროვან გაერთიანებებს წარმოადგენენ. ეს ის კომპანიებია, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ორ ან მეტ ქვეყანაში ერთდროულად ახორციელებენ. მრავალეროვანი სამრეწველო გაერთიანებების შექმნა შედარებით ახალი მოვლენაა. მათი წარმოქმნა მსოფლიო მაშტაბით მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციის ბუნებრივ შედეგად არის მიჩნეული, მაგალითად, კომპანია „ფორდი“ „მსოფლიო ავტომობილის“ შექმნაზეა ორიენტირებული, ის ისეთი სტანდარტიზებული გადაადგილების საშუალება უნდა იყოს, რომლის წარმოება და გასაღება დედამიწის ნებისმიერ ქვეყანაში იქნება შესაძლებელი.

მრავალეროვანი გაერთიანებების მართვის პროცესი რიგ თავისებურებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მათ ფუნქციონირებაში არსებული განსხვავებები ქვეყნების პოლიტიკური სისტემის თავისებურებებით, კანონმდებლობის შინაარსით და თვით პროდუქციის მომხმარებელთა სპეციფიკით არის განპირობებული. ამგვარი სხვაობები მრავალეროვანი გაერთიანებების შექმნის პროცესს უქმნიან, როგორც სიძნელეებს, ასევე მათ წინაშე გარკვეულ ხელსაყრელ პერსპექტივებს სახავენ. ნათელია, რომ ისეთი ორგანიზაციის მართვა გაცილებით უფრო ძნელია, რომელიც ათასობით კილომეტრით დაშორებულია ფილიალებისაგან, ხუთ ან მეტ ენაზე მოლაპარაკე მომუშავე კონტიგენტისაგან შედგება, ვიდრე იმ დაწესებულებების, რომელიც ერთ ენაზე მოლაპარაკე პერსონალს შეიცავს, რომელიც ერთ ადგილზე კომპაქტურად თავმოყრილი ქვედანაყოფების სახით არის განთავსებული.

ზემოთ თქმულის გარდა, ქვეყნების დონეზე რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებების ჩამოყალიბებას უნდა გაეცვას ხაზი. დიდი ხანი არ არის, რაც ევროპული ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანებები შეიქმნა. ამერიკის შეერთებული შტატები თავის ეკონომიკურ კავშირებს კანადასთან და მექსიკასთან აფართოებს. ეკონომიკური გაერთიანებები ახლო და შორეულ აღმოსავლეთშიც შეიქმნა. ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, ჩვენი ქვეყანაც არის ჩართული, მხედველობაში სხვა ქვეყნებთან საქართველოს ალიანსი გვაქვს. ყველაფერი ეს მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში სულ ახალი მრავალეროვანი სამრეწველო გაერთიანებების ფორმირებას უწყობს ხელს და ახალი სამოსამსახურო ბაზრების შექმნას განსაზღვრავს. აქ, რასაკვირველია, მაღალკვალიფიცირებული სამუშაო ძალის ჩამოყალიბებაც იგულისხმება. ცხადია, რომ მსოფლიო მაშტაბით გლობალური ეკონომიკის ფორმირებასთან გვაქვს საქმე. ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამუშაო ძალაში სოციალური და ფსიქოლოგიური განსხვავებების შესწავლა იძენს, იმ განსხვავებების, რომლებიც კულტურის თავისებურებებით არის განპირობებული.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული გამოცდილების, ენის, ტერიტორიის და სოციო – ეკონომიკური განვითარების თავისებურებები განსაზღვრული, ქვეყნის უნიკალურობის ამსახველი ძირითადი ღირებულებებისა და ცხოვრების წესის ტრადიციების ერთობლიობა ეროვნულ კულტურას გამოხატავს.

კულტურათაშორისი სხვაობების გარკვეული მახასიათებლები შეიძლება გამოვყოთ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას, როგორც ინდუსტრიული ორგანიზაციის შიგა ცხოვრებაზე, ასევე მომუშავეთა საქმიანობაზე ახდენენ. პირველი მახასიათებელი ადამიანის ბუნებასთან კავშირს ეხება. ლაპარაკი ამ შემთხვევაში ეხება იმას, თუ ის მის ძალებს რამდენად ემორჩილება, მათი ურთიერთ კავშირი რამდენად ჰარმონიულია. მრავალ აზიურ ქვეყანაში ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობა ფატალისტურად არის გააზრებული, ანუ ის წინასწარ მეტყველურად არის განხილული, კერძოდ, როდესაც რა-

იმე ხდება, ის განგების ნებათ არის მიჩნეული. ამგვარი მიდგომის საპირისპიროდ, მაგალითად, ჩრდილო – ამერიკელებს და კანადელებს სჯერათ, რომ ადამიანს შესწევს უნარი სამყაროში მიმდინარე მოვლენებს კონტროლი გაუწიოს. ამ ქვეყნებში დღეს განუკურნავი დაავადებების დასაძლევად მილიარდობით დოლარი ამიტომ იხარჯება. ამ ორ უკიდურეს თვალსაზრის შორის არსებობს შეხედულება, რომელიც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობას ჰარმონიაში ყოფნად განიხილავს. ადამიანისა და ბუნების მიმართების შესახებ ამგვარ მიდგომებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე და პრაქტიკაზე პირდაპირი გავლენა აქვთ.

მნიშვნელოვანი კულტურათაშორისი სხვაობა ადამიანის დროზე ორიენტაციაში მჟღავნდება. საკითხი კონკრეტულად შემდეგნაირად დგას: რაზეა ადამიანი უპირატესად მიმართული – წარსულზე, აწმყოზე თუ მომავალზე? მაგალითად, დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები დროს ცხოვრების არსებით რესურსად განიხილავენ, ისინი თვლიან, რომ ის ეფექტურად, მომჭირნეობით უნდა იქნეს გამოყენებული. ამერიკელები, დროის ასპექტით, ძირითადად, აწმყოსა და ახლო მომავალზე არიან ორიენტირებული. ეს ნათლად ისეთ საორგანიზაციო ღონისძიებების მაგალითზე ჩანს, როგორც თანამშრომელთა ატესტაციაა, რომელიც აშშ-ის ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, ჩვეულებრივ, ექვს ან თორმეტ თვეში ერთხელ ტარდება. ამის საპირისპიროდ, მაგალითად იაპონელები ძირითადად დროის გრძელვადიან პერსპექტივაზე არიან ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ ისინი მომუშავეთა ატესტაციას ათ წელიწადში ერთხელ ატარებენ.

არის ქვეყნები, რომლებშიც ადამიანთა ყურადღება, ძირითადად წარსულზეა მიპყრობილი. ამგვარ კულტურაში უმნიშვნელოვანეს ღირებულებას ტრადიციების დაცვა და პატივისცემა წარმოადგენს.

კულტურათაშორისი სხვაობა ადამიანთა აქტივობისა და მისი ყოფიერების მიხედვით არის საყურადღებო. ზოგიერთ კულტურაში ყურადღება ადამიანის აქტივობაზეა გამახვილებული, ზოგიერთისთვის კი წინა პლანზე მისი ცხოვრება, არ-

სებობა გახლავთ წამონეული. ამ უკანასკნელში ადამიანის სურვილებისა და მოთხოვნილებების სწრაფი და უშუალო დაკმაყოფილება იგულისხმება. ისეთი ეროვნული კულტურის მატარებელი ქვეყნებიც არსებობენ, რომლებშიც თვით კონტროლის ფუნქცია დომინირებს, ამ შემთხვევაში ადამიანები თავისი მოთხოვნილებების შეზღუდვას ცდილობენ, მაგალითად, ამერიკელები ძირითადად საქმის კეთებაზე არიან მიმართული. ისინი ბევრს მუშაობენ და სათანადო ანაზღაურებასაც ითხოვენ, სოციალურ აღიარებასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, მექსიკელები განსხვავებულ ორიენტაციას ავლენენ. ისინი უპირატესობას აქტუალურ, მიმდინარე ცხოვრებისეულ ვითარებას ანიჭებენ, ცდილობენ ამჟამინდელი ყოფითი სიტუაციებიდან მომენტური სიამოვნება მიიღონ. ამ ორი უკიდურესი ცხოვრებისეული ორიენტაციისაგან განსხვავებით, მაგალითად, ფრანგებს ე. წ. მაკონტროლებელ ეროვნულ კულტურას მიაკუთნებენ, რომელშიც ძირითადად ადამიანის რაციონალობა და ლოგიკა ფასობს.

ამგვარი კულტურათაშორისი განსხვავებები შრომის პროცესში, არასამუშაო დროის ხასიათში, გადანყვეტილებათა მიღებისა და მომუშვეთა ნახალისების სხვადასხვა პრაქტიკულ ღონისძიებაში უშუალოდ უნდა იყოს ასახული. მაგალითად, სავარაუდოა, რომ ეროვნულ კულტურაში, რომელშიც ადამიანები აქტუალურ, ამჟამინდელ ცხოვრებისეულ ფასეულებებზე არიან ორიენტირებული, მათ მიერ მიღებულ გადანყვეტილებათა საფუძველს, ძირითადად, ემოციები და გრძნობები წარმოადგენენ, ხოლო საქმიანობასა და კონტროლზე მიმართული კულტურის წარმომადგენელთა გადანყვეტილებებში რაციონალობა და პრაქტიკულობა უნდა ჭარბობდეს.

კულტურათაშორისი სხვაობების დადგენაში მნიშვნელოვან როლს ადამიანთა ურთიერთობის მიმართ დამოკიდებულების თავისებურება ასრულებს. ამ თვალსაზრისით აშშ-ში ინდივიდუალისტური მიდგომა გახლავთ გაბატონებული. ადამიანი, ძირითადად, მისი პირადი მიღწევებით ფასდება, განსაკუთრებით კი ეს სწორედ შრომის სფეროს ეხება. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, საკუთარი ბედის განმგებელი და

პასუხისმგებელი თვითონ ადამიანია. ამ ღირებულებითი მიდგომის საპირისპიროდ, აღმოსავლური კულტურა არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ ცხოვრებაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში ყურადღება უპირატესად სოციალური ჯგუფის ისეთ თვისებებს ექცევა, როგორსაც მისი ჰარმონიულობა, ერთიანობა და მისადმი წევრების ლოიალობა წარმოადგენს. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, მათსში ადამიანთა ჯგუფების იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას ეთმობა ყურადღება, ხოლო ჯგუფის სოციალური სტატუსი დროთა განმავლობაში შედარებით სტაბილურია. ეროვნული კულტურის ეს მახასიათებელი, სამუშაო პროცესის დაგეგმარების გვარობას, გადამწყვეტილებათა მიღების საფუძვლად მდებარე პრინციპებს, ორგანიზაციაში მიმდინარე საკომუნიკაციო პროცესების თავისებურებას, მომუშავეთა ნახალისების სისტემას, კადრების შერჩევისა და დანაწილების ხერხებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.

სხვა ქვეყანაში ჩასული ადამიანი, რომელიც საკმაოდ განსხვავებულ კულტურულ გარემოში ხვდება ჩვეულებრივ განცვიფრებას გარკვეულ დეზორიენტაციას და ემოციურ დაძაბულობას განიცდის. სხვადასხვა კულტურისადმი ფსიქოლოგიური შეგუების პროცესი ემპირიული კვლევის საგანია. გამოკვლევების შედეგი ცხადყოფენ, რომ სხვა კულტურისადმი შეგუების პროცესში ადამიანი გარკვეულ სტადიებს გადის, რომლის გრაფიკული გამოსახულება U მრუდის ფორმის მსგავსია.

შეგუების საწყის ეტაპზე ადამიანის სიახლის აღქმის და შეფასების ვითარებაში იმყოფება, მისი განწყობილება დადებითი შთაბეჭდილებებით არის სავსე. სხვა ქვეყანაში მცირე დროით ჩასული ადამიანი შინ სწორედ ამ გვარი შთაბეჭდილებებით ბრუნდება. ისინი კი, ვინც სხვა კულტურულ გარემოში ერთ კვირაზე დიდხანს რჩებიან, კულტურათა შორის განსხვავებებს უფრო ღრმად აღიქვავენ, რასაც ისინი დასაწყისში საკმაოდ საინტერესოდ მიიჩნევდნენ, შემდეგ კი სხვაგვარად აფასებენ. დროთა განმავლობაში, თავდაპირველი „ეი-

ფორია“ გადის და ადამიანი სხვა კულტურისადმი ადაპტაციის მომდევნო ეტაზე გადადის. აქ უკვე ის, რაც თავდაპირველად მისთვის უჩვეულო და მიმზიდველი იყო, უცნაური, ფრიად გაუგებარი და მიუღებელი ხდება. ენის არცოდნა სხვებთან მინიმალური ურთიერთობის დამყარებისათვის არსებითი და ფაქტობრივად გადაუღახავი წინააღმდეგობა გახლავთ. რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ „საშინელი“ და დაუძლებელი კულტურათა შორისი სხვაობები ადამიანისათვის ნათელი ხდება ის მათ ობიექტივირებას ახდენს, ეს შეგუების მესამე საფეხურია. ამ ეტაპზე პიროვნებისათვის ნათელი ხდება ის, რომ რაც მისი მსჯელობისა და შეფასების საფუძველი იყო საკუთარ ქვეყანაში, ახალ კულტურულ გარემოში თითქმის ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. შეგუების პროცესში ადამიანი მაქსიმალურად ფრუსტრირებული სწორედ ამ ეტაპზეა. მეოთხე ეტაპზე ადამიანი ახალ, შეუჩვეველ კულტურულ გარემოს თანდათანობით ეგუება და მის მიმართ მისი უარყოფითი დამოკიდებულება ისევ დადებითი ხდება, რადგან გამოცდილებამ მათ ცოდნა შესძინა იმის შესახებ, თუ რა არის მასში მნიშვნელობის მქონე და რა უნდა იყოს უგულებელყოფილი. ამ გამოკლევათა შედეგების საფუძველზე ორი რამ შეიძლება დავასკვნათ. თუ ჩვენ სამუშაოდ სხვა ქვეყანაში ვიმყოფებით, ან სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან საქმიანი ურთიერთობა გვინევს, მაშინ აღწერილი შეგუების ეტაპობრივი პროცესის გათვალისწინება სავსებით მიზანშეწოლილია. ამავე დროს ეს პროცესი ჩვეულებრივ და გარდუვალ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მეორე, ჩვენ სხვა ადამიანის მოქმედება და მისი განცდები ადაპტაციის მიმდინარეობის შესაბამისი ეტაპების მხედველობაში მიღებით წინასწარ შეგვიძლია განვსაზღვროთ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> დ. ჩარკვიანი, ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, თეორია, კვლევა პრაქტიკა, თბ., 2001., გვ. 33.

## საკონტროლო კითხვები

1. დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, სამეცნიერო-პრაქტიკულ წრეებში გლობალიზაციის, რომელი ტიპის კრიზისზე და ახალ თვისობრიობაში გადასვლის რომელ ტიპზე მიაწინებენ?
2. რა ხორციელდება გლობალიზაციის განვითარების პირველ ეტაპზე?
3. რა ხორციელდება გლობალიზაციის განვითარების მეორე ეტაპზე?
4. რა ხორციელდება გლობალიზაციის განვითარების მესამე ეტაპზე?
5. გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, როგორ წარმოგიდგენიათ განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში ინტეგრაციული ფაქტორების გათვალისწინება?
6. როგორ წარმოგიდგენიათ გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისობის პრობლემა?
7. ტერმინი „გლობალიზაცია“ რომელი სიტყვისგან წარმოდგება და ეტიმოლოგიური მნიშვნელობით რას ნიშნავს?
8. როგორ წარმოგიდგენიათ ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი მოვლენა – კულტურის გლობალიზაცია?
9. ჩამოთვლათ ნაციონალიზმის დადებითი მხარეები.
10. ჩამოთვლათ ნაციონალიზმის ნეგატიური მხარეები.
11. რას მოიცავს ადამიანის ჰუმანიტარული მოთხოვნილებები?
12. ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ არსებას, რა მიზანი აქვს?
13. რას გულისხმობს ეროვნული ინტერესები?
14. ეროვნულ ინტერესებს ვინ განსაზღვრავს და მისი განსაზღვრის რამდენი გზა არსებობს?

## **თავი IV.**

---

### **საქართველოს საქმიანი კულტურის თავისებურებები და მათი გავლენა მართვის ეროვნული სტილის ჩამოყალიბებაზე, ქართული ეთნოლოგიის მიმართულებები**

#### **4.1. ეთნომენეჯმენტის, შედარებითი მენეჯმენტის, კროსკულტურული მენეჯმენტის, ინსტრუმენტების გამოყენება მართვის ქართული სტილის ჩამოყალიბებაზე**

მენეჯმენტსა და მართვის სტილის თავისებურებებზე სერიოზულ გავლენას ახდენს სახელმწიფოს საქმიანი კულტურა. საქმიან კულტურაში იგულისხმება ბიზნესის სფეროში, ნორმებში, ღირებულებებში და ცოდნაში გამოხატული ურთიერთობების სისტემა. ადამიანის ქცევაზე ბიზნესის სფეროში უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას – გეოგრაფიული, სოციალური, ბუნებრივი, ეკონომიკური, რელიგიური და ზოგიერთი სხვა, რომელიც შემდეგ აისახება გარკვეული ტრადიციებისა და ჩვევების ფორმირებაში. ეს პირობები წარმოშობენ ცხოვრების, აღზრდის, შრომის გარკვეულ სისტემებს. კვლევები აჩვენებენ, რომ ისინი მეურნეობის გაძლოლის ცვილებების დროსაც კი განაგრძობენ ზემოქმედებას, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შრომით ჩვევებსა და ფსიქიკის თავისებურებებზე.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ქცევის თავისებურებები წარმოადგენს გარკვეული მოვლენებისა და ერის არსებობის პირობების შედეგს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ბიზნესის ტრადიციები საქართველოში ყალიბდებოდა, როგორც ბუნებრივი, ისე ისტორიულ-პოლიტიკური. სოციალური ფაქტორების ზეგავლენით, რაც განაპირობებდა მათ ცვალებადობასა და მრავალსახეობას. ამასთან ერთად, რელიგიური და კულტურული წეს-ჩვეულებების მრავალფეროვნება, ასევე მეურნეობის წყობა საქართველოში განაპირობებდა საქმიანი ადამიანების მრავალ ვარიანტობასა და საქმიანი ურთერთობების მრავალსახეობას, რის შედეგადაც დღეისათვის ქართუ-



ლი საქმიანი კულტურა გამოირჩევა ძალზე დიდი მრავალფეროვნებით.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა მეურეობრიობის ის პრინციპები, რომლებიც დღესაც ადამიანთა ქცევის საფუძველია. ისინი განპირობებული იყო ისტორიული, გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორებით.

საქართველოს საქმიანი კულტურის ჩამოყალიბების ისტორიაში პირობითად შეიძლება გამოიყოს შემდეგ ძირითადი ეტაპები: რევოლუციამდელი, სსრკ-ისა და თანამედროვე პერიოდები. პირველი ორი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოუმუშავდებოდა, ანდა საბჭოთა ნორმები და წესები, ასევე ეკონომიკური და მართვის ორიენტაციები, დღესაც აისახება საქმიანი ურთერთობის ქართულ სტილზე.

საქართველოს ისტორიაში არ არსებობს კაპიტალისტური მენარმეობის ძლიერი ტრადიციები, რომელთაც შეეძლოთ ხელშეწყობა საქმიანი ტრადიციების განვითარებისათვის. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირობებში ბიზნესის ახალი განვითარება აღინიშნებოდა, თუმცა შემდეგ 70 წლის განმავლობაში ბიზნესი უკანონოდ ითველობდა, ამიტომ დავიწყებას მიეცა ქართული სამენარმეო ტრადიციები და კულტურა.

მართვის საბაზრო სტილზე გადასვლამ გამოიწვია ცვლილება მმართველობით ქცევაში და აიძულა ადამიანები, გადაეხედათ თავისი მოძველებული პრინციპებისათვის. ამასთან ერთად, თანამედროვე საქმიანი კულტურის მრავალი უარყოფითი ნიშნის, მათ შორის საქმიანი ეთიკის დაბალი დონის, მთავარი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ინსტიტუციური სფეროს ნელი განვითარება არ შეესაბამება პრინციპულ და მკვეთრ ცვლილებებს ფასეულობათა სისტემაში. პირველ რიგში სოციალისტური სისტემა, რომელიც ქადაგებდა კოლექტივიზმსა და ინდივიდუალური ღირებულებების არ არსებობას, შეიცვალა სხვა, ინდივიდუალურ ინიციატივაზე და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საბაზრო სისტემით. მაგ-

რამ, რადიკალურ ცვლილებებს თან არ ახლდა ადეკვატური განვითარება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, რამაც გამოიწვია განმარტებებში და ღირებულებებში აღრევა. გაუგებარი იყო, რა არის სწორი და არასწორი, ეთიკური ან არათიკური. ეს ეხებოდა როგორც ყოველდღიურ ცხოვრებას, ისე ბიზნესქცევებს.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო სისტემაში ჩართვის პროცესი, გლობალიზაციის გავლენა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვითარება მოითხოვს საქართველოსაგან მართვის სფეროში გარკვეული კონცეფციის შემუშავებას.

ქართული საქმიანი კულტურის უცხოელ მკვლევართა შორის, უნდა გამოვყოთ რ. ლიუისი, რომელიც თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ საქართველოს საქმიან კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, გარდა ამისა, მასზე დიდი გავლენა იქონია კომუნისტური რეჟიმის 70-წლიანმა მეთოდმა. მკვლევრის აზრით, ქართველი ხალხის მრავალი თვისება, რომლებიც აქამდე ახდენდა გავლენას მის ხასიათზე, აიხსნება ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებით. მიმზიდველმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და უცხოელი დამყრობლების მუდმივმა სწრაფვამ, ხელში ჩაეგდოთ საქართველოს ტერიტორია და ესარგებლათ ამ პრივილეგიით, პროვოცირება მოახდინა დაუცველობის კომპლექსზე, რამაც გამოიწვია კოლექტივიზმი, ხოლო მრავალი წლის განმალობაში მუდმივმა დუბლირებულმა ექსპანსიამ (მაგალითად, ოსმალეთისა და სპარსეთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში) გამოიწვია ლავირების უნარის განვითარება და ინიციატივიანობის შემცირება. კლიმატური პირობები აიძულებდა ხალხს წლის დიდი ნაწილის განმალობაში უქმად ყოფნას, ხოლო დანარჩენ პერიოდში ქანცის განყვეტამდე უთანაბროდ მუშაობას. აქცენტირება ხდება ქართველი ხალხის ისეთ უარყოფით თვისებებზეც, როგორიცაა ეჭვიანობა, უდარდებლობა და უინიციატივობა, როგორც ისტორიული მოვლენებისა და რეჟიმების შედეგი. ზოგიერთი ნიშან-თვისება, ან ჰიპერტროფირებულია (hypertrophia ბერძნ. hyper-ზე და trophe – კვება) ან განეკუთნება საქართველოს განვითარების უფრო ადრეულ პერიოდს. ჩაკეტი-

ლობა, ეჭვიანობა და ზოგიერთი სხვა თვისება, უეჭველია, არსებობს ქართულ ხასიათში, მაგრამ არ წარმოადგენს მის ძირითად მახასიათებლებს, მიუხედავად ზოგიერთი ასპექტის გარკვეული ჰიპერტროფიზულობისა, მთლიანობაში ემთხვევა ლუისის მიერ მიღებულ მონაცემებს.<sup>1</sup>

ისტორიულად არსებობს საქმიანი კულტურების შესწავლისადმი ორი მიდგომა: მითოლოგიური, პოლემიკური, თავისუფალი დაშვებებით, კონცენტრირებული ეროვნული სულის ამოცნობაზე და მეორე მეცნიერული, ეთნოსოციოლოგიური, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს დემოგრაფიული, მუშაობის, კულტურის, პოლიტიკურისა და ა. შ. მოვლენებზე.

სამწუხაროდ, დიდი ხნის განმალობაში ჭარბობდა პირველი მიდგომა, ამას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიაში დიდი ხნის განმალობაში არ არსებობდა ურთიერთშედარებითი პრინციპი – არ იყო ქართული მენტალობის სხვა ტიპის მენტალობებთან კორექტული შედარებები, კოორდინატების ერთიან სისტემაში.

ქართული ეკონომიკური მენტალობის შესწავლისათვის გამოყენებულია ისეთი უცხოელი მეცნიერებების, კვლევების, როგორცაა ტრომპერასი. ლიუსი, ჰოფსტედე და სხვა, რომელთა მეთოდოლოგიებსაც ხშირად ეყრდნობიან ქვეყნების საქმიანი კულტურების დასახასიათებლად.

ხაზი უნდა გაესვას, რომ სამამულო ეთნო-სოციოლოგია ახლა ორიენტირებულია სწორედ დასავლეთზე (აშშ, დასავლეთ ევროპა), და არა აღმოსავლეთზე. თუ აღმოსავლური ტრადიციისათვის (მაგალითად, იაპონური ეთნოლოგიისათვის) დამახასიათებელია თეორიის პრევალირება (უპირატესობის მოპოვება; ვინმეზე, რამეზე მეტობა, სიჭარბე) პრაქტიკაზე, დასავლურ ტრადიციას აქვს მკვეთრად გამოხატული გამოყენებითი, ინსტრუმენტული ხასიათი – ის დაკავებულია არა იმდენად შესასწავლი მოვლენების მიზეზებითა და სიღრმისეუ-

---

<sup>1</sup> ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, მ. მარიდაშვილი, მ. ჩეჩელაშვილი, ი. მახარაშვილი, თ. ლამბაშიძე. შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია, თბ., 2016, გვ. 116.

ლი არსით, არამედ საქმიან პრაქტიკაში მისი გამოყენების საშუალებების ძიებით.

ამრიგად, მართვის ქართული სტილისათვის დამახასიათებელია ქართული მენტალიტეტის შემდეგი თავისებურებები:

1. **დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ** – თუ დასავლეთში სიმდიდრე ტრადიციულად ითვლებოდა, ადამიანის საქმიანობის, მისი საქმის უნარიანობის, ენერჯისა და შრომის მოყვარეობის შედეგად, იქმნებოდა თაობათა შრომით და გადაიცემოდა მემკვიდრეობით, საქართველოში გამდიდრებული ადამიანი ხალხში უფრო ხშირად უპატიოსნო, სხვის ხარჯზე გამდიდრებულად ითვლებოდა. ქართული კულტურა, ნაკლებად არის ორიენტირებული მატერიალურ სიკეთეებზე, ამიტომაც არ იყო გავრცელებული სწრაფვა დაგროვებისაკენ, გამდიდრებისაკენ, ნებისმიერი გზით. საზოგადოებრივ აზრში ადამიანის ღირსებები ტრადიციულად ფასდებოდა უფრო შინაგანი ხასიათით და არა მატერიალური მდგომარეობით. მოგების მიღება არ წარმოადგენს ქართველის მთავარ სტიმულს, ქართველი ხალხი მთლიანობაში არ არის მისწრაფებული გრძელვადიანი შემოსავლების მიღებისა და დაგროვებისაკენ. ქართველების დამახასიათებელი მისწრაფების არქონა, პირადი გამორჩენისაკენ, წარმოადგენს ბიზნესისა და მენარმეობის საკმაოდ სუსტი მოტივაციის მიზეზს, რომელიც დაფუძნებულია მკაცრ აღრიცხვასა და მართვაზე. ქართველ ხალხს მთლიანობაში არ შეუძლია აღმაფრენა განაცდევინოს მხოლოდ მატერიალისტურმა ინტერესებმა; ისტორიაში მრავლად მოიძებნება შემოქმედებისა და გმირობის სასწაულები, სიცოცხლის აზრის მაჩვენებელი, მაღალი იდეალების სახელით ჩადენილი გმირობა. არა მატერიალური სტიმულირება, არამედ ეროვნული გენიის სულიერი საყრდენები ქმნიდნენ და ქმნიან საქართველოს უდიდეს მიღწევებს, აქედან გამომდინარეობს მოთხოვნილება უფრო მაღალი ჭეშმარიტების შეხებისა და იდეებისაკენ.

2. **ძალაუფლების დისტანციის მაღალი მაჩვენებელი** – ყოველდღიური მართვის პრაქტიკაში ვლინდება, როგორც მაღალი იეარქიულობა, ისე ხელმძღვანელობისადი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ქართული ისტორია ხასიათდება რეჟიმების ავტორიტარიზმით, პიროვნების თავისუფლების ინიციატივით, დამოუკიდებელი გადანყვეტილებების ქმედებების დათრგუნვით. ეს წარმოშობდა პასიურობას და ხელისუფლებისადი შინაგან წინააღდეგობას. ამასთან, საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთში სიმდიდრე დამოკიდებული იყო მართველზე, ან ხელისუფლებაზე, რომლებიც განსაზღვრავდნენ შეღალათებსა და პრიველეგიებს, ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებდა წარმოო გარიგების სახეზე, უბიძგებდა უპატიოსნო საშუალებებისაკენ, სიცრუისაკენ, უნებურად აყალიბებდა ხალხში ბიზნესისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, აზროვნებასა და ქცევას. ხელისუფლების ასეთი სისტემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელმძღვანელი ობიექტს თვლის „საკუთარი სასახლის“ გაგრძელებად, პრაქტიკულად პირად საკუთრებად, რომელსაც შეიძლება მოექცეს საკუთარი ნებისა და სურვილისამებრ. ძალაუფლების ასეთი განვითარება წარმოშობდა ნიჰილიზმს, ყველაფრის დაშვებასა და აზიურ მორჩილებას. იეარქიულობას აქვს უშუალო კავშირი დისტანცირებასთან და წარმოადგენს ქართული ხელოვნების ორგანულ ნაწილს. ისტორიული ანალიზის მიხედვით, საქართველოში დისტანციური ძალაუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მონღოლთა ურდოს ხანგრძლივი ბატონობა, როდესაც ქართული მიწების ექსპლუატაციას, დისტანციური ხასიათი ჰქონდა. სწორედ ეს ფაქტია დისტანცირების ძირითადი მიზეზი, თუმცა არსებობს სხვებიც. ამრიგად, თუ დასავლეთში არსებობს „ხელისუფლება“ ხალხისა (ოდესლაც „ღმერთისაგან“), საქართველოშია „ძალაუფლება-ძალაუფლებისაგან“. ლეგიტიმურობის ასეთი ტიპი აუ-

ცილებლად გულისხმობს დისტანცირებას. ამრიგად, ძალაუფლების ექტრემალური დისტანციის განვითარებას საქართველოს ისტორიაში მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. ქართული საქმიანი კულტურის თვისებები უშუალოდ აისახება მართვის ყოველდღიურ პრაქტიკაზე ქართულ საწარმოებში, სადაც არსებობს ძლიერი ქარიზმატული ლიდერის აუცილებლობა. ამ ლიდერზეა ორიენტირებული მთელი კოლექტივი. მოთხოვნილება გმირებზე არსებობს მთელი ქვეყნის მასშტაბით, საწარმოში კი ეს თვისება აუცილებელს ხდის ძლიერი პროფესიონალი ლიდერის არსებობას, რომელიც სარგებლობს პერსონალის პატივისცემით, შეუძლია ხალხის აყოლიება მიზნების მისაღწევად.

ამ მოვლენის უარყოფით მხარეს განეკუთნება დამოუკიდებლად მუშაობის თვითმოტივაციის არარსებობა. ეს ფაქტორი განაპირობებს გარკვეულ თავისებურებებს მმართველობით პრაქტიკაში. იეარარქიულობის სხვა უარყოფითი შედეგია ბიუროკრატიზაცია, უფრო ზუსტად კი გადანყვეტილებების დამოუკიდებლად ვერ მიღება, ნებისმიერი ინფორმაციის ზემდგომებთან „შეთანხმების“ აუცილებლობა.

- 3. კოლექტივიზმის უპირატესობა ინდივიდუალიზმზე.** ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მოაზროვნეები მიუთითებდნენ, რომ ქართლი კულტურისათვის ტიპურია მისწრაფება კოლექტივიზმისაკენ და ის ძირფესვიანად განსხვავდება დასავლური კულტურის ინდივიდუალიზმისკენ მისწრაფებისაგან. ინდივიდუალიზმის ინდექსი ასახავს პიროვნებაზე კოლექტივის გავლენის დონეს. შესაბამისად, კოლექტივიზმის დაბალი მნიშვნელობა ნიშნავს ორიენტაციას ინდივიდსა და მის ინტერესებზე, კოლექტივის სუსტ გავლენას, კოლექტივიზმის მაღალი მაჩვენებელი კი აჩვენებს ორიენტაციას კოლექტივისტური ღირებულებებისაკენ, კოლექტივის მნიშვნელოვან გავლენას ინდივიდების ცხოვრებაზე. კოლექტივისტური თანასაზოგადოება მოითხოვს ადამიანის ორ-

განიზაციაზე უფრო მეტ ემოციურ დამოკიდებულებას და ორგანიზაციის უფრო მეტ პასუხისმგებლობას საკუთარ თანამშრომლებზე. მკვლევართა მონაცემებით, საქართველო წარმოადგენს კოლექტივისტურ ქვეყანას, უკანასკნელი კვლევები აჩვენებს, რომ მას უკავია შუალედური მდებარეობა „ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის“ სკალების მიხედვით.

4. **გაურკვევლობისაგან თავის არიდების მაღალი დონე.**

საქართველო ხასიათდება როგორც ქვეყანა გაურკვევლობის თავიდან არიდების მაღალი დონით, რაც ნიშნავს, რომ ხალხი ღელავს საკუთარ მომავალზე, უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურირებულ ოპერაციებს, მნიშვნელოვანია რეგლამენტაცია და მითითებული ნესები. პროექტის GLOBE თანახმად საქართველოში გაურკვევლობისაგან თავის არიდების ინდექსი შეადგენს 77 ქულას.

გაურკვევლობის თავიდან არიდების დონის მაჩვენებელი დიდ როლს თამაშობს თანამშრომელთა მოტივაციის პროცესში. ამ მონაცემების დაბალი მაჩვენებელი აშშ-ში აჩვენებს მუშაკისათვის მაქსიმალური თავისუფლების მიცემის აუცილებლობას, იმ დროს, როდესაც საქართველოში ამ მონაცემების მაღალი მაჩვენებელი ლაპარაკობს უფრო მეტი გარკვეულობის აუცილებლობაზე. სოციოლოგების მონაცემებით, ქართველებს არ ახასიათებთ გრძელვადიანი გეგმების დასახვა, მენტალობიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში ეს გასაგებიცაა. მოკლევადიანი ორიენტაციის დამატებით მახასიათებელია „მზერა წარსულისაკენ“, ტრადიციების პატივისცემა და სოციალური ვალდებულებების შესრულება. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გაურკვევლობის თავიდან აცილების ძლიერი სურვილი იწვევს კონსერვატიზმს, ცხოვრების ჩვეული წყობის სტილის შეცვლის სურვილის არქონას, რაც თავის მხრივ არ ახდენს ბიზნესზე დადებით გავლენას.

5. **საქმიანი კულტურის ქალურობა.** ითვლება, რომ მამაკაცურ კულტურებში მენეჯერები მიმართული არიან მიზნის მიღწევაზე, მზად არიან მკაცრი კონკურენციისადმი, აგრესიულად მართავან ბიზნესს. ქართული საქმიანი კულტურა კი საკმაოდ „ქალურია“. ქალურ კულტურებში ფასდება მუდმივი ყურადღება თანამშრომელთა მიმართ, კარგი ურთიერთობები, კონკურენციის სურვილის არქონა, უფრო სუსტების მხარდაჭერა. ქართული საქმიანი კულტურის ქალურობა ვლინდება ისეთ სიმბოლოებში, როგორცაა „დედა-სამშობლო“, „დედა-საქართველო“, მენეჯერები ძირითადად ყურადღებას უთმობენ ადამიანურ ურთიერთობებს, ჰუმანურობას, უფრო მიდრეკილი არიან კომპრომისებისაკენ. სულიერი ფასეულობები ჭარბობს მატერიალურზე, სამუშაო განიხილება არა როგორც მიზანი, არამედ კონფორტული ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალება. აქ ასევე შეიძლება განხილული იქნას ქართული ბიზნესის „ურთიერთობითი“ და არა საგნობრივად ორიენტირებული ხასიათი. ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული კულტურა მთლიანობაში და კერძოდ საქმიანი კულტურა, წარმოადგენს ურთიერთობითს. ეს გვაახლოებს ჩვენ ისეთ კულტურებთან, როგორცაა ლათინურ ამერიკული, ესპანური, იტალიური, სადაც პირველ ადგილზე ურთიერთობები დგას. როგორც, ურთიერთობითი კულტურის შედეგი, სანარმოები საქართველოში ტრადიციულად პირველ რიგში ორიენტირებულია არა შედეგის ან მოგების მიღებაზე, არამედ პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გარკვეული ტიპის მხარდაჭერაზე.

„ურთიერთობითი“ ხალხები ნაკლებად არიან დაინტერესებული ფულით, ორიენტირებული არიან უფრო ადამიანებზე, ვიდრე საქმეზე. პირადი კონტაქტები ყოველთვის წინ უსწრეფენ საქმეს – „ჯერ დავალაგოთ ადამიანური კონტაქტი, მერე – საქმე“. ბევრი



მნიშვნელოვანი საქმე წყდება „არასამუშაო“ გარემოში. საქართველოში მოლაპარაკებების წარმოების დროს პრიორიტეტები უნდა დალაგდეს შემდეგნაირად: პირადი ურთიერთობები, ფორმა, გარეგანი გამოვლინებები, ფულის კეთების შესაძლებლობა. უმეტეს შემთხვევაში ქართველები უფრო მეტად პირად რეკომენდაციებზე რეაგირებენ, ვიდრე ოფიციალურ დირექტივებზე, ხოლო პირადი ურთიერთობების ხანდახან „სასწაულებს“ ახდენენ გამოუვალ სიტუაციებშიც კი. ამრიგად, ქართულ კომპანიებში თანამშრომელთა შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საწარმოო ურთიერთობებზე.

„არაფორმალურის არსებობა“ ურთიერთობებში, ისტორიულ რეტროსპექტივაში, მიდის ქართული გლეხური თემის კარგად ცნობილი ფენომენის ფესვებთან.

„ოჯახური“ კულტურებისათვის დამახასიათებელი დაყოფა თავისიანებად და უცხოებად, ასევე საქმიანი ეთიკის თავისებურება გაძლიერდა ბიზნესის გარემოსა და პოლიტიკური პერიპეტივების (მოულოდნელი მოვლენა, უცაბედი გარდაქმნა) არასტაბილურობის შედეგად. სამწუხაროდ, ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების პრინციპების დისბალანსი წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას მენეჯმენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის.

- 6. პოლიაქტიური კულტურებისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება დროსთან.** საქართველოს, ჩვეულებრივ პოლიაქტიურ კულტურებს მიაკუთნებენ, ანუ ისეთ კულტურებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება, როცა იცვლება ადრე დადგენილი განრიგები და რომლებშიც მუშაობის ინტენსივობაც არათანაბრია. უნდა აღინიშნოს, რომ შრომასთან დამოკიდებულება და სამუშაო პროცესის ინტენსივობა უფრო მეტად გამომდინარეობს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების წესიდან. ქართველმა გლეხმა, რომელიც იძულებული იყო წე-

ლინადში დიდი ხნის განმალობაში ყოფილიყო უქმად, ხოლო შემდეგ მოკლე დროში შეესრულებინა ფაქტურად მთელი წლის საქმე, გამოიმუშავა საკუთარ თავში მუშაობის არარეგულარული მეთოდები. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან გამომდინარე, ქართველი კაცის დამოკიდებულება დროსთან, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ე. წ. „კრიზისულ-სამობილიზაციო“ ცხოვრების წესი. თავის დროზე, ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ ქართველებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორცაა გულისყურის მოკრეფა, თანამიმდევრულობა ამოცანების გადაჭრისას.

სხვისი დროის დაფასების უნარი პრინციპულად დროის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება წარმოადგენს დასავლურ ბაზარზე ბიზნესის ეფექტიანად წარმართვის აუცილებელ პირობას. ერთ-ერთი უცხოელი ბიზნესმენის აზრით, „უცხოელები ძალზე მოუთმენლები არიან, მათ ასწავლეს ყველაფრის სწრაფად კეთება: მუშაობაც, აზროვნებაც.“ საქართველოში კი დიდი ხანი ემზადებიან, ვადები ცოტაა, თუ ვინმეს აღელვებს. ქართული „არა“ ძნელი გასაგებია, ვინაიდან მას არ გააჩნია კონკრეტული ასპექტი. ამრიგად, ქართველი მენეჯერების მიერ დროის მიმართ დამოკიდებულება განსხვავდება დასავლური მიდგომისაგან. იმავდროულად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ მენტალიტეტში ჩადებულია, გლობალურად აზროვნება.

7. **მართმადიდებლობის ზეგავლენა ქართულ საქმიან კულტურაზე.** დამოკიდებულება რელიგიისადმი, მოსახლეობაზე მისი გავლენის დონე წამოწეული პოსტულატები ხსნიან ბიზნესში მრავალ ქცევით სტერეოტიპს, მართლმადიდებლობამ ძირითადი გავლენა იქონია სამამულო კულტურაზე წინა საბჭოთა დროში. ქრისტიანობამ დაჰბადა ქართული საქმიანი კულტურის „იდეურობა“, რაც ნიშნავს, რომ ხალხს შეუძლია მუშაობა

არა იმდენად ფულის გულისათვის, არამედ იდეისათვის. ამრიგად, ენთუზიაზმის, რომელიც წარმოქმნილია ამა თუ იმ იდეის საფუძველზე, შეიძლება გახდეს შესანიშნავი სტიმული შემდგომი განვითარებისათვის. ქრისტიანობამ საკმაოდ ძლიერი გავლენა იქონია ქართულ მენტალიტეტზე, ეკონომიკური თვალსაზრისით. რელიგია ქმნის ქცევის კოდექს ცხოვრების ყველა სფეროში, თუმცა ყველაფერ ამასთან ერთად ქრისტიანული რელიგიის დოგმები არ ვრცელდებოდა შრომით ურთიერთობებზე. დამოკიდებულება შრომით საქმიანობასთან ამ შემთხვევაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც ნეიტრალური. სპეციალურ კვლევებში საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ მართლმადიდებლობა, პროტესტანტიზმისაგან განსხვავებით, არ შეიცავს სამენარმეო საქმიანობის ჭკუის დამრიგებლურ სტიმულებს.

მეორე მხრივ, ქართულმა მართადიდებლურმა ეკლესიამ სხვა გავლენაც იქონია სამენარმეო კულტურაზე, რწმენის გამო დევნამ ადამიანებს აიძულებდა შემჭიდროებულიყვნენ. სამეურნეო ურთიერთობების ჩაკეტილობა ქართულ მთიულურ თემებში ავითარებდა ნდობას, მიცემული სიტყვის პატივისცემას, ურთიერთდახმარებას და მხარში დგომას. ამ გარემოში „გამოიზარდა“ ქართული კაპიტალიზმის იდეა, რომლის ნათელი მაგალითები იყვნენ ძმები ნიკოლაძეები, ძმები ზუბალაშვილები, დ. სარაჯიშვილი, მ. ლალიძე და მრავალი სხვ.

8. **წინააღმდეგობრიობა და მისწრაფება უკიდურესობების მიმართ.** დუალიზმი, გაორებადობა, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრიობა წარმოადგენს ქართული საქმიანი კულტურის ერთ-ერთ მკაფიო ნიშან-თვისებას. ქართული სულის არაორდინალურობა, რომელიც მნიშვნელოვან წილად განპირობებულია საქართველოს ისტორიული, ტერიტორიული და ეროვნული მდგომარეობით, დასავლური და აღმოსავლური ელემენტების „შე-

ხამებითა და მეტოქეობით,“ აღმოსავლეთიდან მოსული ჯგუფურობა და დასავლეთიდან მოსული „იდეალიზმი“ გახდნენ ქართული სულის დუალიზმის ფილოსოფიური საფუძველი. საუკუნეთა განმავლობაში ქართველებში ტრადიციულად ეხამებოდა პრაქტიკულად ურთიერთსანინააღმდეგო თვისებები: სიზარმაცე და შრომისმოყვარეობა, დოგმატიზმი და მისწრაფება ყველაფერი ახლისაკენ, დაჟინება და ა. შ. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ, ქართველი ხალხის ხასიათის ანალიზისას, ავტორები მის მთავარ ნიშან-თვისებად თვლიდნენ მიდრეკილებას დიამეტრულად საპირისპირო ღირებულებებისაკენ: „ან შრომა ქანცის განწყვეტამდე, ან სიზარმაცე, ან ღვთისმოსაობა, ან მკრეხელობა“.

9. **კანონებისა და ნორმების უპატივცემულობა** ანუ მისწრაფება კანონის „გვერდის ავლისაკენ“. საქართველოში „ჩრდილოვან სექტორს“ ტრადიციულად დიდი გავლენა აქვს ბიზნესზე, ქართველ ხალხში მუდმივად არსებობს „სისტემის მოტყუების“ სურვილი, ხოლო გადანყვეტილების სისწორე ზოგჯერ განისაზღვრება უმრავლესობის აზრით და არა კანონით, ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი ამ მოვლენის მიზეზს ხედავს იმაში, რომ ქართული საკანონდებლო სისტემა ისეთ-ნაირადაა აგებული, რომ შეუძლებელია შეასრულო კანონები და იყო წარმატებული, მომგებიან მენარმე. მიუხედავად იმას, რომ ბიზნესის ჩრდილოვანი მხარე დასავლეთშიც არის ის იქ გაცილებით ნაკლებ დონეზეა გავრცელებული. საბჭოური რუდიმენტული (რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, კვალი) გაგებით საქმიანობის განხორციელება, პრინციპით „მე ხომ მეზობელს არ მოვპარე, არამედ სახელმწიფოს“, იყო და, ალბათ, უახლოს ხანშიც იქნება გადამწყვეტი ფაქტორი გადანყვეტილებების მიღებისას. ბიზნესის საკმარისი გახსნილობა, სანარმოოსა და მისი მენეჯერების

საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს დასავლეთში ბიზნესის განუყოფელ ფაქტორს. აქვე უნდა ითქვას კრიმინალიზაციის საკმაოდ მაღალი დონეც. ფაქტები ადასტურებენ, რომ იძულებისა და ძალადობის პრაქტიკა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ქართულ საქმიან ურთიერთობებში. მნიშვნელოვანწილად ეს აიხსნება გარემო პირობებით: მაშინ, როდესაც მწარმე აწყდება თავისი კონტრაგენტების მხრიდან საქმიან ვალდებულებების არშესრულების მაღალ რისკს, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები „მესამე პირის“ ამპლუაში ვერ ახერხებენ მის დაცვას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონტროლის „ჰორიზონტალური“ ფორმები, შეთანხმების მიღწევისა და აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, რომლებსაც შეიმუშავენ უშუალოდ სამეურნეო ოპერაციის მონაწილეები.

მართვის ქართული სტილის ანალიზისას ცალკე უნდა აღინიშნოს მისი უარყოფითი ნიშნებიც. მაგალითად, ხშირად ლაპარაკობენ ქართველი მენეჯერების არასაკმარის პროფესიულ კომპეტენტურობაზე. ზოგიერთი მმართველობითი პროცედურის ნაწილში, აღნიშნულ პრობლემაში უარყოფით მხარედ შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- ბიზნესჩვევების არასაკმარისი განვითარება.
- ეფექტიანი ანალიზისა და კომუნიკაციების არარსებობა.
- საკვანძო მართველობით ინსტრუმენტების არასაკმარისი ცოდნა.

აუცილებელია აქვე შევეხოთ ქართველი ხალხის დადებით თვისებებს მართვის პროცესთან მიმართებით: ნოვატორობისაკენ, ორიგინალური გადაწყვეტილებებისა და რისკისაკენ მიდრეკილება, ინტენსიური მუშაობის უნარი. ასევე გამოვლინდა ისეთი თვისებები, როგორიცაა საერთო საქმის გრძნობა, მზადყოფნა უანგარო დახმარებისაკენ და ასევე მიდრეკილება არაფორმალური ლიდერების მორჩილებისადმი.

ქართლი საქმიანი კულტურისა და მართვის ქართული სტილის შესწავლას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომელიც მდგომარეობს „სუსტი“ ადგილების გამოვლენაში, მართვის ეფექტიანობის ფაქტორების შესწავლაში, დასავლური ქვეყნების კულტურებთან ქართული მმართველობითი კულტურის შედარებაში. დასავლეთის ქვეყნებისა და ყველაზე მეტად ანგლო-საქსონური მოდელი, ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართული კომპანიების მიერ.

ამასთან დაკავშირებით ორი კითხვა ჩნდება:

1. როგორი მენტალური მახასიათებლები შეესაბამება დასავლურ საბაზრო მეურნეობას?
2. რომელი მახასიათებლებია ქართული მენტალობისათვის დამახასიათებელი?

კაპიტალისტურ მენტალობაში იგულისხმება ის სტერეოტიპები და ღირებულებები, რომლებიც ინდივიდს ხდის უფრო კეთილგანწყობილს, უფრო შეგუებულს საბაზრო მენარმეობისადმი.

მეცნიერები ბიზნესს ანუ მენარმეობას განმარტავენ, როგორც დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოგების მისაღებად. შესაბამისად, მენარმე ეს არის საბაზრო ურთერთობების დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით მოგების მისაღებად, ამრიგად, ნორმალურ მენარმეს (მ. ვებერის, ი. შუმპეტერისა და მენარმეობის სხვა დასავლელი შრომების თანახმად) უნდა ჰქონდეს შემდეგი ტიპური ნიშნები:

1. რაციონალობა;
2. სწრაფვა სიმდიდრისაკენ, როგორც თვითმიზანი;
3. პატიოსნება (მზადყოფნა), შეასრულოს აღებული ვალდებულებები, თანხმობა (გააცნოს უარყოფითი ინფორმაცია საკუთარ თავზე);
4. დამოუკიდებლობა (ინდივიდუალიზმი);
5. სწრაფვა შესაძლებლობათა თანასწორობისაკენ (დაბალი სოციალური დისტანცია);
6. რისკისათვის მზადყოფნა;

## 7. სწრაფვა ნოვატორობისაკენ.

ამ ნიშნების არსებობა „კაპიტალისტურს“, მათი არქონა კი „ანტიკაპიტალისტურს“ მენტალობას მონიშნავს. ჰოფსტედეს მიერ გამომუშავებული სკალის თანახმად, საქართველო უფრო მეტად ფლობს „ანტიკაპიტალისტურ“ მენტალობას, მისთვის დამახასიათებელია ძლიერი კოლექტივიზმი, ხელისუფლების მაღალი დისტანცია, გაურკვევლობისაკენ მაღალი თავიდან აცილება, კულტურის ქალურობა. ასე, რომ შედარებით მენეჯმენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას საქართველოსთან მიმართებით წარმოადგენს სამამულო ეროვნული კულტურული თავისებურებების შეფასება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესზე. ამ თავისებურებების ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს ისტორიული მონაცემებიდან, საკმაოდ დამკვიდრდა ქართველების ცნობიერებაში.

ქართული საქმიანი კულტურის თავისებურებების გარკვევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

- ქართულ ბიზნესს აქვს რიგი თავისებურებები, რომელთა უდიდესი ნაწილი აიხსნება ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარებით, იმ ეთნიკური მრავალფეროვნებით, რომელსაც ვხედავთ საქართველოში;
- ბაზარზე გასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მმართველობით ქცევაში;
- საქართველოში ინსტიტუციური სფეროს ნელი განვითარება, არ შეესაბამება პრინციპულ ცვლილებას ფასეულობათა სისტემაში, რაც ხსნის თანამედროვე საქმიანი კულტურის ბევრ ნეგატიურ ნიშან-თვისებას.

შედარებითი და ეთნომენეჯმენტის გულისხმობს საქმიანი კულტურების თავისებურებების ანალიზის ჩატარებას, სოციოლოგიური კვლევების მონაცემებისა და სპეციალისტების მოსაზრებების, როგორც ქვეყნებს შორის, ისე თვით ქვეყნის შიგნით პრაქტიკული ურთიერთობების ქმედებების შედეგების შეგროვებას და ამის საფუძველზე გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას. ამ შემთხვევაში ძირითადი პრაქტიკული

ამოცანაა მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, მართვის პროცესების ოპტიმიზაცია, შედარებითი მენეჯმენტის არსენალის გამოყენებით, რაც იწვევს მთლიანობაში საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

შედარებითი მენეჯმენტის არსენალის გამოყენების ყველა მიმართულებას შორის საქართველოსათვის მთავარ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს უცხოური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა, ადგილობრივი საწარმოების მართვის პრაქტიკაში.

ქართული საწარმოების მიერ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ცალკეული მიდგომები და ინსტრუმენტები, ხოლო სიახლეების დანერგვის წარმატებულობა და მაშტაბურობა დამოკიდებულია ბიზნესის დარგზე, კომპანიის ტერიტორიულ ადგიმდებარეობასა და ზომაზე, ხელმძღვანელობის პოლიტიკასა და სამუშაოს ძალის დონეზე და სხვ. მოცემული მომენტისათვის განვითარების შესაძლებელ და ყველაზე მისაღებ გზად უნდა ჩაითვალოს უცხოური მიდგომების თანდათანობითი გამოყენება ქართული ეროვნული, ეთნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით.

სხვადასხვა ექსპერტებისა და მენარმეების აზრის გათვალისწინებით, რომლებიც დაფუძნებულია ემპირიულ გამოცდილებაზე და კულტურულ-ისტორიულ ანალიზზე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფორმალური მაჩვენებელია მისი ინტერნაციონალიზაციისაკენ გადახრა, ასევე უცხოური გამოცდილებისა და შედარებითი მენეჯმენტის შეთვისების წარმატება. პოზიტიური ცვლილებები აღნიშნული მიმართულებით მოწმობენ მენეჯმენტის სხვადასხვა მოდელის თავსებადობას, მომუშავეების გლობალურ ეკონომიკურ გარემოში ჩართვისათვის მაღალ მზაობას.

#### **4.2. ეთნოკულტურული პროცესები საქართველოში**

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში



სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდრობენ და მშვიდობიანად თანაცხოვრობენ, რითაც სამართლიანად ვამაყოფთ.

საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოს და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა კავშირში არსებული წონასწორობა მძაფრმა განვითარებულმა მოვლენებმა დაარღვია, ყოველივეს თან დაერთო მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რასაც ზოგ ადგილას ეთნიკური დაპირისპირება მოჰყვა.

ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიული ინსინუაციების (ლათ. – მონაჭორი, ვისიმე სახელის გასატეხად) იდეოლოგიამ, ეთნოცენტრიზმა (საკუთარ კულტურაში არსებული მზა ღირებულებებისა და თეორიების მორგება სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა თუ ეთნოსებზე), რომელთაც საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ. ეთნოცენტრიზმი ოპოზიციური ჯგუფების ტრადიციული კულტურის ნეგატიურ პრიზმაში განხილვითა და საკუთარი ჯგუფის კულტურის განდიდებით ხასიათდება.

ამ ტენდენციებმა უმნიშვნელო გავლენა იქონია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში. ამრიგად, კულტურულ-ისტორიული რეალიები იქცნენ არა ცალკეული ჯგუფების გაერთიანების, არამედ მათი გათიშვისა და დაპირისპირების საშუალებად. ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავებული ჯგუფების ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია მოითხოვს, რომ სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკა კარგად გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას ეყრდნობოდეს. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, როდესაც ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეზად აღიარა არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაცია. ასეთი მიდგომით ქართველია, საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა. ავტოქთონობამოსულობა (ავტოქთონური ბერძ. 1. აბორიგენები; მკვიდრი მოსახლეობა, მოცემული ად-

გილის თავდაპირველი მოსახლეობა) და ტრადიციული კულტურული მსგავსება – განსხვავებები მხოლოდ ისეთი ფუნქციების მატარებლად გვევლინება, როგორიცაა – შემეცნებითი (აღრმავებს ცოდნას წარსულის შესახებ), დიდაქტიკური (ასწავლის დადებითი და უარყოფითი მაგალითების მეშვეობით), ეთნო-კულტურული (აძლიერებს ადამიანის მენტალურ კავშირს წინაპრებსა და ტრადიციულ კულტურასთან) და მსოფლალქმითი (თითოეული ადამიანის, ჯგუფისა და, საერთოდ, კაცობრიობის თვითშემეცნებისათვის იძლევა საზრდოს) ფუნქციები. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეთნო-კულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა. საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტენსიური მიგრაციების არეალში. განსაკუთრებით აქტიურად მიგრაციული პროცესები საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებს შორის მიმდინარეობდა. შემოდიდოდნენ და მკვიდრდებოდნენ, როგორც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, ასევე ცალკეული ჯგუფები მახლობელი აღმოსავლეთიდან. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში, ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაითქვიფა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკა. საქართველოს ეთნიკური იერსახის ფორმირება, ძირითადად, მახლობელ აღმოსავლეთსა და დღევანდელი რუსეთის სამხრეთში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. ამ რეგიონში მიმდინარე ეთნომიგრაციებზე გავლენა მოახდინა, როგორც უძველესმა იმპერიებმა, ისე ჰუნების, კიმერიელებისა და სკვითების მოძრაობამ, მონღოლთა შემოსევებმა, თემურ ლენგის ლაშქრობებმა, ირან-ოსმალეთის ომებმა, რუსეთის გაძლიერებამ და აღმოსავლეთის ქვეყნებთან (თურქეთთან,

სპარსეთთან) მისი მეტოქეობის შედეგად წარმოქმნილმა ეთნოპოლიტიკურმა და რელიგიურმა იმპულსებმა. ძველ აღმოსავლეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირებს ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელების საქართველოში მოსვლას.

## **ქართველ-ებრაელთა ურთიერთობები**

კავკასია და საკუთრივ საქართველო, გეოპოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კონფესიური თვალსაზრისით ისტორიულად და განსაკუთრებით დღეს, თავისი მრავალფეროვნებით და მრავალკონფესიური რელიგიურობით „აქტიური ველის“ რეგიონს წარმოადგენს. ამდენად, ერთაშორისი ურთიერთობანი ერთერთი უპირველესი პრობლემაა და მისი ჰარმონიულად ჩამოყალიბება, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონისა და მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ მხრივ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ისტორიაში ბადალი თითქმის არ მოეძებნება.

საქართველო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მრავალეთნიკური და მრავალკულტურული სახელმწიფო იყო და დღემდე ასეა, რაშიც, პირველ რიგში, მისი მდებარეობა უწყობს ხელს, მსოფლიოს ცივილიზაციათა მიჯნაზე. გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, აღსანიშნავია ქართული სტუმართმოყვარეობის ფენომენიც, რომელიც უკვე საქართველოს იდენტობის განუყოფელ ნაწილად იქცა. მრავალი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს საქართველოში ქურთები, ასურელები, გერმანელები, ბოშები, თუ სომხები, მაგრამ იშვიათად მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში ისეთი ჰარმონიული ურთიერთობა, როგორც ქართველებსა და ებრაელებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებობს.

ებრაელები სემიტური მოდგმის ხალხთა საერთო ეთნიკური სახელია. მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და ერის ფორმირებაში უდიდესი როლი იუდაიზმმა შეასრულა. ებრაელები უძველესი დროიდან თითქმის ყველა სახელმწიფოში

იდევნებოდნენ. მიუხედავად ამისა, მათ საუკუნეების განმავლობაში მოახერხეს საკუთარი იდენტობის შენარჩუნება და 1948 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო – ისრაელი, რომლის ოფიციალური ენა ივრითია, რაც ებრაულ ენას ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში სულ რაღაც 4000 ებრაელი ცხოვრობს, უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე ებრაელებს საქართველოსთან საკმაოდ მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურული კავშირები აქვთ. ცნობილია ისიც, რომ ქართველებს ებრაელების მიმართ ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ.

ებრაელები თითქმის ყველა რეგიონში იყვნენ დასახლებული: აღმოსავლეთ საქართველოში, სამხრეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში. სოფელ ლაილაში დგას ებრაელთა ძველი სინაგოგა. დღემდე მოქმედი სინაგოგები კი გვხვდება თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

საქართველოში ებრაელების დასახლების თარიღის გარკვევა ზუსტად შეუძლებელია. ქართლის ცხოვრება მათ ჩამოსვლას ძვ.წ 586 წელს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობას უკავშირებს, თუმცა ებრაელების ნაკადი საქართველოში არაერთხელ ჩამოსახლებულა (მაგ: I საუკუნეში, რომელი კეისრის ტიტუს ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის ხელმეორედ აოხრების შემდეგ; ბათუმში ებრაელები რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დასახლდნენ, სადაც ააგეს სინაგოგა და ა.შ). ისინი თავს ქართველ ებრაელებს უწოდებენ. ისტორიულად ცნობილია, რომ ისინი მალევე შეერწყვნენ ქართულ მოსახლეობას, მშობლიურივით აითვისეს ქართული ენა, მიიღეს ქართული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ამავდროულად, შეინარჩუნეს საკუთარიც. ხოლო ბოლო პერიოდში, საქართველოში გამოჩნდა ევროპიდან ჩამოსახლებულ ებრაელთა მეორე ჯგუფი, რომლებსაც ამკენაზები ეწოდებათ.

სამწუხაროდ, სოფლებში მცხოვრები ებრაელების უმეტესობამ გაჭირვების გამო საცხოვრებელი ადგილი მიატოვა და ძირითადად ქალაქებს შეაფარა თავი.

ქართველ ებრაელებს საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართული კულტურის, პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარებაში.

„არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსტაცა სამშობლო და თვითმყოფელობა და გააბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება“ წერდა ილია ჭავჭავაძე.

აღსანიშნავია, რომ საქართველო არის იმ უიშვიათეს ქვეყანათა რიგში, სადაც ებრაელები არასდროს იდევნებოდნენ. 1900-იან წლებში ევროპის ერთ-ერთ ქალაქში გამართულ ებრაელთა მსოფლიო კონგრესზე, სადაც თითოეული ქვეყნის წარმომადგენელი ყვებოდა ებრაელთა რბევისა და აწიოკების შემადრწუნებელ ფაქტებს, საქართველოდან ჩამოსული რაბინი – დავით ბააზოვი ასე იწყებს საკუთარ გამოსვლას: „ძმებო, მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა 2600 წელია ცხოვრობს და ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ განუცდია რბევა და აწიოკება...“

მულტიკულტურულ საქართველოში ებრაული დიასპორა ერთ-ერთი უძველესთაგანია და ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნე ებრაელთა პირველი მიგრაციისა და მათ მცხეთაში დასახლებას უკავშირდება. მე-11 საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, ებრაელები საქართველოში ბაბილონელი მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ (ძველი წელთაღრიცხვით 586 წელი) სოლომონის პირველი ტაძრის დანგრევისა და იერუსალიმიდან ებრაელთა განდევნის შემდეგ გამოჩნდნენ და ქართლში დასახლდნენ. ებრაელები უძველესი რელიგიის, ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხია, მიუხედავად იმისა, რასაც ისინი საუკუნეების განმალობაში სხვადას-

ხვა ქვეყნებში განიცდინენ, მათ არა თუ შეინარჩუნეს თვით-მყოფადობა, არამედ განავითარეს თავისი კულტურა. ამასთანავე, ებრაელები ბრწყინვალედ ახერხებდნენ ადგილობრივ ტრადიციებთან ადაპტაციასა და სინტეზს. ეს განსაკუთრებით ნიშანდომობლივია საქართველოში მცხოვრებ ებრაელთათვის. საქართველო იმ იშვიათ გამონაკლის ქვეყანას წარმოადგენს, სადაც ისტორიულად ებრაელების მიმართ ყოველთვის კეთილი და მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ებრაელებს ჰქონდათ თავისი რელიგია, მაგრამ საუბრობდნენ ქართულად. განსხვავებული დიალექტიც კი არ ჰქონდათ. ასიმილაციის მიუხედავად ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა თავისი რელიგია და ტრადიციები.

საქართველოში ებრაელთა დიასპორის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მიუხედავად, მე-20 საუკუნემდე არ ყოფილა მისი ისტორიული თუ კულტურული კვლევის პრეცედენტი, ამას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა თბილისში საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებამ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩამოყალიბდა 1932 წლის 30 ნოემბერს, როგორც საუნწყებო ორგანიზაცია – მშრომელ ებრაელთა კულტბაზის ფარგლებში. ოფიციალურად კი დაარსდა 1933 წლის 23 ნოემბერს – საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით. საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტიემიგრაციული მოძრაობის პერიოდში მუზეუმი დაიხურა 1951 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის წარდგენის საფუძველზე აღდგა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით და მიენიჭა ცნობილი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის სახელი. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით განისაზღვრა მუზეუმის ახალი სამართლებრივი სტატუსი და სახელწოდება – „ს. ს. ი. პ. დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი“. მუზეუმი თბილისელი და ლენინგრადელი მეცნიერ

თანამშრომელთა ჯგუფის ინიციატივითა და საქართველოს ებრაელი საზოგადოების მხარდაჭერით დაარსდა. მუზეუმის კოლექცია მრავალმხირვად წარმოაჩინდა ქართველ-ებრაელთა კულტურასა და ყოფას (ექსპონირებული იყო ეთნოგრაფიული, რელიგიური, რიტუალური, ყოფითი დანიშნულების ნივთები, ხელნაწერები, კოსტიუმები, აქსესუარები და ფოტოები).

სახვითი ხელოვნების კოლექციაში სხვადასხვა ავტორთა 160-დე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებია. ამ კოლექციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის – შალომ კობოშვილის (1876-1941) და ქართველი ფერმწერის – დავით გველესიანის (1890-1949) ნამუშევრები, რომლებშიც ყველაზე საინტერესოდ და ხატოვნად აისახა ქართველ-ებრაელთა ცხოვრება.

სამტრედიიდან 5 კილომეტრში მდებარე დაბა კულაშში ქართველი ებრაელების ისტორიის საინტერესო ნაწილია თავმოყრილი. ამ პატარა ადგილას მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაახლოებით 10000 ქართველი ებრაელი ცხოვრობდა სადაც 6 ებრაული სალოცავი მოქმედებდა. 1929 წელს საბჭოთა ანტროპოლოგმა მარკ პლისეცკიმ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმოგზაურა, ქართველი ებრაელების ცხოვრების აღწერის მიზნით, რათა ექსპედიციის შედეგები საბჭოთა საქართველოს ცენტრალური ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადაეცა. კულაშის გარდა მისი ექსპედიცია მოიცავდა ახალციხის, ქარელი, ქუთაისის, ცხინვალის, საჩხერის, სურამის და ონის ქართველი ებრაელების ცხოვრების აღწერას. ისტორიულ წყაროებში მიქელაძეთა საგვარეულოს ბრძანებით კულაშში მე-17 საუკუნის მიწურულს 7 ებრაელ გლეხს მისცეს ცხოვრების უფლება. დროთა განმავლობაში კულაშში ახალციხელი, ლაილაშელი და ბანძელი ებრაელები დასახლდნენ. ებრაელები კულაშში რაჭიდან და სოფელ სუჯუნადანაც ჩავიდნენ და ერთმანეთისაგან გამოყოფილ კვარტლებში დასახლდნენ, კულაშის ყველა ებრაულ კვარტალს ადრე თავისი სინაგოგა გააჩნდა. პირველი სინაგოგა მე-18 საუკუნეშია აშე-

ნებული. დაბა კულაშში იმითაცაა გამორჩეული, რომ საქართველოში არსებულ ებრაელ დასახლებათა შორის ერთ-ერთია სადაც მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი ებრაელი იყო. 2005 წელს ამირან მიხელაშვილის სახლში დაარსდა ქართველთა და ებრაელთა მუზეუმი.

1800 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობდა 3300 ებრაელი; 1832 წელს 4000 ებრაელი 1865 წელს 7800 ებრაელი ცხოვრობდა, 1886 წელს 11700 ებრაელი ცხოვრობა, 1979 წელს 28300 ებრაელი ცხოვრობდა.

1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით 6407 ებრაელი თავის მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდა, 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 21471 ქართველი ებრაელი, 1970 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველი ებრაელების რიცხვმა მიაღწია 43000, მათგან დაახლოებით 70% მომდევნო დეკადაში ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად.

1989 წელს ემიგრაციაში წავიდა 488 ებრაელი, 1990 წელს ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად 1603 ებრაელი, მათ შორის თბილისიდან 911. 1993 წლის დასასრულისათვის საქართველოში ცხოვრობდა 14500 ებრაელი. საქართველოდან ისრაელში ებრაელთა იმიგრაცია იყო მაღალი: 1992 წელს საქართველოდან ისრაელში წავიდა 2595 კაცი; 1993 წელს 3750. ებრაელთა იმიგრაციამ საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 1992 წელს 305 კაცი; ხოლო 1993, 345 კაცი.<sup>1</sup>

1825 წელს თბილისში აღრიცხული იყო 58 ებრაელი, რომლებიც დროებით მაცხოვრებლებს განეკუთნებოდნენ.

---

<sup>1</sup> რ. მეტრეველი, ებრაელები საქართველოში, თბილისი 2002, გვ 26 – 31.



1864 წელს – 400 ებრაელი (მთლიანი მოსახლეობის 0,7%), 1876 წელს 1100 ათასი მთლიანი მოსახლეობის 1,2%, 1899 წელს – 2400 (მთლიანი მოსახლეობის 1,4%). ოფიციალური მონაცემებით 1896 წელს თბილისში ცხოვრობდა იუდაიზმის მიმდევარი (რუსეთის იმპერიის პასპორტში აღინიშნებოდა სარწმუნოება და არა ეროვნება) სამი საზოგადოების ქართველ-ებრაელთა, აშქენაზების და ლახლუხების (რომლებიც სპარსეთის ქვეშემრდომებად ითვლებოდნენ) 3400 წარმომადგენელი.

თავდაპირველად ქართველ ებრაელებში ღვთისმსახურება და რელიგიური რიტუალების ჩატარება ხახამს ჰქონდა დავალებული, მეტრიკული ჩანაწერების წარმოება კი ახალციხის რაბიდს ევალებოდა. 1892 წლიდან ქართველი ებრაელების თანხმობით რელიგიური რიტუალების ჩატარება და მეტრიკული საქმის წარმოება აშქენაზთა რაბინს სიმხეკარაშს დაევალა, იგი ქალაქის მმართველობამ მთავარ რაბინად აღიარა. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველ ებრაელებსა და აშქენაზების რაბინს შორის გაუგებრობა წარმოიშვა, პრობლემების მოგვარების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ქართველ ებრაელებს მათი თხოვნის საფუძველზე 1899 წელს უფლება მისცა ჰყოლოდათ თავისი მთავარი რაბინი. თბილისელ ქართველ ებრაელთა საზოგადოებამ მთავარ რაბინად აირჩია იაკობ ნაფთალიშვილი (იაკობ ნამთალიშვილი 1869-1944)<sup>1</sup>

„იუდაიზმი“ ებრაელთა ტრადიციული სარწმუნოება. იგი ქრონოლოგიურად პირველი აბრამისტული რელიგიაა და გარკვეულ წილად მის საფუძველს წარმოადგენს. ტერმინი „იუდაიზმი“ ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს, რომელიც ბერძნულ ენოვანმა იუდეველებმა დაამკვიდრეს რათა საკუთარი რელიგია ელზინიური წარმათობისაგან განესხვავებინათ.

---

<sup>1</sup> დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში „მენორა“ (რომელიც გამოდის 1993 წლის მარტიდან) – 2020 წელი, ნომერი პირველი იანვარი (ტვეთი) გვ 5.

საერთოდ კი ეს სახელი ებრაელთა პატრიარქის იაკონის მეოთხე ვაჟს – იუდას უკავშირდება, რომელმაც იუდეველთა საგვარეულოს დაუდო სათავე.

„იუდაიზმი“ ისევ, როგორც სხვა რელიგია თავის თავში სამ კომპონენტს მოიცავს: მოძღვრებას, კანონმდებლობას და პრაქტიკას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ღვთის მეტყველებას, კანონების კოდექსს და ღვთის მსახურებას. სამივე კომპონენტი ეფუძნება ძველ აღთქმას, რომელსაც ებრაულად ეწოდება „თანახი“. სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ იუდაიზმის სახით საქმე გვაქვს ეროვნულ რელიგიასთან, ანუ იმ შემთხვევასთან, როდესაც სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივე. პრინციპულად იუდაიზმი პროზელიტიზმით (ანუ სხვა აღმსარებლობის ხალხში საკუთარი რელიგიის უპირატესობის ქადაგებით) არ არის დაკავებული. ის მხოლოდ ებრაელი ხალხის ეროვნულ რელიგიად ითვლება.

აქვე მინდა შევეხო, რომ თვით მენჯემენტის საწყისი ებრაელთა სახელთან არის დაკავშირებული, კერძოდ სავარაუდოა, რომ სოციალური მართვა წარმოიშეობდა იქ და მაშინ, როდესაც იქმნებოდა მრავალ რიცხოვან ადამიანთა მოქმედების ერთი მიმართლებით წარმართვის აუცილებლობა. ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც მოსემ დაიწყო ებრაელთა გამოყვანა ეგვიპტიდან, იგი იყო ყველა მართველობითი ფუნქციის შემსრულებელი. უდაბნოში 40 წლიანი მოგზაურობის პირველივე წლებიდან წარმოიშვა მოსახლეობას შორის აზრთა სხვადასხვაობა, წინააღმდეგობანი, კონფლიქტი. ვინაიდან არავის, გარდა მოსესი არ ჰქონდა დიდი თუ მცირე პრობლემების გადაჭრის უფლება. მოსე ისე ჩაეფლო ყოველდღიურ უბრალო პრობლემებში, რომ შეიქმნა ყველა ებრაელისათვის ძირითადი მიზნის მიღწევის ჩაშლის საფრთხე. მოსეს აღარ რჩებოდა დრო ყველა პრობლემების გადაწყვეტისა და მითუმეტეს, მათი შესრულების უზრუნველყოფისათვის. ადამიანებს უკიდევანო უდაბნოში დალუპვა ემუქრებოდათ და მაშინ მიიღო მან თავისი სიმამრის ითროს რჩევა, შეარჩია ებრაელებისაგან ყველაზე ღირსეული ადამიანები და ჩაუყენა ისინი ხალხს ხელმძღვანელებად: ათასისთავებად, ასისთავებად, ორ-

მოცდაათისთავებად და ათისთავებად. ისინი წყვეტდნენ მიმდინარე საკითხებს უმნიშვნელოვანეს პრობლემებს კი მოსეს ანდობდნენ.<sup>1</sup>

მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი გარემოებების შედეგად გაჩნდა საქართველოში სომხური მოსახლეობის პირველი ფენაც. ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დამდეგს, სელევკიდური სირიის მეფე ანტიოქ III-ის სარდლებმა არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს, სომეხთა პირველი შემოსვლაც მაშინ უნდა მომხდარიყო. ირანელებთან, არაბებთან, მონღოლებთან და თურქებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად საქართველოში (მეტწილად ქალაქებში) მკვიდრდებოდნენ ამ ხალხთა წარმომადგენლები, რის შესახებაც ქართულ საისტორიო წყაროებში მრავალი ცნობაა შემორჩენილი. ცალკეულ შემთხვევებში უცხო ეთნიკურ ერთეულს სამეფო ხელისუფლებაც იყენებდა სამხედრო მიზნებისათვის, გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაღები შემოიყვანა, ხოლო გორში, სომხები ჩამოსახლდა. სომხური წარმოშობის პირები მოგვიანებითაც მრავლად იყვნენ საქართველოს მეფეთა კარზე. განსხვავებული მოსაზრებები არსებობს საისტორიო საზოგადოებაში ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ეტაპების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ მიგრაციის «უძველეს დროდ» III-IV ან VI-VII საუკუნეებს მიიჩნევს. საქართველოში ოსთა ინფილტრაციის (ორგანიზმის უჯრედებსა და ქსოვილებში, უცხო ნივთიერებათა შეჭრა) პირველ პერიოდად მეცნიერთა უმეტესობა ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა გაბატონებას უკავშირებს. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით, მათი მიგრაციის ხანა XV-XVI საუკუნეებით განესაზღვრათ. რუსი და ქართველი მეცნიერების კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში

---

<sup>1</sup> ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე., მენეჯმენტის საფუძვლები, 2010, გვ21.

ოსების დასახლება, ძირითადად, XVII საუკუნეში მოხდა, ხოლო დას. საქართველოში ოსთა მიგრაცია XVIII საუკუნეში მიმდინარეობდა. ოსების კომპაქტური დასახლებები თანდათანობით გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და მდ. ქსნის ხეობებში, თუმცა მათი დიდი ნაწილი დისპერსულად (გაფანტულად) განსახლდა მთელ საქართველოში. XIX საუკუნემდე წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება «სამხრეთი» ან «ჩრდილოეთი» არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტებში რუსი სამხედროები მდ. ლიახვის მთიანი რეგიონების ოსებით დასახლებულ ტერიტორიას უწოდებდნენ «ოსეთს», (1812-1837 წწ.). შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი „სამხრეთ-ოსეთი“ და „ჩრდილო ოსეთი“ (1830, 1867, 1885 წწ.). XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე „ოსეთის ოლქი“ დაწესდა. სწორედ ეს ვითარება იქცა შიდა ქართლში ბოლშევიკების მიერ შექმნილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაყოფისათვის სახელის მინიჭების წინაპირობად (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). აზრთა არანაკლებ სხვადასხვაობას ინვეეს აფხაზთა ეთნოგენეზი და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული ეთნიკური პროცესები. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მხარეზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულმა ადიღეური მოდგმის ხალხებმა. ეთნიკური აფხაზების ბირთვს სწორედ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ჯგუფები შეადგენენ. ზოგ მეცნიერს კი სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს, მათი აზრით, II საუკუნეში წყაროებში მოხსენებული აფსილები და აბაზგები აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინაპრები არიან. აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნეში დასრულდა. პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსილებმა. ამ კონცეფციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ გვიან შუა საუკუნეებში მიგრაციულ პროცესებს,

პირიქით, საქართველოდან ჩრდ. კავკასიისაკენ ჰქონდა მიმართულება. ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი კავკასიონს გადაღმა, ჩრდილო კავკასიაში (მდ. ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების სათავეებში), დამკვიდრდა და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც თავისთავადი აბაზა ხალხი. გვიანი შუა საუკუნეებისათვის განსაკუთრებით ძლიერი იყო მიგრაცია სომხეთიდან. ისტორიული სომხეთი განაწილებული აღმოჩნდა ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს — ირანსა და ოსმალეთს — შორის. მრავალი ადამიანი ტოვებდა სამშობლოს იქ გამეფებული ეროვნულ-პოლიტიკური თუ რელიგიური შევიწროების გამო და სხვა ქვეყნებში ეძებდა თავშესაფარს. XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო თურქმენული მოდგმის (ქართული წყაროებით — თათრები, დღევანდელი აზერბაიჯანელების წინაპრები) ტომების ჩამოსახლებამ. XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასმა, ქართლის მეფე გიორგის «საჩუქარი» მოსთხოვა. შაჰმა «ნაჩუქარ» მიწაზე ლორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალოს მაჰმადიანი ტომები ჩამოსახლა. XVII-XVIII საუკუნეში აღმ. საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონები) დანაწილდნენ. ნასიბუს ტომმა დმანისის ხეობაში შეაღწია. თანდათანობით ქართულ ფეოდალურ სისტემას შეერწყნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში. კახეთში ჩამოსახლება დაიწყო დაღესტნელებმა. მართალია, დაღესტნელთა ქართულ მიწა-წყალზე გადმოსვლა-დამკვიდრება მშვიდობიან პერიოდშიც ხდებოდა, მაგრამ ეს პროცესი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კავკასია ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. შაჰ-აბასის ლაშქრობებმა კი დაღესტნელ მოახალშენეებს საქართველოსკენ გაუხსნა გზა. ირანთურქეთის მეტოქეობის პერიოდში (XVI ს.) აღმოსავლეთ საქართველოში (მესხეთში) გამოჩნდნენ ცალკეული ქურთული

ტომებიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნიკურ მიგრაციას ზოგჯერ ადგილობრივი მესვეურებიც მიმართავდნენ. კავკასიის სხვა რეგიონებიდან შემოყვანილ ეთნიკურ ჯგუფებს ქართული სამეფო კარი და ცალკეული ფეოდალი გაუჟაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად იყენებდა. XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე მეორემ ქართლში ოსები შემოიყვანა. 70-იან წლებში ყაზარდოელების ჩამოსახლება სცადა, რასაც წინ აღუდგა რუსეთი. ერეკლეს ძალისხმევის შედეგია ბერძენთა პირველი მცირერიცხოვანი დასახლებების გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში. ომან მდივან ბეგ ხერხეულიძის ცნობით, სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების განვითარების მიზნით, ერეკლე II-მ, ბერძენები ჩამოსახლა ახტალაში, სომეხი მელიქების მამულებში, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. ამრიგად, საქართველოს სამეფოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა მიგრანტებს, პირიქით, ქმნიდა პირობებს მათი ინტეგრირებისათვის. ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) მიგრანტებისათვის შეღავათებს აწესებდნენ. სწორედ ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა. ეთნიკური ჯგუფების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ ეთნოისტორიულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ახალი ეთნოკულტურული მახასიათებლების შემოტანა ხშირად მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის მიზეზი ხდებოდა. მაგალითად, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი და ირანული მოდემის ხალხების ინფილტრაციამ რადიკალური გავლენა იქონია აქ მცხოვრები ალბანელების ენაზე, ტრადიციულ ყოფასა და კულტურაზე. სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არსებული ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის იმპერიის გაძლიერებისა და მისი კავკასიაში წინსვლის ისტორიას. რუსეთი უკვე XVI საუკუნიდან ერეოდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში. კავკასიაში რუსეთისათვის სასურველი პოლიტიკური სიტუაციის ფორმირება მხოლოდ სათანადო ეთნიკური მოზაიკის შექმნით შეიძლებოდა, რაც აუცილებლად მოითხოვდა მეცნიერულ კვლევას.

კავკასიის ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური და გეოგრაფიული შესწავლისათვის ექსპედიციებმა XVIII საუკუნეში დაიწყეს ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიება. დიდძალი ეთნოგრაფიული მასალის მოძიებამ, ანალიზმა და სოლიდური სამეცნიერო ბაზის ჩამოყალიბებამ ჯერ ცარიზმს, შემდეგ კი საბჭოთა კავშირს ეთნიკური ვითარების ტრანსფორმირების საშუალება მისცა. ამ მიზნით ეფექტიანად იყენებდნენ, როგორც გარე (ეთნოტერიტორიულ ერთეულებს შორის მიმდინარე), ისე შიგა მიგრაციებს. საქართველოში გაბატონების პირველივე წლებში რუსული მმართველობა სასურველი ეთნიკური სიტუაციის შესაქმნელად პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას შეუდგა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს თან ერთვოდა რესკრიპტი (მეფის მიერ გამოქვეყნებული წერილი ქვეშევრდომისადმი განეული სამსახურისათვის, მადლობის გამოცხადების შესახებ) საქართველოს კოლონიზაციის თაობაზე. მასში იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს მაშინდელ მთავარმართველს, კნორინგს, მიუთითებდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საზღვარგარეთიდან საქართველოში ქრისტიანი კოლონისტების მოზიდვისათვის. ამ მიზნით 1819 წლის 22 დეკემბერს მიიღეს საგანგებო დებულება, რომლითაც საქართველოში გადმოსახლებულ კოლონისტებს არაერთი შეღავათი ენიჭებოდათ. სწორედ ამ შეღავათებით სარგებლობდნენ XIX საუკუნეში ცარისტული რეჟიმის ძალისხმევით გადმოსახლებულ მიგრანტთა ჯგუფები (რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირებული

რელიგიური ჯგუფები, სომხები, ბერძნები, გერმანელები და ა. შ.) საიმპერატორო კარი მიზნად ისახავდა რუსების, განსაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლებას საქართველოსა და კავკასიაში. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად დისლოცირების ადგილზე რჩებოდა. რუს კოლონისტებს მთავრობამ დაურიგა საუკეთესო მიწები, ეხმარებოდა მათ ფინანსურად, ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. შემდგომში ეს დასახლებები სოფლებად გადაიქცნენ. სამხედრო კოლონიზაცი-

ის გარდა, რუსი მოსახლეობის საქართველოში დაფუძნებას თავადაზნაურული და საეკლესიოსამონასტრო კოლონიზაციაც უწყობდა ხელს. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ე. წ. ერეტიკოსების გადმოსახლება საქართველოში. მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაპირისპირებული ჯგუფები მოდიოდნენ, როგორც საკუთარი ნებით, ისე იძულებითაც. ერთ-ერთი პირველნი იყვნენ დუხობორები, რომლებიც ახალქალაქის უბანში გადმოსახლეს. მათ მალაქნები მოჰყვნენ. მთავრობა ცდილობდა გადასახლებისას არ დაერღვია რელიგიური თემის ერთიანობა და, როგორც ნესი, მათ ცალკე საცხოვრებელ ადგილს უყოფდა. 1820-იანი წლებიდან დაიწყო რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან რუსი «რასკოლნიკების, რუსეთის იმპერიის მართმადიდებელი ეკლესიიდან დევნილი ჯგუფების» საქართველოში ჩამოსახლება. საქართველოში სხვა ეროვნების ქრისტიანულ ჯგუფებსაც ასახლებდნენ. 1817 წელს ვენის კონგრესიდან მომავალ ალექსანდრე I-ს შტუტგარტში შეხვდნენ ერთ-ერთი გერმანული რელიგიური ჯგუფის (სკეპტიკოსების) წარმომადგენლები და კავკასიაში გადმოსახლება სთხოვეს. რუსეთის იმპერატორმა შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა და გადმოსახლების მსურველებს რწმენის ხელშეუხებლობასა და საცხოვრებელი ადგილებით დაკმაყოფილებას დაჰპირდა. იმავე წლის დამდეგს საქართველოსკენ რამდენიმე პარტიად დაყოფილი გერმანელები დაიძრნენ. მათი უმრავლესობა ვიურტემბერგელი და ბადენელი პროტესტანტები (პიეტისტები) იყვნენ. გარდა ამისა, საქართველოში მრავლად ასახლებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ამბოხებულ სხვადასხვა ჯგუფთა წარმომადგენლებს (დეკაბრისტებს, პოლონეთის აჯანყების მონაწილეებსა და ა. შ.). კოლონიური რეჟიმის დამყარებას მთელი კავკასია მედგრად ებრძოდა. რუსეთის წინააღმდეგ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე რამდენიმე ფართომასშტაბიანი აჯანყება მოხდა აფხაზეთში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია («მუჰაჯირობა») ოსმალეთის იმპერიაში. ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში ოსმა-



ლეთში, დაახლოებით, 135 ათასამდე აფხაზი და აბაზი წავიდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს თურქეთში გადავიდა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველთა უმეტესობაც. სამცხე-ჯავახეთში, ჩამოსახლეს 30 ათასი სომეხი. ამავე პერიოდში საქართველოში შემოვიდა ბერძენთა დიდი ჯგუფიც, რომელიც, ძირითადად, წალკის რაიონში განსახლდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოსული მიგრანტების ხარჯზე რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა. მიგრაციული პროცესების ერთი ვექტორი უკავშირდება XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთის ომებს კავკასიაში. ამ დროისათვის საქართველოში შემოვიდა ჩრდილო კავკასიელთა რამდენიმე ჯგუფი. მათგან აღსანიშნავია ვაინახები (ქართ. ქისტები). საქართველოში ქისტების მასობრივი ჩამოსახლება XIX საუკუნეში, სავარაუდოდ, 1826 წლიდან დაიწყო და ამავე საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. თუმცა მიგრაციის ცალკეული შემთხვევები XX საუკუნის პირველ ნახევარშიც გვხვდება. XIX საუკუნეში მოვიდნენ საქართველოში მიგრანტთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები — ჩეხები, ასურელები, უკრაინელები. იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ სამუშაოდ გამოგზავნილი ბალტიისპირელები, რომელთაც მოგვიანებით გამოქცეულნი და გადმოსახლებულნი შეემატნენ. XIX საუკუნეში უნდა გამოჩენილიყვნენ პირველად ბოშებიც. ეთნიკური მიგრაციები XX საუკუნეშიც გაგრძელდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო ქურთი-იეზიდები. ისინი თურქეთის მთავრობისა და მაჰმადიანი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ დევნას გამოეცქნენ. თავიანთ სამშობლოში შევიწროებული ადამიანები საქართველოში მოგვიანებითაც შემოდიოდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში (ყოფილ ზინობიანში) აზერბაიჯანიდან, ნუხის ოლქის სოფ. ვართაშნიდან, გადმოსახლდნენ აზერბაიჯანელებისა და სომხების თავდასხმებით შეწუხებული უდიეები, კავკასიის მცირერიცხოვანი აბორიგენული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

XX საუკუნის 40-იან წლებში, ნაცისტურ გერმანიასთან ომის დროს, სსრკ-ს ევროპული ნაწილის ევაკუაციის შემდეგ მრავალმა რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა თუ სხვა ეროვნების ადამიანმა საქართველოს შეაფარა თავი და აქვე დარჩა. ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ქართველებისა და აქ დასახლებული ეთნიკური ჯგუფების სამეურნეო ყოფასა და სულიერ კულტურაზე. საქართველოში დამკვიდრებულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა გაითავისეს რიგი ქართული წესებისა და ასევე, თავის მხრივ, გავლენა მოახდინეს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამაზე ნათლად მეტყველებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მეურნეობის გაძლოლის წესები, ქორწინების, გლოვის, დაკრძალვის რიტუალები, ფოლკლორი და ა. შ. ერთი მხრივ, ბარისა და მთის რეგიონების ქართველთა ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად, მეორე მხრივ, კი მიგრირებულ ეთნიკურ ერთეულთა და მეზობელი დიდი სახელმწიფოების კულტურათა გავლენით შეიქმნა მეტად თავისებური კულტურა. ამის მაგალითად შეიძლება ტრადიციული კულტურის რამდენიმე სეგმენტი განვიხილოთ. საქართველოში დასახლების სამი ტიპი არსებობს: მთიური, აღმოსავლურ-ბარული და დასავლეთ ქართული (საკარმიდამო ტიპის დასახლება). დასახლების ამ ტიპებს შეეფარდება საცხოვრებელი ნაგებობების სახეობები: (1) მთიური (ხევსურული კალოიანი სახლი, სვანური «ქორ»-ი, რაჭული დუროიანი სახლი, თუშური ჩარდახიანი სახლი, მოხეური სახლი), (2) დარბაზული – გვირგვინიან-ერდოიანი კომპლექსური ხასიათის შენობა – ერთ ჭერქვეშ, ჰორიზონტალურ ჭრილში განლაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით და (3) დასავლურ ქართული საცხოვრისი განცალკევებული კარმიდამოებით, ხის სახლითა და გაფანტული სამეურნეო ნაგებობებით (არქაული სახეობა-ფაცხა და ძელური ჯარგვალი, უფრო გვიან კი ფიცრულ – ბოყიანი და საძირკველზე მდგომი ოთხკუთხოვანი ოდა სახლი). საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ადგილობრივმა ვარიანტებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს

მიგრანტთა შენობა-ნაგებობებზეც. დასავლურ ქართულ ტიპთან ახლოს იდგა აფხაზეთში გავრცელებული ძველებური ტიპის სახლი – მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის ჩალით დახურული ფაცხა. აფხაზური ეზოსათვის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე, სამზადი სახლი მიწის იატაკითა და შუაცეცხლით. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის შუა ხანიდან მოყოლებული აფხაზურ სოფლებში დასავლურქართული ტიპის ოდა სახლების მშენებლობა დაიწყო. თანამედროვე სოფელში უკვე ქვისა და აგურის ორსართულიანი და მრავალთახიანი სახლები ქარბობს. ქართულისგან განსხვავდებოდა რუსი და გერმანელი მიგრანტების საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობები. მათი სოფლებისთვის ტიპური იყო სწორი ფართო ქუჩები, რომელთაც ორივე მხარეს მწკრივად მიუყვებოდა შელებილი სახლები. გერმანელები კი სახლებს უმთავრესად ქვისაგან აგებდნენ. მათში 4-5 ოთახი და სამზარეულო იყო. სახლს მაღალი და ძალზე დაქანებული სახურავი ჰქონდა, მის ქვეშ მოწყობილი სხვენი ბელლის, ხოლო სარდაფი მარნის მოვალეობას ასრულებდა.

დიდ ოჯახს სათავეში ოჯახის უფროსი მამაკაცი (მაგ., სვან. მახვში) ედგა. ყველა მნიშვნელოვან საქმეში საბოლოო გადაწყვეტილებას უფროსი მამაკაცი, ოჯახის მამა, იღებდა. დიდი ოჯახებისათვის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე, საოჯახო ყოფისა და ნევრთა ურთიერთობის მკაფიო რეგლამენტირება ჩვეულებითი სამართლით, სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით. ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა ოსების საოჯახო თემიც. ოჯახის მეთაურად მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებოდა უხუცესი მამაკაცი. XIX საუკუნის დამლევისათვის უფრო განსხვავებული ვითარება ჩანს ბერძნებში. სავლელ ეთნოგრაფიული მასალების, საარქივო და ლიტერატურული წყაროების მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ თურქულენოვან ბერძნებში — ურუმებში — ოჯახის გაბატონებული ფორმა ორი თაობისაგან შემდგარი მცირე ოჯახი იყო. ამგვარი ოჯახები ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და გარე ბიძაშვილების ერთ-ორ თაობას აერთიანებდა. ამრიგად, შემორჩენილი იყო დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი რამ-

დენიმე თაობის ერთად ცხოვრების ტრადიცია. სოციალ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებამ თანდათანობით აუცილებელი გახადა დიდი ოჯახის გაქრობა და XX საუკუნის ბოლოსათვის ამ ტიპის ოჯახები აღარ დასტურდება. თავისებურად იყო აგებული ქურთული თემი. ტომი შედგებოდა ბარებისგან (პატრონიმია), თითოეული ბარი — «მალა მაზინი»-ებისა (დიდი ოჯახი) და მცირე ოჯახებისაგან. «მალა მაზინი» 30-დან 70-მდე ან უფრო მეტ ადამიანს ითვლიდა, რომელთა ურთიერთობას ჩვეულებითი სამართალი ანესრიგებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩამოსახლებული ქურთი-იეზიდები სასულიერო და საერო პირებად იყოფოდნენ. სასულიერო პირთა შორის განირჩეოდნენ შეიხები და ფირები. ქორწინება რელიგიურ ჯგუფებს შორის იკრძალებოდა. ეს ნესი, ძირითადად, დღემდე მოქმედებს. ქართველებსა და აქ მცხოვრებ სხვა ხალხებში საუკუნეების განმავლობაში ჩაცმულობის რამდენიმე ვარიანტი ჩამოყალიბდა. ძირითადი მაინც ჩოხა-ახალუხი იყო. სხვადასხვა ვარიაციით ეს სამოსი გვხვდება აფხაზებში, ოსებში, სომხებში, აზერბაიჯანელებში, უდებში და ა. შ. ტანისამოსის ამა თუ იმ ატრიბუტს ზოგიერთი ჯგუფი მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგ., განსაკუთრებით პოპულარული იყო ძვირფასი ქამრები თბილისელ კინტოებში. როგორც ამბობდნენ, ქამარი ესაა «კაპიტალი დასაფლავებისათვის». უფრო განსხვავებული იყო რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებიდან და ევროპული ნაწილიდან შემოსული მიგრანტების სამოსი. რა თქმა უნდა, ტრადიციული ეროვნული ტანისამოსი მათშიც მეტად პოპულარული იყო. საერთო ეროვნული ჩაცმულობის გარდა, სამოსის სხვადასხვა ტიპი გამომჟღავნებდა სხვადასხვა სოციალური ფენისათვის (ხელოსნის, გლეხის, მოქალაქის, ვაჭრის, სასულიერო პირის, მგზავრის, მხედრის სამოსელი), აგრეთვე განსხვავებული ვითარებებისათვის (სამუშაო, საზეიმო, საქორწილო, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალისთვის განკუთვნილი, სამგლოვიარო, სამონადირეო სამოსელი).

მე-19 საუკუნეში საქართველოში წარმოდგენილ ეთნოჯ-გუფების მრავალფეროვნებაზე, მათ ჩაცმულობაზე, გარეგან აღნაგობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-19 საუკუნის უცნობი მხატვრის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების კოლექცია, რომელიც წარმოდგენილია მამუკა ქაფიანიძის წიგნში „ზურაბ კობიაშვილის, უცნობი კოლექცია“ (თბილისი, 2020) და ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციების დამხმარე ფონდში.

აქ წარმოდგენილია: გუდამაყრელი (კაცი), კახელი (ქალი), კახელი (კაცი), საქართველოს ქალი, ქართველი თავადი, იმერელი (ქალი), იმერელი თავადი, ქისიყელი (ქალი), ქისიყელი (კაცი), ხევსური (კაცი), ქისტი (კაცი), ოსი (ქალი), ქისტი (ქალი), თუში (კაცი), მთიული (ქალი), ფშავი (კაცი), ჭარელი ლეკი (კაცი), კაზახელი (კაცი), ფანბაკელი (კაცი), ჩაჩანი (კაცი), შამადინელი (კაცი), ბორჩალუელი (ქალი), ყორელი (კაცი), მენწყლე (კაცი), ჰამალი (კაცი), კალმუხი (კაცი), კუბელი (კაცი).

ზურაბ კობიაშვილის ფერწერული კოლექცია მოიცავს 28 ტილოს. ფერწერული ტილოები შესრულებულია ზეთის საღებავებით. ყოველ სურათზე ძირითადად გამოსახულია ერთი ტიპის ქალი, ან კაცი, ეროვნულ სამოსში. მთავარი ყურადღება ჩაცმულობასა და აქსესუარებს ექცევა, მათ შორის საბრძოლო იარაღს, სამკაულებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს. ყველას აქვს წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე წარწერები უმთავრესად ეროვნების, ან წარმომავლობის, ზოგჯერ კი სოციალური მდგომარეობის (თავადი, ჰამალი – მუშა) აღმნიშვნელია, სურათები, სავარაუდოდ, შესრულებულია თბილისის ერთ-ერთ სამხატვრო სახელოსნოში.

XIX საუკუნეში საქართველოში თანდათან გავრცელდა ე.წ. ევროპული ტანისამოსი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ერთმანეთის ტრადიციულ დღესასწაულებში მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ხშირად ამ დროს მოიწვევდნენ ხოლმე სხვა თემის იმ წევრებს, რომლებთანაც მეგობრობა ან ნათესაობა აკავშირებდათ. ხანდახან

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დღესასწაულები ერთმანეთს ემთხვეოდა და რიტუალები პარალელურად ტარდებოდა (მაგ., აღდგომის, ყველიერის დღეებში საზეიმო რიტუალს ასრულებდნენ სომხებიც და ქართველებიც). მრავალი რიტუალი ადგილობრივი ეთნიკური გარემოს გავლენაზე მიუთითებს. მაგ., საქართველოსა და სომხეთის ქურთებმა ბოლო წლებში დაიწყეს რელიგიური დღესასწაულის — «ჩარშამა სორი»-ს («წითელი ოთხშაბათის») — აღნიშვნა. იეზიდთა რწმენით, აპრილისთვის მინა მოხნული და სათესად გამზადებული უნდა იყოს. ახალგაზრდები გადიან მინდორში, კრეფენ აპრილის წითელ ყვავილებსა და კონებად ჰკიდებენ შესასვლელი კარის თავზე. დილით ყველა სახლი ლამაზადაა მორთული, დიასახლისს კი სუფრაზე გამოაქვს წითლად, ყვითლად და მწვანედ შეღებილი კვერცხები, რაც სიცოცხლისა და სამყაროს მრავალფეროვნების სიმბოლოა. ამავე დღეს გლეხები მინდორში გადიან და ნათესებში კვერცხის სხვადასხვაფერ ნაჭუჭს მიმოაბნევენ, რათა იმ წლის მოსავალი უხვი იყოს. «ჩარშამა სორში», რომელსაც შეიძლება იეზიდთა წარსულში ღრმა ფესვები ჰქონდეს, შეინიშნება ქრისტიანული გარემოსათვის ნიშანდობლივი სააღდგომო და წინასააღდგომო რიტუალის ელემენტები. ზოგიერთი ადგილობრივი დღესასწაული მოსულმა ეთნიკურმა ჯგუფმა იმდენად გაითავისა, რომ თვითონაც აღნიშნავენ. მაგ., ქვემო ქართლის ცალკეულ სოფლებში აზერბაიჯანელები შემოდგომის გიორგობას ეკლესიაში მიდიან, საკლავს სწირავენ, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესების ისტორიულ ქრილში შესწავლა საკმაოდ რთული საქმეა. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონიუნქტურის შედეგად ამ მხარის ეროვნული შემადგენლობა განუწყვეტლად იცვლებოდა. განსაკუთრებით ართულებს საქმეს წყაროების სიმცირე და მათი სიმწირე. საქართველოში ფეოდალური ხანიდან არსებობდა მოსახლეობის პერიოდული აღწერის პრაქტიკა. ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს თავისი სადროშოს შვიდ წელიწადში ერთხელ აღწერა ევალებოდა. ჩვენამდე მოღწეული

ამ ტიპის დოკუმენტებიდან ყველაზე ღირებულია 1770 წლის 5 აპრილის ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული ნუსხა. ამ ტიპის დოკუმენტების გარდა, გარკვეულ მონაცემებს შეიცავენ მოგზაურების ჩანაწერები და საქართველოში გარკვეული დავალებით შემოსული უცხოელი რეზიდენტების მოხსენებითი ბარათები. უფრო სისტემური ხასიათი აქვს ამგვარ მონაცემებს XIX საუკუნიდან, თუმცა კამერალური აღწერების მასალები და ხელისუფლების ორგანოების მიერ შეგროვილი ცნობები სრული მაინც არ იყო, თანაც ეთნიკურ კუთვნილებას ხშირად სარწმუნოებასთან აიგივებდნენ, ზოგჯერ კი ეთნოგრაფიულ ჯგუფს (მაგ., მეგრელებს, ხევსურებს, სვანებს და ა. შ.) ცალკე ეთნოსად წარმოადგენდნენ. შედარებით სრული სურათი მოგვცა რუსეთის იმპერიაში ჩატარებულმა პირველმა საყოველთაო აღწერამ (1897 წ.). მაგრამ ეროვნული შემადგენლობის ზუსტად დადგენა ამ აღწერითაც შეუძლებელია, რადგან ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ნიშნად მხოლოდ მშობლიური ენა მიიჩნიეს. უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემას არც შემდგომში (საბჭოთა პერიოდში) რამდენჯერმე ჩატარებული საყოველთაო აღწერისას უდგებოდნენ ყოველთვის ობიექტურად, მაგრამ ეს მასალები მაინც ძირითად წყაროს წარმოადგენს ეთნოდემოგრაფიული პროცესების დინამიკის დადგენისას<sup>1</sup>. ხსენებულ წყაროებზე დაყრდნობით, XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც მიგრაციულმა ნაკადებმა შედარებით მოიკლო, ასეთი ეთნოდემოგრაფიული სურათი წარმოგვიდგება: 1865 წლიდან 1897 წლამდე შემცირდა მხოლოდ ქართველებისა და აფხაზების პროცენტული შემადგენლობა: ქართველებისა 73,8%-დან (1865 წ.) 69,4%-მდე (1897 წ.); აფხაზებისა 4,6%-დან (1865 წ.) 2,2%-მდე (1897 წ.). ყველა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი გაიზარდა: ოსებისა — 3,6%-დან (1865 წ.) 4,2%-მდე (1897 წ.), სომხებისა — 9,6%-დან (1865 წ.) 10,3%-მდე (1897 წ.), რუსე-

---

<sup>1</sup> ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბ., 2008.

ბისა — 2,0%-დან (1865 წ.) 5,3%-მდე (1897 წ.), აზერბაიჯანელებისა — 4,0%-დან (1865 წ.) 4,2%-მდე (1897 წ.), ბერძნებისა — 0,9%-დან (1865 წ.) 2,0%-მდე (1897 წ.), ებრაელებისა — 0,6%-დან (1865 წ.) 0,9%-მდე (1897 წ.), გერმანელებისა — 0,3%-დან (1865 წ.) 0,4%-მდე (1897 წ.), დანარჩენისა — 0,7%-დან (1865 წ.) 1,1%-მდე (1897 წ.). სომხების ხვედრითი წილი წინა საუკუნის შუა ხანებამდე 11%-ს შეადგენდა, შემდეგ კი კლება დაიწყო. 1989 წლის აღწერის მიხედვით, ისინი მოსახლეობის 8,1%-ს შეადგენდნენ, 2002 წლისათვის — 5,7%-ს. XX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაიზარდა აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობა, მან მატების ტემპით გაუსწრო საქართველოში მცხოვრებ ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს. აზერბაიჯანელების რაოდენობა 30 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა.

თუ 1959 წელს მათი რიცხვი 153 600 კაცი იყო (რაც მთლიანი მოსახლეობის 3.8%-ს შეადგენდა), 1979 წელს 255 700-მდე გაიზარდა (5.1%), 1989 წელს კი 307 600 გახდა (5.7%). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 284 761 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც მთელი მოსახლეობის 6.5%-ს შეადგენს. საქართველოში ბერძენ მიგრანტთა პირველი მასობრივი ჩამოსვლიდან 1990-იან წლებამდე შეინიშნებოდა ბერძნების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რომელიც XIX საუკუნეში, უმთავრესად, ჩამოსახლებების, ხოლო შემდგომ ბუნებრივი მატების ხარჯზე ხორციელდებოდა.

ზრდის პროცესი მხოლოდ XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შემცირდა. 1926 წელს საბჭოთა საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვრობდა (მთელი მოსახლეობის 2.0%), 1937 წელს — 85 ათასი (2.4%), 1959 წელს — 73 ათასი (1.8%), 1970 წელს — 89 ათასი (1.9%), 1979 წელს — 95 ათასი (1.9%). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა ბერძნების რაოდენობა. ამჟამად საქართველოში 15 ათასამდე



ბერძენია, რაც მთელი მოსახლეობის 0.3%-ს შეადგენს, აქედან თბილისში ცხოვრობს 800-მდე ბერძენი, აჭარის ტერიტორიაზე — 2 200, ქვემო ქართლში კი — 7 500-მდე, მათ შორის — 4 600-მდე წალკის რაიონში. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ებრაელების ისრაელში დაბრუნებისათვის. საქართველოდან ებრაელთა გადინების კულმინაციურ პერიოდს 1991-1994 წლები წარმოადგენს. 1990-იან წლებიდან ყველა არაქართული ეთნიკური ჯგუფის წევრთა რაოდენობის შემცირება აღინიშნება, რაც მათი ემიგრაციით იყო განპირობებული. ემიგრაციის ძირითადი ფაქტორი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და აქ არსებული პოლიტიკური ვითარება იყო. ემიგრანტები, ძირითადად, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ან რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წავიდნენ. 1990-იან წლებში დაწყებულ მიგრაციულ პროცესებში ყველაზე ინტენსიური იყო სლავების (ფაქტობრივად, აღმოსავლეთ სლავების, ანუ ეთნიკური რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) გასვლა. მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც 1990-იანი წლების დამდეგიდან, მიმდინარე სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს. ემიგრანტთა შორის სლავები 60%-ს აჭარბებდნენ. მათი უმეტესობა (88.5%) ქალაქის მკვიდრი იყო და ისინი, თითქმის მთლიანად, რუსეთის ფედერაციის ქალაქებში მიდიოდნენ საცხოვრებლად. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღწერასთან შედარებით (1989 წელს რუსების რაოდენობა 341.2 ათასი იყო, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6.3%-ს შეადგენდა), რუსების რაოდენობამ მკვეთრად იკლო და 67.671 ათასი შეადგინა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 1.5%-ია.

**საქართველოს მოსახლეობა, ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (1926-2014)**

ეთნიკური ჯგუფები	1926წელი		1970წელი		2002წელი		2014წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
–								
ქართველები	1,788,186	66.8	3,130,741	66.8	3,661,173	83.8	3,224,564	86.9
ქურთები	7,955	0.3	20,690	0.5	33,331	0.6	1,596	0.0
უკრაინელები	14,356	0.5	49,622	1.1	52,443	1.0	6,034	0.2
სხვა	65,961	2.5	38,665	0.8	50,502	0.9	17,282	0.5
<b>სულ</b>	<b>2,677,233</b>	<b>–</b>	<b>4,686,358</b>	<b>–</b>	<b>4,371,535</b>	<b>–</b>	<b>3,713,804</b>	<b>–</b>
სომხები	307,018	11.5	452,309	9.7	248,929	5.7	168,102	4.5
რუსები	96,085	3.6	396,694	8.5	67,671	1.5	26,453	0.6
ოსები	113,298	4.2	150,185	3.2	38,329	0.9	14,385	0.4
იეზიდები	2,262	0.1	20,690	0.4	18,329	0.4	12,174	0.3
ებრაელები	30,389	1.1	55,382	1.2	2,333	0.0	1,405	0.0
ბერძნები	54,051	2.0	89,246	1.9	15,166	0.3	5,544	0.2
აფხაზები	56,847	2.1	79,449	1.7	3,527	0.1	864	0.0
ასურელები	2,904	0.1	5,617	0.1	3,299	0.1	2,377	0.1
აზერბაიჯანელები	137,921	5.2	217,758	4.6	284,761	6.5	233,024	6.3

<sup>1</sup> Всесоюзная перепись населения 1926 года.М.: Издание ЦСУ Союза ССР, 1928-29. Том 10-16. Таблица VI. Население по полу, народности.

- <sup>2</sup> РГАЭ РФ (быв. ЦГАНХ СССР), фонд 1562, опись 336, ед.хр. 966-1001 (Разработочная таблица ф. 15А. Национальный состав населения по СССР, республикам, областям, районам)
- <sup>3</sup> РГАЭ РФ (быв. ЦГАНХ СССР), фонд 1562, опись 336, ед.хр. 1566а-1566д (Таблица 3,4 Распределение населения по национальности и родному языку)..
- <sup>4</sup> РГАЭ РФ, фонд 1562, опись 336, ед.хр.3998-4185 (Таблица 7с. Распределение населения по национальности, родному и второму языку.)
- <sup>5</sup> РГАЭ РФ (быв. ЦГАНХ СССР), фонд 1562, опись 336, ед.хр. 6174-6238 (Таблица 9с. Распределение населения по национальности и родному языку).
- <sup>6</sup> Рабочий архив Госкомстата России.Таблица 9с. Распределение населения по национальности и родному язык.

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია ოსთა ჯგუფი. წინა საუკუნის 80-იანი წლების დამლევისთვის მათი რიცხვი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 164 ათასს შეადგენდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ოსთა გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდა. 2002 წლის აღწერით, საქართველოში მათი რაოდენობა, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა გამოკლებით, 38 ათასი იყო. 1989 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი (საკუთრივ აფხაზეთში — 93,3 ათასი), ხოლო მთლიანად სსრ კავშირში — 105 ათასი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 94,5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. უკანასკნელი აღწერები საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შემდეგ სურათს იძლევა. 1989 წელს საქართველოში ცხოვ-

რობდა 5,4 მილიონი ადამიანი. 2007 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ ოფიციალური მონაცემებით 4,4 მილიონზე რამდენადმე ნაკლები შეადგინა, თუმცა ცალკეული ექსპერტული შეფასებებით, ეს ციფრი 2007 წლის დამდეგისთვის მხოლოდ 3,8 მილიონის ფარგლებში იყო. ამრიგად, საქართველო თავისი ეთნიკური მრავალფეროვნებით ისეთ რთულ რეგიონშიც კი გამოირჩევა, როგორც კავკასიაა. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრაციის მექანიზმები ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა.

საქართველოს ხელოვნების სასახლის, კულტურის ისტორიის მუზეუმის საცავებში წარმოდგენილია გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინის მიერ შექმნილი ნახატების სერიის ფოტომასალა, სადაც წარმოდგენილია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები ეთნოსები. გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინს სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია, თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სამხედრო სამსახურში გაატარა. ერთი პერიოდი თბილისში დასახლდა და მთელი არსებით გაითავისა ქართული ყოფა. სოლოგუბისაგან განსხვავებით (გრაფი სოლოგუბი – ნიკოლოზ პირველის ბრძანებით მოვლინებული თბილისის ოპერის თეატრის პირველი დირექტორი, ცნობილი მწერალი და დრამატურგი. ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია 1885 წელს დაწერილმა ნაწარმოებმა „ტარანტასმა“) არც ქართველი ხალხი სძულვებია, არც ქართული კულტურა და არც ქართული თეატრისათვის უწოდებია როდესმე „ბალაგანი“, პირიქით ქართულ თეატრში გ. ერისთავის „გაყრა“ და „დავა“ დახვეწილ მხატვრულ დონეზე გააფორმა, სიონის ტადარი სასოებით მოხატა. ქართველ მანდილოსანთა ბრწყინვალე პორტრეტები შექმნა. საქართველო მთელი გულით შეიყვარა და არც ქართველი ხალხი დარჩენილა მისდამი გულგრი-

ლი. გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინმა 1851 წელს აშენებული თბილისის ოპერაც მოხატა<sup>1</sup>

### 4.3. მიხაკო წერეთელი ეთნოსისა და ერის თეორიებზე

მიხეილ (მიხაკო) გიორგი წერეთელი, ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, თბილისისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი. 1920 წელს იგი მოწვეული იქნა თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორად. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, მიხეილი დაბრუნდა ევროპაში ბრიუსელის უნივერსიტეტის ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრაზე.

საინტერესო მოსაზრებებს გვანვდის ერისა და ეთნოსის შესახებ, ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ მიხაკო წერეთელის ეს ნაშრომი გამოვიდა 1910 წელს, ამ ნაშრომში შევიდა ავტორის ნააზრევი ერის პრობლემებზე, რომელსაც ის წერილების სახით აქვეყნებდა. ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და დღესაც საინტერესოა. რამდენადაც ის პირველი მონოგრაფიაა ქართული სოციოლოგიის ისტორიაში ერის საკითხებზე. მიხაკო წერეთელს მიაჩნდა, რომ ადამიანის ადამიანობა, მისი პიროვნება არ დგას ერის გარეშე, ადამიანის თავისუფლების საკითხი უნდა გადაწყდეს ერის თავისუფლების ნიადაგზე, მან ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ მოგვცა ისეთი სოციოლოგიური ფენომენების ანალიზი როგორცაა: კაცობრიობა, საზოგადოება, ერი, ხალხი, სამართალი, სახელმწიფო, სამშობლო, თავისუფლება და სხვა. ჩვენი ინტერესის საგანია მიხაკო წერეთელის შეხედულებები ერზე, ეთნიკურობაზე.

---

<sup>1</sup> თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გაზეთი „ქნარი“ N5 ოქტომბერი 2001 წელი. „150 წლის წინათ რა ხდებოდა თბილისში პირველი საოპერო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით 1851 წელს“ გვ. 3.

მ. წერეთლის ღირსება ისაა, რომ ის გამოირჩევა კვლევის მიმართულებების საკითხთა გადაწყვეტის ორიგინალობით. საკითხის გასარკვევად ის განიხილავს სოციოლოგების მიერ სოციალურად მიჩნეულ მოვლენათა ჯგუფებს, რომელთა რიცხვი შვიდია. მოვლენათა შვიდი ჯგუფი, რომელიც სოციალურადაა მიჩნეული შემდეგია: 1. ეკონომიკური, 2. გამრავლება და აღზრდა, 3. ხელოვნება, 4. რელიგია და მეცნიერული ცოდნა, 5. ზნეობა, 6. იურისპრუდენცია და სამართალი, 7. პოლიტიკური.

საზოგადოება არარსებობს ამ სოციალურ მოვლენათა გარეშე, ისე როგორც ეს სოციალური მოვლენები – საზოგადოების გარეშე.

ეკონომიკური მოვლენებით ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება მათი მოწესრიგების გზით. ადამიანები მიზანშეწონილად უნდა მოქმედებდნენ ე.ი მიზნები უნდა ჰქონდეთ შეთანხმებული. აქედან გამომდინარე: „რეგულირება, ან მოწესრიგება ადამიანთა მიერ საზრდოს საშალებათა პოვნისა, კვებისა და სხვა მსგავს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შეერთებულ ადამიანთა ძალით. აი, რა არის ეკონომიკურ-სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი უმთავრესი დამახასიათებელი მხარეთაგანი“<sup>1</sup>

„საზოგადოება, მიზანდასახვის ნიჭის მქონე შეერთებულ ადამიანთა ისეთი კრებულია, რომელთა საერთო ცხოვრება მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და საერთო მიზანთა მისაღწევად გარეგნულადაა მოწესრიგებული.“<sup>2</sup>

მ. წერეთელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ როცა ვამბობთ, რომ საზოგადოება ორგანიზმია, გვინდა ვთქვათ, რომ საზოგადოება არა მექანიზმი, უსიცოხლო აგრეგატი, იგი ცოცხალი არსია და ამდენადაა ორგანიზმი. მიხაკო წერეთელს საზოგადოების ეს ცნება გამოყენებული აქვს მისი ძირითადი მიზნის – ერისა და კაცობრიობის ანალიზისათვის, რას უნდა ემსახურებოდეს საზოგადოება – რეალურ იდიალს, თუ მითი-

<sup>1</sup> მ. წერეთელი „ერი და კაცობრიობა“, გვ. 16.

<sup>2</sup> მ.წერეთელი „ერი და კაცობრიობა“, გვ.36.

ურს. არის თუ არა რეალური იდეალი – „კაცობრიობა იმის მსგავსი, როგორც ერია“. მიხაკო წერეთელი ნაშრომის მეორე თავში სვამს კითხვას, „არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?“. ის აღნიშნავს, რომ კაცობრიობა სოციალური ფუნქციაა, „კაცობრიობა როგორც სოციალური არსი არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ნაწილები, რომელთაც აქვთ სოციალური ცხოვრება და წარმოადგენენ სუპერ ორგანიზმებს.“<sup>1</sup>

დღევანდელ ისტორიაზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის ერთიანი მსოფლიო ისტორიაა, რადგან არ არსებობს მსოფლიოს არც ერთი კუთხე თუ ხალხი, რომლის ყოფიერების წესი გარკვეულ გავლენას არ ახდენდეს დანარჩენ მსოფლიოზე. დღეს სულიერი იზოლაციები არ არსებობს და ყველა ხალხი ჩაბმულია მსოფლიო ურთიერთობებში. დღეს შეუძლებელია ლაპარაკი იზოლირებულ კულტურაზე. თუმცა ისინი ფორმით განსხვავებულნი არიან, მათ აქვთ საერთო ნიშნებიც, თუნდაც ის რომ კულტურებს წარმოადგენენ, რაც მათ საკაცობრიო ღირებულებაზეც მიუთითებს.

დღეს არ არსებობს იზოლირებული ეკოლოგიური პრობლემები, რომ ისინი სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს, ეხება მთელ პლანეტას, არ არსებობს დემოგრაფიული იზოლირებული პრობლემები, რომ ყველა რეგიონი თავისი დემოგრაფიული ქცევით განსაზღვრავს პლანეტის ყოფიერების წესს, თუ ვითარებას. ასეთივეა პოლიტიკური აქციები. განა შეიძლება დღეს ლოკალური ომები არ ახდენდეს გავლენას მსოფლიოზე. არის პრობლემები, რომლებიც უკვე დღეს შეუძლებელია მოექცეს ლოკალურ ჩარჩოებში. ასეთ პრობლემათა რიცხვი სულ უფრო იზრდება, სულ უფრო აუცილებელი ხდება საკაცობრიო მასშტაბით აზროვნება. ამიტომ სავსებით სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ დღეს კლასობრივ და სხვა სოციალურ ერთეულთა ღირებულებებმა უკანა პლანზე გადაიწია, საერთო საკაცობრიო ღირებულებებთან შედარებით, რომ დღეს მადომინირებელი ხდება არაკლასობრივი, ან ეროვნული, არამედ საკაცობრიო ინტერესები, გლობალური პრობლემატიკა

---

<sup>1</sup> მ.წერეთელი „ერი და კაცობრიობა“, გვ 68.

ქმნის ამინდს და არა ვინრო სოციალური პრობლემები. მ. წერეთელს თვითონაც ჰქონდა ნაწილობრივ გაცნობიერებული მის მიერ კაცობრიობის უარყოფის არარსებობა, განვიხილოთ რატომ სჭირდება წერეთელს კაცობრიობის უარყოფა.

მიხაკო წერეთელს კაცობრიობის უარყოფა სჭირდებოდა, როგორც საშუალება, რომ სოციალური ერთობის ისეთი ფორმა როგორცაა ერი, დაესახა იდეალად, ღირებულებათა ორიენტაციების ამოსავლად. ამიტომ, მისი პოზიტიური ანალიზი ძირითადად დაკავშირებულია ერის ანალიზთან, თუ რა არის ერი და რა ადგილი უკავია მას სოციალურ ყოფიერებაში.

ერი საზოგადოებაა, მაგრამ საზოგადოება სხვადასხვა სახისაა – დანყებული შემთხვევით და დამთავრებული ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხებით.

ავტორი განასხვავებს არა მარტო ერსა და საზოგადოებას, არამედ ერსა და სახელმწიფოსაც, საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, როცა გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრების ერთიანი მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოში ადამიანთა შორის მექანიკური კავშირი არსებობს ძალდატანების ორგანოების მეშვეობით, ერი კი ადამიანთა შორის ორგანული კავშირია. ამიტომ, „ერი რჩება უმაღლეს, უდიდეს და უბუნებრივს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ჭურჭლად საზოგადოებრივობისა მთელ კულტურულ კაცობრიობაში“

ავტორი ერის წარმოშობას უკავშირებს ტომების დაშლას ხალხებად, რომელთა ნიადაგზე აღმოცენდა ერები. ერს აქვს ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა, ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, თითოეული მათგანი შეიძლება ერთი ერის კუთვნილება იყოს, მაგრამ თითოეული ერი თავის ელფერს სძენს ამ სოციალურ ფენომენებს.

მისი ყოფიერების განმსაზღვრელია თავდაცვის თვითშეგნება. მ. წერეთელი ერის ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ერი სოციალური სუპერ ორგანიზმია, ანუ ჰიპერ ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ან მრავალგვარ ეთნიკურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟანმთავითარებაში შექმნას



ერთი გარეგნულად მონესრიგებული საერთო ცხოვრება. თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებით: ენით, სარწმუნოებით, მეცნიერებით, ზნეობით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიით, ტიპითა და თვითშეგნებით სრული ინდივიდუალობით“.<sup>1</sup>

ავტორი განასხვავებს ერს სამშობლოსაგან, თუმცა სამშობლო ის ტერიტორიაა, სადაც ერთი შემოქმედებას ეწევა, სამშობლო ერის საცხოვრებელია, მისი ბინაა სამშობლოს სხვა გაგება არ არსებობს, თუ არა ერის საცხოვრისისა. ავტორის აზრით სამშობლო და სახელმწიფო არაა ერთი და იგივე, სამშობლო დაკავშირებულია ერთან და არა სახელმწიფოსთან. სამშობლო არ შეიძლება სახელმწიფოს იგივეობრივი იყოს იმიტომ, რომ სახელმწიფოში მრავალი ერთი შეიძლება იყოს გაერთიანებული და ყოველ ერს ამ სახელმწიფოს შიგნით თავისი სამშობლო ექნება, რასაც ვერ შეცვლის სახელმწიფო ტერიტორია. სამშობლო ის ადგილია, რომელიც კონკრეტულ ერს უჭირავს, სადაც ერს შეუქმნია თავისი ისტორია და ცხოვრობს. „სამშობლო ერის იგივეობრივი არაა, მაგრამ მისგან განუყოფელია.“ სამშობლო ერის წარსული და აწყობა ცხოვრებაა განსაზღვრულ ტერიტორიაზე. „იმ პატარა სოფლით დაწყებული, სადაც დაიბადა და იმ ტერიტორიით დამთავრებული, რომელიც მის ერს უჭირავს, მისი სამშობლოა.“

მიხეილ წერეთელი სამშობლოს ეთნოს უკავშირებს და არა პოლიტიკურ ორგანიზაციას. ლ. ნ. გუმილიოვის აზრით, ეთნოსი შედგება სამი კომპონენტისაგან:

სამშობლოს, მამულისა და გამომგონებელთა, თუ ხელოვანთა ქმნილებათაგან, რომლებიც კვალს ტოვებენ ადამიანთა შეგნებაში, აძლევენ მათ „სპეციფიკურ მეზობელ ტომთაგან განსხვავებულ სახეს. ამ სამი კოორდინატის თანაფარდობა

---

<sup>1</sup> Baton, *ერი და კაცობრიობა*, გვ 130, 200

ქმნის ეთნოს. რომელიც ხასიათდება ქცევის ორიგინალური სტერეოტიპითა და განუმეორებელი შინაგანი სტრუქტურით“<sup>1</sup>

ეთნიკური კუთვნილება არაა ადამიანისათვის სამოსის მსგავსი, რომლის გამოცვლა და შეცვლა ჩვენი სურვილით შეგვიძლია, ის ადამიანის შინაგანი, არსებითი განსაზღვრულობაა და არ იცვლება ადვილად კლასობრივი კუთვნილების მსგავსად.

ერის უფლებათა დაცვად მ. წერეთელს მიაჩნია: „უფლება არსებობისა და ხელშეუხებლობისა, თანასწორობა სრული და სამართიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა, საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე აი ერის უფლება“.<sup>2</sup>

ავტორი გვთავაზობს ქართველი ერის საინტერესო ანალიზს, მისი ძირითადი მახასიათებელი ქართული ენაა, რომელიც „სამი შტოსაგან შედგება“: ქართულისაგან, რომელზედაც ლაპარაკობენ ქართ-კახელები, იმერლები, გურულები, მესხები, მთიულნი და სხვანი, მეგრულისაგან, რომელზეც ლაპარაკობენ მეგრელები და ჭანები, სვანურისაგან, რომელზეც ლაპარაკობენ სვანები. მიუხედავად ამისა ქართული ენა ერთია, ერთისა და იმავე აგებულებისა, ერთისა და იგივე ძირისა“.<sup>3</sup>

მ. წერეთელი აანალიზებს სახელწოდება „ქართველის“ წარმოშობას და აღნიშნავს, მეგრეულ-ლაზურ ტომს ერქვა „კარდუხი“, რაც „ქართუხს“ უდრის. ამ „ქართუდან“-დან წარმოდგა სიტყვა „ქართველი“, რომელიც შემდეგ ყველა ქართველის სახელი გახდა. მისი აზრით, ესეც ერთ-ერთი არგუმენტია ჭან-მეგრელთა და ქართველთა ერთობისა. სიტყვა „ქართველი“ სადაურობას ნიშნავს, „ქართუ-ელი“ ქართუ კი ნიშნავს ქალდეას.

<sup>1</sup> ლ. გუმილოვ, მეცნიერული თეორიის ბიოგრაფია ან ავტონეკროლოგი, ზნამია, ნომერი 4, 1998, გვ 206 – 207.

<sup>2</sup> Baton, ერი და კაცობრიობა, გვ 220.

<sup>3</sup> Baton, ერი და კაცობრიობა, გვ 51.

ბოლოს მინდა შევეხო მიხაკო წერეთლის საინტერესო გამონათქვამს: „ეხლაც ბევრი არ არის ისეთი, ინტელიგენტთა შორისაც, რომ თავის სამშობლოდ გულწრფელად მთელ საქართველოსა სთვლიდეს, არამედ მისთვის სამშობლოო ან კახეთია, ან ქართლი, ან იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა. ჩვენში ჯერ არ არის, მაშასადამე დამთავრებული სრული კოჰეზია ერისა... როდესაც ჩვენი ეროვნული ერთობის შეგნება იქნება განხორციელებული და არა მხოლოდ სასურველი იდეა, მაშინ ჩვენი ბედიც სხვანაირად დატრიალდება“.<sup>1</sup>

### საკონტროლო კითხვები

1. რა ახდენს მენეჯმენტსა და მართვის სტილის თავისებურებებზე სერიოზულ გავლენას?
2. რა ფაქტორები ახდენენ ადამიანის ქცევებზე გავლენას ბიზნესის სფეროში?
3. რა ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება საქართველოში ბიზნესის ტრადიციები?
4. რა ძირითადი ეტაპები შეიძლება გამოიყოს პირობითად საქართველოს საქმიანი კულტურის ჩამოყალიბებაში?
5. ისტორიულად საქმიანი კულტურების შესწავლის რამდენი მიდგომა არსებობს?
6. რომელი მეცნიერების მეთოდოლოგიებს ეყრდნობიან უფრო ხშირად ქვეყნების საქმიანი კულტურების დასახასიათებლად?
7. ჩამოთვლათ მართვის ქართული სტილისათვის დამახასიათებელი ქართული მენტალობის თავისებურებები.
8. ჩამოთვალეთ მართვის ქართული სტილის ანალიზზე დაყრდნობით ქართველი მენეჯერების უარყოფითი მხარეები.
9. რა იგულისხმება კაპიტალისტური მენტალობის ქვეშ?

---

<sup>1</sup> Baton, ერი და კაცობრიობა, გვ 110.

10. რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ქართული საქმიანი კულტურის თავისებურებების გარკვევიდან?
11. რამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი საქართველოში ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში?
12. რით ხასიათდება ეთნოცენტრიზმი?
13. ჩამოთვალეთ 1926-2014 წლების პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები.
14. ვინ იყო მიხაკო წერეთელი?
15. დაასახელეთ მიხაკო წერეთელის ნაშრომი, სადაც ის იკვლევს ერისა და ეთნოსის საკითხებს.
16. მიხაკო წერეთლის მიხედვით, რას უკავშირებს ერის წარმოშობას და რით ხასიათდება ერი?
17. მიხაკო წერეთელმა რა ძირითადი მახასიათებელი დაუდო საფუძვლად ქართველი ერის ანალიზს?
18. მიხაკო წერეთლის აზრით (რომელიც ქართულ ენას, ქართველი ერის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს), რამდენი შტოსაგან შედგება ქართული ენა?

## თავი V.

---

### ეთნიკურ საკითხებზე საქართველოს საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

#### 5.1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს მოქალაქეთა უფლებების შესახებ

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუტცია. 2018 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებასთან ერთად, ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოქმედი რედაქცია, რომელიც 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე შემუშავდა.

კონსტიტუცია შედგება 11 თავისა და 78 მუხლისაგან. მეორე თავი ეძღვნება ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორცაა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხლებლობის უფლება, თანასწორობის უფლება. ამ მუხლის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებულია, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განუჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

ამავე თავში განხილულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; ადამიანის თავისუფლება; მიმოსვლის თავისუფლება; პირადი და ოჯახური ცხოვრების; პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხლებლობის უფლებები. განხილულია რწმენის აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები, სადაც მესამე პუნქტის სახით მოცემულია, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან

სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

ამ თავში მე-17 მუხლის სახით განხილულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინტერნეტის თავისუფლების უფლებები, მე-18 მუხლში სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვით გამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები. მე-28 მუხლში „შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა“ განხილულია და აღნიშნულია, რომ შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებით საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. ასევე ამ თავში განხილულია საჯარო თანამდებობების დაკავების უფლება; განათების უფლება და აკადემიური თავისუფლება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება; გარემოს დაცვის უფლება; საქართველოს მოქალაქეობა – საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

## **5.2. ჩარჩო კონვენცია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ**

1995 წლის, პირველ თებერვალს, სტრასბურგში მიღებულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენცია.

ჩარჩო-კონვენცია შედგება ოთხი ნაწილისა და 32 მუხლისაგან.

ჩარჩო-კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას; ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და შემდგომი რეალიზაცია; სურთ რა,

რომ შეასრულონ ევროპის საბჭოს ნევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების მიერ ვენაში 1993 წლის 9 ოქტომბერს მიღებული დეკლარაცია; გადაწყდა, რა მათ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობების არსებობის დაცვა; ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის ისტორიის განვითარებამ გვიჩვენა, რომ ეროვნული უმცირესობების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის, დემოკრატიული უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის ამ კონტინენტზე; ითვალისწინებენ რა, რომ პლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს უნდა სცემდეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი თითოეული პირის ეთნიკურ, ლინგვისტურ ლა რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ ასევე უნდა შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ გამოამყლავნონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი თვითმყოფადობა; ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტობისა და დიალოგის ატმოსფეროს შექმნა აუცილებელია, რათა კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენდეს არა დანაწილების, არამედ თითოეული საზოგადოების სულიერი გამდიდრების წყაროსა და ფაქტორს; ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტული და აყვავებული ევროპის რეალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე, არამედ ასევე მოითხოვს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს შორის, თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ზიანის მიუყენებლად; მხედველობაში იღებენ რა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებს; მხედველობაში იღებენ რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციებსა და დეკლარაციებში, ასევე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტებში, კერძოდ, 1990 წლის 29 ივნისის კოპენჰაგენის დოკუმენტში განსაზღვრულ ვალდებულებებს ეროვნული უმცირესობების დაცვის მიმართ;

გადაწყდა რა, განსაზღვროს ის პრინციპები, რომელთა პა-

ტივისცემაც აუცილებელია და ის ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ მათგან, იმ მიზნით, რომ კანონის ფარგლებში წევრ და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც შეიძლება გახდნენ წინამდებარე დოკუმენტის მხარეები, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემით უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს. გადანყდა რა, განხორციელდეს ამ ჩარჩო კონვენციაში განსაზღვრული პრინციპები მხარეთა ეროვნული კანონმდებლობისა და სათანადო სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით.

ჩარჩო-კონვენციის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის თანახმად:

ყოველ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს, რომ მას მოეპყრან ან არ მოეპყრან, თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია ამ არჩევიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებდან გამომდინარე რაიმე გადახვევა.

პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.

მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ მათი თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.

მეხუთე მუხლის თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფა-



დობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

მეშვიდე მუხლის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, აზრის გამოხატვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას. ასევე მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს თავისი რელიგია და დააარსოს რელიგიური დაწესებულებები, ასოციაციები და ორგანიზაციები.

მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს თავისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას.

იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

მეთერთმეტე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტის თანახმად:

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს თავისი გვარისა (პატრონიმი) და პირველი სახელების უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს თავისი უმცირესობის

ენობრივი ნიშნები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესამჩნევი იქნება საზოგადოებისათვის.

3. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეცდებიან გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტოპოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეზეა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა.

მეთორმეტე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად:

მხარეები ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

წინამდებარე ჩარჩო-კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე, უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, ნებისმიერი პირი, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, პატივს სცემს ეროვნულ კანონმდებლობას და სხვათა უფლებებს, კერძოდ იმათ უფლებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას ან სხვა ეროვნულ უმცირესობებს.

ჩარჩო-კონვენციის მეოთხე ნაწილში მოცემულია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოახდენს ხელშემკვრელი მხარეების მიერ ამ ჩარჩო კონვენციის განხორციელების მონიტორინგს. მხარეები, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, განხორციელების მექანიზმში მონაწილეობას იღებენ იმ მოდელით, რომელიც განსაზღვრული იქნება.

31-ე მუხლის თანახმად ნებისმიერ ყველა მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ ჩარჩო-კონვენციას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით.

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 13 ოქტომბერს მიიღო დადგენილა, რომ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირების თაობაზე

### **საქართველოს პარლამენტი ადგენს:**

1. რატიფიცირებულ იქნეს სტრასბურგის 1995 წლის 1 თებერვლის „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო-კონვენცია.

2. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის (შემდგომში – კონვენციის) რატიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

ა) ტერმინის „ეროვნული უმცირესობები“ განმარტებისას საქართველო ხელმძღვანელობს ქვემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით და თვლის, რომ პირთა ჯგუფს ეროვნული უმცირესობის სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიენიჭოს, თუ:

- მისი წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები;
- ისინი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისაგან განსხვავდებიან საკუთარი ენობრივი, კულტურული და ეთნიკური იდენტურობით;
- ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;
- ისინი საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად არიან დასახლებული;

ბ) კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით საქართველო იღებს ვალდებულებას, ეროვნული უმცირესობისადმი მიკუთვნებული პირები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოს თარჯიმნის დახმარებით, რათა ამ გზით რეალიზებულ იქნეს მათთვის აღნიშნული მუხლით მინიჭებული უმცირესობის ენის გამოყენების უფლება. საქართველო ასევე იღებს ვალდებულებას, მაქსიმალურად შეუქმნას პირობები ეროვნული

უმცირესობისადმი მიკუთვნებულ პირებს, რათა მათ სახელმწიფო ენა შეისწავლონ;

გ) კონვენციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით შიგა კანონმდებლობით განისაზღვროს, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ეროვნული უმცირესობისადმი მიკუთვნებულ პირთა სახელები და გვარები ჩაინეროს ქართულ ენაზე, ისე, რომ იმავდროულად შეძლებისდაგვარად დაცული იყოს მათ ენაზე გამოთქმის წესები;

დ) კონვენციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით შიგა კანონმდებლობით მოწესრიგდეს ის დებულებები, რომლებიც შეეხება ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობით ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში ქუჩებისა და სხვა ტოპოგრაფიული დასახელების ქართულ და უმცირესობის ენაზე გამოყენებას. ამასთანავე, საქართველო არ განიხილავს ეროვნულ უმცირესობათა ამ უფლებას, როგორც სახელმწიფოს ვალდებულებას, შეცვალოს ტერიტორიული ერთეულების არსებული დასახელებები, და მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებების დამატებით გაფორმებას;

ე) საქართველო იზიარებს და ეთანხმება კონვენციის მე-16 მუხლის მიზნებსა და სულისკვეთებას. ამავე დროს, ეს მუხლი არ შეეხება იმ განსახლებით პროცესებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქვეყნის ტერიტორიაზე ეკოლოგიური ან ტექნოგენური კატასტროფების შედეგად დაზარალებულ, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ზონებში მცხოვრებ პირთა სხვა საცხოვრებელ ადგილებში გადაყვანის მიზნით. აღნიშნული მუხლი ასევე არ შეეხება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დროებითი თუ მუდმივი დასახლების პროცესს;

ვ) კონვენციის მე-18 მუხლთან დაკავშირებით საქართველო აცხადებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით, კონვენციებით, ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებთანაც მიერთებულია საქართველო და

რომლებიც აღიარებენ და იცავენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. შესაბამისად, საქართველო აღიარებს კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგრამ მიზანშეუწონლად მიიჩნევს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებების დამატებით გაფორმებას;

ზ) კონვენციის 30-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველო აცხადებს, რომ კონვენციის დებულებების სრულად და გარანტირებულად დაცვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეძლებს მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული კონფლიქტების მოგვარების შემდეგ. საქართველო დახმარებას სთხოვს ევროპის საბჭოს, მის წევრ სახელმწიფოებს, რათა კონვენციის სულისკვეთება და დებულებები შეძლებისდაგვარად სრულად იქნეს დაცული აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობასთან მიმართებით.

3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი საქართველოს პარლამენტის მიერ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირების გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია.

### **5.3. ეთნიკური უმცირესობების განმარტება და სპეციალური უფლებები, რომლებიც ამ ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი**

ვენეციის კომისიის მიერ შეთავაზებულ ერთ-ერთ განმარტებაში ეროვნული უმცირესობა განიმარტა, როგორც „აღადმიანთა ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობა არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა, და რომელთა წევრები არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური იდენტობის მატარებელი, ვიდრე დომინანტი მოსახლეობა და რომლებსაც აქვთ სურვილი, დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა“. ვენეციის კომისიის ამ განმარტებაში გამოკვეთილი სუბიექტური და

ობიექტური ელემენტები ეთანხმება მანამდე მრავალგზის გაუღერებულ მოსაზრებას, რომ „უმცირესობის“ განმარტება ეფუძნება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური აღქმის ნიშნებს.

მეცნიერთა ერთი ჯგუფის განმარტების მიხედვით, უმცირესობა არის ჯგუფი, რომელიც „რიცხოვრივად ჩამორჩება ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას და არის არადომინანტურ პოზიციაში, რომლის წევრებიც ფლობენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც განსხვავდება დომინანტური მოსახლეობისგან და რომლებიც ინარჩუნებენ სოლიდარობის გრძნობას მათ კულტურასთან, ტრადიციებთან, რელიგიასა და ენასთან მიმართებით“ განვიხილოთ სპეციალური უფლებები რაც ეთნიკურ უმცირესობებისთვისაა მნიშვნელოვანი<sup>1</sup>:

1. **ეროვნული კულტურის, იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების უფლება.** ეთნიკური უმცირესობის კულტურისა და იდენტობის დაცვა, შენარჩუნება, ამ კულტურით სარგებლობა ყველა დანარჩენი სხვა უფლების განხორციელების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. საკუთარი კულტურით სარგებლობისა და შენარჩუნების უფლებაზე საუბრობს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 27-ე მუხლი. მუხლი 27 იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა. ეს ჩანაწერი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა ნებისმიერი ძალადობისა და უარყოფისგან, რაც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.
2. **შეკრების, გაერთიანების, გამოსატყვის, რელიგიის თავისუფლება** თავს უყრის იმ ძირითად სამოქალაქო უფ-

ლებებს, რომელთა დაცვას უმრავლესობისგან, ენით, რელიგიითა და ტრადიციებით განსხვავებული ეთნიკური უმცირესობებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის გამოხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების, ასევე რწმენისა და რელიგიის თავისუფლება. ამ ინდივიდუალური მნიშვნელობის უფლებებს ერთად განიხილავს, ჩარჩო-კონვენცია, სადაც ყველა ეს უფლება განსაზღვრულია მე-7 და მე-8 მუხლებში. ამასთანავე ყველა ამ უფლებას აქვს საერთო სულისკვეთება და მნიშვნელობა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კონტექსტში. ჩარჩო კონვენცია ერთადერთი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები დაიცვას, შექმნას სათანადო საკანონმდებლო და ინსტიტუციური რესურსები სპეციალურად ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით. უნდა აღინიშნოს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, რომლის მეხუთე მუხლი აწესებს აქ ჩამოთვლილი უფლებების დაცვას, რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი ნიშნის (ფერის, რასის, ეროვნების, ეთნოსის) მიუხედავად. სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ფარგლებში აღნიშნული უფლებები განიხილება, როგორც ზოგადად ყველა ადამიანის უფლება/თავისუფლება და მათი დარღვევა უფრო მძიმე სახეს იღებს, თუკი დარღვევას თან ახლავს დისკრიმინაციული მოპყრობა, ამ შემთხვევაში ეთნიკური ნიშნით. მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვისა და აზრის ისევე, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლება – ეს ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი ჩარჩო კონვენციის სამ მუხლში. მე-7 მუხლი, ზოგადად, განამტკიცებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მუხლი 7: მხარეები

უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვისა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას. შემდეგ ორ მუხლში ზოგიერთი ამ უფლებებიდან უფრო დეტალურად არის გაშლილი და დამატებითი პოზიტიური ვალდებულებებია განსაზღვრული. მე-8 მუხლში საუბარია რელიგიის თავისუფლებაზე, ხოლო მე-9 მუხლში – გამოხატვის თავისუფლებასა და მედიის როლზე ეთნიკური უმცირესობების დაცვის სფეროში. ჩარჩო კონვენციის განმარტებითი ბარათი ხაზს უსვამს, რომ მე-7 მუხლში ჩამოთვლილი უფლებები ყველა ადამიანს ეხება, მაგრამ მიიჩნევა, რომ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობებისათვის მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის მოწყვლადი ბუნებიდან გამომდინარე, ამ უფლებების დაცვა უფრო სენსიტიურ სახეს იძენს და სახელმწიფოს მეტ პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს დისკრიმინაციული და უთანასწორო გარემოს აღმოსაფხვრელად.

3. **მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება.** მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება ჩარჩო კონვენციაში გამოხატვის თავისუფლების კონტექსტშია განხილული. იქიდან გამომდინარე, რომ მედიას დიდი როლი აქვს გამოხატვის თავისუფლების ეფექტიან რეალიზებაში და, მეორე მხრივ, თავად არის ამ უფლებით მოსარგებლე სუბიექტი, ეთნიკური უმცირესობების გამოხატვის თავისუფლების დაცვის კონტექსტში, მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება ცალკე მნიშვნელობის მატარებელი ხდება. ჩარჩო-კონვენციის მე-9 მუხლით, სახელმწიფოები აღიარებენ გამოხატვის თავისუფლებას ყველა ეთნიკური უმცირესობისთვის, რომელიც მოიცავს თავისივე ენაზე აზრის გამოხატვის, ინფორმაციის მიღების და გაცემის უფლებას, ხელისუფლების ორგანოების ჩარევისა და რაიმე დაბრკოლებების



გარეშე. მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება მე-9 მუხლის ფარგლებში მოიცავს შემდეგ უფლებებს: 1) ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლების ან კინონარმოების შექმნის (ლიცენზირების მოპოვების) უფლება; 2) ბეჭდვითი მედიის შექმნისა და გამოყენების უფლება; 3) მასმედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება. სახელმწიფოებს არ ეზღუდებათ, მოითხოვონ ლიცენზირება მედიასაშუალებების დაარსებისთვის, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. იგივე წესი ვრცელდება ბეჭდვითი ადეკვატური ზომების მიღება მედიაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მიზნად ისახავს ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის ხელშეწყობას. მედიაზე ხელმისაწვდომობა ასევე მექანიზმია სხვა უფლებების დასაცავად. ბეჭდვით, ტელე და ელექტრონული მედიის ხელმისაწვდომობა უმცირესობების ენაზე არის მნიშვნელოვანი რესურსი ეთნიკური უმცირესობებისთვის. კერძოდ, მედიასაშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს უმცირესობების იზოლაციის დაძლევისთვის, მათი მობილობისა და კომუნიკაციების გასაზრდელად. ეს კი მათ ხელს უწყობს, ისარგებლონ სხვა უფლებებით უფრო აქტიურად, გამოიყენონ სოციალური და ელექტრონული მედია და აწარმოონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები. აღნიშნული საშუალებისთვის აუცილებელია ადეკვატური ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორც არის, მაგალითად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტკომუნიკაციები ისეთ შორეულ ადგილებზეც, სადაც ეთნიკური უმცირესობები არიან დასახლებულნი. უმცირესობების იდენტობის მარგინალიზაცია ადგილობრივ მედიაში, მათ შორის ცალკეული პროგრამების გაშუქება მათ ფოლკლორზე, ტრადიციულ სამოსზე, საკვებსა და ჩვევებზე შესაძლოა, ემსახუროდეს უმცირესობების, როგორც ცალკე იზოლირებულ ერთეულზე სტერეოტიპის შექმნას და არ უწყობდეს

ხელს მათ პატივისცემას და აღიარებას საზოგადოებაში. ასევე, მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისა და სხვა მედიაპროფესიონალების ცნობიერებისა და მგრძობელობის ამაღლება მრავალფეროვანი საზოგადოების სპეციალურ საჭიროებებსა და ნუხილზე.

4. **ლინგვისტური უფლებები.** ლინგვისტური უფლებები არ ემსახურება მხოლოდ კულტურული იდენტობის გამოხატვას, არამედ მათი სრულფასოვანი რეალიზება მნიშვნელოვანი მექანიზმია სხვა სოციალური და პოლიტიკური/სამოქალაქო უფლებების ეფექტიანი განხორციელებისთვის. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-15(1) მუხლით დაცულია ადამიანის უფლება, გამოხატოს თავი მის სასურველ ენაზე. ლინგვისტურ უფლებებში ცენტრალური ადგილი სწორედ ამ უფლებას უჭირავს. კომიტეტი ზოგად კომენტარში აღნიშნავს, რომ ეს უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებსაც აქვთ უფლება, დაიცვან და ხელი შეუწყონ საკუთარ კულტურას, მათ შორის ენას. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებების განხროციელებისთვის. ჩარჩო-კონვენცია ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც პოზიტიურ ვალდებულებებს უწესებს სახელმწიფოებს, ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ უფლებებთან დაკავშირებით. ეს უფლებები ჩარჩო-კონვენციაში რამდენიმე მიმართულებით ვითარდება: 1) ადმინისტრაციულ ორგანოებთან უმცირესობის ენაზე ურთიერთობის უფლება: იმ ადგილას, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები არიან ტრადიციულად დასახლებულნი, ან მათი რაოდენობა მნიშვნელოვანია და იმ შემთხვევაში, თუ ეს

ადამიანები მოითხოვენ და მოთხოვნა შესაბამისია რეალურ საჭიროებასთან, სახელმწიფოებმა ისეთი პირობები უნდა შექმნან, რომ გამოიყენონ უმცირესობის ენა ამ ადამიანებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას. 2) სისხლის სამართლის პროცესში უმცირესობის ენის გამოყენების უფლება: მხარეებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის დაუყოვნებლივი ინფორმირება იმ ენაზე, რა ენაზეც მათ ესმით მათი დაცვების მიზეზებისა და ნებისმიერი იმ ბრალდების შესახებ, რაც მათ წარედგინებათ; უფლება აქვთ, დაიცვან თავი მათთვის გასაგებ ენაზე და, საჭიროებისამებრ, მიიღონ თარჯიმნის უფასო დახმარება. 3) საკუთარი გვარისა და სახელის უმცირესობის ენაზე გამოყენების უფლება: სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, ოფიციალურად აღიარონ უმცირესობის წარმომადგენლის გვარი და სახელი მშობლიურ ენაზე და საამისოდ შეიტანონ ცვლილებები სამართლებრივ სისტემაში; 4) საკუთარ ენაზე ინსტრუქციების, ნიშნებისა და სხვა კერძო ხასიათის ინფორმაციის გავრცელების უფლება საჯარო ადგილას. გარდა ამისა, ტრადიციულად ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ადგილებში ან იქ, სადაც დიდი რაოდენობით სახლობენ ეთნიკური უმცირესობები, ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის დასახელებები და ტოპოგრაფიული ნიშნები ასევე შეიძლება განთავსდეს უმცირესობის ენაზე, თუ ამის მოთხოვნა და საჭიროება არსებობს. სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ გარკვეული სახის შეზღუდვა სახელმწიფო ენის გაძლიერებისა და დაცვის მიზნით, თუმცა ამ შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი დაცული უნდა იყოს, ეთნიკური უმცირესობების ჩარჩო-კონვენციის სულისკვეთების გათვალისწინებით, საზოგადოებაში ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების მხარდაჭერით. სამართლებრივი რეგულაციები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ოფი-

ციალური ან სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, არ უნდა არღვევდეს ინდივიდის პირად სივრცეს და არ უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ დაირღვეს უმცირესობების იდენტობა და ლინგვისტური საჭიროება. ასევე აუცილებელია ამ საკითხის განხილვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში ლინგვისტურ უფლებად მიიჩნევა ქვეყნის ოფიციალური ენის ცოდნის უფლება. აღნიშნული აუცილებელი ინსტრუმენტია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, იდენტიფიცირდნენ, როგორც კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტები და აქტიური მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე, ეთნიკური უმცირესობები სრულ იზოლაციაში აღმოჩნდებიან და ჩამოყალიბდებიან, როგორც ცალკეული ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ვერ მონაწილეობენ ქვეყნისა და მათთვის მნიშვნელოვან სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში, რაც, თავის მხრივ, აისახება მათივე უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

5. **განათლების უფლება.** განათლებისა და სწავლების კონცეფცია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საინტერესოდ განმარტა „განათლება არის მთლიანი პროცესი, როდესაც მოზარდები ცდილობენ გადასცენ ახალგაზრდებს თავიანთი რწმენა, კულტურა და სხვა ღირებულებები, ხოლო სწავლება არის კონკრეტული ცოდნისა და ინტელექტის გადაცემის პროცესი“. განათლების უფლებაც, ცხადია, არ მიეკუთვნება იმ უფლებებს, რომელიც მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს აქვთ, თუმცა აქ საუბარია ამ უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დატვირთვაზე სწორედ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით. ამ ჯგუფისთვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა კი განპირობებულია იმით, რომ განათლების უფლების ეფექტიანი განხორციელება

არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეროვნული ღირებულებების, ცოდნისა და მიდგომების შესანარჩუნებლად. ამასთანავე, განათლების უფლება არის წინაპირობა სხვა უფლებებით სარგებლობისთვის, მაგალითად, მონაწილეობის, გამოხატვისა და შეკრების უფლებით და ა. შ. ამიტომ განიხილება განათლების საკითხი არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი რიგითი უფლება, არამედ როგორც მექანიზმი სხვა უფლებების განხორციელებისა და საკუთარი კულტურული და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისთვის. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, მიუხედავად იმისა, რომ განათლების უფლება მრავალი საერთაშორისო მექანიზმით არის გარანტირებული, პირდაპირი და უშუალო ჩანაწერი ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლებაზე მხოლოდ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციაშია განსაზღვრული. გარდა ამისა, ცხადია, ეთნიკურ უმცირესობებზე ვრცელდება ის სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც განამტკიცებს განათლების უფლებას ყველასთვის, განურჩევლად სხვადასხვა დისკრიმინაციული ნიშნისა, მათ შორის ეთნიკური იდენტობის..

- 6. საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება** მას მრავალი მიმართულება და ასპექტი აქვს, რომელსაც სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტები არ განსაზღვრავს დეტალურად, თუმცა ცალკეული სახელმძღვანელო პრინციპების, რეკომენდაციებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ამ უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების გამოყოფა. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი ზოგადად განმარტავს ყველას ადამიანის უფლებას, მონაწილეობდეს საჯარო საქმეებში, პირდაპირ ან წარმომადგენლის მეშვეობით. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტე-

ბის მიმოხილვა ამ უფლების ქვეშ ძირითადად გამოყოფილია არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ასევე თანასწორობის ზოგადი პრინციპების დაცვით, სახელმწიფოში არსებულ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლება. ყველაზე მნიშვნელოვანი პაქტის აღნიშნულ მუხლში არის მის პირველ ნაწილში არსებული ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს, რომ საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლება უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და რეფერირებას აკეთებს პაქტის მეორე მუხლზე, სადაც ჩამოთვლილია დისკრიმინაციის ცალკეული ნიშნები. აღნიშნულის მიხედვით, ასევე, იკრძალება ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის უფლების განხორციელების დროს. შესაბამისად, პაქტის 25-ე მუხლი ხაზს უსვამს, რომ მონაწილეობის უფლება მოიცავს: ხმის მიცემის უფლებას, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობას. დამატებით, ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი, რომელიც უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის განსაზღვრავს საჯარო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას, ცენტრალური დებულებაა ბევრი თვალსაზრისით. მათ შორის, იმ კუთხით, რომ ცხოვრების ყველა სფეროში უმცირესობების მონაწილეობის ხარისხი საზოგადოებაში პლურალიზმისა და დემოკრატიის დონის ერთ-ერთ ინდიკატორად არის მიჩნეული. ამიტომაც წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ეფექტიანი მონაწილეობისთვის პირობების შექმნა პლურალისტურ საზოგადოებაში სათანადო მმართველობის პრინციპების გატარების განუყოფელ ნაწილად განიხილონ. ეფექტიანი მონაწილეობა გულისხმობს კულტურათა შორის დიალოგს, რომლის მიზანიც არის, საშუალება მისცეს როგორც უმრავლესობას, ასევე უმცირესობას, უკეთ გა-

ეცნონ ერთმანეთის კულტურას, ენას, ისტორიას, კულტურათაშორისი დიალოგისა და ინტეგრაციის სულისკვეთებით.

7. **სოციალური და ეკონომიკური უფლებები.** სოციალური და ეკონომიკური უფლებების, როგორც სამართლებრივი დაცვის ქვეშ მყოფი უფლებების საკითხი ყოველთვის ფართო დისკუსიის საკითხია არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზე. დისკუსიის მთავარი საგანი ამ უფლებების აღსრულება და სახელმწიფოს ვალდებულებების ფარგლებია. ის ფაქტი, რომ ამ უფლებების შესრულების, როგორც პოზიტიური ვალდებულების გაცნობიერება ნაკლებია/დაბალია საერთაშორისო საზოგადოებაში, დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICESCR) რატიფიკაცია გაეროს წევრი სახელმწიფოების დიდმა უმრავლესობამ განახორციელა (169). ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, სადაც თანასწორობის პრინციპის დაცვა, ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც სხვა პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების დაცვა.

<sup>1</sup>თ. ფირანიშვილი, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებების სწავლების მონიტორინგის ცენტრი (EMC) თბ., 2019.

#### 5.4. ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის ანგარიში საქართველოზე

ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტმა გამოაქ-

ვეყნა საქართველოზე მესამე მონიტორინგის ანგარიში. სადაც ის საქართველოს მიერ ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენციის მოთხოვნების შესრულებას აფასებს.

მრჩეველთა კომიტეტის შეფასებით, ჩარჩო კონვენციის დანერგვის პროცესი წინა მონიტორინგის შემდეგ არსებითად უცვლელია. კომიტეტი მიესალმება თანასწორობის და ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, ინტეგრაციის სფეროში სპეციალური სტრატეგიის, სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების ამუშავებას, თუმცა არსებით გამოწვევებს ხედავს ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა და თანასწორობის რეალობაში უზრუნველყოფის კუთხით. მრჩეველთა კომიტეტის აზრით, ეს დიდწილად იმიტია გამოწვეული, რომ ქართული საზოგადოება ეროვნულ უმცირესობასთან მიმართებით ამბივალენტურობას გამოხატავს. ერთი მხრივ, მრავალფეროვნების გასაძლიერებლად სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევა აშკარაა – სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, მრავალფეროვნების დანერგვას ცდილობს, რაც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და მისი 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის მიღებაშიც გამოიხატება, თუმცა, მეორე მხრივ, უმცირესობების საკითხები უსაფრთხოების ქრილში და ერი – სახელმწიფოს შენების კონტექსტში განიხილება და შესამჩნევია ზოგიერთი უმცირესობისადმი უნდობლობაც. რელიგიური და ენობრივი უმცირესობების საკითხები პოლიტიზებულია, საკითხების ობიექტურად შესწავლის გარეშე. კომიტეტის თქმით, შემამოფოთებელია კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის ახალი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, **მოსახლეობის თითქმის ნახევარი ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას უარყოფითად მიიჩნევს.** (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) არის კვლევითი ცენტრების ქსელი, რომელიც 2003 წელს დაფუძნდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დედაქალაქებში და რომლის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტი-



კის ანალიზის განვითარება სამხრეთ კავკასიაში. CRRC დაფუძნდა 2003 წელს ერაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის დაფინანსებით. 2013 წლის ზაფხულიდან CRRC – საქართველო და CRRC – სომხეთი საქმიანობას დამოუკიდებელი არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით აგრძელებენ.

CRRC-ის აქვს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მრავალწლიანი გამოცდილება მკვლევრების, მთავრობების, დონორებისა და კერძო სექტორისათვის საქართველოში და რეგიონში არსებული ტენდენციებისა და მოლოდინების შესახებ. CRRC გთავაზობთ კვლევებს, ანალიზსა და ტრენინგს სანდო მეთოდოლოგიით, რომელიც მოსახლეობის ჯგუფებისა და ქვეყნების შედარების საშუალებას იძლევა.) ეს კვლევა კარგად უნდა გაანალიზდეს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ და აუცილებელია ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც მიემართება როგორც უმცირესობების, ისე უმრავლესობის ცნობიერების ამაღლებისკენ.

საქართველომ ახალი სტრატეგიები შექმნა ადამიანების უფლებებისა და ინტეგრაციის მიმართულებით, მათ შორის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სახელმწიფო პროგრამა და მისი მოქმედების გეგმა 2015-2020 წლებისთვის. იმის მიუხედავად, რომ კომიტეტი დადებითად აფასებს მოქმედების გეგმის მიზნებსა და ნაბიჯებს, მისი შეფასებით, გეგმა არაა დაფუძნებული საკმარის მტკიცებულებებსა და კვლევებზე, განსაკუთრებით, ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემებზე.

მრჩეველთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ პრობლემურია მოსახლეობის აღწერის მონაცემების ოფიციალური მოპოვების მექანიზმი. შემდეგი აღწერისთვის, რომელიც სავარაუდოდ ჩატარდება 2023 წელს, ამჟამინდელი ცნობებით, არ არის დაგეგმილი აღწერის ფორმის ცვლილება, თუმცა აღწერის ფორმას ხარვეზები ჰქონდა წინა აღწერის დროს თვითიდენტიფიკაციის ან შერეული წარმომავლობის დაფიქსირების კუთხით. საბჭო ხაზს უსვამს, რომ თავისუფალი თვითიდენ-

ტიფიკაციის შესაძლებლობა აუცილებელია უმცირესობების დაცვისთვის. ფორმაში ასევე გარკვევით არ იყო მითითებული, რელიგიის, ენისა და ეთნიკური წარმომავლობის შესახებ კითხვები სავალდებულო იყო თუ არა. ოფიციალური სტატისტიკის მოპოვება უმცირესობებისთვის ეფექტიანი პოლიტიკის შექმნის წინაპირობაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკური კურსი მხოლოდ ოფიციალურ სამთავრობო სტატისტიკაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული და პოპულაციის ეთნიკური მონაცემები დამოუკიდებელი კვლევებითაც უნდა გადამოწმდეს, რომლის ნაკლებობაც შეიმჩნევა. კომიტეტის თქმით, აღწერის ჩატარებამდე ასევე გასაზრდელია აღწერის მნიშვნელოვნებისა და ინფორმაციის შეგროვების დროს მათი უფლებების შესახებ ცნობადობის გაზრდა ეროვნულ უმცირესობებში.

ეროვნულ უმცირესობების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ისევ დაბალია, თუმცა ბოლო არჩევნებმა აჩვენა ეროვნული უმცირესობების მაღალი აქტიურობა, რამაც შეიძლება დააინტერესოს პოლიტიკური პარტიები. კომიტეტი ფიქრობს, რომ ტერიტორიული ნიშნით პოლიტიკური პარტიის შექმნის აკრძალვა ეროვნული უმცირესობების მიმართ ბარიერია პოლიტიკურ მონაწილეობაში. რაც შეეხება უმცირესობების წარმომადგენლობებს, პარლამენტში მათი წარმომადგენლობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ზოგიერთ ქალაქში, სადაც უმცირესობების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ცხოვრობს, უმცირესობების წარმომადგენლობა ხელისუფლების ორგანოებში შემამფოთებლად დაბალია.

სახელმწიფო ცდილობს ქართული ენის დამკვიდრებას საჯარო სფეროს ყველა ასპექტში, თუმცა უმცირესობების ენებზე სწავლება, ამ ენების შესწავლა და უმცირესობების ენის გამოყენება ადმინისტრაციულ და სხვა საქმიანობებში ჩარჩოს კონვენციის სტანდარტებზე დაბალია, მათ შორის სამართლებრივ სფეროსა და საავადმყოფოებში: სამართლებრივი დოკუმენტების, კანონების, ადმინისტრაციული და სხვა სახის ინფორმაციის თარგმნა და კვალიფიცირებულ თარჯიმან-

ნებზე წვდომა პრობლემაა უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. კომიტეტისთვის შემაშფოთებელია, რომ საავადმყოფოებში არ არსებობენ ოფიციალური პირები, რომლებიც თარგმანს უზრუნველყოფენ. ეს დაწესებულებები ნაცნობების პოვნის მეშვეობით ამყარებენ უმცირესობებთან კომუნიკაციას. კომიტეტი დადებითად აფასებს თავისუფლებაალკვეთილი პირებისთვის დოკუმენტების თავის ენაზე წარდგენის შესაძლებლობას და თარჯიმნის სერვისებს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იქ, სადაც უმცირესობები მცირე რაოდენობით ცხოვრობენ, ეს ვერ ხერხდება თარჯიმანის კვალიფიკაციის ნაკლებობის ან ფინანსური რესურსის ნაკლებობის გამო, მათ შორის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია კი 2000 წლის დაპირების მიუხედავად, დასამტკიცებელია.

პრობლემაა უმცირესობების მიერ ქართულის არცოდნაც, რაც ზღუდავს ამ ადამიანების მონაწილეობას სოციალურ ცხოვრებაში და ასევე განათლებასა და დასაქმებაზე წვდომას. ამ პრობლემის გადაწყვეტა ხელისუფლების მთავარი მიზანი უნდა იყოს. ეს პრობლემა განსაკუთრებულად მწვავეა საშუალო, დაწყებითა და მის ქვედა საფეხურზე. კომიტეტის აზრით, პრობლემა თვითონ საგანმანათლებლო პოლიტიკაშია. ასევე აუცილებელია ახალგაზრდა მასწავლებლების მხარდაჭერა, მრავალენოვანი პროგრამის შესახებ ცნობადობის გაზრდა და ასევე მრავალენოვანი პროგრამის საქართველოს კონტექსტზე მორგება.

პრობლემურია უმცირესობების ენებზე არსებული სასწავლო მასალა, რომელიც არაა სრულიად ნათარგმნი და არც ადაპტირებულია. ხელისუფლებამ, განათლების გზით, უნდა უზრუნველყოს კულტურული დიალოგისა და უმცირესობების მონაწილეობის შესაძლებლობა, ამისთვის კი გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო სკოლების ორგანიზებაა აუცილებელი უმცირესობათა სკოლებსა და ქართულენოვან სკოლებს შორის. ასევე აუცილებელია უმაღლესი განათლების პროგრამების მხარდაჭერა და გაგრძელება. სამწუხაროა, რომ სკოლებში იმ ენებზე სწავლებაა პრობლემური, რომელზე მო-

საუბრეებიც მცირე რაოდენობით ცხოვრობენ საქართველოში, საგაკვეთილო საათები არაა ამ ენების სასწავლებლად საკმარისი.

მრჩეველთა კომიტეტი მიესალმება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასა და თანასწორობის სპეციალური მექანიზმების შექმნას, თუმცა ნუხს, რომ სახალხო დამცველის ფინანსური რესურსები საკმარისი არ არის რეგიონებისთვის. მარნეულსა და ახალქალაქში ეთნიკურ დისკრიმინაციაზე საჩივრების არარსებობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა მათი დაცვის სამართლებრივი მექანიზმის შესახებ არ იციან. ამ კუთხით კი კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის ფინანსები ზოგადად არასაკმარისია ცნობადობის გაზრდის კუთხით. იმის მიუხედავად, რომ ტრენინგები ჩატარდა საჯარო მოხელეებთან კანონის შესახებ, მოსახლეობას არსებულ კანონზე ინფორმაცია ნაკლებად აქვს, ასევე მოსახლეობას ნდობა არ აქვს ხელისუფლებისადმი ამ საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით. კომიტეტი შეუფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციები სისტემატიზებული ფორმით არ მოდის სისრულეში და შედეგად, რეკომენდაციების ნაწილი რეაგირების გარეშე რჩება. ამას გარდა, სახალხო დამცველის ოფისებში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც უმცირესობების ენებზე საუბრობენ, თუმცა მათი რაოდენობა არასაკმარისია. უმცირესობების წარმომადგენლების საჩივრები ითარგმნება არასერთიფიცირებული თანამშრომლების მიერ და ესეც პრობლემურია. ამასთან, სახალხო დამცველის ეგიდით მოქმედი ეთნიკური უმცირესობების საბჭოსა და რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება არ ხდება და კომიტეტი იმედს იტოვებს, რომ რეკომენდაციები მომავალში მხედველობაში იქნება მიღებული.

კომიტეტი მიესალმება კონსტიტუციურ ცვლილებებს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვების შემცირების კუთხით, თუმცა სამწუხაროა სტრუქტურულად მერყევი მდგომარეობა, რომელშიც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს უწევთ ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ, კონსტიტუციური შე-

თანხმება” საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და საგადასახადო პრივილეგიები. ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოდან ეკლესიის მფლობელობაში გადასაცემი ქონება და ეკლესიების აღდგენისას გადასახადებისგან გათავისუფლება დისკრიმინაციული პრაქტიკაა. აუცლებელია, რომ სახელმწიფო, რომელიც პრივილეგიას და განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს კონკრეტულ რელიგიურ თემს, დარჩეს ნეიტრალური. საჭიროა, რომ სხვა რელიგიურ ჯგუფებსაც ჰქონდეთ ამ სტატუსზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობა.

კომიტეტის თქმით, რელიგიური უმცირესობები სტრუქტურულ დისკრიმინაციას აწყდებიან დაფინანსების და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით. რესტიტუციის პროცესი და საკულტო ნაგებობების მშენებლობის პროცედურები არ არის საკმარისად გამჭვირვალე და არ ეფუძნება ნათელ და ობიექტურ სამართებრივ კრიტერიუმებს. საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების შესახებ კომიტეტი ფიქრობს, რომ პროცესი წინ არ მიდის და ისტორიული მემკვიდრეების პოვნა ჯერაც კი არ ხერხდება, რამაც შეიძლება კიდევ უფრო შეუწყოს ხელი ამ ნაგებობების მდგომარეობის გაუარესებას.

რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ორგანიზაციები ვერ იღებენ რელიგიურ ნაგებობებზე წვდომის უფლებას, ხოლო შენობების ნაწილი მართლმადიდებლური ეკლესიის სახელზე რეგისტრირდება. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს რელიგიური დისკრიმინაციის შემთხვევებზე სკოლებში, მათ შორის უმცირესობების მიმართ ფიზიკურ შეხების შემთხვევებზე, იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებზე, სკოლაში კოლექტიურ დაძალებულ ლოცვებსა და მასწავლებლების მიერ სკოლებში რელიგიური ატრიბუტიკის გაყიდვაზე. აუცილებელია დისკრიპლინარული თანამიმდევრული და ეფექტური კანონის შემუშავება განათლების სამინისტროს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით.

მაჰმადიანების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან მიმართებით გაზრდილია სახელმწიფო კონტროლი. 2014 წელს შეი-

ხის სავარაუდო იძულებითი გათავისუფლების გამოძიება შეჩერებულია, ასევე შემაშფოთებელია სხვა შეიხის დაპატიმრება გაურკვეველ ვითარებაში.

კომიტეტი ხაზს უსვამს სახალხო დამცველთან მოქმედი რელიგიათა საბჭოს მნიშვნელობას, რომელიც 33-ზე მეტ რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს და დამოუკიდებელი და ჰორიზონტალური პლატფორმაა. საბჭოს მხარდაჭერა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა კომიტეტის თქმით, რელიგიური უმცირესობების დაბალ ნდობას ავლენენ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელწიფო სააგენტოს მიმართ.

რაც შეეხება მესხების დაბრუნების პროექტს, კომიტეტის თქმით, ხელისუფლების მცდელობები დასაფასებელია, მაგრამ დეპორტირებულების მხოლოდ ნაწილია დაბრუნებული, რადგან აზერბაიჯანის მოქალაქეობის მქონე ადამიანებისთვის ბარიერები იქმნება, აზერბაიჯანული მოქალაქეობის უარყოფასთან დაკავშირებით. ბოშა თემისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა მოქალაქეობის სტატუსი და დოკუმენტაცია, მათ შორის ბავშვების განათლებაზე წვდომის გამო.

2018 წლის ივლისში პარლამენტმა სახელწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ ახალი კანონი მიიღო, რასაც კომიტეტი მიესალმება, თუმცა პოლიციის ძალის გადაჭარბების შემთხვევების გამოძიება ეთნიკური უმცირესობების მიმართ არ ხორციელდება. მათ შორისაა პანკისში 2017 წელს ჩატარებული სპეცოპერაცია. ამ საქმეში მოკლულის ოჯახსა და ოჯახის ინტერესების წარმომადგენლებს საქმის მასალებზე წვდომა გართულებული აქვთ.

კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სიძულვილის ენის ხმარება საჯარო დისკურსებში ხშირად არის სიძულვილით განპირობებული დანაშაულების განმაპირობებელი. მრჩეველთა კომიტეტის წინა რეკომენდაციების მიუხედავად, სიძულვილის ენის მონიტორინგის სქემა სახელმწიფოში არ არსებობს. სამოქალაქო საზოგადოება მონიტორინგს უწევს სიძულვილის ენას მედიაში, თუმცა მას იშვიათად მოჰყვება ხოლმე ხელისუფლების მიერ რეაგირება. როგორც გამოჩნდა, ხშირად საჯარო მოხელეები ხშირად აკეთებენ სიძულვილის შემცველ განცხა-

დებებს, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების მიმართ, რაც შემაშფოთებელია. აუცილებელია, საჯარო მოხელეების მიმართ რეაგირება სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა აირეკლავდეს იმ მრავალფეროვნებას, რაც ქვეყნის მაცხოვრებლებში არსებობს, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე გასული, „მოამბე,“ რომელიც სხვადასხვა უმცირესობის ენაზე ითარგმნებოდა, შეწყდა. კომიტეტის აზრით, საინფორმაციო გადაცემები მხოლოდ კი არ უნდა ითარგმნებოდეს, არამედ მორგებული უნდა იყოს უმცირესობების ხედვებზე, პრობლემებზე და უზრუნველყოს მათი ჩართულობა, როგორც ლოკალურ, ისე მთლიანად საქართველოში განვითარებულ მოვლენებში. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებპლატფორმა, რომელიც ოცდაათხი საათის მანძილზე 7 ენაზე საინფორმაციო გამოშვებაზე წვდომას სთავაზობს მაყურებელს, დადებითად ფასდება. საბჭო ამ პროცესს აკვირდება. ამ პირობებში უმცირესობებისთვის ინტერნეტის მიწოდების პროცესები შეუფერხებლად მიმდინარეობდეს და რომლის მიწოდებაც უმცირესობებისთვის ამ შემთხვევაში პრიორიტეტული უნდა იყოს. ტელევიზია, როგორც ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო, არ უნდა იყოს დავიწყებული და სატელევიზიო მაუწყებლობებში უმცირესობების ენებზე ინფორმაციის არარსებობა დამაფიქრებელია. ზოგიერთი ბეჭდური გამომცემლობის დაფინანსება უმცირესობების ენაზე მისასაღმებელია, თუმცა არასაკმარისი და საბჭო იმედოვნებს სხვა გაზეთების სხვა ენებზე დაფინანსების შესაძლებლობაც იქნება შესაძლებელი. იმის მიუხედავად, რომ 2015 წლის მიღებულ კანონში წერია, რომ საჭიროებისამებრ, დოკუმენტების, პოსტერები, ნიშნები და ა. შ. ითარგმნება უმცირესობების ენებზე, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ქართველებთან ერთად სხვა ეთნიკური უმცირესობებიც თანაცხოვრობენ, კომიტეტი წუხს, რომ თვითონ ეს კანონი უმცირესობების ენაზე არ თარგმნილა. ტოპოგრაფიული ნიშნები უმცირესობებით დასახლებულ რეგიონ-

ნებში არ არის უმცირესობათა ენაზე და საჭიროა ამის გამოსწორება.

პრობლემური იყო დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების, ჰესების მშენებლობების მცდელობა პანკისში მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ისეთ ადგილებში, სადაც უმცირესობებიც ცხოვრობენ, მათი აზრის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს. უმცირესობებს საკმარისი ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეთ თბილისში ჩასვლისა და სერვისების მისაღებად, მაგალითად, გზები. ასევე იმ ადგილებში, სადაც ეროვნული უმცირესობები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, ინფრასტრუქტურულ პროექტებში აუცილებელია ადგილობრივების ჩართვაც მათი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიის მიზანია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დემოკრატიულად განვითარების პროცესში. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეთნოსთაშორისი და ინტერკულტურული მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. ინდივიდთა შორის თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა არის საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციების შესაბამისად ქვეყნის მიერ აღებული პოზიტიური ვალდებულება, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის შექმნას, არამედ უფლებათა რეალიზაციის ხელშეწყობასაც. საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და გაძლიერების, აგრეთვე სამოქალაქო თანასწორობაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. ეთნიკურ უმცირესობათა გაძლიერების უზრუნველსაყოფად და აღებული პო-



ზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით შემუშავდა ამ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის სტრატეგიული და შუალედური მიზნები და განსაზღვრულია სამთავრობო უწყებათა ამოცანები ამ მიზნების მისაღწევად. დოკუმენტის მოქმედების ვადა 5 წლით განისაზღვრება. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს შემუშავდება და საქართველოს მთავრობას წარედგინება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება წინამდებარე სტრატეგიის ამოცანებზე და ასახავს დამატებით კონკრეტულ ღონისძიებებს.

გარდა ამისა, სტრატეგიით დასახული მიზნებისა და ამოცანების მაქსიმალურად წარმატებული მიღწევის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია შუალედური და საბოლოო შეფასება. დოკუმენტის ამოცანაა საჯარო უწყებების მიერ ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობის ხელშეწყობა, უწყებათაშორისი კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა და ერთიანი, თანამიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბება და რეალიზება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გასაუმჯობესებლად. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ხედვა 2005 წელს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო-კონვენციასთან მიერთებით საქართველომ აიღო ვალდებულება, პატივი სცეს უმცირესობათა ეთნიკურ თვითმყოფადობას და შექმნას სათანადო პირობები მათი უფლებების რეალიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს სამოქალაქო თანხმობისა და თანასწორობის უზრუნველყოფას და ეთნიკური თუ კულტურული მრავალფეროვნების დაცვის გზით სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას. სტრატეგია ორიენტირებულია ყველა მოქალაქისათვის – განურჩევლად

ეთნიკური, კულტურული თუ სხვა ნიშნებისა – თანაბარი შე-  
საძლებლობების შექმნაზე. საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და განვითარების პოზიტიური გამოცდილება. მრავალფეროვნება წარმოადგენს ქვეყნის სიმდიდრეს და დემოკრატიული და სტაბილური განვითარების რესურსს. ამასთანავე, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებასა და ეთნიკური მრავალფეროვნების მართვის საერთაშორისო სტანდარტების განმსაზღვრელ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეგულაციებს. საქართველო, როგორც გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, მზადყოფნას გამოთქვამს გაიზიაროს, მიიღოს და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით ცხოვრებაში გაატაროს საერთაშორისო გამოცდილება და რეგულაციები, წარმატებით რეალიზებული ეთნიკურ უმცირესობათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში. საქართველო ერთგული რჩება 1999 წელს ევროპის საბჭოში განეწინაებით აღებულ ვალდებულებათა მიმართ. სტრატეგია იზიარებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დოკუმენტებს, მათ შორის: – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტს; – ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას; – რასიზმისა და შეუმწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს; – ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ლუნდის, ჰააგის, ოსლოს, ლიუბლანისა და ვარშავის თემატური რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. სტრატეგია ასევე ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს ხელმოწერილ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დემოკრატიული რეფორმების გატარება, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის გზით. სტრატეგია მთლიანად ეფუძნება მიდგომას, რომელიც გუ-

ლისხმობს ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო თანასწორობისა და მრავალფეროვნების მართვის უზრუნველყოფას.

ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას სტრატეგია განიხილავს საქართველოს ევროპული არჩევანისა და პოლიტიკური რეფორმების გატარების კონტექსტში. სტრატეგიაში გათვალისწინებულია წლების მანძილზე ქვეყანაში სამოქალაქო თანასწორობის კუთხით დაგროვილი მიღწევები, მათ შორის „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში არსებული პრაქტიკა, წარმატებები და ასევე გამოწვევები, რაც მოითხოვს შესაბამის რეაგირებასა და გადაჭრას. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია ეფუძნება ხედვას, რომელიც გულისხმობს ყველა მოქალაქის თანასწორობას არა მხოლოდ სამართლებრივ სფეროში, კანონით და კანონის წინაშე, არამედ რეალობაშიც, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყოველი ადამიანის, როგორც მოქალაქის, სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

## **5.5. ევროპის ქარტია, რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ**

1992 წლის 5 ნოემბერს, სტრასბურგში მიღებული იქნა „ევროპის ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მჭიდრო ერთიანობის მიღწევა, კერძოდ, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენენ; ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის ისტორიული რეგიონული, თუ უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას; ითვალისწინებენ რა, რომ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონული, ან უმცირესობის ენის გამოყენება წარ-

მოადგენს ხელშეუხებელ უფლებას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული პრინციპების, აგრეთვე, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებებთან დაცვის კონვენციის სულისკვეთების შესაბამისად; მხედველობაში იღებენ რა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოს და, კერძოდ, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტსა და 1990 წლის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტს; ხაზს უსვამენ რა კულტურული ურთიერთობებისა და მრავალენოვნების ღირებულებას და ითვალისწინებენ რა იმას, რომ რეგიონული ან უმცირესობათა ენების დაცვამ და ნახალისებამ ზიანი არ მიაყენოს ოფიციალურ ენებსა და მათი შესწავლის საჭიროებას; აცნობიერებენ რა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში რეგიონული, ან უმცირესობათა ენების დაცვა და ხელშეწყობა მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ევროპის მშენებლობაში, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში დემოკრატიისა და კულტურული მრავალფეროვნების პრინციპებზე; ითვალისწინებენ რა სპეციფიკურ პირობებსა და ისტორიულ ტრადიციებს ევროპული სახელმწიფოების სხვადასხვა რეგიონებში, შეთანხმდნენ შემდეგზე: ნაწილი I – ზოგადი დებულებები მუხლი 1 – განსაზღვრებები ამ ქარტიის მიზნებისათვის: ა), „რეგიონული ან უმცირესობათა ენები“ ნიშნავს ენებს, რომლებიც: i. ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს შესაბამის ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც რიცხობრივად უფრო პატარა ჯგუფს ქმნიან, ვიდრე ამ სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობა; და განსხვავდებიან ამ სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან); იგი არ მოიცავს არც სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) დიალექტებს და არც მიგრანტების ენებს; ბ), „ტერიტორია, რომელზეც გამოიყენება რეგიონული ან უმცირესობის ენა“ ნიშნავს გეოგრაფიულ არეალს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებაა,

იმ რაოდენობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გაართლებული იყოს; გ), „არატერიტორიული ენები“ ნიშნავს სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ გამოყენებულ ენებს, რომლებიც განსხვავდება სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობის მიერ გამოყენებული ენის, ან ენებისაგან, მაგრამ რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვერ გაიგივდება რომელიმე კონკრეტულ არეალთან. მუხლი 2 ვალდებულებანი: 1. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს გამოიყენოს II ნაწილის დებულებები მის ტერიტორიაზე გამოყენებული ყველა რეგიონული ან უმცირესობის ენის მიმართ, რომელიც შეესაბამება 1-ლ მუხლში მოცემულ განსაზღვრებას; 2. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს ქარტიის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცებისას, მე-3 მუხლის თანახმად განსაზღვრული ყოველი ენის მიმართ გამოიყენოს ქარტიის III ნაწილის არანაკლებ ოცდათხუთმეტი პუნქტი ან ქვეპუნქტი, მათ შორის, არანაკლებ სამი პუნქტი მე-8 და მე-12 მუხლებიდან და თითო მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლებიდან; მუხლი 3 პრაქტიკული ღონისძიებები: 1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელში განსაზღვრავს თითოეულ რეგიონულ, ან უმცირესობის ენას ან ოფიციალურ ენას, რომელიც მის მთელს ტერიტორიაზე ან ტერიტორიის ნაწილში ნაკლებად არის გამოყენებული და რომელთა მიმართაც მოხდება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული პუნქტების გამოყენება; 2. ნებისმიერ მხარეს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს, რომ იგი იღებს ქარტიის სხვა ნებისმიერი პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს;

2013 წლის 21 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ თაობაზე საქართველოს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემამუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დე-

ბულების დამტკიცების შესახებ. საქართველომ 1999 წელს ევროპის საბჭოს წევრი გახდა, რითაც ავტომატურად დააფიქსირა საკუთარი თანმხვედრი ღირებულებები რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპულ ქარტიაში მოყვანილ პრინციპებთან მიმართებით და ურყევი ნება მოეხდინა დოკუმენტის რატიფიცირება.

რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტია წარმოადგენს ადამიანის უფლებების სტანდარტების შემცველ დოკუმენტს. იგი მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს რეგიონული და უმცირესობათა ენების, როგორც ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის, გამოყენებასა და განვითარებას. ამისათვის, ქარტია არა მხოლოდ ადგენს, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია, ამ ენების გამოყენებასთან დაკავშირებით, არამედ ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას ამ ენების აქტიური ხელშეწყობის მიზნით. იგი უზრუნველყოფს რეგიონული და უმცირესობათა ენების გამოყენებას, განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და დასაშვებს ხდის მათ გამოყენებას მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ქარტიის მიხედვითაც, უმცირესობათა ენის სტატუსი ეკუთვნის იმ ენებს, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს შესაბამის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც რიცხობრივად უფრო პატარა ჯგუფს წარმოადგენენ, ვიდრე ამ სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობა და განსხვავდებიან სახელმწიფოს ოფიციალური ენისგან (ენებისგან).

## **5.6. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“**

საქართველოს კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მიღებულ იქნა 2014 წლის 2 მაისს. ამ

კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

დისკრიმინაცია არ არის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით – გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ.

დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია, თუ არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიგა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეუღალხავად. მეშვიდე მუხლში მოცემულია:

„საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში“, სადაც:

1. საქართველოს სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.

2. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

კანონპროექტის ანალიზი: ზედამხედველობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, კანონით სახალხო დამცველი ზედამხედველობა ახორციელებს დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე, აგროვებს და აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს, ამზადებს მოსაზრებებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტში წარსადგენად და ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, საზოგადოებაში დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ცნობიერების ასამაღლებლად.

მისასაღმებელია, რომ კანონმა გაითვალისწინა აუცილებლობა იმისა, სახალხო დამცველს არა მხოლოდ რეაქტიული ფუნქცია ჰქონდეს, რაც მხოლოდ დისკრიმინაციაზე განცხადების მიღებისას რეაგირებას გულისხმობს, არამედ, პროაქტიულად, შესაბამისი მონაცემების ანალიზით ასახოს პრობლემის არსი. ასევე, მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ კანონი ხედავს დისკრიმინაციას, როგორც საზოგადოების ცნობიერების პრობლემას და სახალხო დამცველს, ამ კუთხით საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, ღონისძიების გატარებას ავალდებს.

## **5.7. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა საბჭო**

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი 2005 წლიდან არსებობს და აქტიურად მუშაობს საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თა-



ნასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბებისთვის. ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაში. ამ კუთხით, იგი უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშემწყობ პირობებს ქმნის, ახორციელებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ავლენს რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევებს, სწავლობს ამ სფეროში არსებულ ტენდენციებს და სისტემური ხასიათის პრობლემებს.

ცენტრის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების კოორდინირება. საბჭოები წარმოადგენენ სივრცეს, სადაც რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს საშუალება აქვთ, იმსჯელონ და იმუშაონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამჟამად, ეთნიკური უმცირესობების საბჭო 100-მდე უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას აერთიანებს, ხოლო რელიგიათა საბჭოში 30-ზე მეტი რელიგიური გაერთიანებაა წარმოდგენილი. საბჭოები, დღესდღეობით, უმცირესობათა ყველაზე დიდ საკონსულტაციო ფორუმებს წარმოადგენენ.

ტოლერანტობის ცენტრი ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან ერთად ყოველწლიურად ახორციელებს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, რითაც ხელს უწყობს ეროვნული ინტეგრაციის პროცესში უმცირესობების ჩართულობას.

ტოლერანტობის ცენტრი საკუთარ და საბჭოების საქმიანობას, ასევე უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს მუდმივად აშუქებს თავის ვებგვერდზე, აგრეთვე თავსდება ტოლერანტობის ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები და სტატიები, რომლებიც უმცირესობების სხვადასხვა პრობლემატიკას, კულტურულ ტრადიციებსა და ინტეგრაციის საკითხებს ეხება.

2008 წელს ტოლერანტობის ცენტრმა მოამზადა და გამოსცა ენციკლოპედიურ-საცნობარო ხასიათის ნაშრომები „რელიგიები საქართველოში“ და „ეთნოსები საქართველოში“.

ეს გამოცემები საქართველოში რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების სისტემატიზაციის პირველი მასშტაბური მცდელობაა. წიგნებში აისახა საქართველოში არსებული ყველა ეთნიკური ჯგუფისა და რელიგიური გაერთიანების ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია, ტრადიციები და თანამედროვე ყოფა.

2006-2010 წლის მანძილზე ტოლერანტობის ცენტრმა შურნალ „სოლიდარობის“ 39 ნომერი მოამზადა და გამოსცა. შურნალში ასახულია, როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემატიკა, ისე სოციალური თანასწორობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

2011 წლამდე ტოლერანტობის ცენტრის მუშაობას მხარს უჭერდა გაერო განვითარების ფონდი. 2012-2014 წლებში ტოლერანტობის ცენტრი ფინანსდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ (ANI) ფარგლებში. 2015 წლიდან ტოლერანტობის ცენტრი მუშაობს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული გაეროს ასოციაციის პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის გაძლიერება“ (PITA) მხარდაჭერით.

”2014 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით დაფუძნდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, სააგენტოს შექმნის მიზნები, ისევე, როგორც მისი უფლებამოსილებები სრულად არ ასახავს რელიგიის თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და სეკულარიზმის დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს;

სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრი რელიგიური გაერთიანებებია:

- ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია;
- ქართველ მაჰმადიანთა კავშირი;
- სახარების რწმენის ეკლესია;
- მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიცისტთა ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- ნმიდა სამების პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელისტური ეკლესია;
- ევანგელური ეკლესია სიცოცხლის სიტყვა;
- ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია „მადლი“;
- საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია ხსნის არმია;
- კრიშნას ცნობიერების საზოგადოება;
- ევანგელური ეკლესია ურყევი საფუძველი;
- ბაჰაის საზოგადოება საქართველოში;
- სვედენბორგიანული საზოგადოება საქართველოში;
- სრული სახარებისეული ეკლესია „ღვთის ერი“;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი;
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა;
- მედიის განვითარების ფონდი;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

### **საკონტროლო კითხვები**

1. როდის მიიღო საქართველოს პარლამენტმა ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია?

2. როდის ამოქმედა საქართველოს კონსტიტუტციის ახალი მოქმედი რედაქცია?
3. კონსტიტუტციის რომელი თავი ეძღვნება ადამიანის ძირითად უფლებებს?
4. როდის იქნა მიღებული ჩარჩო-კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“?
5. რამდენი ნაწილისა და მუხლისგან შედგება ჩარჩო-კონვენცია?
6. რა არის ევროპის საბჭოს მიზანი, ამ ჩარჩო კონვენციის მიხედვით?
7. ჩარჩო კონვენციის მეხუთე მუხლის თანახმად, მხარეები რა ვალდებულებებს იღებენ?
8. ამ ჩარჩო კონვენციის განხორციელების მონიტორინგს, ჩარჩო კონვენციის მეოთხე ნაწილის მიხედვით ვინ განახორციელებს?
9. საქართველოს პარლამენტმა, როდის მოახდინა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება?
10. საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებით რა შემთხვევაში შეიძლება პირთა ჯგუფს მიენიჭოს ეროვნული უმცირესობის სტატუსი?
11. ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებულ განმარტებაში როგორ განიმარტება ეროვნული უმცირესობა?
12. როგორი ჯგუფია უმცირესობა მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის განმარტებით?
13. ჩამოთვალეთ ძირითადი სპეციალური უფლებები, რაც ეთნიკური უმცირესობებისთვისაა მნიშვნელოვანი.
14. როდის იქნა მიღებული ევროპის ქარტია, რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ?
15. როდის მიიღო საქართველოს მთავრობამ დადგენილება „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის თაობაზე“?

16. რას წარმოადგენს, „რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტია“? რა არის ძირითადად აქ მოცემული?
17. ქარტიის მიხედვით, რომელ ენებს ეკუთნის უმცირესობათა ენის სტატუსი?
18. როდის იქნა მიღებული საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“?
19. რომელი წლიდან არსებობს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა საბჭო?

## თავი VI.

---

### ეთნიკური აღორძინება, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე

#### 6.1. თანამედროვეობის ეთნიკური პარადოქსი

60-70-იანი წლებიდან დაწყებული მსოფლიო მასშტაბით გამოიკვეთა პროცესები, რომელიც ხასიათდება ხალხთა იდენტობის შენარჩუნების ხაზგასმის სურვილში, ყოველდღიური კულტურისა და ფსიქოლოგიური ხასიათის უნიკალურობა, მრავალ მილიონ ადამიანებს შორის, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ კუთვნილებას კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან, ეროვნული იდენტობა, ან ეთნიკური იდენტობა საზოგადოების სხვადასხვა ტიპისა და განვითარების, ტრადიციულიდან ინდუსტრიულამდე პერიოდამდე მრავალი ქვეყნის მოსახლეობას შეეხო.

ამ ფენომენს, რომელიც თავიდანვე შეეხო ყველა კონტინენტის მრავალი ქვეყნის მოსახლეობას, თანამედროვეობის ეთნიკურ პარადოქსს უწოდებენ, რადგან ის ყველაფერს ახლავს, სულიერს და მატერიალური კულტურის მზარდ გაერთიანებას. მაგრამ ახლა ეთნიკურობის ხელახალი დაბადება განიხილება, როგორც კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. პიროვნებებში საკუთარი ფესვებისადმი თითქმის უნივერსალური ინტერესი ვლინდება სხვადასხვა ფორმით: უძველესი წეს-ჩვეულებების აღორძინების მცდელობიდან და რიტუალები, პროფესიული კულტურის ფოლკლორიზაცია, „იდუმალი ხალხური სულის“ ძიება, მათი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის, ან აღდგენის სურვილი. სამწუხაროდ, როდესაც ეს ლეგიტიმური ინტერესები ეწინააღმდეგება სხვა ხალხების ინტერესებს, ადგილი აქვს ეთნიკური დაძაბულობის სიტუაციებს, მაგალითად, ვალონებსა და ფლამანდებს შორის ბელგიაში, ან ანგლო და ფრანგ კანადელებს შორის. ძალიან ხშირად ის ინვესს ეთნიკურ კონფლიქტებსა და სისხლიან ომებს. 90-იან წლებში, ყველაზე მო-

ძალადეთა შორის იკვეთება შეტაკებები ყოფილ იუგოსლავიაში სერბ და ხორვატ ეროვნებებს შორის, ტუტსები და ჰუტუსები აფრიკის ქვეყნებში ბურუნდისა და რუანდაში, მაგრამ თუ მთელ მსოფლიოში სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები ორმოც წელზე მეტია სწავლობენ ეთნიკურ აღორძინებას, ყოფილ სსრკ-ში, პერესტროიკამდე მრავალი სოციოლოგის აზრით, პროცესი საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა: ეროვნული საზოგადოებები არა მხოლოდ აყვავდნენ, არამედ ეროვნული საკითხი იყო მთლიანად მოგვარებული, მაგრამ სინამდვილეში, ფაქტობრივად, სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში არ განსხვავდებოდა მსოფლიოსგან. და ბევრ ხალხში გაიზარდა ეთნიკური იდენტობა და ეთნიკური სოლიდარობა. აქ არ შეეჩერდებით ყოფილი სსრკ-ის ხალხთა უმრავლესობის ეთნიკური სოლიდარობის უპრეცედენტო ზრდის არაფსიქოლოგიურ მიზეზებზე, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ჩამოვთვლით, რომელთაგანაც:

1. იმპერიული კოლონიური მემკვიდრეობა, კერძოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის პრიორიტეტი. რელიგიის დევნის წლები – როცა ყველა ეკლესია „ცუდი იყო“, მართლმადიდებლები ჯერ კიდევ ცოტა იყო უკეთესი;
2. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები (მთელი ხალხის დეპორტაცია, რეპრესიები ეროვნული ინტელიგენციის);
3. სსრკ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები 100-ზე მეტი ადამიანიდან მხოლოდ 53-ს ჰქონდა საკუთარი ეროვნული ერთეულები და ქვეყნის ეთნოტერიტორიული დაყოფის ზედმეტად თვითნებობა: ამასთან, შეიქმნა მათი მკაცრი იერარქია – საკავშირო რესპუბლიკები, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური რეგიონები, ავტონომიური მხარეები. ხოლო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტატუსს და მათ საზღვრებს ძალიან ხშირად ადგენდნენ რაოდენობისა და ხალხთა რეალური დასახლების აღრიცხვის გარეშე.

ამ სიტუაციაში, სსრკ-ის დაშლამდე დიდი ხნით ადრე, ბევრი ეთნიკური ჯგუფი ცდილობდა თვითგამორკვევას. არსებულ წესრიგს განიხილავდნენ როგორც არა კანონიერს. ეროვნული დაძაბულობა გამოვლინდა ბევრ რეგიონში, ასევე იყო მასობრივი დემონსტრაციები: მაგალითად, 70-იან წლებში – 80-იანი წლების დასაწყისში: საქართველო, აფხაზეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, იაკუტია, მაგრამ ისინი მხოლოდ სპეციალისტებისთვის იყო ცნობილი. ეთნოგრაფებმა და სოციოლოგებმა იცოდნენ, რომ სსრკ-ის ტერიტორიაზე უამრავი კვანძი იყო ეთნიკური კონფლიქტების, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაღვივდეს – აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი და მრავალი სხვ. მიუხედავად ამისა, 1980-იანი წლების ბოლოს კრიზისმა, როდესაც საჯაროობამ „ჯინი ბოთლიდან გამოუშვა“, გააოცა ყველა. ამისთვის მზად არ იყვნენ, არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურები, არამედ სამეცნიერო საზოგადოებაც, უამრავი სპეციალისტი. ერების აყვავებასა და დაახლოების მტკიცებულებაში მონაწილე: ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, დემოგრაფები. ფსიქოლოგებიც მოუშადადებლები აღმოჩნდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო – ეთნოფსიქოლოგია იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ნაკლებ განვითარებული იყო. ეთნოფსიქოლოგიური კვლევები არ ჩატარებულა 1930-იანი წლებიდან, როდესაც ისინი ფაქტობრივად აიკრძალა, მათ რასიზმთან და ნაციონალიზმთან პირდაპირი კავშირის გამო.

მაგრამ თუ თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში მისი კუთვნილების გაცნობიერება გარკვეულ ხალხთან, მისი მახასიათებლების ძიება – მათ შორის ფსიქიკის მახასიათებლები – თამაშობს მათში მნიშვნელოვან როლს და აქვს ასეთი სერიოზული გავლენა ადამიანთა ურთიერთობებზე – ინტერპერსონალურიდან დაწყებული სახელმწიფოთაშორისი, მაშინ აბსოლუტურად აუცილებელია ეთნიკური ფსიქოლოგიური ასპექტის შესწავლა და განხილვა. კერძოდ: ა. აუცილებელია განვითარდეს ეთნოფსიქოლოგია, ისევე როგორც სხვა მეცნიერებები – ეთნოსოციოლოგია, ეთნოპოლიტიკური მეცნიერება, რომელიც აანალიზებს უამრავ „ეროვნულ“ პრობლემას



სხვადასხვა კუთხით, თანამედროვე საზოგადოების წინაშე. ეთნოფსიქოლოგებს მოუწოდებენ გაერკვნენ, სად მოძებნონ ასეთი ხშირი გაუგებრობის მიზეზები, რომლებიც წარმოიქმნება ხალხთა სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის კონტაქტებიდან; არის თუ არა ფსიქიკის, რაიმე კულტურით განსაზღვრული თავისებურებები, რომლებიც აიძულებს ერთი ხალხის წევრებს, იგნორირებას, ზემოდან ყურებას, ან დისკრიმინაცია განახორციელონ, სხვა ხალხის წარმომადგენლების მიმართ; არის თუ არა ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც ხელს უწყობს ეთნიკური დაძაბულობისა და ეთნიკური კონფლიქტების ზრდას. მრავალ კითხვას შორის პასუხს მოითხოვს და ეთნიკური იდენტობის ზრდის ფსიქოლოგიური მიზეზების გარკვევას საჭიროებს.

## **6.2. თანამედროვეობაში ეთნიკური იდენტობის ზრდის ფსიქოლოგიური მიზეზები**

მსოფლიო მეცნიერებაში ეთნიკურობის აღდგენა-განახლების რამდენიმე განმარტებითი ცნება არსებობს აზროვნების სხვადასხვა სოციოლოგიური სკოლები ხსნიან ეთნიკური იდენტობის ზრდას:

ა) განვითარებაში ჩამორჩენილი ხალხების რეაქცია, გამოღვიძებულ შრომის ეთნოკულტურულ დაყოფაზე, უფრო განვითარებული ხალხთა ეკონომიკური და ტექნოლოგიური ექსპანსიისას;

ბ) მსოფლიო სოციალური კონკურენციით, რომლის შედეგადაც, მიუხედავად გაძლიერებულია მატერიალური და სულიერი კულტურათა უნიფიკაცია, ინტერსიფიცირდება შიგაეთნიკური ურთიერთქმედებები;

გ) მსხვილი სოციალური ჯგუფების გავლენის გაზრდა ეკონომიკასა და პოლიტიკაში, მათი გაერთიანების, შეკვრადარაზმვის პროცესების შემსუბუქება, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. ამავე დროს, ამტკიცებენ, რომ ეს არის ეთნიკური თემები, რომლებიც უფრო ხელსაყრელ მდგომარე-

ობაში არიან, ვიდრე სხვა დიდი ჯგუფები. აქ არ გავანალიზებთ მათ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს სოციოლოგიური კონცეფციით, ვინაიდან ნებისმიერ მათგანში, როგორც ეთნოსოციოლოგმა ა. სუსოკოლოვმა თავის ნაშრომში (1990) აღნიშნა, ეთნოსი განიხილება, როგორც ჯგუფი, რომელიც შექმნილია ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობების მიზნით. ფსიქოლოგს ეთნიკური კუთვნილება აინტერესებს, პირველ რიგში, როგორც ფსიქოლოგიური ერთობა, რომელსაც შეუძლია წარმატებით შეასრულოს თითოეული ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ფუნქცია:

1. სამყაროში, გარემოში ორიენტირება, შედარებით მონესრიგებული ინფორმაციის მიწოდება;
2. ზოგადი ცხოვრებისეული ღირებულებების მიცემა;
3. დაცვა, პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სოციალურ, არამედ ფიზიკურ კეთილდღეობაზეც.

ადამიანს ყოველთვის სჭირდება თავი „ჩვენს“ ნაწილად იგრძნოს და ეთნოსი არ არის ერთადერთი კუთვნილების გაცნობიერების ჯგუფი, როდესაც ადამიანი ეძებს მხარდაჭერას ცხოვრებაში. ამ ჯგუფებს შორის შეიძლება დასახელდეს პარტიები, საეკლესიო ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, არაფორმალური ახალგაზრდული ასოციაციები და ა. შ. ბევრი ადამიანი მთლიანად „ჩაძირულია“ ერთ-ერთ მათგანში, ჯგუფში, მაგრამ მათში განწევრიანება ყოველთვის არ იწვევს ფსიქოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სტაბილურობაზე. მხარდაჭერა არც თუ ისე სტაბილურია, რადგან ჯგუფების შემადგენლობა მუდმივად განახლებადია, მათი არსებობის ვადები შეზღუდულია დროში, თავად ადამიანიც შეიძლება ჯგუფიდან, რალაც ნაკლის გამო გამორიცხონ. ყველა ამ ხარვეზისაგან მოკლებულია, თავისუფალია ეთნიკური ერთობა, თემი. ის თაობათაშორისი ჯგუფია დროსთან მიმართებით სტაბილურია, ახასიათებს შემადგენლობის სტაბილურობა და თითოეულ ადამიანს აქვს სტაბილური ეთნიკური სტატუსი, მისი „გამორიცხვა“ შეუძლებელია ეთნოსიდან. ამ თვისებების წყალობით ეთნოსი ადამიანთა თანადგომის საიმედო

ჯგუფია. რა თქმა უნდა, გარდა ეთნიკური ჯგუფებისა, არის სხვა სტაბილური დიდი ჯგუფები. კიდევ უფრო მეტი მათგანი არსებობდა ადამიანთა განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ტრადიციულ საზოგადოებებში და ახლა არის ჯგუფები (დიდი ოჯახი, გვარი. მეზობელთა ერთობა გვარეულობა), რომლებიც ღირებულებებზე ორიენტირებულ, დამცავ ფუნქციებს უკეთ ასრულებენ, ვიდრე თანამედროვე ეთნიკური ჯგუფები. ამრიგად, მათგან მიღებული ინფორმაცია, არა მხოლოდ ერთგვაროვანია და მონესრიგებულია, არამედ ასევე მოითხოვს კომპლექტის ცალსახა, უნაკლო ზუსტ შესრულებას უამრავი რიტუალების, რომლებიც თან ახლავს ადამიანის ცხოვრების ყოველ ნაბიჯს დაბადებიდან სიკვდილამდე, მთელ მის ეკონომიკური აქტივობას.

ასეთი ჯგუფების კულტურები, წინაპრებისა და ტრადიციებისკენ ორიენტირებული კულტურებია, დიდმა ამერიკელმა ეთნოლოგმა მარგარეტ მიდმა (1901-1978), ცნობილია მისი გამონათქვამები: „მოაზროვნე ადამიანების მცირე ჯგუფს შეუძლია შეცვალოს სამყარო. მართლაც, ეს არის ერთადერთი, რაც ოდესმე აქვს“; „ბავშვებს უნდა ასწავლონ, როგორ იფიქრონ და არა რა იფიქრონ“; „ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ აბსოლუტურად უნიკალური ხართ. ისევე როგორც ყველა სხვა; არ არსებობს მომავლის შესახებ უფრო დიდი წარმოდგენა, ვიდრე აღიარება... როდესაც ჩვენ ვიხსნით ჩვენს შვილებს, ჩვენ ვიხსნით საკუთარ თავს“), ამას პოსტფიგურატიული უწოდა. შეუძლებელია მიდზე უკეთესად ამ კულტურების მახასიათებლების დახასიათება: „პოსტფიგურატიული კულტურა არის კულტურა, სადაც ყოველგვარი ცვლილება ხდება ისე ნელა და შეუმჩნეველად, რომ ბაბუებს, როცა ხელში ახალშობილი შვილიშვილები უჭირავთ, არ შეუძლიათ წარმოდგინონ მათთვის სხვა მომავალი, გარდა საკუთარი წარსულისა. ზრდასრულთა წარსული, ყოველი ახალი თაობის მომავალი გამოდის; მათ მიერ განვლილი ცხოვრება არის სქემა, მომავალი, მათი შვილებისთვის.... ასეთი კულტურის შესანარჩუნებლად მოხუცები სჭირდებოდათ და არა მხოლოდ ხანდა-

ხან შიმშილობის დროს ადამიანთა ჯგუფების ახალ ადგილებში მისაყვანად, არამედ როგორც ცხოვრების სრულყოფილ მოდელად, როგორც არის.... პასუხები კითხვებზე: „ვინ ვარ მე? რა არის ჩემი, როგორც ჩემი კულტურის წარმომადგენლის ცხოვრების არსი? როგორ ვილაპარაკო, გადავაადგილდე, ვჭამო, დავიძინო, გიყვარდეს, იშოვო საარსებო წყარო, შეხვდე სიკვდილს? – ჩაითვალა წინასწარ განსაზღვრულად (Mead, 1988, გვ. 322-325).

თანამედროვე ეთნიკურ თემებს არ აქვთ ასეთი უდავო და სტაბილური ტრადიციები.

მსოფლიოს სურათები, მათი კულტურის მრავალი ელემენტი იშლება – ინტერნალიზდება ეკონომიკური საქმიანობა, საცხოვრებელი, საკვები, ხელოვნება. ეთნიკური ჯგუფები მნიშვნელოვანი ხარისხით მოწყვეტილი არიან ტრადიციებისგან, წინაპრების ქცევას ჯგუფის წევრები მოდელად აღარ განიხილავენ. ეს არის კოფიგურაციული კულტურები, რომლებშიც „ადამიანების ქცევის უპირატესი მოდელი მათი თანამედროვეების საქციელში გამოდის“ (იქვე, გვ. 342). მაგრამ თაობათა განხეთქილება მაინც არ ხდება. ყოველთვის არის კულტურის ფენები, რომლებიც საშუალებას გაძლევთ, გააცნობიეროთ თქვენი კუთვნილება, ეთნიკური საზოგადოების მიმართ, ესაა: ენა, რელიგია, საერთო წინაპრების მითი, ისტორიული მეხსიერება, გმირების მდიდარი გმირობისა ან საერთო ტანჯვა, მაგრამ ამერიკელმა მკვლევარმა იწინასწარმეტყველა კიდევ ერთი კულტურული ნორმის წარმოშობა – პრეფიგურაციული კულტურები, სადაც არა წინაპრები და არა თანამედროვეები, არამედ თავად ბავშვი განსაზღვრავს ცხოვრების ძირითად კითხვებზე პასუხებს. ამ შემთხვევაში უფროსები ცხოვრებაში განმეორებას ვერ ხედავენ, ახალგაზრდას საკუთარი გამოცდილებით, მშობლების ცხოვრება არ არის მაგალითი ბავშვებისთვის, ხდება თაობათა განხეთქილება.

სულ ახლახან უხუცესებს შეეძლოთ ეთქვათ: „მისმინე, მე ახალგაზრდა ვიყავი, შენ კი არასდროს არ იყავი მოხუცი“, მაგრამ დღეს ახალგაზრდებს შეუძლიათ უპასუხონ მათ:

„თქვენ არასოდეს ყოფილხართ ახალგაზრდა იმ სამყაროში, სადაც მე ახალგაზრდა ვარ და შენ არასოდეს იქნები“ (იქვე, გვ. 360). თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ზოგჯერ შეიძლება გამოვლინდეს ის ფაქტი, რომ მეცნიერ მარგარეტ მიდის პროგნოზი გამართლდეს, მაგრამ თუ ამერიკელი მკვლევარის პროგნოზი სრულად ახდა, კაცობრიობა გაქრებოდა დედამიწის პირიდან. ყოველგვარი ინოვაციის მიუხედავად, კაცობრიობა, თვითრეპროდუქცირდება და თვითრეგულირდება, აუცილებელია თაობებს შორის კავშირების შენარჩუნება. უფრო მეტიც, თანამედროვე სამყაროში ხდება ადამიანების განწყობის ფსიქოლოგიური ცვლილება. – მეტი ინტერესი ფესვების მიმართ. ეს აზროვნება საერთაშორისო კონფლიქტების შედეგია, ბირთვული ომის საფრთხე, გარემოს საფრთხე, ადამიანი გრძნობს გარემოს არასტაბილურობას, სამყაროში მცირდება მისი ოპტიმიზმი და წინსვლის სურვილი. უფრო და უფრო მეტი ადამიანი, თუნდაც ახალგაზრდები – მიდრეკილნი არიან, იხედონ უკან და სიღრმისეულად, ეძიონ მხარდაჭერა და დაცვა თავიანთი წინაპრების სტაბილურ ღირებულებებში. ასე რომ, ჩვენ დავადგინეთ ეთნიკური იდენტობის ზრდის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური მიზეზი.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი – ღირსშესანიშნაობების ძიება და სტაბილურობა, გადაჭარბებული ინფორმაცია და არასტაბილური სამყარო. მეორე ფსიქოლოგიური მიზეზი ამ ზედაპირზე დევს და არ მოითხოვს სპეციალურ მტკიცებულებებს. ეს არის ეთნიკური კონტაქტების ინტენსიფიკაცია, გააქტიურება, როგორც პირდაპირ, (შრომითი მიგრაცია, სტუდენტების გაცვლა, მილიონობით გადაადგილებული ემიგრანტები და ლტოლვილები, ტურისტები) ისე შუამავლობით, თანამედროვე მასმედის, კომუნიკაციების, სატელევიზიო ტელევიზიიდან ინტერნეტამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ის არის, რასაც თანამედროვე მეცნიერებაში გლობალიზაციას უწოდებენ.

ეთნიკური იდენტობის აქტუალიზება ხდება კომუნიკაციის მასიური კონტაქტების გამეორებად, პირდაპირი და გამასაშუალებელი საშუალებებით, რადგან მხოლოდ შედარების გზით შეიძლება ყველაზე ნათლად საკუთარი „ქართველობის“, „ებ-

რაელობის“ აღქმა და ა. შ. რაღაც განსაკუთრებულის მსგავსად. ეთნიკური იდენტობის ზრდის ფსიქოლოგიური მიზეზები ერთი და იგივეა მთელი კაცობრიობისთვის, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობას ეთნოსი იძენს რადიკალური სოციალური გარდაქმნების ეპოქაში, რომელიც იწვევს სოციალურ არასტაბილურობას.

### **6.3. ეთნიკური იდენტობა სოციალური არასტაბილურობის სიტუაციებში**

მწვავე სოციალური არასტაბილურობის პირობებში ეთნოსი ხშირად მოქმედებს როგორც საგანგებო მდგომარეობის დამხმარე ჯგუფები. ზუსტად ისეთ პერიოდში, რომელსაც ჩვენი ქვეყანაც განიცდის, ადამიანისათვის დამახასიათებელია ძირითადად ეთნიკურ თემებზე ფოკუსირების ტენდენცია და ხშირად გაზვიადებულია პოზიტიური განსხვავება საკუთარი ერთობისა სხვებიგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოსი მრავალი ადამიანის მხარდამჭერი ჯგუფი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და როდესაც ერთობა „თავთავი“ შეირხა, შეირყა შეძრწუნდა და მათ შორის არსებული ურთიერთობების უკანონობის გაცნობიერებას დაემატა მათი არასტაბილურობის გაცნობიერებაც, ეთნიკური გრძნობები ამოტივტივდა ზედაპირზე. ჩვენს ქვეყანაში ამ პროცესს ხელი შეუწყო იმანაც, რომ საბჭოთა პერიოდში ეთნიკური ჯგუფები აღმოჩნდნენ იმ მცირერიცხოვან თემებს შორის, რომლებმაც შეძლეს ადამიანისათვის აუცილებელი ღირებულებებზე ორიენტირებული დამცავი ფუნქციების განხორციელება. როგორც ცნობილია, სსრკ-ში 70 წლის განმავლობაში ტარდებოდა „ექსპერიმენტი“ სოცერთგვაროვნებაზე. მისი განხორციელების შედეგად, მრავალი ჯგუფი განადგურდა, რომელიც მეტ-ნაკლებად ადამიანებს ემსახურებოდა, როგორც საყრდენი და დაცვა-წოდებანი, გლახთა თემი, საეკლესიო სამრევლოების უმეტესობა, მრავალი პარტია, ეროვნულ უმცირესობების სათვისტომოები და ა. შ.: „გლახის ოჯახიდან პოეტთა კავშირებამდე, ზეთსახდელი საწარმოო კოოპერატივიდან უნივერსიტეტის პროფესო-

რებამდე“ (გუსეინოვი, დრაგუნსკი, 1990, გვ. 9). დაკარგული იქნა რეგიონული კულტურული გამორჩეულობის ელემენტები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა საქართველოს მოქალაქის ჯგუფური იდენტურობა, რომლებიც თავს ძირითადად აღიარებდნენ, მეგრელებად, კახელებად.

ეთნიკური თემების გარდა, ძალიან ცოტა დიდი ჯგუფი დარჩა, რომელსაც შეეძლო დადებითი სოციალური იდენტობის შენარჩუნება. პირველ რიგში, სახელმწიფო და მართლაც, სახელმწიფო სოციალიზმის პირობებში, სსრკ-ის ბევრი მოქალაქე თავს გრძნობდა სრულად დაცულად, დიდი ძალის მიერ. იდეოლოგიურმა მანქანამ ბევრი გააკეთა, რათა საბჭოთა ადამიანს სცოდნოდა მხოლოდ ერთი ქვეყანა, „სადაც თავისუფლად სუნთქავს ადამიანი“. მეორეც, სოციალური კლასები, ერთ-ერთი მათგანის – პროლეტარიატის – დიქტატურის ქვეშ, ძნელია შეინარჩუნო პოზიტიური ჯგუფური იდენტობა სხვებთან მიმართებით. გარდა ამისა, ფუნქციონირებდა ერთი პარტია სკკპ, ერთი ახალგაზრდული ორგანიზაცია – კომკავშირი, ერთი ბავშვთა – პიონერული ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ეს ამკარად არ იყო საკმარისი ყველას ინტერესების დასაკმაყოფილებლად, უზარმაზარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო სტაბილური, ძლიერი ჯგუფები, რომლის დახმარებითაც ძალიან ბევრმა, იდეოლოგიური მანქანის დახმარებით მოახერხა პოზიტიური ჯგუფის იდენტურობის შენარჩუნება და პირი ნამდვილად ეძებდა დაცვას პარტიისგან, თუნდაც მხოლოდ გამოეცხადებინა კომუნისტური ნორმები და ღირებულებები. დაცვა სულაც არ შედგებოდა პრივილეგიებისაგან, მაგრამ დრო შეიცვალა. აღარ არსებობს დიდი ძალა – სსრკ, ძლიერი პარტია, დიდებული კომკავშირი. კაცი მარტო დარჩა მძიმე ცხოვრებით და არ იცის, ვინ არის, რა ფასეულობებზე უნდა მოახდინოს ორიენტაცია. როგორც არასდროს, მას სჭირდება დაცვა და მხარდაჭერა, როგორც სსრკ-ისა და საბჭოთა სისტემის დაშლამ გამოიწვია მასიური „კულტურული შოკი“ და სტაბილური სოციალური იდენტობის დანაკარგი. როცა შენს ირგვლივ სამყარო აღარ არის გასაგები, იწყება ჯგუფების ძებნა, რომ-

ლებიც დაეხმარებიან მისი მთლიანობისა და წესრიგის აღდგენას, დაცული იქნებიან რეფორმის შემდგომი ცხოვრების სირთულეებისგან. მართლაც, ბოლო წლებში რუსეთში ბევრი ახალი ჯგუფი გამოჩნდა, ამ როლის კანდიდატები არიან ჰარე კრიშნები და ჰიპები, თეთრი საძმო და როკერები. აღებული საბჭოთა ხელისუფლების წლებში განადგურებული თემების აღორძინების მცდელობები: არის საზოგადოებები დიდებულებისა და ვაჭრების შთამომავლები, „კაზაკთა ჯარები“ სულ უფრო და უფრო აქტიურდებიან. პარტიები ათეულობით, თუ არა ასობით. მაგრამ ყველა ამ ჯგუფს არ შეუძლია წარმატებით განახორციელოს ღირებულებაზე ორიენტირებული და დამცავი ფუნქცია. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად ეს ასოციაციები – პირველ ეტაპზე მაინც მათი არსებობის – ტერმინი რომ გამოვიყენოთ, უბრალო ჯგუფების დრამატიზაციაა შემოთავაზებული სოციოლოგის ლ. გ. იონინის მიერ (1996). ასეთ ჯგუფებში ქარბობს იდენტიფიკაციის გარეგანი ნიშნები: მათი წევრები ეუფლებიან ტანსაცმლის სიმბოლიკას (სარი, ტყავის ქურთუკები, კაზაკთა ფორმა), სპეციფიკური ჟარგონი, მოძრაობების სტილი და მისალმებები. ბევრი ადამიანი კმაყოფილდება ასეთი სუბკულტურების იდენტიფიკაციით, მაგრამ უმეტესობისთვის სოციალური სისტემის დაშლის პერიოდში, აუცილებელია „მოეჭიდოს“ რაღაც უფრო სტაბილურს, უფრო მდგრადს ჯგუფს, რომელთანაც ინდივიდი, „ჩანერილია“ დაბადებით და მასთან იდენტიფიცირება მყარდება სოციალიზაციის პროცესში. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან მწვავე სოციალური არასტაბილურობის ეპოქას, ჩვენთან ასეთი ჯგუფები აღმოჩნდა თაობათაშორისი თემები – ოჯახი და ეთნიკური ჯგუფი. ეთნიკური იდენტობა სოციალურის ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმაა.

#### **6.4. ეთნოსი, როგორც ფსიქოლოგიური ერთობა**

თუ ერისკაცს ჰკითხავთ, რა არის ეთნოფსიქოლოგია, უმეტესობა ამაზე გიპასუხებთ ეს არის მეცნიერება, რომე-



ლიც სწავლობს ეთნიკური ჯგუფების, ან ხალხების ფსიქოლოგიას. ფსიქოლოგის ან ეთნოლოგის პასუხი არ იქნება ასევე გარკვეული, რადგან სამეცნიერო საზოგადოებაში არ არის ერთიანობა, თუნდაც ტერმინოლოგიის კუთხით. ჯერ ერთი, ტერმინი „ეთნოსის“ მნიშვნელობა ბუნდოვანი რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ უცნობია, რომლის ფსიქოლოგიასაც ეს მეცნიერება სწავლობს. მეორეც, ავტორთა უმეტესობა ამჯობინებს შეისწავლონ ფსიქოლოგიური მახასიათებლების ურთიერთობა, არა ეთნიკურ ჯგუფთან, არამედ კულტურასთან მიმართებით, შესაბამისად აუცილებელია ნათლად გავიგოთ რა არის კულტურა. მესამე, თავად ტერმინი ეთნოფსიქოლოგია რა არის, ზოგადად მიღებული მსოფლიო მეცნიერებებში. მეცნიერების ბევრი ექსპერტი, რომელიც სინამდვილეში არის ეთნოფსიქოლოგი, უპირატესობას ანიჭებენ და მაინც ურჩევენიათ საკუთარ თავს „ხალხთა ფსიქოლოგის“, „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგის“, „შედარებითი კულტურათა ფსიქოლოგიის“ მკვლევარები უწოდონ. თანამედროვე ეთნოფსიქოლოგიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია დჟ.ბერრი, რომელიც უნივერსიტეტში კითხულობს ლექციათა კურსს „კულტურათა ფსიქოლოგია“, რომელსაც მიუძღვნა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, მონაწილეობდა „კროს-კულტურული ფსიქოლოგიის“ სახელმძღვანელოს შექმნაში. შვეიცადოთ გავერკვეთ ამ პრობლემებში და, პირველ რიგში, თუ, რას წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფი. ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, ზოგადად მიღებული ერთიანი გაგება ეთნოსის ბუნების, ხასიათისა და სტრუქტურის შესახებ. საბჭოთა ეთნოლოგიაში ჩამოყალიბებული იყო თეორიული შეხედულებები, რომელთა მიხედვით ეთნოსი(ან ეთნოსური ერთობა) ეს რეალურად არსებული ჯგუფებია. ბოლო დროს დომინირებს თეორიული შეხედულებები, რომლის მიხედვითაც ეთნიკური ჯგუფები (ან ეთნიკური თემები) არის რეალურად არსებული ჯგუფები, რომლებიც წარმოიქმნება, ფუნქციონირებს, ურთიერთობენ ერთმანეთთან და ბოლოს კვდებიან. მსგავსი კონცეფციის შესაბამისად პირველი ეთნოსები წარმოადგენენ

თავდაპირველ (პრიმორდიალურ) მახასიათებლებს ადამიანებზე და წარმოიქმნენ თანამედროვე ტიპის ადამიანის გაგებასთან ერთად, პირველყოფილ თემურ წყობილებაში. ეთნოსებთან მიმართებით პრიმორდიალური მიდგომა ბევრი მკვლევარი უჭერს მხარს, ამასთანავე მათი შეხედულებები მსგავსი ერთობების ბუნებაზე რადიკალურად განსხვავდება. არსებობს მცდელობა ეთნოსის გაგებაზე, როგორც ღვთიური მემკვიდრეობის კუთხითაც. უფრო ხშირად ეთნოსი განიხილება მოვლენად, მაგრამ უფრო ხშირად ეთნოსი განიხილება, როგორც „პირველ-შობილი, პირმშო“ მაგრამ ბუნებრივ, ან სოციალურ ისტორიულ მოვლენად. ლ. გ. გუმბელიევი (1912-1992) ეთნოსს განიხილავს, როგორც გეოგრაფიულ, ბუნებრივ და არა სოციალურ მოვლენას. ამ ორიგინალური მკვლევარისთვის ეთნოსი არის „ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი (დინამიკური სისტემა), რომელიც საკუთარ თავს უპირისპირებს, ყველა სხვა მსგავს ჯგუფს („ჩვენ“ და „არა თქვენ“), რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული შინაგანი სტრუქტურა და ორიგინალური სტერეოტიპის ქცევა“ (გუმბელიევი, 1993, გვ. 285). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ეთნოსის ძირითად თვისებებად თვლის ფსიქოლოგიური მახასიათებლებს: თვითშეგნება (ან იდენტობა) და ქცევის სტერეოტიპი, მის მიერ გაგებულია, როგორც ჯგუფისა და ინდივიდის, ასევე ინდივიდებს შორის ურთიერთობის ნორმები. ქცევის სტერეოტიპები ბავშვს უყალიბდება სიცოცხლის პირველ წლებში, ე. ი. ეთნოსთან კუთვნილება არ წარმოადგენს თანდაყოლილს, არამედ შექმნილია სოციალიზაციის პროცესში. გუმბელიევის მხედველობაში აქვს არა აღზრდა ვინრო გაგებითა, რამედ განსაზღვრულ კულტურულ გარემოში ფორმირება. ამ შემთხვევისთვის მეცნიერს მოყავს თავისი დედის ანა ახმატოვას მაგალითი, რომელსაც ბავშვობაში ჰყავდა ფრანგი აღმზრდელი და საუბრობდა ფრანგულად, ხელი არ შეუშლია გამხდარიყო დიდი რუსი პოეტი, მაგრამ როცა ბავშვს ქცევის სტერეოტიპი ჩამოყალიბებული აქვს, მთლიანად მათი შეცვლა არ შეიძლება, თუნდაც ის გადავიდეს სხვა ქვეყანაში, აითვისოს

სხვა ენა და კულტურა. სსრკ-ში უფრო მეტი მომხრეები ჰყავდა პრიმორდიალიზმის სოციალურ-ისტორიულ ვარიანტს, რომელიც თავისი არსით ეთნოსის თეორიაა, დამუშავებულია ეთნოგრაფების მიერ იუ. ვ. ბრომლეს ხელმძღვანელობით. (1921-1990). ის ეთნოსს განსაზღვრავს როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა მყარ ერთობას, რომლებიც ფლობენ საერთო, შედარებით მყარ თავისებურებებს ენის კულტურის და ფსიქიკის, აგრეთვე თავისი ერთობისა და განსხვავების შეგნებით სხვა მსგავსი წარმონაქმნებისგან (თვითშეგნებით), ფიქსირებულს თვითსახელწოდებაში.

დღესდღეობით ბევრი რუსი ეთნოლოგი და ფსიქოლოგი ეთნიკურობას განიხილავს, როგორც რეალურ სოციალური ჯგუფს, რომელიც ჩამოყალიბდა საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში (პიმენოვი, 1994). ეთნიკური

ჯგუფის განმარტებებში მსგავსია ცნებები, საერთოა მისი განხილვა, როგორც ჯგუფი, რომლის წევრებსაც აქვთ საერთო წარმოშობის ქვეყანა და აღიარებენ თავს საერთო კულტურის მატარებლებად.

ეთნიკური ფსიქოლოგია არის სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დიდი ჯგუფების – ხალხების ფსიქოლოგიას. უძველესი დროიდან გაჩნდა ეთნიკური ჯგუფების ფსიქოლოგიური მახასიათებლების საჭიროება დიპლომატიური, სამხედრო და სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. საზღვარგარეთ და ჩვენთანაც, ეთნიკური და კულტურათაშორისი ფსიქოლოგიის კვლევის ისტორიაში ოთხი პერიოდი (ეტაპი) იკვეთება.

პირველი ეტაპი (წინასწარი სამეცნიერო) მოიცავს XIX საუკუნის შუა პერიოდამდე სამუშაოებს. 1859 წელს გერმანიაში გამოიცა ჟურნალის „ხალხთა ფსიქოლოგია და ლინგვისტიკა“ პირველი ნომერი გ. შგეინტალისა და მ. ლაზარეს რედაქტორობით. რუსეთში 1846 წელს ნ. ი. ნადეჟდინმა პოლიტიკის შესახებ განაცხადა რუსეთის სახელმწიფოს ხალხთა შემსწავლელი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების სხდო-

მაზე. კვლევის პროგრამაში მან გამოყო სამი მიმართულება: ენა, „ფიზიკური ეთნოგრაფია“ და „გონებრივი ეთნოგრაფია“ (ბუდილოვა, 1983 წ.) როგორც თარიღებიდან ჩანს, წინასამეცნიერო პერიოდი საზღვარგარეთ და რუსეთში დაახლოებით ერთმანეთს ემთხვევა.

მეორე ეტაპი (აღწერითი) დასავლურ ეთნიკურ ფსიქოლოგიაში დასრულდა 1905 წელს. ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ნაშრომია გერმანელი მეცნიერის ვ. ვუნდტის მრავალტომეული გამოცემის პირველი ტომები „ერთა ფსიქოლოგია“ (Wundt, 2001). რუსეთში ეს პერიოდი 1935 წლამდე გასტანა. ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ნაშრომია გ. გ. შპეტის „შესავალი ეთნიკურ ფსიქოლოგიაში“, რომელიც გამოიცა 1927 წელს (შპეტი, 1996).

<sup>1</sup> Бергер П., Лукман Т. Социальное конструирование реальности: трактат В социологии знания. М., средняя, 1995. s. 86. 40 – 41.

მის პოპულარობა აიხსნება მათში ხანგრძლივი ეთნიკური ფესვების არ მქონე ჯგუფებით (აბორიგენული მოსახლეობის გარდა), განსხვავებით მრავალეთნიკური სახელმწიფოებისა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ავტოქტონური კულტურების მატარებელ სახელმწიფო ფორმირებებში გაერთიანების საფუძველზე.

კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, კულტურათა დიფერენციაციის საფუძველზე წარმოქმნილი ეთნიკური განცდა და მის კონტექსტში ჩამოყალიბებული იდეები და დოქტრინები არის მწერლების, მეცნიერების, პოლიტიკოსების მიერ შეგნებულად შექმნილი ინტელექტუალური კონსტრუქცია. ეს მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცნობიერებასა და ენას, როგორც ძირთად სიმბოლოს, რომლის ირგვლივ ყალიბდება ეთნიკური გამორჩეულობის გაგება.

ყველაზე გავრცელებული გაგება მსოფლიო სამეცნიერო სამყაროში ეთნიკურობის შესახებ დაკავშირებულია ნორვეგიელი ეთნოლოგის ფრედერიკ ბარტის სახელთან, რომელმაც ეთნიკურობა განსაზღვრა, როგორც სოციალური იდენტობის კატეგორია, როგორც სიმბოლური განსხვავების საშუალებით შექმნილი სიტუაციური ფენომენი. ბარტი ფიქრობდა, რომ „ეთნიკური საზღვარი წარმართავს სოციალურ ცხოვრებას“, ე. ი. ჯგუფის გამორჩეულობის საფუძვლის ფორმირების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად, გამოიყოფა ეთნიკური საზღვრები. კონსტრუქტივიზმის მიმდევრები ფართოდ და სპეციფიკური სახით წარმოადგენენ ტრადიციების წარმოქმნას, მაგალითის სახით მოჰყავთ ცნობილი შოტლანდიური მამაკაცის (კილტი) ქვედატანი, რომელიც მოგონილი იყო ინგლისელის მიერ და გელსკური კულტურის მოყვარულთა საქმიანობის წყალობით ასოცირდება გელსკურ კლანთან.

კონსტრუქტივიზმისთვის ეთნიკურობა ცნობიერების საკითხია, ეთნიკური ჯგუფის წევრობის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ ინდივიდს როგორ წარმოუდგენია თავი ამ ჯგუფში. ამიტომ ეთნიკურობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა „ეთნოსის კულტურას“ ზოგადად, არამედ მის იმ მახასიათებლებს, რომლებიც ამჟამად

ხაზს უსვამენ განსხვავებებსა და ჯგუფურ საზღვრებს. ეთნოსი კონსტრუქტივიზმში – არის ადამიანთა საზოგადოება, რომელიც ყალიბდება კულტურული თვითიდენტიფიკაციის (თვითგამორკვევის) საფუძველზე, სხვა თემებთან მიმართებით, რომლებთანაც იგი ფუნდამენტურ კავშირშია. ეთნიკურობის ეს კონცეფცია სხვებისგან განსხვავდება არა ეთნიკურობის ცნებების განმარტებებში, ახალი მახასიათებლების დამატებით, არამედ ნებისმიერ მსგავს ელემენტთა ჩამონათვალში ამ მახასიათებლების წარმოდგენა, გაგების“ შეტანით.

ამ თვალსაზრისით, ეთნიკურობა არის წარმოსახვითი თემების, ერთობის სოციალური კონსტრუირების, აგების პროცესი, რომელიც დაფუძნებულია იმ რწმენაზე, რომ ისინი დაკავშირებულია ბუნებრივი და თუნდაც თანდაყოლილი კავშირებით, იდეებისა და კულტურის ერთიანი ტიპით, ანდა ერთობის, თემის წარმოშობის მითებისა და ისტორიის ერთიანობით. ეთნო – ნაციონალური პრობლემების ანალიზის, ერის მშენებლობის პროცესის კონსტრუქტივისტული მიდგომის მაგალითია ბ. ანდერსონის წიგნი „წარმოსახვითი თემები“. მისი გაგებით, ერი სწორედ რომ არის წარმოსახვითი საზოგადოება, რომელიც აგებულია, კონსტრუირებულია შეგნებულად და კარგად განსაზღვრული მექანიზმების გამოყენებით. ანდერსონი უარყოფს ფართოდ დაფუძნებულ წარმოდგენას, რომ ერი გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტი, მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის შედეგად. ცნობილია, რომ რესპუბლიკური არმიის ჯარისკაცები შეტევაზე მიდიოდნენ შეძახილებით „გაუმარჯოს ერს!“. ასევე ცნობილია, რომ სწორედ საფრანგეთის რევოლუციის ლიდერებმა შექმნეს ტერმინი „ნაციონალიზმი“. მაგრამ თავად ნაციონალიზმი, ანდერსონის აზრით, პირველად გამოჩნდა არა ევროპაში, არამედ ლათინურ ამერიკაში ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს. ამ დასკვნას ის იქიდან აკეთებს, რომ ლათინურ ამერიკის თვრამეტი ქვეყნის მოსახლეობა ერთსა და იმავე ენაზე საუბრობენ, მაგრამ ამავდროულად, თითოეული ცალკეული ქვეყნის მოსახლეობა მხარს უჭერდა დამოუკიდებლობას ზუსტად მის (თავიანთ) ადმინისტრაციულ საზ-

ღვრებში და არა ამერიკაში ესპანეთის კოლონიების მთელ ერთობაში.

ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლათინური ამერიკის ნაციონალიზმი წარმოიშვა კრეოლურ ელიტებში, რომლებიც შედგებოდა პირველი კოლონიზატორების, ესპანეთიდან და პორტუგალიიდან შერეული ქორწინებით, ადგილობრივი ინდიელების მოსახლეობის წარმომადგენელთა შთამომავლებისაგან. ეს ელიტები, რომელთა საფუძველი შედგებოდა ლათინო-ფუნდისტებისაგან, ცდილობდნენ გასულიყვენ ესპანეთის იმპერიული კონტროლიდან და მოეპოვებინათ სრულფასოვანი მმართველი ფენის სტატუსი, რადგან მათი ვერტიკალური მობილობის შესაძლებლობები მეტროპოლიაში შეზღუდული იყო. მათი სლოგანი

გახდა ეროვნული დამოუკიდებლობა სოციალური რევოლუციის გარეშე. მეტროპოლიის რთული მდგომარეობა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაეხმარა ესპანურ კოლონიებს ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმატებაში. კოლონიების დაყოფას დამოუკიდებელ სახელმწიფოებად,

ხელი შეუწყო ბუნებრივ გეოგრაფიულმა ბარიერებმა, კოლონიური ადმინისტრაციის მიერ დადგენილმა ადმინისტრაციულმა საზღვრებმა. ამ საზღვრების გარკვეული ხელოვნურობა ლეგიტიმირებული იყო ეროვნული იდეოლოგიით, რომელშიც ელიტამ დიდი როლი ითამაშა. სწორედ ელიტის ეს როლი იდეოლოგიების ჩამოყალიბებაში და ერის მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა ანდერსონმა. ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითი გამოყენებული იყო, „ზემოდან“ ოფიციალური ნაციონალიზმის დასაწესებლად, ევროპის რიგ ქვეყანაში, ასევე იაპონიაში, ინდონეზიაში და აფრიკის ქვეყნებში.

რუსეთში კონსტრუქტივიზმის იდეები მწვავე სამეცნიერო დისკუსიების საგანი გახდა 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც არაერთმა ადგილობრივმა მკვლევარმა განაცხადა, რომ ეთნიკური ჯგუფები, ფორმირებების მსგავსად, არიან

გონებრივი კონსტრუქციების, ერთგვარი „იდეალური ტიპი“, რომელიც გამოიყენება ისტორიკოსების, სოციოლოგების, ეთნოლოგების მიერ კონკრეტული მასალის სისტემატიზაციისთვის.

აღნიშნული იყო, რომ ცნება „ეთნოსი“, რომელიც იმ დროისთვის ადგილობრივ ეთნოლოგიაში იყო დაფუძნებული ვარაუდობდა ჰომოგენური, ფუნქციური და სტატიკური მახასიათებლების არსებობას, რომლებიც განასხვავებენ ჯგუფს სხვებისგან, მსგავსი მახასიათებლების განსხვავებული ნაკრებით, მაგრამ ვინაიდან ეთნოსის შემოთავაზებული მახასიათებლები ფაქტურად პირობითია, ორაზროვანი და მოძრავი შემოთავაზებული იყო „ეთნიკურობის“ კატეგორიის გამოყენება, რაც მიუთითებს კულტურულად გამორჩეული (ეთნიკური) ჯგუფებისა და იდენტობის ფორმების არსებობაზე.

## **7.5. ეთნოლოგიაში ინსტრუმენტალური მიდგომის არსი**

1970-იანი წლების შუა ხანებში, დასავლურ ეთნოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელდა ინსტრუმენტული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ეთნიკურობა განიხილება, როგორც ინსტრუმენტის ხარისხი, რომელიც გამოიყენება ძალაუფლებისთვის, სტატუსისთვის, სიმდიდრისთვის ბრძოლაში. ამ მიდგომის შემქმნელებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში ადამიანთა ჯგუფებს შორის განსხვავებები შეიძლება გახდეს საფუძველი თითოეული ჯგუფის ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ჯგუფთაშორისი ურთიერთობის ხასიათსა და ეთნიკური ჯგუფების მიზანმიმართული პოლიტიკური საქმიანობისთვის მობილიზებას. ინსტრუმენტალური ცნებები ხშირად ეფუძნება სოციალურ – ფსიქოლოგიურ თეორიებს, რომლებიც განმარტავენ ეთნიკურობას, როგორც საშუალებას პოლიტიკური და კულტურული თანასწორობის აღდგენის გზას, სოციალური თერაპიის საშუალებას.

ინსტრუმენტალიზმის ზოგიერთი მომხრე შემოიფარგლება მხოლოდ ეთნიკური სოლიდარობის ანალიზით, რომელიც აძლიერებს იმ სოციალურ გარემოებებს, რომლებსაც ისინი უწოდებენ „სტრუქტურულ პირობებს“ (დ. გოროვიცი, ჯ. როტმილდი, ს. ოლზანი ჟ. ნეიდჟელი და სხვები).

სხვები უფრო შორს მიდიან და აანალიზებენ, როგორ გარკვეულ სოციალურ გარემოებებს, რომელნიც იწვევს ეთნიკური იდენტობის რაციონალურ სტრატეგიულ არჩევანს, როგორც სასურველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სოციალური მიზნების მიღწევის საშუალებას, რაც თავის მხრივ აძლიერებს ჯგუფურ სოლიდარობას. ამ მხრივ საჩვენებელია პოლიტოლოგიური მიდგომა ინსტრუმენტალიზმის ცნებებში. იგი ეყრდნობა რაციონალური არჩევანის თეორიას. რაციონალური თეორიის ერთ-ერთი მომხრე, ეთნიკური პრობლემების ანალიზში გამოყენებით, ამერიკელი დევიდ ლეიტინია. ის როგორც სხვა მიმდევრები მოცემულ მიდგომაში, ყურადღებას ამახვილებს, რომ ადამიანები ცხოვრობენ და მოქმედებენ ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფში, თითოეულ მათგანში სხვადასხვა სოციალური როლს ასრულებს. ამიტომ, თითოეულ ადამიანში ერთდროულად ბევრია იდენტობები – ოჯახი, სქესი, კლასი, რელიგიური, ეთნიკური. ადამიანი ირჩევს სიტუაციიდან გამომდინარე იმ იდენტობას, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება საჭიროებებს, მოცემულ მომენტში, ან ცხოვრებისეულ მიზანს. ასეთი სიტუაციური იდენტობა არის ინდივიდის უნარის გამოვლინება, გააკეთოს გონივრული არჩევანი, მაგრამ არ არის აბსტრაქტული კოლექტივის საკუთრება.

ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა იდენტობა არის სპეციალური სახის რესურსი, რომლის გამოყენებაც შეუძლია ინდივიდს, ცვალებად გარემოებებში. ამიტომ, იდენტობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდისათვის, მათი მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ მხრივ ინდივიდუალური იდენტობების შინაარსი საკმაოდ მოძრავია.. ხანდახან სხვადასხვა ინდივიდუალურ იდენტობებში, მათ შორის ეთნიკურ და ეროვნულში, არ არსებობს და არ შეიძლება იყოს უცვლელ-

ლი საფუძველი. თითოეული ადამიანი მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ეს ინტერესები მას კარნახობს მოქმედების გზას, რომელიც არ არის დამოკიდებული ზოგიერთ აბსტრაქტულ კოლექტიურ იდენტობაზე. ეს დასკვნები

დ. ლეიტინი გვიჩვენებს, თუ როგორ აღძრავს პრესტიჟის მოსაზრებებს, მაგალითად, ესპანელებში ანდალუსიიდან გადასვლისას. შემოსავლის მიღების მიზნით, უფრო განვითარებულ კატალონიაში, სადაც სწავლობენ კატალონიურ ენასა და წეს – ჩვეულებებს, ამაცობენ თავიანთი ახალი სამშობლოთი და ეხმარებიან შვილებს საბოლოოდ კატალონიელებად გახდომაში. რაც შეეხება ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ლეიტინმა წამოაყენა დაუცველი (სუსტი) რუსულენოვანი მოსახლეობის სავარაუდო ასიმილაციის კონცეფცია და მათი სრული ინტეგრაცია ბალტიის ქვეყნების კულტურაში, როგორც ყველაზე პრესტიჟული და პოლიტიკურად ხელსაყრელი. პრესტიჟის მოსაზრებებს, რა თქმა უნდა, ემატება მატერიალური ფაქტორები. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური წარმომავლობის არჩევისას ეს ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრესტიჟი. თავის დროზე პრესტიჟის მოსაზრებებმა, მრავალი ალიასკელ მკვიდრს დაავიწყა თავისი წარმომავლობა და გაიგივება, იდენტიფიცირება მოახდინეს საკუთარი თავის, ქვეყნის მოსახლეობის დომინანტურ უმრავლესობასთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1971 წელს მიღებულ იქნა ალიასკის მკვიდრთა და ასოციაციების მიწის პრეტენზიების შესახებ აქტი, ადგილობრივი ალიასკელები გახდნენ უმსხვილესი მიწის მესაკუთრეები (რასაც მოჰყვა ფულის შემოდინება, ამ მიწების ექსპლუატაციაში მყოფი კორპორაციებიდან), ალიასკელთა მკვიდრ მოსახლეობაში, ბევრი მათგანი კვლავ ჩაენერა, ვინც ადრე უარი თქვა ამ სტატუსზე. რაციონალური არჩევანის იგივე მოსაზრებებმა დიდწილად განსაზღვრა კომი – იჟემცის მაცხოვრებლების მასობრივი სურვილი 2002 წლის აღწერის დროს დაფიქსირებულიყო არა კომი, არამედ მხოლოდ, იჟემცი. ეს გახდა მათი გაერთიანების საფუძველი, რათა მათ ასოციაციას მოეთხოვა რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის

იყმცის მცხოვრებლების მოთხოვნის უზრუნველყოფა „ჩრდილოეთის მცირე რიცხოვანი მკვიდრი მოსახლეობის“ სტატუსი. ამ სტატუსიდან გამომდინარე ყველა საგადასახადო და მიწის შეღავათებით, ალტერნატიული სამხედრო სამსახურით და სახელმწიფო სუბსიდიებით.

მეთვრამეტე საუკუნეში, ბაშკირების მიწებზე დაფიქსირდა რუსი დევნილების მასობრივი ბაშკირიზაცია, რაც განმარტეს რუსეთის მოსახლეობისთვის დანესებულა

გადასახადების თავიდან აცილების სურვილით. თანამედროვე რუსეთში, როგორც 2002 და 2010 წლების აღწერებმა აჩვენა, ეთნიკური იდენტობების ნომენკლატურამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეთნიკური ლობირების მიზეზი და ინსტრუმენტალისტური არჩევანით, მაგრამ აშკარაა, რომ ეთნიკურობის შესწავლის სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომის გათვალისწინებით, არ შეიძლება არ შეიმჩნეს, რომ მათი ბევრი მხარდამჭერი ეთნიკურობას განიხილავს უფრო ფართო სოციალური საკითხის კონტექსტში.

## საკონტროლო კითხვები

1. როგორ განმარტავს ეთნიკურობის ცნებას, დღეს რუსი ეთნოლოგების უმეტესობა?
2. ჩამოთვალეთ ეთნიკურობის თეორიული მოდელები.
3. ჩამოაყალიბეთ პრიმორდიალიზმის, როგორ მეცნიერული მიმართულების არსი.
4. ლ. ნ. გუმელიოვა რას ამბობს ეთნოსის შესახებ.
5. რას აღნიშნავს ფრანგი მკვლევარი მარლენ ლარუელი, პრიმორდიალისტურ მიდგომაზე?
6. რას წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფები ინგლისელი მეცნიერის ენტონი სმიტის კონცეფციაში?
7. ეთნიკური ჯგუფების განვითარების რამდენი ტიპი გამოიყოფა მეცნიერ ენტონი სმიტის კონცეფციაში?
8. რას აღიარებენ იუ. ვ. ბრომლის თეორიის მიმდევრები?
9. იუ. ვ. ბრომლის შეხედულებით, რა არის ეთნოსი?



10. რა აღნიშნა იაპონელმა მეცნიერმა ტ. უიამამ პრიმორდიალიზმთა დაკავშირებით?
11. ეთნიკურობის ფუნქციონალიზმს ვინ ჩაუყარა საფუძველი?
12. ფუნქციონალისტები, როგორ განიხილავდნენ ეთნიკურობას და რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი?
13. ვინ ჩამოყალიბა ფუნქციონალიზმის ძირითადი დებულებები?
14. როგორ განისაზღვრება ეთნიკურობა ინსტრუმენტული მიდგომის მიხედვით?

### ეთნიკურობა და დემოკრატია

თანამედროვე სამართალში დომინირებს მოსაზრება, რომ ინდივიდის ინდივიდუალურ უფლებებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნებისმიერ სხვა უფლებაზე, მაგრამ რაც შეეხება ეთნიკური ერთობების უფლებებს, ის პოლიტიკოსებისა და უმრავლესი იურისტის მიერ, განიმარტება, როგორც კოლექტიური უფლებები. ამიტომ, როცა დისკუსია იმართება ეთნიკური უფლებების პრობლემებზე, ხშირად საჭიროა არჩევანის მოხდენა პიროვნების უფლებებსა და ე. წ. კოლექტივის უფლებებს შორის.

კოლექტიური უფლებების კონცეფცია საკმაოდ საკამათოა, მაგრამ ეთნიკური თემების კოლექტიური კულტურული ინტერესი იდეის ფუნდამენტურ საფუძველშია, ეთნოპოლიტიკის საკითხი: როგორ შევახამოთ პიროვნების ინდივიდუალური უფლებები და ეთნიკური თემების კოლექტიური ინტერესები დემოკრატიის პრინციპებთან?

კლასიკური დემოკრატია უმრავლესობის მმართველობა მოქალაქეებია, ნების თავისუფალი გამოვლენით, ძალაუფლებას დელეგირებენ თავიანთ პოლიტიკურ წარმომადგენლებზე, რომლებიც უმრავლესობის მხარდაჭერის შემდეგ მართავენ ქვეყანას, ან რეგიონს, მათი სახელით. უფლებამოსილებათა დელეგირება ხორციელდება არჩევნების პროცესში, რომლის დროსაც მოქმედებს პრინციპი „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“.

რა თქმა უნდა, უბრალოდ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებისთვის დემოკრატიის არსის განსაზღვრა საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან არ არსებობს ერთი თვალსაზრისი. ზოგიერთი მკვლევარი, როგორცაა მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი მარტინ ლიპსეტი აცხადებს, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ კონსტიტუციურ შესაძლებლობებს მმართველი თანამდებობრივი პირების შეცვლისა და აქვს მკაფიო სოციალური მექანიზმი, რომელიც ყველაზე მე-

ტად იძლევა შესაძლებლობას მოსახლეობამ გავლენა მოახდინოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატებს შორის არჩევანის გზით. თუმცა პოლიტიკურ კონკურენციაზე, პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების კანონზომიერებასა და ეფექტურობაზე ფოკუსირებული მკვლევარები აფასებენ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების მხოლოდ პროცედურულ მხარეს. მაგრამ დემოკრატიული რეჟიმების ფორმები მრავალფეროვანია და ყველა არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ, ან მომნიშვნელოვან დემოკრატიებად. ამისთვის იმის გაგება, თუ როგორ მიაღწია წარმატებას პოლიტიკურმა სისტემამ დემოკრატიული წესრიგების ჩამოყალიბებაში, აუცილებელია შევავსოთ, არა მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის ფორმალური ატრიბუტების არსებობა, არამედ სამოქალაქო ფორმებისა და ტრადიციების არსებობაც, კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე. ამ უკანასკნელის არსებობა არის საზოგადოების დემოკრატიული კონსოლიდაციის მტკიცებულება. კონსოლიდირ – ბული დემოკრატიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური თემებისა და უმცირესობების, საერთო სახელმწიფოებრივ ეროვნულ ინსტიტუტებში პოლიტიკური ინტეგრაციის პრობლემას, მათ მიერ ეროვნულ პოლიტიკური ინსტიტუტების, როგორც ლეგიტიმურისა და განმსაზღვრელის აღიარებას.

ლეა გრინფილდი აღნიშნავს, რომ დემოკრატია წარმოიშვა ეროვნების (ერის კუთვნილება) გრძნობიდან და ნაციონალიზმი იყო ფორმა, რომლითაც დემოკრატია მთელ მსოფლიოში გავრცელდა, მაგრამ, მისი აზრით, იდეაში ნაციონალიზმის განვითარებით ერი, შეიცვალა აქცენტები და იდეის მიმდევრები ფოკუსირებას ახდენდნენ არა ეროვნული საზოგადოების სუვერენიტეტზე, არამედ მის უნიკალურობაზე<sup>1</sup>

მართლაც, აქცენტირებამ საზოგადოების უნიკალურობასა და სპეციფიკაზე შეიძლება საზოგადოება გახადო უფრო დახურული და არა უფრო დემოკრატიული.

---

<sup>1</sup> Greenfeld L. Nationalism: Five Roads to Modernity. კემბრიჯი; L., 1993. R. 10.140 141.

მრავალეთნიკურ საზოგადოებაში კი ასეთი აქცენტი ზოგადად უარყოფს საერთო სამოქალაქო სოლიდარობას და ეფექტური დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

## 8.1. დემოკრატიის მოდელები

მრავალეთნიკურ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის შემადგენლობაში არსებობს სხვადასხვა ეთნიკური თემი და ჯგუფები, რომელთა რაოდენობა მცირეა, ან ჩამორჩება დომინანტურ უმრავლესობას, კლასიკური დემოკრატიის მოდელი, როგორც წესი, უზრუნველყოფს მტკიცე პოლიტიკურ დომინირებას რიცხობრივად გაბატონებულ ეთნიკური ჯგუფებზე. ამ შემთხვევაში უმცირესობების ინტერესები შეიძლება არ არის გათვალისწინებული, ან სრულად არ არის გათვალისწინებული. ამიტომაც, კლასიკური დემოკრატია ეწინააღმდეგება მოსახლეობის მრავალეთნიკურ შემადგენლობას ერის თანაბრად, როგორც კლასიკური გაგება ნიშნავს. ეთნიკურად არაერთგვარი საზოგადოების დაპირისპირებას. იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ გადაიჭრება ეს წინააღმდეგობა, შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყანაში თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიცირება.

მოსახლეობის მონოეთნიკური შემადგენლობა, ან სუსტად გამოხატული ეთნიკური მოზაიკა, როგორც წესი, ქმნის მეტხელსაყრელ პირობებ დემოკრატიული პროცესების ტრანზიტისათვის, ვიდრე ეთნიკური არაერთგვაროვნება. ამის შესახებ დონალდ გოროვიცი აღნიშნავს, „დემოკრატიას უდიდესი წარმატება ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ეთნიკური განხეთქილება იყო ყველაზე ნაკლები (უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი) და ვითარდებოდა ნელა (ან საერთოდ არ იყო პროგრესი) იმ ქვეყნებში, სადაც ღრმად იყო გაყოფილი (სლოვაკეთი, ბულგარეთი,

რუმინეთი და, რა თქმა უნდა, ყოფილი იუგოსლავია)“.

უფრო მეტიც, ეთნიკური შუღლი, რომელსაც ყოფილი კომუნისტი ლიდერები იყენებდნენ, როგორც იარაღს პოლიტიკურ ბრძოლაში, არათუ ხელს არ უწყობდა დემოკრატიაზე გადასვლას, არამედ პირიქით, ართულებდა დემოკრატიზაციის პროცესს და არათანამიმდევრულს ხდიდა მას.

ეთნიკურობა ქმნის დაბრკოლებებს დემოკრატიზაციის საწყის ეტაპებზე, მაგრამ ასევე შეიძლება გაართულოს უკვე ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება, ვინაიდან ეთნიკურმა კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმის დამყარება, ან „შეკვეცილი დემოკრატის“ ორი ფორმიდან ერთ-ერთი: უმრავლესობის მმართველობა, პოლიტიკური მმართველობის ბერკეტიდან, უმცირესობის ჩამოშორება, ანდა უმცირესობათა მმართველობა, უმრავლესობათა დისკრიმინაციით.

ეთნიკურად დაყოფილი საზოგადოებები შეიძლება იყოს შედარებით დემოკრატიული, მაგრამ ასეთ საზოგადოებებში ყოველთვის წარმოიქმნება სისტემური ხასიათის პრობლემები, რაც ართულებს ე. წ. მრავალეთნიკურ დემოკრატიაზე გადასვლას.

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება სრულფასოვანი დემოკრატის გზაზე არის უკვე ჩამოყალიბებული ეთნოპოლიტიკური რეჟიმის არსებობა. ეთნოკრატიული რეჟიმი ეწინააღმდეგება ცვლილებს, იმის გამო რომ დემოკრატიულ გარდაქმნებს

შეუძლია თავისი ეთნიკური ოპონენტების ხელისუფლებაში მოყვანა. ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვიოს ეთნიკური წინააღმდეგობის განევა, რომელიც დაასამარებს წარმოქმნილ დემოკრატიას. თავიანთი ჯგუფის დომინანტური პოზიციის შესანარჩუნებლად ეთნოკრატიულ რეჟიმებს უწევთ დათმობაზე წასვლა, რაც საშუალებას იძლევა მათ შედარებითი სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ასეთი შედარებით სტაბილური ეთნოკრატიული რეჟიმების მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს მაღალიზია, ტაილანდი, ბირმა, ფილიპინები.

დ. გოროვიცი ეთნიკურად ჰეტეროგენულ, არაერთგვაროვნულ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის გაანალიზებისას მიდის დასკვნამდე, რომ არსებობს

ასეთი ქვეყნების ორი ტიპი: ქვეყნები, გაყოფილი, სახელმწიფოებრივი მოწყობით, როდესაც თითქმის ნახევარი, ან უმეტესობა (ეთნიკური უმრავლესობა) აკონტროლებს მეორე ნაწილს (ეთნიკურ უმცირესობას) და დომინანტური უმცირესობის მქონე ქვეყნები, სადაც ერთი ან ორი მცირე ჯგუფი აკონტროლებს უმრავლესობას.

ამ უკანასკნელში, რეჟიმის პოლიტიკური დასაყრდენი შეიძლება შემცირდეს, შევიწროვდეს და ხელისუფლებას განსაკუთრებით ეშინია ეთნიკური უმრავლესობის პოლიტიკური რევანშისა.

გაყოფილი, ან ორმხრივი მოწყობილობის მქონე ქვეყნებში ეთნიკურ ოპონენტებს შეუძლიათ არჩევნების მოგება და შემდეგ წაგებული ჯგუფი (ან ჯგუფები) თავს დაუცველად გრძნობს, მით უმეტეს, თუ გამარჯვებული მხარე მოქმედებს მხოლოდ თავისი ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ ქვეყნებში ხშირად, არჩევნების დროს დამარცხებული ჯგუფი, ცდილობს დაიბრუნოს თავისი ყოფილი დომინანტური პოზიცია არა ლეგიტიმური საშუალებებით, არამედ დამხობის გზით.

ოპონენტების რეჟიმის დისკრედიტაციის, გადატრიალების, ან პოლიტიკური შეთქმულების გზით. ასეთი მაგალითები მოხდა ტოგოში და კონგოს სახალხო რესპუბლიკაში, სადაც პოლიტიკურად ეწინააღმდეგებოდნენ ჩრდილოელები (ყაბრე და მშობი) და სამხრეთელები (ევები ან ლარი) ერთმანეთს.

დემოკრატიული პროცედურები, არჩევნების შედეგებით მანიპულირებისა და ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობას იძლევა, თუნდაც ვინრო ეთნიკური ბაზის მქონე რეჟიმების მიერ. მაგალითად, კენიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში პოლიტიკურად დომინირებდა ხალხი კალენჯი, მრავალპარტიული არჩევნები მაინც საერთაშორისო ზეწოლით ჩატარდა. მაგრამ მხარდაჭერით კალენჯი, ეთნიკური განხეთქილების, დაშინებისა და ძალადობის გამოყენებით, მცირე

ეთნიკურ ჯგუფებთან კოალიციაში შესვლით, პრეზიდენტი დანიელ არაპ მოიმ შეეძლო უზრუნველყო არჩევნებში გამარჯვება და შედეგად, ორი უდიდესი ერი, ქვეყნები (კიკუიუ და ლუო) კვლავ ჩამოშორდნენ პოლიტიკურ ძალაუფლებას. შემდგომში დემოკრატიის გაძლიერების პროცესში, პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური დემოკრატიული ნორმები, რიცხობრივად დომინანტური ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისეული პოზიციები გაძლიერდა, რამაც ხელისუფლებაში მოიყვანა პრეზიდენტი მვაი კიბაკი (კიკუუს ხალხის წარმომადგენელი). მაგრამ 2007 წლის დეკემბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის ინტერესები შეეჯახა. მვაი კიბაკიმ თავი გამოაცხადა არჩევნებში გამარჯვებულმა და მისმა მთავარმა კონკურენტმა, ოპოზიციის ლიდერმა რაილ ოდინგამ (ლუოს ხალხის წარმომადგენელი) იგივე ჩაიდინა.

შედეგად მთელ ქვეყანაში და განსაკუთრებით დედაქალაქში, დაიწყო შეტაკებები კიკუიოსა და ლუოს შორის, რომლის დროსაც ათასობით ადამიანი დაიღუპა და ათასობით ლტოლვილი გახდა.

მხოლოდ დიდი გაჭირვებით იყო შესაძლებელი ეთნიკური ნიშნით ომის დაწყების თავიდან აცილება. ასეთი მაგალითები აფრიკის ქვეყნებში, სადაც ტრაიბალიზმი, ტომებს შორის დაპირისპირება არ თმობს თავის პოზიციებს მშვიდობიანობის საერთო მოქალაქეობრივ პოზიციებთან, რაც ხშირია.

ხშირად აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს ეთნიკურ ბატონობაზე დამყარებული რეჟიმების წინააღმდეგ, რაც შეიარაღებული აჯანყების სახეს იღებს. ასეთი ეთნიკური ომები დამახასიათებელია შრი – ლანკა, სუდანი, ბირმა, სომალი, ლიბერიისთვის.

გამარჯვება ეთნიკურ ომებში, ავტორიტარებისა და ეთნოკრატიული რეჟიმების დამარცხება არ ნიშნავს, რომ გამარჯვებული პარტია იწყებს დემოკრატიულ გარდაქმნებს გაყოფილ საზოგადოებაში. დემოკრატიული ტრანსფორმაციის ნაკლებობა და დამარცხებული ეთნიკური ჯგუფების ძლიერი გარანტიები ნიშნავს, რომ ეთნიკური დაპირისპირება გაგრძელ-

დება, ხოლო ეთნიკურმა ძალადობამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაანადგუროს სახელმწიფოს შიგა სტაბილურობა ეთნიკურ ჯგუფებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურესი ფორმები უფრო დამახასიათებელია განუვითარებელი პოლიტიკური კულტურის სახელმწიფოებისათვის. სახელმწიფოები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ დემოკრატიულობაზე, ეთნიკურ ჯგუფებს შორის, პოლიტიკური ძალაუფლების სხვა ფორმებს ირჩევენ. ასეთ ფორმებს შორის ისრაელი მეცნიერი სემ. სმუხა გამოყოფს, მაგალითად, ეთნიკურ დემოკრატიას, თანხმობის დემოკრატიას, ლიბერალური დემოკრატიას და დაყოფას.

**ეთნიკური დემოკრატია** არის სახელმწიფოს სახეობა, სადაც არის საერთო დემოკრატიული ნორმების ერთობლიობა, ინსტიტუციონალიზებული ეთნიკური უპირატესობით. ე. ი. ეთნიკური დემოკრატია წარმოადგენს ისეთი ტიპის სახელმწიფოს, სადაც ხორციელდება საერთო დემოკრატიული ნორმების შეხანმება ეთნიკურ უპირატესობებთან.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არადომინანტ ჯგუფებს აქვთ სამოქალაქო უფლებები (პირად უსაფრთხოებაზე, სამუშაოზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და სხვ.), მოქალაქეობრივი თავისუფლება (კანონის მიმართ თანასწორობა, სიტყვის გადაადგილების, ასოციაციების თავისუფლება), პოლიტიკური უფლებები (ხმა მისცეს და არჩეულ იქნას), თუმცა პოლიტიკურად დომინანტური ჯგუფი თავის ეთნიკურ კულტურას უზრუნველყოფს პრიორიტეტული პოზიციით, ზღუდავს არადომინანტ ჯგუფს ხელისუფლებასა და რესურსებზე. სახელმწიფო ხდება უპირატესად დომინანტური ჯგუფის საკუთრება და არა ყველას მისი მცხოვრებლებისა და გადასახადის გადამხდელის. მოქალაქეობა არ ემთხვევა მთლიანად ეთნიკურ კუთვნილებას (თუმცა, შეიძლება იყოს უხეშად დაკავშირებული მასთან), ხოლო ნაციონალიზმს აქვს გამონატული ეთნიკური ხასიათი და არა ტერიტორიული. ჯგუფები – აუტსაიდერები დისკრიმინირებული არიან ინსტიტუციურად, მათი ლოიალობა მოცემული სახელმწიფოს მხრიდან, არ არის გა-



რანტირებული. დომინანტური ჯგუფი და აუტსაიდერი ჯგუფები ერთმანეთის მიმართ უნდობლობას განიცდიან.

ეთნიკური დემოკრატია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვან დემოკრატიადა, ვინაიდან იგი ეფუძნება სტრუქტურათა შორის დაპირისპირებას და პოლიტიკურად ნახალისებული კონფლიქტი დემოკრატიასა (ეთნიკური ჯგუფების თანასწორობა) და ბრძანებლობას (ჯგუფთაშორისი უთანასწორობა) შორის. ქვეყნები, როგორცაა ისრაელი, პოლონეთი, ესტონეთი, მეცნიერი სემ სმუხა უნოდებს ტიპური ეთნიკური დემოკრატის მაგალითების ქვეყნებს, რადგან იყო არაბი ისრაელში, კათოლიკე ჩრდილოეთ ირლანდიაში, გერმანელი პოლონეთში, რუსი ესტონეთში ნიშნავს იყო დომინანტური უმრავლესობის თვალში უცხო, საზოგადოების წარმომადგენლები, რომელიც არ შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული, როგორც ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეები და, შესაბამისად, მათ შეუძლიათ ისარგებლონ შეზღუდული ავტონომიით და მათი ნაციონალიზმი უნდა იყოს შეზღუდული ყველა საშუალებით.

**თანხმობის დემოკრატია** ხასიათდება იმით, რომ იგი ეფუძნება კონსენსუსს, ძალაუფლების განაწილებასა და ზღუდავს უმრავლესობის გავლენას, შემოქმედებას. ეს პოლიტიკური სისტემა მომდინარეობს ძირითადი პრინციპიდან, რომელიც აღიარებს ჯგუფთაშორის განსხვავებებსა და უთანხმოებებს ბუნებრივი სოციალური მოვლენად. ამ სისტემაში შემავალი ეთნიკური ჯგუფები განიხილება, როგორც საზოგადოების შემადგენელი ჯგუფები, როგორც საზოგადოების კონსტიტუირებელი ჯგუფები, მათი ინტერესები და კულტურული ღირებულებები აღიარებულია და მხედველობაში მიიღება, ინტერესთა საერთო ბალანსში, ძალაუფლება ნაწილდება პროპორციულად ჯგუფებს შორის, მათი ადგილი საზოგადოებაში და საზოგადოებრივი გაერთიანება ხორციელდება ყველა ჯგუფის მიერ, შეთანხმებისა და კომპრომისის საფუძველზე.

თანხმობის დემოკრატია აგებულია შემდეგ ძირითად პრინციპზე:

1) ეთნიკური თემების, ჯგუფების შენარჩუნება – დაცვა და უმცირესობათა ასიმილაციის შეგნებული პოლიტიკის გამოორიციხვა;

2) ყველა ეთნიკური თემისა და ჯგუფისთვის, წარმომადგენელთა თანაბარი სამართლებრივი და სამოქალაქო მდგომარეობა;

3) ძალაუფლების განაწილება, ყველა ეთნიკურ ჯგუფს შორის, რომლებიც მონაწილეობენ კოალიციური მთავრობის ფორმირებაში, ელიტის ხელშეკრულებების საფუძველზე;

4) რესურსების პროპორციული განაწილება (სამუშაო ადგილები, სხვადასხვა სფეროზე წვდომა, ბიუჯეტის ასიგნებები);

5) ეთნიკური თემებისა და ჯგუფების, კულტურული უფლებების აღიარება და დაცვა (საკუთარი მშობლიური ენის გამოყენება, ეროვნულ სკოლებში სწავლის შესაძლებლობა, პროფესიული, მხატვრული კულტურის განვითარება და სხვ.);

6) ეთნიკური თემების, ტერიტორიული ან ინსტიტუციური ავტონომიით უზრუნველყოფა;

7) ეთნიკურ ელიტებს შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების სისტემა, რომლის მიზანია კომპრომისებისა და შეთანხმებების განვითარება, ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებებისთვის;

8) ეთნიკური თემებისთვის უფლებების მინიჭება, ვეცო იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს მათ სასიცოცხლო მნიშვნელოლობის ინტერესებზე;

მსგავსი მოდელის გამოყენების მცდელობა განხორციელდა დალესტანში. 1994 წელს მიღებული რესპუბლიკის კონსტიტუცია ამტკიცებდა უმაღლესი ეთნიკური წარმომადგენლობის კონსოლიდირებულ გარანტიებს.

ქვეყნები, სადაც თანხმობის დემოკრატიის სისტემები წარმატებით მუშაობს, მოიცავს შვეიცარიას, ბელგიას და კანადას, თუმცა ბოლო ორი ქვეყნის გამოცდილება ყოველთვის არ მონიშნავს, რომ სისტემა მუშაობს უნაკლოდ. ამ სისტემის

სისუსტეებს შორის შეიძლება მივაკუთვნოთ ის, რომ ის არ წაახალისებს თემების წარმომადგენლებს შორის კონკურენციას და შეიძლება შეაფერხოს მთლიანი ტერიტორიული საზოგადოების წინსვლა. სისტემა პოლიტიკურად მოუქნელია, რამდენადაც თემები ხასიათდებიან ჩამოყალიბებული სტატუს – კვოს აბსოლუტიზაციით. ლიბანის მაგალითი, სადაც კვოტების სისტემამ ვერ შეცვალა და

ამას ადასტურებს ახალ რეალობასთან ადაპტირება. როდესაც ლიბანის მაჰმადიანური და ქრისტიანული თემების თანაფარდობა სერიოზულად შეიცვალა, სისტემამ არა მხოლოდ შეწყვიტა მუშაობა, არამედ გამოიწვია შიგაპოლიტიკური კრიზისი. ლიბანის, იგივე მაგალითი აჩვენებს, რომ თანხმობის დემოკრატია ვერ უძლებს გარე ინტერვენციებს და ზენოლას (პალესტინელები, სირია, ისრაელი). შემთხვევითი არ არის, რომ შვეიცარია დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდა გაეროს წევრობაზე და ახლა მთელი ძალით ეწინააღმდეგება ევროკავშირში ინტეგრაციას. ნებისმიერ რთულ საზოგადოებაში, მათ შორის შვეიცარიაში, რომელიც ხშირად ცდილობს წარმოაჩინოს კულტურათაშორისი ურთიერთქმედების მოდელი, ბევრი სირთულეა კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში.

**ლიბერალური დემოკრატია** ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური სისტემაა, რომლის კლასიკური მაგალითები დასავლური სამყაროდან არის დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, შეერთებული შტატები. ამ დემოკრატიული სისტემის საფუძველში ჩადებულია უმრავლესობის მართვის პრინციპი და უპირობოდ ინდივიდუალური უფლებების უზრუნველყოფა. სისტემა ეფუძნება წინადადებასა და მოსაზრებებს, რომ უთანხმოება და დავა, მათ შორის ეთნიკურ ჯგუფებს შორის, შესაძლებელია მათი მართვა. უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც ამ სისტემაში პირველხარისხოვან მნიშვნელობას თამაშობს საზოგადოების საერთო ღირებულებების იდეა, რომელსაც იზიარებს მის ყველა წევრი, განურჩევლად რომელ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. ლიბერალური დემოკრატია ეფუძნება დომინანტური ჯგუფის მო-

დელს, მაგრამ ვარაუდობს რომ არსებობს კარიერული წინსვლისა და პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობები, როგორც ინდივიდებისთვის, ისე უმცირესობებისთვის.

ლიბერალურ დემოკრატიას ახასიათებს რამდენიმე ძირითადი მახასიათებლები:

1. ეთნიკური წარმომავლობა პირადი სქმეა, მოქალაქის პირადი არჩევანია და ოფიციალურად არანაირად არ არის გათვალისწინებული. ეთნიკურობა გამოყოფილია სახელმწიფოსგან ზუსტად ისე, როგორც რელიგია და სახელმწიფო არ ერევა ეთნიკურ საქმეებში.

2. სახსრები (რესურსები) ნაწილდება ინდივიდუალური წვლილის მიხედვით და არა ჯგუფური კუთვნილების მიხედვით. არადომინანტ ჯგუფებს აქვთ სოციალური და პოლიტიკური მობილობის შესაძლებლობა და იყენებენ კიდევ, თუმცა არა ყველა თანაბრად.

ამ პრინციპს არღვევს მხოლოდ „დადებითი პოზიტიური მოქმედების“ პოლიტიკა (უპირატესობის მინიჭება აშშ – ს, შავკანიანი და ესპანურენოვანი წარმომადგენლების მიმართ და ანალოგიური ღონისძიებები მთელ რიგ სხვა ქვეყნებში) რომელიც გამოიყენებოდა, როგორც ღონისძიება წარსული უსამართლობის შესამსუბუქებლად და კონკურენციისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად.

3. ინდივიდებსა და უმცირესობებს აქვთ თავისუფლება, აირჩიონ დომინანტურ უმრავლესობაში ინტეგრაცია და ასიმილაცია, ან დარჩნენ დომინანტური თემის გარეთ.

ხელისუფლების დაყოფის დემოკრატიულ საშუალებას მეცნიერი ს. სმუხა ასევე მიაკუთვნებს, კონფლიქტურ მხარეებს შორის ტერიტორიის დაყოფას. ასეთი სახის წარმატებული მაგალითების რიცხვს მიეკუთვნება კოლონიური ინდოეთის დაშლა ისლამურ პაკისტანად და არამაჰმადიანური ინდოეთი, სინგაპურის გამოყოფა მალაიზიისგან, ჩეხოსლოვაკიის დაყოფა. ცუდი გამოცდილებაა ირლანდიის დაყოფა 1921 წელს, პალესტინის დაყოფა 1947 წელს და რეალური კვიპროსის დაყოფა 1974 წელს. ამ კუთხით საბჭოთა კავშირის დაშ-

ლა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე ეთნო-პოლიტიკური პრობლემების გაგებაში, მაგრამ რომელსაც ჰქონდა მკაფიო კონფლიქტური შედეგები, მათ შორის კონფლიქტური დრამები და გაყოფილი ხალხები.

## 8.2. დემოკრატიის მოდელების კრიტიკა

ეთნიკური დემოკრატიის გამოცდილება ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი, თუმცა შეიძლება საუბარი, საზოგადოებაში დემოკრატიის ამ ფორმის პოტენციურ საფრთხეზე. რაც შეეხება თანხმობის დემოკრატიას, ამ მოდელს ჰყავს საკმარისი მხარდამჭერები. ყველაზე ცხადად მას მხარს უჭერს არენდ ლეიპჰარტი, რომელმაც შეიმუშავა მისი დასაბუთება და თვლის, რომ ლიბერალური დემოკრატია არ არის შესაფერისი ეთნიკურად დაყოფილი საზოგადოებებისთვის, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლიბერალური დემოკრატია წარმოადგენს არა საუკეთესო საზოგადოებრივ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს ეთნიკური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების შეკავებას. ისინი აკრიტიკებენ თანხმობის დემოკრატიას მისი არასტაბილურობის, უსამართლობისა და არსებული ეთნიკური წინააღმდეგობების გამაძლიერებელი ხასიათის გამო. უნდა ვაღიაროთ, რომ თანხმობის დემოკრატიას აქვს შეზღუდული შესაძლებლობები „განმეორებისთვის, გირაჟირებისათვის“, რადგან მისი წარმატება შესაძლებელია იქ, სადაც ისინი იძულებულნი არიან შეთანხმდნენ თანაარსებობაზე, ორი ან მეტი დიდი ეთნიკური თემი, შეპირისპირებული ეკონომიკური წონით, განვითარების მსგავსი დონით, მნიშვნელოვანი კულტურული პოტენციალით. იქ, სადაც ეთნიკური თემები, ან ჯგუფები თანაარსებობენ და ძლიერად განსხვავდებიან ამ პარამეტრებით, თანხმობის დემოკრატია ნაკლებად სავარაუდოა, რომ იქნება ეფექტური, რადგან ეთნიკურ თემებს შორის ნამდვილი თანასწორობა ვერასოდეს მიიღწევა. მკაცრად რომ ვთქვათ, არცერთი სოციალურ – პოლიტიკური მექანიზმი არ უზრუნველყოფს მცირე ეთნიკურ ჯგუფს იმავე კულტურული პოტენციალით,

რომელიც ჩამოყალიბდა დიდ ეთნიკურ თემში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში. ამიტომაც დიდი საზოგადოება ყოველთვის უფრო მომგებიან პოზიციაში იქნება, ვიდრე უმცირესობები. ამ ცხოვრების მიერ გამოცდილ აქსიომას რთულად ითვისებენ დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები, ან როგორც თავს უწოდებენ ეთნონაციონალისტები, – „სახელმწიფოს შემქმნელი ხალხი“, თუმცა, სხვა ვარიანტი „ცხოვრებაში“ და არა ანთებულ (აგზნებულ) პოლიტიკურ რიტორიკაში არ არსებობს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია უნივერსალური თანასწორობის პრინციპიდან დაცილება, ჩამოშორება, რასაც გვთავაზობს თანხმობის დემოკრატია, ეთნიკურად დაყოფილი საზოგადოების პრობლემის გადაჭრის უფრო კონსტრუქციული გზა, ეს იდეების შეერთებაა, რომელიც ჩადებულია თანხმობის დემოკრატიაში და ლიბერალურ დემოკრატიაში. რაც შეეხება ეთნიკურ დემოკრატიაში, ის აუცილებლად განვითარდება ზემოთ აღნიშნული კუთხით.

ფაქტობრივად, ლიბერალური დემოკრატია ბოლო წლებში განვითარდა ზუსტად თანხმობის დემოკრატიაში ელემენტების, საკუთარ პრინციპებთან ადაპტაციით, უფრო სწორად, თანხმობის დემოკრატიაში გარკვეული ელემენტების დასესხების ხაზით, კუთხით.

ლიბერალური დემოკრატია არ არის უნივერსალური და საერთოდ საზოგადოების ეფექტიანად მართვის მოდელი. ამიტომ, ალტერნატივების ძიებამ განაპირობა სხვადასხვა სტილის კომბინაციების საჭიროება, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა თემები, რომელთა საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციები განსხვავდება დასავლური დემოკრატიაში სისტემისგან. უპირველეს ყოვლისა, ვსაუბრობთ ძირძველ თემებზე, რომლებიც ცხოვრობენ მაგალითად, აშშ – ს, კანადის, სკანდინავიის, რუსეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე.

### **8.3 დემოკრატია და უმცირესობების საკითხები**

სოციალური უმცირესობის საკითხს სხვადასხვა დისციპლინა შეისწავლის. მისი მნიშვნელობა დროისა და ისტორიუ-

ლი მოცემულობის შესაბამისად იცვლება. ამიტომ ტერმინის არაერთი ვარიაცია არსებობს. სოციალურ მეცნიერებებში „უმცირესობა“ გულისხმობს არა მხოლოდ რაოდენობრივ მახასიათებელს, არამედ ისეთ ადამიანთა და ჯგუფთა მდგომარეობასაც, რომლებიც არ ეკუთვნიან მოცემული საზოგადოების რომელიმე ძალაუფლებრივ კატეგორიას, ან საერთოდ არ ფლობენ რაიმე სახის საჯარო პოზიციებს. სოციოლოგი ლუის უირტი (Louis Wirth; 1945) უმცირესობათა ჯგუფებს განმარტავს, როგორც ადამიანთა ერთობას, რომლებიც გამოცალკევებული არიან დანარჩენი საზოგადოებისგან, ფიზიკური თუ ქცევითი მახასიათებლების გამო, მათ ექცევიან განსხვავებულად და უთანასწოროდ, რის გამოც ისინი თავს გრძნობენ კოლექტიური დისკრიმინაციის მსხვერპლებად. უმცირესობათა ჯგუფის წევრობა აღწერილია მათი ფიზიკური ან ქცევითი მახასიათებლების მიხედვით. უმცირესობათა ჯგუფის წევრი, რომელიც ასახავს ან იმეორებს ჯგუფის ფიზიკურ, ან ქცევით მახასიათებელს, მიეკუთვნება ამ ჯგუფის სტატუსს და ექვემდებარება ისეთსავე მოპყრობას, როგორსაც მთელი ჯგუფი. ანუ ჯგუფის შესახებ არსებული წარმოდგენა მიეწერება კონკრეტულ პირს და პირიქით – ერთი ადამიანის ქცევითი თავისებურებები ვრცელდება მთელ ჯგუფზე, რაც გავლენას ახდენს დანარჩენი წევრების აღქმაზე და მათ შორის ყალიბდება შესაბამისი ურთიერთობები. ტერმინი „უმცირესობები“, სოციალურ მეცნიერებებში აღნიშნავს კულტურულად, ეთნიკურად, რასობრივად ან სხვა ნიშნით განსხვავებულ ადამიანთა ერთობას, რომლებიც დაქვემდებარებული არიან დომინანტურ ჯგუფს და ეს დაქვემდებარებულობა არის უმცირესობისთვის ე. წ. უმრავლესობისგან განმასხვავებელი ნიშანი. ამ მიზეზით ხშირად უმცირესობის სინონიმად – „დაქვემდებარებული“, ხოლო უმრავლესობის აღსანიშნავად „დომინანტური ჯგუფი“ გამოიყენება. 2009 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხში განაცხადა, რომ „მსოფლიოს ყველა რეგიონში უმცირესობები განიცდიან საფრთხეებს, დისკრიმინაციას, რა-

სიზმს და ისინი ვერ მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნისა და საზოგადოების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“. ამ განცხადებაში მინიშნებაა არა უმცირესობათა რაოდენობრივ მახასიათებელზე, არამედ მათთვის რესურსებზე შეზღუდულ წვდომაზე. ამდენად, ტერმინი „უმცირესობა“ არ ემთხვევა მოსახლეობის განმარტებას და ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, უმცირესობის ჯგუფის წევრები რაოდენობრივად აჭარბებდნენ კიდევ დომინანტი ჯგუფის წევრების რიცხვს. ამის მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი შემთხვევებიდან, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის შემთხვევა მოჰყავთ, როდესაც შავკანიანი მოსახლეობის უმეტესობა დაქვემდებარებული იყო თეთრკანიან მოსახლეობას. ამის საპირისპიროდ, სოციალური უმრავლესობა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მინიჭებული აქვს ძალაუფლება კონკრეტულ დროსა და ადგილას. ისინი ხანდახან რაოდენობრივ უმრავლესობასაც წარმოადგენენ.

სოციალური უმცირესობები ხასიათდებიან ხუთი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

1. უთანასწორო მოპყრობა და საკუთარი სიცოცხლის განკარგვის ნაკლები შესაძლებლობა;
2. განმასხვავებელი ფიზიკური, ან კულტურული მახასიათებლები, როგორცაა კანის ფერი ან სასაუბრო ენა;
3. ნების გარეშე ჯგუფის წევრობა;
4. დაქვემდებარება
5. ჯგუფს შიგნით ქორწინების მაღალი მაჩვენებელი.

სოციალური ჯგუფები, რომლებიც კულტურული, ან ფიზიკური მახასიათებლების გამო გამოყოფილი არიან დომინანტური ჯგუფებისგან, მონყვეტილი არიან სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობას, ან სოციალური ცხოვრების სასარგებლო მხარეების გამოყენებას, შეიძლება ჩაითვალოს უმცირესობად. ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ძალაუფლება, სოციალური სტატუსი, ადგილი საზოგადოებაში და როლი დამოკიდებულია სოციალური სისტემის სტრუქტურასა და მის შიგნით არ-



სებული სოციალური მობილობის ხარისხზე. კერძოდ, უმცირესობათა ჯგუფის წევრის სოციალური მობილობის ხარისხი დამოკიდებულია საზოგადოების ღიაობაზე, ან დახურულობაზე. დახურულია საზოგადოება, რომელშიც ინდივიდის როლი თეორიულადაც კი უცვლელია და ადამიანი დაბადებიდან გარდაცვალებამდე მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ სოციალურ წრეს, სტატუსს და ვერასდროს შეიცვლის მას, ხოლო ღიაა საზოგადოება, რომელშიც ინდივიდის როლი და სტატუსი, შესაძლოა, შეიცვალოს მისი შესაძლებლობების, მიზნებისა და არჩევნის შესაბამისად. დახურული საზოგადოებისგან განსხვავებით, რომელიც ხაზს უსვამს იერარქიულ თანამშრომლობას ჯგუფებს შორის, ღია საზოგადოების იდეა მდგომარეობს რესურსების ხელმისაწვდომობასა და გაზიარებაში, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური თუ სხვა სახის მიკუთვნებულობის მიუხედავად. შესაბამისად, ღია საზოგადოება უმთავრესად აქცენტს აკეთებს ინდივიდსა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ხოლო დახურული ტიპის საზოგადოება ორიენტირებულია ჯგუფსა და კოლექტიურ მიზნებზე. უმცირესობათა ჯგუფებთან დაკავშირებით ერთიანი სამეცნიერო ტერმინის შემუშავება შეუძლებელია და თავად ტერმინი „სოციალური უმცირესობებიც“ საკამათოა მისი ფართოდ გავრცელებული რაოდენობრივი მნიშვნელობის გამო. ლიტერატურაში ალტერნატიულ ტერმინად იყენებენ „ისტორიულად გარიყულ ჯგუფებს“.

ტერმინი მოიაზრებს იმ ადამიანთა ერთობას, რომლებიც დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში ჩამოშორებული არიან სოციალური უფლებებით, პრივილეგიებითა და შესაძლებლობებით სარგებლობას, იმ საზოგადოებასა თუ ორგანიზაციაში, რომელშიც არსებობენ. სოციალური უმცირესობები შეიძლება გაქრნენ ასიმილაციის გზით, როდესაც ისინი თავიანთ ტრადიციებს მთლიანად ჩაანაცვლებენ დომინანტი კულტურის ტრადიციებით. თუმცა, სრული ასიმილაცია ძალიან იშვიათია. ყველაზე გავრცელებული მეთოდია კულტურული ასიმილაცია, როდესაც ორი ან მეტი ჯგუფი ერთმანეთში გაცვლის კულტურულ მახასიათებლებს. საზოგადოება,

რომელშიც შიდა ჯგუფები ქმნიან კულტურული ასიმილაციის პრაქტიკას, ამკვიდრებენ ახალ სოციალურ ნორმებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრირებულობას, უსაფრთხო და ტოლერანტული თანაცხოვრების შესაძლებლობას. ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ეთნიკურ, გენდერულ, ლინგვისტურ, სექსუალურ (ლგბტ თემი) და სხვა სახის უმცირესობათა კატეგორიებს, პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზთა გამო, ადამიანებმა კონკრეტული ღირებულებები მიანიჭეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი განსაზღვრა არსებული სოციალური მიმართებების გასაგებად. რასის, ეთნიკურობის, გენდერისა თუ სხვა სექსუალური (ლგბტ თემი) უმცირესობის ცნების განმარტება სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ეს საკითხები ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკური წყობისა და კულტურის ცვალებადობასთან ერთად იცვლება. ტერმინები არაერთი დისციპლინის შესწავლის საგანია და შესაბამისად, ყველა საზოგადოებისთვის ერთიანი კონკრეტული განმარტების მოყვანა მათი მნიშვნელობის კომპლექსურობის გამო უამრავ უზუსტობას წარმოშობს. განვიხილოთ უმცირესობათა შემდეგი ძირითადი კატეგორიების განმარტებები:

– **ეთნიკური მიკუთვნებულობა** განისაზღვრება, როგორც გაზიარებული კულტურული მემკვიდრეობა: რელიგია, ენა, კულტურა, ტრადიციები, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს. რასობრივი და ეთნიკური საკითხები ხშირად გადაფარავს ერთმანეთს და სინონიმებადაც გამოიყენება, თუმცა მათ შორის მთავარ სხვაობად ფიზიკურ მახასიათებლებს გამოყოფენ, რომლებითაც ადამიანებს რასობრივი ნიშნით გამოარჩევენ, ხოლო ეთნიკური საკითხი უფრო კულტურული მახასიათებლების ერთობლიობაა.

**რასა** – კონკრეტულ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფებისთვის სოციალურად მნიშვნელოვანი კატეგორია. განმარტება გეოგრაფიის, კულტურისა და დროის შესაბამისად იცვლება. წარსულში რასობრივი საკითხი უფრო მეტად რეგიონულ – ტერიტორიულ განაწილებას, ან განსხვავებულ ფიზიკურ მახასიათებლებს უკავშირდებოდა. რასობრივი დანაწილება არ

არის ბუნებრივი მახასიათებელი, ის სოციალური კონსტრუქციაა და ამიტომ რასობრივ საკითხს ხშირად „აბსტრაქტულ კონცეფციასაც“ უწოდებენ ანთროპოლოგები.

**რელიგიური უმცირესობა** – საზოგადოებაში ან კულტურაში ფართოდ გავრცელებული რელიგიისგან განსხვავებული რელიგიური იდენტობის ან პრაქტიკის მიმდევრები.

**ლგბტ თემი** (სექსუალური უმცირესობა) – ადამიანთა ჯგუფი, რომელთა სექსუალური იდენტობა, ორიენტაცია ან სექსუალური პრაქტიკა განსხვავდება კულტურაში ფართოდ მიღებული სექსუალური იდენტობისგან.

წინამდებარე პარაგრაფში განვიხილავთ, პოლიტიკური ფუნქციის კუთხით დემოკრატიას და უმცირესობათა პრობლემებს.

1. <https://www.britannica.com/topic/minority>;
2. Charles Wagley and Marvin Harris 1958;
3. <http://diversityofficermagazine.com/>
4. [cultural\\_competence/diversitypedia](http://cultural_competence/diversitypedia)

მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ ჩრდილოეთის ძირ-ძველი ხალხების კულტურული ევოლუციის თავისებურებებს, ხაზს უსვამენ, რომ მათი მონაწილეობა არჩევნებში და პარტიულ პოლიტიკაში, ხშირად ვერ აჩერდება ამ ხალხის პოლიტიკური მარგინალიზაციის პროცესსა და მათი უფლებების დანაკარგს. გარდა ამისა, არსებობს შეშფოთებარომ ამ ხალხების წარმომადგენლების მონაწილეობამ ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებში, შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალიზმი და მათი დაშლა (შერევა) სისტემაში, შედეგად ძირძველი ხალხი ღმოწნდება პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიაზე. ამ ხალხის საკუთარ პოლიტიკურ პარტიებს

არ შეუძლიათ წარმატების მიღწევა არჩევნებში, სიმცირის, პოლიტიკური გამოცდილების არარსებობისა და რიგი სხვა მიზეზების გამო. ძირძველ ხალხთა საკითხებზე, საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის (IWGIA) ცირკუმპოლარული

პროგრამების კოორდინატორი, კეტრინ ვესენდორფი ხაზს უსვამს, რომ განსხვავება მართვის ტრადიციულ სისტემებსა და დასავლურ მოდელებს შორის არსებითია, მაგრამ რადგან დასავლური სისტემა რეალობად იქცა მთელ მსოფლიოში, ამდენად მკვიდრი ხალხები „ვერ დარჩებიან მისგან იზოლირებული და იძულებული არიან ამა თუ იმ გზით მონაწილეობა მიიღონ მასში“. თუმცა, მათ შეუძლიათ ეს სისტემები სადავო გახადონ და მისი აზრით, აირჩიონ უფრო სიცოცხლისუნარიანი, „გადანყვეტილების მიღებისა და თვითმმართველობის კონსენსუალური სქემა“<sup>1</sup>.

ეს არის ზუსტად ის არჩევანი, რომელსაც ბევრი ეთნიკური საზოგადოება აკეთებს, რადგან „ტრადიციული მმართველობის ყველა ფორმაში მთავარია, რომ ისინი კონკრეტული სოფლის, ან ეთნიკური ჯგუფის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარეობდეს“, – ხაზს უსვამს ვესენდორფი და, შესაბამისად, აქვს წმინდა ადგილობრივი, ძალიან სპეციფიკური მნიშვნელობა. ეს შეიძლება დავინახოთ იუკონის ტერიტორიის შემთხვევაში, იუკონის „პირველმა ერებმა“ (როგორც კანადაში იუკონის ინდიელები და ესკიმოსები უწოდებენ თავიანთ თავს) თვითმმართველობაში შეიტანეს ისეთი სამართლებრივი დებულება, რომელიც საშუალებას იძლევა ძირძველმა ხალხებმა და თემებმა თავად აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლებისა და ლიდერების წარდგენის (ნომინაციის) ფორმა.

ასეთი ადგილობრივი აჩვენების შედეგად, სხვადასხვა თემში, ჩვენ ვხედავთ უზარმაზარ სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების სიმრავლეს, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ უშუალოდ ჩართოს მოსახლეობა მათი საჭიროებების მართვასა და მომსახურებაში.

მმართველობის ალტერნატიული მოდელების გამოყენება ასევე შეიძლება წარმატებით (გაერთიანდეს) შეეხამოს ლიბე-

---

<sup>1</sup> См.: Тишков В.А., Степанов В.В. Межэтнические отношения и этнокультурное образование в России // Вестн. Российской академии наук. 2017. № 10. с. 879–890.

რალური დემოკრატიის მოდელს, მხოლოდ იქ, სადაც ძირძველი ხალხი უმრავლესობაა როგორც მაცხოვრებელი. ასეთ ტერიტორიებს მიეკუთვნება ჩრდილო – დასავლეთი ტერიტორიებიდან გამოყოფილი კანადის ნუნავუტის ადმინისტრაციულ ტერიტორია და გრენლანდია, სადაც მათი რეგიონალური მთავრობებია და სადაც თითოეულს შეუძლიათ ხმის მიცემა მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

სკანდინავიის ქვეყნებში შექმნილია მმართველობის ინსტიტუტები, რომლებიც ძირძველ მოსახლეობას სახელმწიფო პოლიტიკაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის გარკვეული სახის გარანტიას აძლევს, მაგრამ ამავე დროს ისინი დამოუკიდებელი არიან სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტებისგან. პოლიტიკური მონაწილეობის გარკვეულწილად მსგავსი ფორმაა შექმნილი ჩრდილოეთის მცირერიცხოვანი მკვიდრი ხალხის ასამბლეა, რომელიც შექმნილია რუსეთის ფედერაციის ხანტი – მანსისკის ოლქში. მართალია, ის უშუალოდ არის ინტეგრირებული ადგილობრივი სამართლის პოლიტიკურ ინსტიტუტში, მაგრამ მისი ფუნქციონირების გამოცდილება არანაკლებ ეფექტიანი გამოდგა, ვიდრე საამის პარლამენტის რეალობა და უცხო გამოცდილება.

ცხადია, იმ ეთნიკური თემებისთვის, რომლებსაც არ აქვთ უმრავლესობის პოლიტიკური კულტურით შთანთქმის სურვილი, აუცილებელია პოლიტიკაში და ზოგადად ინსტიტუციურ მონაწილეობაში მათი ჩართვის ახალი ფორმების ძიება. მაგრამ ასევე თავიდან უნდა იქნას აცილებული ეთნიკური სპეციფიკის აბსოლუტიზაცია. ეს შეიძლება გახდეს ისეთი პოლიტიკური სქემების შექმნის საფუძველი, რომელიც არამხოლოდ არადემოკრატიულია, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ თავად ეთნიკური თემების ინტერესებს.

ზოგადად, საფრთხეა იმის შესახებ, რომ ყველგან მსოფლიოში ტრაიბალიზმი აღორძინდება პოლიტიკურ პრაქტიკაში, რასაც უკვე მრავალი მეცნიერი გამოხატავს. მაგრამ მკვლევარების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სიტუაცია იმ ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ ბოლო მოუღონ ტოტალიტარულ წარსულს და დაადგინონ დემოკრატიზაციის გზას. სა-

ხელმწიფოებში, რომელთა მოსახლეობაშიც არ ჩამოყალიბებულა ტოლერანტობის სტაბილური კულტურა, „უმრავლესობის მმართველობის“ და „უმცირესობათა უფლებების“ პრინციპების ჰარმონიზაციის პრობლემა ძალიან აქტუალურია. ასეთ სახელმწიფოებში, ზოგადი სახელმწიფო ინსტიტუტების ფარგლებში, ან ადგილობრივი თემების დონეზე ჰეგემონური კონტროლის ფორმების ხელახალი შექმნის საფრთხეა. ეს საფრთხე ორივესთვის არსებობს, როგორც დომინანტური ჯგუფების, ისე უმცირესობებისათვის. მაგალითად, სახელმწიფო დაინტერესებულია ეთნიკური თემების თვითორგანიზებით, მათი თვითმმართველობის ინსტიტუტების ჩამოყალიბებით და სოციალური მოძრაობებით, რაც ამ ჯგუფების ქცევას პროგნოზირებადსა და მართვადს გახდის და ვისაც შეუძლია დიალოგში პარტნიორობის როლი შეასრულოს სახელმწიფოსა და ეთნიკურ თემებს შორის, ასევე თავად ეთნიკური თემებს შორის ერთმანეთთან დიალოგში.

ამავდროულად, სახელმწიფომ უნდა გამოთიშოს, „მონყვიტოს“ რადიკალური ჯგუფები დიალოგიდან და ხელი შეუწყოს რათა დემოკრატიული ნორმები გახდეს თავად ეთნონაციონალური ორგანიზაციების საქმიანობის ზოგადი პრინციპი და მათი ურთიერთობა, თანამოქმედება სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან.

როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ პატნემი აღნიშნავს ცნობილ ნარკვევში დემოკრატიის ბუნების შესახებ, „სამოქალაქო ასოციაციები ხელს უწყობენ დემოკრატიული მმართველობის ეფექტურობასა და სტაბილურობას ორი გზით: „შინაგანად“, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდებზე და „გარეგნულად“ სახელმწიფოს პოლიტიკაზე ზემოქმედება“<sup>1</sup>, მაგრამ მნიშვნელოვანია რათა ეთნოპოლიტიკური ხასიათის ასოციაციები (ორგანიზაციები, მოძრაობები) თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ მოქალაქეობრიობით, მო-

---

<sup>1</sup> Патнэм Р. Чтобы демократия сработала: Гражданские традиции в современной Италии. М., Ad Marginem, 1996. с. 114.

ქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო ტრადიციებით, არ გადაიქცნენ ტოტალიტარულ სექტებად, ანდა ეთნიკურ ლობებად, ეთნიკური თემისათვის უცხო ინტერესებად.

დღეს ბევრი ეთნონაციონალური მოძრაობა და ორგანიზაცია მოქმედებს მათი ეთნიკური თემების სახელით და აცხადებს, რომ ისინი წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ამავდროულად, ისინი ცდილობენ განსაზღვრონ ლეგიტიმური და უზენაესი ორგანოს სტატუსი, ეთნიკური თემის პოლიტიკური წარმომადგენლობა.

მაგალითად, კომის ხალხის მეორე რიგგარეშე კონგრესი, რომელიც გაიმართა 1991 წლის ბოლოს, მისი დელეგატების არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია კომის მოსახლეობის ფართო ნაწილს, გამოაცხადა, რომ თავს აცხადებდა კომის უზენაეს წარმომადგენლობით ასამბლეად. 1992 წელს მარის ხალხის კონგრესმა თავი გამოაცხადა, „მარის ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობით ასამბლეად“. 1999 წელს III მორდოველი ხალხის კონგრესმა, ასევე მიიღო დეკლარაცია სტატუსის შესახებ, კონგრესი, რომელშიც მან თავი გამოაცხადა, „მორდოველი ეროვნების მოქალაქეების“ უმაღლეს წარმომადგენლობით ასამბლეად. ამავ დროს, კომის რესპუბლიკაში, ჯერ კიდევ 1992 წელს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „კომის ხალხის ყრილობის (კონგრესის) სტატუსის შესახებ“, რომელმაც დაადასტურა, რომ ყრილობა არის კომის ეთნოსის უმაღლესი წარმომადგენლობითი ასამბლეა, რომ ყრილობის არჩევნები უნდა იყოს დემოკრატიული. მაგრამ თავად კანონმა მიიღო პოლიტიკური დეკლარაციის ფორმა და არ განსაზღვრა ამ საჯარო ორგანოსთან, სახელმწიფო დაწესებულებების ურთიერთქმედების ხასიათი და დელეგატების არჩევის წესი, რომელიც ძირეულად განასხვავებდა მას საამის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებისაგან.

ფორმალური დემოკრატიის კულტივირება ეთნიკურ თემებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში, საშუალებას იძლევა განხორციელდეს ეთნონაციონალური მოძრაობების გაკონტროლება იმ ლიდერების მიერ, რომლებიც ხშირად ხელსაყრელია ხელისუფლებისთვის, მაგრამ არ სარგებლობენ სა-

კუთარი ხალხის წარმომად – გენლების ნდობით. ასეთი მდგომარეობა ხშირად ხელს უწყობს რადიკალური ორგანიზაციების გავლენის გაძლიერებას, რომლებსაც არ აკონტროლებენ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები. უფრო მეტიც, დემოკრატიული კონტროლის ნაკლებობა, ორგანიზაციების შიგნით და რეალური პოლიტიკური კონკურენცია, ხელს უწყობს მათში იდეოლოგიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომლებიც არადემოკრატიული ხასიათისაა და ხშირად უპირისპირდება ეთნიკურობის სამოქალაქო და დემოკრატიულ იდეალებს.

ზოგადად, ეთნიკურობის პოლიტიზების მცდელობების მეშვეობით პარლამენტებში ეთნიკური („ეროვნული“) პალატების შექმნა, რათა ეთნიკურ კონგრესების გადანყვევტილებებს მისცეს დირექტიული დოკუმენტების ხასიათი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი ხელისუფლება, ეთნიკურ წარმომავლობას მიანიჭოს უნივერსალური ხასიათი, თუმცა რუსი ეთნოლოგის ს.ვ. ჩეშკოს აზრით, კოლექტიურობის სოციალური ინსტინქტი ეროვნული იდეის ფორმით „წარმოდგენს ბარიერს, რომელიც კეტავს (აფერხებს) პოლიტიკისკენ მიმავალი გზას და ეთნოპოლიტიკური პრობლემების გადაჭრის, ქეშმარიტად დემოკრატიული მიდგომით, მასობრივ ცნობიერებას. ის უნდა შედგებოდეს ეთნიკური უნივერსალიზმის, სამოქალაქო „უნივერსალიზმით“ ჩანაცვლებაში, ეთნიკურობის პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებისგან გამიჯვნაში, ეთნიკურობის „დენაციონალიზაციაში“, პიროვნების ეთნიკური ლოიალობის იმპერატივისაგან გათავისუფლებაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გათავისუფლდნენ ხალხები, მათი ეთნოკულტურული განვითარება, სახელმწიფოს მხრიდან გარე ძალადობისგან (ასიმილაცია, პატერნალიზმი და სხვ.) და შინაგანი ძალადობისგან (ეთნიკური ელიტების მხრიდან, რომლებიც საკუთარ ღირებულებებს, ქცევის ნორმებს, განვითარების მოდელებს თავს ახვევენ თავიანთ ხალხებს).“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Чешко С.В. Конституционная реформа и национальные проблемы в России // Этнографическое обозрение. 1993. № 6. с. 30.



რუსი მკვლევრის პოზიცია მრავალი თვალსაზრისით მსგავსია მრავალი დასავლელი მეცნიერის მიერ გამოთქმული შეხედულებებისა, თანამედროვე პირობებში რეგიონალიზმის პოლიტიკურ როლსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ტოლკოტ პარსონსი, რეგიონალიზმს განიხილავდა, როგორც საზოგადოებაში, კონსერვატიზმის ფესვგადგმულ გამოვლინებას, რომელიც ხელს უშლის ცივილიზაციურ ცვლილებებსა და კულტურული უნივერსალიზმის დამკვიდრებას. მაიკლ კიტინგმა რეგიონალიზმს უწოდა „ნარსულის გარიყულობა“;<sup>1</sup>

თუმცა, რა თქმა უნდა, რეგიონალიზმი მრავალმხრივია და არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს, მით უმეტეს, რომ არსებობს ობიექტური რეგიონალიზაციის პროცესების გაძლიერების ტენდენციები, რომლებიც გლობალიზაციის მეორე მხარეა.

პოლიტიკურად არასწორია და მეცნიერულად უსაფუძვლოა მცდელობები დემოკრატიის, ან ავტორიტარიზმისადმი ერთგულების ეთნიკურობასთან დაკავშირების მცდელობები. პოლიტოლოგები ზოგჯერ ნებას რთავენ თავიანთ განმარტებით მოდელებში, როდესაც აფასებენ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შედეგებს და მათ ბუნებას. ამრიგად, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს უფრო წარმატებული დემოკრატიული გადასვლის მიზეზები და სხვების ნაკლებად წარმატებული, ზოგიერთი მკვლევარი დემოკრატიის მიმართ, ეთნიკური თემების კულტურულ მიდრეკილებაში ხედავს, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ხალხისთვის.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი ცხადყოფს, რომ პარტიები ხშირად არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჭიროებებს, ნუხილსა და გამოწვევას სიღრმისეულად არ იცნობენ. წინასაარჩევნო პროგრამები ხშირად ავლენს პარტიების ტრაფარეტულ და ზედაპირულ მოსაზრებებს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვისა და საჯარო – პოლიტიკურ ცხოვ-

---

<sup>1</sup> Keating M. State and regional nationalism: territorial politics and the European state. L.: Harvester Wheatsheaf, 1988. p. 22.

რებაში მათი მონაწილეობის საკითხებზე. ამ კუთხით საგულისხმოა რამდენიმე პარტიის მიერ განსხვავებული ნარატივების და ტექსტების შემოთავაზების მცდელობა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ პროგრამებს ფრაგმენტულობა და ხელოვნურობა ახასიათებს.

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვისა და საჯარო პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი რეალური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრირებული პოლიტიკური სუბიექტების პროგრამებში, უმთავრესად, ორი ცვლილების თეორიაა თვალშისაცემი: უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება და დისკრიმინაციის ფაქტების აღმოფხვრა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა პარტიის პროგრამა გამოსავალს უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაში ხედავს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის, თუმცა არც ერთი პოლიტიკური პარტია არაფერს ამბობს, ერთი მხრივ, ამ ჯგუფების სახელმწიფო ენის მცოდნე მოქალაქეების ხმის გაძლიერებაზე საზოგადოებრივ – პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანების პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, რომლებმაც არ იციან და ვერ ისწავლიან სახელმწიფო ენას მათი სოციალურ-ეკონომიკური ყოფის, ასაკის ან საცხოვრებელი გარემოს გამო.

#### **8.4. ადგილობრივი თვითმართველობის არსი და ადგილობრივი თვითმართველობის სისტემა საქართველოში**

სახელმწიფოს დემოკრატიული წესყობილების გამტკიცებისათვის, აუცილებელია მისი კონსტრუქცია „ქვევიდან ზევით“ იყოს აგებული შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების სისტემის დემოკრატიულ სანყისებზე ჩამოყალიბებას საერთოსახელმწიფოებრივი დემოკრატიის რეალიზებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება.

თვითმართველობა არის სახელმწიფო მოწყობის კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც ხელისუფლების ვერტიკალურ დანაწილებასა და მართველობის სისტემის დეცენტრალიზაციას მოითხოვს. დეცენტრალიზებული სახელმწიფო იყოფა თვითმართველ ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ.

განსხვავებით ადგილობრივი მართველობისაგან, ადგილობრივი თვითმართველობისათვის დამახასიათებელია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევითობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

კონცეფტუალური თვალსაზრისით, ადგილობრივი თვითმართველობა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად განიხილება, რადგან მისი ფუნქციაა სახელმწიფო კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული პოლიტიკის ადგილობრივ დონეზე აღსრულება.

მიუხედავად იმის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ძალაუფლება სახელმწიფოსაგან მომდინარეობს და შესაბამისად, თვითმართველი ერთეულები სახელმწიფოს განუყოფელ ელემენტს შეადგენენ, ისინი, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ავტონომიურ ერთეულებად განიხილებიან. სამართებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლება და მუნიციპალური ხელისუფლება ერთმანეთისაგან გამიჯნული წარმონაქმნებია, რომლებიც ერთობლიობაში, საჯარო ხელისუფლებას ქმნიან. თვითმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ავტონომია შემდეგ ძირითად ასპექტებს მოიცავს<sup>1</sup>:

- იურისდიქციული ავტონომია – თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციის პარალელურად ვრცელდება თვითმართველი ერთეულის იურისდიქცია. თვითმართველობის ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებუ-

---

<sup>1</sup> Vogelgesang, Klaus, Lubking, Uwe, Ulbrich, Ina – Maria, Kommunale Selbstverwaltung: Rechtgrundlagen, Organisation, Aufgaben, neue Steuerungsmodelle, 3., neubearb. Aufl., Berlin 2005, Rn. 22.

ლი სამრთლებრივი აქტები თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულოა, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, ყველა საჯარო დაწესებულებისა და მოსამსახურისათვის;

- სამართალშემოქმედებითი ავტონომია – თვითმმართველობის პრინციპის რეალიზების აუცილებელი პირობაა, თვითმმართველი ერთეულის უფლება, თავისი სამართლებრივი აქტებით მოანესრიგოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალშემოქმედებითი ავტონომიის პრინციპი არ უზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას კანონმდებლობით დაადგინოს სამართლებრივი აქტების ერთიანი სისტემა და განსაზღვროს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ერთიანი წესები;
- ორგანიზაციული ავტონომია თვითმმართველი ერთეული თავად განსაზღვრას თავის ორგანიზაციულ მოწყობას. ამასთან, ორგანიზაციული ავტონომიის პრინციპი არ უზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებას, კანონით დაადგინოს თვითმმართველი ერთეულების ინსტიტუციური მოწყობის განმსაზღვრელი ზოგადი ნორმები;
- საკადრო პოლიტიკის ავტონომია – თვითმმართველ ერთეულს აქვს უფლება, დამოუკიდებლად გადანყვიტოს კადრების სამსახურში მიღებასთან, სამსახურებრივ წახალისებასთან და სამსახურიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის განსაზღვროს თავისი ორგანოების საშტატო განრიგი, საშტატო რიცხოვნობა, მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები და ა. შ. დაუშვებელია, სახელმწიფო ხელისუფლება რაიმე ფორმით უშუალოდ ჩაერიოს თვითმმართველი ერთეულის მიერ საკადრო გადანყვიტების მიღებაში. სახელმწიფო ხელისუფლება უფლებამოსილია განსაზღვროს მუნიციპალური საჯარო სამსახურის საერთო პრინციპები და პირობები;
- ფინანსური ავტონომია – ფინანსური ავტონომია გულის-

ხმობს თვითმმართველი ერთეულის უფლებას, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მოაწესრიგოს თავისი საქმიანობის ფინანსური საკითხები. აღნიშნული უფლება მოიცავს საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის თავისუფლებას. ფინანსური ავტონომიის პრინციპი გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო ჩარევას თვითმმართველი ერთეულის საფინანსო კომპეტენციებში. ფინანსური ავტონომია, აგრეთვე გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის უფლებას, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებლად შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები, საზოგადოებრივი მომსახურების ტარიფები და დაადგინოს მათი განაკვეთები.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სამართებრივ საფუძვლებს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება – „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია“, საქართველოს ორგანული კანონი – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მეოთხე ფუნქტის თანახმად: „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

2004 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა განახორციელა“ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება. ქარტია არის ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების საერთო პრინციპებს განმტკიცებს და თვითმმართველობის პრინციპის რეალიზებას

უზრუნველყოფს. ქარტია საქართველოს პარლამენტის მიერ გარკვეული დათქმებით არის რატიფიცირებული.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები დეტალურად განისაზღვრება ორგანული კანონით – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“.

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელ ძირითადად საკანონმდებლო აქტებს განეკუთნება – „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი და მოსაკრებლების სისტემის მარეგულირებელი კანონები.

საქართველოში მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთდონიანი სისტემა, რომელიც 69 თვითმმართველ ერთეულს – მუნიციპალიტეტს აერთიანებს. აქედან, არსებითად ურბანულია ხუთი მუნიციპალიტეტი – თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტები. 2008 წლიდან, დევნილობაში მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ხუთი მუნიციპალიტეტი – აფხაზეთში შექმნილი აჟარის მუნიციპალიტეტი და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ახალ გორის, ქურთის, თიღვისა და ერედვის მუნიციპალიტეტები.

საქართველოს კონსტიტუცია თვითმმართველ ერთეულს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია“ განასხვავებს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა ორ კატეგორიას: საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს. ქარტიის მოთხოვნის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ძირითადი კომპენტეციები შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუციით, ან კანონით უნდა განისაზღვროს. ამას-

---

<sup>1</sup> ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი პირველი გამოცემა, 2019, გვ 268.

თან, თვითმმართველი ერთეულისათვის კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები უნდა იყოს ექსკლუზიური და, როგორც წესი, სრული. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, თვითმმართველი ერთეული უნდა სარგებლობდეს ფართო დისკრეციით მადლეგირებელი ორგანოს მითითებების ფარგლებში, რამაც მას საშუალება უნდა მისცეს, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ადგილობრივ პირობებსა და მოთხოვნებს მიუსადაგოს.<sup>1</sup>

2014 წლის 5 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ეს ორგანული კანონი შედგება 21 თავისაგან და 167 მუხლისაგან. ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს

---

<sup>1</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მეოთხე მუხლი.

ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია:

ა) სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო – სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ – კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო – სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;



გ) ქალაქი – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ – კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო – სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5 000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5 000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია, ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ანდა ის ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტერიტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის მერის, ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია:

- ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები;
- ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია. ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული

ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამო-  
ლება;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;

ზ) მუნიციპალური ნარჩენების მართვა;

თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა, მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მო-

სახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, მიწის ნაკვეთისთვის ან/და შენობა – ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შეუსაბამო მიწის ნაკვეთის ან/და შენობა – ნაგებობის სტატუსის მინიჭება, მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენა, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენისა და გაშენების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენა, გაშენება, მოვლა, დაცვა და მასზე ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება, ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ამ მიზნით იურიდიული პირების დაფუძნება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;

პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის,

წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე – პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა – ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტა;

ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა – პატრონობა;

ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა – შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ – გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება;

ღ) ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩანერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების,

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

მოქალაქეთა უფლება, თავად გადაწყვიტონ გარკვეული, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები გარანტირებულია კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მისი ცალკეული ორგანოების უფლებამოსილების ფარგლებს ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები სამ ძირითად ფუნქციაზე შეიძლება დაიყვანოთ: სახელისუფლო ფუნქცია, სამეურნეო ფუნქცია და ადგილობრივი საკითხების გადასაწყვეტად მოქალაქეთა გაერთიანების ფუნქცია.

ევროპული ქარტიის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოახსრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ქარტიით აგრეთვე განსაზღვრულია, რომ თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული საკუთარი კომპეტენციები, ჰქონდეს ფინანსური და მატერიალური რესურსი და იყოს დამოუკიდებლად წარმართოს შიდა საქმიანობა.

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულია კარგი მმართველობის 12 პრინციპი, რომელთა მიზანია საჯარო უწყებებმა იფუნქციონირონ მაქსიმალურად ეფექტიანად და პროდუქტიულად, იყვნენ კომპეტენტურნი და გამჭვირვალენი, უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა თანამონაწილეობა და ჩართულობა და სხვ.

კარგი მმართველობის 12 პრინციპის შესაბამისად, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულია შესაბამისი ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ხდება არსებული სიტუაციის გაანალიზება, პრობლემების, სუსტი და ძლიერი მხარეების აღმოჩენა შემდგომი რეაგირებისთვის.

მნიშვნელოვანია ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს როლი (CEMR), რომელიც წარმოადგენს მათი

წვერი ერთეულების ინტერესებსა და ზრუნავს მათ განვითარებაზე. მასში განწვერიანებულია 60 ასოციაცია, 100,000-ზე მეტი თვითმმართველი ერთეული და 41 ქვეყანა. საბჭო მუშაობს თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების მმართველებით სხვადასხვა კვლევებზე, შეისწავლის წვერ ქვეყნებში არსებულ სიტუაციას და ახდენს შეფასებებსა და გაცემს რეკომენდაციებს..

ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგულირების ტრადიცია საქართველოში 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციიდან მომდინარეობს, როცა კონსტიტუციაში ცალკე, მე-10 თავი არსებობდა სახელწოდებით „ადგილობრივი თვითმმართველობა“. ეს თავი რამდენიმე მუხლისგან შედგებოდა და თვითმმართველობისთვის მნიშვნელოვან, თითქმის ყველა საკითხს მოიცავდა. ჩანაწერი კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა ქვეყანაში ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილებისათვის, რაც შემდგომ საკანონმდებლო აქტებში უნდა ასახულიყო. 1921 წლის კონსტიტუცია თვითმმართველობას სახელწმიფო ხელისუფლების გაგრძელებად მოიაზრებდა: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის ორგანო ადგილობრივი მმართველობისა“. მისი ძირითადი ფუნქცია სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხების გამგებლობა იყო. მართვა-გამგეობის საქმეში ის მთვაროების ცენტრალურ ორგანოებს ემორჩილებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას ერთად და სახელწმიფო ხელისუფლების გაგრძელებად მოიაზრებდა, კონსტიტუცია ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ცალკეულ გარანტიებს. ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითობა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით; ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება, კანონის თანახმად გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო დადგენილებები; თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მხოლოდ სასამართლოს მიერ გაუქმება, ასევე მისი საბიუჯეტო უფლე-



ბამოსილებები. კანონით უნდა განსაზღვრულიყო თვითმმართველობის ორგანიზაცია, მართვა-გამგეობის წესი და უფლება-მოვალეობანი. კონსტიტუციითვე იყო განსაზღვრული სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხები: „მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ხოლო ვალდებული არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ.“

1921 წელს, საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვასთან ერთად, საქართველოში შეწყდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცესების ნორმალური განვითარება, რაც კვლავ აქტუალური გახდა 1993-1995 წლებში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის დროს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის კონსტიტუციის პროექტებზე მუშაობისას, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები არ ყოფილა განხილვებისა და დისკუსიების ძირითადი თემა, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი პროექტები ამ საკითხში ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. 1993-1995 წლებში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესის განმსაზღვრელი ნიშანი სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციათა დანაწილება იყო. შედეგად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ერთი ჩანაწერით შემოიფარგლა (მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი):

„საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.“

ამ ფორმულირებით, ადგილობრივი თვითმმართველობა განისაზღვრა არა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების გაგრძელება, არამედ როგორც მისგან დამოუკიდებელი ნაწილი, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს თავად, საკუთარი პასუხისმგებლობით განკარგავს. მისი ურთიერთობა სა-

ხელმწიფოსთან ორგანული კანონით უნდა განისაზღვროს. ორგანული კანონი იერარქიულად ჩვეულებრივ კანონზე მაღლა დგას, ასე რომ კონსტიტუციის ეს ჩანაწერი ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. 2004 წლის 26 ოქტომბერს, რატიფიცირებული იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია (სტრასბურგი, 15.10.1985), რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2005 წლის 1 აპრილიდან. მას, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს საკანონმდებლო აქტების მიმართ. ქარტია, შესაძლებლობის შემთხვევაში, სასურველად მიჩნევს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციის მიერ რეგულირებას. თვითმმართველობის პრინციპის კონსტიტუციურად განმტკიცება მას კიდევ უფრო მეტ „წონას“ და მნიშვნელობას ანიჭებს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა შორის.

ქარტიისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციას თვითმმართველობის იდეა უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს, მას მოქალაქეებისა და არა ადგილობრივი ორგანოების უფლებად მიიჩნევს. საქართველოს კონსტიტუციის ფორმულირება მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობის მქონე თვითმმართველობის გარანტია უნდა იყოს.

2009-2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, გაძლიერდა ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა ცალკე, მეშვიდე პრიმა თავი. კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ თვითმმართველობასა და სახელმწიფოს შორის უფლებამოსილებები გამიჯნულია; დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას მოქმედებს მატერიალური კომპენსაციის პრინციპი; თვითმმართველი ერთეულის გაუქმების ან საზღვრების შეცვლისას სავალდებულოა ამ ერთეულთან კონსულტაციების გამართვა; თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი ორგანოს მიმართ, თვითმმართველობას უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუმცა ად-

გილობრივი თვითმმართველობის რეალურ განხორციელებას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს. მიუხედავად 1998, 2005 და 2014 წლებში გატარებული სხვადასხვა ტიპის რეფორმისა, თვითმმართველობა, პრაქტიკულად, კვლავ ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ გაგრძელებად რჩება. ამის ძირითადი მიზეზებია: მოქალაქეთა ჩართულობის ნაკლებობა, თვითმმართველობის მწირი რესურსები (ფინანსური, მატერიალური და ადამიანური), თვითმმართველობის კომპეტენციათა სიმცირე. სასურველია, კონსტიტუციამ შესაძლებლობის ფარგლებში, უპასუხოს თვითმმართველობის წინაშე არსებულ ამ გამოწვევებს.

უნდა ითქვას ისიც, რომ მხოლოდ კონსტიტუციური რეგულირება თვითმმართველობის რეალური მუშაობისთვის საკმარისი არ არის. 2010 წლიდან კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის განხორციელება პრაქტიკაში მაინც აწყდებოდა პრობლემებს მრავალი მიმართულებით. მათ შორის იმ მიმართულებებითაც, რომლებიც კონსტიტუციაში თითქოს თვითმმართველობის რეალურ საფუძველს ქმნიდნენ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც აუცილებელია კონსტიტუციაში უკვე არსებული ამ გარანტიების შენარჩუნება, რადგან ისინი კონსტიტუციურ საფუძველს მაინც ქმნიან თვითმმართველობის რეალურად განხორციელებისთვის, რასაც შემდგომში უნდა დაეფუძნოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.

ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ჩაინერა: „ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი.“ ბოლო წლები თვითმმართველობების საკუთარ უფლებამოსილებათა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ცენტრალურმა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო: წყლის სისტემის მართვა, მყარი ნარჩენების მართვა, ცალკეული დასახლებების

(ძირითადად კურორტების) განვითარების გეგმების მომზადება, ადგილზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, განიხილება სკოლამდელი განათლების შესახებ კანონპროექტი და სხვ.

პრაქტიკულად, საქართველოში არსებულ დასახლებათა უმრავლესობაში მოსახლეობის წინაშე მდგარი, პირველადი მნიშვნელობის ადგილობრივი საკითხებიდან – გზები, წყალმომარაგება, ელექტროენერგია, გაზიფიკაცია, დასუფთავება, სკოლა, სასწრაფო სამედიცინო თუ ამბულატორიული მომსახურება, საბავშვო ბაღი – უმრავლესობა თვითმმართველობის კომპეტენციებს არ მიეკუთვნება. ევროპული ქარტია ითხოვს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი კომპეტენციები. მეტიც, ქარტიის მიხედვით, არაა აუცილებელი, ეს კომპეტენციები შემოიფარგლოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა შეეძლოთ მოახდინონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილის რეგლამენტირება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაა თვითმმართველობის ე. წ. მეორე დონის, რეგიონული თვითმმართველობის საკითხი. არსებობს რიგი პრობლემებისა, რომელთა გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ადგილობრივ თვითმმართველობას არ შეუძლია ფინანსური, ადამიანური რესურსების უკმარისობის, მასშტაბის სიმცირის თუ სხვა მიზეზის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება შესაძლოა არაეფექტიანად ახორციელებდეს (ნარჩენების გადამუშავება, ტყის და წყლის რესურსების მართვა, სტიქიური უბედურებების პრევენცია, ქარსაფარი ზოლები, რეგიონული მნიშვნელობის გზები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რეგიონული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური გეგმები, კურორტების მართვა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, სოციალური დაცვა და სხვ.) ასეთი უფლებამოსილებების გადასაჭრელად, ხშირად, შუა რგოლის, რეგიონული დონის თვითმმართველობა არსებობს. მუნიციპალიტეტსა და სახელმწიფო ხელისუფლებას არსებული სივრცის თავდაპირველად არაფორმალურ, ხოლო შემდეგ კი, უკვე ფორმალურ შემავსებლად

დაც იქცა გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელიც რეალურად სახელმწიფო ხელისუფლების დეკონცენტრირების მაგალითს წარმოადგენს და რომელსაც რეგიონული პროექტების განხორციელება ევალება.

რეგიონული დონის თვითმმართველობის საკითხი საკონსტიტუციო კომისიამ ტერიტორიული მოწყობის კონტექსტში უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს. თვითმმართველობების პრაქტიკა, გუბერნატორის ინსტიტუტის გაჩენა და ეტაპობრივი გაძლიერება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონული დონის არსებობა აუცილებელია.

თვითმმართველობის რეალური უმოქმედობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ცენტრზე ფინანსური დამოკიდებულებაა. 1998-2004 წლებში, სახელმწიფო ფინანსების დაახლოებით 30% ადგილობრივ დონეზე მოდიოდა, მაგრამ თავად სახელმწიფო შემოსავლების მიზერულობიდან გამომდინარე, ის არ იყო საკმარისი თვითმმართველობებისთვის დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის. 2004 წლიდან ხდება გადასახადების ცენტრალიზაცია. თვითმმართველობების საკუთარი საგადასახადო შემოსავლების წილი ნაერთ ბიუჯეტში 30,0%-დან 2,3%-მდე შემცირდა [8]. 2006 წლის რეფორმას, მუნიციპალიტეტების გამსხვილებას, თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდა არ მოჰყოლია. მეტიც, თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლები არათუ არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. საშემოსავლო გადასახადიც, რომელიც 2007 წლამდე ადგილობრივ ბიუჯეტებში ირიცხებოდა, სახელმწიფო ბიუჯეტისკენ მიემართა.

ევროპული ქარტიით, თავად თვითმმართველობის ცნება გულისხმობს ადგილობრივი ორგანოებისთვის შესაბამისი კომპეტენციების განსახორციელებლად საჭირო სახსრების არსებობას. ამასთან, ეს სახსრები უნდა იყოს თვითმმართველობის შესასრულებელი ამოცანების თანაზომიერი. ამ სახსრების თუნდაც ნაწილი უნდა ივსებოდეს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან, რომელთა დადგენის უფლებაც აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას.

## საკონტროლო კითხვები

1. ლეა გრინფილდის აზრით, დემოკრატია საიდან წარმოიშვა და რა იყო მისი ძირითადი ფორმა, რომლითაც დემოკრატია მთელ მსოფლიოში გავრცელდა?
2. რა არის სრულფასოვანი დემოკრატიის გზაზე ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება?
3. დ. გოროვიცი ეთნიკურად ჰეტეროგენურ, არაერთგვაროვანი ქვეყნების რამდენ ტიპს გამოყოფს?
4. რომელი ქვეყნებისთვის არის უფრო დამახასიათებელი ეთნიკურ ჯგუფებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურესი ფორმები?
5. ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით სახელმწიფოები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ დემოკრატიულობაზე, პოლიტიკური ძალაუფლების რომელ ფორმებს ირჩევენ?
6. განმარტეთ რა არის ეთნიკური დემოკრატია?
7. რით ხასიათდება თანხმობის დემოკრატია?
8. რა პრინციპებზეა აგებული თანხმობის დემოკრატია?
9. ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური სისტემა რომელია?
10. ჩამოთვალეთ ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი მახასიათებლები?
11. რატომ არ შეიძლება ეთნიკური დემოკრატია ჩაითვალოს სრულყოფილ დემოკრატიად?
12. როგორ განმარტავს უმცირესობათა ჯგუფებს სოციოლოგი ლუის უირტი?
13. ჩამოთვალეთ რა ნიშნებით ხასიათდებიან სოციალური უმცირესობები?

## თავი IX.

### კონფლიქტების სვილუაზისა და სტრასის გართვა ეთნოგენეზის

კონფლიქტი, როგორც სოციალური ფენომენი – აუცილებელი მოვლენაა დინამიკურად განვითარებად სოციალურ სისტემებში. კონფლიქტს ადგილი აქვს იქ, სადაც სხვადასხვა სოციალური ძალის ინტერესების შეჯახებაა. მას შეიძლება ჰქონდეს ღია ფორმა, ან ლატენტური და ადგილი აქვს არამართო იქ, სადაც მხარეთა კონფლიქტების პოზიციები დიამეტრალურად სანინააღმდეგოა, არამედ ზოგჯერ იქაც, სადაც თანხმობა და თანამშრომლობაა.

კონფლიქტოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება დაკავშირებულია გერმანელი სოციოლოგის გეორგ ზიმელის სახელთან, რომელმაც მეცნიერებაში შემოიტანა გაგება, ტერმინი „კონფლიქტის სოციოლოგია“. ზიმელი გამოყოფს ურთიერთმოქმედებას, თანამოქმედებას, როგორც სოციოლოგიისა და სოციოფსიქოლოგიის ანალიზის, ძირითად საგანს, როგორც კონფლიქტის ბუნების გაგების საფუძვეს. კონფლიქტოლოგია წარმოადგენს კომპლექსურ მეცნიერულ დისციპლინას და შეისწავლის კონფლიქტების ბუნებას, არსს, წარმოქმნის მიზეზებს, მათი გამოვლენის ფორმებს და მათ აცილების გზებს. უდავოდ, კონფლიქტოლოგიის გამოკვლევებში, ცენტრალური ადგილი უჭირავს სოციალურ კონფლიქტს.

ბოლო პერიოდში კონფლიქტოლოგიის შესწავლით აქტიურად არის დაკავებული, მეცნიერები მრავალი ქვეყნიდან. მკვლევრები კონფლიქტისა და ტექნოლოგიების საერთო თეორიის შემუშავებას ცდილობენ, მათი პრევენციისა და გადაჭრის მიზნით. არსებობს ვრცელი ლიტერატურა კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციების ანალიზისა და კონფლიქტის მოგვარების ტექნიკის შესახებ. ბოლო დროს ათწლეულების განმავლობაში გაჩნდა მრავალი კვლევითი ცენტრი, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან კონფლიქტის პრობლემაზე. დღეს ისინი 300-ზე მეტია, მათ შორის შეიძლება აღინიშნოს

მშვიდობის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტი ოსლოში, სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი, ვენის მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი, პრობლემების კვლევის გეს-სენის ფონდი, რომელიც მშვიდობისა და კონფლიქტების პრობლემებს იკვლევს, კონფლიქტების მართვის ჯგუფი, ჰარვარდის სამართლის სკოლაში და ბევრი სხვა. კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა ტექნოლოგიები, მეთოდები, კონფლიქტური სიტუაციების ანალიზი შემოთავაზებულია რიგი სხვა მკვლევრების შრომებში. კერძოდ: დ. გოროვიცის, ს. ბორდმანის, დ. სკოტის, ი. გ. ბოუერის, გ. კელმანისა და სხვათა გამოკვლევებში. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში რუსმა მკვლევრებმა, კონფლიქტის ანალიზისა და გადაჭრის კუთხით, ინტენსიურად შეიძინეს გამოცდილება, განსაკუთრებით ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მიმართ, რაც ნაკარნახევია პოსტსაბჭოთა რუსეთის რეალობით.

რაც შეეხება ეთნიკურ და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს, გაეროს სოციალური განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ინიცირებით, 1990-იან წლებში მსოფლიოში

გამოვლინდა 223 ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, მათ შორის ზოგიერთი, ეთნონაციონალისტური, თუ სეპარატისტული კონფლიქტი იყო, ნაწილი – იბრძოდა სტატუსისთვის, ნაწილი კონფლიქტებისა იყო ჯგუფის ავტონომიისთვის ბრძოლის შედეგი, ნაწილი, რადიკალური რელიგიური მოძრაობებით იყო ინიცირებული. ამ კონფლიქტიდან ბევრი მათგანი, დღემდე არ მოგვარებულია.

## 9.1 კონფლიქტის ბუნება და ტიპები

როგორც ამბობენ კონფლიქტი არის თემა, რომელშიც ადამიანები ყველაზე მეტად არიან ჩართულები, ღმერთის და სიყვარულის შემდეგ, მაგრამ რას ვგულისხმობთ ტერმინში კონფლიქტი?

არსებობს ამ ტერმინის უამრავი განმარტება. მიუხედავად იმის, რომ ამ ტერმინმა განსხვავებული მნიშვნელობები შეიძინა. განსაზღვრებების უმეტესობას საფუძლად საერთო



თემა უდევს. კონფლიქტები მხარეებმა ასე უნდა აღიქვან: თუ არავინ არ აღიარებს კონფლიქტს, ზოგადად მიღებულია, რომ არავითარი კონფლიქტი არ არსებობს. ორი სხვა ნიშანთვისება, რომელსაც ეს განსაზღვრებები იზიარებენ, არის დაპირისპირება, ან შეუთავსებლობა, ასევე ურთიერთობის ზოგიერთი ფორმა.

კონფლიქტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც პროცესი. ის იწყება როდესაც ერთი მხარე აღიქვამს, რომ მეორე მხარე უარყოფით გავლენას ახდენს იმაზე, რასაც პირველი მხარე მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ეს განსაზღვრება მიზანმიმართულად ფართოა. ის ასევე მოიცავს ტერმინის პროცესს, რაც ნიშნავს, რომ კონფლიქტი არ არის იზოლირებული მოვლენა, მასში შედის მიზეზი, მოტივაცია და მოგვარება. ეს განსაზღვრება ნებისმიერ ქმედებაში იმ წერტილს ასახავს, როცა მხარეებს შორის ურთიერთობა კონფლიქტში „გადაიზრდება“. მეცნიერთა ერთი სკოლის მტკიცებით კონფლიქტი თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რადგან ის ჯგუფის ცუდ მუშაობაზე მიუთითებს.. ამ შეხედულებას ტრადიციულს უწოდებენ, მეცნიერთა მეორე სკოლა ადამიანური ურთიერთობის შეხედულება, ამტკიცებს, რომ კონფლიქტი ნებისმიერ ჯგუფში ბუნებრივ და გარდუვალ შედეგს წარმოადგენ, ამიტომ აუცილებელი არ არის, ის ცუდი იყოს უფრო მეტიც, მას აქვს შესაძლებლობა ჯგუფის ქმედითობის განსაზღვრაში დადებითი ძალა იყოს. მესამე და ყველაზე ახალი პერსპექტივა ვარაუდობს, რომ კონფლიქტი არამარტო დადებითი ძალაა, არამედ ცალსახად ამტკიცებს: ზოგიერთი კონფლიქტი აბსოლუტურად საჭიროა ჯგუფის ეფექტური მუშაობისათვის. ამ მესამე მიმდინარეობას ინტერაქციონისტურ შეხედულებას უწოდებენ.

კონფლიქტის შესახებ ადრინდელი შეხედულების მიხედვით, ყველა კონფლიქტი ცუდია. იგი უარყოფით მოვლენად მიიჩნეოდა და მას უარყოფით ქვეტექსტის გასაძლიერებლად ისეთი ტერმინების სინონიმად იყენებდნენ, როგორიცაა, ძალადობა, განადგურება და ირაციონალობა. ამ განსაზღვრებით კონფლიქტი საზიანოა და თავიდანვე უნდა იქნეს აცილე-

ბული. იმ დამოკიდებულებას, რაც 1930 და 1940-იან წლებში ჯგუფის ქცევაში დომინირებდა, ტრადიციულ შეხედულებას უწოდებდნენ. კონფლიქტი მიიჩნეოდა ცუდი კომუნიკაციის, ადამიანებს შორის გულწრფელობისა და ნდობის ნაკლებობის, დაქირავებულების საჭიროებებისა და მოთხოვნების მიმართ მენეჯერთა უყურადღებობის დისფუნქციურ შედეგად

კონფლიქტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც შეხედულებათა დაპირისპირება, ან უთანხმოება ორ ან მეტ მხარეს შორის ამა თუ იმ საკითხზე.

ადამიანური ურთიერთობების შეხედულება ამტკიცებდა, რომ კონფლიქტი ყველა ჯგუფსა და ორგანიზაციაში ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. რადგან კონფლიქტი გარდუვალი იყო, ადამიანური ურთიერთობების სკოლა მის მიღებას მხარს უჭერდა. მისი დამცველები რაციონალურ ახსნას აძლევდნენ კონფლიქტის არსებობას: კონფლიქტი არ აღმოიქმნება და ჯგუფის საქმიანობისათვის ხანდახან მას სარგებლობაც კი მოაქვს. 1940-იან წლების ბოლოდან 1960-იანი წლების შუა ხანებამდე კონფლიქტების თეორიაში ადამიანური ურთიერთობების შეხედულებები დომინირებდა.

ადამიანური ურთიერთობების შეხედულებები კონფლიქტს ეთანხმებოდა, ინტერაქციონისტური შეხედულება კი მხარს უჭერს კონფლიქტს, რადგან ჰარმონიულ, მშვიდობის მოყვარე, განონასწორებულ და კოოპერაციულ ჯგუფს მიდრეკილება აქვს სტატიკურობისა და გულგრილობისაკენ, შესაბამისად ცვილებებისა და სიახლეების საჭიროებებზე არ რეაგირებს. ინტერაქციონისტური შეხედულების მთავარი სარგებლობა არის ჯგუფის ლიდერების სტიმულირება კონფლიქტის იმ მინიმალურ დონის შესანარჩუნებლად, რაც ჯგუფის სიცოცხლის უნარიანობის. თვითკრიტიკულობისა და შემოქმედებითობისათვის საკმარისი იქნება.

ინტერაქციონისტური შეხედულება არ ამტკიცებს, რომ ყველა კონფლიქტი კარგია, მაგრამ ზოგი კონფლიქტი სტიმულს აძლევს ჯგუფის მიზნებს, აუმჯობესებს მის ქმედითობას. ესენია კონფლიქტის ფუნქციური, კონსტრუქციული ფორმები. ამის საპირისპიროდ, კონფლიქტები, რომლებიც

ხელს უშლის ჯგუფის ქმედითობას, კონფლიქტის დისფუნქციური, ანუ დეკონსტრუქციული ფორმებია. რით განსხვავდება ფუნქციური კონფლიქტი დისფუნქციურისაგან? – ფაქტები გვიჩვენებს, რომ მხედველობაში უნდა მივიღოთ კონფლიქტის სამი ტიპი:

- ამოცანის კონფლიქტი სამუშაოს შინაარსა და მიზნებთან არის დაკავშირებული. ხანგრძლივი დავა იმის შესახებ, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს, დისფუნქციური ხდება, როდესაც ჯგუფის წევრებისათვის გაურკვეველია თავიანთი როლები სამუშაო დავალების შესრულებაში. ისინი ამოცანის შესრულებისათვის საჭირო დროს წელავენ და მათი მუშაობა ერთმანეთს უპირისპირდება. ამოცანის კონფლიქტის დონე, რომელიც დაბალსა და საშუალოს შორისაა, დადებით გავლენას ახდენს ჯგუფის ქმედითობაზე, რადგან ჯგუფის წევრებს სტიმულს აძლევს სხვადასხვა მოსაზრების გარშემო იკამათონ, რაც ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს;
- ურთიერთობის კონფლიქტი, ადამიანთა შორის ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას. გამოკვლევების მიხედვით ურთიერთობის კონფლიქტი თითქმის ყოველთვის დისფუნქციურია. როგორც ჩანს, უთანხმოებაა ადამიანთა შორის, მტრობა, რომელიც ურთიერთობის კონფლიქტისთვისაა დამახასიათებელი, ადამიანებს შორის დაპირისპირებას ზრდის და ურთიერთ გაგებას ამცირებს;
- პროცესის კონფლიქტი იმას უკავშირდება, თუ როგორ სრულდება სამუშაო, თუმცა პროცესის კონფლიქტის დაბალი დონე და ამოცანის კონფლიქტის დონე დაბალიდან საშუალომდე ფუნქციურია. იმისათვის, რომ პროცესის კონფლიქტი პროდუქტიული იყოს, მისი დაბალი დონე უნდა შევინარჩუნოთ;

კონფლიქტის პროცესი მოიცავს ოთხ საფეხურს: პოტენციურ დაპირისპირებას ან შეუთავსებლობას, შემეცნებასა და პერსონალიზაციას, განზრახვებს, ქცევასა და შედეგებს.<sup>1</sup>

ადამიანები კონფლიქტს ყველაზე უფრო ხშირად აიგივებენ აგრესიასთან, მუქარასთან, მტრობასთან, ომთან და ა. შ. ამიტომ, ითვლება კონფლიქტი ყოველთვის არასასურველ მოვლენად და უნდა მოგვარდეს სასწრაფოდ წარმოშობისთანავე. ასეთი შეხედულებებია გამოთქმული მეცნიერული მართვისა და ადმინისტრაციული სკოლის წარმომადგენლების შრომებში.

განასხვავებენ კონფლიქტის ოთხ ძირითად ტიპს:

- პიროვნებათა შორისი კონფლიქტი;
- პიროვნების შიგნით კონფლიქტი;
- კონფლიქტი პიროვნებასა და ჯგუფს შორის;
- ჯგუფთა შორისი კონფლიქტი;

კონფლიქტი შეიძლება განიმარტოს, როგორც დაპისპირებულ მხარეთა შორის ინტერესების განხილვით წარმოშობილი უთანხმოება და შეჯახება, რომელიც მიმდინარეობს დროით და სივრცით განზომილებებში, სხვადასხვა ქცევითი სტრატეგიებისა და ტაქტიკების გამოყენებით, რომლის დროსაც დაპირისპირების ხარჯზე მხარეები ცდილობენ დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები.

კონფლიქტის სახეებია:

- დესტრუქციული (უარყოფითი) – თავს იჩენს სოციალური სისტემის სხვადასხვა დონეზე, რაც კავშირშია ძალადობრივ მეთოდებთან. სისტემაში დესტაბილიზაცია, კონფლიქტი აფერხებს სისტემის განვითარებას, საზოგადოებაში განხეთქილებას. კონფლიქტის ასე წარმართვა მეორდება, ფართოვდება და მოიცავს სოციალური სისტემების უფრო ფართო არეალს;

---

<sup>1</sup> სტევენ პ. რობინსი., ტიმოთი ა. ჯაჯი., ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბ., 2009, გვ. 274.

- კონსტრუქციული (დადებითი) – დაფიქსირებული წინააღმდეგობები მხარეთა მიერ გაცნობიერდეს და მოგვარების გზების ძიება დაიწყოს. დაადგინოს კონფლიქტის ესკალაციის დონე. ხელს უწყობს დაძაბულობის მოხსნას. ამ დროს კონფლიქტმა ინტეგრაციულ – გამაერთიანებელი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს;

კონფლიქტის წყარო სშირად რაიმე მოვლენა, ან ამბავია, რომელიც ხელს უწყობს მის განვითარებას. მოვლენა, რომელიც კონფლიქტს უდევს საფუძვლად შესაძლოა ცრუ საბაბს ეყრდნობოდეს, ძირითადი მიზეზი კი სხვა იყოს. კონფლიქტს თავისი შემადგენელი ატრიბუტები აქვს, ესენია კონფლიქტის ობიექტი, კონფლიქტის სუბიექტი და გარემო, სადაც კონფლიქტი მიმდინარეობს.

კონფლიქტის ტიპებია:

- ინფორმაციული კონფლიქტი – ინფორმაციის სიმცირე-შიჭარბესთან დაკავშირებული კონფლიქტებია. ინფორმაციის ხარისხი და დამახინ – ჯება ინვეს კონფლიქტს. ეს ინფორმაცია ერთი მხარისთვის მისაღებია, მეორისთვის – არა. კონფლიქტში ჩართულ მხარეებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებთან აქვთ შეხება. კონფლიქტი გადაიჭრება, თუ მხარეები იზრუნებენ ინფორმაციის საჯარო შეგროვებაზე;
- ინტერესთა კონფლიქტი – ინტერესთა კონფლიქტი ეხება კონფლიქტში ჩართული მხარეების ინტერესებს. თითოეულ მათგანს ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს სხვადასხვა მოსაზრება, ინტერესი. სანამ ეს ინტერესები ერთ წერტილში არ გადაიკვეთება, რთულია ამ კონფლიქტის დამთავრება;
- ინსტიტუციური კონფლიქტი – უკავშირდება წესებს, ნორმებს, კანონებს. ეს კონფლიქტი არსებობს მაღალი ინტენსივობით. მათი გადაჭრა დიდ რესურსებს მოითხოვს: მატერიალურს, ფიზიკურს, ინტელექტუალურს და ასე შემდეგ. კონფლიქტი გადაიჭრება, თუ სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულები შეთანხმებას არ შეც-

ვლიან. კონფლიქტის გადანყვეტაში გვეხმარება საჯარო განხილვა.

- ღირებულებებითი კონფლიქტი – დაკავშირებულია ღირებულებებთან. ეს ღირებულებები საზომია, რომლითაც გარკვეულ დამოკიდებულებებს ვავლენთ მოვლენების მიმართ რა არის კარგი ან ცუდი, სამართლიანი ან უსამართლო და ასე შემდეგ. ამ კონფლიქტის დროს ერთმანეთს უპირისპირდება თავისუფლება და წესრიგი, პირადი დისციპლინა და კონტროლი და ა. შ. ამ დროს კომპრომისი ძნელად მიიღწევა, თუ ეს არის შესაძლებელი;
- ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი – ურთიერთობის ცნებას კონფლიქტთან დაკავშირებით ფართოდ განვიხილავთ, რომელშიც ასევე შედის გარკვეულ თემთან, ჯგუფთან, პარტიასთან, იდენტიფიკაცია. მხარეებს შორის ურთიერთქმედებით უკმაყოფილებასთან გვაქვს საქმე, ეს კონფლიქტი ძირითადად ემოციური ხასიათს ატარებს. მათი მოგვარება პირველ რიგში ემოციების რეგულაციას მოითხოვს;

განვიხილოთ ესკალაცია და დეესკალაცია: ესკალაცია ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს გაძლიერებას, მუქარას, აგრესიას. ესკალაცია თავისი ბუნებით რეგრესული ხასიათისაა. ხდება მაშინ, როდესაც მიმდინარეობს დესტრუქციული კონფლიქტი. ამ დროს მიმდინარეობს სწრაფი ესკალაცია და კონფლიქტი მალე სრულდება, მას ინტენსივობის სხვადასხვა დონე აქვს. ჩვეულებრივ იწყება ინციდენტით და შესაძლოა დამთავრდეს შეტაკებით, ბრძოლით.

დეესკალაცია კი მიმდინარეობს მაშინ, როდესაც მხარეები მიხვდებიან, რომ უპირატესობის მოპოვება შეუძლებელია და იწყებენ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრს. ამ დროს მნიშვნელოვანია მხარეების პირდაპირი კონტაქტი, რათა დაინყოს საერთო მიზნების მისაღწევი გზების ძიება. ყოველდღიურობაში კონფლიქტი უარყოფითად აღიქმევა. ასეთი დატვირთვით ის ყოველთვის წინააღმდეგობაა, დაპისპირებაა და ასოცირდება ძალადობასთან, ზოგ შემთხვევაში ძალადობის შემ-

ცველ ცნებადაც გამოიყენება. სწორედ, აქედენ გამომდინარე, ადამიანები კონფლიქტს დესტრუქციულ ძალად აღიქვამენ და შესაბამისად აუცილებლად მიიჩნევა მისი გადაჭრა, სრულად მოგვარება ან მისგან გაქცევა. ამავე დროს კონფლიქტის არსებობის მეორე მხარეც არსებობს, რომელსაც პოზიტიური დატვირთვა აქვს.

ქცევითი სტრატეგიების კუთხით კონფლიქტში სამი სახის ქცევითი სტრატეგია იკვეთება – შეტევა, პრობლემის გადაჭრა, დათმობა. შეტევის სტრატეგია გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთი მხარე საკუთარი მიზნის მიღწევისათვის მეორე მხარის ინტერესებს არ ითვალისწინებს (იგნორირება, ხშირად გამოიყენება მუქარა, შანტაჟი), პრობლემის გადაჭრის სტრატეგია გულისხმობს მხარეთა ერთობლივ მუშაობას, რათა გამოინახოს საერთო ინტერესები და ბოლოს, დათმობის სტრატეგია გულისხმობს ერთი მხარის მიერ საკუთარი ინტერესების შეზღვევდას, რათა შეინარჩუნოს ოპონენტთა ურთიერთობა.

კონფლიქტში იკვეთება ხუთი ქცევითი სტრატეგია:

1. განრიდება – პრობლემებისაგან გაქცევა. ერთ-ერთი მხარე არც კოპერაციასა და არც მიზანზეა ორიენტირებული. იგი მოქმედებას იქითკენ წარმართავს, რომ კონფლიქტს გაექცეს, თავის იზოლაცია მოაქციოს („სირაქლემის“ პოლიტიკა) გამოიყენება მაშინ, როცა საქმე გვაქვს მაღალი დონის ესკალაციასთან, ასევე მაშინ, როდესაც მართალია მხარისათვის მნიშვნე – ლოვანია კონფლიქტის შედეგი, მაგრამ უპირატესობას საკუთარ იმიჯს ანიჭებს. გარდა ამისა, ეფექტურია კონფლიქტში გადაწყვეტილების მიღება სიმართლიდან გამომდინარე;
2. კონკურენცია – ერთი მხარე დომინირებულია. ხორციელდება შეჯიბრი, ბრძოლა და სხვ. ეს სტრატეგია გულისხმობს ერთი მხარის დომინირებასა და უმეტეს შემთხვევაში, მეორე მხარის განადგურებას. მაგალითად, ქვეყნებს შორის შეარაღების ზრდა, პრინციპი:

„მე უნდა გავიმარჯვო, შენ კი აუცილებლად უნდა დამარცხდე“;

3. თანამშრომლობა – ყურადღება ექცევა მიზნებსა და კოოპერირებას. მიზანია ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს. ამ სტრატეგიის მთავარი კომპონენტია ის, რომ ყველა მხარე თავისი სურვილით არის ჩართული კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ასეთი კონფლიქტი ხშირად დებატებს ემსგავსება, რომელსაც მოსდევს კონსესუსი;
4. შეგუება – ერთი მხარე თმობს. ამ შემთხვევაში მიზანზე ორიენტაცია ნაკლებია, ხოლო ურთიერთობაზე ორიენტაცია მაქსიმუმს აღწევს. ერთი მხარე კოოპერირების შესანარჩუნებლად თმობს თავის ინტერესებს, რათა მეორე მხარის კეთილი განწყობა შეინარჩუნოს. პრინციპი: „შენ, რომ მოიგო მე უნდა წავაგო“. დამთმობი მხარე ცდილობს კეთილი განწყობა შეინარჩუნოს, რისთვისაც მიმართავს ყველა სახის ხერხს;
5. კომპრომისი – რესურსები 50/50-ზე განაწილდება. აქ ურთიერთდათმობა გარკვეული ხარისხით ხორციელდება, ანუ დავის მიზეზი ორივე მხარეზე ერთნაირი დონით იყოფა (საშუალო პოზიცია ძირითადად ვაჭრობით მიიღწევა). პრინციპი: „რამე რომ მივიღოთ, ყოველმა ჩვენგანმა, რაღაც უნდა დავთმოთ.“

კონფლიქტის სტრატეგიების პრინციპი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

**„მოგება – წაგება“** – კონფლიქტში ჩართული ერთი მხარე თვლის, რომ მისი მოგება მიიღწევა მხოლოდ მეორე მხარის წაგების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი ჰგავს ბრძოლას.

**„წაგება – მოგება“** – კონფლიქტის ერთი მხარე თავიდანვე მიმართულია წაგებისაკენ, ის ეგუება მდგომარეობას. მეორე მხარე მიმართავს მანიპულაციას.



**„ნაგება – ნაგება“** – ამ სტრატეგიით ძირითადად კომპრო-  
მისული მოქმედებები ხასიათდება. კონფლიქტის გადაჭრა  
ორივე მხარის ნაგებაზე წასვლაა, სადაც ერთი თმობს და მე-  
ორეც. შესაძლოა კონფლიქტში მხარეთა დაშორება მოხდეს,  
მაგრამ შედეგი ორივესთვის წამგებიანი იყოს.

**„მოგება – მოგება“** – ურთიერთთანამშრომლობის დროს  
კონფლიქტი შეიძლება ისე წარიმართოს რომ ორივე მხარე  
მოგებული დარჩეს. ამ დროს მხარეები მიდიან ისეთ გადან-  
ყვეტილებამდე, რომელიც ორივე მხარე ინარჩუნებს პოზიცი-  
ას და ინტერესს.

კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა არსებობს  
ყველგან, სადაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი დამო-  
კიდებულია მეორე ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე, დავა-  
ლებათა შესრულების პროცესში. კონფლიქტის წარმოშობის  
მიზეზი ხშირად ხდება ადამიანთა მიერ ყურადღების გამახვი-  
ლება მხოლოდ იმ შეხედულებებზე, ალტერნატივებზე და სი-  
ტუაციაზე, რომელსაც ისინი თვლიან სასარგებლოდ, მათი  
ჯგუფებისა და პირადად თავისთვის.

კონფლიქტი ძალიან ხშირად გამონეულია ადამიანთა  
განსხვავებული შეხედულებებით. სხვაობამ ქცევის მანერებსა  
და ცხოვრებისეულ გამოცდილებაში, ასევე შეიძლება გამოიწ-  
ვიოს კონფლიქტი. ადამიანთა შორის ურთიერთგაგება მცირ-  
დება, თუ დიდად განსხვავებულია განათლების დონე და სხვა  
სოციალურ ნიშან თვისებები.

## **9.2 ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის არსი**

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ და ეთნოპოლიტიკური  
კონფლიქტებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, მკვლევრებმა მათ  
კვლევას საკმაოდ გვიან მიმართეს. ეთნიკურმა კონფლიქტმა  
მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო კლასობრივი, შრომითი და  
სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გაანალიზების შემდეგ.  
ნათან გლეიზერმა და და დანიელ მოინიჰენმა, განაცხა-  
დეს, რომ ეთნიკურობა არის „სტრატეგიკაციის უფრო ფუნ-  
დამენტური წყარო“, ვიდრე საზოგადოების კლასობრივი ბუ-

ნება და, შესაბამისად, ეთნიკურობა და ეთნიკური კონფლიქტი დღეს და მომავალში არ დაკარგავს აქტუალობას.

ეთნიკური კონფლიქტების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ ესკალაციაში განმეორებადი ნიშნები და ეტაპებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ამოვიცნოთ შაბლონები, მსგავსი ტიპის კონფლიქტები.

ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობისა და ესკალაციის განმარტებით მოდელებში იკვეთება ეთნიკურობის ძირითადი თეორიების გავლენა – პრიმოდიალიზმი, ინსტრუმენტალიზმი და კონსტრუქტივიზმი.

პრიმორდიალისტური მიდგომის ფარგლებში ეთნიკური კონფლიქტი, როგორც წესი, განიხილება, როგორც „ძველი მტრობის გამოვლინება. უძველესი ჯგუფთაშო – რისი წინააღმდეგობები, უძველესი მტრობა, რომლის დათრგუნვა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმების ძალით შეიძლება. როგორც კი რეჟიმები სუსტდება, უძველესი მტრობა თავს გვახსენებს განახლებული ენერგიით. ლოგიკის გათვალისწინებით, კონფლიქტი სერბებსა და ხორვატებს შორის აიხსნება ამ ხალხების წარმომადგენლების ერთმანეთის მიმართ სიძულვილით. ასევე ყარაბაღის კონფლიქტის მიზეზი – სომხებისა და აზერბაიჯანელების სიძულვილია ერთმანეთის მიმართ. ამ მოსაზრებათა მომხრეთა აზრით ეს კონფლიქტები გარდაუვალი იყო. ტიტოს რეჟიმმა იუგოსლავიაში, მხოლოდ ცოტა ხნით შეეძლო, ამ ხალხებს შორის მტრობის აღკვეთა, მაგრამ ვერ შეეძლო მისი ღრმა საფუძვლების აღმოფხვრა.

ინსტრუმენტალისტური მიდგომის მომხრეებს ეთნიკურობა ესმით, არა როგორც პირველყოფილი (ბუნებრივი) არსი, არამედ როგორც ინსტრუმენტი და რესურსი, რომელიც გამოიყენება ჯგუფებს შორის შეჯიბრების პროცესში. თავად ეთნიკური წარმომავლობა არ არის მათი აზრით, კონფლიქტების მიზეზი. ეთნიკური კონფლიქტი განიხილება არა ჯგუფის იდენტობების შეუთავსებლობის, არამედ ჯგუფთაშორისი მეტოქეობის შედეგი, ეკონომიკური ან ბუნებრივი რესურსების ფლობისთვის, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც ჯგუფებს არათანაბარი წვდომა აქვთ ძალაუფლებაზე, სიმ-

დიდრეზე და სოციალურ მდგომარეობაზე. ამ მხრივ, სერბებსა და ხორვატებს შორის კონფლიქტის ახსნა არ ჰგავს უძველესი მტრობის გამოვლინებას, არამედ, როგორც ორი სოციალური ჯგუფის შეჯახება, რომელთა ეთნიკურობა, ე. ი. კუთვნილება სერბული და ხორვატთა ეთნიკურ თემებთან, პოლიტიკური ლიდერების მიერ გამოყენებული იყო, როგორც პოლიტიკური მობილიზაციის იარაღი.

ეთნიკური კონფლიქტის კონსტრუქტივისტული გაგებაც, ინსტრუმენტალისტის – ტურის მსგავსად, ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ეთნიკურობა თავისთავად არ ინვესტს კონფლიქტს. კონფლიქტების წარმოქმნასა და ესკალაციას გადამწყვეტად განსაზღვრავს ელიტების ქმედებები, რომლებიც ახდენენ ეთნიკურობის მობილიზებას და იყენებენ მას საკუთარი მიზნების მისაღწევად.

კომპლექსური ხასიათის, ყველაზე ცნობილი ეთნიკური კონფლიქტის თეორიები-დან უნდა გამოიყოს ჯოზეფ როტშილდის, დონალდ გოროვიცის, ტედ გუურის, გიუნტერ შლეეს შრომები.

ეთნიკური სტრატეგიკაციის თეორიაში პირველად ჯოზეფ როტშილდის მიერ იყო შემოთავაზებული, რომ განხილული იყოს, ეთნიკური ჯგუფები და სახელმწიფო, როგორც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის სუბიექტები. ამავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა, როგორც რესურსის პოტენციალურ ანალიზს, ასევე ჯგუფის პოლიტიკური მობილიზაციის შესაძლებლობებს. მეცნიერის აზრით, ეთნოპოლიტიკური წარმატება და აქტიურობა დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ რესურსებზე, რომლითაც ჯგუფს შეუძლია ოპერირება. გარდა ამისა, აუცილებელია ჯგუფის შემადგენლობისა და მისი სოციალურ-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინება.

დონალდ გოროვიცის ეთნიკური კონფლიქტის სოციალურ – ფსიქოლოგიურ თეორიაში, მთავარი ყურადღება ეთმობა სოციალურ – ფსიქოლოგიურ დინამიკას. გოროვიცის მიხედვით, ეთნიკურობას განსაკუთრებული, უნიკალური დინამიკა აქვს იმის გამო რომ იგი ასოცირდება კოლექტიურ

ემოციებთან. მოცემული გარემოება იწვევს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის რაციონალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები შეიძლება შემცირდეს, უკანა პლანზე გადავიდეს და კონფლიქტის პროვოცირებასა და ესკალაციაში გამოიკვეთოს ემოციური ფაქტორები. ეთნიკური კონფლიქტის დინამიკაში იკვეთება ორი ქცევის მექანიზმის მოქმედება: სოციალურ – ფსიქოლოგიური და ინსტიტუციური. ეთნიკური კონფლიქტი წარმოიქმნება ჯგუფის ემოციური რეაქციის გამო, რომელიც ეფუძნება ჯგუფურ სოლიდარობას, როდესაც ჯგუფის წევრები ცდილობენ დაიცვან გარკვეული საერთო ღირებულებები, რომლებიც ზოგჯერ სიმბოლური ხასიათისაა. შემდეგ ემოციური რეაქცია და ჯგუფური სოლიდარობა გარდაიქმნება საქვეყნო საქმიანობად, ფორმალიზებულ პოზიციებად და პრეტენზიებად, რომელთა განსახორციელებლად იქმნება შესაბამისი სტრუქტურები.

ეთნიკური კონფლიქტის გაანალიზების ყველაზე მასშტაბური მცდელობა, ტედ გურმა წამოიწყო, თავის ნაშრომში, „უმცირესობები, როგორც რისკის ჯგუფი“. ეს ნამუშევარი აგებულა, პოლიტიკურ ქცევაზე დაყრდნობით, 233 ეთნიკური ჯგუფების შესწავლაზე, 1945 წლიდან 1989 წლამდე. გურის კონცეფციის საკვანძო პოზიციაა იმის მტკიცება, რომ ეთნოპოლიტიკური მოქმედება მოტივირებულია ხალხის ღრმად ფესვგადგმული უკმაყოფილებით, მათი კოლექტიური სტატუსით, რაც აქცენტირებულია და სტიმულირდება ჯგუფის ლიდერებისა და ეთნიკური ანტრეპრენერების მიერ.

ეთნიკური კონფლიქტი – სოციალური კონფლიქტების განსაკუთრებული ფორმაა. ეთნიკურ კონფლიქტებს ახასიათებ უნარი თავის ორბიტაში ჩაითრიოს საგნობრივი მხარეები, სხვა ტიპის კონფლიქტის ობიექტები და წმინდა სახით ხშირად არ გვხვდება. მსოფლიო ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ კონფლიქტებმა შეიძლება მნიშვნელოვანი მასშტაბები შეიძინოს, რომ ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტი ამავდროულად წარმოადგენს ეთნოპოლიტიკურს. ამასთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანია კითხვა, საკუთრივ რა არის ეთნიკური, ეთნიკურ (ეთნოპოლიტიკურ)

კონფლიქტებში, რომელიც გერმანელმა სოციალ ანტროპოლოგმა გიუნტერ შლეემ დასვა. მისი აზრით, შეხედულებებისა და პოზიციების ერთობლიობა, დაკავშირებული ეთნიკურობის, როგორც, „განხეთქილების დეზინტეგრაციის“ მიზეზის განსაზღვრა შეიძლება ექვს ძირითად დებულებაში ჩამოყალიბდეს:

1) ეთნიკური განსხვავებები, ეთნიკური კონფლიქტების ძირითადი მიზეზია;

2) სხვადასხვა ხალხის წეს – ჩვეულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები ასახავს უძველეს, მემკვიდრეობით და ღრმად ფესვგადგმულ ანტაგონიზმს;

3) ეთნიკურობა უნივერსალურია, ე. ი. ნებისმიერი ადამიანი ეკუთვნის ამათუიმ ხალხს;

4) ეთნიკურობა ასკრიპტულია, ანუ, როგორც წესი, ადამიანს არ შეუძლია შეიცვალოს მისი ეთნიკური წარმომავლობა;

5) ხალხი წარმოშობით საზოგადოებას, ერთობას, წარმოდგენს;

6) ეთნოსები, ეთნიკური ჯგუფები ტერიტორიალურია, ისინი მიბმულია გარკვეულ ტერიტორიასთან და ესწრაფვიან ეროვნულ სუვერენიტეტს, თუმცა თითქმის ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულება, შეიძლება სადავო გახდეს. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოქმნასა და გამწვავებაში ეთნიკური განსხვავებების მნიშვნელობასთან დაკავშირებით განცხადებებთან კამათი, ახსნის მცდელობებით, მათი გაჩენის ღრმა ისტორიული პირობითობაა, მეცნიერი შლეე იუგოსლავიის მაგალითს ეყრდნობა. ითვლება, რომ იუგოსლავიის კრიზისი, თანამედროვე კონფლიქტების, კლასიკური ეთნოპოლიტიკური მაგალითია

ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი სიტუაცია ბოსნიაში იყო, რომელსაც გიუნტერ შლეე უწოდებს, „იუგოსლავიის მინიატურაში“. ომის წინა პერიოდის კვლევებმა აჩვენა, რომ მიმდინარეობდა იუგოსლავიის ეთნიკური ეროვნებების თანდათა-

ნობით გაქრობა და ერთიანი იუგოსლავიის ხალხის ფორმირების პროცესი.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ეს პროცესი სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა, მაგრამ აშკარა იყო. ბოსნიაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა 1990-იან წლებამდე მნიშვნელოვან მნიშვნელობას არ ანიჭებდა ეთნიკურ ფაქტორს. არსებითად, ეთნიკურობა ადგილობრივ სერბებს, ხორვატებსა და მაჰმადიანებს პოლიტიკოსების ძალისხმევით დაეკისრათ და წარმოსახვითი კულტურული განსხვავებები გახდა რეალური საფუძველი, არა მხოლოდ თემების დაყოფისა, არამედ მათი ძალადობრივი დაპირისპირების გამო სამოქალაქო ომის მიმდინარეობა.

თანამედროვე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებია განსხვავებები თანამედროვე ერების ბუნების გაგებაში.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უფრო კონკრეტული მიზეზებია ეთნიკური სეპარატიზმი, ბრძოლა ჯგუფის სამართლებრივი სტატუსისთვის, ჯგუფური ავტონომიის მოპოვების სურვილი.

კულტურული განსხვავებებით, თანამედროვე მანიპულირება და ეთნიკური წარმომავლობის პოლიტიკური მობილიზაცია არ შეიძლება გამორჩეული იყოს.

რეალური ეთნიკური დაპირისპირებების მიზეზები, შეიძლება იყოს საუკუნეების ისტორია და რომლის მესხიერებაც შეგნებულად იყო მობილიზებული, ყველაზე დრამატულად სიძულვილით გაღვივება, მონაწილეობის სურვილით კონფლიქტში.

თანამედროვე ეპოქის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები მრავალრიცხოვანია და მიმდინარეობს პლანეტის ყველა რეგიონში, რაც ძირს უთხრის როგორც ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების სტაბილურობას, ასევე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და ცხოვრების მაღალი დონის, ავტორიტარული და განუვითარებელი დემოკრატიების, ისე კლასიკური დემოკრატიების ქვეყნებს. ზოგიერთი თანამედროვე კონფლიქტისა და ეთნოპოლიტიკური მოძრაობის ისტორიული

ფესვები მდგომარეობს, წინააღმდეგობაში სოციალური სტრუქტურის ეთნიკურ და პოლიტიკურ პრინციპებს შორის, რაც არსებითად წარმოადგენს წინააღმდეგობას ეთნოსებს, ეთნიკურ ჯგუფებსა და ევროპული ტიპის ფორმირებად ერებს შორის.

შემთხვევითი არ არის, რომ ეთნიკური ნაციონალიზმი, როგორც ფუნდამენტური

იდეოლოგიური პრინციპი ხელს უწყობს სინონიმის „ეთნოსისა“ და „ერის“ ცნებებს შორის ტოლობის აღქმას. ეს წინააღმდეგობა ბევრ ქვეყანაშია, მიუხედავად მათი დონისა, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისა. განსაკუთრებით მწვავედ გვხვდება იმ ქვეყნებში, სადაც რთული ეთნიკური შემადგენლობაა და ნაციონალური მშენებლობის პროცესი არ დასრულებულა. ე. ი. ქვეყნის მოსახლეობას არ აქვს სათანადო ხარისხით ეროვნული (სახელმწიფოებრივი და არა ეთნიკური) იდენტობის გაგება.

ქვეყნებში, სადაც არის დიდი ეთნიკური ანკლავები, განვითარების მაღალი დონით და უკმაყოფილო პოლიტიკური მოთხოვნები, არსებობს არა მხოლოდ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის პოტენციური, არამედ თვით სახელმწიფოს მთლიანობის საფრთხეც.

ეთნიკური კონფლიქტი – მოქალაქის დაპირისპირების ფორმაა, როგორც შიგასახელმწიფოებრივ, ისე ტრანსსახელმწიფოებრივ დონეზე, რომელშიც თუნდაც ერთი მხარე ორგანიზებულია, და მოქმედებს ეთნიკური ნიშნით, ეთნიკური თემის სახელით.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი – სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ბრძოლაა, რომელიც ორგანიზებულია ეთნიკური პრინციპით, და ეს პრინციპი ხდება მათი იდეოლოგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობის საფუძველი.

### **9.3 ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტიპები**

ჯგუფთაშორისი ურთიერთობები შედგება კონფლიქტისა და თანამშრომლობის განუყოფელი რგოლისაგან, მაგრამ ნე-

ბისმიერი საზოგადოების მთავარ პრობლემას მრავალი კონფლიქტი წარმოადგენს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, „ჯგუფთაშორისი კონფლიქტები“, გომებაში, წარმოგვიდგება რევოლუციები, რელიგიური შეუწყნარებლობა, ეთნიკური შეტაკებები, სქესთა მეტოქეობა, მწვავე შრომითი დავები. რუს – ამერიკელმა სოციოლოგმა პ. სოროკინმა გამოთვალა, რომ კაცობრიობის ისტორიაში 24 საუკუნის განმავლობაში ოთხ მშვიდობიან წელზე, ერთი წელი ხასიათდება ძალადობრივი კონფლიქტებით – ომები, რევოლუციები, არეულობები.

ეთნოპოლიტიკური და რეგიონული ცენტრის გამოკვლევების მონაცემებით პოსსაბჭოურ სივრცეში ადგილი ჰქონდა 100-ზე მეტ მწვავე კონფლიქტს, რომელთა შორისაც ექვსი რეგიონული ომი (ყარაბახის, აფხაზეთის, ტაჯიკეთის, სამხრეთ ოსეთის, ჩეჩნეთის დნესტრისპირეთის კონფლიქტები), რომელსაც მიემატა რუსეთ – უკრაინის კონფლიქტიც.

ჯგუფთაშორისი (ან სოციალური, სიტყვის ფართო გაგებით) კონფლიქტებიდან ჩვეულებრივ გამოირჩევა:

■ პოლიტიკური კონფლიქტები, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობს ძალაუფლების – თვის, გავლენის, ავტორიტეტის დომინირებისათვის;

■ სოციალურ – ეკონომიკური (ან სოციალური ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) – „შრომასა და კაპიტალს შორის“, მაგალითად, პროფკავშირებსა და დამსაქმებლებს შორის;

■ ეთნიკური – ეთნიკური თემების უფლებებისა და ინტერესების მიზეზით;<sup>1</sup>

ეთნიკური კონფლიქტების ძირითადი მახასიათებლები, მას აახლოებს სხვა ტიპის სოციალურ კონფლიქტებთან, რამდენადაც მის საფუძველშია, ჯგუფებს შორის ძალაუფლების, შესაძლებლობებისა და რესურსების არათანაბარი განაწილება. ნებისმიერი კონფლიქტი, ფსიქოლოგიურ დონეზე გა-

---

<sup>1</sup> Здравомыслов А. Г. Этнополитические процессы и динамика национального самосознания россиян // Социологические исследования. 1996. № 12. с.23-32.



მოვლინდება ინტერესთა აღქმის სხვადასხვაობით, შეუთავსებლობით, რაც იწვევს სოციალური იდენტურობის აქტივიზირებას, მის ჯგუფოცენტრული ატრიბუტული პროცესებთან ერთად.

აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს, რომ ეთნიკური კონფლიქტები განსაკუთრებულობით ხასიათდება, ატარებს სოციოკულტურულ ხასიათს ენობრივი, რელიგიური, ადათ – ნესებისა და მენტალური თავისებურებების ჩართვით ეთნიკური თემების კონფლიქტში. მაგალითად, ბევრი მსგავსი კონფლიქტის საფუძველში დევს უთანხმოება, ენის გამოყენების მიზეზით და ენობრივი პოლიტიკის გატარებაში. ეთნოშორის დაძაბულობას, ხშირად თან ახლავს კონფესიათაშორისი დაძაბულობაც. ეთნიკური კონფლიქტები მწვავედება, კონფლიქტში ჩართული მხარეების მიერ, უპირატესობის მინიჭებით, მათი დარეგულირების სხვადასხვა საშუალებებზე: ერთ კულტურაში შეუძლიათ უპირატესობა მოანიჭონ კონფლიქტის თავის არიდებას, ხოლო მეორეში – პირდაპირ კონფროტაციას.

არსებობს ეთნიკური კონფლიქტების სხვადასხვა კლასიფიკაცია. როცა ტიპოლოგიის საფუძველად იღებენ ბინადრობის ტერიტორიას და სახელმწიფო, ან ადმინისტრაციული საზღვრების არსებობა/უქონლობას, მაშინ კონფლიქტების შემდეგი ტიპები გამოიყოფა: – სახელმწიფოთაშორისი;

– ეთნოსებსშორისი, რეგიონული, გამოყოფილი ადმინისტრაციული საზღვრით, მთლიანი სახელმწიფოს ჩარჩოში;

– ცენტრსა და რეგიონსშორისი;

– ადგილობრივი;<sup>1</sup>

კონფლიქტში ჩართული მხარეების მოქმედების ხასიათისა და სახის მიხედვით ე. ა. პაინი და ა. ა. პოპოვი გამოყოფენ ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ ტიპებს:

1. სტერეოტიპების კონფლიქტი, როცა ეთნიკური ჯგუფები ოპონენტთან ურთიერთობაში ქმნიან “არამეგობრული მეზობლის” ნეგატიურ სახეს (სოციოლოგებმა ღია კონფლიქ-

---

<sup>1</sup> Козырев Г. Введение в конфликтологию, М., 1999.

ტამდე დააფიქსირეს ურთიერთ მტრის სახე“ სომხებსა და აზერბაიჯანელებში);

2. „იდეათა“ კონფლიქტი – ეთნიკური ჯგუფების მიერ წამონეული, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ან რომელიმე ტერიტორიის მოთხოვნით (როგორც ეს იყო ჩრდილო ოსებსა და ინგუშებს შორის)

3. მოქმედებათა კონფლიქტი – ეთნიკური მოძრაობების მიტინგები, დემოსტრაციები, ღია უთანხმოებები ოპონენტებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან;<sup>1</sup>

მიზნით კლასიფიკაციისას, რომელსაც ისახავენ რესურსების შეზღუდულობით ბრძოლაში, კონფლიქტში ჩართული მხარეები, შეიძლება დაიყოს შემდეგ ტიპებად:

– სოციალურ-კონომიკური, რომელშიც წამოყენებულია სამოქალაქო თანასწორობის მოთხოვნები (მოქალაქეთა უფლებებიდან, ეკონომიკური მდგომარეობის თანასწორობამდე);

– კულტურულ-ენობრივი, რომლის დროსაც წინაპლანზეა წამონეული ეთნიკური თემის კულტურის მოთხოვნები, რომელიც ეხება ენის ფუნქციის შენარჩუნებას, ანდა აღორძინებას;

– პოლიტიკური, თუ მასში მონაწილე ეთნიკური უმცირესობები მოიპოვებენ პოლიტიკურ უფლებებს(ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ავტონომიიდან, სრულმასშტაბიან კონფედერალიზმამდე);

– ტერიტორიული – საზღვრების ცვლილების მოთხოვნის საფუძველზე მიერთება სხვა „მონათესავე“ კულტურულ – ისტორიული თვალთახედვით – სახელმწიფოსთან, ანდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა;<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Аклаев А.Р. Язык в системе национальных ценностей и интересов // Духовная культура и этническое самосознание наций / Под ред. Л.М.Дробизевой. М.: Институт этнографии АН СССР, 1990. Вып. 1.с.12-38.

<sup>2</sup> Ямское А.Н. Этнический конфликт: проблемы дефиниции и типологии // Идентичность и конфликт в постсоветских государствах / Под ред. М.Б.Олкотт, В.Тишкова, А.Малашенко. М., Моск. Центр Карнеги. М., 1997. с. 205–224.

თითოეულ კონფლიქტს თავისი მახასიათებლები აქვს, მაგრამ არსებობს მიზეზები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვაზოგადოთ და არსებული მრავალსახეობის ტიპოლოგია მოვახდინოთ.

კონფლიქტის წყაროებია ძალაუფლება, სიმდიდრე, ღირსება, უფრო სწორად, ამ რესურსების სიმცირე და მათი უსამართლო განაწილება (რეალური ან წარმოსახვითი), რომელიც წარმოქმნის სოციალურ დაძაბულობას საზოგადოებაში, იწვევს კონფლიქტური სიტუაციების ფორმირებას და წინააღმდეგობებს, სოციალური ჯგუფების ურთიერთობებში.

პრინციპში, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგია არ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგიისგან, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია სუბიექტისა და ობიექტის სხვაობა. პოლიტიკურ კონფლიქტოლოგიაში გამოიყოფა კონფლიქტების სამი ძირითადი ტიპი: სახელმწიფო-სამართლებრივი, სტატუსის როლი და პოლიტიკური კულტურების კონფლიქტები.

1. კლასიფიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროთი. მოცემული კლასიფიკაციის თანახმად გამოიყოფა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კონფლიქტები, მაგრამ ბევრი კონფლიქტი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მივაკუთვნოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს, ვინაიდან ისინი ეხება ეკონომიკასაც, პოლიტიკასაც და კულტურის სფეროსაც.
2. კლასიფიკაცია საგანისა და ობიექტის მიხედვით. ის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც დამატება, „სფეროს“ მიხედვით კლასიფიკაციისა, ასევე როგორც კლასიფიკაციის დამოუკიდებელი საშუალება, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონფლიქტებს მკვეთრად გამოხატული, „სფეროთაშორისი“ ხასიათი აქვს.
3. კლასიფიკაცია სუბიექტ-მატარებელის მიხედვით. კლასიფიკაციის ამ ტიპის მიხედვით გამოყოფენ კონფლიქტებს ერთგვაროვანი და მრავალგვაროვან სუბიექტებს შორის.

პირველი ტიპის კონფლიქტები მოიცავს, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსებსა და ინგუშებს შორის კონფლიქტი, ყირიმში პრორუსულ და პროუკრაინულ მოქალაქეებს შორის კონფლიქტი. ეს არის ჩვეულებრივ კონფლიქტი, „ჯგუფისა ჯგუფის წინააღმდეგ“.

მეორე ტიპს მიეკუთვნება ისეთი ტიპის კონფლიქტები, სადაც მოქმედებენ ისეთი სხვადასხვა ხასიათის სუბიექტები, რომლებსაც, მაგალითად, მიეკუთვნება ეთნიკური უმცირესობები, ანდა არატიტულოვანი ეთნოსი და ოპონენტის კუთხით კი – ტიტულიანი ერი (ხალხი), ანდა მისი სახელმწიფო ინსტიტუტები. ეს ტიპი შეიძლება აღინიშნოს როგორც, „ჯგუფი სახელმწიფოს წინააღმდეგ“.

მესამე ტიპის კონფლიქტები მოიცავს, მაგალითად, კონფლიქტს ბრიტანელ პროტესტანტებსა და კათოლიკე ირლანდიელებს შორის ოლსტერში ჩრდილოეთის მფლობელობის გამო, ირლანდია. ბრძოლა სამხრეთ სუდანის ქრისტიანებსა და ქვეყნის ჩრდილოეთის მაჰმადიან მოსახლეობას შორის, რომელიც მთავრდება დანანევრებით. სახელმწიფოები, დავები ტრანსილვანიის ადმინისტრაციულ და კულტურულ სტატუსზე, სადაც ეჯახება რუმინელებისა და უნგრელების ინტერესები, ან კონფლიქტი ტამილებსა და სინჰალებს შორის შრი – ლანკაში.

გარდა ამისა, ეთნიკური კონფლიქტები შეიძლება ტიპოლოგირებული იყოს ისეთ საფუძველზე, როგორცაა დინამიკის თავისებურებები, ლოკალიზაციის ხარისხი და სხვ.

ეთნოპოლიტოლოგების განხილვებში საერთოა იმ ფაქტის კონსტანტაცია, რომ 1980-იანი წლების შუა პერიოდში განხორციელდა ეთნოსების „აფეთქება“. ეს აფეთქება ეთნიკური ჯგუფების მხრიდან, პასუხი იყო არათანაბარ ხელმისაწვდომობაზე, სოციალურ სიკეთესთან და ხელისუფლებასთან. განსაკუთრებული მასშტაბით ეთნოპოლიტიკური პრობლემები გამოვლინდა ყოფილ სსრკ-ში, თუმცა ისინი გამწვავდა ბევრ სხვა ქვეყანაშიც. გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარდამტეხ, კრიზისულ ეპოქებში ეთნიკური იერარქია ინგრევა, დომინანტური ჯგუფების პოზიციების შესუსტება შესაძლებლობას იძ-

ლევა მინორიტალურმა გაერთიანებებმა, უპირველესად, ეთნიკურმა, მიაღწიოს თავიანთი სტატუსის შეცვლას, მიიღონ სხვადასხვა პრეფერენცია კულტურის სფეროში, შეღწევა ხელისუფლებაში და წვდომა რესურსებთან. ეთნიკური ელიტის წარმომადგენლებმა იციან რა, რომ დროის ფაქტორი ასრულებს გადამწყვეტ როლს, ამიტომ ისინი ხშირად მიისწრაფიან მოახდინონ ამ პროცესების ფორსირება ლოზუნგი, „სამართლიანობის აღდგენა“. ეს ყველაფერი იწვევს ეთნოსის პოლიტიზირებას, ეთნონაციონალიზმის ზრდას და ეთნოშორისი ურთიერთობის სფეროში კონფლიქტურობის გაძლიერებას.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება არის მთავარი პოლიტიკური საკითხი. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ კონფლიქტების შედეგები უარყოფითად აისახება, არა მხოლოდ სახელმწიფოს განვითარებაზე, არამედ, იმ სახელმწიფოების იმიჯზეც, რომლებსაც არ შეუძლიათ კონფლიქტების თავიდან აცილება, მაგრამ კონფლიქტების ესკალაციის ყველაზე მძიმე შედეგი არის სიცოცხლის დაკარგვა, რომელთა რაოდენობაც შეიძლება იზომება ათასობით და თუნდაც მილიონებში. მხოლოდ ბოლო ათწლეულების განმავლობაში თურქეთის ქურთისტანში, ქურთებსა და თურქეთის მთავრობას შორის შეტაკებების შედეგად ჯარებმა 26 ათასი ადამიანი მოკლეს, შრი – ლანკაში – 35 ათაზ ემეტი, სიერა ლეონეს ეთნიკურ კონფლიქტში დაიღუპა დაახლოებით 100 ათასი, ფილიპინებში – 120 ათასზე მეტი, ლიბერიაში – 150 ათასზე მეტი, ბოსნია და ჰერცეგოვინაში – დაახლოებით 200 ათასი, სუდანში – 1 მილიონზე მეტი, ავღანეთში ერთ მილიონზე მეტი სომალიში – 350 ათასზე მეტი, ანგოლაში – 500 ათასზე მეტი, 1994 წელს მხოლოდ სამ თვეში რუანდაში 1 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ამ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებიდან ბევრი ჯერ არ მოგვარებულა. არსებითად იგივე შეიძლება ითქვას არაერთ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტზე პოსტსაბჭოთა სივრცეში, რადგან დაძაბულობის ცენტრები რჩება ამიერკავკასიაში, დნესტრისპირეთსა და ცენტრალურ აზიაში. ორი საომარი მოქმედებების რაუნდი ჩეჩნეთში 1994–1996 და

1999 – 2001 წწ. რუსეთს დაუჯდა 40 ათასზე მეტი რუსეთის მოქალაქის სიცოცხლე, მათ შორის სამხედრო პერსონალი, მშვიდობიანი მოსახლეობა და ჩეჩენი მებრძოლები, თუმცა ჩეჩნეთში წარმატებული პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციის საოცარი გამოცდილება ჯერ არ არის გაანალიზებული და არ არის სათანადოდ შეფასებული.

#### **9.4 კონფლიქტების მართვის პრობლემები**

ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ვისაუბროთ არა ეთნო-კონფლიქტების რეგულირებაზე, არამედ ეთნოკონფლიქტების „მართვაზე“. ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონფლიქტების მართვა მიზანმიმართულია არა მის ერთჯერად დაძლევაზე, არამედ მის „კონტროლზე“, არაშეიარაღებული ფორმის ტრანსფორმაციაზე და შემდგომ გადაჭრაზე. მართვის პროცესი იწყება ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ანალიზით, რომელმაც უნდა მოგვცეს ადეკვატური წარმოდგენა, როგორც კონფლიქტური სიტუაციის ისტორიაზე და წარმოქმნის მიზეზებზე, ასევე თავად კონფლიქტზე. მკვლევრები გამოყოფენ „რაციონალურ“ და „დესტრუქციულ“ კონფლიქტებს. „რაციონალური“ კონფლიქტების მომხრეები მზად არიან აღიარონ კონფლიქტის სუბიექტების მოთხოვნების სამართლიანობა და მიისწრაფიან ორმხრივი პრეტენზიების მოგვარებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ „რაციონალური“ კონფლიქტები, ეთნოპოლიტიკური შეჯახებების უმცირესობას წარმოადგენენ და მათი წარმატებულად გადაჭრის მაგალითებად შეიძლება დასახელდეს ნორვეგიის მშვიდობიანი გამოსვლა 1905 წელს შვედეთის სამეფოდან, ან ჩეხოსლოვაკიის დაყოფა ჩეხეთისა და სლოვაკიის სახელმწიფოებად 1993 წელს.

ჩვენი დროის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უმეტესობა დამღუპველია. ამ შემთხვევაში კონფლიქტის მხარეები განზრახ, თუ უნებლიეთ უგულვებელყოფენ ობიექტურ ფაქტებს და პრეტენზიების რაციონალურ შინაარსს. მონინააღმდეგე მხარე და თავად დაპირისპირება თანდათან ძლიერდე-

ბა, მოიცავს ახალი მონაწილეების შეყვანას კონფლიქტის ორბიტაში და ძალადობის გამოყენების პროვოცირებას.

კონფლიქტის მართვის სტრატეგია გამომდინარეობს კონფლიქტზე ეფექტიანი ზემოქმედების აუცილებლობიდან, მისი განვითარების სწორი მიმართულებით კორექტირების მიზნით. ეს სტრატეგია სიტუაციიდან გამომდინარე, ვარაუდობს ნორმატიული, იძულებითი მოლაპარაკების, ემოციურ-ფსიქოლოგიური, ძალაუფლებისა და ინტეგრაციული მიდგომების გამოყენებას.

ნორმატიული მიდგომა გულისხმობს კონფლიქტების მოგვარებას გარკვეული სამართლებრივი ან მორალური ნორმების დახმარებით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს შეთანხმება, კონფლიქტის მხარეებისა ამ ნორმების მისაღებლობასთან დაკავშირებით. თუ არ არის თანხმობა, მაშინ არის იმის საჭიროება, რომ დაძალება განხორციელდეს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის სუბიექტის ზემოქმედებაზე, სახელწიფოს ავტორიტეტსა და მთელ მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს.

ეს მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობას სოციალურ სისტემაში და მისი მომხრეებიც კი თვლიან, რომ მშვიდობა კონფლიქტურ მხარეებს შორის მიუღწეველია და შესაძლოა მხოლოდ დროებითი გამოსწორება.

ემოციურ-ფსიქოლოგიური (ანდა იდეალური) მიდგომა გამოიყენება, როცა დაინტერესებული მხარეები, განურჩევლად მათი სტატუსის მახასიათებლებისა, რესურსებისა და პოლიტიკური სტრატეგიებისა, ამყარებენ ურთიერთობებს, რომელიც შეესაბამება ყველა მონაწილის კონფლიქტს. მოგვარების ამოსავალ წერტილად მხარეები აქსიომად იღებენ პოზიციას, რომ კონფლიქტი ცალსახად არახელსაყრელია ყველა მხარისთვის და ყველა მხარე ატარებს მათ ან მისი ესკალაციის შედეგად სხვა დანაკარგებს. ინტერესების შეხამება ხდება აშკარა, ან ფარული იძულების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მოგვარების სიმტკიცეს და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების ეფექტური გზების წარმატებულძიებას.

არსებობს სხვა მიდგომებიც, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია

საერთოდ გულგრილობა და ძალისმიერი (ძალა). ინდიფერენტული მიდგომა დამახასიათებელია ავტორიტარული რეჟიმებისთვის, რომლებიც, ახდენენ კონფლიქტების იგნორირებას და გულგრილები არიან კონფლიქტში ჩართული ჯგუფების მოთხოვნების მიმართ. ამ მიდგომას შეუძლია დროებით გადადოს კონფლიქტური სიტუაციების გადანყვეტა, მაგრამ „გადადებული კონფლიქტი“ აუცილებლად გამოვლინდება, პოლიტიკური ვითარების ცვლილებისას და კონფლიქტის დაგროვილი პოტენციალი მხოლოდ გაართულებს მის მოგვარებას.

კონფლიქტზე ზემოქმედების კიდევ ერთი გზა არის ძალის გამოყენება. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც უფრო ძლიერი მხარე აწესებს სუსტი მხარისთვის საკუთარ პირობებს, წინააღმდეგობების გადასაჭრელად, რაც, ფაქტობრივად, არ წყვეტს კონფლიქტურ სიტუაციას, არამედ მხოლოდ აიძულებს სუსტ მხარეს, გააუქმოს პრეტენზიები ძლიერი მხარის მიმართ, თუმცა კონფლიქტის ექსპერტების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო გზა კომპრომისია, მაგრამ ამავდროულად, კონფლიქტების მოგვარების პრაქტიკა ადასტურებს, რომ მათი წარმატებით მოგვარება (მიუხედავად არჩეული სტრატეგიისა) შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული პროცედურების ფარგლებში. მათგან პირველი არის კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაცია, ე. ი. მხარეთა შორის ურთიერთობის მოწესრიგების მკაფიო წესების დადგენა, მათი ურთიერთქმედება. ამ შემთხვევაში კონფლიქტი პროგნოზირებადი და მართვადი ხდება, მხარეების პრეტენზიები, მათი ზრდის შემთხვევაშიც კი, დალაგდება, მოერგება პროგნოზირებადი ქცევის ნორმებს.

არაინსტიტუციონალიზებული კონფლიქტი არამართვადია, ამიტომაც საშიშია. ამ შემთხვევაში მხარეთა უკმაყოფილება შეიძლება გავრცელდეს ურთიერთქმედების დესტრუქციულ ფორმებში. ინსტიტუციონალიზებულ მექანიზმში მოიაზრება, არა მარტო მკაცრი იურიდიული აქტები, ანდა რეგლამენტე-



ბი, არამედ შესაძლებელი, რეგულირების ნორმების, საკანონმდებო აქტების, პროტოკოლების, მემორანდუმების, ზეპირი შეთანხმებების მთელი სპექტრი. მნიშვნელოვანია არა ფორმა, არამედ ნებაყოფლობითი თანხმობა ურთიერთობების დამყარებისა და მოლაპარაკებები ანარმოს განსაზღვრული წესების ჩარჩოში.

სხვა მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც აუცილებელია გადაიჭრას კონფლიქტების დარეგულირებისას, არის სტრუქტურირებული კონფლიქტური ჯგუფების გამოყოფა.

მტრულმა მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, ვინაა უფლებამოსილი წარადგინოს მათი ინტერესები და განახორციელოს დიალოგი, კონფლიქტის დაპირისპირებულ მონაწილეებსა და შუამავლებთან. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ობიექტურად უნდა იყოს დაინტერესებული, რათა ეთნიკურმა თემებმა და ჯგუფებმა ჩამოაყალიბონ თავიანთი პარტიები, მოძრაობები, ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლება მათი ინტერესების წარდგენა და შეასრულებენ კონსოლიდირებულ როლს. არაორგანიზებული გაერთიანება, საზოგადოება უფრო საშიშია და გაუთვალისწინებელი, ვიდრე ორგანიზებული. ორგანიზაციები ასრულებენ სოციალური რეგულატორის როლს და შეუძლიათ ეფექტურად იყვნენ გამოყენებული კონფლიქტების გადაჭრაში, როგორც კოლექტივის ინტერესებისა და მოთხოვნების გამომხატველნი, როგორც მოლაპარაკების პროცესის მონაწილეები და დარეგულირების პროცედურების შემუშავებელნი. ამგვარად, შეიძლება ჩამოვყალიბოთ, რომ კონფლიქტების მართვასა და მის რეგულირებაში ჩართული უნდა იყოს იდენტიფიკაცია, კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაცია, მისი სუბიექტების განსაზღვრა ან გამოყოფა, მისი რეგულირების ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების შემუშავება. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების ტექნოლოგიური პრობლემების განხილვისას, მოლაპარაკების სისტემების პროექტის დირექტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი უილიამ იური იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, „ეთნიკური კონფლიქტების რაოდენობის გადიდება, ფართო პოზი-

ტიური მოვლენის შედეგი გახდა – ძალაუფლების უფლებამოსილების გადაცემა, შედარებით დაბალ პოლიტიკურ დონეზე“.<sup>1</sup>

ის აღნიშნავს, რომ მსოფლიოში ყველა ეთნიკური ჯგუფი, თავის განვითარებაში, გაივლიან სამ ეტაპს:

1. დამოკიდებულობისა და დისკრიმინაციის ეტაპს;

2. დამოუკიდებლობის ეტაპს;

3 სხვა ჯგუფებთან, ურთიერთდამოკიდებულობისა, ანდა ურთიერთსასარგებლო თანაარსებობა;

ამასთან ერთად, მეცნიერი უილიამ იური აღნიშნავს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ამჟამად, ცხოვრობს პოლიკულტურულ გაერთიანებებში, საზოგადოებებში, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მოიძებნოს საშუალებები, რომელიც მიგვიყვანს ჩვენი განსხვავებების პოზიტიურ და არა უარყოფით ბალანსთან. მის გაგებაში, ზემოთ დასახელებული ამოცანის გადაჭრისათვის, აუცილებელია პოლიტიკური სისტემა, რომელიც უნდა შედგებოდეს სამი კომპონენტისაგან.

პირველი მათგანი მიეკუთვნება ძალაუფლებას და ითვალისწინებს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას, სადაც წარმოდგენილი იქნება ქვეყნის მოსახლეობის ყველა ეთნიკური ჯგუფი, რომელთაც ექნებათ გამონაკლისი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მექანიზმის შემაკავებელი და საპირისპირო.

სისტემის მეორე კომპონენტი ეხება უფლებებს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემუშავებული იქნას უფლებების კოდექსი, როგორც ინდივიდებისათვის, ისე ჯგუფებისათვის და შეიქმნას სამართალწარმოების დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ უფლებების დაცვა – შესრულებას.

სისტემის მესამე ნაწილი, უნდა გახდეს ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება მოლაპარაკებების პროცე-

---

<sup>1</sup> Юри У. Этнические конфликты: что можно сделать? // Национальная политика в Российской Федерации / Под ред. В.А. Тишкова. М., Наука, 1993. с. 77.

სები, რომელთა მსვლელობებშიც ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა ერთად უნდა შეიმუშავონ გადაწყვეტილებები, რომლებიც მოლაპარაკების პროცესში ჩართული მხარეების ყველა პრინციპულ ინტერესებს დააკმაყოფილებს. ამასთან უ. იური ხაზს უსვამს, სწორედ მოლაპარაკების პროცესში აზრთა სხვაობის დაშვება წარმოადგენს დემოკრატიის მნიშვნელოვან მონაპოვარს და არა არჩევნები, ანდა სასამართლო ორგანოებთან მიმართვის შესაძლებლობა.

ეთნიკური კონფლიქტების გაანალიზების პრაქტიკიდან გამომდინარე, მკვლევარმა შემოგვთავაზა შესაძლებელი მოქმედებების თავისი ტექნოლოგია, რომელიც ათი სხვადასხვა ვარიანტისგან შედგება.

მეცნიერმა ეთნიკური კონფლიქტი შეადარა ხანძარს, ამიტომ **პირველ ამოცანად** დასახელა კონფლიქტის თავიდან არიდება, სანამ არის შესაძლებლობა, რათა არ მოხდეს ეთნიკურ ნიადაგზე შეჯახება, საჭიროა მათი სრულად გამოყენება.

**მეორე**, აუცილებელ მოქმედებად, დაინტერესებულ მხარეთა კონფლიქტების გადაწყვეტაში მან დაასახელა დისკუსიის ორგანიზება. თავად პრობლემის კონსტრუქტიულად განხილვის შესაძლებლობა, უკვე ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას. მაგრამ სრულყოფილი დისკუსიისათვის აუცილებელია, რათა წარმოდგენილი იყოს ყველა მხედველობის წერტილი, ყველაზე რადიკალურების ჩათვლით, რათა განხილვები მიმდინარეობდეს მხარეთა მიერ მიღებული, განსაზღვრული წესების ფარგლებში. მათგან მნიშვნელოვანია მოთხოვნები, არ დაადანაშაულო ოპონენტები და არიდებული იყოს პირადი თავდასხმები.

მოქმედების **მესამე** საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ რათა განხორციელდეს, ხელი შეეწყოს წყენის გამოთქმას, კონტროლირებულ სიტუაციაში, რაც კონსტრუქციული გეგმების განხილვისას გულისხმობს გაანალიზებული იყოს ძველი წყენებიც კი. შემდეგ აუცილებელ ნაბიჯად დასახელებული იყო, პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტისას პროცესის დახმარება. ის ითვალისწინებს ინტერესების შეთანხმებას, მკაცრი პოზიციების ჩარჩოდან გამოსვლას და მოტივაციებზე,

რომელიც მხარეთა პოზიციის საფუძველშია, მიმართვა. შემდეგ მნიშვნელოვან მოქმედებას წარმოადგენს საერთო მიზნების განსაზღვრა. მოლაპარაკების პროცესი პროდუქტიული რომ იყოს, საერთო მიზანი კონფლიქტის მართო პრობლემებზე არ უნდა იყოს გამახვილებული. შემდეგ არსებითი მნიშვნელობა აქვს ურთიერთდახმარების, კეთილი ნების გამოვლენას.

კონფლიქტების მოლაპარაკებისა და ერთობლივი გადანყვეტის პროცესში აუცილებელს წარმოადგენს ურთიერთშეთანხმებების პროექტების შემუშავება. მნიშვნელოვანი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს პრობლემის გადანყვეტისა და მოლაპარაკებების პროცესის ინსტიტუციონალიზაციას. მას განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს, რადგან ყველა კონფლიქტი ერთად ვერ გადაიჭრება, ისინი ისევ და ისევ წარმოიქმნება. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოლაპარაკების პროცესებისა და გადაჭრის ძიებას. კონფლიქტების დარეგულირებაში არსებითი დახმარება შეიძლება მოახდინოს გარე რესურსებზე ყურადღების გამახვილებამ. თანამშრომლობის სტიმულების ფორმირებისათვის, გარე საშუალებების ქვეშ მოიაზრება არა მარტო ფინანსური რესურსები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და ფონდები, რომელთაც ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების გამოცდილება აქვთ დაგროვილი.

მეცნიერი, უ. იური მოუნოდებს, „ასწავლეთ სხვებს ის, რაც თავად გაიგეთ“. კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრა მოითხოვს ფართო თანამშრომლობასა და პოზიტიური გამოცდილების არსებული საშუალებების ყველა არსენალის გამოყენებას, რომელიც დაგროვილია სხვადასხვა სპეციალისტისა და ქვეყნების მიერ. ასეთი მაგალითი არსებობს, ის გამოყენებული და სრულყოფილი უნდა იყოს

დროითი მოთხოვნების შესაბამისად. არანაკლები მნიშვნელობა აქვს კონფლიქტების გადაჭრის ნეგატიურ გამოცდილებასაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეთნოპოლიტი – კურ კონფლიქტში ერევა მესამე ძალა.

სახელმწიფოს ყოველთვის მეტი საშუალება აქვს, კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარეზე ზემოქმედებისათვის. გასაგებია, რომ სახელმწიფო დაინტერესებულია შიგა სტაბილურობისთვის და თავისი ინსტიტუტების ორიენტირებას ახდენს ამ ამოცანის გადაჭრას, მაგრამ თავად ხშირად გამოდის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ერთერთ მხარედ, ამიტომ ის ვერ იქნება სხვადასხვა დავის ობიექტური არბიტრი, ეთნიკური თემებისა და სახელმწიფოს შორის. მას ყოველთვის ექნება ცდუნება, მოლაპარაკებებში გამოვიდეს არა თანაბარი პარტნიორის კუთხით, არამედ თავისი პირობები დააძალოს კონფლიქტში მონაწილე მხარეს. ამიტომ ბევრი კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს ეთნიკურ თემსა და სახელმწიფოს შორის, გრძელდება წლები და ათეული წლის განმავლობაში და დარეგულირების მისაღები ფორმულის პოვნა ჯერ არ მოხერხდა. ეს შეიძლება ითქვას ეთნოკონფესიალურ კონფლიქტზე ჩრდილოეთ ირლანდიაში, კორსიკანულ ნაციონალიზმზე საფრანგეთში, თამილების სეპარატიზმზე შრი – ლანკაში, ბასკების მოძრაობაზე ესპანეთში, თურქულ კურდისტანებზე და სხვა მრავალ ლოკალურ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტზე.

სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია, მსგავს შემთხვევებში უნდა იყოს არა ის რომ თავად შეეცადოს გადაჭრას ნებისმიერი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, არამედ ხელი შეუწყოს, დაეხმაროს კონფლიქტის გადაჭრის ძიებას, მათ შორის დამოუკიდებელი შუამავალი ინსტიტუტებისა და სპეციალური კრიზისული მენეჯერების შეთავაზებასა და განვითარებას, მაგრამ არის ე. წ. ღრმა და მძიმე შეიარაღებული კონფლიქტები, სადაც ადგილი აქვს ადამიანთა სიცოცხლის დიდ დანაკარგებს, სამოქალაქო მოსახლეობის ტანჯვა – წამებას, უდიდესი ნგრევა, რომელშიც ჩართულია სრულიად სხვადასხვა გარე ძალები, მათ შორის დაქირავებულები, იდეურ – რელიგიური ფანატიკოსები და საერთაშორისო ტერორისტები. ასეთი კონფლიქტების გადაჭრა მოითხოვს სახელმწიფოს პირდაპირ და ძალისმიერ ჩარევას, კონფლიქტის ზონაში ძალადობის დასრულებისა და ძალაუფლების აღდგენის მიზნით. ბრიტანელი მეცნიერი და ჟურნალისტი მაიკლ იგნატიევი (ამჟამად ცნო-

ბილი პოლიტიკური მოღვაწე კანადაში), რომელიც იკვლევდა თანამედროვე „ეთნიკურ ომებს“, ყოფილი იუგოსლავიის მაგალითზე შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „როგორც პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ეროვნული სახელმწიფოს პოლიცია და არმია რჩება ერთადერთ ხელმისაწვდომ ინსტიტუტად, რომლებიც კი შექმნილან, რათა აკონტროლონ მსხვილმასშტაბიანი ძალადობა და მისი დაპირისპირება.“<sup>1</sup>

ნებისმიერი კონფლიქტი, ვიდრე შეიძენს ღია ფორმას, გავივლის განვითარების მთელრიგ ლატენტურ სტადიებს და მკვლევრის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ:

1. შექმნას მონიტორინგის სისტემა, რეგიონში საზოგადოებრივი განწყობის მდგომარეობაზე;

2. განისაზღვროს, კარს მომდგარი დაძაბულობის ზრდის მნიშვნელობა;

3. შეიმუშაოს ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მაშინ იწყებს რეალიზებას, როცა კონფლიქტური განწყობა კარს მომდგარ ზღვარზეა;

სწორედ ამ დროს აუცილებელია სახელმწიფო სამსახურების, ექსპერტების დამოუკიდებელი შუამავლების ეფექტიანი ჩარევა სიტუაციაში, კონფლიქტური განწყობის დონის შემცირების მიზნით, უსაფრთხო მნიშვნელობამდე.

როგორც ვიცით, კონფლიქტის პროვოცირება ნებისმიერ ინციდენტს შეუძლია, მაგრამ ინციდენტის წინასწარ განსაზღვრა არავის არ შეუძლია, ამიტომ მისი არიდება შეუძლებელია. ამიტომაც, რეგიონში კონფლიქტის არიდების მიზნით აუცილებელია კონფლიქტური განწყობის დონის შემცირება. ამის გაკეთება საჭიროა ოპერატიულად, ყველა არსებული რესურსის მობოლიზებით.

კონფლიქტების დარეგულირების სტრატეგიის შედარებით ფართო მიდგომა შემოგვთავაზა კონფლიქტოლოგმა ე. ი. სტეპანოვმა. მან აღნიშნა რომ აუცილებელია აქტივირებული იყოს რეგიონული კონფლიქტოლოგიის შემუშავება და დავინ-

---

1

ყოთ რეგიონული კონფლიქტების მოდელირება. პროფილაქტიკის პოლიტიკის მოდელების შემუშავებისას, სოციალური კონფლიქტების დეესკალაციისა და რეგულირებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ბევრი ფაქტორი:

- რეგიონში საერთო კონფლიქტური ფონი, რომელიც განსაზღვრავს, „მოსახლეობის კონფლიქტურ მზადყოფნას“;

- კონფლიქტების წინა ისტორია, განსაკუთრებით ეს ეხება ეთნიკურ კონფლიქტებს, რომელთაც აქვთ, ღია და ლატენტური ფაზების მონაცვლეობის ხანგრძლივი ისტორია;

- რეგიონული კონფლიქტურობის, ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებს შორის თანაფარდობა, ეგზოგენურ ფაქტორებზე ზემოქმედების რეალური მექანიზმების არსებობა;

- პოლიტიკური პროცესის სუბიექტების, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული უპირატესობა, რომლებიც ჩართულია კონფლიქტში, ანდა მონობდულნი არიან მათ დარეგულირებაზე, კონფლიქტის მხარეთა დაინტერესება დარეგულირებით და არა კონფლიქტის გაგრძელებით;

ნათელია, რომ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თანამედროვე გამოცდილება არ არის საკმარისი, ხოლო დარეგულირების რაციონალური პოლიტიკური მექანიზმი სშირად არაეფექტურია, რადგანაც კონფლიქტის საფუძველში რაღაც ირაციონალური საწყისია, ჩამალული კულტურის სტერეოტიპებში, დაუკმაყოფილებელი ისტორიულ წყენებში, მითოლოგიურ წარმოდგენებში და სხვა. ასეთი ტიპის კონფლიქტებს შეიძლება მივაკუთნოთ თანამედროეობის, მსხვილი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი

არაბულ – ისრაელის კონფლიქტი. ამ კონფლიქტის მონაწილეები ეძებენ აქედან გამოსვლის გზებს. ამასთანავე საერთაშორისო ზენოლა კონფლიქტის მხარეებზე, თანხმობის მიღწევის მოთხოვნით რეგულარულად ძლიერდება, მაგრამ კონფლიქტის დარეგულირების ყველა მცდელობა მშვიდობიანი გზით იშლება. არაპროდუქტიული გამოდგა კონფლიქტის გადაჭრის ძალისმიერი მეთოდიც.

რამდენიმე წლის უკან გამოვიდა ორი ფრანგი ინტელექტუალის, ხამიდა ბარადისა და გი სიბტონას წიგნი, „არაბი და

ებრაელი. საომარი (სამხედრო) დიალოგი“. პირველი ავტორ-თაგანი წარმოადგენს არაბს, წარმოშობით მაროკოდან ხოლო მეორე – ებრაელია, წარმოშობით ტუნისიდან. წიგნი აგებულია ორი ყოფილი მეგობრის (მათ ურთიერთობა შეწყვიტეს მეორე იტიფადის დაწყების მერე 2001 წელს) დიალოგის ფორმაში, რომელიც მნიშვნელოვან განმარტებას გვაძლევს, ახლო აღმოსავლური კონფლიქტის ღრმა ფესვებზე. გი სიპ-ტონი ჟურნალისტთან ინტერვიუში, არაბულ სამყაროს ცოდნაზე დაყრდნობით, ცდილობდა გადმოეცა, თუ არაბებსა და ებრაელებს რატომ არ შეუძლიათ შეთანხმება, ის აღნიშნავს, რომ საუბარი მიდის არა პალესტინასა და ისრაელზე, არამედ ებრაელებსა და არაბებს შორის კონფლიქტზე, ვინაიდან ყველა არაბული ქვეყნიდან (ისეთი ლიბერალური ქვეყნებიდანაც კი, როგორც მაროკო და ტუნისია) ებრაელური მოსახლეობა, რომელიც ღრმად იყო ინტეგრირებული ადგილობრივ საზოგადოებაში, მთლიანად იყო გამოდევნილი. ანტიებრაელური განწყობა მთელ არაბულ სამყაროში ძლიერია.

ყველაზე უდავო მტკიცებად, რომ კონფლიქტის ფესვები (საფუძველი) ირაციონალურია, წარმოადგენს ის, რომ ორი, კოსმოპოლიტიკური ფრანგი ინტელექტუალი, რომლებიც გამოდის კონფლიქტის ორივე მხარის დამცველად, არ შეუძლიათ იპოვნონ საერთო ენა და მივიდნენ შეთანხმებაზე.

საერთაშორისო პოლიტიკურ ინსტიტუტებს სერიოზული ეჭვები აქვთ, არაბულ – ისრაელის კონფლიქტის შედარებით ადეკვატურად რეაგირებაზე. ნათელია, რომ ბევრი სახელმწიფო, მოცემულ საკითხზე ხმის მიცემის დროს გაეროში, ან სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში ემყარებიან საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებსა და სახელმწიფოებს შორის საზოგადოებრივ განწყობებს. ასეთი რთული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრისას, საჭიროა უარი ვთქვათ ხმის მიცემით საკითხის გადაჭრაზე, არამედ საჭიროა მივილოთ დადგენილებები, რომლებიც მოამზადებენ დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფებს, ხოლო მათი რეალიზაციის კონტროლი, ამავე ექსპერტებს დაევალოს.



ნებისმიერი გადანყვეტილება, რომელიც ეხება ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტს, ჯერ უნდა მომწიფდეს ექსპერტებთან და მერე პოლიტიკოსების მიერ იქნას განხილული.

იუგოსლავიისა და კოსოვოს მაგალითმა აჩვენა, რომ სამართლიანობის ლოზუნგით პოლიტიკოსების მიერ შეცდომებისა და დანაშაულის ჩადენა ხდება, მაგრამ პასუხისგებლობას არ იღებენ მასზე. თავად ეთნოპოლიტიკური პრობლემა ვერ გადაიჭრება, არამედ გაღრმავდება კიდევ.

არანაკლებ საჩვენებელია ჩეჩნური კონფლიქტი, რომელზეც საერთაშორისო ყურადღება დიდია და რომლის ფესვებიც უნდა ვეძებოთ, არა ორმოცნობიან კავკასიურ ომში, რომელსაც მე-19 საუკუნეში ეწეოდა რუსეთის იმპერია, და არც ჩეჩნების სტალინურ დეპორტაციაში. კონფლიქტის ფესვები ჩადებულა რუსეთის ხელმძღვანელობის ირაციონალურ მოქმედებებში და არანაკლებ, მოქმედი ჩეჩენი ლიდერების ირაციონალურ პოზიციებში.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის, როგორც უკიდურეს ფორმად შეიძლება განვიხილოთ ეთნიკური და რელიგიური ტერორიზმი. ტერორიზმიც ირაციონალურია და ეყრდნობა, არავითარ რეალურ საფუძველს, არამედ მითოშემოქმედებას. ამასთან დაკავშირებით ტერორიზმის ბუნების, მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორები ანგულო ა. ი. ლანდაბასო და ა. მ. კონოვალოვი ამასთან დაკავშირებით შემდეგს წერენ: „ტერორიზმის ფილოსოფია. როგორც ექსტრემალური აზროვნების პროდუქტია აუცილებლად ატარებს მითოშემოქმედებით შტამბს (ბეჭედს). შედეგად სოციალური რეალობა იძენს დამახინჯებებს, ფანტასტიკურ მონახაზებს...ექსტრემალური მითოლოგია სრულიად უსაფუძვლო არაა, მას აქვს განსაზღვრული ობიექტური საფუძვლები, რომლებიც არათანამეზომილ, გროტესკულ, ჰიპერტროფირებულ (გადიდებულ) მასშტაბებს იძენს.“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Ландабасо Ангуло А., Коновалов А. Терроризм и этнополитические конфликты. Кн. 1. Из истории басков. М., 2004. с 15.

რამ შეიძლება განაპირობოს ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის შემცირება? მოცემულ კითხვაზე მაიკლ ხენტიერი, თავის გამოკვლევაში, „ნაციონალიზმის შინაარსი“ ასე პასუხობს: „ნაციონალური კონფლიქტი შესუსტდება მხოლოდ სამიტის პირობის ზემოქმედებით: მაშინ, როცა მთლიანად, კოლექტიური აქციის ფასი მაღლდება, მაშინ, როცა ნაციონალური იდენტობის მნიშვნელობა მცირდება; მაშინ, როცა ნაციონალურ სუვერენიტეტზე მოთხოვნა მცირდება“<sup>1</sup>

## **9.5. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრაში სიძულვილისა და ტოლერანტობის როლი**

როგორ გადაიჭრას ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი? ჯერ-ჯერობით წარმატებული გამოცდილება მათი გადაჭრის კუთხით არ არის (ან თუ არის, ძალიან უმნიშვნელოა). ნათელია, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა მოძიებული იქნას გადაჭრის გზები არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება. ამ კუთხით საინტერესოა სიძულვილის ენის განხილვა.

სიძულვილის ენის საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული დეფინიცია არ არსებობს, 1997 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია, სადაც იგი შემდეგ ნაირადაა განმარტებული: სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, ხელს უწყობს, პროვოცირებას უწევს, ან ამართლებს ქსენოფობიას, რასობრივ შუღლს, ანტისემიტიზმს, ასევე შეუწყნარებლობის სხვა სახით გამოვლინებას – ეთნოცენტრიზმს, ნაციონალიზმს, დისკრიმინაციას, უმცირესობათა, ან მიგრანტთა მიმართ მტრობას.

სიძულვილის ენა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერი შეურაცხყოფით, მუქარით, ძალადობისაკენ მონოღებით, პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ ეროვნული წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების განსხვავებული ფერის, რელიგიის, სქე-

---

<sup>1</sup> Hechter M. Containing nationalism. Oxford, 2000. p. 134.

სის. ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობი, ან სხვა ნიშნის საფუძველზე.

ტერმინი „სიძულვილის ენა“ არ არის მოხსენიებული ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი ეს ტერმინი პირველად 1999 წელს გამოიყენა.<sup>1</sup>

სიძულვილის ენად მიიჩნევა:

- სტატიებში, დოკუმენტებში და ა. შ. დაშვება იმის, რომ ძალადობა მისაღებია, მათ შორის ძალობისაკენ ზოგადი მონოდება;
- დისკრიმინაციისაკენ მონოდება, მათ შორის ზოგადი ლოზუნგებითა და მონოდებით;
- რომელიმე ეთნიკური, ან რელიგიური ჯგუფის უარყოფითი სახის შექმნა, მათ შორის კონკრეტული ბრალის დადება. ასეთი ტონით გამსჭვალული სტატიები, ან სხვა საინფორმაციო პროდუქცია;
- რომელიმე ეთნიკური ჯგუფის არასრულფასოვნების მტკიცება;
- რომელიმე ეთნიკური ჯგუფის შერაცხვა უკულტურო, ჩამორჩენილ, უინტელექტო, გაუნათლებელ ადამიანებად, რომელთაც არ შეუძლიათ რაიმე ფასეულის შექმნა;
- ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მხოლოდ ვინრო საქმიანობის შესაძლებლობის მტკიცება;
- მტკიცება იმისა, რომ რომელიმე ეთნიკურმა, ან რელიგიურმა ჯგუფმა წარსულში დანაშაული ჩაიდინა;
- ამა თუ იმ ეთნიკური, ან რელიგიური ჯგუფის კრიმინალებად გამოცხადება;
- მტკიცება იმისა, რომ ამა თუ იმ ეთნიკურ, ან რელიგიურ ჯგუფს არაპროპორციული უპირატესობა აქვს

---

<sup>1</sup> სიძულვილის ენა, თბილისი, 2017 წელი. გვ 5, 6.

მატერიალურ კეთილდღეობაზე, ხელისუფლებაში წარმომადგენლობაზე მედიის საშუალებებში და ა. შ;

- ამა თუ იმ ეთნიკური, ან რელიგიური ჯგუფის მიმართ ბრალდება, რომ ისინი მორალური კუთხით უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე და, ზოგადად, სახელმწიფოზე;
- ეთნიკური, ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლის მოხსენება დამამცირებელი, ან შეურაცხმყოფელი ფორმით;
- მონოდება იმისკენ, რომ არ მოხდეს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა დასახლება რომელიმე ტერიტორიაზე, ან მათ მიერ საკულტო ნაგებობებისა, თუ კულტურული ცენტრების აშენება;
- ამა თუ იმ ჯგუფის დადანაშაულება ხელისუფლების ხელში ჩაგდებასა და ტერიტორიულ ექსპანსიაში, რაც განსხვავდება მონოდებისაგან, არ მოხდეს სხვადასხვა ეთნიკური, ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა დასახლება რომელიმე ტერიტორიაზე;
- ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილის იგნორირება მათი ეთნიკურ იდენტობის გამო, თითქოს ისინი არ არიან „ნამდვილი მოქალაქეები“.

სიძულვილის ენა საშიშია არა მარტო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის კუთხით, არამედ იგი შეიძლება გახდეს ეთნიკური კონფლიქტების მიზეზიც.

1995 წლის 25 ოქტომბერს მიღებული იქნა იუნესკოს ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია, რომ ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში. ეს მარტო მორალური ვალი კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა

სათნობაა, რომელიც ომის კულტურის, მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს.

ტოლერანტობას საფუძვლად უდევს სხვა ადამიანების საყოველთაო უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება. არანაირ გარემოებებში არ შეიძლება ამ ძირითადი ფასეულობების ხელყოფის გამართლება ტოლერანტობით.

ტოლერანტობა პასუხისმგებლობაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებების პლურალიზმს (მათ შორის კულტურული პლურალიზმის), დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას.

ტოლერანტობა გულისხმობს დოგმატიზმზე და აბსოლუტიზმზე უარის თქმას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში ჩამოყალიბებული სტანდარტების დადასტურებას.

ტოლერანტობის გამოვლინება, რაც ადამიანის უფლებების პატივისცემას გულისხმობს, არ ნიშნავს სოციალური უსამართლობის შეწყნარებას, ან ადამიანის მიერ საკუთარ შეხედულებებზე უარის თქმას. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფალ, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები, მრწამსი და იგი აღიარებს სხვა ადამიანის უფლებას.

ტოლერანტული გარემოს გამტკიცება სახელმწიფო დონეზე საჭიროებს სამართლიან და მიუკერძოებელ კანონმდებლობას, კანონის დაცვას, სასამართლო და ადმინისტრაციულ საპროცესო ნორმებს. ასევე აუცილებელია, რომ თითოეული ადამიანისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობები.

გარიყვამ და მარგინალიზაციმ, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დათრგუნვა, მტრული დამოკიდებულებები და კონფლიქტები.

იმისათვის, რომ საზოგადოება უფრო ტოლერანტული გახდეს სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ადამიანის უფლებათა არსებული საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება და მიიღონ ახალი კანონმდებლობა, როდესაც ეს საჭიროა საზოგადოების ყველა ჯგუფის, ცალკეული წევრის მიმართ,

თანასწორი დამოკიდებულებისა და მათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ტოლერანტობის გარეშე შეუძლებელია მშვიდობა, ხოლო მშვიდობის გარეშე შეუძლებელია განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება.

თანამედროვე მსოფლიოში ტოლერანტობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ოდესმე ეს არის ეკონომიკის გლობალიზაციისა და სწრაფად მზარდი მობილურობის, კომუნიკაციების, ინტეგრაციისა და ურთიერთ დამოკიდებულების ხანა, რომელსაც ახასიათებს ფართო მასშტაბიანი მიგრაცია და მოსახლეობის გადანაცვლება, ურბანიზაცია და საზოგადოებათა მოდელების ცვლილება. ვინაიდან მსოფლიოს ყველა ნაწილს ახასიათებს მრავალფეროვნება. შეუწყნარებლობისა და შუღლის ესკალაცია ყველა რეგიონს ემუქრება. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნით, ეს გლობალური საფრთხეა,<sup>1</sup>

## **9.6. ეთნიკურობის ნიადაგზე წარმოქნილი დანაშაულობები**

ცხოვრების პირობების გაუარესება, რომლის პროცესში მონაწილეობს ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო მოსახლეობის ნაწილის გაუცხოება საზოგადოებისაგან, გარდაიქმნება დანაშაულად, რაც მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობაში ჩანს, როგორც სახელმწიფოს საფუძვლებისათვის ზიანის მომტანი მოვლენა. ამ დროს, როგორც სოციალური ურთიერთობების მომენტი, როგორც გაუცხოების შედეგი, დანაშაულობა არ ჩანს. ეს ნიშნავს, რომ დანაშაული, როგორც გაუცხოების მოხნის რეალური პროცესი ჩანს დამახინჯებულად, კერძოდ, როგორც გაუცხოების გამომწვევი პროცესი. დანაშაულთა რიცხვი შეიძლება იყოს გაუცხოების პირობების გაუარესებისა და სხვა ნეგატიური პროცესების სიდიდის მაჩვენებელი, ანუ ცხოვრების პირობების გაუარესებისადმი მოსახლეობის მიმართების მაჩვენებელი. მაგრამ, აქედან არ უნდა გამომდინა-

---

<sup>1</sup> სიძულვილის ენა, თბილისი, 2017 წელი. გვ. 14.

რეობდეს უკიდურესობა, რომ დანაშაულთა რიცხვი უცილობლად უნდა იყოს გაუცხოების სიდიდის მაჩვენებელი. მსგავსი თანხვედრა არ არსებობს რეალობაში და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან გაუცხოების სიდიდე არ არის დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა მეტი, თუ ნაკლები რიცხვით.

სამართლებრივ ურთიერთობაში დანაშაულობა ასახულია, როგორც გაუცხოების გამომწვევი საშუალება, კაცობრიობის პროგრესის კვლობაზე იგი ნაწილობრივ იწყებს ასახვას, როგორც გაუცხოების მოხსნა. მართალია, დანაშაული გაუცხოების პროცესების პროდუქტია, მაგრამ ის არ გამოვლინდება „სუფთა“ სახით. ინდივიდი არამხოლოდ გამოხატავს თავის პროტესტს, მის თავს გადამხდარი გაუცხოების პროცესების წინააღმდეგ, არამედ იმავდროულად წარმოდგება სახელმწიფოს დადგენილებათა დამრღვევად. დანაშაული მსოფლიოს მოეწონება, როგორც გაუცხოების პროცესების შედეგი და როგორც განსაკუთრებული ურთიერთობის – სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტი. მაშასადამე, დანაშაულობა წარმოდგება არამხოლოდ გაუცხოების სიდიდედ, არამედ იმ სიდიდედაც, რომელიც სწორედ სამართლებრივ ურთიერთობაში ისახება.

გაუცხოების ფაქტორებთან ერთად მოქმედებას იწყებს სახელმწიფო წესრიგის ფაქტორებიც, რომლებიც ძნელად მისაწვდომად აქცევენ დანაშაულობათა სამყაროს, სწორედ ამიტომ არ შეიძლება დანაშაულობის ბუნების განხილვა სახელმწიფოებრივი იძულების გარეშე.<sup>1</sup>

თანამედროვე სამყარო ხასიათდება, როგორც გლობალური ეკონომიკის მოძრაობის პროცესი, რომელიც მთელ ერებსა და სახელმწიფოებს ერთ ფუნქციონირებად მექანიზმში ათავსებს. ნებისმიერი სოციალური მოვლენა საბოლოოდ იძეს საერთაშორისო ხასიათის თვისებებსაც. გამონაკლის არ წარმოადგენს დანაშაულობაც.

---

<sup>1</sup> გ. თოდრია, კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები, 2020, თბ., გვ. 53.

ექვს არ ინვეს, რომ ცივილიზაციის ევოლუციის მოცემულ ისტორიულ ეტაპზე მთელ მსოფლიოში ვლინდება არამარტო ლეგალური ქცევის ზოგად საკაცობრიო ნორმა, არამედ მისი ანტიპოდიც. ასეთ პირობებში სულ უფრო მყარად მკვიდრდება მსოფლმხედველობა, რომლის თანახმად, ვერც ერთი ქვეყნის პრევენტული პოლიტიკა საბოლოოდ ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ იგი მსოფლიოს სოციუმისგან გარიყულად იმოქმედებს.

ისტორიულად გამოიყოფა დანაშაულობის სახელმწიფოებრივი ასახვის სამი ფორმა: საწყის განუვითარებელ ფორმას მიეკუთვნება დანაშაულობის ასახვის ავტორიტარული ფორმა, რომელიც დამახასიათებელია საბჭოთა კავშირისათვის, ჩინეთისათვის, ირანისათვის, ერაყისათვის და აზიური ტიპის განვითარების სხვა ქვეყნებისათვის.

შემდეგ მოდის დანაშაულობის ასახვის კაპიტალიზმისაკენ გარდამავალი ფორმა, რომელიც კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე იმყოფება.

შედარებით მაღალ ფორმად გვევლინება დანაშაულის ამსახველი ლიბერალური, ან რეფორმატული ფორმა, რომელიც ტიპურია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ამ ფორმების ევოლუციის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი გვიჩვენებს, რეცეფციას თუ რა გზით გადაიტანება მოდელების ძიება კონკრეტული ინდივიდიდან, როგორც დანაშაულის „მიზეზიდან“, საზოგადოებაზე<sup>1</sup> ნებისმიერ დანაშაულს სახელმწიფო განიხილავს, როგორც ხელყოფას იმ საზოგადოებაზე, რომელსაც იგი იცავს. ამიტომ დანაშაულთან მიმართებით სახელმწიფო განიხილავს საკუთარ თავს, როგორც ხელმყოფის ობიექტს, ხოლო დამნაშავეს, როგორც ხელყოფის ავტორს (სუბიექტს). სინამდვილეში სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების მონაწილე არის სახელმწიფოც, ხოლო ამ წინააღმდეგობათა ობიექტი, დაზარალებული – თავად დამნაშავე.

---

<sup>1</sup> გ. თოდრია, კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები, თბ., 2020, გვ. 55-56.



1933 წელს გამოკვლევაში „კულტურათა კონფლიქტი“ ტ. სელინი ფუძემდებლური დეტერმინანტის სახით გამოყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის კულტურათა კონფლიქტს.

სატერლენდის იდეის თანახმად, სწორედ სოციალურ დე-ზორგანიზაციას მივყავართ კულტურების კონფლიქტისაკენ, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა სოციალურ კავშირს წარმოშობს. ჯგუფებში, სადაც დომინირებენ კრიმინოგენური კავშირები, ინდივიდი დანაშაულებრივ ქცევას სწავლობს. ამ თეორიის საფუძველზე. კოზენმა 1955 წელს სუბკულტურების კონცეფცია შეიმუშავა.<sup>1</sup>

ყოველი ზემოაღნიშნულიდან, მე-19 საუკუნის შუა ხანების კრიმინოლოგიის საქმის ელემენტები შემდეგნაირად წარმოგვიდგებიან:

ა. დანაშაულობა აისახება, როგორც მასობრივი კანონზომიერება, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგობის პროცესებს გამოხატავს;

ბ. დანაშაულობის დეტერმინაცია არ შემოიფარგლება ინდივიდისა და მისი გარემოს ანალიზით, არამედ ეფუძნება ჯგუფთა შორის ურთიერთობათა გლობალური მდგომარეობის გამოყოფას;

გ. „დანაშაულობასთან ბრძოლის“ კონსტრუქტთან ერთად არსებობას იწყებს დანაშაულობის „სოციალური კონტროლის“ იდეა, მაგრამ იგი წინააღმდეგობრივად ყალიბდება: თითოეული მინითეორია ახდენს ამა თუ იმ ფაქტორის აბსოლუტად მიჩნევას, ამიტომ უფრო ღმა სოციალური და ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნა ეპიზოდურად სოციალურ ურთიერთობათა ხან ერთ, ხან მეორე ტიპის ცვლილებას უკავშირდება.<sup>2</sup>

2021 წლის 16-17 მაისს, დმანისში ეთნიკურ ჯგუფებს შორის მოხდა მასობრივი დაპირისპირებები. ინციდენტის კვალდაკვალ კონფლიქტის მიზეზების შესახებ განსხვავებული მო-

---

<sup>1</sup> გ. თოდრია, კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები, თბ. 2020, გვ. 55-56.

საზრებები გაისმა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. იმავე დღეს, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რელიგიური ლიდერების ჩართულობით, მხარეები შერიგდნენ. თუმცა, დმანისის მოსახლეობაში, როგორც ეთნიკურ აზერბაიჯანელებში, ისე ეთნიკურ ქართველებშიც, მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, უკმაყოფილება, უსამართლობის განცდა ჯერ კიდევ მწვავეა.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული კონფლიქტის ანალიზისა და შეფასების დროს, დმანისი ცალკე მდგომ მოვლენად არ უნდა დავინახოთ და მთლიანობაში დავაკვირდეთ ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკას, ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. უფრო მეტიც, ანალიზის დროს, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ნიგეზიანში, წინწყაროში, სამთანყაროში, ჭელაში, მოხეში, ადიგენში, ქობულეთსა და ბუქნარში რელიგიურ ჯგუფებს შორის მომხდარი კონფლიქტების ჯაჭვი. სახელმწიფოს მხრიდან ამ კონფლიქტების სისტემურ ტრანსფორმაციაზე მუშაობის გამოცდილების დაბალი დონე. მითითებული კონფლიქტების ძირითად ნაწილში ხელისუფლებამ უარი თქვა შევიწროებისა და ძალადობის კონკრეტულ ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისგან, რამაც წაახალისა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები და შექმნა კონფლიქტების განმეორების რისკები. ხელისუფლებამ კონფლიქტების ნაწილი არაფორმალური მედიაციის ფორმატების გამოყენებით გააჩერა, თუმცა არცერთ შემთხვევაში მან არ იმუშავა კონფლიქტის მიზეზების რეალური აღმოფხვრისა და კონფლიქტის გამოცდილების მქონე თემებს შორის ნდობის აღდგენის, თანამშრომლობის მშენებლობისთვის. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ჩანს კონფლიქტის კონსერვაციის ნიშნები, როგორც წესი, არადომინანტური ჯგუფების უფლებების, საჭიროებების და ინტერესების უგულვებლყოფისა და გაჩუმების ხარჯზე (სამთანყარო, ქობულეთი).

დმანისში გამოვლენილი კონფლიქტი გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციის პოლიტიკას სამწუხაროდ მეტწილად ფორმალური და მორჩვენებითი ხასიათი აქვს. ამ საკითხებზე ჩატარებული

კვლევების მიხედვით, უმცირესობების მიმართ მიმღებლობა მოსახლეობის ფართო მასებში ჯერ კიდევ სუსტია. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა ეთნიკურ უმცირესობებს ხშირად უცხოვდ, პრობლემად და სხვად აღიქვამენ.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობას და წარმოჩენას.

საქართველოში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის პრობლემურ ბუნებას, შესაბამისი უწყებების სუსტ მუშაობას სოციალური სამართლიანობის ცენტრი, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ აქტივისტებთან და თემის ლიდერებთან ერთად, უკვე წლებია აკრიტიკებს. კვლევა და მუშაობა არადომინანტური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში აჩვენებს, რომ ერთი მხრივ, ამ რეგიონებში ეთნიკურ ჯგუფებს შორის გაზიარებული სოციალური თუ კულტურული სივრცეები და კავშირები სუსტია, ხოლო, მეორე მხრივ, არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებში მძიმედ დგას პოლიტიკური მონაწილეობის, სასიცოცხლო რესურსებზე და ბაზისურ სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომ – ლობის პრობლემა. საზგასმით უნდა ითქვას, რომ ინტეგრაციის პოლიტიკის ჩავარდნები, რეგიონებში პოლიტიკური პარტიების სუსტი მუშაობა და მკაცრი უსაფრთხოების პარადიგმები, ხელს უშლის ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი ავთენტური ლიდერების გაჩენასაც.

უმცირესობათა შესახებ კანონმდებლობის განხორციელება და მონიტორინგი 2009 წლის მთავრობის დადგენილებით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის (NCAP) განხორციელებას ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის საბჭო (CITC) ახორციელებს აღსრულების მონიტორინგს, დამატებით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებზე.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შექმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და იმ ადამიანების განსაკუთრებულ საჭიროებებზე, რომლებსაც აღნიშნული კონფლიქტი შეეხო.

ომბუცმენი – სახალხო დამცველის ოფისი ზედამხედველობას უწევს საქართველოში

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. ამასთან, ის ასევე პასუხისმგებელია უმცირესობათა უფლებებზე. მას შეუძლია წარადგინოს რეკომენდაციები ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებზე და მოითხოვოს სასამართლოს გადანყვეტილების გადახედვა. ასევე, წარადგინოს რეკომენდაციები პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევი, ან დისკრიმინაციის პრევენციის გაუმჯობესების შესახებ. ეფექტურობის გაზრდისათვის ომბუცმენს აქვს რამდენიმე რეგიონული ოფისი ადგილობრივი წარმომადგენლებით: ერთი მათგანი მდებარეობს ახალქალაქში, სამცხე-ჯავახეთში. ორი ძირითადი ორგანო, რომელიც დაკავშირებულია უმცირესობათა უფლებების დაცვასა და ხელშეწყობასთან სახალხო დამცველის ოფისის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს. პირველი და მთავარი ორგანო არის ეროვნული უმცირესობების საბჭო (CNM), რომელიც 2005 წელს დაარსდა. ეს არის მუდმივი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს როგორც პლატფორმა სახელმწიფოსა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისთვის. ის აერთიანებს 80-ზე მეტ უმცირესობათა ორგანიზაციას, აძლევს რა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესაძლებლობებს მისცენ რჩევები, ან მიაწოდონ ინფორმაცია უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის, მათ შორის, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის (NCAP), შესახებ. ეროვნული უმცირესობების საბჭო ასევე ახდენს ევროპის საბჭოს (Council of Europe) ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) განხორციელების მონიტორინგს და წარადგენს რეკომენდაციებს მასთან დაკავშირებით. მეორე

შესაბამისი ორგანო არის საქართველოს რელიგიათა საბჭო, რომელიც საქართველოში რელიგიათა ჯგუფებს შორის დიალოგზე, ასევე რელიგიის თავისუფლებაზეა პასუხისმგებელი. საბჭოს დახმარებით, სხვადასხვა რელიგიური ასოციაცია იღებს ვალდებულებს, ურთიერთპატივისცემით ითანამშრომლონ და ხელი შეუწყონ საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებასა და ადამიანის უფლებებს, ისევე როგორც რელიგიური უმცირესობების ჩართულობას სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში.

საქართველოში, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში 2021 წელს

<b>საერთო რაოდენობა</b>	<b>ტერიტორიული განაწილება</b>
2	ქ. თბილისი
18	აფხაზეთი
5	აჭარა
2	კახეთი
5	შიდა ქართლი
1	ქვემო ქართლი
220	იმერეთი
53	გურია
12	სამეგრელო და ზემო სვანეთი
1	სამცხე-ჯავახეთი
53	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
17	მცხეთა - მთიანეთი
2	საპაგრულო პოლიცია
7	(კუბ2)
122	სასაზღვრო პოლიცია

<b>დისკრიმინაციის ნიშანი</b>	<b>საერთო რაოდენობა</b>
გენდერი	1394
გენდერული იდენტობა	48
სექსუალური ორიენტაცია	58
სქესი	0
ასაკი	1
შემზღვეული შესაძლებლობა	18
რასა1)	53
რელიგია	19
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	69
სოციალური კუთვნილება	3
საცხოვრებელი ადგილი	0
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა	0
დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი	38
ეროვნული კუთვნილება / გენდერი	1
შემზღვეული შესაძლებლობა / გენდერი	1

წყარო: დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2021 წელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო

### **საკონტროლ კითხვები**

1. ვის სახელთანაა დაკავშირებული კონფლიქტოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება?
2. რას შეისწავლის კონფლიქტოლოგია, როგორც მეცნიერება?

3. ჩამოყალიბეთ კონფლიქტის ინტერაქციონისტული შეხედულება.
4. რა არის ესკალაცია?
5. რა არის დეესკალაცია?
6. კონფლიქტში რამდენი სახის ქცევითი სტრატეგია იკვეთება ქცევითი სტერეოტიპების კუთხით?
7. ჩამოთვალეთ კონფლიქტის 5 ქცევითი სტრატეგია.
8. როგორ განიხილება ეთნიკური კონფლიქტი პრომორდიანლისტური მიდგომის ფარგლებში?
9. როგორ ესმით ეთნიკურობა ინსტრუმენტალური მიდგომის მომხრეებს?
10. რას ეფუძნება ეთნიკური კონფლიქტის კონსტრუქტივისტური გაგება?
11. რამდენი და რა ქცევის მექანიზმები იკვეთება ეთნიკურ კონფლიქტის დინამიკაში?
12. ჩამოთვალეთ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.
13. განსაზღვრეთ, რა არის ეთნიკური კონფლიქტი.
14. ჩამოთვალეთ კონფლიქტის წყაროები.
15. რით იწყება ეთნიკური კონფლიქტის მართვის პროცესი?
16. რა უნდა იყოს ჩართული კონფლიქტების მართვასა და რეგულირებაში?
17. ყველა ეთნიკური ჯგუფი კონფლიქტის რამდენ ეტაპს გაივლის მსოფლიოში?

### სოსიო-კულტურული სფეროს მენეჯმენტი

#### 10.1 სოციალურ-კულტურული სფერო, როგორც მართვის ობიექტი. არასაწარმო სფეროს არსი და სტრუქტურა

თანამედროვე ეპოქა ცვლილებების სწრაფი ტემპით ხასიათდება, შესაბამისად ნებისმიერ ორგანიზაციისათვის უმთავრესი გამოწვევაა ცვლილებების არამხოლოდ იდენტიფიცირება და რეაგირება, არამედ წინასწარ განსაზღვრა და შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი პრევენციული ზომების გატარება.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების შექრამ სოციალურ-კულტურულ სფეროში განაპირობა მისი ფუნქციონირების მიზნებისა და ამოცანების განახლების აუცილებლობა, რომელიც კარგად არის აპრობირებული საბაზრო ორიენტაციის სახელმწიფოებსა და ქვეყნებში. ამით არის გამპირობებული მოცემულ თავში აღნიშული საკითხის განხილვა, რომელიც ორიენტირებულია, ერთი მხრივ, სოციალურ-კულტურული სფეროს დაწესებულებების მომავალი პერსონალის მკაცრი ფინანსური შეზღუდების პირობებში მუშაობის მზადყოფნაზე, მეორე მხრივ, ამ დაწესებულებებში მომსველთათვის მაქსიმალურად კომფორტული პირობების შექმნა, აქტივობისა და ინიციატივისათვის.

რთული ეკონომიკური სისტემების შესწავლისას, რომელთაც უდავოდ მიეკუთნება სოციალურ-კულტურული სფერო, საჭიროა მკაფიოდ გამოიყოს მართვის ობიექტი, მართვადი პარამეტრები, მართვადი ქვესისტემები, დადგინდეს მართვის ობიექტის ურთიერთკავშირი, საზოგადოებრივი წარმოების სხვა სფეროებთან, სტრუქტურირებულ იქნას თავად მართვის ობიექტი, მისი ელემენტები და განხილულ იქნას ურთიერთკავშირში. მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან მომენტს ისეთი რთული სოციალური ეკონომიკური სისტემის, როგორიც არის სწო-



რედ კულტურა, მიზნების კომპლექსის ფორმირება წარმოადგენს. სოციალურ-კულტურულ სფეროს (მისი ინსტიტუტების) გენერალურ მიზანს წარმოადგენს ადამიანთა სულიერი ცხოვრების გამდიდრება და სოციალურ-კულტურული მოღვაწეობისათვის პირობების შექმნა.

სოციალურ-კულტურული სფეროს მართვის ობიექტის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს ორი ურთიერთზემოქმედი შესაძლებლობა: ეკონომიკური და კულტურულ-მხატვრული. პირველი მოიცავს სოციალურ-კულტურული პოლიტიკის განხორციელების საშუალებებს: მატერიალურ-ნივთობრივი შემადგენლობით (დანესებულებათა ქსელი, მათი მოწყობილობა და აღჭურვა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა), საკადრო რესურსები და მათი მხარდამჭერი სისტემები, ფინანსები, ადმინისტრირებისა და მართვის ორგანოები.

სოციალურ-კულტურული სფეროს ეკონომიკური შესაძლებლობები ხასიათდება სამომხმარებლო ბაზრის არსებობით, კონკურენციით, გადახდის უნარიანობითა და მოსახლეობის მოთხოვნით, მათი თავისუფალი დროის არსებობით.

საზოგადოების კულტურულ – მხატვრული შესაძლებლობები წარმოადგენს მათ მიერ დაგროვილ კულტურულ ფასეულობათა სიმდიდრეს, რომელიც მოსახლეობის სულიერი განვითარების განმსაზღვრელია. ის შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მატერიალიზებული საგნებით (სურათები, კულტურისა და ისტორიის ძეგლები ანტიკვარიატები და ა. შ), ასევე კულტურული ტრადიციებით, ზეპირი ხალხური შემოქმედებით, ადამიანთა ზნეობრივი და ესთეტიკური მითითებებით.

კულტურულ-მხატვრული შესაძლებლობების ფორმირების აუცილებელ პირობას ეკონომიკური შესაძლებლობები წარმოადგენს. საკითხები სამართლებრივი, მიზნობრივ პროგრამული, ორგანიზაციულ – სტრუქტურული, ფინანსური პირობები, სოციალურ კულტურული სფეროს ყველა ინსტიტუტების ძირითადი მიზნების რეალიზაციის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

სოციალურ-კულტურული სფეროს მოქმედების კონსოლიდაციის თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციები, მართვის

ორგანოების ზემოქმედების როლის გაზრდა შესაძლებლობას იძლევა გაანალიზებული, გახსნილი იქნას ადგილობრივი და უცხოური ორაგნიზაციების გამოციდლება კონკრეტული მაგალითებით.

ნებისმიერ ქვეყანაში წარმოება დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის შექმნასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან. ადამიანთა საზოგადოებამ, რომ იარსებოს და განვითარდეს, ამისათვის აუცილებელია მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მოხმარება, რაც საზოგადოებამ უნდა აწარმოოს. რა არის წარმოების პროცესი? წარმოების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, არის შრომის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი ზემოქმედებს ბუნებაზე მისთვის საჭირო მატერიალური დოვლათისა და მომსახურების საწარმოებლად.

მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოების პროცესი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ადამიანთა საქმიანობაში. წარმოების პროცესში ადამიანთა შორის დამყარებული ურთიერთობა განსაზღვრავს განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთბებს. ამიტომ, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ყველა შემადგენლობის შინაარსის სწორად აღქმისა და შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობაა აქვს მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოების პროცესის განხილვასა და შესწავლას.

ბოლო პერიოდში, აქტიურად გამოიყენება ტერმინი „არასაწარმო სფერო“. მის გამოყენებას ეკონომისტები ასაბუთებენ იმით, რომ ამ სფეროს დარგებში განსხვავებით „საწარმოო“ სფეროს დარგებისაგან არ იქმნება მატერიალური ფასეულობები, არ წარმოიქმნება ეროვნული შემოსავალი, არამედ ადგილი აქვს მხოლოდ მოხმარების პროცესს. ეს მთლად ზუსტი არ არის, რამდენადაც თითოეულ ცალკეულ ეკონომიკურ დარგში, წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს პროდუქტი, რომელსაც აქვს მატერიალური, ან არა მატერიალური ხასიათი.

სპეციალისტთა ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს გამოყენებული იქნას ტერმინი „არამატერიალური წარმოება“, რამდენადაც არამწარმოებლურ სფეროში ხორციელდება არამატერიალური პროდუქტების (მომსახურების) წარმოება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არამატერიალური წარმოება, მაგრამ არამატერიალური წარმოების გაგება და მისი გაიგივება არასაწარმოო სფეროსთან და მით უმეტეს „სულიერი წარმოების“ არსთან, მაშინაც კი თუ მას მივუდგებით სოციალურ – ეკონომიკური საქმიანობის შინაარსისა და ხასიათის კუთხით არ შეიძლება. „არამატერიალური“ და „სულიერი წარმოების“ ტერმინებს შორის არ შეიძლება ტოლობის ნიშნის დასმა, რადგანაც: 1. არამატერიალურ სფეროში მთელი რიგი დარგები არ ქმნიან სულიერ ფასეულობებს (პროდუქტებს). მაგალითად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ჯანდაცვის კომუნალური მომსახურებისა და ა. შ. სფეროს ფარგლებში. 2. სულიერი წარმოების ზოგიერთი დარგის პროდუქტი (ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი), უშუალოდ ასრულებს მატერიალური წარმოების სფეროში კონკრეტული მწარმოებლური ძალის ფუნქციას (მაგალითად, მეცნიერება).

ამრიგად, დარგების ერთობლიობის ყოველსმომცველი დახასიათება, რომლებიც არაა დაკავშირებული მატერიალური პროდუქტების წარმოებასთან, არის „არასაწარმოო სფერო“. არასაწარმოო სფეროს დარგების უფრო ზუსტი გამოყოფისათვის ეროვნულ და სხვა ლიტერატურაში შემოღებულია ეროვნული მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკატორი რომელიც, 1976 წელს შემოღებული იყო საერთო საკავშირო კლასი – ფიკატორის სახით. ხოლო 1992 წლიდან მოდიფიცირებული იყო საბაზრო ეკონომიკის პირობებთან მიმართებით.

2016 წელს მიღებული იქნა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, რომელიც დამუშავებულია ევროპული ანალოგის მაგალითზე. ეროვნული მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკატორი წარმოადგენს საზოგადოებრივი შრომის დანაწილების საერთო სისტემაში, დარგების მიხედვით საქმიანობის სახეების დაჯგუფებას, მათ

ფუნქციებთან შესაბამისობაში. ეროვნული მეურნეობის დარგების საერთაშორისო კლასიფიკატორის თანახმად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხასიათის კუთხით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შექმნის პროცესში მონაწილეობით დაიყოფა მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებით სფეროდ.

მატერიალური წარმოების სფეროს მიეკუთნება საქმიანობის ყველა სახეობა, რომლებიც ქმნის მატერიალურ სიკეთეს პროდუქციის, ენერჯის, ტვირთების გადაზიდვების, პროდუქტების შენახვის დახარისხების, შეფუთვისა და სხვა ფუნქციების კუთხით, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების გაგრძელებას, გარდაქმნას მიმოქცევის სფეროში. საქმიანობის დანარჩენი სახეები, რომელთა პროცესშიც მატერიალური სიკეთე არ იქმნება, თავისი ერთობლიობით წარმოქმნიან საქმიანობის არასაწარმოო სფეროს.

არასაწარმოო სფეროს მიეკუთნება ეროვნული ეკონომიკის დარგები და საქმიანობის სახეები: საბინაო კომუნალური მეურნეობა;

– მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არასაწარმოო სახეები;

– ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და ფიზიკური კულტურა;

– ეროვნული განათლება; – კულტურადახელოვნება; – მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება;

– ფინანსები, კრედიტი, დაზღვევა, საპენსიო უზრუნველყოფა, მართვა;

– საზოგადოებრივი გაერთიანებები;

არასაწარმოო სფეროს დარგების კლასიფიკაციისას, წინაპლანზე საწარმოო პროცესის უქონლობის წამოწვევაა. მოცემული კლასიფიკაციის მომხრეებს სურდა ზედნაშენი დარგები გაემიჯნათ ბაზისური დარგებისაგან, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეული ეტაპებისაგან განსხვავებით, მაშინ როცა ადამიანთა საქმიანობის მითითებული ფორმა, ან საერთოდ არარსებობდა, ან საზოგადოების განვითარე-

ბის სოციალურ-ეკონომიკური პროცესი, არ იყო ჩართული შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ჩარჩოში.

განვითარებულ საზოგადოებაში ამ დარგებზე გამოიყოფა საზოგადოებრივი შრომის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, ცოცხალი და განვითარებული ფორმით.

ამგვარად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სოციალურ-კულტურული დანიშნულების პროდუქტების წარმოება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მივაკუთნოთ არასაწარმოო სფეროს. არასაწარმოო სფეროში ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს მათი კომერციალიზაციის ხარისხი და მიკუთვნება კომერციულ, ან არაკომერციულ სექტორს, რამდენადაც არაკომერციულ სექტორში წარმოადგენილია არაკომერციული ორგანიზაციების ძირითადი ნაწილი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სოციალურ საქმიანობაზე „საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ“, მის ზოგად ნაწილში, მუხლი პირველი, კანონის გამოყენების სფეროში, მოცემულია, რომ „სამენარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო, ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტატთა), სასოფლო სამეურნეო, ან სატყეო სამეურნეო საქმიანობა“<sup>1</sup>

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს, ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებული ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების, ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფება თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზა-

---

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „მენარმეობის შესახებ“, 2021, მუხლი

ციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება. მენეჯმენტის სახელმძღვანელოში არაკომერციული ორგანიზაცია განხილულია „ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი მოგების მიღება არ არის, მას მიეკუთვნება: საზოგადოებრივი, რელიგიური, საქველმოქმედო ორგანიზაციები და მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, განვითარებისა და დახმარების ფონდები, ასოციაციები და კავშირები, დაწესებულებები. არაკომერციულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ეწეოდნენ ბიზნესს, მხოლოდ მათი სანესდებო მიზნების შესრულების ფარგლებში.“

**არაკომერციული ორგანიზაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, არაკომერციული სექტორის ორგანიზაციების კლასიფიკაცია**

ცხრილი №1

ჯგუფი		ქვეჯგუფი
1.	კულტურა და თავისუფალი დრო	კულტურა და ხელოვნება; თავისუფალი დრო და დასვენება, მათ შორის კლუბები ინტერესების მიხედვით, სანეწრო კლუბები.
2.	განათლება და კვლევა	სკოლები, დაწყებითი და საშუალო. განათლება, უმაღლესი განათლება, სხვა განათლება, მეცნიერება, კვლევა და ტექნოლოგია.
3.	მედიცინა და ჯანმრთელობის დაცვა	საავადმყოფოები და სარეაბილიტაციო ცენტრები, სამედიცინო მოვლა და მომსახურება სულიერ ჯანმრთელობა, კრიზისულ სიტუაციებში დახმარება, სხვა სამედიცინო და სამკურნალო პროფილაქტიკური საქმიანობა.

4.	სოციალური მომსახურება	სოციალური მომსახურებები, სახიფათო და უბედურ სიტუაციებში დახმარება, მატერიალური დახმარება.
5.	გარემომცველი გარემო	გარემო, ველური ბუნებისა და ცხოველთა დაცვა.
6.	საერთო განვითარება და საყოფაცხოვრებო სფერო	სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ტერიტორიის განვითარება, საყოფაცხოვრებო სფერო, შრომითი მოწყობა და სწავლება.
7.	სამართალი, ინტერესების დაცვა და პოლიტიკა	სამოქალაქო და სამართლებრივი ორგანიზაციები, სამართალი და სამართლებრივი მომსახურება, პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები.
8.	შემწეობა და ქველმოქმედების განვითარება და მოხალისეობა	შემწეობა, ქველმოქმედებისა და მოხალისეობის განვითარება.
9.	საერთაშორისო საქმიანობა	საერთაშორისო საქმიანობა
10.	რელიგია	რელიგიური კონგრეგაციები და ასოციაციები.

საერთაშორისო შედარებითი პროექტის „არაკომერციული სექტორის გამოკვლევა“, რომელიც შემუშავებული იყო ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (ა.შ.შ) მიერ, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობდნენ ქვეყნები აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და სხვა საკვლევი პროექტის საერთაშორისო ხასიათის გათვალისწინებით, მასში გამოყენებულმა კლასიფიკაციამ მიიღო „არაკომერციული ორგანიზაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის“ დასახელება.

## 10.2. სოციალურ-კულტურული სფეროს არსი და დახასიათება

სოციალურ-კულტურული სფეროს დახასიათებისათვის აუცილებელია მისი შედარება სოციალურ სფეროსთან. სოციალური სფერო, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს ადამიანთა სოციალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საზოგადოებრივი საქმიანობის ინფრასტრუქტურას. სოციალური სფეროსთვის როგორც სპეციფიკური ეკონომიკური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია: – ეროვნული მეურნეობის ყველა დარგისათვის საერთო ეკონომიკური თვისებები და ურთიერთობები, რომლებზეც თანაბარი ზომით ზემოქმედებენ საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებები.

– ზოგიერთი საერთო ეკონომიკური თავისებურებები, რომლებიც ახასიათებენ არასაწარმოო სფეროს განსაზღვრულ დარგებს და აკავშირებენ მათ. (კულტურა, განათლება, მეცნიერება, ფიზიკურ კულტურა, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა)

ასეთი სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებით ხასიათდება:

– არამატერიალური წარმოების დარგები და სფეროები, რომელთა ფუნქციონირების შედეგს წარმოადგენს არამატერიალური პროდუქტი;

– დარგები რომლებშიც სამუშაო ძალა წარმოების პროცესში, როგორც შრომითი პროცესის ელემენტი ასრულებს უფრო მეტად დიდ როლს, ვიდრე მატერიალური წარმოების სფეროში. განსახავებით მატერიალური წარმოებისა, მასზე მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესაც კი არ შეუძლია მოახდინოს არსებითი ზემოქმედება.

– დარგები, როელთა წარმოების პროცესში ხორციელდება უშუალო ზემოქმედება მოხამრებელზე. (კულტურა, განათლება, ჯანდაცვა და სხვ.), ასე ვთქვათ მიმდინარეობს „ადამიანების მიერ ადამიანთა დამუშავება.“



– არასანარმოო სფეროს რიგი დარგები, რომელთა მიმართებითაც, აუცილებელია აღინიშნოს არაეკონომიკური ფუნქცია და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში სოციალურ სფეროს აიგივებდნენ არასანარმოო სფეროს დარგების ერთობლიობასთან, რომელიც მთლად სწორი არ იყო. მოგვიანებით არასანარმოო სფეროდან გამოიყო სოციალური სფერო. არასანარმოო სფეროდან დაიწყეს მეცნიერების, სახელმწიფო მართველობის ფინანსები გამოყოფა. სოციალური სფეროს შემადგენლობის შევსება კი ტურიზმის ინდუსტრიისა და იმფორმაციული ტექნოლოგიებით, კონსალტინგით, ბუნება დაცვითი საქმიანობით, სამგზავრო ტრანსპორტით და ასე შემდეგ. აგრეთვე სოციალური დანიშნულების მატერიალური წარმოების ნაწილით.

არსებობს სოციალური სფეროს უფრო ვიწრო გაგება, შემოსაძღვრული საქმიანობით სოციალური უზრუნველყოფისა და მოსახლეობის განსაზღვრული ფენის სოციალური დაცვით.

ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მომენტისთვის უტყუარი, ასე ვთქვათ, სარწმუნო და ყოველის მომცველი ეკონომიკური წარმოდგენა სოციალურ სფეროზე, როგორც ეკონომიკური საქმიანობის დარგებისა და სახეების ერთობლიობაზე არ ჩამოყალიბებულა.

„სოციალურ-კულტურული სფეროს“ ცნება, როგორც წესი, გამოიყენება საზოგადოებრივი საქმიანობის იმ სტრუქტურების დახასიათებისათვის, რომელთა ჩარჩოებშიც ხორციელდება სოციალურ-კულტურული კვლავწარმოება ე. ი. მასში მოიაზრება მოცემულ ფუნქციებზე სპეციალიზებული სხვადასხვა სახის სოციალური ინსტიტუტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა სანარმოთა, დანესებულებების, ორგანიზაციებისა და მმართველობით ორგანოთა ერთობლიობა. სწორედ ამ სოციალურ-კულტურული, იმფორმაციული დანიშნულების მოხმარების საქონლისა და მომსახურების განაწილება – შენახვა, ორგანიზება, მოსახლეობის სწორედ ამ კულტურული და იმფორმაციული მოთხოვნათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფაა.

სოციალურ-კულტურულ სფეროს საქიროა მივაკუთნოთ განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ფიზიკური აღრზდა და სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მასობრივი კომუნიკაციისა და ინფორმაციის საშუალებები, სოციალური სფეროს სხვა სახეობები, როგორც ადამიანური შესაძლებლობების განვითარებისა და საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო მიზნის წყარო.

სოციალური სფეროსაგან განსხვავებით სოციალურ კულტურულ სფეროში არ შედის საქმიანობის ისეთი დარგები და სახეობები, როგორიცაა სახემწიფო მართვა და ფინანსები, საბინაო კომუნალური მეურნეობა, ტექნიკის რემონტი და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება, სამგზავრო ტრანსპორტი, თუმცა სოციალურ კულტურული სფეროს ინფრასტრუქტურაზე ზუსტი და ობიექტური წარმოდგენისათვის, მისი ფუნქციონირების ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფისათვის საუბრობენ მათი არსებობის აუცილებლობაზე (მართვა, ფინანსები, ტრანსპორტი და სხვ.).

სოციალურ-კულტურულ სფეროს სტრუქტურა მუშავდება მხოლოდ საქმიანობის სხვადასხვა სახის გამოყოფით. მისი ანალიზი ეკონომიკური მიზნებისა და შედეგების, მეურნეობის მექანიზმისა და მართვის კუთხით საშუალებას იძლევა გამოიყოს, როგორც არასანარმოო სფეროს ანალიზის, ორი ძირითადი ნაწილი – კომერციული და არაკომერციული სექტორი.

სოციალურ-კულტურული სფეროს კომერციული ორგანიზაცია არის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში კულტურის სარბიელზე ისახავს მოგების ამოღებას, როგორც ძირითად მიზანს. კომერციული ორგანიზაციების მონაწილეებს შესაძლებლობა აქვს უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მოგების განაწილებაში. სწრაფი ტემპით იზრდება ისეთი კომერციული ორგანიზაციების რიცხოვნობა, როგორიცაა აქციონერული საზოგადოებები და ამხანაგობა.

სოციალურ-კულტურულ სფეროში წამყვან კომერციული საქმიანობის ორგანიზაციებს შეიძლება მივაკუთნოთ კაზინოები, ღამის კლუბები, გასართობი ტექნიკის ცენტრები, ვიდეო ჩვენება და ვიდეო გაქირავება, შოუ წარმოდგენები. ამ ორგა-

ნიზაციების კომერციულ სექტორთან მიკუთვნების ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს მათ შემოსავლებში გადასახადის დაწესების მაღალი პროცენტული განაკვეთი.

არაკომერციული ორგანიზაციის შესაბამისი სტატუსი აქვთ სოციალურ-კულტურული სფეროს ისეთ ორგანიზაციებს როგორცაა: სკოლები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, კლუბებს, თეატრებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საინფორმაციო ცენტრებს, საპენსიო ფონდებს, ადვოკატთა კოლეგიების ასოციაციებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვ.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, შესაძლებლობას უშვებს სოციალურ-კულტურული სფეროს არაკომერციული ორგანიზაციების მოგების მიღებას, მაგრამ ის შემდეგი მიზეზების გამო ატარებს შემზღვეუდელ ხასიათს:

პირველ რიგში, არაკომერციული ორგანიზაციას შეუძლია იმოღვანოს როგორც მენარმემ, იმდენად რამდენადაც ის ემსახურება სოციალური მიზნების მიღწევას, რისთვისაცაა ის შექმნილი. თავად სამენარმეო საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ასეთ მიზნებს.

მეორე მხრივ, შესაძლებელი მოგება მთლიანად მიემართება არაკომერციული ორგანიზაციის ძირითად პროფილზე და არ შეიძლება მის მონაწილეებზე გადანაწილება. მაგალითად, ჯანდაცვის ორგანიზაციის მოგება გამოიყენება დამატებითი სახის სამედიცინო მომსახურებისა და უკვე არსებული მომსახურების მოცულობის გაზრდაზე, სამეცნიერო ორგანიზაციების მოგება იხარჯება ახალი პროექტების განხორციელებაზე, თავიანთი ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო მონაცობილობებისა და ნედლეულის შეძენაზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მოგება მიემართება მომსახურების სპექტრის გაფართოებაზე, მატერიალური ბაზის სრულყოფაზე და სხვ. ზოგადად, სოციალურ-კულტურული სფეროს არაკომერციული ორგანიზაციების სამენარმეო საქმიანობიდან მოგება არ ნაწილდება მათ მესაკუთრეთა და მომუშავეთა შორის, არამედ მთლიანად რეინ-

ვესტირდება საზოგადოების ფუნდამენტალური სოციალური სფეროების (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა), მოსახლეობის სოციალურ განმტკიცებაზე. მოგების გამოყენების ეს თავისებურებანი წარმოადგენს საერთო ფუნდამენტალურ ნიშანს, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლები, უნივერსიტეტები, კლინიკები, კლუბები, სამეცნიერო ცენტრები, ფონდები, ასოციაციები, კავშირები და სხვა განვიხილოთ ეკონომიკის ერთიანი სექტორის ელემენტების კუთხით, რომელიც იწოდება ეკონომიკის არაკომერციულ სექტორად.

### **10.3 კულტურა, სოციალურ-კულტურული სფეროს შემადგენლობაში კულტურის არსი, სტრუქტურა და მართველობის თავისებურებანი**

კულტურამ შეძლო დამოუკიდებელი სფეროდ გახდომა მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულ სფეროში საზოგადოებრივი შრომის დანაწილების მასშტაბმა, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ, მიგვიყვანა მის გამოყოფასთან იმ საქმიანობის სფეროდან, რომელთანაც ის ადრე იყო ფუნქციურად დაკავშირებული (მაგალითად, განათლების სფეროსთან) ბოლო პერიოდში კულტურის საქმიანობის სფერომ მიაღწია განვითარების ისეთ დონეს, რომ შეძლო მისი მონათესავე სფეროდან გამოყოფა (ისეთი, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.) მან თანდათანობით შეიძინა დამოუკიდებლობა, შრომის დანაწილების ჩარჩოებში და გარდაიქმნა ეროვნული მეურნეობის დარგად.

კულტურის სფეროს ფუნქციონირება მიმართულია პროდუქტის შექმნაზე, რომელსაც შეუძლია ადამიანთა კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების უნარი. ამასთანავე, კულტურის სფეროში საქონლის გაცვლის კანონების მოქმედება და მათი ზემოქმედება ფასნარმოქმნაზე მნიშვნელოვნად იზღუდება. კულტურის განსაზღვრა, გარკვევა უნდა იყოს ყოველის მომცველი, უნარი უნდა შესწევდეს,

რათა აბსრაქტულ დონეზე ასახოს საერთო საფუძვლის მქონე კულტურის, ყველა სახის საქმიანობის მრავალფეროვნება. ამავდროულად ეს განსაზღვრა უნდა დაეხმაროს კულტურაში, საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სახეობების კლასიფიკაციას, მაშასადამე, არ უნდა იყოს იმდენად საერთო, რომ მასში დაიკარგოს განმასხვავებელი ნიშნები, რომელთა წყალობით ეს განსაზღვრა პრაქტიკულად შეიძლება იყოს გამოყენებული. საზოგადოებრივი მუშაობის ეს სახე (სფერო) ეკონომიკური კუთხით შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

1. კულტურა, ეს არის განსაკუთრებული მოღვაწეობის ან მოქმედების არე, რომლის პროდუქტი აკმაყოფილებს ადამიანური მოთხოვნილებების (კულტურული მოთხოვნილებების) სპეციალურ ჯგუფს. მისი განსხვავება სხვა საქმიანობისაგან (რომელთაც პირდაპირ, ან ირიბად შეუძლია კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა) მდგომარეობს იმაში, რომ სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების ქვესისტემების განსაზღვრა (მაგ., განათლების მოთხოვნილება) კმაყოფილდება განსაკუთრებული საშუალებით. როგორც სუბიექტის, ისე ზემოქმედების ობიექტის კუთხით ამ განსაკუთრებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს კულტურაში სპეციფიკური შრომითი პროცესის გამოყოფისათვის.

განათლების სფეროს, საზოგადოებრივად სანქციონირებულ საქმიანობას განასხვავებს, ის რომ მიმართულია ადამიანის პროფესიულ მომზადებაზე. შრომითი საქმიანობის ეს სპეციფიკური სახეა კულტურის სფეროში. კულტურა, განათლების საქმიანობისაგან განსახვავებით მიმართულია ადამიანთა ყოველმხრივ (ინტელექტუალური, ესთეტიკური, ზნეობრივი) აღრზდაზე და მისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რისთვისაც განსაკუთრებული საშუალებები გამოიყენება, რომელთა აღრზდა ნებაყოფლობით ხორციელდება, პიროვნების ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი აღრზდა, როგორც წესი, არ ხასიათდება სისტემატურობით (მაგ., ადამიანს შეუძლია საერთოდ არ იაროს თეატრში, მით უმეტეს,

ის არაა ვალდებული მას რეგულარულად დაესწროს) 2. შემდეგ განმასხვანებელ ნიშანს, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს, მიეკუთნება თუ არა ადამიანთა საქმიანობის ეს, ან სხვა სახე, კულტურის სფეროში მნიშვნელოვანია, საკითხის გარკვევა, ხორციელდება თუ არა ადამიანის მიერ თავისთვის, ან სხვა ადამიანებისათვის. კულტურული საქმიანობა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სფეროდ სწორედ იმიტომ, რომ ის ფართო მასშტაბით ჩაერთო საზოგადოებრივი შრომის ხარჯვის პროცესში და გახდა მუდმივი ელემენტი საზოგადოებრივი შრომის დანაწილებისა და საქმიანობის გაცვლის სისტემაში.

კულტურის სფეროს გარდა, ზემოთ მითითებული ძირითადი თავისებურებებისა შეიძლება ჩამოთვლილ იქნას ეკონომიკური კუთხით მთელი რიგი მეორეული სპეციფიკური თვისებები. შეიძლება აღინიშნოს, რომ:

1. შექმნილი პროდუქტი, განკუთვნილია სხვა ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. კულტურის სფეროს საქმიანობის ქვესისტემაში შეიძლება ჰქონდეს უშუალო კავშირი თავად საქმიანობის სუბიექტის კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებასა და დაკმაყოფილებას. (ამ გაგებით კულტურის პროდუქტების შექმნა არის საზოგადოებრივი შრომის ხარჯვის სპეციფიკური პროცესი);
2. კულტურის სფეროში საქმიანობა ხორციელდება პროფესიონალურ, ნახევრად პროფესიონალურ და არაპროფესიონალურ (მოყვარულთა) საფუძველსეც კი. უკანასკნელ შემთხვევაში ეს საქმიანობა ხორციელდება თავისუფალ დროს. შედეგად მიღებული პროდუქტი შეიძლება განკუთვნილი იყოს სხვა ადამიანებისათვის. მნიშვნელოვანი ნიშან – თვისება, რომლის მიხედვითაც კულტურის სფეროს საქმიანობის ეკონომიკური ხასიათი ფასდება მისი კავშირი განაწილების სტადიასთანაა. (ეს ეხება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ პროფესიონალურ, ასევე არაპროფესიონალურ საქ-

მიანობას), მაგრამ, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც აქვს წარმოების ხასიათს, დამოუკიდებლად იმისა, ადამიანი პროდუქტს აწარმოებს თავისთვის, თუ სხვა ადამიანების კულტურული მოთხოვნილებების დასაკმა – ყოფილებად. კულტურის, როგორც სისტემის ეკონომიკური კავშირები მაკრო ეკონომიკურ სისტემასთან მთლიანად ხასიათდება მრავალმხრივი განზომილებით. ისინი წარმოადგენენ კულტურის სისტემაში შემავალი კავშირების კომპლექსის ორგანულ ნაწილს, როგორც თანაბარი მისი ეფექტის (გამოსავალი კომპლექსის), რომელიც ახორციელებს ზემოქმედებას გარეგან სოციალურ მაკრო სისტემაზე, რომლის ორგანულ ნაწილს ეკონომიკური მაკრო სისტემა წარმოადგენს. კულტურის, როგორც სისტემის, სოციალურ – ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ყველა კავშირის იდენტიფიცირებისათვის, სისტემაში შემავალი და გამავალი ფონით მეტად რთულია, რამდენადაც ეს შესვლა და გამოსვლა, როგორც წესი, ასახავს არაცალკეულ იზოლირებული პროცესებს, არამედ მთელ რიგ ურთერთდაკავშირებულ პროცესებს.

კულტურის სისტემაში შემავალ ზემოქმედებებს მიეკუთნება არამარტო კულტურის განვითარების უშუალო ეკონომიკური (ადმინისტრაციული, ორგანიზაციული საკადრო და სხვ.), არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების გლობალური, პოლიტიკური და სოციალურ – ეკონომიკური პირობები, რომლებიც კულტურის პროცესების დეტემინირებას ახდენენ.

3. კულტურის სისტემის გამოსავალს წარმოადგენს სხვადასხვა ფორმით განხილული ეკონომიკური ეფექტები: მატერიალურ ფიზიკური, აღდგენით კომპენსირებადი, ინფორმაციული, სოციალურ ინტეგრირებული, ინოვაციური, აღმზრდელობით საგანმანათლებლო, და პოლიტიკური. ამასთანავე, ეკონომიკური ეფექტი შეიძლება წარმოადგენილი იყოს გამოსავალის მთლიანი კომპლექსის კუთხით, ცალკეული დონის სოციალური და შედე-

გად ეკონომიკური მაკრო სისტემით. კულტურის სფეროში სოციალურ – ეკონომიკური ურთიერთობები სფეციფიკური სახით გამოვლინდება:

– მაკრო დონეზე ეროვნული მეურნეობის ყველა სისტემაში კულტურის სფეროს ჩარჩოებში ურთიერთობები ეკონომიკის არასანარმოო სფეროს მონათესავე ქვესისტემებში (განათლება, მეცნიერება და სხვ.).

– კულტურის, როგორც სისტემის, შიგა საერთო, დარგობრივი ურთიერთობების დონეზე მართვა (კულტურის სფეროში დარგის საქმიანობის მახასი – ათებლების კუთხით სტრუქტურული ხასიათის თანამოქმედება ფუნქციური ქვესისტემებს შორის საუნყებო დაქვემდებარებულობით და ა. შ.)

– კულტურის სფეროს შიგნით ცალკეული ქვესისტემის ეკონომიური ურთიერთობების დონეზე, კლასიფიცირებულ საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, შედარებით უფრო ვიწროთ კლასიფიცირებული (ნიგნების გამომცემლობა, თეატრი, კინო, კულტურის ძეგლები), ტერიტორიული ნიშნით (ქვეყანა, რეგიონი, მხარე, და ა. შ.), ორგანიზაციების საზოგადოებრივ – ინსტიტუციური ხასიათით (სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოპერატიული და ა. შ.) ამასთანავე, სახელმწიფოებრივი თავის მხრივ იყოფიან ცენტრალურ ორგანიზაციად (ფედერალული და ადგილობრივი დაქვემდებარებით), სამეურნეო პრინციპით (სამეურნეო ანგარიშიანობის ორგანიზაციები, მოღვაწე საწევრო შენატანებზე, ბიუჯეტური);

– მაკრო დონეზე, დარგის ძირითადი ელემენტების ეკონომიკის ჩარჩოებში – სანარმოების, დანესებულებების ორგანიზაციების, ასევე შიგა საუნყებო ცალკეული ქვედანყოფების ეკონომიკის ისეთი სპეციფიკური ობიექტის გამოკვლევის ანალიზისას, როგორსაც წარმოადგენს კულტურის სოციალურ – ეკონომიკური ურთიერთობები. მართებულისა მდგომარეობა იმაზე, რომ შედარებით დაბალი დონის თეორიული, ანდა მისი ცალკეული ელემენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება შემეცნების ეფექტიან იარაღად, თუ ისინი ლოგიკულადაა ჩართული საერთო, ანდა შედარებით მაღლა თეორიულ სისტემაში, მისი



ინტეგრალურ და ფუნქციურად აუცილებელ ნაწილში. „კულტურის სფეროს“ არსის გამოკვლევისათვის რთულია კულტურის გამოცალკეება სოციალურ – კულტურული საქმიანობის სხვა სახეობებიდან (მაგალითად, განათლება) ამიტომ, მას ზოგჯერ განიხილავენ ვიწროდ, შეზღუდულად – როგორც კულტურული მომსახურების დარგად, რომელიც მხოლოდ მის ნაწილს შეადგენს, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანს. ზოგჯერ გამოიყენება უფრო ფართო გაგება „კულტურისა და ხელოვნების სფერო“.

„სოციალურ კულტურული სფეროს“ და კულტურის უფრო მკაცრი საზღვრების განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა კლასიფიკაციის გამოყენებით, პირველ რიგში, საქმიანობის სახეების დარგობრივი კლასიფიკაციით, ეკონომიკური პროცესების კლასიფიკაციის შესაბამის ოთხ ქვესისტემაში:

- კულტურული მოთხოვნილებები,

  - საქმიანობის სახეები,

  - საქმიანობის სახეების შედეგები (პროდუქტები),

- ეროვნულ სამეურნეო ერთეული (ინსტიტუციურ – ორგანიზაციული).

უფრო ხშირად გვხვდება კლასიფიკაცია დაფუძნებული საქმიანობის სახეების გამოყოფაზე, შეთანხმებული ხელოვნების ჟანრებთან და სახეებთან, საკმაოდ ხშირად შეხამებული კულტურული საქმიანობის შედეგებთან (პროდუქტებთან). ასეთი კლასიფიკაციის მაგალითი წარმოდგენილია იუნესკოს რეკომენდაციებში „სახელმწიფომ ფინანსირების სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტიზაცია კულტურული სფეროს საქმიანობაში“, რომელიც მიღებული იქნა 1980 წლის 27 ოქტომბერს 21-ე სესიაზე ქალაქ ბელგრადში, სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო შედარებების გაუმჯობესების მიზნით. პირველ განყოფილებაში „გამოყენებისა და განსაზღვრის სფერო“ კულტურის სფერო განაწილებულია შემდეგ კატეგორიებად:

1. კულტურული მემკვიდრეობა – ისტორიული ძეგლები, არქივი, მუზეუმები, არქეოლოგიური გათხრები, სამეცნიერო გა-

მოკვლევა და კადრების მომზადება.  
2. ლიტერატურა და პუბლიკაციები – ლიტერატურული ნაწარმოებები, წიგნის გამომცემლობა პერიოდული გამომცემის გამოშვება. წიგნებისა და პერიოდიკის განაწილება და გასაღება, ბიბლიოთეკები, სამეცნიერო კვლევები და კადრების მომზადება.

- 3. მუსიკა – მუსიკალური ნაწარმოებები და წარმოდგენები (კონცერტები), პარტიტურების პუბლიკაცია (გამოქვეყნება), მუსიკალურ დრამატული წარმოდგენები (ოპერა, ოპერეტა), მუსიკალური ჩანაწერების წარმოება, მუსიკალური ნაწარმოებების გავრცელება და გასაღება (ჩანაწერებით და ნაბეჭდი ფორმით), მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება და გასაღება, მოწყობილობები ჩანაწერებისა და აღდგენა გამეორებისათვის, კადრების მომზადება.

4. საშემსრულებო ხელოვნება – საშემსრულებო ხელოვნების ნაწარმოებების, დრამატული და ქორეოგრაფიული წარმოდგენების დრამატული ჟანრის (ცირკი, მიუზიკლი, კაბარე, ვარიეტები) შექმნა, კადრების მომზადება.

5. სახვით ხელოვნება – სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების შექმნა, გამოცემა რეპროდუქცია, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების დემონსტრაცია, ჩვენება მათი გავრცელება, გასაღება კადრების მომზადება და დამხმარე ღონისძიებები.

6. კინემატოგრაფია და ფოტოგრაფია – კინოფილმების წარმოება, მათი გავრცელება და ჩვენება, ფოტოგრაფიის წარმოება და გავრცელება, კადრების მომზადება.

7. რადიო და ტელევიზია (ტელეხედვა) – რადიო და ტელეპროდუქციის შექმნა, წარმოება გავრცელება, კადრების მომზადება, დამხმარე ღონისძიებები.

8. საქმიანობა სოციალურ კულტურულ სფეროში – მასობრივი სამუშაო სოციალურ კულტურის დარგში, დახმარება – შემწეობა საზოგადოებრივი ცენტრებისა და თვით შემოქმედების განვითარებისათვის, საზოგადოებრივი და პროფესიული ასოციაციების, საქმიანობის სხვა სახეების (ცერემონიები,

ლონისძიებები დაკავშირებული რელიგიურ, ეთიკურ მრწამსზე) კადრების მომზადება, დამხმარე ღონისძიებები.

- 9. სპორტი და თამაშობები – სპორტული ღონისძიებები და სპორტული ასოციაციები, სპორტული მონყობილობების წარმოება, სათამაშო მოედნებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა, მომსახურება. კადრების მომზადება.

10. ბუნება და გარემო – ბუნებაში კულტურული დასვენებისა და ნაგებობების შემნა და ექსპლუატაცია, ნაკრძალები და ეროვნული პარკები, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის საქალაქო ღონისძიებები (საქალაქო პარკები, მწვანე ნარგავები, საბავშვო მოედნები).

- 1. საერთო მართველობა და სხვა, ზემო გაუთვალისწინებელი ღონისძიებები – საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობა, კულტურული დანიშნულების მრავალ მიზნობრივი მონყობილობების უზრუნველყოფა და მომსახურება. (დარბაზები, კინოთეატრები), დამხმარე ღონისძიებები. ამავე რეკომენ – დაციაში მოცემულია ინსტიტუციონალურ – ორგანიზაციული ერთეულების ტიპოლოგია, სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების სახით ისინი ორსახედ დაიყოფა.

- ცენტრალური მართვის ორგანოები (სააგენტოები უწყებები, სანარმოები)

- მხარეების ადგილობრივი მართვის ორგანოები მოქმედნი კონკრეტული მოძრაობების ბაზაზე საქართველოს ხელისუფლებაში კულტურის საკითხების უშუალო გაძღოლა შემდეგ ორგანოებში ხორციელდება: 1

- საქართველოს კულტურის სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროში;

2. სახელმწიფო საარქივო სამსახურში

- 3. კინემატოგრაფიის კომიტეტით;

- 4. ბეჭდვითი კომიტეტით;

- 5. ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის ფედერალური სამსახურით;

შესაბამისად წარმოიქმნა საერთო კულტურული პოლიტიკის შემუშავებისა და მისი რეალიზაციისათვის კოორდინირებული მოქმედებების პრობლემა.

საქართველოში არსებობს და საკმაოდ გაშლილია კულტურული საქმიანობის სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობის ვერტიკალური სისტემა:

- კულტურის სამინისტრო, ან სხვა ცენტრალური ორგანოები.

- სამართველოები კულტურის კომიტეტები, ოლქის მხარის ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე.

- კომიტეტები, მსხვილი (დიდი ქალაქების კულტურის მართვა)

ადგილობრივი ადმინისტრაციის კულტურის განყოფილებები

ამ სფეროს საქმიანობის შევსება ხდება საკანონმდებლო ორგანოების მმართველობის მხრიდან, როგორც ფედერალურ, ისე რეგიონულ დონეზე, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ ბაზას და შეიმუშავებენ საქმიანობის სტრატეგიას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს მართვის მიზნით შექმნილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს:

- სამსახურს მიკუთნებული სფეროების მუნიციპალური პროგრამების მართვას;

- პროგრამების განხორციელების კონტროლს;

სამსახურის კომპეტენციას მიკუთნებული თბილისის იურიდიული პირების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას;

- კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს მიკუთნებული საკითხების მართვასა და კოორდინაციას;

– სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარებასა და აღნიშნულ სფეროში მონიტორინგის განხორციელებას;

– სამსახურს დაქვემდებარებული დაწესებულებების გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას; – სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე სხვა საკითხების გადაწყვეტას.

საზღვარგარეთის ქალაქების კულტურის სფეროს მართვის სისტემაში გათვალისწინებულია მართველობის ორი დონე – საკანონმდებლო და ადმინისტრაციული.

მაგალითად, სტოქჰოლმში კულტურის სფერო რეგულირდება:

1. მუნიციპალური საბჭოს (საკანონმდებლო ორგანო კულტურისა და სპორტის განყოფილებაში.

2. კულტურისა და სპორტის დარგობრივ კომიტეტებში, საქალაქო ადმინისტრაციის ესთეტიკური საკითხებით.

4. ქალაქების რაიონულ კომიტეტებში (ადგილობრივ დონეზე კულტურული საქმიანობის ორგანიზაცია ყველა ასაკის მაცხოვრებლისათვის).

იუნესკოს კლასიფიკაციაში წარმოდგენილია სოციალურ-კულტურული სფეროს ყველა სახე, სადაც ჩართულია:

– ხელოვნება და პროფესიული მხატვრული შემოქმედება და განათლება;

– მოსახლეობის კულტურული მომსახურება, მასობრივი სახალხო შემოქმედება, თვით შემოქმედება და განათლება;

– კულტურისა და ხელოვნების საგნების საშუალებების მატერიალური წარმოება.

თითოეული ეს ქვედარგები ექვემდებარება თავის შემდგომ გრადაციას და გამოყოფას უფრო ვიწრო და კონკრეტული ტიპის ორგანიზაციებითა და საქმიანობის სახეებით.

ეს დიფერენციაცია განსახიერებას ახდენს, როგორც საკანონმდებლო დოკუმენტების მიღებისას, ისე დარგების ხელმძღვანელობის პრაქტიკაში განხორციელებას (განყოფილებები, მუზეუმების, თეატრების ბიბლიოთეკების კლუბების საქ-

მიანობის კულტურის საქალაქო ადმინისტრაციების კომიტეტებში).

კულტურული საქმიანობის სახეების დარგობრივი კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგი საით იქნას წარმოდგენილი.

**კულტურული საქმიანობის სახეების დარგობრივი კლასიფიკაცია**

- არაკომერციული სფეროს დარგობრივი სტრუქტურა;
- სოციალურ კულტურული სფეროს დარგობრივი სტრუქტურა;


- კულტურის სფეროს დარგები;
- ქვედარგები (თეატრების საქმიანობა, ორკესტრების, ბიბლიოთეკები, კლუბები, კინოჯგუფები, საესტრადო კოლექტივები).

- საქმიანობის ჯგუფები, ქვედარგებში (თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები, საესტრადო პროგრამები, მკითხველთა კონფერენციები, დისკოთეკები).

- საქმიანობის ქვეჯგუფები, ქვედარგებში (კონცერტულ – საშემსრულებო საქმიანობა, საბონენტო კონცერტები), საქმიანობის სახეები, აღნიშნული კლასიფიკაცია წარმოადგენს ეკონომიკური პროცესების დანაწევრებისა და დაჯგუფების ჰორიზონტარულ სისტემას, საქმიანობის სახეებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მიმართებით.

ეკონომიკური საზღვრები განისაზღვრება დარგის მიერ შესრულებული ფუნქციით საზოგადოებრივი შრომის დანაწილების საერთო სისტემაში, ხოლო ყოველი დარგი და ქვედარგი საქმიანობის განსაკუთრებული სახით განსხვავდება, გარდა ამისა, კულტურაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები საჭიროა ასევე განხილულ იქნას ვერტიკალური დანაწევრების სისტემით, ცალკეული ქვესისტემების საქმიანობის ურთერთობით კულტურის კვლავწარმოებითი პროცესების ცალკეულ ფაზებთან, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სქემაში.

**კულტურული პროდუქტის წარმოებისა და მოხმარების სქემა  
(ნ. ნოვოტნომისა და პ. ფიშერის მიხედვით)<sup>1</sup>**



1. ამ კლასიფიკაციის პრინციპების შესაბამისად შეიძლება კულტურის სფეროში გამოიყოს საქმიანობის შემდგები ეტაპები:

საავტორო შემოქმედება, კულტურული სიკეთის (პროდუქტების) შენახვა, შემოქმედებითი არამატერიალური წარმოება, შემოქმედებითი მატერიალური წარმოება და კვლავ წარმოება.	წარმოებისა და შენახვის ფაზა
კულტურული სიკეთის (პროდუქტების) გავრცელება და განაწილება.	განაწილებისა და გაცვლის ფაზა
კულტურული სიკეთის (პროდუქტების) მოხმარება	განაწილებისა და გაცვლის ფაზა

## 10.4 სოციალურ კულტურული საქმიანობის პროდუქტების (შედეგების) არსი

ადამიანთა საზოგადოების კულტურული სიმდიდრე ეკონომიკური თვალთახედვით წარმოადგენს უამრავ კულტურის პროდუქტს, ამასთან ცალკეული პროდუქტი წარმოადგენს ამ სიმდიდრის ელემენტარულ ფორმას. ეს პროდუქტები ხასიათდება სპეციფიკური გრძნობადი აღთქმის თვისებით, რომელთა წყალობითაც მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ განსაკუთრებული ადამიანური მოთხოვნილებები (კულტურული მოთხოვნილებები).

ამასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ მატერიალური პროდუქტი არსებობს დამოუკიდებლად, ხანგრძლივად, ხოლო არამატერიალური მის წარმოებაზე და მოხმარებაზე დახარჯული შედეგებით მხოლოდ მცირე დროის მონაკვეთში (მაგალითად, თეატრალური სპექტაკლი, კონცერტი და ა. შ.). კულტურის პროდუქტის სამოხმარებლო ღირებულება დაკავშირებულია მის კულტურულ ფასეულობაზე ე. ი. მატერიალური და არამატერიალური პროდუქტის თავისებურებებით, უნარით დააკმაყოფილოს კულტურული მოთხოვნილებები. გამომდინარე აქედან, კულტურის პროდუქტებს უნდა ჰქონდეს რალაც, ასე ვთქვათ, რომელიღაც სამოხმარებლო ღირებულება ე. ი. იყოს კულტურული სიკეთე. კულტურის ეკონომიკაში განიხილება მხოლოდ ის კულტურული სიკეთე, რომელსაც ფლობენ საზოგადოებრივ სამოხმარებლო ღირებულებას და აკმაყოფილებენ ადამიანთა არაუბრალოდ ამა თუ იმ კულტურულ მოთხოვნილებას, არამედ ნამდვილ ჭეშმარიტ (საზოგადოებრივად აღიარებულ) კულტურულ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მიეკუთნება:

- ადამიანების საზოგადოებრივად განვითარებული კულტურული მოთხოვნილებანი;
- კულტურული მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება სპეციფიკური სახით წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრების ათვისების ერთ-ერთ საშუალებას. მნიშვნელოვანია, რათა



დაკმაყოფილება არამარტო სარგებელს იძლეოდა, არამედ ასევე სარგებელს მქონდეს პიროვნული ხასიათი. კულტურული სიკეთეები დაიყოფა ბუნებრივ სიკეთებად და იმ სიკეთედ, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებრივი შრომის პროდუქტებს. განსახიერებული საზოგადოებრივი შრომის დანახარჯები, კულტურის სიკეთეების ეკონომიკური ურთიერთობების მატარებლად მაშინ ხდება, როცა ის ფლობს საზოგადოებრივ სამომხმარებლო ღირებულებას და წარმოადგენს კულტურის სფეროს პროდუქტს.

საზოგადოებრივი შრომის მასის მოძრაობა წარმოადგენს ეკონომიკური გამოკვლევის საგანს და რომელიც დახარჯული შემოქმედებითი მატერიალური და არამატერიალური კვლავ წარმოების შექმნაზე, კულტურის სფეროს მატერიალური და არამატერიალური პროდუქტების დამუშავებაზე და შენახვაზე ასევე, რომლებიც ფლობენ საზოგადოებრივ სამომხმარებლო ღირებულებას ე. ი. უნარს, დააკმაყოფილოს ადამიანთა საზოგადოებრივად აღიარებული კულტურული მოთხოვნილებანი, საზოგადოებრივად აღიარებული კულტურული მოთხოვნილებანი. თუ საუბარი ეხება პირადი შემოქმედების პროდუქტებს რომლითაც კმაყოფილდება საკუთარი კულტურული მოთხოვნილებანი, ამ შემთხვევაში შექმნილი პროდუქტები არ გაივლიან რაიმე ეკონომიკურ პროცესებს, თუმცადა შეიძლება ახასიათებდეს პირადი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. როგორც წესი, კულტურულ – პოლიტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წევრის კულტურული დონის ამალლებისათვის. ამ არაეკონომიკურ პროცესებს შეიძლება ჰქონდეს ძალიან მნიშვნელოვანი როლი შემდეგი თვალთახედვით:

1. ეკონომიკური წინაპირობებისა და პირობებით, რომლებიც აუცილებელია პირადი შემოქმედებისათვის (მაგალითად, ნოტებისა და სანოტარო რვეულების შექმნა, სახემძღვანელოსა და სხვა ნივთების შენახვა, რომლებიც აუცილებელია პირადი თვითშემოქმედებისათვის.

2. პირადი შემოქმედების შედეგებისათვის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კულტურის სფეროს სტრუქტურულ

გარდაქმნებზე, კულტურის სფეროში ცალკეულ ქვესისტემების განვითარების მიმართულებებზე და ტემპებზე, კულტურული მოთხოვნების ხერხებზე, მატერიალური სიკეთისა და კულტურული მომსახურების დახმარებით.

ბევრი ეკონომისტი თვლის, ტერმინები „კულტურული სიკეთე“, „კულტურის სფეროს პროდუქტი“, ანდა „კულტურის საქონელი“ (ეს უკანასკნელი ზოგიერთი ავტორის მიერ გამოიყენება იმ კულტურული სიკეთის მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ყიდვა – გაყიდვის საგანს) არ შეიძლება შეიცვალოს ტერმინით „კულტურული ფასეულობები“.

მხედველობაში მიიღება, რომ კულტურული საქმიანობის (მოღვაწეობის) პროცესში იქმნება არაკულტურული ფასეულობები, არამედ წარმოიქმნება, ან კულტურული სიკეთეები (უფრო ვიწრო გაგებით სიტყვა სიკეთეს ქვეშ მოიაზრება პროდუქტის გაგება, რომელშიც შრომაა ჩადებული ე. ი. მოცემული პროდუქტი წარმოადგენს საზოგადოებრივი არაორგანიზებული, ანდა საზოგადოებრივად ორგანიზებული არაპროფესიონალური კულტურული საქმიანობის ნაყოფს, ანდა კულტურის სფეროს პროდუქტები (თუ მათში ჩადებულია საზოგადოებრივი შრომა, ე. ი. ისინი წარმოადგენენ პროფესიონალურად ორგანიზებულ კულტურული საქმიანობის შედეგს (ნაყოფს), ანდა კულტურის საქონელი, თუ ისინი ყიდვა გაყიდვის საგანი გახდება კულტურის სფეროს პროდუქტები, კულტურის სიკეთე და კულტურის საქონელს აქვს განსაზღვრული კულტურული სამომხმარებლო ღირებულება; კულტურის სფეროს პროდუქტებს ამავდროულად აქვს ეკონომიკური ღირებულებაც ხოლო კულტურულ საქონელს აქვს ფასიც.

სოციალურ-კულტურულ სფეროში საქმიანობის საბოლოო შედეგი – ესაა კვლავწარმოების საზოგადოებრივ პროცესში „ერთობლივი მუშაკის“ საქმიანობის შეჯამებული შედეგი, ამ სფეროში შექმნისა და შენახვის ეტაპზე მატერიალური და არამატერიალური კვლავწარმოება, მატერიალური და არამატერიალური პროდუქტის დამუშავება და გავრცელება ამა თუ

იმ ზომით ამ პროცესში შრომის დანაწილების ჩარჩოებში ყველა მუშაკი იღებს მონაწილეობას (პროფესიონალური მუშაკები, თვითშემოქმედების მონაწილეები, შემოქმედებითი მუშაკები და ა. შ.)

კულტურული განვითარების დინამიკაზე ყველაზე მეტ ზეგავლენას ახდენს, ის პროდუქტები, რომლებიც განსხვავდება თავისი განსაკუთრებულობით, არასტანდარტულობით, განუმეორებლობით. კულტურის სფეროს ასეთი პროდუქტები ორიგინალურია. მათი შექმნა შეუძლია მხოლოდ განსაკუთრებული ტალანტის ოსტატს, არ შეიძლება მათი წარმოება დიდი რაოდენობით, ისინი უნიკალურია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არასწორი იქნებოდა განსაკუთრებულად კულტურული სიკეთე გაგვეხილა, როგორც შრომის პროდუქტი და გაგვეთანაბრებინა ისინი სხვა დანარჩენ სიკეთესთან. რით განსხვავდება კულტურული სიკეთე საზოგადოებრივი შრომის სხვა დანარჩენი პროდუქტებისაგან (მატერიალური და არამატერიალური) და არის თუ არა მათ შორის რამე საერთო.

კულტურული სიკეთე სხვა სიკეთისაგან განსხვავდება სპეციფიკური საზოგადოებრივი სამომხმარებლო ღირებულებით, რომელთა ძალითაც ისინი აკმაყოფილებენ ადამიანთა მოთხოვნილებებს, სწორედ კულტურული მოთხოვნილების განსაზღვრულ ნაწილს, კულტურულ სიკეთეს, სამომხმარებლო ღირებულების კუთხით მაინც აქვს საერთო სხვა სიკეთესთან. საზოგადოებრივი მოთხოვნილებები არ არსებობს იზორილებულად, ისინი შედის ადამიანთა მოთხოვნილებების ერთიანთა სისტემაში მოთხოვნილებების თითოეული ქვესისტემა უდაოდ ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას. მაგრამ მათ ყველას მოთხოვნილებების ერთიან სისტემასთან კუთვნილება აერთიანებს. კულტურული სიკეთე სხვა სიკეთესთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივ პროდუქტს, კონკრეტულად კულტურის მუშაკის შემოქმედებითი შრომის, როგორც საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სისტემის შემადგენელს. კულტურის სფეროს ყველა ქვესისტემაში და კვლავწარმოების ყველა ეტაპზე (განათლების ცენტრებში, კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოებებში,

სახალხო მხატვრულ სარეწებში, მეთოდურ და კვლევით დაწესებულებებში და ა. შ. ასევე კულტურის უმაღლეს ორგანოებში, კულტურული განვითარების პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს შემოქმედებითი მუშაკების საქმიანობა.

სამომხმარებლო ღირებულების საბოლოო მიზნებით გამოყენების კლასიფიკაციის გვერდით ე. ი. მათ მიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხასიათით, მეცნიერების გარკვეული ჯგუფი გვთავაზობს, რათა კლასიფიკაცია განვახორციელოთ კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ფორმირების საგნებით, მათი არსებობის ფორმებით. კულტურული სიკეთეები, რომლებიც ფორმირდება და აკმაყოფილებს კულტურულ მოთხოვნილებებს თავისი ხასიათით არაერთგვაროვანია. ისინი განსხვავდება მატერიალიზაციის ხარისხით, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებებით და მათ მიერ შეუსრულებული ფუნქციებით. ამიტომ, მიზანშეწონილია, პირველ რიგში, ის დაიყოს:

1. კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების **მატერიალური ობიექტები**;

2. კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების **არამატერიალური ობიექტები** (როგორც წესი, ამას მიეკუთვნება კულტურული მომსახურებები). კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების მატერიალურ ობიექტებს შორის საჭიროა გამოიყოს:

3. კულტურის საშუალებები, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან:

4. 1.1 „სანარმოო“ (ვიოლინო, ფორტეფიანო, ფუნჯები, თეატრალური კოსტიუმები და ა. შ.) ე. ი. რომელთა დახმარებითაც მიმდინარეობს კულტურული სიკეთის წარმოება (კვლავწარმოება).

1.2 საინფორმაციო (რადიო მიმღები, ტელევიზორი) (ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება, ისეთი, როგორიცაა მაგნიტოფონი, შეიძლება გამოყენებული იქნას სანარმოო საშუალების კუთხით, მაგალითად თვითშემოქმედებით მოღვაწეობისას, რადიო გადაცემების შექმნისას და ა.. შ.)

**კულტურული სიკეთეების კლასიფიკაცია კულტურული  
მოთხოვნილებების ფორმირებითა და**

<p><b>1. დაკმაყოფილებით</b></p> <p>კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების <b>მატერიალური ობიექტები</b></p>	<p>1.1 კულტურის საშუალებები</p> <p>2. კულტურის საგნები</p>	<p>ა. საწარმოო (ვიოლინო, ფორტეპიანო)</p> <p>ბ. საინფორმაციო</p> <p>ა.დაკავშირებული კულტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან.</p> <p>ბ. კულტურის ობიექტების წარმოებისა და მოხმარების ფაზების გამასაშუალებელი.</p>
<p><b>2. კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების არამატერიალური ობიექტები</b></p>	<p>2.1 მომსახურებები</p> <p>2.2 მომსახურებები</p>	<p>კულტურაში გადაცემი მექანიზმის ფუნქციის შემსრულებლები.</p> <p>უშუალოდ კულტურის ფუნქციების შემსრულებელი</p>

ცალკეული საწარმოო საშუალებები, ერთდროულად შეიძლება განხილული იქნას, როგორც ხელოვნების ქმნილება (მაგალითად, სტრადივარის მიერ შექმნილი ვიოლინოები), მაშინ მიუხედავად მატერიალური არსისა, საჭიროა ჩაითვალოს სულიერი წარმოების პროდუქტად, რომლებიც ასრულებდა კულტურის საგნის ფუნქციას.

1.3 კულტურის საგნები – მათ მიეკუთნება ხელოვნების ყველა ქმნილება, რომელიც არსებობს სამხატვრო საქმიანობიდან, მათი შემქმნელი მხატვრებიდან განცალკევებულად, რომელიც შეიძლება გახდეს საქონლის გაყიდვისათვის გამოსაყენებლად ვარგისი. ეს პროდუქტები არამატერიალური წარმოებისაა, მაგრამ აქვს მატერიალური განსახიერება.

#### **კულტურის საგნების ჯგუფი შეიძლება დაიყოს:**

1. კულტურის საგნები, უშუალოდ დაკავშირებული კულტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან (მაგალითად, მხატვრული ფილმები და ა. შ.).

2. კულტურის საგნები, რომლებიც კულტურის ობიექტების წარმოებისა და მოხმარების ფაზების გამასაშუალებელია.

ამ ფაზებს შორის ადგილი აქვს მატერიალური კვლავწარმოებას, რომლებიც თავისთავად წარმოადგენს ამ პროდუქტების წარმოების პროცესის აუცილებელ ეტაპს, მაგრამ თავისთავად არ წარმოადგენს კულტურულ საქმიანობას. კულტურის ასეთი საქმების ტიპურ მაგალითად გვევლინება წიგნი. მისი წარმოება საავტორო შემოქმედებისა და რედაქტირების – გამომცემლობის ეტაპზე არის კულტურული საქმიანობა. თუ საუბარი არ მიმდინარეობს განსაკუთრებულ ბიბლიოგრაფიურ გამოცემაზე, წიგნი შემდეგ ეტაპზე უკვე არის პოლიგრაფიური მრეწველობის პროდუქტი, ეს ეტაპი კი წარმოადგენს არაკულტურულ, არამედ სამრეწველო საქმიანობას.

კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების არამატერიალური ობიექტები ასევე იყოფა:

1 მომსახურებები, რომლებიც კულტურაში გადამცემი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. მათ, როგორც კულტურის არამატერიალურ საშუალებებს, კულტურულ მოთხოვნილებებთან აქვთ ფუნქციური ურთიერთობა. მათ მიეკუთნება: წიგნების გაცემა ბიბლიოთეკებში, ფილმების ჩვენება კინოთეატრებში, თეატრალური კოსტიუმების გაქირავება და ა. შ. სწორედ ამ სფეროს (და არა ვაჭრობის სფეროს) საჭიროა მიეკუთნოს სამხატვრო ხელოვნების საგნების, წიგნებისა და ა. შ. გაყიდვა;

2 მომსახურებები, რომლებიც ასრულებენ უშუალოდ კულტურულ ფუნქციას, მაგალითად, თეატრის მსახიობის სამუშაო, შემსრულებელ – ვირტუოზის კონცერტი, პროფესიონალური გუნდის ხელმძღვანელის საქმიანობა, მეცნიერის ლექცია და ა. შ.

ამ ობიექტების ნაწილი მხოლოდ გამასამუალებლად უზრუნველყოფს კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებასა და დაკმაყოფილებას. მითითებული ობიექტების სხვა ნაწილი უშუალოდ განაპირობებს მათ ფორმირებასა და დაკმაყოფილებას. თუ კულტურის მოთხოვნილებების ობიექტების წარმოება და მოხმარება (ეკონომიკური კუთხით) შეიზღუდება ერთ-ერთი ამ ქვეჯგუფის ჩარჩოებით, მაშინ კულტურის სფეროს კვლანარმოების პროცესში დაირღვევა წონასწორობა. კულტურის მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების ოპტიმიზაცია გულისხმობს ზემოთ აღნიშნული ქვეჯგუფების პროპორციულ განვითარებას. თუ კულტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კვლავ – წარმოების პირობების პროცესში ძირითადს წარმოადგენს საავტორო წარმოება და შემოქმედებითი რეალიზაციის ფაზა, მაშინ პროცესის შედეგის კუთხით კვლანარმოების ძირითად ფაზას წარმოადგენს კულტურის საგნებისა და კულტურის მოთხოვნილებების შექმნის პროცესი, რომლებიც უშუალო კულტურულ ფუნქციას ასრულებს.

არ შეიძლება კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების არცერთი ქვეჯგუფის მატერიალური და არამატერიალური ობიექტების უგულვებლმყოფა. ისინი ერთობლივად წარმოქმნის კულტურული წარმოებისა და მოხმარების პირობების კომპლექს, რომლებიც ერთმანეთთან რთული ურთიერთობებითაა დაკავშირებული. მაგალითად, მატერიალური ხასიათის კულტურის საგნებს, თავად როგორც ასეთს, არ შეუძლია შეუასრულოს თავიანთი ფუნქცია, თუ ისინი არაა დაკავშირებული მომსახურების ჯგუფთან, რომელიც ასრულებს გადამცემი მექანიზმის ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს მათ გადასვლას გავრცელების ფაზიდან, მოხმარების ფაზაში (საწინააღმდეგო შემთხვევაში, მაგალი-

თად, მხატვრული ფილმი დარჩებოდა საარქივო დოკუმენტად, ანდა ორიგინალურ სასწავლო და მეთოდოლოგიურ გამოკვლევების საჭიროებად)

კულტურული მოთხოვნილებების ობიექტები ერთმანეთს განაპირობებს, ცალკეული ობიექტების სამომხმარებლო ეფექტმა შეიძლება გამოიწვიოს სხვა ობიექტების წარმოების აუცილებლობა, ანდა წინააღმდეგ ერთი ობიექტები შეიძლება კონკურენციაში იყოს მეორესთან. ცალკეული ობიექტების ურთიერთშენაცვლების უნარი, განსაკუთრებულად კულტურისა და კულტურულ მომსახურებათა საგნების ჯგუფში მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე მოხმარების ჩვეულებრივ საქმეში, რამდენადაც კულტურის თითოეულ ცალკეულ პროდუქტს, იმდენად სპეციფიკური სამომხმარებლო თვისება აქვს, რომ არ შეიძლება შეიცვალოს სხვა პროდუქტით. მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა ნიგნების მალაზიაში კონკრეტული ავტორის, კონკრეტული ნაწარმოები, ნაკლებად დავთანხმდებით, ვიყიდოთ სხვა ავტორის ნაწარმოები, თუნდაც იმავე ავტორის სხვა ნაწარმოები.

ობიექტების ურთიერთშენაცვლება და მათი ერთმანეთისადმი კონკურენცია განხორციელებადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელთა მიმავალ გზაზე არაა დროითი, სივრცითი, ანდა საზოგადოებრივი დაბრკოლება, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, განუვითარებელი სოციალური ინფრასტრუქტურა. მაგალითად, სატელევიზიო პიესა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნილების ურთიერთშენაცვლებად ობიექტად, თუ უახლოეს რაიონში არის თეატრი, რომელშიც ეს პიესა იდგმება, ანდა მოქმედებს კულტურული დაწესებულებები, რომელთაც ღონისძიებათა მდიდარი პროგრამა და სასიამოვნო ატმოსფერო აქვს და ასე შემდეგ. განსაზღვრული ობიექტებით გარკვეული კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა ობიექტების მიმართ ინტერესი თუ ისინი:

– სხვადასხვა მრავალფეროვან მოთხოვნილებებს ურთიერთს სტიმულირებენ (თეატრებში დასწრება, ნიგნების კითხვა).



– ურთიერთგანპირობებულობა (მაგალითად, მიზანმიმართული ესთეტიკური აღზრდა განაპირობებს კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტებზე მოთხოვნის ზრდას, იწვევს სასურველ ცვლილებებს მოთხოვნის სტრუქტურაში და პირიქით ესთეტიკური აღზრდაში შეცდომებსა და ნაკლს მივყავართ მოთხოვნის სტრუქტურის დეფორმაციასა და ერთნერტილზე გაყინვასთან.

კულტურული მოთხოვნილებების, მათი დაკმაყოფილების ობიექტების თავისებურებების შესწავლა (ურთიერთშენაცვლებადობა, სტიმულირება და ა. შ.) დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დამუშავებისათვის, რომელიც მიმართული იქნება შემოქმედების აუცილებელი პირობების შექმნაზე, რომლის ფარგლებშიც იმოქმედებს საზოგადოებრივი, კულტურული დონის აუცილებელი ზრდის კანონზომიერება. ასეთი გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია ჩამოყალიბდეს კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრიორიტეტული პრინციპები, შემუშავებულ იქნას საკვანძო პუნქტები პირობების (ობიექტები) კომპლექსში, რომელთა საფუძველზეც საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე უფრო მეტი ეფექტიანობისათვის ხორციელდება კულტურის მოთხოვნილებების სისტემის კომპლექსური განვითარება.

კულტურის მოთხოვნილებების საგნების ეკონომიკურ ფუნქციონირებას საერთო ნიშანთვისებებთან ერთად, რომელიც დამახასიათებელია მართვის მაკრო სისტემისა და ეკონომიკისათვის, აქვს საკუთარი თვისება, რომელიც აუცილებლადაა გასათვალისწინებელი. სქემატურად ის შეიძლება წარმოვიდგინოთ და შევადაროთ მაგალითად სამრეწველო პროდუქტებს.

სამრეწველო და კულტურული დანიშნულების პროდუქტების შედარებითი ანალიზი

სქემა 2

მრეწველობის პროდუქტები (საერთო დახასიათება)	კულტურის საქმიანობის პროდუქტები (საერთო დახასიათება)
სერიული წარმოება	სპეციფიკური და ინდივიდუალური წარმოება (განსაკუთრებულად წარმოების ეტაპზე მძიმე ნაკლები ხარისხით მომხმარებელთან გადას - ვლის ეტაპზე)
გასაშუალება	უნიკალურობა და ორიგინალობის ტენდეცია
წარმოების შედეგების ზრდა დამოკიდებულია დაბანდების მოცულობის ზრდაზე	მითითებული დამოკიდებულება მნიშვნელოვ - ნად სუსტად გამოვლინდება, განსაკუთრე - ბულად კულტურის საზოგადოებრივი პროცესის კვლავწარმოების ზოგიერთ ეტაპზე, მაგალითად, საავტორო შემოქმედებაში
წარმოება, ეკონომიკური კატეგორიების საფუძველზე იმართება	ეკონომიკის გარე კატეგორიებით ზემოქმედება - ე. ი. კულტურულ პოლიტიკური, ზნეობრივი და ა.შ. - ეს მომენტები პრიორიტეტურს წარმოადგენს თუმცაღა ეს არათითოეულ პროდუქტს მიეკუთ - ნება
წარმოება რეგულირდება გეგმაზომიერ დაკმაყოფილების კრიტერიუმებიდან გამომ - დინარე, ძირითადად უკვე არსებული მოთხოვნილებებიდან. მსყიდველობითი უნა - რების შუამავლობით (მოთხოვ-	კულტურის ცალკეული ქვესისტემების უმრავლეს ელემენტებს არა აქვს მოთხოვნილებების წინსწრება; უკანასკნელი პირიქით, გეგმაზომიერად სტიმულირდება და გამოძახილია კულტურის ახალი პროდუქტებით (შეთავაზება წინ უსწრებს მოთხოვნას)

ნიღებების წინსწრებით)	
რალაც დროით შესაძლებელია პროდუქციის დასაწყობება	პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილი არ შეიძლება დასაწყობდეს, შევინახოთ, მაგალითად, კულტურული მომსახურებები, მაგრამ პროდუქციის ნაწილი (მატერილიზებული) შეიძლება შენახული იყოს პრაქტიკულად განუსაზღვრელი დროით
სამრეწველო სიკეთის მოხმარების ეფექტს აქვს ან ერთჯერადი, ან ხანგრძლივი ხასიათი	მოხმარებიდან ეფექტს აქვს ხანგრძლივი (ინვესტიციური) ხასიათი

კულტურის საქმიანობის პროდუქტების ეკონომიკური მრავალფეროვნება დამოკიდებულია თავად კულტურის საქმიანობის ფორმებისა და სახეების მრავალფეროვნებაზე.

კულტურის სფეროში, კულტურის, როგორც დარგის კვლავწარმოების პროცესების ცალკეული ეტაპების პროდუქტების ხასიათის ანალიზისას, ისე წარმოების ხასიათის, მათი ერთეულების, ანდა განმეორებადობის კუთხით, მისი მიზნობრიობით მოხმარების მასობრივობაზე, მისი ორიენტირებულობა მოთხოვნაზე და მიწოდებაზე, რომლებიც სპეციფიკური სახით აკავშირებენ კულტურის ცალკეული პროდუქტების ეკონომიკურ წრებრუნვას, სქემატურად შეიძლება გამოიყოს პროდუქტებისა და კულტურის საქმიანობის საშუალებების ძირითადი საწარმოო და სამომხმარებლო მახასიათებლები, რომელიც წარმოდგენილია სქემა 2-ში. წარმოების კუთხით კულტურის საქმიანობის პროდუქტებისა და საშუალებების ანალიზი, მოთხოვნა და შეთავაზება საფუძველს იძლევა მათი იდენტიფიკაციისათვის საზოგადოებრივი წარმოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**კულტურული საქმიანობის საშუალებებისა და პროდუქტების საწარმოო და სამომხმარებლო შედარებითი დახასიათება**

## სქემა2

<p>კულტურის საგნები</p> <p>ა. ერთეული წარმოება, ერთეული მიწოდება, მცირე მოთხოვნა (ორიგინალური ფერწელოური ტილოები)</p> <p>ბ. ერთეული წარმოება, დიდი მიწოდება, დიდი მოთხოვნა (რეპროდუქცია და ა. შ.)</p> <p>გ. ერთეული წარმოება, მასიური მიწოდება და მოთხოვნა (წიგნები და ა. შ.)</p> <p>დ. დიდი წარმოება, დიდი მიწოდება, დიდი მოთხოვნა (ხალხური მხატვრული რენვის საგნები)</p>
<p>კულტურული მომსახურებები (საშუამავლო ფუნქციებით)</p> <p>ა. მცირე მიწოდება მასობრივი მოთხოვნა (პოპულარული მუსიკის მოყვარულთა კლუბები)</p> <p>ბ. დიდი მიწოდება, მასობრივი მოთხოვნა (კინო – ფილმების ჩვენება)</p> <p>გ. მასობრივი მიწოდება, მასობრივი მოთხოვნა (ბიბლიოთეკების მიერ პერიოდული გამოცემებისა და წიგნების გაცემა)</p>
<p>კულტურული მომსახურებები (საკუთრივ კულტურის ფუნქციები)</p> <p>ა. ერთეული მიწოდება (გამეორება შეუძლებელია), დიდი მოთხოვნა (კინო – ფესტივალები)</p> <p>ბ. ერთეული მიწოდება (გამეორება შესაძლებელია) დიდი მოთხოვნა (ესტრადის ვარსკვლავების კონცერტი)</p> <p>გ. ერთეული მიწოდება (შესაძლებელია გამეორება), მასობრივი მოთხოვნა (პოპულარული მუსიკალური ინსტრუმენტული ანსაბლის კონცერტი)</p>

### 10.5 სოციალურ-კულტურული საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასება

სოციალურ-კულტურული საქმიანობის შედეგების შეფასებისას საჭიროა წარმოვიდგინოთ შრომითი პროდუქტების

სირთულე, რომელიც ხორციელდება მხატვარ – შემოქმედის ინდივიდუალური ფორმითა და კოლექტიური შემოქმედების ფორმით (ორკესტრი), ანდა ორგანიზაციულ – ადმინისტრაციული საქმიანობის ფორმით (სოციალურ-კულტურული სფეროს ნებისმიერი დაწესებულების კოლექტივი). არსებობს კულტურული მუშაკის შემოქმედებითი შრომის შეფასების

სირთულე, რომლის შედეგად იქმნება ესა თუ ის ნაწარმოები (ნახატი, მუსიკალური კომპოზიცია, სცენარი, წიგნის ხელნაწერი და ა. შ.). ერთი ავტორი, ანდა კოლექტივი) სამუშაოს ანდომებს წლებს, ხოლო შექმნილ ნაწარმოებს შეიძლება ჰქონდეს დაბალი კულტურული ღირებულება. ტალანტით დაჯილდოებულ ავტორს კი მცირე დროში შეუძლია შექმნას ისეთი ნაწარმოები, რომელთან ერთად ის შევა ეროვნული კულტურის ისტორიაში (მას კავშირი აქვს შემოქმედებით კოლექტივთან. სინამდვილეში ყოველი ავტორი განსაზღვრული რაოდენობის შრომას ხარჯავს თავისი შემოქმედების პროდუქტის მიღებაზე, მაგრამ, თუ სამრეწველო ნაწარმში პროდუქტში, მაგალითად, არსებითია ცოდნა, საზოგადოებრივი თვალთახედვით რამდენი შრომაა საჭირო დაიხარჯოს, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ სამრეწველო პროდუქცია ეს სერიული პროდუქციაა, მაშინ როცა კულტურასთან მიმართებით საპირისპიროდ საზოგადოება დაინტერესებულია, რათა შრომის პროდუქტი უნიკალური ქმნილება გახდეს. ამიტომ, კულტურის სიკეთის ორგინალურობის, განუმეორებლობის ურთიერთობისა და მათი ღირებულობის განსაზღვრა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით ე. ი. სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა რაღაც სამომხმარებლო ღირებულების დამზადებისათვის წარმოების არსებული საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში და მოცემულ საზოგადოებაში შრომის კვალიფიკაციის და ინტენსიურობის საშუალო დონეზე უმალოდ გამოუყენებელია. მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების ნაწარმოებები და ა. შ. რომლებიც წარმოადგენენ ორიგინალურ ერთეულ, განუმეორებელ კულტურულ სიკეთეებს ფასდება, არა მასში რაოდენობრივად განხორციელებული, ასე ვთქვათ, ჩადებული საშუალებებით და არა მათ

შექმნაზე დახარჯული დროით, არამედ მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და სარგებლიანობით, რაც გაზომვადია მათი საზოგადოებრივად გამოყენების სკალით, ეს სკალა კოორდინანტთა სისტემაში ასე გამოიყურება:

ა. ვერტიკალურ ღერძზე: საზოგადოებრივი მნიშვნელობის ყველაზე მაღალდონიდან ყველაზე დაბლამდე;

ბ. ჰორიზონტალურ ღერძზე: კონკრეტული კლასის ჩარჩოებში, ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობა ფასდება ყველაზე დიდი საზოგადოებრივი სარგებლიანობიდან ყველაზე მცირემდე.

მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი სარგებლიანობის გაზომვა ნაწარმოების ძირითადი შეფასების გარდა, კორექტირდება საზოგადოებაზე ნაწარმოების ზემოქმედების ხარისხის დამოკიდებულებით. ასევე დამატებითი შეფასებით მოცემული ნაწარმოების საზოგადოებრივი გამოყენების ყოველ აქტზე დამოკიდებულებით (მაგალითად, ყოველი შემდგომი წიგნის გამოყენებაზე დამოკიდებულები, თუ საუბარი ლიტერატურულ ნაწარმოებებზეა. ყოველივე ეს რაც უკვე აღვნიშნეთ საზოგადოებრივი სარგებლიანობის შეფასების სისტემაზე, მიეკუთვნება პროდუქციის ხარისხიან მხარეს, შემოქმედებითი შრომის დანახარჯებს. მითითებული კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების პირველად კრიტერიუმებს, ხოლო შემოქმედების ზოგიერთი სახისთვის ერთადერთს. იქ, სადაც ეს შესაძლებელია ნაწარმოების საზოგადოებრივი სარგებლიანობის შეფასება, ხორციელდება დამატებით, მეორეული კრიტერიუმების საფუძველზე, როცა საფუძველად იღება დახარჯული შრომის რაოდენობა, მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობა ავტორის ფურცლებზე. ამგვარად, კულტურის სიკეთის შეფასება, შემდეგი შეფასებების შედეგია:

ა. წინაპირობითი – კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას მათგან მოსალოდნელი საზოგადოებრივი სარგებლიანობის საფუძველზე.

ბ. დამატებითი – რომელიც წარმოადგენს პოზიტიურ კორექტირებას მოსალოდნელ საზოგადოებრივი სარგებლიანო-

ბის შესაბამისად, საზოგადოების კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არსებული დონის ე. ი. საზოგადოების ნამდვილ ჭეშმარიტ სარგებლიანობის შესაბამისად. ამგვარად, ნაწარმოების სასარგებლო ზემოქმედების შეფასება, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხარისხობრივი და საზოგადოებაში მისი გამოყენების რაოდენობრივი მასშტაბის შეფასებაა. ამ კუთხით, შედარებით კარგადაა დამუშავებული ლიტერატურის ნაწარმოებების საზოგადოებრივი სარგებლიანობის შეფასება და სამემსრულებლო ოსტატობის შეფასებები. სოციალურ-კულტურულ სფეროში კოლექტიური საქმიანობის ორგანიზაციის სფეროში მისი პროდუქტის შექმნის შეფასებას ასევე ორმაგი მიდგომა აქვს – ფორმალურ, გაზომვად რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და მართვის ობიექტების. მახასიათებლები რომლებიც სოციალურ კულტურულ საქმიანობას ადასტურებენ ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურისა და ხარისხობრივად გახსნილ პროფესიულ საქმიანობის შინაარსობრივ მხარეს, ამ კუთხით სანიმუშოა რეიტინგების მეთოდისა, რომელიც აქტიურად გამოყენებადია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის შეფასებისას. მას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი პოზიციონირებისათვის საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე.

არსებული მომენტისათვის რეიტინგების რამდენიმე მეთოდისაა. საბაზრო ორიენტაციის ქვეყნებისათვის უფრო წინნაწიულს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი განათლების სისტემასთან მიმართებით გამოყენებული მეთოდისა, რომლის გამოყენების შედეგები ყოველწლიურად ქვეყნდება ჟურნალში „აშშ ამბები და რეპორტაჟები, ბიზნესკვირა“. რედაქცია სპეციალურად შედგენილ ანკეტებს უგზავნის უნივერსიტეტების ხელმძღვანელ პერსონალს, რომელთაც აქვთ პროგრამები ცნობილ სპეციალობებში, მსხვილი კომპანიის მენეჯერთა და სხვა სპეციალისთა მომზადებისათვის.

გამოკითხვის მეთოდით, ანდა ცნობების დახმარებით განი-

საზღვრება ხუთი მაჩვენებელი, რომელიც კონკრეტული ბიზნეს სკოლის მახასიათებელია.

- კომპიუტერების რაოდენობა;
- საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- სასადილოში დასაჯდომი ადგილების პროცენტი სასადილო ნორმატივებთან;
- დახურული სპორტული ნაგებობების ფართობი (ათასი კვ.მ).

- პროფილაქტორიუმებში ადგილების რაოდენობა;

რასაკვირველია, ფორმალური მეთოდიკის გამოყენებით საკმაოდ რთულია, სწავლების ხარისხის შეფასება, რომელიც განსახიერდება საბოლოო შედეგებში – მაღალ განვითარებულ სპეციალისტთა მომზადებაში, რომელიც შეესაბამება საზოგადოებაში მიღებულ სტანდარტებს.

ეს შეფასება მიღწევადია სასწავლებლების რეიტინგის სხვა შინაარსობრივი მეთოდიკის გამოყენებისთვისაც, რომლის დამუშავების საფუძველს ამერიკული ჟურნალის „ბიზნესკვირეულის“ ანალიტიკოსებმა ჩაუყარეს საფუძველი. მის საფუძველად ბოლო კურსის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ანკეტირებაა. მათი პასუხი აჩვენებს, თუ რეალურად რას აძლევს სასწავლებელი მომავალი სამუშაოსათვის, რა ცოდნაა გამოსაყენებელი.

კულტურის დანესებულებების საქმიანობის შეფასებისას ძირითადად გამოიყენება ფორმალური მეთოდიკა, წარმოდგენილი ყოველწლიური სტატისტიკური ანგარიშების ფორმებით. მაგალითად, კლუბის ტიპის კულტურის დანესებულებების ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებში ცნობები მოცემულია შემდეგი განყოფილებებით:

- ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა და დამფუძნებლის სახელწოდება;

- მატერიალურ – ტექნიკური ბაზა;

- კლუბური ფორმირებანი –

კულტურულ – დასვენებითი სამუშაო



- კლუბური ტიპის კულტურის დანესებულებების პერსონალი

- ფინანსური რესურსების შემონატანი და გამოყენება ასეთი სტატისტიკური ანგარიშების მონაცემებით შეიძლება არამართო სოციალურ-კულტურული საქმიანობის მაშტაბის შეფასება (კლუბური გაერთიანებებისა და მასობრივი ღონისძიებების რაოდენობის გზით, კლუბური საქმიანობის მუდმივი მონაწილეთა რიცხვით) არამედ კულტურის დანესებულებების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობისა და რენტაბელობის გაანალიზება.

ეკონომიკური ეფექტიანობის გაგება ახასიათებს ნებისმიერი მოთხოვნადი პროდუქტების წარმოების პროცესის დანახარჯებსა და შედეგად მიღებულ რაოდენობას შორის კავშირს. დიდი რაოდენობის პროდუქტი მიღებული მოცემული დანახარჯებით მიუთითებს ეფექტიანობის ამაღლებას. პროდუქტის შემცირებული მოცულობა მოცემული რაოდენობის დანახარჯების პირობებში მიუთითებს ეფექტიანობის შემცირებაზე.

წარმოების რენტაბელობის რეალური ციფრები მიიღება წმინდა შემოსავლის (მოგების) მაჩვენებლებისა და გამოყენებული კაპიტალის თანაფარდობის შედეგად.

რენტაბელობა=მოგება/თვითღირებულება.

თუ ვიხელმძღვანელებთ სოციალურ-კულტურული სფეროს დანესებულებების შემოსავლებისა და დანახარჯების მაჩვენებლებით და მხედველობაში მივიღებთ ზარალსაც, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ზემოთ მოცემული ფორმულით შეიძლება გავიანგარიშოთ ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობისა და რენტაბელობის მაჩვენებლები, მსაგვსი გაანგარიშებებისათვის, გარდა სტატისტიკური ანგარიშებისა, შეიძლება გამოყენებული იქნას მოგებისა და ზარალის ანგარიშები, ასევე სოციალურ-კულტურული სფეროს დანესებულებების სხვა ფინანსური დოკუმენტები.

მუზეუმების საქმიანობის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მაჩვენებლებით:

– მუზეუმების ფონდების დახასიათება (სახეებითა და მდგომარეობით)

– მუზეუმების ფართობი და ტექნიკური მდგომარეობა;

– სამეცნიერო საგანმანათლებლო და საგამოფენო სამუშაო;

– მუზეუმების პერსონალი;

– ფინანსური სახსრების მოძრაობა;

სოციალურ კულტურული სფეროს სხვა დაწესებულებების ანგარიშები ხორციელდება შესაბამისი ფორმებით, რომლებშიც გათვალისწინებულია მათი საქმიანობის სპეციფიკა.

სოციალურ კულტურული სფეროს დაწესებულებების შინაარსობრივი მხარის შეფასებისათვის აქტიურად გამოიყენება ანალიზის სოციოლოგიური მეთოდები: ანკეტური გამოკითხვები, ინტერვიუები კულტურის ორგანიზაციების აქტივისტებთან, მომსვლელებთან და დამთვალიერებლებთან გასაუბრება, პრესის პუბლიკაციების კონტენტანალიზი, სხვა საშუალებების მასალები, რომელიც ეძღვნება ამ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ყოველივე ეს კარგ შესაძლებლობას იძლევა მათი საქმიანობის ხარისხიანი შეფასებისათვის, რომელიც კონკრეტულ პროდუქტში, ღონისძიებების შედეგებში, ფასეულ დადგენილებებსა და დამთვარიელებელთა ორიენტაციებში, სოციალურ ფსიქოლოგიური გარემოს, კოლექტივის გარემოსა და დასახლებული პუნქტების ცვლილებებშია განსახიერებული.

## **10.6 კულტურის პროდუქტების მოხმარება, როგორც ეკონომიკური ანალიზის საგანი**

რამდენადაც ეკონომიკურ მეცნიერებებში ანალიზის საგანს წარმოადგენს კულტურის მოთხოვნილებების, პროცესების საზოგადოებრივი მხარე და საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელია კვლავწარმოების პროცესისათვის, ამდენად კულტურის სფეროს ფუნქციონირების ამ მხარის ეკონომიკური ანალიზი სრულიად სამართლიანია.

კულტურული მოთხოვნების ობიექტების შემოთავაზება, რომელიც რეალიზდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, ფორმირდება კულტურის მოთხოვნილებების საზოგადოებრივი მოდელის საფუძველზე (საზოგადოებრივი კულტურულ – პოლიტიკური მიზნები, კულტურული – პოლიტიკური პრიორიტეტებისადმი შეთავაზების იერარქია კულტურის სფეროში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გზით ეფექტური განაწილება განსაზღვრული ზომით განაპირობებს კულტურული მოთხოვნების ფორმირებას. სუბიექტის მოქმედება (ქმედება) განისაზღვრება კულტურული მოთხოვნების ინდივიდუალური მოდელით, რომლის საფუძველს შეადგენს:

ა. სპეციფიკური კულტურული მოთხოვნების ინდივიდუალური პრეფერენციული სკალა;

ბ. განსაზღვრული კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების ინდივიდუალური შერჩევის ფორმები;

გ. კულტურული მოთხოვნების კონკრეტული ობიექტის დაკმაყოფილების ინდივიდუალური შერჩევა;

დ. სპეციფიკური კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების კონკრეტული ადგილის ინდივიდუალური შერჩევა;

ე. კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების დროის ინდივიდუალური შერჩევა.

კულტურული მოთხოვნებისა და მათი ეკონომიკური რეალობის, ეკონომიკური აქტუალობა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია საბაზრო მოთხოვნის განაწილების სისტემის კავშირით, რომლის შევსება მოსახლეობის საზოგადოებრივი მოთხოვნის სხვადასხვა ფორმის საფუძველზე არასაბაზრო რეალიზაციით ხდება.

არასაბაზრო მოთხოვნის შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თავისთავად ის წარმოადგენს კულტურულ ფასეულობებზე ეკონომიკურად ზემოქმედი, სტიმულირებადი დოტაციებითა და განსაზღვრული აზრით ეკონომიკურად სტიმულირებულ მოთხოვნას.

საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან შეიძლება ჰქონდეს ორმხრივი ხასიათი:

ა. დოტაციების ხასიათი, მოცემულ აქტუალიზირებულ კულტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ბ. დოტაციების ხასიათი გამოყოფილი საწარმოებისა და დაწესებულებების ხარჯების დაფარვაზე, რომლებიც ქმნის კულტურულ მომსახურებას, რომლებიც წარმოიქმნა კულტურის დაწესებულებების არადაკმაყოფილებლად გამოყენებისას (მაგალითად, დაბალი დასწრებადობა, არაეკონომიკური ურთიერთობა საშუალებებთან და ა. შ.)

საზოგადოებრივი მოხმარების ეტაპებზე საზოგადოების მხრიდან ეკონომიკური კონტროლი სუსტდება. მხოლოდ კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში გამოვლინდება პროგნოზის სისწორე, არასწორ (შეცდომით) განხორციელებულ პროგნოზის რისკს მთლიანად თავის თავზე საზოგადოება იღებს. ამასთან დაკავშირებით კულტურის მოთხოვნილებების განვითარების ხანგრძლივი დროის ტენდენციების გამოვლენა და კულტურის სფეროში საზოგადოებრივი მოხმარების ეფექტიანობის ამაღლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს.

კულტურის მომსახურების სფეროში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებით განაწილების ფორმა, კულტურულ – პოლიტიკური და სოციალურ – ეკონომიკური კუთხით შრომის მიხედვით განაწილების ფორმასთან შედარებით უფრო ეფექტიანს წარმოადგენს. კულტურის სფეროში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები საშუალებას იძლევა კულტურის სფეროში, გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი მნიშვნელოვანი შეზღუდვით იქნას რეალიზებული, ხოლო ზოგიერთ ქვესისტემაში პრაქტიკულად ბაზრის შემოქმედების სრული გამორიცხვით (მაგალითად, ბავშვთა შემოქმედების ორგანიზაციისას).

თუ კულტურის სფეროს განვითარებისა და შესაძლებლობების შეფასებებს მიუდგებით სწრაფი კრიტერიუმების საფუძველზე, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოო და-

ლებისა და ინვესტიციების სიმძლავრეების ზრდის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც გამოყოფილია კულტურის მატერიალურ – ტექნიკური ბაზრის განვითარებაზე და აქვს სამომხმარებლო დანიშნულება ლოგიკის მიხედვით ის უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკური მაკროსისტემების განვითარებას. თუ პრობლემას მივუდგებით და განვიხილავთ საშუალო დროისა და გრძელვადიანი დროის კრიტერიუმებით, მაშინ გარდაუვალია შემდეგი დასკვნა: გაფართოებული საზოგადოებრივი კვლავნარმოების პროცესში ეროვნული მეურნეობის რესურსების ნაწილის მოზიდვა კულტურის სფეროში გამოდის, როგორც მისი განვითარების დაჩქარების ფაქტორი. კულტურის სფეროს ჩამორჩენილობა, საბოლოოდ ანელებს საზოგადოების მთელ სოციალურ მაკროსისტემას, რამდენადაც კულტურა – ეს ობიექტური ურთიერთგანმანაპირობებელი პროცესების სისტემური შეხამებაა (შეთავსებაა), ცალკეული ელემენტები, რომლებიც კულტურის სისტემაში შედის ინვესსინერგეტიკულ ეფექტს, რომლის სიდიდე განისაზღვრება კულტურული საქმიანობის, კულტურის დანესებულებების შესაბამისი შესვლითა და ხასიათის დანიშნულებით, რომელზეც ეს პროცესები უშუალოდ ზემოქმედებენ. ზოგი ერთი და განსაკუთრებულად ძირითადი ელემენტების შეუფასებლობა, ანდა ნეგატიური განვითარება, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურაში, ინვესს მთელ სისტემაზე შედეგობრივ, არასასურველ ფასეულ რეაქციას. ამიტომ კულტურის სისტემის შედარებით ზუსტი იდენტიფიკაციისათვის (როგორც მთლიანად, ისე მის შიგნით ცალკეული ქვესისტემებისათვის) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და შეიძლება კულტურის სისტემის განვითარების შედარებით ზუსტი განსაზღვრა, ასევე მისი განვითარების მართვა.

მართვის კუთხით, კულტურული მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების პროცესს მივყავართ არამარტო კულტურული საჭიროებების საგნების შეთავაზების რეგულირებასთან და მათი მოთხოვნის ორიენტირებასთან, არამედ ამ მოთხოვნის მაქსიმალურ დაკმაყოფილებასთან. ამასთან არ იქნებოდა სწორი მოთხოვნილებების ფორმირების პროცესი

დაგვეკავშირებინა მხოლოდ მოთხოვნისათვის, ხოლო დაკმაყოფილების პროცესი მოთხოვნილებებზე – მიწოდებით. მოთხოვნა დაკავშირებულია როგორც ფორმირების პროცესთან ასევე, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესთანაც. მიწოდება, არამარტო განაპირობებს დაკმაყოფილების პროცესს, არამედ აყალიბებს კიდევც კულტურული მოთხოვნილებების განვითარებას. ეს განსაკუთრებულად ზემოქმედებს მოცემული პროცესის სტრატეგიულ რეგულირებაზე, რომელშიც ორი სახე გამოიყოფა:

1. კულტურის მოთხოვნილებების (კულტურული სიკეთის) საგნების გრძელვადიანი სტრატეგიული რეგულირება და მათზე მოთხოვნის ფორმირება.

2. მოთხოვნის ფორმირებისა და შეთავაზების მოკლე და საშუალო ვადიანი რეგულირება.

შეთავაზებული კულტურის საგნების მოთხოვნილებების გრძელვადიანი რეგულირება ხორციელდება:

– საზოგადოების სოციალურ-კულტურული პროგრამისა (სახელმწიფოს სამართლებრივ დოკუმენტებში მოცემული) და მისგან გამომდინარე სტრატეგიული საზოგადოებრივი დადგენილებებით, რომლებიც შეთავაზებების ორიენტირებას პირველრიგში კულტურის მოთხოვნილებების ფორმირებასა და დაკმაყოფილებაზე, კულტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. კერძოდ, საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკური სტრუქტურის ასაკობრივი სტრუქტურის (განსაკუთრებულად ახალზადების) განსახლების ტერიტორიული სტრუქტურის (დასახლების) ახალი პუნქტების წარმოქმნა, იდეურ-მინაარსობრივი მიმართულებით სახეობების სტრუქტურის, ეკონომიკური ინსტრუმენტებისა (ფინანსირება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების საფუძველზე) და ა. შ.

– კულტურის დანესებულებების სოციალური ინფრასტრუქტურის ქსელის მშენებლობა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კულტურული მოთხოვნილებების განვითარების ტენდეციების ღრმა ცოდნას.

კულტურის სფეროში ძირითადი ფონდების განახლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მრავალი ათეული წლების მერე. ამგვარად კულტურული დაწესებულებები შენდება არამართო ჩვენთვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც. კულტურული დაწესებულებების ქსელი – ეს მოგონებაა ჩვენს დროზე, რომელსაც აქვს განსაკუთრებულად დიდი კულტურულ – პოლიტიკური მნიშვნელობა. მათი სტრუქტურა მნიშვნელოვანი კუთხით განისაზღვრება სფეროში კულტურის მოთხოვნილებების ფორმირებისა და დაკმაყოფილების მომავალი საქმიანობის მიმართულების შესაძლებლობებით (ხშირად მთელი ათეული წლების წინსწრებით).

საქართველოში კულტურის დაწესებულებების დიდი ნაწილი აშენებულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლებისთვისაც მაინც დამახასიათებელია გარკვეული ნაკლოვანებები, რომელსაც პირველრიგში შეიძლება მიეკუთნოს არასაკმარისად წარმატებული ტერიტორიული მდებარეობა და შიგა არქიტექტურული ფუნქციონალური გადაწყვეტა. ეს ნაკლოვანებები ხელს უშლის საქმიანობის ცალკეულ საახებსა და ფორმებში, რომ განხორციელდეს აუცილებელი დინამიური ცვლილებები, რაც უზრუნველყოფდა შედარებით ოპერატიულ რეაგირებას კულტურული მოთხოვნილებების სტრუქტურულ ცვლილებებზე.

– კულტურის შემოქმედებით კადრებისა და მუშაკების აღზრდა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს კულტურის მოთხოვნილებების განვითარების გრძელვადიანი ტენდენციების გათვალისწინებით. ზედაპირული განხილვითაც კი ეს ძალიან მოქმედი საწარმოო ფაქტორია, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ხშირად არ განიხილება. კულტურის სფეროში მაღალ პროფესიონალური მხატვრებისა და სხვა კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება გრძელდება ათი წელი, ხოლო ზოგიერთ სპეციალობებში 15 – 20 წელი. ეს ნიშნავს, რომ კულტურული სფეროსთვის კადრების მომზადება, რომელიც ამჟამად მნიშვნელოვანი ხარისხით წინასწარ განსაზღვრავს (წინასწარ წარმართავს) კულტურის საქმიანობის მნიშვნელოვანი მდგომარეობა, რომელსაც მომავალში ექნება

ადგილი, რამდენადაც კულტურული მოთხოვნები დაკმაყოფილების ხარისხი დაკავშირებულია მომუშავეებზე, რომლებიც მომავალში კულტურის სფეროში იქნებიან დაკავებული.

– კულტურის ეკონომიკური ინსტრუმენტები და მთელი ეკონომიკური მექანიზმი. ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო, პრაქტიკულად თავის თავზე იღებს ხარჯებს ინვესტიციების კუთხით, რომელიც აჩქარებს კულტურის მოთხოვნების საგნების, წარმოების განვითარებას. ანალოგიურ ზემოქმედებას ახორციელებენ კულტურის დაწესებულებების, შემოქმედებითი დაწესებულებების სტუდენტების სტიპენდიები, უფასო განათლება.

– საკანონმდებლო –, რომლებიც ხელს უწყობს კულტურის სფეროს ოპტიმალური ინსტიტუციონალური ბაზის შექმნას, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის გრძელვადიან მიზნებს. მოთხოვნის გრძელვადიანი ფორმირება ხორციელდება ისეთი მაჩვენებლების დახმარებით, როგორცაა:

– საშუალო განათლებისა და სასკოლო აღზრდის სისტემები;

– არასასკოლო კოლექტიური და ინდივიდუალური ესთეტიკური აღზრდის სისტემები.

– კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების არსებული პრაქტიკა, განსაკუთრებით შემოქმედებითი საქმიანობის საშუალებით;

– საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკური პოლიტიკით: უპირველესყოვლისა საოჯახო ბიუჯეტიდან დანახარჯების შემცირების გზით, კულტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (როცა ხარჯების დიდი ნაწილი კულტურის მოთხოვნების საგნებზე იფარება, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიდან);

– მეორე მხრივ კულტურის საჭიროებებზე, დროის გამოთავიფლების გზით. ბოლოს მთელი ეკონომიკური პოლიტიკის დახმარებით, მიმართულს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.



კულტურის მოთხოვნილებების საგნების შეთავაზებების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი რეგულირება ხორციელდება უპირველესყოვლისა ყველა ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიანი ინსტრუმენტების საფუძველზე, რომლებიც სახავენ იმ მიმართულებებს, რომლითაც განვითარდება წინადადებები მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს:

- ესთეტიკურ ზემოქმედებას წინადადებების სტრუქტურასა და მოცულობის ფორმირებაზე, რომელიც გამომდინარეობს საგამომცემლო, დადგენილი და სხვა გეგმებიდან, თითოეული ცალკეული სახის კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობის გეგმებიდან და ა. შ.

- ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომელიც არეგულირებს დასახული მიზნების განხორციელების უფრო ეფექტური ვარიანტების შერჩევას: დაგეგმვა, ფინანსირება (ინვესტიციური პოლიტიკა და ა.შ) ცალკეული მუშაკების და მთელი კოლექტივის მატერიალური დაინტერესების სისტემაა, ფასწარმოქმნის სფეროს პოლიტიკა და ა.შ კულტურის დაწესებულებების მუშაობის რეჟიმი და სხვ.

მოთხოვნის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი რეგულირება, რომელიც უპირველესყოვლისა ხორციელდება მოცემული დახმარებებით:

- გრძელვადიანი ფაქტორების აქტუალიზაციით, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნას კულტურის მოთხოვნილებების საგნებზე;

- ეკონომიკურ ინსტრუმენტებს (პოლიტიკა ფასწარმოქმნის დარგში)

- კულტურის დაწესებულებების და ორგანიზაციების სამუშაო რეჟიმი და კულტურულ ფასეულობებზე ხელმისაწვდომობა. (პროპაგანდა, აბონემენტი და ა. შ.)

- მარკეტინგული და ინფორმაციული პოლიტიკით (რეკლამა, კრიტიკა და ა.შ.)

- საკანონმდებლო ორგანიზაციული ღონისძიებებით კულტურულ პოლიტიკაში გრძელვადიანი მეცნიერულ – დასაბუ-

თებული სტრატეგიის გეგმაზომიერი განხორციელება ხელსაყრელი (სასურველი) პირობების შექმნა კულტურის განვითარებისათვის, ამაღლებს შემავალთა ზემოქმედების ეფექტიანობას, აჩქარებს კულტურულ განვითარებას, მაგრამ, გამარტივება იქნებოდა წაგვეყვანა საზოგადოებრივი კულტურის მართვა და ფუნქციონირება მხოლოდ პირობების შექმნით, განგვეხილა (წაგვეყვანა, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისათვის.)

კულტურის მართვის ოფტიმალური სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. მიზნის ჩამოყალიბების ეფექტური სისტემა (მათ შორის ეკონომიკური), რომელიც უპასუხებს კულტურის შემდგომი განვითარების მოთხოვნილებებს შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოქმნიან კულტურული მოთხოვნილებების მიღწეულ დონეს, შიგაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა, ეკონომიკური რესურსები და ა. შ.

2. სპეციფიკურად მოდიფიცირებული მართვის ინსტრუმენტების შექმნა, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მიღწეული იქნას ეს სპეციფიკური მიზნები, მთელი საზოგადოების ინტერესების გაერთიანების საფუძველზე, ერთი მხრივ, ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერესებით და, მეორე მხრივ, მატერიალური დაინტერესებით.

კულტურის ეკონომიკის კუთხით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გამოიყოს გეგმის საკვანძო როლი, საზოგადოებრივი მიზნების ერთიანი რეალიზაციის ინსტრუმენტი, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებული, ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტები, როგორიცაა: დოტაციური პოლიტიკა, საფასო პოლიტიკა, შრომის ანაზღაურების პოლიტიკა და ჰონორარული პოლიტიკა და სხვ..

3. კულტურაში პროცესის რეალიზაციისათვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის მართვის ორგანოების შექმნა, რომელიც აუცილებელია ამ პროცესებით მიზანმიმართული გეგმაზომიერი ხელმძღვანელობა.

## 10.7 სოციალურ-კულტურული სფეროს ფინანსები და თავისებურებანი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს არაკომერციული ორგანიზაციების როლის ზრდას, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სახის სოციალურ მომსახურებას. როგორც უკვე ნინა თავებში აღვნიშნეთ, არაკომერციულ ორგანიზაციად მიიჩნევა ორგანიზაცია, რომელსაც საქმიანობის მთავარ მიზნად არ აქვს მოგების ამოღება და რომელიც მონაწილეთა შორის არ ანაწილებს მიღებულ მოგებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთ საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლება მოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.“ არაკომერციული ორგანიზაციები იქმნება სოციალური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მმართველობითი მიზნების მისაღწევად, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, მოქალაქეების და ორგანიზაციების სულიერი და არამატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დავისა და კონფლიქტების გადასაჭრელად, იურიდიული დახმარების გასანევადა, ასევე საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევაზე მიმართული მიზნებისათვის. არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები წარმოდგენილია მრავალგვარი ფინანსური ურთიერთობებით, რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა დანიშნულების ფულადი ფონდების ფორმირებისა და გამოყენების გამო:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საბიუჯეტო სახსრების მიღებისა და მათი გამოყენების გამო;
- სხვა ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან შემოსავლების (დამფუძნებლების შენატანების, საპაიო და სანევრო შენატანების, მიზნობრივი შემოსულობების, გრანტების შემონირულობის ჩათვლით, ასევე შემოსავლები სამეწარმეო და შემოსავლის მომტანი სხვა საქმიანობის განხორციელებისგან) არასაბიუჯეტო წყაროების ფორმირებისა და მათი გამოყენების გამო.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან სხვადასხვა დონის ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდის ბიუჯეტების წინაშე ვალდებულებების შესრულების გამო გადასახადების გადახდის, ასევე სავალდებულო საპენსიო და სოციალურ დაზღვევაზე სადაზღვეო შენატანების გზით;
- თავიანთ თანამშრომლებთან შრომის ანაზღაურების ფონდებისა და მიზნობრივი დანიშნულების ფონდების (მატერიალური ნახალისების, სანარმოო და სოციალური განვითარების და სხვ.) ფორმირებისა და გამოყენების გამო.

არაკომერციული ორგანიზაციათა ფინანსები ეს არის ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციების ფინანსური რესურსების ფორმირებასა და გამოყენებასთან, ორგანიზაციის წესდებაში გათვალისწინებული საქმიანობის მიზნების მისაღწევად.

ამასთან არაკომერციული ორგანიზაციას შეუძლია შეასრულოს საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახე, რომლებიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით და შეესაბამება ორგანიზაციების საქმიანობის მიზნებს. არაკომერციულ ორგანიზაციას შეუძლია სამეწარმეო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ იმ მიზნებისათვის რომლისთვისაც იგი იქნა შექმნილი.

საქართველოში არაკომერციული ორგანიზაციების უმრავლესობა შექმნილია საბიუჯეტო დანესებულებების ფორმით, რომელთა სამართლებრივი სტატუსი პირველად განსაზღვრული იქნა საბიუჯეტო კოდექსის მიერ. საბიუჯეტო დანესებულებების სტატუსის საკანონმდებლო წესით განსაზღვრის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ კონსტიტუცია შეიცავს მხოლოდ დანესებულებების, როგორც არაკომერციული ორგანიზაციის ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის, განმარტებას. განმარტებაში არ არის კონკრეტიზირებული მესამე კუთრე და დანესებულების დაფინანსების წყარო. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი აზუსტებს და საბიუჯეტო ორგანიზაციას განსაზღვრავს, როგორც ორგანიზაციას რომელიც შექმნილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მიერ მმართველობითი, სოციალურ-კულტურული, სამეცნიერო – ტექნიკური და არაკომერციული ხასიათის სხვა ფუნქციების განსახორციელებლად, რომლის საქმიანობა ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტიდან, ან სახელმწიფო სპეციალური ფონდის ბიუჯეტიდან, შემოსავლებისა და გასავლების ხარჯალრიცხვის საფუძველზე.

საბიუჯეტო დანესებულებებს განეკუთნება ზოგადი და პროფესიული განათლების, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დანესებულებები, სამეცნიერო – კვლევითი დანესებულებები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სასამართლოები და პროკურატურა, სახელმწიფოს თავდაცვის, მართხისა და უშიშროების დანესებულებები. სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის არაკომერციული ორგანიზაციების (საბიუჯეტო დანასებულებების გარდა) ბიუჯეტებთან ურთიერთობები შეიძლება იყოს ორმხრივი, ან ცალმხრივი. ზოგიერთი ორგანიზაციისათვის (საზოგადოებრივი, რელიგიური ორგანიზაციებისათვის, ფონდებისათვის) გათვალისწინებულია როგორც არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიზნებზე საბიუჯეტო სახსრების მიღების შესაძლებლობა, ისე გადასახადების გა-

დახდის აუცილებლობაც. დანარჩენი არაკომერციული ორგანიზაციების ბიუჯეტთან ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადასახადების გადახდით.

საბიუჯეტო დაწესებულებების ფორმით შექმნილი არაკომერციული ორგანიზაციებისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაფინანსების ერთადერთ ფორმას – ასიგნებები საბიუჯეტო ორგანიზაციების შენახვაზე. სხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის არაკომერციულ ორგანიზაციებს (საზოგადოებრივ, რელიგიურ ორგანიზაციებს, ფონდებს) საბიუჯეტო სახსრები გამოეყოფა არა მათ შენახვაზე, არამედ მათ მიერ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესრულების ფარგლებში სუბსიდიების ფორმით.

საბიუჯეტო დაწესებულებამდე საბიუჯეტო ასიგნებების დაყვანის ორი სხვადასხვა ხერხი გამოიყენება: ან იმ მართვის ორგანოს მეშვეობით, რომელსაც ექვემდებარება საბიუჯეტო დაწესებულება, ან უშუალოდ თვით დაწესებულებას.

პირველი ხერხი გამოიყენება საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ ისეთ დარგების ფარგლებში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, კულტურა და სხვ. ამასთან ბიუჯეტის აღმსრულებელი შესაბამისი ორგანო საბიუჯეტო დაფინანსებას აძლევს არა თითოეულ დაწესებულებას ცალკე, არამედ გარკვეული დარგის მართვის ორგანოს (საბიუჯეტო სახსრების მთავარ განმკარგულებელს) სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით – სამინისტროებს, უწყებებს, სააგენტოებს; რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების მიხედვით – ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს დარგობრივ დეპარტამენტებს (სამმართველოებს, განყოფილებებს). თავისმხრივ, საბიუჯეტო სახსრების მთავარ გამკარგულებელს საბიუჯეტო ასიგნებები დაჰყავს თითოეულ დაწესებულებამდე საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მეორე ხერხი გამოიყენება ცალკეული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დაწესებულებების (მაგალითად,

სახელმწიფო მუზეუმისა და სხვ.) მიმართ, რომლებიც არიან საბიუჯეტო სახსრების პირდაპირი მიმღებები, და ასევე ყველა სხვა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის არაკომერციული ორგანიზაციების მიმართ.

არაკომერციული ორგანიზაციებში ფინანსური ურთიერთობების მატერიალურ მატარებლად გამოდის ფინანსური რესურსები. არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური რესურსები წარმოადგენენ ფულადი შემოსავლების, შემოსულობებისა და დაგროვების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ამ ორგანიზაციების მიმდინარე შენახვასა და საქმიანობის გაფართოებაზე. ფინანსური რესურსების წყაროები, მათი ფორმირებისა და გამოყენების პრინციპები დამოკიდებულია არაკომერციული ორგანიზაციების მიერ განეული მომსახურების სახეობასა და მათი განევის ხასიათზე.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს შერეულ ეკონომიკას, სადაც საბაზრო თვითრეგულაციის მექანიზმი შერწყმულია სახელმწიფო რეგულირებასთან. უფრო მეტიც საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს სახელმწიფო გარანტიების მაღალ დონეს სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების ბაზრის უარყოფითი შედეგებისაგან მოქალაქეთა სოციალური დაცვის მიღებაში. სწორედ ეს განსაზღვრავს არაკომერციული ორგანიზაციების მომსახურებაზე მოთხოვნილების ცელკეული სახეობების დაკმაყოფილების ხერხს (ფასიანი თუ უფასო), შესაბამისად ამ მოთხოვნილებების დაფინანსების წყაროებს.

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ერთი ნაწილი განუყოფელია და მისი დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიკურ ფორმაში. მათ განეკუთნება მოთხოვნილებები თავდაცვაზე, ეროვნულ უმისროებაზე, სახელმწიფო მართვაზე, ეკოლოგიის დაცვაზე, სანიტარულ – ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებებზე და სხვ. ეს მოთხოვნილებები ეხება საზოგადოების ყველა წევრს და მათ დასაკმაყოფილებად გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო ხარჯები.

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სხვა ჯგუფს (განათლებლაზე, ჯანდაცვაზე, კულტურაზე, სოციალურ უზრუნველ-

ყოფაზე და სხვ.) აქვს დაკმაყოფილების ინდივიდუალური ფორმა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების წყაროები შეიძლება იყოს როგორც საბიუჯეტო, ისე ორგანიზაციებისა და მოსახლეობის სახსრებიც. ამ მოთხოვნილებებს აქვთ განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა, მათი დაკმაყოფილება უზრუნველყოფს ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებების რეალიზაციას ჯანდაცვაზე, განათლებაზე, კულტურული ფასეულობებით სარგებლობაზე, ინფორმაციის მიღებაზე და სხვა. სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების სახელმწიფო დაფინანსება დაკავშირებულია სოციალური სამართლიანობის მიღწევასთან, რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს უმნიშვნელოვანესი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საზოგადოების წევრებისათვის, მიუხედავად მათი შემოსავლების დონისა.

შეუძლებელია მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების გამოყენება სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების უფასოდ განწევსათვის, საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობის გამო. გარდა ამისა, უფასო მომსახურებას გააჩნია გარკვეული ნეგატიური თვისებები: იწვევს მომსახურების დეფიციტს; ზღუდავს დანესებულებათა ინიციატივას და ძირს უთხრის მაღალი ეკონომიკური შედეგების მიღწევის სტიმულებს, ზღუდავს კონკურენციას და ამის შედეგად არ ასტიმულირებს მომსახურების განვითარებას და ა. შ. ამიტომ საბაზრო ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება უფასო მომსახურების მოხმარების რაციონირების პრაქტიკა.

სოციალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნორმატი – ული დონის ზემოთ ხდება ორგანიზაციისა და მოსახლეობის სახსრების ხარჯზე. ფასიანი მომსახურება, უფასოსთან ერთად ემსახურება მოსახლეობის მაღალანაზღაურებადი ფენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამსუბუქებს მომსახურების უფასო ფორმების ნაკლოვანებებს (რიგების არსებობა, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივი მოლოდინ, უფასო მომსახურების შეზღუდულობა).

მოქალაქეებისათვის რიგი მომსახურება გაიწევა მხოლოდ ფასიან საფუძველზე. მათ განეკუთნება თეატრალურ – სანა-



ხაობრივი სანარმოების, კულტურისა და დასვენების პარკების, მოსახლეობის დასვენების უზრუნველმყოფელი ორგანიზაციების, ნოტარიატის, ადვოკატურის მომსახურება. ამ ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროებია მოსახლეობის სახსრები.

არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პრინციპები დამოკიდებულია მათ მეურნეობრიობის მეთოდებზე. საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის მეურნეობის გაძლოლის ძირითადი მეთოდია სახარჯალრიცხვო დაფინანსება. სახარჯთაღრიცხვო დაფინანსებაში იგულისხმება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან სახსრების გამოყოფა. საბიუჯეტო დაწესებულებების დანახარჯების დასაფარად, დამტკიცებული ხარჯთ აღრიცხვის შესაბამისა, ეს მეთოდი გამოიყენება სოციალურ-კულტურული სფეროს ისეთ დარგებში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და ისე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფოს თავდაცვის, მართლწესრიგისა და უშიშროების ორგანიზაციების დაფინანსებისას.

სახარჯთაღრიცხვო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ძირითადი პრინციპებია:

- საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობის განსაზღვრა ხარჯების ცალკეული სახეობების ნორმირების საფუძველზე.;
- საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრივი დანიშნულება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად;
- საბიუჯეტო სახსრების მკაცრი რეგლამენტირება დანიშნულებისა და დროის მიხედვით;
- საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა დაწესებულების საქმიანობის ოპერატიულ ქსელური მაჩვენებლების შესრულების ზომით და ადრე გამოყოფილი სახსრების გამოყენების გათვალისწინებით;

- კონტროლი ასიგნებების დასაბუთებულ დაგეგმვაზე და სახსრების მინობრივ, ეკონომიურ გამოყენებაზე;

საბიუჯეტო სახსრების შეზღუდულობის პირობებში, საბიუჯეტო დანესებულებების ფინანსური რესურსების ფორმირება მიმდინარეობს სახარჯალრიცხვო დაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპების შეხამების გზით. ნაწილობრივი, ან სრული თვითანაზღაურება ვარაუდობს მარტივ, ან გაფართოებულ კვლავნარმოებაზე ყველა დანახარჯის ანაზღაურებას საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ხარჯზე. თვითანაზღაურების პრინციპებზე ფუნქციონირებენ სოციალურ-კულტურული სფეროს დანესებულებების ნაწილი (პოლიკლინიკები და დიაგნოსტიკური ცენტრები, კულტურულ – საგანმანათლებლო დანესებულებები, თეატრალურ – სანახაობრივი ორგანიზაციები) და სხვა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის არაკომერციული ორგანიზაციები (ფონდები, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები და სხვ.). ამ ორგანიზაციების ფინანსური რესურსების ფორმირება და გამოყენება აისახება მათ საფინანსო გეგმებში, რომლებიც ფორმირდება შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვის სახით.

თვითანაზღაურებაზე მომუშავე ორგანიზაციის ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პრინციპებია:

1. ფინანსური რესურსების ფორმირება, უმთავრესად, შემოსავლების არასაბიუჯეტო წყაროების (დამფუძნებლების შემონატანების, სანევრო შემონატანების, სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლების და სხვ.) ხარჯზე, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მისი საქმიანობის მიზნებითა და ამოცანებით;
2. საბიუჯეტო სახსრების გამოყენება, უმთავრესად სუბსიდიების სახით, რომლებიც ეძლევა ორგანიზაციას, მისი საქმიანობის გაფართოებაზე, ან მომსახურე-

- ბაზე, ასევე საბიუჯეტო ასიგნებების სახით სოციალურად მნიშვნელოვანი პროგრამების ფარგლებში;
3. ამონაგების ფორმირება განუვლი მომსახურების რაოდენობისა და მათზე ფასების საფუძველზე (თეატრალურ სანახაობრივ ორგანიზაციებში – ბილეთის ფასი და მაყურებელთა რაოდენობა, უმაღლეს სასწავლებელში – ფასიანი სწავლების სტუდენტების რაოდენობა და სწავლის ღირებულება წელიწადში და ა. შ.);
  4. დამოუკიდებლობა შემოსავლების (საბიუჯეტო სახსრების გარდა) განაწილებაში, ხარჯების სახეობების მიხედვით შემოსავლების საერთო თანხისა და მათი გამოყენების ფარგლებში;
  5. საქონლის რეალიზაციიდან ამონაგებისა და მიზნობრივი შემოსულობების ხარჯზე ყველა დანახარჯის დაფარვა და გადასახადების გადახდის შემდეგ მიზნობრივი ფონდების ფორმირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>1</sup>

სოციალურ-კულტურული სფეროს დაწესებულებები კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო დაწესებულებების ფორმაში იქმნება. უმეტესად სოციალურ-კულტურულ სფეროს ორგანიზაციებს განეკუთნება დაწესებულებები:

- განათლების (ზოგადი და პროფესიული – საბავშვო ბაღები, სკოლები, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და სხვ.);
- კულტურისა და ხელოვნების (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კლუბის ტიპის დაწესებულებები, თეატრები, საკონცერტო დაწესებულებები, ცირკები და სხვ.);
- ჯანდაცვის და ფიზიკური კულტურის (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ბავშთა სახლები, სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების, სისხლის გადასხმის სად-

---

<sup>1</sup> მ. ვანიშვილი, დ. ფარულავა, ფინანსების საფუძველი, თბ., 2015, გვ. 520.

გურები, სანიტარულ – ეპიდემიოლოგიური დაწესებულებები);

- სოციალური უზრუნველყოფის (მოხუცებულთა თავშესაფრები, დაწესებულებები უნარშეზღუდულთა სწავლებისათვის და სხვ.);
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (გამომცემლობები, პერიოდიკა, სახელმწიფო ტელერადიოკომპანიები და სხვ.);

სოციალურ-კულტურული სფეროს სხვადასხვა დარგის დაწესებულებებში და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროები და გამოყენების მიმართულებები ერთტიპურია, მაგრამ მათ აქვთ სპეციფიკა, რომელიც განპირობებულია, პირველ რიგში, დაწესებულებების საქმიანობის დარგობრივი თავისებურებებით, მეორე მხრივ, მეურნეობრიობის გამოყენებული მეთოდების შერწყმით (სახარჯთა აღრიცხვო დაფინანსება, სრული ან ნაწილობრივი თვითანაზღაურება).

ბოლო დრომდე საბიუჯეტო დაწესებულებების დაფინანსების გავრცელებული წყაროები იყო საბიუჯეტო სახსრები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ შეცვალა ამ დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო წყაროების თანაფარდობის შეცვლის ნაწილში, რომლებიც ყალიბდება მეურნეობრიობის სუბიექტებისა და მოსახლეობის სახსრების ხარჯზე, მათ სასარგებლოდ.

რეფორმების გატარებას თან ახლავს სოციალური პრობლემების ზრდა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონისა და ხარისხის, არამხოლოდ მატერიალური, არამედ სოციალური სიკეთეების მოხმარების დონის დაქვეითება. ამავდროს რეგონული და ადგილობრივი ბიუჯეტების მზარდი დეფიციტი, რომელთა ხარჯზეც ფინანსდება საბიუჯეტო დაწესებულებების უმეტესი ნაწილი, იწვევს სოციალურ ხარჯებზე გამოყოფილი სახსრების მინიმალიზებას. ეს განაპირობებს დაფინანსების დამატებითი არასაბიუჯეტო წყაროების მოძებნის აუცილებლობას, უმთავრესად დაწესებულებების მიერ სამეცნიერო და შემოსავლის მომტანი სხვა საქმიანობის გან-

ხორცილების ხარჯზე. გამომდინარე აქედან, საბიუჯეტო და-  
ნესებულებების ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროე-  
ბია:

- რომლებიც გაცივმა სხვადასხვა დონის ბიუჯეტიდან (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ად-  
გილობრივი) გაცემული საბიუჯეტო ასიგნებები, საბი-  
უჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ხარჯების  
ცალკეული სახეობების ჭრილში;
- შემოსულობები მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი  
მომსახურებიდან. ფასიანი მომსახურების გაწევა მი-  
მართლი უნდა იყოს მომსახურების გაუმჯობესებაზე  
დანესებულებების საქმიანობის პროფილის მიხედვით,  
სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევის  
გზით და არ უნდა ხორციელდებოდეს ბიუჯეტიდან  
დაფინანსებული საქმიანობის ნაცვლად. წინააღმდეგ  
შემთხვევაში ამ სახეობების ფასიანი მომსახურების  
გაწევიდან მიღებული სახსრები გადაირიცხება ბიუ-  
ჯეტში.
- ამონაგები საკუთარი წარმოების (მაგალითად, სასწავ-  
ლო საწარმოო სახელოსნოები სკოლებში) საქონლის,  
შეძენილი საქონლისა და მოწყობილობის, კულტურის  
დანესებულებების შემოქმედებით პროდუქციის რეა-  
ლიზაციიდან, მოსაკრებლები თეატრალურ – სანახა-  
ობრივ ღონისძიებებზე გაყიდული ბილეთებიდან;
- ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან  
და ქონების იჯარით, სუბიჯარით გადაცემიდან;
- ამონაგები საშუამავლო მომსახურების გაწევიდან;
- შემოსავლების სხვა დანესებულებებისა და ორგანიზა-  
ციების საქმიანობაში ნილობრივი მონაწილეობიდან;
- შემოსავლები აქციების ობლიგაციების სხვა ფასიანი  
ქალაქების შექენიდან და შემოსავლების (დივიდენ-  
დები, პროცენტები) მიღება მათ მიხედვით;
- შემოსავლები სხვა რეალიზაციის გარეშე ოპერაციები-  
დან (უცხოურ ვალუტასთან ოპერაციების დროს გაც-

ვლითი კურსის სხვაობიდან, საკრედიტო ორგანიზაციებში მიმდინარე ანგარიშებზე ფულადი სახსრების განთავსება – სებასთან დაკავშირებული უოპერაციებიდან და სხვ.);

- საწარმოების დანესებულებების, საქველმოქმედო ფონდებისა და ცალკეული მოქალაქეების ნება ყოფილობითი შენატანები;

ხარჯების შემადგენლობა და მათი თანაფარდობა სოციალურ კულტურული სფეროს სხვადასხვა დარგების დანესებულებებში სხვადასხვაგვარია. ყველა დანესებულებისათვის საერთოა შრომის ანაზღაურებაზე ხარჯების უპირატესი დონე, მასზე დანარიცხებით, მაგრამ რიგი ხარჯი დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული დანესებულებებისათვის. მაგალითად, ხარჯები სტიპენდიების გადახდაზე გათვალისწინებულია მხოლოდ პროფესიული განათლების დანესებულებების შემოსავლებისა და გასავლების ხარჯ აღრიცხვაში, ხარჯები მედიკამენტებზე – განათლებისა და ჯანდაცვის დანესებულებებში (ძირითადად, სტაციონალურ, სამედიცინო დანესებულებებში), ხარჯები რბილი ინვეტარის შეძენაზე – ბავშვთა სკოლამდელ დანესებულებებში, ჯანდაცვის დანესებულებებში და ა.შ. ამჟამად სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე რეალურად ფინანსდება ხარჯების შეზღუდული შემადგენლობა – ძირითადად შრომით ანაზღაურება, კვება, მედიკამენტები. დანესებულებები იძულებული არიან, ხარჯების დანარჩენი სახეობების დაფინანსება აწარმოონ არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

სოციალურ-კულტურულ სფეროს ცალკეულ დარგებს გააჩნიათ ზოგიერთი თავისებურებები. ჯანდაცვაში ისინი დაკავშირებულია დარგის სავალდებულო სამედიცინო დაზღვევაზე გადასვლასთან. ჯანდაცვის ფუნქციონირების ფინანსური მექანიზმი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეფუძნებოდა მხოლოდ სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების სისტემას. ამჟამად, ჯანდაცვის დაფინანსების ძირითად წყაროდ გამოდის ყველა დონის ბიუჯეტების სახსრები, სავალდებულო და ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის სახსრები და ფასი-

ანი სამედიცინო მომსახურეობიდან შემოსული სახსრები. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სახსრებმა გაზარდა ჯანდაცვის ფინანსური ბაზა. მაგრამ დარგის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროების გაფართოების მიუხედავად ჯანდაცვაში არ გაზრდილა ფინანსური რესურსების საერთო მოცულობა, საბიუჯეტო სახსრების სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სახსრებით ჩანაცვლების ხარჯზე.

ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინანსების წყაროების სიმრავლე არ ნიშნავს მათ გაერთიანებასა და მართვის ერთიანი ორგანოს მიერ განკარგვას. საბიუჯეტო სახსრებს განკარგავენ საფინანსო ორგანოები, ხოლო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სახსრებს – სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდები.

კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციებში ფინანსების ორგანიზაციის თავისებურებები დამოკიდებულია ამ ორგანიზაციების ფუნქციონირებასთან არამხოლოდ სახარჯალრიცხვო დაფინანსების, არამედ ასევე თვითანაზღაურების პრინციპებზე. ისეთ ორგანიზაციების როგორცაა ბიბლიოთეკების, მუზეუმების კლუბური ტიპის დაწესებულებების დიდი ნაწილის მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი ანაზღაურდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე. ეს ორგანიზაციები იმყოფება სახარჯალრიცხვო დაფინანსებაზე და სახსრებს იღებენ სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან, ძირითადად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. კულტურის დანარჩენი ორგანიზაციების (თეატრების, ფილარმონიების, ცირკების, საგამოფენო დარბაზებისა და სხვა) მიერ განეული მომსახურების უმეტესი ნაწილი ფასიანია.

კულტურისა და ხელოვნების სფეროს დაწესებულებების ფინანსური რესურსები ასევე ფორმირდება საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯზე და არასაბიუჯეტო წყაროების ხარჯზე, თუმცა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმართულებები ასახავენ კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკას. მათ განეკუთნებათ დანახარჯები ისტორიის, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციაზე; ახალი დადგმების, ნარმოდგენების შექმნაზე; საკონცენტრო პროგრამების მომ-

ზადებაზე; ფესტივალების, გამოფენების ორგანიზაციაზე; მუზეუმებისა და გამოფენების კონპოზიციების შექმნაზე და განახლებაზე; ცირკებსა და ზოოპარკებში ცხოველების შენახვაზე და სხვა. ამასთან, საბიუჯეტო სახსრები უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ ძირითადი საქმიანობის განხორციელებაზე, ანუ კულტურული ღირებულებების შექმნასა და გავრცელებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ურთიერთობები. საბიუჯეტო და სამენარმეო საქმიანობის განხორციელების დროს საბიუჯეტო დაწესებულებები იხდიან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრაქტიკულად ყველა გადასახადს (გადასახადი ფიზიკური პირების შემოსავლებზე, დამატებული ღირებულების გადასახადი, ორგანიზაციების ქონების გადასახადი) ამასთან, ამ გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესი ერთია კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისათვის, მაგრამ იღებს რა მხედველობაშ სოციალურ-კულტურული სფეროს საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ განეული მომსახურების სოციალურ მნიშვნელობას, საგადასახადო კანონმდებლობა რიგი დაწესებულებისათვის – საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურის დაწესებულებებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის და სხვა – ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს, ან სრულ განთავისუფლებას გადასახადების გადახდისაგან. მაგალითად, საბიუჯეტო საქმიანობის განხორციელებისას საბიუჯეტო დაწესებულებები თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშების დროს დაბეგვრას არ ექვემდებარება სამედიცინო ორგანიზაციების მიერ განეული სამედიცინო მომსახურების, კოსმეტიკური, ვეტერინალური და სანიტარულ – ეპიდემიოლოგიური მომსახურების გარდა, სოციალური დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების მიერ განეული ავადმყოფების, მოხუცებულთა მომსახურების, განათლების სფეროში სასწავლო – სანარმოო ან აღმზრდელობითი პროცესის მომსახურების, კულტურისა და ხელოვნების სფეროში განეული მომსახურების რეალიზა-



ცია. საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საბიუჯეტო და საქველმოქმედო ორგანიზაციების გათავისუფლებას მოგების გადასახადის გადახდისაგან, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა; საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის ასევე გათვალისწინებულია საგადასახადო ორგანოებში გამარტივებული საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის შესაძლებლობა.

საბიუჯეტო დაწესებულებების მოგების გადასახადი დაბეგვრის ობიექტი, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციებში არის მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც მიღებული შემოსავალი, შემცირებულია განუღებელი ხარჯების ოდენობით. ამასთან მიღებული შემოსავლებიდან გამოირიცხება შემოსავლები, რომლებიც არ გაითვალისწინება საგადასახადო ბაზის განსაზღვრისა, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსულობების სახსრების ჩათვლით.

მიზნობრივი დაფინანსების სახსრებს განეკუთნება ყველა დონის ბიუჯეტების სახსრები და მიღებული გრანტები, ხოლო მიზნობრივ შემოსულობებს საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვასა და მათ მიერ სანესდებოდა საქმიანობის გაძლოლაზე – შემოწირულობები დაწესებულებებზე მემკვიდრეობის წესით გადასული ქონება, საქველმოქმედო საქმიანობის ჩარჩოებში მიღებული სახსრები და სხვ. დაბეგვრის ბაზიდან ამ თანხების ამოღებისათვის საჭიროა შემოსავლებისა და გასავლების ცალცალკე აღრიცხვა მიზნობრივი სახსრების მიხედვით.<sup>1</sup> (მ. ვანიშვილი, დ. ფარულავა, ფინანსების საფუძველი, თბ., 2015, გვ 527)

## საკონტროლო კითხვები

1. სოციალურ-კულტურული სფეროს მართვის ობიექტების ჩარჩოებში, რამდენი ურთიერთზემოქმედი შესაძლებლობა იკვეთება? კერძოდ, რა?
2. რით ხასიათდება სოციალურ-კულტურული სფეროს ეკონომიკური შესაძლებლობები?
3. რა იგულისხმება საზოგადოების კულტურულ – მხატვრულ შესაძლებლობებში?
4. ადამიანთა საზოგადოებამ რომ იარსებოს და განვითარდეს, ამისათვის რა არის აუცილებელი?
5. რით ასაბუთებენ ტერმინს „არასანარმოო სფეროს“ გამოყენებას ეკონომისტები?
6. რატომ არ შეიძლება „არამატერიალური“ და „სულიერი წარმოების“ ტერმინებს შორის ტოლობის ნიშნების დასმა?
7. როდის იქნა შემოღებული ეროვნული მეურნეობის დარგობრივი კლასიფიკატორი და რომელ წელს მოხდა მისი მოდიფიცირება?
8. რომელი საქმიანობა მიეკუთნება მატერიალური წარმოების სფეროს?
9. ჩამოთვალეთ, ეროვნული ეკონომიკის, რომელი დარგები და საქმიანობები მიეკუთნება არასანარმოო სფეროს?
10. „სოციალურ-კულტურული“ სფეროს ცნება საზოგადოებრივი საქმიანობის რომელ სტრუქტურების დასახასიათებლად გამოიყენება?
11. რა მიეკუთნება სოციალურ-კულტურულ სფეროს?
12. სოციალურ-კულტურულ სფეროში, სოციალური სფეროსაგან განსხვავებით რომელი საქმიანობის სახეობები არ შედის?
13. რა შეიძლება მივაკუთნოთ სოციალურ-კულტურულ სფეროში წარმყვანი კომერციული საქმიანობის ორგანიზაციებს?

14. როგორი პროდუქტის შექმნაზეა მიმართული კულტურის სფეროს ფუნქციონირება?
15. ეკონომიკური კუთხით, როგორ შეიძლება კულტურა დახასიათდეს?
16. ჩამოთვალეთ კულტურის სფეროს თავისებურებები.
17. კულტურის სფეროში რა სპეციფიკური სახით გამოვლინდება სოციალურ-კულტურული ურთიერთობები?
18. ეკონომიკური თვალთახედვით, რას წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების კულტურული სიმდიდრე?
19. რას უკავშირდება კულტურის პროდუქტის სამომხმარებლო ღირებულება?

## თავი XI.

### სოსიალური ქსევის რეგულატორების კულტურული ვარიაციულობა

#### 11.1 კულტურის რეგულაციური (მარეგულირებელი) ფუნქცია

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში არავის არ ეპარება ეჭვი, რომ კულტურა წარმოადგენს, იმ ძირითად ფაქტორს, რომელიც ეთნოსშორისი ფსიქიკის განსხვავებების საფუძველშიცაა ჩადებული, თუნდაც თუ გავითვალისწინებთ ამ გაგების მრავალმნიშვნელობას, კულტურა არამარტო მრავალასპექტიანი, არამედ მრავალფუნქციურიცაა. მის მიერ განხორციელებული მრავალ ფუნქციას შორის, ერთ-ერთს წარმოადგენს რეგულირების ფუნქცია, რომლის წყალობითაც, კულტურა ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას. შემთხვევით არ აღვნიშნეთ კულტურის ქცევის რეგულაციის სხვადასხვა საზომი: არსებობს მნიშვნელოვანი კულტურათაშორისი და პიროვნებათაშორისი განსხვავებები ქცევის ინდივიდუალიზაციის ხარისხში, თანაფარდობა მის რეაქტიულ და აქტიურ კომპონენტებთან. გარდა ამისა, სამართლიანად აღვნიშნავს ი. მ. ლოტმანი,“ ინდივიდის არა ყველა საქციელი არსებობს საზოგადოებისათვის, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც კულტურის მოცემულ სისტემაშიც, რაღაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიენერება.“<sup>1</sup>

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახდენს რა გავლენას სოციალურ ქცევაზე, კულტურა განსაზღვრავს მხოლოდ ქცევას, რომელსაც ა. გ. ასმოლოვმა პიროვნების სოციოტიპური ქცევა უწოდა. ეს ის ქცევაა, რომელიც გამოხატავს, „მოცემული კულტურის ტიპურ პროგრამას“ და ქცევის რეგულირებას, მოცემული ერთობის სტანდარტულ სიტუაციებში, ათავისუფ-

---

<sup>1</sup> Лотман Ю.М. Беседы о русской культуре: Быт и традиции русского дворянства (XVIII – начало XIX века). С – Пб.: Искусство, 1994. с. 297.

ლებს ადამიანს ინდივიდუალური გადანწყვეტილებების მიღებისაგან.<sup>1</sup>

რამდენადაც, სოციოტიპური ქცევა, განსაზღვრულ ცხოვრების წესზეა მორგებული, ის თავს გვახსენებს, როცა ადამიანის შეხება ხდება არასტანდარტულ სიტუაციასთან, კერძოდ, როცა მოხვდება სხვა კულტურაში.“

რას წარმოადგენს კულტურის ტიპური პროგრამები, რომლებიც ადამიანთა ქცევების რეგულატორებად გვევლინება? წარმოსადგენია, რომ სოციალური ქცევის ყველა რეგულატორი შეიძლება გავაერთიანოთ ტრადიციის გაგებაში. მისი გამოყენებისას, ჩვენ გამოვმდინარეობთ იქიდან, რომ ბოლო ათწლეულებში მსოფლიო მეცნიერებებში სულ უფრო ნათლად, გარკვევით ხდება დაკვირვება ტენდენციის გაგებაზე ტრადიცია, მისი გამოვლენისა და პროცესების წრეზე, უფრო ფართოდ, ვიდრე ადრე.

ამჟამად, ტრადიციის შინაარსის გენსაზღვრება გაფართოვდა, მასში კულტურის მყარი ქცევის ფორმების, ე. ი. ზნე – ჩვეულებების ჩართვით, მაშინ როცა ადრე არსებობდა ტენდენცია, ტრადიციისა და წეს – ჩვეულებების კატეგორიის მიკუთვნების, ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან: ტრადიციის – საზოგადოების ცხოვრების სულიერ სფეროსთან, ხოლო წესჩვეულებების ქცევის დაკვირვების სფეროსთან შესაბამისად, ეთნოფსიქოლოგიაში ტრადიციის კუთხით შეისწავლებოდა თაობიდან თაობაზე გადასაცემი, ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობების თავისებურებები – ფსახეულობები, ინტერესები, რწმენა, მრწამსი, ხასიათის ნორმები, რომლებიც მისი გადანწყვეტილებებისა და ქცევის ბაზას წარმოადგენდნენ. ხოლო წეს – ჩვეულებებში, ქცევის მყარი ფორმები ან სტერეოტიპები.

არ ჩავუღრმავდებით ტერმინების, კულტურისა და ტრადიციის გამიჯვნას. მრავალი, ხშირად ერმანეთის გამომრიცხავი კონცეფციებიდან უფრო მისაღებია ის, რომელიც ტრა-

---

<sup>1</sup> Асмолов А. Г. Психология личности, М., 2001, с. 304.

დიციას განიხილავს უფრო შეზღუდულად, კულტურის გაგებასთან შედარებით, როგორც „კულტურის ცენტრალურ ზონას“, რომელიც თავისი არსით მისი შეუცვლელია, თუმცაღა შეუძლია მნიშვნელოვანი გარეგანი არსის(ღერძის) ცვლილებები.<sup>1</sup>

მართებულად მიგვაჩნია ასევე ო. ა. ოსიპოვას თვალთახედვა, რომლის თანახმადაც არსებობს ვერტიკალზე განსაზღვრული თანაფარდობა სამ გაგებას შორის: „კულტურის“ გაგება გამოდის, როგორც შედარებით საერთო ტრადიციასთან დამოკიდებულებით, ხოლო თავის მხრივ ტრადიცია, როგორც უფრო საერთო, წეს – ჩვეულებებთან შედარებით.<sup>2</sup>

ყოველი კულტურის ტრადიციას მთლიანობის ხასიათი აქვს და წარმოადგენს ელემენტების ერთმანეთშორის ურთიერთკავშირის რთულ სისტემას – წეს – ჩვეულებების, ფასეულობების, ნორმების, იდეალების, რწმენის, რომლებიც წარმოადგენს ადამიანთა ქცევის რეგულატორებს. ყველაფერი ხელმისაწვდომია ეთნოპოლიტიკური და ეთნოფსიქოლოგიური სწავლებისათვის, რომელიც შემუშავებულია ქცევის კულტურული მოდელის მიერ წეს – ჩვეულებები, უშუალოდ გამოვლინებულია მისი ცალკეული ნევრების ქცევაში. ყველა წეს – ჩვეულება კი არა, არამედ მათგან ისინი, რომლებიც გარეგნულად „აფორმებენ“ ქცევის ზოგადსაკაცობრიო ინვარიანტულ მოდელებს.<sup>3</sup>

გარკვეული წეს – ჩვეულებების დაცვით შეგიძლიათ, მაგდასთან მიირთვათ ან იატაკზე ჯდომით, გამოიყენოთ უამრავი დანა – ჩანგალი, ან საკუთარი ხელით მიირთვათ, უხმნაუროდ მიირთვათ საღეჭი საკვები, ან ხმაურით დაღეჭოთ, როგორც ამას სტუმრები აკეთებდნენ ჩინურ სახლებში, იმის საჩვენებლად, რომ საქმელი გემრიელი იყო. შეგიძლიათ გარკვეული პერიოდით, მაგალითად, მარხვის დროს, თავი შეიკა-

---

<sup>1</sup> Лурье С.В. Историческая этнология. М., 1998.

<sup>2</sup> Осипова О. А. Американская социология о традиций. М., 1985.

<sup>3</sup> Байбурин А. К. Некоторые вопросы этнографического изучения поведения, М., 1985. с. 7 – 21.

ოთ ყველანაირი საკვების მიღებისაგან, მაგრამ ქცევის ალტერნატიული საშუალება საერთოდ არ არის, თუმცა მარხვა როგორც საკვებისაგან თავშეკავება, ისე კოლექტიური ტრაპეზები, რომლებიც წარმოადგენს ურთიერთობების საშუალებას, რომელიც კვებას არა მარტო სხეულს, არამედ მისი მონაწილეთა თვითშეგნებასაც, მიეკუთვნება უკვე სხვა ტიპის ჩვეულებას, ადათს. ეს ჩვეულება, რომელშიც სტერეოტიპიზაციას ექვემდებარება არა მარტო ქცევის გარე ასპექტები, არამედ ა. კ. ბაიბურინის სიტყვებით რომ ვთქვათ,,სტერეოტიპიზაცია ხდება, როგორც გამოხატვის მიმართულების, ისე შინაარსის მიმართულებითაც. ასეთი ჩვეულება წარმოადგენს მრავალკომპონენტთან მოვლენას და უშუალოდ თემის წევრთა ქცევის რეგულირებას სტერეოტიპის სახით, განუყრელად დაკავშირებულია ტრადიციის სხვა ელემენტებთან.

სწორედ ტრადიციის ასეთი ელემენტების გამოკვლევამ, როგორც ფასეულობები და ნორმები, ფართო გავრცელება მიიღო თანამედროვე ეთნოფსიქოლოგიაში, მაგრამ ტრადიციების, ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სტრუქტურის განხილვისას, ბოლო პერიოდში უპირველესი ყურადღება ეთმობა ამა თუ იმ კულტურის თავისებურებებს, რომლებიც მოიცავს ყველა მის ელემენტს და გამოვლინდება მისი წევრების ქცევებში. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი მცდელობებისთვის, რათა მოძიებული იქნას კულტურის ერთი, ან რამდენიმე მთავარი, ძირითადი თავისებურებები ან განზომილებები. დიდი მოცულობის ლიტერატურის გაანალიზებისას, უ. და კ. სტეფანებმა გამოყვეს სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებული კულტურის 11 „განზომილება“:

1. ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი (ორიენტაცია ინდივიდუალურ/ჯგუფურ მიზნებზე);

2. კულტურაში მიღებული ნორმების,ტოლერანტობის ხარისხი, გადახრებთან („ძალდატანების ჯაჭვის“ ხარისხი ინდივიდებსა და ნორმებს შორის);

3. გაურკვევლობის თავის არიდების ხარისხი და შესაბამისად ფორმალურ წესებზე მოთხოვნა;

4. მასკულინება/ფემინურობა ე. ი..კულტურაში მამაკაცებისათვის და ქალებისათვის განსახილველი სტერეოტიპების ხარისხის შეფასება და ტრადიციული ტენდერული როლების ნახალისების ხარისხი;

5.კაცობრიობის არსობის ბუნების შეფასება როგორც,,კარგის“,,ცუდის“ ან,,ნარევი“;

6. კულტურის სირთულე, მისი დიფერენციაციის ხარისხი;

7. ემოციონალური კონტროლი, დასაშვები ემოციური ექსპრესიულობის ხარისხი;

8. კონტაქტების სიახლოვე, ე. ი. ურთიერთობის დროს დასაშვები დისტანცია და შეხებები;

9. დისტანცია, ინდივიდებსა და „ხელისუფლებას“ შორის, უთანაბრობის ხარისხი მაღლა მდგომებსა და დაბლა მდგომებს შორის;

10. მაღალი კონტექსტურობა/დაბალი კონტექსტურობა, ე. ი. ქცევაში სიტუაციაზე დამოკიდებულობით მაქსიმიზაცია/მინიმიზაციის განსხვავება;

11. დიქტომია ადამიანი/ბუნება (ადამიანის ბუნებაზე ბრძანებლობის ხარისხი, მისი ბუნებაზე არ დაქვემდებარება, ან ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრება);<sup>1</sup>

რასაკვირველია, ეს კულტურის ყველა ტიპოლოგია არ არის, რომლის საფუძველშიც ჩადებულია ოპოზიციის ფსიქოლოგიური ტიპი.ლოტმანი ამტკიცებს, რომ გადამწყვეტ ზემოქმედებას, ადამიანის ქცევაზე ის ფაქტი ახდენს, ცხოვრობს თუ არა ის დამწერლობით, ან არადამწერლობით კულტურაში. რამდენადაც დამწერლობით კულტურაში ადამიანი თავისი ქცევის სტრატეგიად ირჩევს მიზეზ – შედეგობრივი კავშირებიდან გამომდინარე, მოსალოდნელ ეფფექტიანობობას, ხოლო,,უმწერლობო კულტურა კი მის ორიენტაციას ნიშნებზე,

---

<sup>1</sup> Stephan W.G., Stephan C.W. Intergroup relations. Madison, 1992.



მარჩიელობაზე და წინასწარმეტყვე – ლებაზე, ქცევის არჩევანის გადატანას გარეპიროვნულ სფეროში.“<sup>1</sup>

კულტურის გაზომვა მოიცავს სხვადასხვა რაოდენობის ელემენტებს, რომლებიც არეგულირებს ერთობაში, ინდივიდების ქცევებს, მაგრამ მათ შორის არის რალაც საერთო: ყველა შემთხვევაში ტრადიციის ელემენტები (ფასეულობები, ნორმები წეს – ჩვეულებები და ა. შ.) ანალიზირდება მათში მთავარი, ძირითადი კომპონენტის სტრუქტურის გამოვლინების კუთხით. სუბიექტური კულტურის ელემენტების ასეთი ნაკრები, რომელიც ორგანიზებულია რაიმე თემის ირგვლივ, მეცნიერი ტრიანდისი უწოდებს კულტურულ სინდრომებს.<sup>2</sup>

ამგვარად, ინდივიდუალიზმის კულტურული სინდრომის განხილვისას ორიენტაცია ხდება ავტონომიურ ინდივიდზე, ხოლო კოლექტივის განხილვისას კი – ორიენტაცია ვინმე, რომელიმე კოლექტივზე: ოჯახი, ტომი, ეთნოსი, სახელმწიფო, რელიგიური ჯგუფი და სხვ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ გამოვიყენებთ უფრო მისაღებ გაგებას, ეს ყველა ტრადიციისის ის თავისებურებებია, რომელშიც უპირველესად, აისახება კულტურული მოთხოვნილებების ნახალისებები, ან ავტონომიური და უნიკალური ინდივიდის, ან ჯგუფის სურვილები და მიზნები.

## 11.2 ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი

ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის გაგება გამოიყენება არამარტო სოციალურ ეთნოფსიქოლოგიაში, არამედ ისინი ფიგურირებენ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგებში, ლიტერატურამცოდნეობიდან თეოლოგიამდე და პოლიტიკური ფილოსოფიიდან სოციოლოგიამდე. თუ სოციალური ფსიქოლოგები, ამ პრობლემით დაინტე-

---

<sup>1</sup> Лотман Ю.М. Беседы о русской культуре: Быт и традиции русского дворянства (XVIII – начало XIX века). С – Пб.: Искусство, 1994.

<sup>2</sup> Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc.: McGraw – Hill, III.

რესდნენ შედარებით გვიან (ასე ვთქვათ, ახალახანს) კულტურა – ანთროპოლოგიას სოციოლოგიას და საერთო ფსიქოლოგიას მისი შესწავლის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

მეცნიერი ჯ. ბრუნერი კულტურულ ფაქტორთა ძირითად ჯგუფს, რომელიც განაპირობებს შემეცნებით განვითარებას, განიხილავს ღირებულებით ორიენტაციებს – კულტურის ორიენტირებულობას ან კოლექტივზე ან ინდივიდზე. ინდივიდუალისტური ორიენტაცია, მისი აზრით, დამახასიათებელია თანამედროვე კულტურებისთვის, ხოლო კოლექტივისტური – ტრადიციული კულტურებისთვის, რომელშიც „პიროვნების სუბიექტივიზმი...არკულტივირდება; პირიქით, რეალობის იდეა ადამიანისა და სამყაროს ერთიანობას უჭერს მხარს.

ბრუნერი პირდაპირ აკავშირებს კოლექტივისტურ ორიენტაციას, გარემოზე ადამიანის ძალაუფლების ნაკლებობასთან: ვინაიდან ტრადიციული საზოგადოების ინდივიდს, არ გააჩნია გარემო პირობებზე ზემოქმედების შესაძლებლობები, ის ნაკლებად ემიჯნება თავის ფიზიკურ სამყაროსა და სხვა ინდივიდებს.

პატარა ბავშვების მოძრაობაც კი ზოგიერთ აფრიკულ ტომში ინტერპრეტირდება, უპირველეს ყოვლისა, როგორც ნიშანი მათი ურთიერთობისა უფროს ნევრებთან.

ინდივიდუალიზმის/კოლექტივიზმის დიქოტომიის პრობლემები მრავალ სხვა მეცნიერსაც აწუხებდა. ამერიკელმა კულტურულ – ანთროპოლოგმა ფ. ხსიუმ შეადარა ამერიკელების ცხოვრების წესი, ცენტრირებული ინდივიდზე და ჩინელების, რომლის ცხოვრების წესი ცენტრირებულია სიტუაციაზე და რეგულარულად ვლინდება ურთიერთდამოკიდებულებაში.

სოციოლოგმა ტ. არსონსმა ჩაატარა გამოკვლევა ადამიანის ორიენტირებულობის განსხვავებაზე, რომელთა მიზანიც არის საკუთარი ინტერესები „მე“ და ადამიანის ორიენტაცია კოლექტივზე, რომლის მიზანიც არის საერთო ინტერესები, კოლექტივს ის განიხილავდა მოცემული წყვილის, სოციალური სისტემის ღირებულებითი ორიენტაციებს ერთ-ერთი ცენტრალური კუთხით.

კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის ემპირიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. ხოფსტედემ. მისი წიგნის „კულტურის შედეგები“, გამოვიდა 1980 წელს. 1991 წელს მან კიდევ ერთი წიგნი – „კულტურა და ორგანიზაცია: გონების პროგრამული უზრუნველყოფა“ გამოსცა. მისმა გამოკვლევამ, რომელშიც განხორციელდა 117000 ანკეტის ფაქტორული ანალიზი, დაადგინა IBM-ის თანამშრომლების ღირებულებითი ორიენტაციები 50-ზე მეტ ქვეყანაში. კულტურის ოთხი ძირითადი განზომილებას შორის, ჰოფსტედეს მიერ გამოყოფილი იყო ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ერთიანი განზომილება. რომელთაგან ერთ-ერთი აღმოჩნდა ინდივიდუალიზმი, რომელიც ჰოფსტედეს ესმოდა როგორც „ემოციური ინდივიდების დამოუკიდებლობა ჯგუფებისგან, ორგანიზაციებისგან ან სხვა კოლექტივებისგან“, ხოლო კოლექტივიზმში, მისი აზრით, სიმბოლიზებულია საზოგადოება, რომელშიც ადამიანი დაბადებიდანვეა ინტეგრირებული შეკრულ ჯგუფში, მისი დამცველი მთელი ცხოვრების მანძილზე, ნაცვლად აუცილებელი ლოიალობისათვის. სახელმწიფოები, სადაც ტარდებოდა გამოკვლევები, რანჟირებული იყო მათი მოქალაქეების ერთგულებით ინდივიდუალიზმთან. უფრო მეტი ინდივიდუალიზმი გამოავლინეს აშშ – ის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებმა, ხოლო უფრო მეტი კოლექტივიზმი – პაკისტანის, კოლუმბიის, ვენესუელის მოქალაქეებმა.

თანამედროვე პერიოდში ჩატარებულია ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის დიდი რაოდენობის შედარებითი კულტურის გამოკვლევები, რომლებიც თუ ამჟამად განიხილება ჯგუფურ დონეზე, როგორც ღირებულებები, მაშინ როგორც მეტა ღირებულება, მოიცავს ქცევის სტერეო ტიპებისა და დარწმუნების ფართო კლასტერს: ღირებულებების უფრო ზუსტად, მკაფიოდ ოპერაციონალიზირებას, მაგალითად, დამოუკიდებლობისა და დაქვემდებარებულობის, დამორჩილებულობის, ზნეობრივი ნორმების, ადათების, ჩვეულებების, კულტურული სკრიპტების (სცენარები)და ა. შ. ან მეცნიერ ტრი-

ანდისის ტერმინოლოგიის შესაბამისად გამოიყენება კულტურულ სინდრომების გაგება, თუმცა ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი აგრძელებს ანალიზის განხილვას ცალკეული ინდივიდების ორიენტაციის ღირებულებების კუთხით, რომლებიც იხრებიან კოლექტივიზმისკენ, ალოცენტრული პიროვნებებით და რომლებიც იხრებიან ინდივიდუალიზმისკენ, იდიოცენტრიული პიროვნებებით.

საკუთარი და სხვათა გამოკვლევებზე დაყრდნობით, მათ შორის 46 ფსიქოლოგის წარდგენილი ანალიზით და კულტუროლოგთა ქმედებით; კოლექტივისტები და ინდივიდუალისტები სხვადასხვა სიტუაციაში, ე. ი., რომელთაც აქვთ „ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის იმპლიციტური თეორია“, ტრიანდისი შეეცადა შეეჯამებინა განსხვავება კულტურის ორ ტიპს შორის. ჩამოვთვალოთ და განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი დავამატოთ ის თავისებურებანი, რომლებიც გამოყო შ. შვარცმა. ის საფუძვლად იღებს სოციალურ სტრუქტურას და არა ღირებულებით მახასიათებლებს.

ინდივიდუალიზმის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას და მოქმედებს თავისი პირადი მიზნების შესაბამისად, მათი უპირატესობის მინიჭებით, საზოგადოებრივ მიზნებზე „მე“ ინდივიდუალისტურ კულტურებში განისაზღვრება, როგორც დამოუკიდებელი, რომელსაც უნარი შესწევს გადარჩეს, არა როგორც ჯგუფის გარე ერთეული, არამედ ინდივიდი, როგორც სოციალური აღზრდის საბაზო ერთეული. ინდივიდუალისტები წარმოადგენენ ბევრი სხვა ჯგუფის წევრებს, მაგრამ ნუკლეარული ოჯახის გამოკლებით – რომლებთანაც სუსტადაა იდენტიფიცირებული და ცოტათია მათზე დამოკიდებული. ჯგუფები თავის მხრივ სუსტ ზემოქმედებას ახდენენ ინდივიდის ქცევაზე. მშობლებიც კი მცირე ზემოქმედებას ახდენენ თავიანთი მოზრდილი შვილების, მეგობრების, სამუშაოს, საცხოვრებელი ადგილის არჩევაზე. ადამიანთა მოვალეობები და მოლოდინები ჯგუფებში ეფუძნება, პირადი სტატუსის მიღწევებისა და ცვლილებების პროცესის მოლაპარაკებებს. ჯგუფის შიგნით მისაღებად აღიქმება კამათი და კონფლიქტები. ემოციურად

ინდივიდუალისტები გარშემომყოფთაგან გამოცალკავებული არიან და მიდრეკილება აქვთ განმარტოებულობისაკენ.

ინდივიდუალისტური კულტურის ძირითადი ფასეულობები, ღირებულებები – ესაა თავისუფლება ქმედებებსა და თვითკმაყოფილება, დამოუკიდებლობა მსჯელობებში, ძალაუფლება გარშემომყოფებზე საშუალებას აძლევს ინდივიდებს კომფორტულად იგრძნონ თავი ნებისმიერ გარემოცვაში, ან მარტოობა-ში, გამოირჩეოდეს სხვებისაგან და იყოს დამოუკიდებელი.

ინდივიდუალისტურ კულტურებში ქცევა უმრავლეს შემთხვევაში რეგულირდება ატიტიუდებით (სოციალური მითითებებით), ვიდრე ჯგუფის ზნეობრივი ნორმებით. აღინიშნება მსგავსი კულტურების ორიენტირებაც კი ნორმების დარღვევაზე – „მისწრაფება ორიგინალობაზე, არაჩვეულებრივზე, ახირებულობაზე, სისულელეზე. არსებული ნორმები აქეზებენ ჯგუფიდან დამოუკიდებლობას: არ არის მიღებული ფულის გასესხება, ანდა ნაცვლად ნივთების აღება. მატერიალური რესურსების განაწილებისას პრევალირებს ნორმა, რომლის თანახმადაც დაჯილდოება უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ წვლილს.

კოლექტივიზმის ძირითადი არსი ჯგუფის ინტერესების პრიორიტეტია, პირად ინტერესებზე: კოლექტივისტი ზრუნავს თავისი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ზემოქმედებაზე მისთვის მნიშვნელოვან გაერთანებაში. „მე“ განისაზღვრება ჯგუფური წევრობის კუთხით, სოციალური იდენტობა წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე პიროვნული, ხოლო სოციალური აღქმის საბაზო ერთეულს წარმოადგენს ჯგუფები.

კოლექტივისტები შეიცნობენ საკუთარ თავს, როგორც ჯგუფის მცირე რაოდენობის წევრად, ვიდრე ინდივიდუალისტები, მაგრამ უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული მათთან. ისინი ჩართული არიან სხვა ადამიანების ცხოვრებაში, მათ მოჭარბებულად აქვთ რთულ სიტუაციაში დახმარების მოთხოვნილება, გამოავლინოს მიჯაჭულობა, რჩევის არჩევის სიტუაციაში და თითქმის დაქვემდებარებაც კი.

„ვსაუბრობთ რა ადამიანებს შორის კავშირებზე, ყველაფერი ეს შეიძლება გავაერთიანოთ სიტყვით „მზრუნველობა“. რაც უფრო მეტ მზრუნველობას იჩენს ინდივიდი სხვებთან ურთიერთობებში, მით მეტად დაკავშირებულად გრძნობს საკუთარ თავს სხვებზე, მით მეტად კოლექტივისტულს წარმოადგენს“ (ტრიანდისი, 1986, გვ. 240).

თავის მხრივ ჯგუფები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ინდივიტთა ქცევებზე. მეტად მნიშვნელოვნად აღიქმება ნათესავთა, მეზობელთა, კოლეგების ერთობა, სადაც ადამიანები დაკავშირებული არიან მოვალეობებითა და მოლოდინებით, დაფუძნებული მათ მუდმივ სტატუსზე.

კოლექტივისტური კულტურის ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს, ტრადიციებისადმი მიყოლა, მოვალეობის გრძნობა, მორჩილება, გამგონობა, რომლებიც განაპირობებენ ჯგუფის მთლიანობის შენარჩუნებას, მათი წევრების ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ შორის ჰარმონიულ ურთიერთობებს. კოლექტივისტურში: კულტურის ჯგუფური ნორმები წარმოადგენს ქცევის უფრო მნიშვნელოვან რეგულატორს, ვიდრე ატიტიუდები. „დიდად ფასობს სწორი ქცევა, ცხოვრება ადათ – ნესებით, როგორც ადამიანებს,, ნესდებით“ (ლოტმანი, 1992, გვ. 296). ნორმატიულად წახალისდება ჯგუფიდან შეპირობება. რესურსების განაწილებისას პრევალირებს თანასწორობისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნორმები.

შეიძლება გავაგრძელოთ ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურათა თავისებურებებზე საუბარი და მათი გამოყოფა, მაგრამ ეს პროცესი უსასრულოდ გაინელება, მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ტიპისთვის მიცემულ კულტურულ სინდრომებს შეიძლება ჰქონდეთ თავისი მახასიათებლები (ტრიანდისი, 1994). მაგალითად, ვერტიკალური კოლექტივიზმი იერარქიას, დიდი უფლებებისა და პრივილეგიების არსებობას იღებს, როგორც მოცემულობას, მათთვის ვინც „ზემოთა“. თვითგამორკვევა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია იერარქიაში განსაკუთრებულ ადგილთან, ხოლო როგორც ფიზიკური,

ისე სოციალური სივრცეც განიხილება ტერმინებით: პატივსაცემი – ნაკლებ პატივსაცემი. ჰორიზონტალური კოლექტივიზმი აქცენტირებს ურთიერთდამოკიდებულობაზე და ერთობაზე, ხოლო თანასწორობა განიხილება საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობად.

ტრიანდისი შეეცადა ინდივიდუალიზმის/კოლექტივიზმის სამოცზე მეტი ატრიბუტიდან გამოეყო ოთხი ძირითადი, ყველასთვის მისაღები მახასიათებელი:

1.,,მე“-ს განსაზღვრა (კოლექტივისტები ,,მეს“ განიხილავენ როგორც ურთიერთდამოკიდებულებულს სხვებზე – ერთ ან რამდენიმე ჯგუფზე; ინდივიდუალისტები კი ,,მეს“ განიხილავენ, როგორც ჯგუფიდან ავტონომიურსა და დამოუკიდებელს).

2. მიზნების სტრუქტურა (კოლექტივისტებთან პირადი მიზნები შეხამებულია ჯგუფის მიზნებთან, მაშინ როდესაც ინდივიდუალისტებთან ის ხშირად არ ეთანადება. როცა პირადი და ჯგუფის მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა, კოლექტივისტები პრიორიტეტს ანიჭებენ ჯგუფურ მიზნებს, ხოლო ინდივიდუალისტები – პირადს).

3. აქცენტი ნორნებზე, ან ატიტუდებზე (კოლექტივისტების ქცევა უმეტესად ნორმებით, ვალდებულების გრძნობითა და მოვალეობებით რეგულირდება, ხოლო ინდივიდუალისტების ქცევები, კი ატიტუდებით, მოთხოვნილებებით, აღქმული უფლებებია და კონტრაქტებით).

4. აქცენტი ურთიერთდამოკიდებულებაზე, ან რაციონალიზმზე (კოლექტივისტები მხარს უჭერენ ,,კომუნალურ“ ურთიეთობებს, რომელშიც მხედველობაში მიიღება სხვების მოთხოვნილებები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პიროვნებისთვის არაა სასარგებლო. ინდივიდუალისტები მხარს უჭერენ რაციონალურ გაცვლით ურთიერთობებს და გულდასმით ანგარიშობენ მათ დანახარჯებსა და მოგებებს).

შ. შვარცმა ინდივიდუალიზი/კოლექტივიზმის განხილვისას მიუთითა ნაკლოვანებებზე, როგორც ურთიერთსაინანაღ-

მდეგო დიქტომიურ საბაზო ღირებულებებზე.<sup>1</sup> (შვარცი 1990). **პირველ რიგში**, არსებობს ღირებულებები. რომლებიც ერთნირი ზომით ემსახურება, როგორც ინდივიდების, ისე ჯგუფების ინტერესებს (მაგალითად, სიბრძნე და ამიტომ ადამიანთა ქცევებს არეგულირებენ ნებისმიერ კულტურაში. **მეორე მხრივ**, ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს მნიშვნელოვანი უნივერსალური ღირებულებები, რომლებიც რჩებიან, რა კოლექტიური, არ წარმოადგენს ჯგუფურს სოციალური სამართლიანობა, გარემოს დაცვა, მსოფლიოს დაცვა). **მესამე მხრივ**, ემპირიული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ზოგიერთი ღირებულებები, კულტურის მხოლოდ ერთი ტიპისთვის არის დამახასიათებელი და წარმოადგენს ორივესთვის მნიშვნელოვანს. ამგვარად, აშშ-ში დიდი ხანია, აღწერილია ინდივიდუალიზმის კავშირი მიღწევების მოტივაციას – თან. მაგრამ იაპონელები და ჩინელები, არიან რა კოლექტივისტურები მიისწრაფიან მიღწევებისკენ. შვარცმა ვერ აღმოაჩინა ინდივიდუალიზმის სავარაუდო კავშირი გადონიზმთან (სიამოვნებისა და ბედნიერების ძიება), ხოლო კოლექტივიზმის – უსაფრთხოებასთან. შესაძლებელია მჭიდრო კავშირი თანასწორობასა და სამართლიანობას შორის: აშშ-ში, სადაც, დაჯილდოების განაწილება დამსახურების მიხედვით წარმოადგენს, დომინირებულ ღირებულებას, ასევე გაბატონებულია ინდივიდუალური წვლილის კეთილსინდისიერი განაწილების წესი ე. ი. კრიტერიუმების თანასწორობის ნორმა, ყველა ადამიანის დამსახურების შეფასებისას.“<sup>2</sup>

ამჟამად, მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის კატეგორიების სარგებლობა, ინდივიდთა ქცევებში კულტურათა შორისი განსხვავებების კონცეპტუალიზაციისათვის, წინასწარ განსაზღვრისა

---

<sup>1</sup> Shwartz S.H Individualism – collectivism: Critique and proposed refinements // J. of Cross Cultural Psychology 1990. Vol 21. p. 139 – 15.

<sup>2</sup> Pepitone, Triandis, On the universality of social psychological theories // J. Of Cross Cultural Psychology 1987, Vol 18. p. 471 – 498.



და ახსნისათვის. მაგალითად, ორი ტიპის კულტურის წარმომადგენელთა შორის კონტროლის ლოკუსში, კაუზალური ატრიბუციის, ემოციის გამოვლინების, პიროვნული და სოციალური იდენტობის მნიშვნელობის, მიღწევათა მოტივაციის, კონფლიქტიდან გამოსვლის საშუალებების, ვერბალური და არა ვერბალური სტილის და ა. შ. განსხვავების გამოვლენა.

ამას გარდა, გამოვლენილია ტრადიციული საზოგადოებების ვარიაციულობა ინდივიდუალიზმის /კოლექტივიზმის მაჩვენებლებით:

ა..ინდივიდუალიზმი ჭარბობს, მონადირეთა და შემგრივებელთა საზოგადოებებში, ხოლო კოლექტივიზმი – სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებში;

ბ. რაც უფრო მნიშვნელოვნად რთულია საზოგადოება, მით მაღალია ინდივიდუალიზმის დონე. კულტურების განხილულ განზომილებებს აკავშირებენ თანამედროვე საზოგადოებების მრავალი სოციალური მახასიათებლებით. მაგალითად, ინდივიდუალიზმს – ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით, კრიმინალიზაციით, დავადებათა გავრცელებულობით, რომელთა მიზეზიც სტრესია, მოსახლეობის მობილობით, ოჯახების მცირე ზომით და სხვ., ხოლო კოლექტივიზმი საწინააღმდეგო თვისებებით, აგრეთვე ხელისუფლების კორუმპირებულობით, ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობით და უფროსებზე დაქვემდებარებით, მაგრამ არსის მსგავსი გაფართოებული ახსნა – განმარტებები ინვესტ ბევრ კითხვას, მით უმეტეს, რომ ყოველთვის არ არსებობს მსგავსი კორელაციის ემპირიული მტკიცებულებები და არსებობს საფრთხე, ვერ მივიღოთ ვერავითარი ახსნა, თუ ინდივიდუალიზმის /კოლექტივიზმის დახმარებით ავხსნით ყველაფერს“ (იბიდ, პ.9).

ამჟამად, კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი უკვე აღარ განიხილება ისე, როგორც ჰოფსტედე განიხილავდა, რალაც თეორიული კონტინიუმის ურთიერთგამომრიცხავი პოლუსების კუთხით. ორი კულტურის სინდრომი შეიძლება თანაარსებობდეს სიტუაციებზე დამოკიდებულებითაც. მაგალითად, სხვადასხვა ჯგუფთან და ურთიერთმოქმედების სხვადასხვა

მიზანთან მიმართებით, თითოეული კულტურის ყოველ ადამიანში, მეტად თუ ნაკლებად ნათლად გამოვლინდეს.

ამგვარად, თუ არსებობს რაიმე საფრთხე ჯგუფში, ინდივიდუალისტები იცავენ რა „თავისიანებს“, მოქმედებენ როგორც კოლექტივისტები. ხოლო კოლექტივისტურ კულტურებში კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას – არსებითი განსხვავება“ თავისიანებთან“ და „სხვებთან“ ურთიერთობის სტილია. მაგალითად, უცხოელებს აოცებს იაპონელების გადაჭარბებული თავაზიანობის კონტრასტი, მათთვის მნიშვნელოვან უცხოებთან და მათი უხეში ქცევა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და თანამედროვე ქალაქების ქუჩებში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლექტივისტები ზემოთ აღნიშნულ თვისებას ავლენენ უმთავრესად თავისი ჯგუფის წევრებთან კონტაქტისას, სხვა ჯგუფის წევრებთან მათი ქცევა ემსგავსება ინდივიდუალისტთა ქცევას. ამგვარად, ემპირიულად დამტკიცებული იქნა, რომ კოლექტივისტი ჩინელები, რესურსების განაწილებისას თანასწორობის დაცვის მიისწრაფებას ავლენდნენ მხოლოდ „თავისიანებს“ შორის „უცხოებზე“ ეს ნორმები არ ვრცელდებოდა. სხვების დახმარების მიისწრაფება, ანდა კონფლიქტზე თავის არიდება ასევე არის ჯგუფზე ერთგულების ასახვა და ჯგუფური ჰარმონიის შენარჩუნების სურვილი.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ დაჯილდოების ამა თუ იმ ნორმის გამოყენება განისაზღვრება ურთიერთმოქმედების მიზნით. კულტურაზე გარე დამოკიდებულობით, წვლილის მიხედვით განაწილება უპირატესია, თუ მიზანი – პროდუქტიულობაა, ხოლო – თანასწორობა, თუ მიზანი – ჯგუფური ჰარმონიის შენარჩუნებაა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიზანი ზუსტად არ არის განსაზღვრული, ინდივიდები კოლექტიური კულტურიდან ორიენტირდებიან ჯგუფური სოლიდარობის შენარჩუნებაზე და არა პროდუქტიულობაზე.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Kogiteibasi C. Individualism and collectivism // Handbook of cross cultural psychology. Vol. 3: Social behavior and applications. Boston, 1997. p. 1 – 49.

დედამინის მოსახლეობის დიდი ნაწილი, დასავლეთშიც კი, სადაც გავრცელებულია ინდივიდუალიზმი, სადაც ცხოვრობს მრავალრიცხოვანი კოლექტივიზმისადმი მიდრეკილი ეთნიკური უმცირესობები, იზიარებს კოლექტივიზმის ზოგიერთ პრინციპს. ამასთანავე სოციალურ მეცნიერებებში, დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ და ვარაუდობდნენ ინდივიდუალიზმის პროგრესის მსოფლიო ტენდენციაზე, თითქოს ინდუსტრიალურ საზოგადოებაში, გარდუვალზე-დღესაც კი ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოება მიდის კოლექტიური ორიენტაციის სრულ დაშლამდე. ამგვარად, პოლონელი ფსიქოლოგი ი. რეიკოვსკი ვარაუდობს, რომ „საზოგადოებას, დაფუძნებულს კოლექტიურ პრინციპებზე, თანამედროვე სამყაროში განვითარების შანსის შესაძლებლობა არ აქვს.“<sup>1</sup>

მართალია, ის გამონაკლისს აკეთებს შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფოებისთვის. უფრო მეტიც რეიკოვსკი თავი სანინამდეგოდ, განიხილავს კოლექტივისტურ ნორმებს შევიწროების კუთხით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე ორიენტაციით, არამარტო პიროვნების იდენტობის განვითარებას, არამედ ახალი შესაძლებლობების გამოძებნის მცდელობას, უფრო ხშირად ეთნიკურ, ან რელიგიურ რომელიმე დიდ ჯგუფთან იდენტიფიკაციისათვის,

ბევრი თანამედროვე მკვლევარი, მეოცე საუკუნის გამოჩენილ მოაზროვნეთა ვ. ი. ვერნადსკისა და პ. ტეიარ დე შარდენის კვალდაკვალ თვლიან, რომ კაცობრიობის განვითარება, ინდივიდუალისტური კულტურის ბატონობისას საფრთხის წინაშე აყენებს სახეობის გადარჩენას.

მართლაც, საზოგადოება, რომლის წევრების ქცევაც რეგულირდება ინდივიდუალისტური ღირებულებების ქცევების თავისუფლებითა და მსჯელობათა დამოუკიდებლობით, ღირსებების უეჭველობის გარდა, ფლობენ უამრავ ნაკლოვანებებს. სწორედ მისთვის უფრო მეტად, ვიდრე კოლექტივისტური საზოგადოე-

---

<sup>1</sup> Рейковский. Движение от коллективизма // Психологический журнал. 1993. Том. 14. №5 с. 24 \_ 33.

ბისათვის დამახასიათებელია მარტოობა, გამქორწინებები, დეპრესიები, დანაშაულებები, დაკავშირებული ძალადობასთან, თვითმკვლევლობებთან. მისწრაფებას, გაერთიანდეს კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური კულტურა – რების ტრადიციებიდან საუკეთესო იქნება კომუნიტარიანიზმის სოციოლოგიური კონცეფცია, რომელიც განიხილავს პიროვნების ყველაზე სასურველ თვისებას, საზოგადოებაში გარემოსთან ჰარმონიულად ცხოვრების უნარს, ამასთანავე კომუნიტარიანისტები არ კარგავენ საკუთარ ინდივიდუალობას.

### **11.3 დანაშაული და სირცხვილი, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმები**

სოციოტიპური ქცევის მარეგულირებელთა შორის დიდ როლს თამაშობს მორალური ნორმები, ე. ი. რწმენის სისტემები, სწორი და არასწორი ქცევის შესახებ, რომელიც მოითხოვს ზოგიერთი მოქმედების შესრულებასა და სხვის აკრძალვას. ჩვენ ადრე შევეხეთ ზოგიერთ კულტურათაშორისი განსხვავებების თანდაყოლილ ნორმებს, მაგრამ ვინაიდან ნებისმიერი ადამიანის ქცევა ყალიბდება ნორმების შესრულებისას და მათი დარღვევიდან, ყურადღება უნდა მიექცეს კულტურების მიერ, სოციალური კონტროლის განხორციელებისას ნორმების დაცვისთვის, გამოყენებულ ფსიქოლოგიურ მექანიზმებსაც.

ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე, რომლებიც ახორციელებენ ნორმებს, მოტივებად შეიძლება იყოს „შიში“, „სირცხვილი“, „მოვალეობის გრძნობა“, „პასუხისმგებლობა“, „პატივი“, „სახის შენარჩუნება“, „სინდისი“, „დანაშაულის გრძნობა“, „თვითშეფასება“ და ა. შ. მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კონკრეტულ კულტურაში, შიშის, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობის მნიშვნელობას.

შიში არის ადამიანის შფოთვა, განგაში იმის შესახებ, თუ რა დაემართება მას, თუ ის არღვევს, ან უკვე დაარღვია ნებისმიერი წესი. შიში, როგორც აღნიშნავს ი. მ. ლოტმანი, თანდაყოლილა არა მხოლოდ ნებისმიერი კულტურის ადამიანისთვის,

არამედ ცხოველებისთვისაც, მაგრამ შიშის გარდა, ასევე არსებობს სპეციფიკური, ადამიანური კონკრეტულად კულტურის მიერ ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მორალური ნორმების დაცვას.<sup>1</sup>

ეს არის „სირცხვილი, როგორც ორიენტაცია გარე შეფასებაზე (რას იტყვიან, ან რას იფიქრებენ სხვები?) და დანაშაული, როგორც ორიენტაცია თვითშეფასებაზე, როდესაც რაიმე შინაგანი, ინტერნალიზებული ნორმის შეუსრულებლობა იწვევს ინდივიდში სინანულს (თვითბრალდებას)“<sup>2</sup> (კონ, 1979, გვ. 86).

ადამიანის ქცევის ამ მარეგულირებლების განხილვისას, როგორც კულტურის ძირითადი განზომილება, რ. ბენედიქტმა თავის ცნობილ ნიგნში „ქრიზანთემა და ხმალი“ დაუპირისპირა დასავლური შიშის კულტურა, სირცხვილის აღმოსავლურ კულტურებს.

მას სირცხვილის ტიპურ კულტურად, იაპონური კულტურა მიაჩნდა, სადაც „სირცხვილი, ყველა სათნოების საფუძვლად ითვლება“ (ბენედიქტე, 1946, გვ. 224). კულტურაში, სადაც გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნება, უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ინდივიდუალობის შენარჩუნება და სოციალური კონტროლის მთავარი მექანიზმი სირცხვილია, ადამიანს უყალიბდება თავისი ქმედებების კორელაციის ჩვევა, თავისი ქმედება შეუფარდოს სხვათა, გარშემომყოფთა მორალურ განსჯებს. „სირცხვილი ნიშნავს ნუხილს, საკუთარი რეპუტაციის გამო; ის ჩნდება, როდესაც ინდივიდი გრძნობს, რომ ის გარკვეულწილად სუსტია, ვიდრე სხვები“<sup>3</sup> (კონ, 1979, გვ. 87), მაგალითად, უსუსური ან მანკიერი ხასიათის გამო.

---

<sup>1</sup> Лотман Ю.М. Беседы о русской культуре: Быт и традиции русского дворянства (XVIII – начало XIX века). С \_ Пб.: Искусство, 1994.

<sup>2</sup> Кон И.С. Нравственное сознание человека и механизмы культурной регуляции//Социальная психология личности. М., 1979. с. 85 \_ 11.

<sup>3</sup> Кон И. С. Нравственное сознание человека и механизмы культурной регуляции//Социальная психология личности. М., 1979. с. 85.

იაპონელებში სირცხვილის გრძნობა, აღზრდის ადრეული ბავშვობიდან ინერგება, საზოგადოების აზრთან, აპელაციის დახმარებით, დაცინვითა და გაფიცვით (ბოიკოტით):

„შენ დაგცინებენ, შენზე გაბრაზდებიან, შენ გაგინებენ, გაგლანძღავენ – ეს არის არგუმენტების ნაკრები, რომელთა დახმარებითაც დედა მიმართავს ურჩი ბავშვის გონებას. იაპონელი დედა უბრალოდ არ აშინებს ცელქს: „იცოდე სახლში აღარ შემოხვალ“. ის ბავშვს ემუქრება ოჯახიდან პირველი ერთობიდან, თემიდან, განდევნას, მოცილებას, რომლის კანონებითაც ის ცხოვრებას სწავლობს. ყველა დედობრივი არგუმენტი ამა თუ იმ ხარისხით გულისხმობს დასჯას სათემო „ბოიკოტით“, გაფიცვით.<sup>1</sup> (ცვეტოვი, 1991, გვ. 92).

აღზრდის მსგავსი მეთოდები, დამახასიათებელია იაპონური სკოლისთვისაც:

სიმბოლური სასჯელების სიჭარბე – დაფაზე ინერება დამნაშავის სახელი, ან დროებითი „გარიცხვა“ ჯგუფიდან. მას კვებავენ ცალკე, ტოვებენ კლასში შესვენების დროს და ა. შ. ასე რომ, იაპონელი ბავშვისთვის ყველაზე ცუდი სასჯელია ბოიკოტი (გაფიცვა) და განკვეთა საზოგადოებიდან, თემიდან, მოზარდებს, სირცხვილის, როგორც ქცევის მარეგულირებლის მაღალი მნიშვნელობის მქონე კულტურებში უფრო მეტად ეშინით საზოგადოებისგან განდევნის, ვიდრე ძალადობის. ძველი ისტორიის სასკოლო სასწავლო გეგმიდან საბერძნეთში, გვახსოვს, რამდენად ნათლად იყო შემუშავებული პროცედურა საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებში ოსტრაციზმის – იმ პირთა გადასახლება, რომლებიც კანონის მიხედვით უდანაშაულონი არიან, მაგრამ სახიფათონი, მათი გავლენით, – და რამდენად ხშირად გამოიყენებოდა.<sup>2</sup>

კულტურებში, რომლებიც იმართება (რეგულირდება), უპირველეს ყოვლისა, სირცხვილით, სასჯელი, მცირე დანაშაულისთვის ხშირად დაიყვანებოდა დარწმუნებამდე, რჩევა –

<sup>1</sup> Цветов В. И. Пятнадцатый камень сада Реандзи М., 1991.

<sup>2</sup> Громыко М.М., Традиционные нормы поведения и формы Общѣния общѣниѣ русских крестьян XIX века. qalaqi ???, weli??

დარიგებამდე. რუსულ სოფელში სჯეროდათ, რომ თუ ქმედებებით თემის წევრმა შელახა მთელი სოფლის რეპუტაცია, შემდეგ შეკრება (ყრილობა) მისი „ნუგეშით“, ფერებით დაყოლიებაზე იყო დაკავებული, როგორც ეს ენოდებოდა და ხდებოდა იაროსლავის პროვინციაში (იხ. გრომიკო, 1986), მაგრამ კიდევ უფრო ხშირად სასჯელი, იაპონურ სკოლებში სიმბოლური იყო: სირცხვილით ისჯებოდა. ძველ საბერძნეთში ცილისწამებაში მხილებულს უნდა ეტარებინა მურტის გვირგვინი, ხოლო სიმხდალეში მხილებულები კი – სამი დღე მოედანზე ქალის კაბით უნდა მჯდარიყვნენ. (იხ. გასპაროვი, 1995 წ.). რუსულ სოფელში გოგონები ღირსებისა და პატივის დაკარგვისათვის სირცხვილით ისჯებოდნენ: კუპრით ღებავდნენ ქიშკარს, აჭრიდნენ ნაწნავს, კაბის კალთას უწევდნენ.

თუ კულტურაში დიდია დანაშაულის მნიშვნელობა, როგორც ქცევის, ქმედებების მარეგულირებელი, ქმედება ფასდება და განისჯება თავად ინდივიდის მიერ ინტერნალიზებული მორალური სტანდარტების შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც სხვებმა არ იციან მისი დანაშაულების შესახებ. სასამართლოს, განაჩენს ადამიანზე არა მხოლოდ მისი ქმედებების ჩართვით, არამედ მისი აზრებითაც“, ახორციელებს სინდისი, როგორც შინაგანი მორალური (ინსტანცია) ავტორიტეტი (Kon, 1979, გვ. 88), თუმცა, არსებობს სპეციალური გზები, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს შეიმსუბუქოს ცოდვის ცნობიერება, მაგალითად, ქრისტიანობაში ასეთ ფუნქციას ასრულებს აღსარება.

დანაშაულის კლასიკური კულტურის კუთხით, ბენედიქტე განიხილავდა პირველი ამერიკელი ახალმოსახლეთა პურიტანულ კულტურას, რომლებიც ცდილობდნენ მორალური ქცევის ჩამოყალიბებას განსაკუთრებით სინდისის ქენჯნაზე, თუმცა ამერიკელი მკვლევარის აზრით, XX საუკუნის შეერთებულ შტატებში ზნე-ჩვეულებები მნიშვნელოვნად შერბილდა, „ყველა ფსიქიატრმა იცის, როგორ ტანჯვას აყენებს თანამედროვე ამერიკელებს საკუთარი სინდისი“ (ბენედიქტე, 1946, გვ. 223).

დასავლურ კულტურაში საუკუნეების მანძილზე ბავშვების აღზრდა ძირითადად ეყრდნობოდა მკაცრ დისციპლინასა და ფიზიკურ დასჯას: ისინი ცდილობდნენ ცნობიერებაში დანაშაულის განცდის „ჩანგევას“, უჩიჩინებდნენ“ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ცნობილია, რომ „შუა საუკუნეების ევროპაში ბავშვებს სცემდნენ და ურტყამდნენ ყველგან, მაგრამ ეს პრაქტიკა განსაკუთრებით გავრცელებული იყო ინგლისში. როგორი პარადოქსალურიც არუნდა იყოს,,,მონური დისქიპლინა“ შერწყმულია ინგლისელი ჯელტმენების საკუთარი ღირსებების განვითარებულ გრძნობასთან.

1946 წელს რ ბენედიქტეს წიგნის გამოცემის შემდეგ, ფსიქოლოგებმა და კულტურულმა ანთროპოლოგებმა მნიშვნელოვანი ინტერესი გამოხატეს სირცხვილისა და დანაშაულის, როგორც სოციალური ქცევის რეგულატორების ანალიზისადმი, თუმცა შედარებითი – კულტურული კვლევების შედეგებმა ისინი პირველ რიგში მიიყვანა დანაშაულისა და სირცხვილის კულტურებს შორის საზღვრების მერყეობამდე, შემდეგ კი ამ ტიპოლოგიის უარყოფამდე. უფრო მეტიც, რადგან ფსიქოლოგიაში დანაშაული განიხილებოდა, როგორც ემოცია, რომელიც წარმოიქმნება კაცობრიობის მაღალი განვითარების ეტაპებზე, რ. ბენედიქტი<sup>1</sup> დაადანაშაულეს იმაში, რომ იაპონური კულტურის დახასიათებისას როგორც სირცხვილის კულტურა მან დაუშვა მისი,,სანყენი შედარება“ ამერიკულ კულტურასთან.

ამჯამად, მკვლევრები იმ აზრისკენ იხრებიან, რომ შეხედულება იაპონურ კულტურაზე, როგორც სირცხვილის კლასიკურ კულტურაზე გამარტივებულს წარმოადგენს. იაპონელი, როცა გააცნობიერებს, რომ მან ზიანი მიაყენა თემის,ერთობის წევრს, ან შელახა საგვარეულო ღირსება, ის განიცდის არამარტო სირცხვილის გრძნობას, არამედ მკაცრ სინდისის ქენჯნასაც. არსებობს ემპირიული მტკიცებულობებიც იმაზე, რომ სიტუაციებში, როცა ევროპული წარმოშობის ამერიკელები განიცდიან სირცხვილს, აზიური წარმოშობის პირველი თაობის

---

<sup>1</sup> Benedict R, Хризантема и меч; образцы японской культуры, 1948.



ამერიკელები, მათ შორის იაპონელებიც, აღმოაჩინენ სირცხვილისა და დანაშაულის უფრო რთულ შერეულ გრძნობებს.

მეორე მხრივ, მკვლევრებმა აამაღლეს სირცხვილის სტატუსი დასავლურ საზოგადოებაში, მას განიხილავენ არანაკლებ მნიშვნელოვნად, ვიდრე დანაშაულს, როგორც სოციალური რეგულაციის მექანიზმს, თუმცა ბენედიქტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირცხვილი სულ უფრო მეტად არეგულირებს ამერიკელების ქცევას, ხოლო დანაშაულის განცდა მათთვის უფრო ნაკლებად არის თანდაყოლილი, ვიდრე მათი წინაპრებისთვის. (იხ. ბენედიქტე, 1946), მაგრამ თანამედროვე მკვლევრები უფრო შორს წავიდნენ და ამტკიცებენ, რომ დასავლეთში სირცხვილის გრძნობა ძლიერდება, გარკვეულ პრიორიტეტს წარმოადგენს, ადამიანის უკიდურესი შფოთვის გამო, სოციალური კავშირების განადგურების წინაშე, რომლებიც თან ახლავს კულტურისა და ინდივიდუალიზმის იდეოლოგიის გაერთიანებას, უნიფიკაციას, თუნდაც სირცხვილი არ იყოს სოციალურ დისკურსში და უარყოფილი იყოს ინდივიდის მიერ, ის მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოსტინდუსტრიული საზოგადოების ნევრთა ინტერპერსონალური ურთიერთობებში (იხ. Liem, 1997).

ამას შეგვიძლია დავამატოთ, რომ სირცხვილიც და დანაშაულის შიშზეა დაფუძნებული. ამის გარდა, ის არეგულირებს ნებისმიერი კულტურის წარმომადგენლის ქცევას, „უცხო ადამიანებთან“ ურთიერთობაში, პოტენციურად ჩაიდენს უსამართლო საქმეებს განიცდის შიშს, ან დაცინვის და თავისიანებისგან განდევნის ან – "ღვთის სასჯელის" წინაშე. რამდენადაც შუასაუკუნეების ქრისტიანულ სისტემებში ადამიანის ქცევა განიხილებოდა როგორც ცოდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოსდევს იმპეციური სასჯელი (ლოტმანი, 1992).

ამჟამად მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ არ არსებობს დისკრეტული

დანაშაულისა და სირცხვილის კულტურები და სოციალური კონტროლის ყველა ცნობილი ფსიქოლოგიური მექანიზმი ყველა კულტურაში თანაარსებობს, მაგრამ არავინ უარყოფს არსებულ ინტერკულტურულ განსხვავებებს, თუმცა ეთნოფ-

სიქოლოგები ქცევის ამა თუ იმ რეგულატორის პრიორიტეტს სხვადასხვანაირად ხსნიან.

ერთი პოზიციის მომხრეები ვარაუდობენ, რომ სირცხვილისა და დანაშაულის ფენომენოლოგია და სტრუქტურა ყველა კულტურაში იდენტურია. მხოლოდ მათი ფარდობითი „ამოზნეჯა“ ამონევა, ვარირებს, განსხვავდება კულტურის სხვა თავისებურებებთან დამოკიდებულობით.. კერძოდ, ეს გაგება გამოიყენება ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირებისა და გამოვლენისთვის. მეცნიერ ტრიანდისის აზრით, კოლექტიური კულტურის წარმომადგენელი, რომელიც შეიგრძნობს ურთიერთდამოკიდებულობას გარშემომყოფებთან, ჩამოშორდება, უარყოფს რა საერთო მიღებულ ნორმებს, უპირველეს ყოვლისა, განიცდის სირცხვილის გრძნობას, „თავისიანების“ წინაშე. ხოლო ინდივიდუალისტურ კულტურაში ნორმების დაუცველობის შემთხვევაში, ადამიანი ხშირად გრძნობს პასუხისმგებლობას არა ჯგუფის, არამედ საკუთარი თავის ან ღმერთის წინაშე (ტრიანდისი, 1994).

სოციალ – ისტორიული კონტექსტიც მოქმედებს, სოციალური კონტროლის მექანიზმების „ამოზნეჯაზე“ და არა მხოლოდ დანაშაული და სირცხვილი, არამედ შიშიც. მაგალითად, ი. მ. ლოტმანი აღნიშნავს, რომ მასობრივი ტერორის ატმოსფეროში, შიშის ჰიპერტროფია იწვევს სირცხვილის გრძნობის ატროფიას, აყალიბებს ბევრ უსირცხვილო ადამიანს, რომელსაც შეუძლია დასმენა, დაბეზლების დანერა უახლოესი ნათესავებისა და მეგობრების წინააღმდეგ (იხ. Lotman, 1970).

ალტერნატიული თვალსაზრისის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ კულტურები არ განსხვავდება მხოლოდ ინდივიდებში დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობის გაჩენის სიხშირით. სოციალური ურთიერთობების სტრუქტურა, კულტურულ ფასეულობებს შუამავლობს ამ და სხვა ემოციების გამოვლინებაში, ამიტომაც არსებობს ხარისხობრივი განსხვავებები, რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ და რამდენად მაღალია მათი შეფასება. მაგალითად, იაპონიაში სირცხვილი განი-

ხილება, როგორც ბევრად უფრო პოზიტიური ღირებულება, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში. იაპონიის საზოგადოების ყველა ფენაში მიმოქცევაშია ანდაზა: „ვინც გრძნობს სირცხვილს, ის ასევე გრძნობს მოვალეობას.“

უფრო მეტიც, მკვლევარები გამოყოფენ დანაშაულისა და სირცხვილის კულტურულ – სპეციფიკურ ფორმებს. მაგალითად იაპონელებს შორის გავრცელებულია „საერთო, გაზიარებული სირცხვილი“, რომელიც იშვიათად გვხვდება დასავლურ კულტურაში, რომელსაც ადამიანი განიცდის, თუ ნორმებს არ იცავს იმ ჯგუფის წევრი, რომელთანაც ის თავად არის იდენტიფიცირებული. ერთმა კვლევამ აჩვენა, გამოავლინა რომ იაპონელი ქალები განიცდიდნენ სირცხვილს, როგორც სოციალური ჯგუფის წევრები, როდესაც უყურებენ, საჯარო ადგილებში გაშიშვლებულ სხვა ქალებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთ კულტურაში სირცხვილს გრძნობს მხოლოდ ინდივიდი, „არასათანადო ქმედებების“ ჩადენისას, ხოლო სხვებში ადმიანები – დაკავშირებული მასთან ჯგუფის წევრობის მიხედვით.

უნდა ითქვას, რომ მიდგომა, რომლის მიხედვითაც არის ხარისხობრივი განსხვავებები დანაშაულისა და სირცხვილის გამოვლინებებით სხვადასხვა კულტურაში, უფრო გონიერულია, თუმცა მოითხოვს დამატებით მტკიცებულებებს. მაგრამ ნებისმიერი თვალსაზრისი, როგორც საკმაოდ სწორად აღნიშნავს მეცნიერი ი. ს. კონი, შიში, სირცხვილი და დანაშაული არის სოციალური ქცევის მარეგულირებელთა ერთიანი ნაკრები (ი.ს. კონი, 1979).

## საკონტროლო კითხვები

1. თუ გავითვალისწინებთ, რომ კულტურა არამარტო მრავალსაპექტიანი, არამედ მრავალფუნქციურიცაა, რა არის მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია?

2. კულტურა ამა თუ იმ ზომით, რით განსაზღვრავს ადამიანის ქცევას?
3. რა იგულისხმება პიროვნების სოციოტიპურ ქცევაში?
4. რამდენადაც „სოციოტიპური ქცევა“ განსაზღვრულ ცხოვრების წესზეა მორგებული, როდის გვახსენებს თავს?
5. ტრადიციის კუთხით, რა შეისწავლება ეთნოფსიქოლოგიაში?
6. რამდენი განზომილება გამოყვეს უ. და კ. სტეფანებმა, სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული კულტურის განზომილებებიდან?
7. მეცნიერ ლოტმანის მტკიცებით, გადამწყვეტ ზემოქმედებას ადამიანის ქცევაზე რა ახდენს?
8. მეცნიერ ბრუნერის აზრით, კულტურის ინდივიდუალისტური ორიენტაცია ვისთვისაა დამახასიათებელი?
9. ინდივიდუალიზმის ძირითადი აზრი რა არის?
10. ინდივიდუალისტურ კულტურებში ქცევა უმრავლეს შემთხვევაში რითი რეგულირდება?
11. რა არის კოლექტივისტური კულტურის ძირითადი არსი?
12. ჩამოთვლათ მეცნიერ ტრიანდისის მიერ ინდივიდუალიზმის / კოლექტივიზმის ოთხი ძირითადი მახასიათებელი.
13. ჩამოთვლათ შ. შვარცის მიერ ინდივიდუალიზმი / კოლექტივიზმის განხილვისას აღნიშნული ურთიერთსანინა-აღმდეგო დიქოტომიური, საბაზო ღირებულებები.
14. რაზე დაყრდნობით იქმნება კომმუნიტარიანიზმის სოციოლოგიური კონცეფცია?
15. რა არის შიში?
16. რა არის სირცხვილი?
17. რა არის დანაშაული (თვითბრალდება)?
18. რა არის „საერთო, გაზიარებული სირცხვილი“?

### ახალ კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია

#### 12.1. ადაპტაცია, აკულტურაცია, შეგუება

უძველესი დროიდან ომები და სტიქიური უბედურებები, ბედნიერებისა და ცნობისმოყვარეობის ძიება აიძულებდა ხალხს, გადაადგილებულიყვნენ. მართალია, კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ურთიერთქმედება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა და ხალხთა შორის ატარებდა საკმაოდ შეზღუდულ ხასიათს, რამდენადაც დაცულობა და გარემომცველი გარემოს პირობები ვერ განაპირობებდნენ პირისპირ, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შეხვედრას.

კულტურათაშორისი კონტაქტები ძირითადად მოგზაურების, მეომრების, დიპლო – მატებისა და ვაჭრების პრეროგატივა იყო. ჩვენს პერიოდში სამყარო უფრო პატარა ხდება, ხოლო კონტაქტები ხალხებსა და მათ წარმომადგენლებს შორის უფრო მეტად წარმოიქმნება.

გამოყოფენ სამ ძირითად ფაქტორს, რომლის მიხედვითაც განასხვავებენ ჯგუფებისა და ინდივიდების კულტურათაშორის კონტაქტებში შესვლას:

- ა. სივრცეში გადაადგილების არსებობა ან არარსებობა;
- ბ. ნებაყოფლობითი ან იძულებითი მიგრაცია;
- გ. მიგრაციის დროებითი (ჩარჩოები) შეზღუდვები;<sup>1</sup>

ზოგიერთი ადამიანი ერთვება ეთნოსშორის კონტაქტებში, როცა აღმოჩნდებიან სხვა კულტურულ გარემოში (იმიგრანტები, ლტოლვილები), სხვებთან ახალი კულტურა „მიაქვთ“ მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე(აბორიგენულ ხალხთა

---

<sup>1</sup> Berry J.W., Sam D.L Acculturation and adaptation // Handbook of cross \_ cultural psychology. Vol.3: Social behavior and applications. Boston, 1997. p. 291 \_ 326.

ნარმომადგენლები). ზოგი ინდივიდი ურთიერთზემოქმედების გზაზე ნებაყოფლობით ერთვება (იმიგრანტები), სხვები ამას იძულებით აკეთებენ (ლტოლვილები, აბორიგენულ ხალხთა ნარმომადგენლები). ბოლოს, გადასახლებულები, მაგალითად, ემიგრანტები ტოვებენ მშობლიურ ადგილებს სამუდამოდ. ვიზიტორები (აგანტები, მისიონერები, საქმიანი ადამიანები და სტუდენტები) ხანგრძლივი დროით ცხოვრობენ სხვა კულტურაში. ტურისტები, ასევე სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეები და ა. შ. აღმოჩნდებიან ხანმოკლე დროით შეუჩვეველ გარემოცვაში.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ თავისთავად, უშუალო ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, ხალხის ნარმომადგენელთა შორის, მიგვიყვანს (ინვეს) უფრო ღია, ნდობით აღსავსე ურთიერთობებთან, ურთიერთგაგებასა და სიყვარულთან. როგორც უკვე აღინიშნა, მათ შორის ურთიერთზემოქმედების პროცესის სერიოზული პრობლემები დაკავშირებულია წინასწარ შექმნილ მრწამზე, დისკრიმინაციასა და ეთნოშორისი კონფლიქტებზე. „კულტურათაშორისი განსხვავების შეცნობის ნაკლებობამ შეიძლება შექმნას თუნდაც ნაკლებად დრამატული, მაგრამ არა ნაკლებ სერიოზული პრობლემები მათთვის, ვინც ცდილობს „უცხო“ კულტურის მოთხოვნებთან ადაპტირებას.“<sup>1</sup>

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ადამიანი ერთვება რა ეთნოსშორის კონტაქტებში, ამა თუ იმ ზომით ეჯახება არაერთ სირთულეს მათთან ურთიერთმოქმედებისას, რომელთა კულტურაც განსხვავდება მათი საკუთარი კულტურისაგან და რომელთა ქცევაც, მათ არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ. გამარტივება იქნებოდა, რომ ნეგატიური სტერეოტიპები შეიძლება დაინგრეს, დაიშალოს დირექტიული მითითებებით, ხოლო უჩვეულო ტრადიციების, წესებისა და ცხოვრების წესის გაცნობა არ გამოიწვევს უსიამოვნებებს.

---

<sup>1</sup> Moghaddam F.M, Taylor D.M, Wright S.C. Social psychology in cross \_ cultural perspective. N.Y., 1993.

პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გაზრდამ შეიძლება მიგვიყვანოს წინასწარშექმნილი ცუდი აზრის გაძლიერებასთან. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია განისაზღვროს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობა, რა პირობებში აღმოჩნდება ნაკლებად ტრავმირებადი და წარმოქმნის ნდობას.

მკვლევრები განიხილავენ ბევრ ცვლადს, რომელიც გავლენას ახდენს ხელსაყრელი ურთიერთქმედების ჩამოყალიბებაზე, სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის:

- ტერიტორია, რომელიც შეიძლება იყოს საერთო ან „საკუთარი“ მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის;

- ურთიერთქმედების ხანგრძლივობა (მუდმივი, გრძელვადიანი, მოკლევადიანი);

- მიზანი (ერთობლივი საქმიანობა, თანაცხოვრება, სწავლა, დასვენება);

- საზოგადოებაში ჩართულობის ტიპი (მონაწილეობიდან დაკვირვებამდე);

- კონტაქტების სიხშირე და სიღრმე;

- სტატუსისა და უფლებების შედარებითი თანასწორობა;

- რიცხვითი თანაფარდობა (უმრავლესობა – უმცირესობა);

- მკაფიო განმასხვავებელი ნიშნები (ენა, რელიგია, რასა).

მაგრამ კონტაქტის ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიც კი, მაგალითად, მუდმივი

ურთიერთქმედებისას, წარმატებული ერთობლივი აქტივობების (საქმიანობები), ხშირი და ღრმა კონტაქტებისას, შედარებით თანაბარი სტატუსით, აშკარა განმასხვავებელი ნიშნების არარსებობისას, მიგრანტსა ან ვიზიტორს შეიძლება სირთულე და დაძაბულობა წარმოექმნას, განსაკუთრებით მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას.

ძალიან ხშირად მიგრანტებს სევდა სამშობლოზე – ნოსტალგია ეუფლება. როგორც გერმანელმა ფილოსოფოსმა და

ფსიქიატრმა კ. იასპერსმა (1883–1969 წწ. აღნიშნა, მონატრების გრძნობა ხალხისთვის ნაცნობი იყო უძველესი დროიდან:

„ოდისეუსი იტანჯება მათგან და, მიუხედავად გარეგანი კეთილდღეობისა, ჩვენ ვმოგზაურობთ მთელ მსოფლიოში ითაკას საძიებლად. საბერძნეთში, განსაკუთრებით ათენში, გადასახლება უდიდეს სასჯელად ითვლებოდა. ოვიდიუსმა მოგვიანებით ბევრი სიტყვა იპოვა რომისადმი მისი ნალველის საჩივრისთვის... განდევნილი ებრაელები ტიროდნენ ბაბილონის წყალთან, იხსენებდნენ სიონს.“<sup>1</sup>

სამშობლოსთან განშორების ტკივილს თანამედროვე მიგრანტებიც განიცდიან. სოციალური გამოკითხვების მიხედვით „მეოთხე ტალღის“ ძალიან ბევრი ემიგრანტი ე. ი. მათ, ვინც წავიდა ყოფილი სსრკ-დან ბოლო წლებში ნოსტალგია სტანჯავთ: კანადაში – 69%, აშშ-ში – 72%, ისრაელში – 87.

ამიტომ, ინტერკულტურული ადაპტაციის შესწავლას, ფართო გაგებით, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც რთულ პროცესს, რომლითაც ადამიანი აღწევს შესაბამისობას (თავსებადობას) ახალ კულტურულ გარემოსთან, იღებს მის ტრადიციებს, როგორც საკუთარს და მოქმედებს მათთან შესაბამისად. ჩვეულებრივ გამოყოფენ ადაპტაციის შინაგან მხარეს, რომელიც გამოიხატება კმაყოფილების გრძნობით და ცხოვრების სისრულით, და მის გარეგან მხარეს (სოციალურ-კულტურულ ადაპტაციას), რომელიც გამოვლინდება, ინდივიდის, ახალი ჯგუფის სოციალური და კულტურული ცხოვრების მონაწილეობაში, მის წევრებთან სრულყოფილებიანი პიროვნებათაშორის ურთიერთობაში. სოციალურ-კულტურული და ფსიქოლოგიური ადაპტაცია ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან: „მაშინ, როდესაც სოციალურ არაადეკვატურობას მივყავართ იზოლაციასთან და ინვესს ფსიქოლოგიურ დარღვევებს, ადგილი აქვს უკუკავშირსაც, რამდენადაც ფსი-

---

<sup>1</sup> К. Ясперси, Собрание По психологии: 2 тома. М., 1996, 11.



ქოლოგიური შეუძლოდ ყოფნა აისახება ქცევაში, მათ შორის სხვადასხვა სოციალურ ჩვევებში“ (უორდ, 2003, გვ. 692).<sup>1</sup>

ინტერკულტურული ადაპტაციის პრობლემებისადმი ინტერესი, მსოფლიო მეცნიერებაში გაჩნდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში სერიოზულ კვლევებს ატარებდნენ მხოლოდ ეთნოლოგები აკულტურაციის შესწავლისას, რომელიც 1936წელს რ. რედფილდმა, რ. ლინტონმა და მ. ჰერსკოვიცმა განსაზღვრეს, როგორც „ჯგუფების პირდაპირი, გრძელვადიანი კონტაქტის შედეგი სხვადასხვა კულტურასთან, გამოსხატული ერთი ან ორივე ჯგუფის პატერნთა მიერ კულტურული ნიმუშების შეცვლაში.“<sup>2</sup>

დასაწყისში აკულტურაცია განიხილებოდა ჯგუფური დონის ფენომენად და მხოლოდ მოგვიანებით დაინერგა ფსიქოლოგიური აკულტურაციის კონცეფცია. თუ აკულტურაცია ჯგუფში კულტურის ცვლილების პროცესია, მაშინ ფსიქოლოგიური აკულტურაცია არის ინდივიდის ფსიქოლოგიის ცვლილების პროცესი, მაგრამ ასევე ამ შემთხვევაში, ჩვენ ვგულისხმობთ ცვლილებებს ღირებულების ორიენტაციაში, როლურ ქცევაში, იმ პირთა სოციალური დამოკიდებულებებით, რომელთა ჯგუფიც განიცდის ზოგად აკულტურაციას. ამგვარად, აკულტურაცია შეიძლება განხილული იქნას, როგორც რალაც მდგომარეობა.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, ფსიქოლოგია დაინტერესდა ინდივიდუალური გადასახლებულებისა და ვიზიტორთა, სტუმრების ინტერკულტურული ადაპტაციით, რასაც სტიმული მისცა ომის შემდგომმა სტუდენტთა და სპეციალისტების გაცვლის ბუმმა და მასობრივი მიგრაციის პროცესებმა. საუბარი ეხება შეგუება – შეწყობის მრავალრიცხოვან გამოკვლევებს ახალ კულტურულ გარემოსთან პათოლოგიური ფენომენის აქცენტით (ნევროზული და ფსიქოსომატული აშლი-

---

<sup>1</sup> Уорд К. Азбука аккультурации // Культура и психология. 2003, с. 656 – 709.

<sup>2</sup> Berry J.W. Immigration, acculturation and adaption // Applied Psychology: An International Review. 1997. Vol 46, p. 5 – 34.

ლობები, გადახრებებისა და დანაშაულებრივი ქმედებები და ა. შ.). პირველად და დიდი ხნის წინ, ადამიანის უცხო კულტურასთან, არადაპტურობის ხშირ შემთხვევებზე ყურადღება ფსიქიატრებმა მიაპყრეს. ავადმყიდობა სევდა, დარდი სამშობლოზე, რომელსაც შვეიცარელმა ექიმმა ი. ხოფერმა ნოსტალგია უწოდა, მისი კვლევა მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიწყო.

წარმატებული შეგუებლობა ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც უახლოეს გარემოსთან ჰარმონიული შეგრძნება, ხოლო ძირითადი ყურადღება ეთმობა დაკმაყოფილების გრძნობის ანალიზს, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და „უცხოთა“ სულიერ ჯანმრთელობას. ბოლო პერიოდში დაიწყო კულტურათაშორისი შეგუებლობის, როგორც მრავალასპექტიანი პროცესის განხილვა, რომელიც მოიცავს მიგრანტების არამარტო პოზიტიურ ემოციურ მდგომარეობის შენარჩუნებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, არამედ მათ მიერ სოციალური უნარებისა და ჩვევების შექმნას, რომელიც აუცილებელია ყოველდღიური ცხოვრების ამოცანების წარმატებულად შესრულებისათვის. ამგვარად, მრავალ გამოკვლევაში აღმოჩენილია კორელაცია ამ ორი მხრის შეგუებლობაში. კულტურათაშორისი შეგუებლობის ანალიზი პრაქტიკულად არ ეხება ჯგუფის დონეზე, შესაძლებელი აკულტურაციულ ცვლილებებს. ეს აისახება კულტურული შოკის არსში და მასთან მსგავს გარდამავალ შოკში, კულტურულ გადაღლილობასთან.

კულტურული შოკის გაგება შემოტანილი იყო ამერიკელი ანტროპოლოგის კ. ობერგის მიერ, რომელიც გამოდიოდა იდეიდან, რომ ახალ კულტურაში შესვლას თანსდევს უსიამოვნების გრძნობა – სტატუსისა და მეგობრების დაკარგვის, გარიყულობის, გაოცებისა და დისკომფორტის გამო, როცა გააცნობიერებს კულტურათა შორის განსხვავებას. აგრეთვე არეკვდარეგას ფასეულობათა ორიენტაციაში, სოციალურ და პიროვნულ იდენტობაში.

კულტურული შოკის სიმპტომები მეტად მრავალფეროვანია: მუდმივი შფოთვა მღელვარება საკვების ხარისხზე, სასმელ წყალზე, ჭურჭლის სისუფთავეზე, საძინებლის თეთრეულზე, შიში სხვა ადამიანებთან ფიზიკურ კონტაქტამდე, სა-

ერთო მღელვარება, გაღიზიანებლობა, საკუთარი თავის რწმენის სიმცირე, უძილობა, დაღლილობის გრძნობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, ფსიქოსომატული მოშლილობა, დეპრესია, თვითმკვლელობის მცდელობა. სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის შეგრძნება, საკუთარი არაკომპენტეტიურობა და მოლოდინის შეუსრულებლობა შეიძლება გამოიხატოს მრისხანებით შეტევაში, აგრესიულობაში და მტრობაში იმქვეყნის წარმომადგენელთა მიმართ, სადაც იმყოფებიან, რომელიც სრულიადაც არ განაპირობებს ჰარმონიულ პიროვნებათაშორის ურთიერთობებს.

უფრო ხშირად კულტურულ შოკს აქვს ნეგატიური შედეგები, მაგრამ საჭიროა მის პოზიტიურ მხარესაც მივაქციოთ ყურადღება, რომელიც იმ ინდივიდებს, რომელთაც პირველსაწყისი დისკომფორტი მიიღეს უბიძგებს ახალი ღირებულებებისა და ქცევის მოდელების მიღებისაკენ, საბოლოოდ კი მნიშვნელოვანია პიროვნული ზრდისათვის. აქედან გამომდინარე, ჯ. ბერიმ შემოგვთავაზა ტერმინის „კულტურული შოკის“ მაგივრად გამოყენებული იქნას გაგება „აკულტურაციის სტრესი“, სიტყვა „შოკი“ ასოცირდება მხოლოდ უარყოფით გამოცდილებასთან, როცა კულტურათაშორისი კონტაქტის შედეგად შეიძლება დადებითი გამოცდილებაც – პრობლემების შეფასება და მათი გადალახვა.

როგორც წესი, კულტურული შოკის პრობლემა განიხილება ე. წ. ადაპტაციის პროცესის მრუდით. ამ მრუდთან მიმართებით მეცნიერი ტრიანდისი გამოყოფს ვიზიტორთა ადაპტაციის პროცესის ხუთ ეტაპს (ტრიანდისი, 1994).

პირველი ეტაპი, იწოდება „თაფლობის თვედ“, ხასიათდება ერთუზიზმით, ამალღებული განწყობითა და დიდი იმედებით. სინამდვილეში ნებაყოფლობითი მიგრანტი მიისწრაფის იცხოვროს, ისწავლოს ან იმუშაოს საზღვარგარეთ. მათ შორის უმრავლესობას ახალ ადგილზე ელოდება: მიღებაზე პასუხისმგებელ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რათა მათ თავი იგრძნონ როგორც „სახლში“, და თითქმის ზოგიერთი უპირატესობებითაც უზრუნველყოფენ, მაგრამ ეს ეტაპი სწრაფად გადის, ხოლო ადაპტაციის მეორე ეტაპზე შეუჩვევე-

ლი გარემო იწყებს თავის ნეგატიურ ზემოქმედებას. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებს ხვდებათ ევროპელთა და ამერიკელთა ცხოვრების პირობებისაგან განსხვავებული, არაკომფორტული საცხოვრებელი გარემო. გადატვირთული ტრანსპორტით და სხვა მრავალი პრობლემა. მსგავსი გარე მდგომარეობის გარდა, ადამიანისათვის ნებისმიერ ახალ კულტურაში, მასზე ზემოქმედებას ახდენს ფსიქოლოგიური ფაქტორებიც. ენისა და კულტურული წეს – ჩვეულებების არასაკმარისი ცოდნა, მწვავედება ადგილობრივი მაცხოვრებლების ურთიერთგაუგებრობის გრძნობითა და მათი მიუღებლობით. ყველაფერი არ იწვევს იმედგაცრუებას, დაბნეულობას, ფრუსტრაციასა და დეპრესიას. ამ პერიოდში „უცხო“ ცდილობს, რეალობას გაექცეს, უპირატესად ურთიერთობს თანამემამულეებთან და შთაბეჭდილებებს უზიარებენ მათ „საშინელ აბორიგენებზე“.

კულტურული შოკის მესამე ეტაპზე, სიმპტომებმა შეიძლება მიაღწიოს კრიტიკულ წერტილს, რაც გამოვლინდება სერიოზულ ავადმყოფებებში და სრული დაუცველობის გრძნობაში. ნარუმატებელი ვიზიტორები – რომლებიც ვერ შეძლებენ ნარმატებულად ადაპტაციას, „გამოდიან იქიდან“ – ბრუნდებიან სახლში უფრო ადრე.

ბევრად უფრო ხშირად მიგრანტები იღებენ სოციალურ მხარდაჭერას გარემოცვის მხრიდან, გადალახავენ ხოლმე კულტურულ განსხვავებებს – სწავლობენ ენას, ეცნობიან ადგილობრივ კულტურას. მეოთხე ეტაპზე, დეპრესიაც ნელნელა იცვლება ოპტიმიზმით, კმაყოფილებისა და დარწმუნებულობის შეგრძნებით, ადამიანი თავს გრძნობს უფრო შეგუებულად და ინტეგრირებულად საზოგადოების ცხოვრებაში.

მეხუთე ეტაპი, მეცნიერი ბერრის ტერმინოლოგიით, ხასიათდება ადაპტაციის სისრულით, ან ხანგრძლივობით, რომელიც გულისხმობს ინდივიდის შედარებით სტაბილურ ცვლილებებს, გარემოს მოთხოვნების საპასუხოდ. ადაპტაციის პროცესის იდეალში, მივდივართ ინდივიდის შესაბამის გარემოსთან და შეგვიძლია ვისაუბროთ მის დასრულებაზე. ნარმატებელი ადაპტაციის შემთხვევაში მისი დონე შეგვიძლია

შევადართო სამშობლოში ინდივიდის ადაპტაციის დონეს. მაგრამ, არ უნდა განვიხილოთ ადაპტაცია, როგორც ახალ კულტურულ გარემოსთან მისი უბრალო შეგუება.

ამგვარად, ადაპტაციის ხუთი ეტაპი აყალიბებს „U“ მსგავს მრუდს: კარგად, შედარებით ცუდად, ცუდად, უკეთესად, კარგად, მაგრამ განცდილი, გამოვლილი, თუნდაც წარმატებულად ადაპტირებული ვიზიტორისთვის, ყოველთვის არ მთავრდება სამშობლოში დაბრუნებით, რამდენადაც მათ უხდებოდათ რეადაპტაციის პერიოდის, დაბრუნების შოკის გავლა. პირველად ისინი ამალღებული განწყობით არიან, გახარებულნი ნათესავებისა და მეგობრების ნახვით, მშობლიურ ენეზე ურთიერთობის შესაძლებლობით და ა. შ. ხოლო შემდეგ გაკვირვებით აღნიშნავენ, რომ მშობლიური კულტურის თავისებურებები მათ მიერ აღიქმება, როგორც უჩვეულო ან უცნაურიც კი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, რეადაპტაციის ეტაპები იმეორებენ „U“ მსგავს მრუდს, ამიტომ ადაპტაციის მთლიანი ციკლისთვის შემოთავაზებულია W მსგავსი მრუდი.

ბოლო პერიოდში, ჩატარებული მრავალრიცხოვანი ემპირიული გამოკვლევები ეჭვის ქვეშ აყენებენ „U“ და „W“ სახოვანი მრუდის უნივერსალობას. სინამდვილეში, ადამიანებმა, უცხოკულტურულ გარემოში მოხვედრისას არაა აუცილებელი ადაპტაციისა და რეადაპტაციის ყველა ეტაპი გაიაროს. უპირველესად, მართალია, კულტურული შოკი განიხილება, როგორც ახალ კულტურაში ჩაძირვის ბუნებრივი შედეგი, მას ყველა ვიზიტორი არ განიცდის, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი – ტურისტები – ჩვეულებრივ სახლში ბრუნდება პირველი ეტაპის დამთავრებამდე. მეორე მხრივ, უცხო გარემოში ყოფნისას არ არის აუცილებელი დაიწყოს „თაფლობის თვით“, განსაკუთრებულად თუ საკუთარი და უცხო კულტურა ძალიან გასხვავებულია ერთმანეთისაგან. მესამე მხრივ, ბევრი ვიზიტორი არ ასრულებს ადაპტაციის პროცესს, რამდენადაც მიემგზავრებიან, როგორც კი შეიგრძნობენ კულტურული შოკის სიმპტომებს. მეოთხე მხრივ, სახლში დაბრუნება ყოველთვის არ აღმოჩნდება ტრამვირებადი.

მნიშვნელოვნად განსხვავდება ვიზიტორებისა და გადასახლებულთა ადაპტაციის პროცესები. უკანასკნელთათვის ხომ აუცილებელია მთლიანად ჩაიძირონ კულტურაში – მიაღწიონ კულტურული კომპეტენტურობის უმაღლეს დონეს, ჩაერთონ საზოგადოების ცხოვრებაში და სოციალური იდენტურობის ტრანსფორმირებაშიც კი.

ფსიქოლოგიაში დაგროვილია მტკიცებულებები, კულტურათაშორისი ადაპტაციის პროცესის მიმდინარეობის მნიშვნელოვან განსხვავებებზე, მისი ხანგრძლიობის (რამდენიმე თვიდან 4-5 წლამდე), ფინალური ადაპტირების დონეზე – ვიზიტორებისა და გადასახლებულთა მახასიათებლებზე დამოკიდებულობით, განსაკუთრებულად მათთვის საკუთარი და უცხო კულტურისა და სიტუაციურ ფაქტორებზე.

## **12.2. ახალ კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის პროცესზე ზეგავლენის ძირითადი ფაქტორები**

კულტურული შოკის სიმძიმე, მისი გამოხატულობის ხარისხი და ინტერკულტურული ადაპტაციის ხანგრძლივობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, რომლებიც შეიძლება დაიყოს ინდივიდუალურ და ჯგუფურად. პირველი ტიპის ფაქტორებია:

1. ინდივიდუალური მახასიათებლები – დემოგრაფიული და პიროვნული.

ასაკი ძლიერ გავლენას ახდენს ადაპტაციის პროცესზე. სწრაფად და წარმატებით ადაპტირებენ პატარა ბავშვები, მაგრამ უკვე სკოლის მოსწავლეებისთვის ეს პროცესი ხშირად მტკივნეულია, რადგან კლასში, ისინი ყველაფერში უნდა ჰგავდნენ თანაკლასელებს – როგორც გარეგნულად, ისე მანერებით და მეტყველებით და აზრებიც კი. ძალიან რთული გამოცდაა კულტურული გარემოს შეცვლა ხანდაზმული ადამიანებისთვისაც.

ასე რომ, ფსიქოთერაპევტებისა და ექიმების აზრით, ბევრი ხანდაზმული ემიგრანტი სრულიად უუნაროა უცხო კულტურულ გარემოსთან ადაპტაციისათვის და მათ „არ აქვთ სა-

ჭიროება უცხო კულტურისა და ენის ათვისების აუცილებლობისა, თუ ამის შინაგანი მოთხოვნილება არა აქვთ“ (Freinkman – Hrustaleva, Novikov, 1995, გვ. 137).

ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ქალებს უფრო მეტი პრობლემები აქვთ ადაპტაციის პროცესში, ვიდრე მამაკაცებს, თუმცა ასეთი კვლევების ობიექტები ყველაზე ხშირად ტრადიციული კულტურების ქალები იყვნენ, რომელთა ადაპტაციაზე გავლენას ახდენდა დაბალი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დონე, ვიდრე მამრობითი სქესის თანამემამულეებს. მაგალითად, ამერიკელებში გენდერული განსხვავებები ჩვეულებრივ არ გვხვდება. მონაცემებიც კი არსებობს, რომ ამერიკელი ქალები უფრო სწრაფად ეგუებიან სხვა კულტურის ცხოვრების წესს, ვიდრე მამაკაცები. დიდი ალბათობით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი უფრო მეტად არიან ორიენტირებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე და უფრო მეტად ინტერესდებიან მათი კულტურული მახასიათებლებით.

- ადაპტაციის წარმატებაზე ასევე მოქმედებს განათლება: რაც უფრო მაღალია ის, მით ნაკლებად ვლინდება კულტურული შოკის სიმპტომები. ზოგადად, დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადაპტაციის პროცესი უფრო წარმატებულია ახალგაზრდა, მაღალი ინტელექტუალური და უაღრესად განათლებული ადამიანებისთვის.

დიდი ხანია ვარაუდობენ, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ, ან სწავლისთვის, შეირჩნენ პიროვნული მახასიათებლების მქონე ადამიანები, რომელიც ხელს უწყობს ინტერკულტურულ ადაპტაციას. გ. ტრიანდისი თვლის, რომ ამჟამად შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად, რომ ადაპტაციის წარმატებაზე ზემოქმედებს:

- შემეცნებითი, კოგნიტური სირთულეები – ზოგადად, კოგნიტურად რთული, კომპლექსური ინდივიდები ადგენენ უფრო მოკლე სოციალურ დისტანციას საკუთარ თავსა და სხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, თუნდაც მათგან ძლიერად განსხვავებულებთან;

- კატეგორიზაციაში უფრო დიდი კატეგორიების გამოყენების ტენდენცია – ინდივიდები, რომლებიც ფლობენ ამ თვისებს, უკეთესად ახერხებენ ახალ გარემოსთან ადაპტირებას, ვიდრე ისინი, ვინც დანაწევრებულად ფრაქციულად ახდენენ გარემოს კატეგორიზაციას. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ პირები, რომლებიც აფართოებენ, ამსხვილებენ კატეგორიებს, აერთიანებენ მათ მიერ ახალ კულტურაში მიღებულ გამოცდილებას და სამშობლოში მიღებული გამოცდილებას;
- დაბალი ქულები ავტორიტარიზმის ტესტზე, რადგან აღმოჩნდა, რომ ავტორიტარული, ხისტი, ადამიანები, რომლებიც არ არიან ტოლერანტული გაურკვევლობის მიმართ, ნაკლებად ეფექტურად ითვისებენ ახალ სოციალურ ნორმებს, ღირებულებებსა და ენას (იხ. Triandis, 1994).

საზღვარგარეთისათვის უნივერსალური კომუნიკატორული ადამიანის გამოყოფის მცდელობები, რომლებიც უმცირესი ხარისხით ეჯახებიან სირთულეებს, უცხო კულტურულ გარემოში შესვლისას, ბევრი სხვა ავტორების მიერაც იყო გათვალისწინებული. თუ შევეცდებით მიღებული მონაცემების განზოგადებას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხო კულტურაში ცხოვრებისათვის ყველაზე საუკეთესოა, მიუვდგეთ პროფესიონალურ კომპენტენტურ მაღალი თვითშეფასების მქონე, გაურკვევლობის მომთმენი, გულღია ექსტრავერტული ტიპის ინდივიდი, შინაგანი კონტროლის ლოკუსით; ადამიანი, რომლის ფასეულობათა სისტემაში დიდ ადგილს იკავებს ფასაეულობაბი, საერთო – საკაცობრიო, ღიაა სხვადასხვა შეხედულებებისათვის, დაინტერესებულია გარემოცვით, ხოლო კონფლიქტების დარეგულირებისას ირჩევს თანამშრომლობის სტრატეგიას.

მაგრამ შეუძლებელია გამოვყოთ პიროვნულ მახასიათებელთა უნივერსალური ნაკრები, რომელიც ხელს შეუწყობს ნებისმიერ ქვეყანასა და კულტურაში წარმატებულ ადაპტაციას. ასე რომ, კულტურული მორგების იდეის თანახმად ადამიანის პიროვნული მახასიათებლები ახალ კულტურულთან ჰარ-



მონიაში უნდა იყოს. მაგალითად, ექსტრავერსია სულაც არ აადვილებს ადაპტაციას. ექსტროვერტები სინგაპურიდან და მალაიზიიდან მართლაც უფრო წარმატებით შეეგუვნენ ახალ ზელანდიას, ვიდრე ინტროვერტები ამ ქვეყნებიდან. მაგრამ „დასავლური“ ახალზელანდიური კულტურა ახალისებს ექსტრავერსიასთან შეთანხმებულ ქცევას, მაგრამ სინგაპურში უფრო ღრმა კულტურული შოკი განიცადეს სწორედ ექსტრავერტმა ინგლისელებმა, რადგან უცხო კულტურა, რომელშიც ინდივიდის ორიენტაცია საკუთარ სუბიექტურ სამყაროზე და არა გარე ობიექტების სამყაროზეა მიმართული, მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც უკიდურესად უცხო. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ შესაძლებელია სიტუაციებში უნივერსალური კომმუნიკატორების შერჩევა სტუდენტებისა ან ტრანსნაციონალური კომპანიების თანამშრომლებს შორის, ბევრ სხვა სიტუაციაში, მაგალითად, ადამიანების ომიდან და რეპრესიებიდან გაქცევის შემთხვევაში, ის უაზროა.

## **2. მოლოდინის მოტივაცია და პიროვნების, ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილება.**

თანაბრად მნიშვნელოვანია მიგრანტების სურვილი ცვლილებებისკენ. სტუმრები უმეტეს შემთხვევაში, მიდრეკილი არიან ცვლილებების მიმართ, რადგან აქვთ ადაპტაციის მოტივაცია. ამრიგად, უცხოელი სტუდენტების საზღვარგარეთ დარჩენის მოტივები საკმაოდ მკაფიოდ არის ორიენტირებული. მათი მიზანია მიიღონ დიპლომი, რომელიც მათ სამშობლოში კარიერას და პრესტიჟს უზრუნველყოფს. ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტები მზად არიან გადალახონ სხვადასხვა სირთულე და მოერგონ ბინადრობის გარემოს. ცვლილებების კიდევ უფრო დიდი სურვილია დამახასიათებელი ნებაყოფლობითი მიგრანტებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან უცხოურ ჯგუფში ჩართვას. ამავე დრო არასაკმარისი მოტივაციის გამო, ლტოლვილთა და იძულებითი მიგრანტების ადაპტაციის პროცესი ნაკლებად წარმატებულია.

ადამიანების ურთიერთკავშირის მოლოდინების შესწავლისას, რომლებიც უცხო კულტურულ გარემოში აღმოჩნდებიან, მათი ადაპტაციის წარმატებულობის წინააღმდეგობრივი შე-

დეგებია მიღებული. ზოგიერთი მკვლევარი მხარს უჭერს ადაპტაციის პირადაპირი დამოკიდებულობის იდეას მოლოდინზე: ის ვინც უარეს ელოდება, უფრო მეტ წინააღმდეგობებს ეჯახება. სხვები დარწმუნებულნი არიან, რომ მოლოდინი, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ ცოდნას ახალ პირობებთან შეგუების კულტურულ შოკზე და მოსალოდნელ პრობლემებზე სასიკეთოდ ზემოქმედებენ ადაპტაციაზე, მაგრამ შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი მომენტი იყოს მოლოდინის რეალიზმი, მისი შესაბამისობა უცხოკულტურულ გარემოში ჩასვლის რეალურ გამოცდილებასთან. შეხედულება ამერიკაზე, როგორც უსაზღვრო შესაძლებლობების ქვეყანაზე წარმოადგენს ნეგატიურად ზემოქმედ ფაქტორს იმიგრანტებისა და ლტოლვილების წარმატებულ ადაპტაციაზე. ამგვარად, რაც უფრო დიდია დაცვილება მოლოდინებსა და გამოცდილებას შორის, მით უფრო დიდი რაოდენობის პრობლემებს ეჯახებიან მიგრანტები.

მიგრანტების „შეგუებაზე“ დადებითად აისახება კონტაქტამდელი გამოცდილების არსებობა – კონკრეტული ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ცხოვრების პირობების გაცნობა. წარმატებული ადაპტაციის პირველი ნაბიჯი არის ენის ცოდნა, რომელიც არა მხოლოდ ამცირებს უმწეობის განცდას და დამოკიდებულებას, არამედ ეხმარება ადგილობრივი მაცხოვრებლების პატივისცემის დამსახურებაში. ადაპტაციაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ასევე წინა ყოფნა ნებისმიერ სხვა უცხო კულტურულ გარემოში, გაცნობა „ეგზოტიკასთან“ – ეტიკეტი, საკვები, სუნი და ასე შემდეგ.

სპეციფიკური კომმუნიკატიური ცოდნის ფლობა, კულტურათაშორისი ურთიერთქმედების ქცევითი სტრატეგიებისა და ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვის უნარები, საშუალებები, რომლებიც ადამიანმა შეიძლება ისწავლოს, ასევე განაპირობებენ წარმატებულ ადაპტაციას.

ადაპტაციის პროცესზე დადებითად მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, ადგილობრივ მოსახლეობასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ამრიგად, სტუმრები, რომლებსაც მეგობრები ჰყავთ ადგილობრივ მო-

სახლეობაში, ახალ კულტურაში ქცევის დაუნერვლი წესების შესწავლის შესაძლებლობა და მეტი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. მსგავს ურთიერთობებს ასევე შეუძლია „კარი გაუხსნას“ ისეთ სასურველ მიზნების ნიღვეას, როგორცაა სამსახური და პრესტიჟული სოციალური ჯგუფების წევრობა.

ასევე არაფორმალურმა, პიროვნებათაშორისმა (ინტერპერსონალურმა) ურთიერთობებმა თანამემამულეებთან, შეიძლება ხელი შეუწყოს წარმატებულ „შეგუებას“, რამდენადაც მეგობრები საკუთარი ჯგუფიდან ასრულებენ სოციალური მხარდაჭერის ფუნქციას. სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი წყაროა ოჯახი. ამასთანავე ურთიერთქმედება მათთან, ვინც ასევე განიცდის კულტურულ შოკს, შეიძლება გამოიწვიოს გადადების ეფექტი, როცა ერთი ადამიანი განიცდის სტრესს, „აავადებს“ ამით სხვებსაც.

გარდა ამისა, თანამემამულეთა მხრიდან სოციალური მხარდაჭერა ხშირად ხელს უშლის ადგილობრივ მაცხოვრებლებთან მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას, აქედან გამომდინარე, ანელებს ადაპტაციის პროცესს. მაგალითად, უფრო წარმატებით ადაპტირდნენ, რუსი, იძულებით გადასახლებულნი, ახლო საზღვარგარეთულ ქვეყნებიდან, რომლებმაც აირჩიეს განსახლების დისპერსიული ტიპი და აქტიურად ურთიერთქმედებდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, იმათთან შედარებით, ვინც კომპაქტურად დასახლდნენ, სხვა გადასახლებულლებთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეფექტიანი მხარდაჭერა შეიძლება განახორციელონ როგორც თანამემამულეებმა, ისე ადგილობრივმა მოსახლეო – ბამ, ამასთანავე საჭიროა დიდი ყურადღება დაეთმოს ადეკვატურობასა და არა მხარდაჭერის წყაროს.

ადაპტაციაზე მოქმედ ჯგუფურ ფაქტორებს შორის, პირველ რიგში, აუცილებელია გამოვყოთ ურთიერთდაკავშირებული კულტურების მახასიათებლები:

### **1. კულტურათა მსგავსების ან განსხვავების ხარისხი.**

მრავალრიცხოვანი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ კულტურული შოკის გამოხატვის ხარისხი დადებითად კორე-

ლირებს კულტურულ დისტანციასთან. სხვა სიტყვებით, ახალი კულტურა რამდენადაც უფრო მეტადაა მშობლიურის მსგავსი, მით ნაკლებ ტრამვირებადია ადაპტაციის პროცესი.

კულტურათა მსგავსების ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება ი. ბაბიკერის, თანაავტორებთან ერთად შემოთავაზებული კულტურული დისტანციის ინდექსი, რომელიც მოიცავს ენას, რელიგიას, ოჯახის სტრუქტურას, განათლების დონეს. მატერიალურ კომფორტს, კლიმატს, საკვებს, სამოსელს (ტანსაცმელს).<sup>1</sup>

აკულტურაციის გაფართოებული ინდექსი შემუშავებული იქნა კ. უორდისა და ე. კენედის მიერ. მასში ჩართულია 21 კოგნიტური და ქცევითი თემა. ჩამონათვალთან ერთად ცხოვრების ტემპი, საერთო ცოდნა, თავისუფალი დროის გატარება, ღირებულებები, მეგობრული ურთიერთობები, ურთიერთობის სტილი, თანამოქალაქეებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების აღქმა, იდეოლოგია და სხვ.<sup>2</sup>

მაგრამ ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ კულტურათაშორისი მსგავსების ხარისხის აღქმა ყოველთვის ადეკვატური არაა. გარდა ობიექტური კულტურული დისტანციისა, მასზე ზემოქმედებს ბევრი სხვა ფაქტორიც:

- კონფლიქტების არსებობა ან არარსებობა – ომების, გენოციდებისა და სხვა – ორ ხალხს შორის ურთიერთობების ისტორიაში;
- ჩასვლის ადგილსამყოფელი ქვეყნის, კულტურის თავისებურებებთან გაცნობის ხარისხი და უცხო ენაში კომპენტენტურობა. ამგვარად, ადმიანი, რომელთანაც ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ურთიერთობა, აღიქმება როგორც უფრო ჩვენი მსგავსი;

---

<sup>1</sup> Лебедева Н.М. Социально \_ психологические закономерности аккультурации этнических групп // Этническая психология и общество / Под ред. Н.М.Лебедевой. М., Старый сад, 1997 в. с. 271–289.

<sup>2</sup> Ward C. Kennedy A. Acculturation strategies, psychological adjustment and socio \_ cultural competence during cross \_ cultural transitions // International J. of Intercultural relations. 1994. Vol 18. p. 329 \_ 343.

- სტატუსის თანასწორობა ან უთანასწორობა და კულტურათაშორისი კონტაქტების შემთხვევაში საერთო მიზნების არსებობა ან უქონლობა;

ყოველი ადამიანი, რომელიც უცხოკულტურულ გარემოში მოხვდება ამყარებს საკუთარ სუბიექტურ, კულტურულ დისტანციას. ორი ქართველი გეოლოგი, რომელიც მუშაობს ერთ-ერთ გეოლოგიურ პარტიაში (ჯგუფში) და ცხოვრობს იემენის ერთ-ერთ სოფელში, შეუძლიათ სხვადასხვა ხარისხით იდარდონ (იტანჯონ), კულტურული შოკიდან, რომელზეც მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს, მათ შორის ისიც, რომ ერთი ცდილობს, რომ იპოვოს მსგავსება ქართულ და არაბულ კულტურებს შორის, ხოლო მეორე ყურადღებას უთმობს მხოლოდ მათ განსხვავებებს.

ბუნებრივია, რომ ადაპტაციის პროცესი იქნება ნაკლებად წარმატებული, თუ კულტურები აღიქმება ნაკლებად მსგავსად, ვიდრე სინამდვილეშია. ამასთანავე ადაპტაციის პროცესში სირთულე შეიძლება წარმოიქმნას საწინააღმდეგო შემთხვევაშიც: ადამიანი აღმოჩნდება სრულ დაბნეულობაში, თუ ახალი კულტურა მას ჰგონია თავისი კულტურის ძალიან მსგავსი, მაგრამ მისი ქცევა უცნაურად გამოიყურება ადგილობრივი მაცხოვრებლების თვალში. მაგალითად, ამერიკელები, მიუხედავად საერთო ენისა, აღმოჩნდებიან ხოლმე მრავალ „მახეში“ დიდ ბრიტანეთში. ბევრი ჩვენი თანამოქალაქე, რომლებიც ოთხმოციანი წლების ბოლოს მოხვდნენ ამერიკაში, გაოცებულები და გულდანწყვეტილები იყვნენ, როდესაც მათ აღმოაჩინეს, რომ ამერიკელების ცხოვრების წესი და აზროვნება ძალიან განსხვავდება გაბატონებულისგან, ორი „დიდი ხალხის“ მსგავსების შესახებ მასმედიის სტერეოტიპების დახმარების გარეშე.

## **2. კულტურის თავისებურებები, რომელსაც მიეკუთვნებიან ჩამოსახლებულები და სტუმრები.**

ნაკლებ წარმატებულად ადაპტირდებიან იმ კულტურის წარმომადგენლები, სადაც ტრადიციები და ტრადიციების ძალა ძლიერია, ქცევა დიდწილად რიტუალიზებულია – კორეის,

იაპონიის, სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მოქალაქეებში. მაგალითად, იაპონელები საზღვარგარეთ ყოფნისას ზედმეტად წუხან იმაზე, რომ არასწორად იქცევიან. მათ ეჩვენებათ, რომ არ იციან მასპინძელ ქვეყანაში არსებული „ქცევის კოდექსი“. ისინი ცდილობენ მოიძიონ წვრილმანი ზრდილობის წესები, რომლითაც ცხოვრობენ ადამიანები დასავლეთში და თუ ვერ აღმოაჩენენ, განიცდიან გალიზიანებლობას, ან შიშსაც კი.

სხვა სიტყვებით, ეძებენ კულტურის „ქცევის კოდს“, რომელშიც ქცევის წესები რეგლამენტირებულია ბევრად ნაკლებად მკაცრად, ვიდრე იაპონიაში.

ევროპაში მცხოვრები იაპონელების სირთულეებზე მრავალი მონაცემია, მათ შორის სტატისტიკაც მოწმობს უცხოელებს შორის თვითმკვლელობებზე.

ხშირად ცუდად ადაპტირდებიან ე. წ. „დიადი სახელმწიფოების“ წარმომადგენლები, მათი თანდაყოლილი ქედმაღლობისა და რწმენის გამო, რომ მათ არ უნდათ არავითარი სხვა ენის სწავლება, საკუთარი ენის გარდა. ხოლო პატარა ქვეყნების მაცხოვრებლები იძულებული არიან, ისწავლონ უცხო ენები, რაც ამსუბუქებს მათ ურთიერთქმედებას უცხოელებთან. ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით მეტი ენები იციან მისმა მოქალაქეებმა და შედეგად დიდი შესაძლებლობები აქვთ წარმატებული კულტურათაშორისი ადაპტაციისათვის. ლუქსემბურგის მოქალაქეების 42 პროცენტმა და ფრანგების, ინგლისელების, გერმანელების, მხოლოდ ერთმა პროცენტმა მიუთითა, რომ ოთხ ენაზე შეუძლიათ ლაპარაკი.

**3. მასპინძელი ქვეყნის მახასიათებლები,** უპირველეს ყოვლისა, საშუალება, რომლითაც „მასპინძლები“ უზრუნველყოფენ ზეგავლენას ჩამოსულებზე: ცდილობენ თუ არა ისინი მათ ასიმილაციას, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დამახასიათებელი იყო აშშ-ის პოლიტიკისათვის, თუ უფრო ტოლერანტულები არიან მრავალფეროვანი კულტურების მი-

მართ ან იაპონელების მსგავსად მათგან ძნელად შელწევადი კედლით შემოიღობიან.

ვ. ი. ცვეტოვა ნიგნში, „რიოანჯის ბალის მეთხუთმეტე ქვა“ იძლევა ამის ბევრ მაგალითს, იაპონიაში „უცხოებთან“ მიმართებით დამოკიდებულების. მათ შორის არის ფრანგი ჟურნალისტის გულის ძახილი, რომელიც მოგზაურობს ჩვენი პლანეტის გარშემო თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში:

„ბევრი უცნაური ხალხი მინახავს, ბევრი უცნაური ენა მოვისმინე და ბევრი სრულიად გაუგებარი წეს – ჩვეულებები ვნახე, მაგრამ არ იყო ადგილი მსოფლიოში, სადაც ასე უცხო ადამიანად ვიგრძნობდი თავს როგორც იაპონიაში. როცა ტოკიოში ჩავდივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მარსზე ვეშვები“.<sup>1</sup>

ადაპტაციაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სიტუაციური ფაქტორებიც – მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დონე, ე. ი. მიგრანტების უსაფრთხოება და ბევრი სხვ. მიგრანტების მახასიათებლები, ურთიერთმოქმედი კულტურები და სიტუაციები ახდენენ ურთიერთდაკავშირებულ ზემოქმედებას ადაპტაციაზე. მაგალითად, ინდივიდები, რომლებიც მზად არიან ცვლილებებისადმი მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ხშირად იქნებიან ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტში, შედეგად ნაკლები ხარისხით აღმოჩნდებიან კულტურული შოკის დაქვემდებარებაში.

### **12.3 ჯგუფებისა და ინდივიდებისათვის კულტურათაშორისი კონტაქტების შედეგები**

ხანგრძლივი დროის განმავლობაში კულტურულ შოკსა და კულტურათაშორის ადაპტაციების გამოკვლევებს ჰქნდა ჩვეულები, კლინიკური აქცენტი, მხოლოდ ბოლო ათწლეულებში

---

<sup>1</sup> Цветов В.Я. Пятнадцатый камень сада Рёандзи. М., Политиздат, 1991. 63.

მსოფლიო სოციალურ ფსიქოლოგიაში ხშირად გაისმის ხმა, იმის თაობაზე, რომ ამ პრობლემების უფრო ღრმად განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ეთნოშორისი და კულტურათაშორისი ურთიერთობების გათვალისწინებით და უფრო ფართო სოციალური კონტექსტით ე. ი. ფსიქოლოგიის ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ჩარჩოში.

ს. ბოკნერმა გამოყო ჯგუფებისათვის კულტურათაშორისი (ინტერკულტურული) შედეგების ოთხი ყველაზე ზოგადი კატეგორია:

- გენოციდი, ე. ი. მონინალმდევე ჯგუფის განადგურება;
- ასიმილაცია, ე. ი. თანდათანობითი ნებაყოფლობითი ან იძულებითი მიღება ჩვეულებების, რწმენის, დომინანტური ჯგუფის ნორმების, მასში სრულად დაშლამდე, გახსნამდე;
- სეგრეგაცია, ე. ი. კურსი, მიმართულება ჯგუფების ცალკეული განვითარებისაკენ;
- ინტეგრაცია, ე. ი. ჯგუფების მიერ მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნება, როდესაც ისინი ახალი მნიშვნელოვანი საფუძვლით, გაერთიანებული არიან ერთიან საზოგადოებაში.

ს. ბოკნერის მოდელში ჩამოთვლილია ინდივიდებისათვის კულტურათაშორისი კონტაქტების ოთხი შესაძლო შედეგი. ადაპტაციის პროცესში „გაქცეული“ უგულებელყოფს საკუთარ კულტურას, უცხოს სასარგებლოდ, „შოვინისტი“ უგულებელყოფს უცხოს, საკუთარის სასარგებლოდ, „მარგინალი“ მერყეობს ორ კულტურას შორის, „შუამავალი“ ორი კულტურის სინთეზირებას ახდენს, მათ წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლად.

მსგავსი კონცეპტუალური სქემა შემოგვთავაზა ჯ. ბერიმ, რომელმაც მას უწოდა აკულტურაციის სტრატეგიის კონცეფცია. კანადელი, მკვლევრის აზრით, ურთიერთქმედებაში შესულ ინდივიდებსა და ჯგუფებს შეუძლიათ აირჩიონ შემდეგი ოთხი სტრატეგიიდან:

- ინტეგრაცია, როდესაც თითოეული ურთიერთდამოკიდებული ჯგუფი და მათი წარმომადგენლები ინარჩუნებენ სა-



კუთარ კულტურას, მაგრამ ამავე დროს მჭიდრო კონტაქტებს ამყარებენ ერთმანეთთან;

■ ასიმილაცია, როდესაც ჯგუფი და მისი წევრები კარგავენ საკუთარ კულტურას, მაგრამ ინარჩუნებენ კონტაქტებს განსხვავებულ კულტურასთან;

■ სეპარატიზმის/სეგრეგაციის, როდესაც ჯგუფი და მისი წევრები თავიანთი კულტურის შენარჩუნებისათვის, უარს ამბობენ სხვებთან კონტაქტზე;

■ მარგინალიზაცია, სადაც ჯგუფი და მისი წევრები კარგავენ საკუთარ კულტურას, მაგრამ არ ამყარებენ მჭიდრო კონტაქტებს სხვა კულტურასთან.<sup>1</sup>

ჯ. ბერი შეთავაზებულ სტრატეგიებს განიხილავს უპირველესად ჯგუფის დონეზე მაგრამ გამყოფს უფრო კოლექტიურ (ინტეგრაციას და სეპარატიზმს, რამდენადაც მათი მიღწევისათვის საჭიროა ჯგუფის წევრები იზიარებდნენ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სურვილს) და უფრო ინდივიდუალურ (ასიმილაცია) სტრატეგიებს. გარდა ამისა, ის ხაზს უსვამს, რომ უმცირესობათა ჯგუფები და მათი წევრები ყოველთვის არ არიან თავისუფალი აკულტურაციის სტრატეგიების არჩევისას. ამგვარად ასიმილაცია შეიძლება იყოს იძულებითი იმ ინდივიდებისათვის, რომელთა ჯგუფებიც განიცდიან დისკრიმინაციას. ხოლო მარგინალიზაცია საერთოდ არ წარმოადგენს ინდივიდების თავისუფალი არჩევის შედეგს: მარგინალებად ხდებიან ძალადობრივი ასიმილაციის მცდელობების შედეგად, ძალადობრივ მოწყვეტასთან, წართმევასთან, შესამებით.

ბერიც და ბოკნერიც ერთსულოვანი არიან იმაში, რომ თავისთავად წარმატებული ადაპტაცია არ წარმოადგენს ასიმილაციას უცხო კულტურასთან. ეს არამარტო და არა იმდენად სოციალური და ემოციონალური შეგუებლობაა ახალ გარენოსთან, რამდენადაც ადამიანს შეუძლია შეგუებული იყოს

---

<sup>1</sup> Berry J.W., Sam D.L Acculturation and adaptation // Handbook of cross cultural psychology. Vol.3: Social behavior and applications. Boston, 1997. p. 291-326.

ახალი საზოგადოების ცხოვრებასთან, თავისი შიგა ეთნიკური და კულტურული ჯგუფის ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებით, იპოვის რა „პატარა ამერიკას“ პარიზში, ან „პატარა ოდესას“ ბრაიტონ-ბიჩზე. კულტურათაშორისი ადაპტაცია თავის მხრივ წარმოადგენს ახალ კულტურაში ჩაღრმავების პროცესს, მისი ნორმების, ფასეულობების, ქცევის ნიმუშების თანდათანობით ათვისებას. ამასთანავე ნამდვილი, ჭეშმარიტი ადაპტაცია გულისხმობს სოციალურ და ფსიქოლოგიურ ინტეგრაციას კიდევ ერთ კულტურაში, საკუთარი სიმდიდრის დაკარგვის გარეშე.

უცხო კულტურულ გარემოში აკულტურაციისა და წარმატებული ადაპტაციის სტრატეგიებს შორის არსებობს არაერთი მტკიცე კავშირი: უფრო მეტი წარმატება მიიღწევა ინტეგრაციის შედეგად, უმცირესი – მარგინალიზაციის შედეგად, ხოლო ასსიმილაცია და სეპარატიზმი შუალედურ მდგომარეობას იკავებს. გარდა ამისა, ინტეგრაცია მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგების თანახმად ამცირებს ნევროზების ალბათობებს, ხოლო სეპარატიზმი და მარგინალიზაცია დაკავშირებულია ფსიქოსომატიკურ პრობლემებთან, გულსისხლძარღვთა დავადებებთან, ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმთან.

არსებობს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სწორედ ინტეგრაცია სუბიექტურად წარმოადგენს მიგრანტების მიერ უპირატესად არჩეულ აკულტურაციის სტრატეგიას. მაგალითად, ისრაელში ესენგეს ქვეყნიდან მიგრანტების გამოკვლევისას, 72% რესპოდენტმა აჩვენა ფორმირებადობა ინტეგრაციის მიზანზე ე. ი. მაქსიმალურად ფართე კონტაქტები ისრაელთან, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში აკუთარი კულტურის შენარჩუნება და განვითარება.<sup>1</sup>

ამგვარად, ინტეგრაციის, როგორც წარმატებული აკულტურაციის სტრატეგიის თვალთახედვა, არ წარმოადგენს საერთო აღიარებულს. ასიმილაციური მოდელის თანახმად, უფ-

---

<sup>1</sup> Павленко В.Н. Еврейская эмиграция: мотив, барьер // Этническая психология ва общество; 1997, с. 335.

რო მეტად თუ არა, ერთადერთი – ახალ კულტურაში წარმატებული შესვლის, არის ასიმილაცია: ინდივიდი გაუცხოებისა და იზოლაციის გრძნობის გამო მანამდე იქნება განცდებში, სანამ არ იქნება მიღებული ახალი კულტურით და არ გაათვითცნობიერებს ამ მიმღებლობას, მაგრამ არ შეიძლება აკულტურაციის სტრატეგია აღიარებული იქნას ყველაზე წარმატებულად, მარტო ერთ კულტურაზე პოზიტიური ორიენტაციით. გარდა ამისა, ამ სტრატეგიაზე დაყრდნობით, ინდივიდს სამი სერიოზული საფრთხე ემუქრება: შესაძლებელია უმრავლესობის ჯგუფის წევრების მიერ იქნას უარყოფილი; ალბათობა იმისა, რომ თავისი კულტურის ჯგუფის მიერ იქნეს უარყოფილი; ალბათობა იმისა, რომ განიცადოს ძლიერი სტრესი, მცდელობისას ერთდროულად შეიძინოს ქცევის ახალი კულტურის მანერები და მოიცილოს ძველი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში (კანადა, საფრანგეთი) ემპირიული მტკიცებულებები იქნა გამომუდგენებული იმაზე, რომ ემიგრანტების ორიენტაცია ასიმილაციაზე, არ წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად სოციალურ ნორმას.

ჯ. ბერიმდე ასე მკვეთრად არავინ განაცალკევავა, ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის აკულტურაციის ორი სტრატეგია – მარგინალიზაცია და ინტეგრაცია. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაბატონებული იყო თვალთახედვა, რომლის თანახმადაც პიროვნება, რომელიც მიგრაციის შედეგად ტოვებს ქორწინებას, ერთ ჯგუფში ან კულტურაში მიღებულ განათლებას, ვერ პოვებს სხვა კულტურასთან შეგუებლობის დამაკმაყოფილებელ ვარიანტს, აღმოჩნდება თითოეული კულტურის პერიფერიაზე და არ წარმოადგენს არც ერთის და არც მეორის წევრს, ხდება ასე ვთქვათ, „მარგინალური ადამიანი“. სხვა სიტყვებით, ეს პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ორ კულტურაში ცხოვრება ფსიქოლოგიურად ყოველთვის არასასურველია, მათ შორის იდენტობებში არეულ – დარეულობის გამო. მაგრამ ადამიანები, რომლებიც აღმოჩნდებიან ორი კულტურის მიჯნაზე, აუცულებლად არ არიან პრობლემების გამო განცდებში, რომლებთანაც ამის შედეგად უპირისპირდე-

ბიან: ადამიანი მიდის (ვარდება) დეზორგანიზებულობასა და სასონარკვეთილებაში, მხოლოდ მაშინ, თუ ის კულტურის კონფლიქტს ინტერნაციონალიზირებს. ფაქტორებს შორის ინტეგრირებაზე ორიენტაციის გარდა, რომელიც ინდივიდებს საშუალებას აძლევს არ იდარდონ, არ იყვნენ განცდებში, კულტურათა მიჯნაზე ცხოვრების, ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგების გამო, ასევე შესაძლებელია გამოიყოს მათი ახალ სუბკულტურაში გაერთიანებაც.

მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს ასევე იმას, რომ მიგრანტებმა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შეიძლება გამოავლინონ აკულტურაციის სხვადასხვა სტრატეგია: ინდივიდი შრომითი საქმიანობის სფეროში შეიძლება მიისწრაფოდეს ეკონომიკური ასიმილაციისაკენ, ლინგვისტიკური ინტეგრაციისაკენ, მეორე ენის ათვისების გამოვლინებისას და ქორწინების სფეროში სეპარატიზმის ორიენტირებისას. რუსეთიდან ისრაელში მიგრანტების ადაპტაციის შესწავლისას ა. კოზიულინი და ა. ვენგერი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადაპტაციის სხვადასხვა სფერო ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. მაგალითად, კულტურის სფერო ინდივიდის საკუთარი ინტეგრირებისა და დროებითი მემკვიდრეობის გარანტის როლს ასრულებს. შედეგად ისინი მიისწრაფიან გამომავალი ქვეყნების კულტურის კონსერვაციისაკენ, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც განწყობა სეპარატიზმზე. ხოლო საყოფაცხოვრებო და კიდევ უფრო მეტი ხარისხით – ინსტიტუციურ სფეროში, ისინი მონოდებული არიან მიგრანტთა ახალი არსებობის პირობებთან ზიარების მიღების გარანტირებულობაზე, ამიტომ მათში მნიშვნელოვნად აჭარბებს ინტეგრირების სტრატეგია.<sup>1</sup>

უთმობენ რა დიდ ყურადღებას ინდივიდებისა და ჯგუფების კულტურათაშორისი ურთიერთობების შედეგებს, სოციალურმა ფსიქოლოგებმა ჯერ ვერ ჩამოაყალიბეს ერთმნიშვნელოვანი პასუხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, ინდივი-

---

<sup>1</sup> Павленко В.Н., Таглин С.А. Общая и прикладная этнопсихология. М., 2005.

დეალურ დონეზე რატომ არის, რომ ზოგიერთი ადამიანი ხდება „მარგინალი“, ხოლო სხვები „შუამავლები“, ზოგიერთი რჩება „შოვინისტად“, ხოლო სხვები მთლიანად „ასიმილრდებიან“. ნათელია, რომ ადაპტაციის წარმატება უფრო მეტად დამოკიდებულია იმაზე, თუ გადასხლებულები და ვიზიტორები თავისი სოციალური გარემოცვიდან მხარდაჭერას, რომელ ალტერნატიულ გადანაცვლებების მიღებაზე იღებენ. ამიტომ უფრო სასურველი შედეგების მიღწევა – კულტურებს შორის ადამიანის მიერ შუამავლის როლის უპირატრობის სტიმულაცია – მოითხოვს მოცემული ტიპის კულტურათაშორისი ურთიერთქმედების სოციალური მხარდაჭერი ქსელის შექმნას. ახალ კულტურაში ადაპტაციისას პრობლემები და წარუმატებლობა აუცილებელია განხილული იყოს, არა როგორც პათოლოგიური სიმპტომები, არამედ როგორც განსაზღვრული ცოდნისა და სიახლეების არ ქონა. ამიტომ ორგანიზებული უნდა იყოს, არა ახალ კულტურასთან შეგუებლობა, არამედ ცოდნის შექმნა წეს – ჩვეულებებზე, ფასეულობათა ნორმებზე, სხვა ხალხთა ქცევის სტერეოტიპებზე, საკუთარ კულტურასთან განხეთქილების გარეშე.

### საკონტროლო კითხვები

1. ჩამოთვალეთ ის სამი ძირითადი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც განასხვავებენ ჯგუფებისა და ინდივიდების კულტურათაშორის კონტაქტებში შესვლას.
2. ჩამოთვალეთ, ის ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის ხელსაყრელი ურთიერთქმედების ჩამოყალიბებაზე.
3. როდის გაჩნდა მსოფლიო მეცნიერებაში ინტერკულტურული ადაპტაციის პრობლემებისადმი ინტერესი?
4. სევდა, დარდი, რომელსაც შვეიცარიელმა ექიმმა ი. ხოფერმა ნოსტალგია უწოდა, მისი კვლევა რომელ საუკუნეში დაიწყო?

5. ვინ შემოიტანა ცნება „კულტურული შოკი“?
6. ჩამოთვალეთ „კულტურული შოკის“ სიმპტომები.
7. რაში გამოიხატება „კულტურული შოკის“ პოზიტიური მხარე?
8. მეცნიერმა ჯ. ბერიმ, „კულტურული შოკის“ მაგივრად, რა ტერმინი შემოგვთავაზა?
9. ადაპტაციის მრუდთან მიმართებით ადაპტაციის რამდენ ეტაპს გამოყოფს მეცნიერი ტრიანდისი?
10. ჩამოთვალეთ ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ადაპტაციის პროცესებზე.
11. მეცნიერ ტრიანდისის აზრით, ადაპტაციის წარმატებაზე რა ახდენს ზემოქმედებას?
12. ჩამოთვალეთ მეცნიერ ს. ბოკნერის მიერ გამოყოფილი კულტურათა შორისი შედეგების ოთხი ყველაზე ზოგადი კატეგორია.

### ეთნოკლასიკობა და ადამიანის ხალხური ილქალი

#### 13.1. ხალხი, როგორც პედაგოგიური კულტურის შემოქმედი

საჭიროა განვიხილოთ, სრულყოფილი ადამიანის ხალხური იდეალი, როგორც შეჯამებული, სინთეტიკური წარმოდგენა ხალხური აღზრდის მიზნებზე. მიზანი თავის მხრივ კონცენტრირებულს წარმოადგენს, აღზრდის ერთ-ერთი მხარის კონკრეტულ გამოხატვაზე. იდეალი – უნივერსლურია, უფრო ფართო მოვლენაა, რომელიც გამოხატავს პიროვნების ფორმირების მთელი პროცესის ყველაზე საერთო ამოცანას. იდეალში ნაჩვენებია აღზრდის საბოლოო მიზანი და ადამიანის თვითაღზრდა, მოცემულია უმაღლესი ნიმუში, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს.

ზნეობრივი იდეალი თავის თავში მოიცავს უზარმაზარ მუხტს, ასრულებს რა გამწმენდ, მონოდებით, მობილიზებულობის, შთმაგონებელ როლს.

სრულყოფილი ადამიანის ფორმირება ხალხური აღზრდის ლაიტმოტივია. ყველაზე დამაჯერებელ და ყველაზე ნათელ მტკიცებულებას იმაზე, რომ ადამიანი არის „ყველაზე უმაღლესი, ყველაზე სრულყოფილი და აღმატებული ქმნილება“, ემსახურება მის სრულყოფის მუდმივ და უძლეე მისწრაფებას. თვითსრულყოფის უნარი არის ადამიანის ბუნების უმაღლესი ფასეულობა, უმაღლესი ღირსება, ე. წ. თვითრეალიზაციის მთელი არსი სწორედ ამ უნარშია ჩადებული.

ინდივიდის სრულყოფილება, განპირობებული აღმოჩნდა ადამიანთა მოდგმის (გვარის) ორი უდიდესი შენაძენით – მემკვიდრეობითა და კულტურით (მატერიალური და სულიერი). თავის მხრივ კაცობრიობის პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა სრულყოფილებისადმი ადამიანთა მისწრაფების გარეშე. თავად ეს სრულყოფილება წარმოქმნილი შრომითი საქმიანო-

ბით, პარალელურად ხორციელდებოდა მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში, ხორციელდებოდა ადამიანში და მის გარეთ, ადამიანურ ურთიერთობებში.

ეთნოპედაგოგიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხალხთა (ბუნებრივი, ყოველდღიური, არაფორმალური, არასასკოლო, ტრადიციათა) აღზრდა. ეთნოპედაგოგიკა ესა მეცნიერება ეთნიკური ჯგუფების აღზრდისა და ბავშვების განათლების, მორალურ – ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისი ოჯახის გვარის, ტომის, ეროვნების, ერის უძველეს ღირებულებებზე,

ეთნოპედაგოგიკა შეისწავლის სოციალური ურთიერთქმედებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების პროცესს, რომლის მსვლელობისას პიროვნება ვითარდება და იზრდება, ითვისებს რა სოციალურ ნორმებს, ღირებულებებს, გამოცდილებას; აგროვებს და სისტემატიზებას ახდენს ბავშვების სწავლებისა და აღზრდის ხალხური ცოდნის, ხალხური სიბრძნის, ასახულს რელიგიურ სწავლებებში, ზღაპრებში, თქმულებებში, სიმღერებში, გამოცანებში, ანდაზებში, თამაშებსა და სხვ,საოჯახო და სათემო წყობაში (ყაიდაში), ყოფა – ცხოვრებაში, ტრადიციებში, ასევე ფილოსოფიურ – ეთიკური, საკუთარი პედაგოგიური აზრებსა და შეხედულებებში და სხვ, მთელი პედაგოგიური პოტენციალი, რომელიც ზემოქმედებს პიროვნების ისტორიულ-კულტურული ფორმირების პროცესზე.

ეთნოპედაგოგიკა გვიჩვენებს, რომ ყველა ხალხს, მათ შორის გაუჩინარებულებსაც კი, მათ უძველეს თვითმყოფად კულტურაში ბევრი ისეთია, რომ შეუძლია გაამდიდროს მსოფლიო ცივილიზაცია.

თაობათა მემკვიდრეობა, ესაა უწყვეტი განვითარების პირობა. ერთდროულად თავად განვითარების განუწყვეტლობა, პერმანენტულობა არის მემკვიდრეობითი კავშირებით მომავლის, წარსულით ანმყოში კონკრეტული გამოვლინება.

განსაზღვრული წესრიგი, გადასვლის განსაზღვრული თანამიმდევრულობა ერთიდან მეორეზე, წინამორბედიდან მიმდებზე, რასაკვირველია, არ ვარაუდობს პრიმიტიულ სწორხა-



ზოვნებას. მემკვიდრეობა განვითარებაში არ გამოორიცხავს არც თანაბარზომიერ, ქცევით მოძრაობებს დაბალი ფორმებიდან მაღლისკენ, არც ნახტომებს, არც ციკლურობასა და გამეორებადობას.

თაობათა მემკვიდრეობა უზრუნველყოფილია აღზრდით, რომელიც გამოდის, როგორც ხალხის სულიერი პროგრესისა და პიროვნების სოციალური განვითარების ფაქტორი.

მემკვიდრეობა აღზრდაში წარმოადგენს ერთერთ მთავარ მხარეს თაობათა მემკვიდრეობაში, გულისხმობს ერთსახოვანებას ბავშვებთან მიდგომისას თავად აღზრდელებს შორის, შეთანხმებულობას საშინაო და საზოგადოებრივ აღზრდას შორის, პედაგოგიური ოპტიმიზმი – ეყრდნობა მიღწეულ შედეგებს აღზრდაში, ცალკეული, უარყოფითი, აღსაზრდელთა ქცევის თვისების გადალახვისათვის, სწორი შეხამების უზრუნველყოფა აღზრდის მიზნებს შორის და ა. შ.

მემკვიდრეობითობა რეალიზდება დროსა და სივრცეში. ფიზიკური მემკვიდრეობითობა ბუნებით არის უზრუნველყოფილი – მემკვიდრეობით, გენოტიპით, მატერიალურ – ეკონომიკური მემკვიდრეობის მიღებით, სულიერი აღზრდით. ბუნება, სოციალური პირობები, პედაგოგიური ფაქტორები ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთზე, წინააღმდეგობითა და დახმარებით მემკვიდრეობითობაზე. აღზრდა აძლიერებს მემკვიდრეობითობას იქ, სადაც ის შეიძლება არსებობდეს მის გარეშეც კი. ზოგჯერ სტიქიური აღზრდის პროცესიც კი, არაფრით განმტკიცებული და ფუნქციონირებადი, მხოლოდ მიბაძვაზე უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას. ყესტიკულაცია, მიმიკა, მშობლების მანერები განმეორებადია შვილების მიერ, გაუთვითცნობიერებლად და ფარულად ზემოქმედებენ ხასიათის ფორმირებაზე, ქცევის სტილზე და ა. შ. მემკვიდრეობითობა შრომითი ინტერესების სფეროშიც, ზოგჯერ შეიძლება აღმოცენდეს მარტივი ცნობისმოყვარეობიდან, მათზე მიბაძვით წარმოშობილი იგივე შესაძლებელია ხალხური ხელოვნების სფეროშიც.

თაობათა მემკვიდრეობის გამოვლინება განსაკუთრებულად მრავალსახოვანია. ის, პირველ, რიგში ხორციელდება გან-

საკუთრებულად პიროვნულად და საოჯახო ტრადიციების გამტკიცებისა და გაგრძელების ფორმაში, როგორც ადამიანთა სულიერი კავშირი და თაობათა ერთობლიობა. მემკვიდრეობითობა ეხება მთელი რიგ ხალხთა ბედს. მას შეუძლია საერთო-სახალხო, საერთოეროვნული, საერთო საკაცობრიო ხასიათი ჰქონდეს. მემკვიდრეობითობის საერთოსაკაცობრიო მომენტების გაძლიერება აჩქარებს სოციალურ პროგრესს. მემკვიდრეობითობა რაც უფრო ფართოა და ღრმა, მით უფრო სასიკეთო პირობებია ცალკეული პიროვნებებისა და საზოგადოების პროგრესისათვის.

მემკვიდრეობითობას შეუძლია ზნეობის სფეროსაც შეეხოს და ხელი შეუწყოს ოჯახის პატარა წევრების პიროვნული უარყოფითი თვისებების ფორმირებას. მაგალითად, „მზის ქვეშ თბილი ადგილის“ მიღწევას შეუძლია გახდეს სულის ჩამდგმელი მაგალითი ნათესავთა მთელირიგი თაობებისათვის, რომლებიც მზათ არიან მიაღწიონ პირად წარმატებას, სხვა ადამიანებისა და ხალხის ინტერესების ხარჯზე.

თაობათა მემკვიდრეობითობა შეიძლება სტიქიურიც იყოს, მაგრამ უფრო ხშირად ის შეგნებულს წარმოადგენს. მშობლების შეგნებულ დონეზე მისწრაფება, რათა მათი შვილები უკეთესად ცხოვრობდნენ, ასევე ვლინდება მემკვიდრეობითობის პედაგოგიური ასპექტი. საქორწილო რიტუალებში ახალდაქორწინებულთა დალოცვაში, ახალდაბადებულებთა კეთილსურვილებში ვლინდება მისი მუდმივი თანხმლები, თაობათა მუდმივი ზრუნვა. ეს ზრუნვა აისახება აღზრდის საკითხებისადმი ამაღლებულ ყურადღებაში. ვ. გ. ბელინსკი ხალხის თაობათა მემკვიდრეობას უპირველესად ხედავდა მის თვითმყოფადობაში. ყოველ ერს შეუძლია თავისი ნვლილი შეიტანოს კაცობრიობის საგანძურში, მხოლოდ თვითმყოფადი ცხოვრებით, ცხოვრების შემთხვევაში.

ბელინსკი თვლიდა, რომ ხალხი მტკიცედ იცავს წეს – ჩვეულებებს, როგორც წმინდა მიღწევებს, მისი ხელყოფა შემთხვევითი და გადაწყვეტილი რეფორმის დროს, მათი თანხმობის გარეშე მიიჩნევს, თვლის თავისი ყოფა – ცხოვრების ხელყოფად. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ხელყოფა ნიშნავს

თაობათა სულიერ მემკვიდრეობითობის დანგრევას და ამიტომ იწვევს ხალხთა პროტესტს, მის გამძვინვარებულ წინააღმდეგობას. ეროვნული მემკვიდრეობითობა დაკავშირებულია აღზრდაში ხალხურობასთან, „ყველაზე უფრო მეტად, ეროვნული სახე შენარჩუნდა ხალხის დაბალ ფენებში“.

ხალხური იდეები, თაობათა მემკვიდრეობითობაზე, თავისი არსით წარმოადგენს პედაგოგიურს. „ნუ ტრაბახობ მამით, იტრაბახე ყოჩალობით“. ამ ანდაზაში მტკიცდება სამი თაობის მემკვიდრეობითობა, მოიცავს შვილის აღზრდის მონოდებას, თავისი ბაბუის მაგალითზე. მამის წარმატებებთან შვილს არ აქვს კავშირი, მაგრამ ვაჟიშვილის აღზრდით ის დიდებას შეჰმატებს თავისი მამის კეთილ სახელს. მეორე ანდაზა შთააგონებს: „ნუ ტრაბახობ მშობლებით, იტრაბახე სათნოებით, მაღალი ზნეობით“. მთავარი ის, რასაც ხალხში თვლიან, არის აღზრდა და თვითაღზრდა, მაღალი ზნეობა, პატიოსნება ხდის ადამიანს თავიანთი მშობლების ღირსეულს. მსგავს ხალხურ აფორიზმებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

პედაგოგიური მემკვიდრეობითობა, ხალხურ წარმოდგენებში მრავალი წინააღმდეგობებია, რადგანაც მათში ასახულია სხვადასხვა ისტორიული ეპოქა, სხვადასხვა ადამიანური თვისება და მრავალსახეობა, კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციები: „კეთილი მამისგანაც იბადება ცოფიანი ცხვარი“, „კეთილი ცხვარიც არის ხოლმე, თავჯარიანი მამისგან“. მრავალ შემთხვევაში წინააღმდეგობები აღმოჩნდება მხოლოდ მოჩვენებითი. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ იგივე ხალხი ამბობს: „არ არსებობს წესი, გამონაკლისის გარეშე“. მეორე მხრივ, ხალხში ცხოვრობს, არსებობს ოპტიმისტური რწმენა იმაზე, რომ „ნებისმიერი ადამიანი – თავისი ბედნიერების ბატონია“ და თვითაღზრდით შეუძლია გასაოცარ შედეგებს მიაღწიოს თავისი ზნეობრივი იერის კორექტირებისათვის. ამბობენ: „ის, ისე გარდაიქმნა, თითქოს თავიდან დაიბადა“.

თაობათა მემკვიდრეობა პედაგოგიურ სფეროში ძალიან მდგრადია. ხალხის პროგრესი ესაა, ხალხის სულიერი გამდიდრება თაობიდან თაობაზე: „ის, რაც დედამ ვერ ნახა, ქა-

ლიშვილი ნახავს, ის, რაც მამამ ვერ ნახა, ვაჟიშვილი ნახავს“. თაობათა მემკვიდრეობა მარტო ის კი არ არის, როგორც ჩუვაშები ამბობენ, რომ „მამა და შვილი ერთი საზიდრით (ურმით) მიდიან“ მაგრამ მთავარი იმაში მდგომარეობს, რომ „უკანა ჩლიქები მიდის წინას კვალდაკვალ“ (აზრობრივად ახალგაზრდობა მიდის უფროსების ნაბიჯების კვალდაკვალ). ამბობენ ნამვილი აღმზრდელი ცხოვრობს აღსაზრდელებში და აღზრდილთა აღსაზრდელებში. ქართული ანდაზა ამბობს, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, მემკვიდრეობითობა აისახება, გამოვლინდება იმაშიც, რომ წინამავალი თაობის აღზრდის შედეგები აისახება მომავალი თაობების ქცევაში, ამასთან ცუდი უფრო ცუდი ხდება, კარგი უფრო უკეთესი ხდება. „განებივრებულად დაბადებული ბავშვი, მოიზრდება და ქურდი გახდება“ ამტკიცებენ ჩუვაში ბერები. ამ გამონათქვამში სამი თაობა აღმოჩნდა მემკვიდრეობით კავშირში: ბაბუამ გაანებივრა თავისი შვილი, შვილიშვილი გახდა ქურდი. ანდაზის მკაცრი ტონი შეიძლება გავიგოთ: რომ ჩუვაშებისათვის, ისევე როგორც სხვა ხალხისთვის, ქურდობა ნიშნავს ადამიანის ზნეობრივი დაცემის უკიდურეს ხარისხს. უხსოვარი დროიდან ნათესაობა ხალხში ასევე განიხილებოდა, როგორც თაბათა მემკვიდრეობითობის კავშირის ერთი მხარე, მაგრამ თვლიდნენ, რომ საჭიროა ნათესაობის საქმით დამტკიცება. სულიერი ნათესაობა მოწმდება საქმიანობაში, ქცევებში. მემკვიდრეობითობაში ყველაზე მეტად ფასობს ადამიანთა სულიერი ერთობა: „სულიერი ნათესაობა ხორციელზე უფრო მტკიცეა“ ამბობს რუსული ხალხური ანდაზა.

ჭეშმარიტს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი აღზრდა, რომელიც ემსახურება ხალხის ინტერესებს. აღზრდა რომელიც არ პასუხობს ამ მოთხოვნებს ანტიხალხურია და შეიძლება დახასიათებული იყოს, როგორც ანტიაღზრდა, რადგანაც ის ადამიანურ პიროვნებას ზნეობრივად აქვეითებს.

წარსულში ხალხური აღზრდა, აღნიშნავს ი. ტ. ოგოროდ-ნიკოვი, მოიცავდა აღზრდის განსაზღვრულ სახეებს, რომე-

ლიც ვარაუდობდა ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით განმტკიცებული ცოდნის ათვისებას ე. ი. ხალხურ პედაგოგიკაში (სწავლებაში) აღზრდა და სწავლება განიხილებოდა ერთიან მთლიან პროცესად, ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ექსპლოატატორული კლასების მიერ ორგანიზებულმა სწავლებამ ხალხურ აღზრდას საფრთხე შეუქმნა. მშრომელებისთვის ოჯახში აღზრდა გამოდიოდა, ხალხის შრომითი და სულიერი ცხოვრების სწავლების კავშირის დამყარების ფაქტორად. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში სწავლება გამოდიოდა, როგორც ახლებულად აღზრდა, ხალხური (საოჯახო) აღზრდის შედეგების გადალახვა. ეს განსაკუთრებულად დამახასიათებელი იყო სამონასტრო სასწავლებლებისათვის, რომლებიც მე-17 – მე-18 საუკუნეებში შეიქმნა.

ცალკეული პიროვნებების სულიერ კონტაქტი ხასიათდება თაობათა მემკვიდრეობითობით. წინაპართა სულიერი სიმდიდრე ინახება და გადმოიცემა მონაყოლ ამბებში, მოთხრობებში, ლეგენდებში, დარიგებებში, ანდაზებში.

დამწერლობის უქონლობის გამო, რაც უფრო შორს, საუკუნეების მიღმა მიდიან წინაპრები, მით უფრო სუსტად ისმის მათი ხმა, მათი აზრი უფრო რთულად აღიქმება. აქ ხალხურ პედაგოგიკაში დასახმარებლად უნდა გამოვიდეს სახელმწიფო დონეზე ქვემარტად ეროვნული განათლება, რომელიც აკონტროლებს და ინარჩუნებს ყველაზე საუკეთესოს, უზრუნველყოფს თაობათა მემკვიდრეობას სწავლებისა და აღზრდის ერთიან პროცესში.

### **13.2 რელიგია, როგორც პიროვნების სულიერების ფორმირების მთავარი ფაქტორი**

რელიგია მთავარი ფაქტორია პიროვნების სულიერების ფორმირებაში. ადამიანის სულიერება, რასაკვირველია, მართო რელიგიით არ განისაზღვრება. რელიგიური ფანატიკოსი, ისევე როგორც მებრძოლი ათეისტი – ექსტრემისტი, სულში უსიამოვნებას, მოუსვენრობას, შემფოთებას, განგაშსაც კი იწვევს. ათეისტი აღიარებს რა სინდისის თავისუფლებას,

იცის, ესმის საერთოსაკაცობრიო ზნეობრივი ფასეულობები და სულიერებაში შეიძლება არ ჩამოუვარდებოდეს ნებისმიერ მორწმუნეს. აქ არ გვჭირდება უკიდურესობები, ურთიერთგამომრიცხავი ალტერნტივები. ცხოვრება მრავაფეროვანია, დემოკრატია ნებისმიერ სფეროშია, განსაკუთრებულად განათლების სფეროში, უაზრობაა აზრების, შეხედულებების, მრწამსის პლურალიზმის გარეშე.

ღმერთის რწმენა არ შეიძლება და არც უნდა გახდეს მოდად, რადგანაც ამ სფეროს მთავარ კომპონენტს, ადამიანის სიყვარული წარმოადგენს. თავისთავად, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ყველა კომპონენტისაგან განცალკევებულად, ღმერთის რწმენა არ შეიძლება იყოს ადამიანთა სულიერი ცხოვრების მსხნელი. მნიშვნელოვანია სულიერი ცხოვრების ყოველი მიმართულებით ჰარმონიული ურთიერთქმედება.

რელიგია ახლოს დგას ისეთ შეჯამებულ, თავის მხრივ, აღზრდის შემაჯამებელ საბოლოო ფაქტორთან, როგორიცაა მაგალითი – იდეალი, მაგალითი -სიმბოლო, მაგრამ რელიგიაც ხომ თავად ასევე მრავალ ნაწილში შეიძლება აჯამებს ყველა წინამორბედ ფაქტორს. ბუნება ღვთიურია, ეს მარტო პოეზია არაა. მთლიანად ბუნებისადმი, ან მისი ცალკეული ელემენტებისადმი თაყვანისცემა, დაწყებული მზიდან და დამთავრებული ნებისმიერი სხვა ელემენტით, ეს მარტო წარმართული არ არის, ეს რაღაც უფრო მაღალია, რომელიც არ გამოირიცხავს არც ბუდიზმს და არც მაჰმადიანობას. ბუნების წარმართული გაღმერთება შენარჩუნდა ადამიანთა უმრავლესობაში. ბუნების სიყვარული ნაწილია საყოველთაო სიყვარულის, ისევე როგორც ღმერთის სიყვარული.

სიყვარულის გარეშე არ არსებობს რწმენა, რელიგიაც არ არსებობს. გ. ნ. ვოლკოვი წიგნში „ეთნოპედაგოგიკა“ აღნიშნავს „ჩემი დედა, უბრალო ნაკლებ განათლებული გლეხია, როცა მე მას ვუთხარი, კარგი იქნებოდა ჩვენს სოფელში ეკლესია აგვეშენებინა, მან გულდანწყევით თქვა: არა, ჩვენთან ეს არასოდეს არ იქნება.... „რატომ?“ – ვეკითხები. შვილო, შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რამდენად ცუდები გახდნენ თანასოფლელები. ძალიან ბევრი უსირცხვილობა, უტიფრობაა,

რომ შესაძლებელი იყოს ღმერთის საჭიროება“.<sup>1</sup>  
(Этнопедагогика Г.Н. Волков, М., 1999.)

ძველი ბერძნებისა და თანამედროვე მარიელების წარმართობა, იაკუტიელების შამანობა, ბურიატების ლამაიზმი – ეს მთელი კაცობრიობის სულიერი სიმდიდრეა. რელიგია, თავისთავად სულიერების, მძლავრ მუხტს ატარებს, მაგრამ ბევრს ნიშნავს მასთან დაკავშირებული რიტუალები: რწმენის სიმბოლოები, ლოცვები, აღსარება, ზიარების მიღება, ნათლობის საიდუმლო, ჯვრისწერა, წესის აგება. ყველა ეს აახლოვებს ადამიანს ღმერთთან, ამალღებს მას, არქიტექტურა, ზარების ხმა, საზეიმო მსახურება, სანთლების იღუმალი ნათება, ხატწერა – მათ ზემოქმედებას სულზე თვით უხეში მატერიალისტიც კი ვერ უარყოფს.

ყველა რელიგიის ძირითადი თემა ესაა შვილები, აღზრდა. ქრისტიანობაში მთავარი თემაა – დედა და ბავშვი, ყმანვილი. დედა ამალღებულია, განდიდებულია ღვთიურ დონემდე, დედის გარეშე არ შეიძლება იყოს არა მარტო გმირი, არამედ არც პოეტი და არც ღვთის შვილი. ქრისტიანობაში განმტკიცებულია დედობრივი სიყვარულის სინმინდე. იცით, რას ამბობენ მორწმუნე მაჰმადიანები მეჩეთში შესვლამდე, როგორც კი სალოცავ დარბაზში შევლენ? შვილებზე და შვილიშვილებზე, მხოლოდ მათზე – შეფასებები, დახასიათებები, სიყვარულით აზრების გაცვლა თავის მსჯელობაზე, დასკვნებზე.

ტრადიციული რელიგიური სწავლების აღმზრდელობითი პოტენციალი უდიდესია. წმინდა წიგნები ბავშვებისათვის – ზნეობრივი გაკვეთილებია, თუნდაც ისინი იყვნენ ათეისტური ოჯახებიდან, ცოდნა მათი წინაპრების შესახებ, აუცილებლად მათ სულიერ განვითარებაზე დიდ როლს მოახდენს. ძალიან ყურადსაღები და ჭკუის სასწავლებელია მართლმადიდებელი წმინდანების ცხოვრება, მაგალითად, წამებული წმინდანის ანასტასიას (777 – 794): სალონიკში ყმანვილის მეპატრონე ხელოსანმა გადაწყვიტა ეკონომია გაეკეთებინა ბაჭზე, რამდენადაც შელავათი მაჰმადიანებს ეკუთვნოდათ, უბრძანა ანასტასიას ჩაეცვა თურქულად და ასე გაეტანა საქონელი საბა-

ყოზე. ხრიკი არ გამოუვიდათ: მებაჟეებმა რალაც იეჭვეს და მოსთხოვეს წაეკითხა მაჰმადიანური ლოცვა. ახალგაზრდა განითლდა და ვერაფერი ვერ უპასუხა, ის წაიყვანეს უფროსთან. მას შეეძლო გაეშვა ახალგაზრდა, აელო მისგან ფული, მაგრამ გადაწყიტა სახელი მოეხვეჭა და მოითხოვა მაჰმადიანობა მიეღო. ანასტასია არ შედრკა და უარი უთხრა. წაათრიეს მულასთან, ხუთმა მოწმემ განაცხადა, რომ ურწმუნო აძაგებდა წინასწარმეტყველს. ახალგაზრდამ პატიოსნად უპასუხა, რომ ამის მსგავსი არაფერი არ უთქვამს. ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, მაგრამ სახრჩობელამდე გზაში ცემისგან მოკვდა. ამგვარად, მართლმადიდებლის სიხარბემ, სიძუნწემ და მაჰმადიანის პატივმოყვარეობის გაერთიანებამ, დალუპა რწმენაში მტკიცე და პატიოსანი ადამიანი.

ამ მონათხრობში ხალხის გაფრთხილებაა რელიგიური ფანატიზმის დაუშვებლობაზე, აუცილებლობაზე რათა იყვნენ ერთმანეთის შემწყნარებლები, თავიდან აიცილონ შუღლი. სწორედ თავად მუჰამედი აფრთხილებდა: „ვინც ქრისტეს შეურაცხყოფს, მეც შეურაცხმყოფს“.

უცნაურად წარმოგვიდგება, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში პედაგოგიკიდან ამოღებული იყო კაცობრიობის უდიდესი პედაგოგების სახელები და სწავლება – ბუდას, ქრისტეს და მუჰამედესა. მათი ეთიკურ – პედაგოგიური კონცეფციების ერთობა უდავოა. განვიხილოთ უფრო დეტალურად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს. რომ ბუდა ხალხთან საუბრობდა მათ ენაზე. ქადაგების მანერა და სწავლება, მონათხრობის განაფული გამოყენება, იგაგები, ანდაზები ბევრად განაპირობებდენ, რომ ბრძენს შეეძლო უბრალო ხალხის გულების თავისკენ მიპყრობა, მასთან მორწმუნენი გროვად მიდიოდნენ. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებლის პიროვნებას და მძლავრი, ძლიერი მეფეების მფარველობას. მაგრამ ყველაფერ ამას ნაკლებად შეეძლო სწავლების ასეთი წარმატების უზრუნველყოფა, თუ ის თავად არ წავიდოდა მასების მოთხოვნილებების შესახვედრად. ბუდა შთააგონებდა: „მე ვასწავლი, რაც არის მოძრაობა, საქმე, ნებისყოფა...“რო-



გორც ქრისტიანობა, ბუდიზმიც სიყვარულს წარმოაჩენს, როგორც უმთავრეს სათნოებას, ზნეობას. სიყვარულის ძალა დიდად ცხადდება. ვინც სიყვარულს გამოავლენს, მას ამისგან აქვს რვა უპირატესობა:

- მას კარგად სძინავს;
- ის კარგად იღვიძებს;
- მას ცუდი სიზმრები არ ესიზმრება;
- ადამიანები კარგად ეპყრობიან;
- ყველა სხვა არსება კარგად ეპყრობა;
- ღმერთები იცავენ მას;
- ცეცხლი, შხამი, მახვილი ზიანს ვერ აყენებს;
- თუ ის შორსაა და თავისთვის ვერაფერ ვერ შეითვისებს, ის წავა ბრახმანის სამყაროში;

ბუდა გარშემომყოფებს სიყვარულს უღვივებდა: „როგორც დედა იცავს თავის პირმშოს, თავის ერთადერთ შვილს თავისი სიცოცხლით, ასე უნდა გამოავლინოთ უსაზღვრო სიყვარული ყველა არსების მიმართ. მთელ სამყაროში საჭიროა გამოვლინდეს უსაზღვრო სიყვარული – უმაღლესის, უმაღაბლესის, ჩვენი თანასწორების მიმართ, განუსაზღვრელად, ჭორისა და მეტოქეობის გარეშე. ფეხზე დგას, დადის, ზის, წევს, მანამ ადამიანი ფხიზლობს, მან უნდა გამოთქვას ასეთი განლაგება. ამას ეწოდება ცხოვრება ღმერთში. სიყვარული, თანაგრძნობა, მეგობრული მონანილეობა და სიმშვიდე ქმნის ცხოვრებას ღმერთში. ბოლო სამის წყარო სიყვარულია, რომელიც პირველ ადგილს იკავებს. დხამ მაპუდეში ნათქვამია: „ჩვენ გვინდა ბედნიერი ცხოვრება, სიძულვილის გარეშე მტრებს შორის; სიძულვილის გარეშე გვინდა ჩვენ ცხოვრება, ჩვენ მოძულეთა შორის,... რისხვის გარეშე დაიმორჩილე რისხვა; ბოროტება დაიმორჩილე სიკეთით; ძუნნი დაიმორჩილე ძღვენით (საჩუქრით);ჭეშმარიტებით დაიმორჩილე მატყუარა;“

ძირითადი ცნებებია: „შენ არ უნდა მოკლა“, „შენ არ უნდა მოიპარო“, „შენ უნდა იცხოვრო უმნიკველოდ“, „შენ არ უნდა მოიტყუო“, „შენ არ უნდა სვა დამათრობელი სასმელები“.

ბუდიზმით იქმნება აკრძალვების სისტემა რომელიც აყალიბებს თანამედროვე ადამიანს. ერთ-ერთი მათგანია: – არ შესცოდო, არც ფიქრით არც სიტყვით, არც სხეულით. ფიქრების ცოდვებია: ანგარება, სიბოროტე, მიდრეკილება ეჭვზე; სიტყვიერი ცოდვებია: ტყუილი, ურთიერთობა.

ბევრი ბუდისტური მცნება ეხმაურება ქრისტიანულს. ლამის, დანზანა ხაიბზუნას დ.ხ.სამაევ) ლექციაში „ადამიანად რომ დაიბადო“ არის ძალიან მნიშვნელოვანი იდეა: „ბუდიზმი – პარტიული პროგრამა არაა, მაგრამ მოთხოვნაა. ხდებიან ბუდისტებად, სხვების სასიკეთოდ, სულ ეს არის.ეს ცნობიერებითი, შეგნების პროცესია – გინდოდეს და აკეთო სხვებისთვის, ის რაც შენ შეგიძლია, ის რაც შენს ძალაშია.“ იგივე მონოდება იცხოვრე სხვებისთვის,სხვა ადამიანებისთვის ჩადებულია ქრისტიანობაშიც. „ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ“, „მიუტევე და მოგეტევაბა“, „მკვდრის გასვენებასთან ერთად, მისი ხსოვნაც მოასვენე“, „ნეტარ არიან თვინიერნი“, „ადამიანს ბილწავს არა ის, რაც პირში შედის, არამედ ის, რაც პირიდან გამოდის“, „ეცადეთ, რათა კეთილი საქმით განამტკიცოთ თქვენი ნოდება და რჩეულება, ვინაიდან ამის მოქმედნი არასოდეს წაიფორხილებთ“, „ვინც ბოროტებას თესავს, მასვე მიუბრუნდება და ვერ გაიგებს,საიდან დაატყდა თავს“, „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი, მისდით სიყვარულს“, „ხალხო, თქვენ ძმები ხართ, რატომ აწყენინებთ ერთმანეთს?“ მოყვანილი სიტყვები არ საჭიროებს კომენტარს, ის გასაგებია ყველასთვის, კონფესიური კუთვნილებისგან დამოუკიდებლად.

ბიბლიის კერძო ლექსიკონში სიტყვა „ღმერთის“ მერე მოდის „მასწავლებელი“ და „მოსწავლე“. ეს მცნებები საფუძვლად უდევს ხალხურ პედაგოგიკას, ეთნოპედაგოგიკას. სკოლის მასწავლებელს, სანამ ის შევა კლასში, ბევრი რამის შესწავლა შეუძლია ქრიტესგან: „თუ თქვენ ადამიანები ხართ, გამოყევით ჩემს სწავლებას და გახდებით ჭეშმარიტად ჩემი მოსწავლეები. თქვენ ჩანვდებით ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება

მოგიტანთ თქვენ გათავისუფლებას“; „დაე, პატარა ბავშვები მოვიდნენ ჩემთან.“

ყურანში უმეტესი ძალით წარმოდგენილია გულმონყალე-ბის მცნებები. ისინი ქრისტიანობის თანახმიერია (გამოძახი-ლია), მონყალეების გაგება – სამართლიანობის გარდაუვალი კანონია, მართლმორწმუნეთა ზნეობრივი ვალია: „სხვებს ისე მოექეცით, როგორც თქვენ გინდათ რომ მოექეცნენ.“

რელიგია კაცობრიობის კულტურის უდიდესი შრეა. მის-გან მონყვევით ჩვენ ვაშენებთ არა საიმედო, არა მყარ სული-ერების სახლს. კაცობრიობის მასწავლებელთა უდიდესი სიბ-რძნე სულიერად ამდიდრებს მასწავლებლებსაც და მოსწავ-ლეებსაც. ბუდა ეუბნება მოსწავლეებს: „იყავით თავად საკუ-თარი ლამპარი“. ქრისტე მასწავლებელს აყენებდა მოსწავლის მაგალითად მუჰამედი, მრავალი ხალხის მასწავლებელი, იყო კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. მისი სწავლება მთელი არაბული კულტურის საფუძველი გახდა. მაღალი სა-ზოგადოების სასკოლო და საოჯახო პედაგოგიკამ ბევრი და-კარგა, აღზრდის ისეთი მძლავრი ფაქტორიდან გადახვევით, როგორიც რელიგიაა.

### **13.3.ხალხური პედაგოგიკის თანამედროვე ფუნქციონირება**

ხალხურ კულტურაში არ არსებობს ეროვნებათაშორისი შუღლის თემა. ომები პოლიტიკის სფეროა. ხალხთა ტრადი-ციული კულტურა მტრულადაა ამ პოლიტიკის მიმართ. ეთნო-პედაგოგიური დიალოგი, კულტურათა დიალოგი ხაზს უსვამს ხალხთა შორის, ხალხთა საერთოსაკაცობრიო სულიერ – ზნე-ობრივ ფასეულობებს. სხვადასხვა ხალხი, მართალია, საუბ-რობს სხვადასხვა ენაზე, მაგრამ სულიერად ისინი ძალიან ახ-ლოს არიან ერთმანეთის მიმართ.

ისტორიაში აღზრდა არა უბრალოდ ბევრია, არამედ დაუ-ჯერებლად ბევრი ამოუხსნელი საიდუმლოებების თეთრი ფურცელია. წარმოვიდგინოთ მსოფლიოს საერთოსაკაცობრიო აღზრდა ათასობით გვერდების მქონე ერთი ტომის სახით –

ყოველ ათასწლეულს მივაკუთვნოთ ამ ერთიანი, „ბედის წიგნი“ ტომს, ხალხებს და კაცობრიობას. ამ წიგნიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ წაკითხულია ბოლო გვერდები: პედაგოგიური სწავლების ისტორია, სასკოლო განათლების ისტორია.

შევეცადოთ გადავფურცლოთ მისი გვერდები, გვერდების იქით, საუკუნეების სიღრმეში და ჩვენ აღმოვაჩინოთ ბევრ საინტერესოსა და საყურადღებოს. განა ბევრმა იცის გასაოცარ ისტორიულ საბუთზე, ე. წ. ეთნოპედაგოგიურ კონსტიტუციაზე, რომელიც დაწერილია მხედარმთავარი და სახელმწიფო მოღვაწის ჩინგის ხანის მიერ (1155 – 1227) – „დიდებული ჯასაკი“. ის შედგება ორი ნაწილისაგან. ერთ-ერთ მათგანში შეგროვილი იყო ხალხური გამონათქვამები, მეორეში წარმოდგენილი იყო კანონები, რომელთა საშუალებითაც ჩინგის ხანი მართავდა თავის ხალხით. „ჯასაკის“ ყველა ტექსტი, თავისი სტილით ხალხურია, ტონი და მანერით თბრობითი, რადგანაც ისინი სიტყვიერია : ჩინგის ხანი უნიგნური იყო და ტექსტი ჩაწერილია მისი სიტყვებით.

ჩინგის ხანი პირველ ადგილზე აყენებდა ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდას. კანონთა კრებულის პირველი სტატია – მისი ძირითადი კანონები, თავისმხრივ დეკრეტს წარმოადგენს, ცუდი აღზრდის შედეგების გამომხატველი სურათების, ნათელი სახით წარმოდგენილი: „ბავშვები არ უსმენდნენ მამების დამრიგებლობით აზრებს, ქმარს არ ჰქონდა ნდობა ცოლთან, ხოლო ცოლი ქმრის ბრძანებლობას არ მიჰყვებოდა, დედამთილები რძლებს არა კეთილგანწყობით უყურებდნენ, ხოლო რძლები პატივს არ სცემდნენ დედამთილებს, დიდები არ ახდენდნენ პატარების აღზრდას, პატარები არ იცავდნენ უფროსების რჩევა-დარიგებებს... ასეთი იყო მოდგმა წესრიგის გარეშე, აზრის მნიშვნელობის გარეშე.“ აღზრდა, მხოლოდ აღზრდა აწესრიგებს ყველაფერს ადამიანში, ხალხში, ქვეყანაზე, მთელ მსოფლიოში.

„დიდებული ჯასაკი“ წარმოადგენს სიმბოლურ საბუთს, რომელიც აზრებში ინვესს საყოველთაო სიბრძნის, მსოფლიო

მტკიცებულობის, ხალხთა ეთნოპედაგოგიური პანსოფიის ასოციაციას.

სავსებით ტრადიციული სულისკვეთებით, ხალხური პედაგოგიკის, ერთი მეორეზე მიყოლებულ გამონთქვამებს, ჩინგის ხანმა კანონის ძალა მიანიჭა:

სიკეთისაგან, სიმკაცრისაგან მტკიცე და მყარია სახელმწიფო. ყველაფერი, რასაც შეუძლია განინმინდოს საკუთარი თავის შიგნით, შეუძლია განმინდოს სამფლობელო ქურდებისგანაც.

ყოველი სიტყვა, რომელზეც სამი ჭკვიანი შეთანხმდა, შეიძლება ითქვას ყველგან, საწინააღმდეგო შემთხვევაში მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. შეადარე საკუთარი სიტყვა და სხვების სიტყვა მცოდნეთა სიტყვებს: თუ ის იქნება თანხმობაში მაშინ შეიძლება ითქვას, საწინააღმდეგო შემთხვევაში დაუშვებელია ითქვას.

ყველა ცხენი, რომელიც კარგად დარბის მსუქან სხეულში, თუკი ის ასევე გაიქცევა ნახევარ სხეულში, ასეთ ცხენს შეიძლება ვუნოდოთ კარგი. მაგრამ არ შეიძლება ვუნოდოთ ცხენს კარგი, რომელიც კარგად დარბის მხოლოდ ერთ-ერთ ამ მდგომარეობიდან.

ადამიანმა რა სახითაც იცის საკუთარი თავი, სხვებიც დაე, გაიგოს. კარგი ქმრები შეიცნობიან, კარგი ცოლებით. თუ ცოლი იქნება სულელი და გონებაჩლუნგი, არა გონივრული და მონესრიგებული, მისგან გამოვლინდება ქმრის ცუდი თვისებები. ამაზე ნახევარტაეები: სახლში ყველაფერი გადის მეპატრონეზე. ღვინოსა და არაყში არა არის სარგებელი ჭკუა – გონებისა და ხელოვნებისათვის, ასევე არ არის კეთილი თვისებები და ზნე, ისინი მიდრეკილნი არიან ცუდ საქმეებზე, მკვლევლობებსა და გასწორებაზე, ასევე ართმევენ ადამიანებს ნივთებს, რომლებიც მას ჰქონდა, და ხელოვნებას, რომელიც მან იცოდა და სამარცხვინო ხდება მათი საქმე და გზა, ასე რომ ის კარგავს განსაზღვრულ გზას, მაგრამ სად იპოვნიან ადამიანს, რომელიც არ თვრება? თუ იპოვიან, მაშინ ის ყოველგვარი პატივისცემის ღირსია.

იმას ვისაც უპოვნიან მოპარულ ცხენს, ვალდებულია, დაუბრუნოს ის მეპატრონეს ცხრა ასეთივე ცხენის დამატებით.

სტუმარმასპინძლობის კანონებმაც კი, ჩინგის ხანთან შეიძინა კონსტიტუციური სტატუსი: მან მონგოლებს აუკრძალა იმის ჭამა, ის რაც არ იყო სხვებისთვის და არ მიიპატიჟებს მას ჭამაში. ჩინგის ხანმა დაადგინა პატივი ეცათ ყველა სარწმუნოებისათვის, არცერთისთვის არ მიენიჭებინათ უპირატესობა. ჩინგის ხანის ძირითადი კანონების კრებული კრძალავს ტყუილს, ქურდობას, სიძვა – მრუშობას, ბრძანებს ახლობლის სიყვარულს, როგორც საკუთარი თავის, არ მიაყენოს ცუდი, ქვეყნებისა და ქალაქების დანდობა – გაფრთხილება, ნებაყოფლობით დამორჩილებულნი, განთავისუფლდნენ ყოველგვრი გადასახადისაგან და ღმერთისთვის მიძღვნილი ეკლესიების, თანაბრად და მისი მსახურების პატივისცემა. გამომდინარე ასევე საინტერესოა რიგი ზემოქმედება, რომლებიც დაკანონებულია ჩინგის ხანის მიერ.

ვინც მოიქცევა კანონის წინააღმდეგ ერთხელ, სიტყვიერად ჩააგდონ სინდისში, თუ ორჯერ – დაე, მჭერმეტყველურად მოექცნენ, მესამეჯერ – დაე, ის გაგზავნონ დაშორებულ ადგილას. როცა ის ჩამოვა და დაბრუნდება, ყურადღებით იქნება. თუ ის გონს არ მოვა, ჩასვან ხელბორკილში და საპატიმროში. იქიდან თუ გამოვა კეთილზნიანი და მოჭკვიანებული – ძალიან კარგი: საწინააღმდეგო შემთხვევაში შეიკრიბნენ ყველა მისი ნათესავნი, მოაწყონ საერთო თათბირი და გადამწყვიტონ, მის მიმართ როგორ მოიქცნენ.

მოყვანილი მაგალითიდან, როგორც ვხედავთ, ზემოქმედებისა და პასუხისმგებლობის უმაღლესი ღონისძიება – ნათესავებზეა.

მოყვანილი ციტირებული აზრები დაკავშირებულია სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და მონგოლების კერძო ცხოვრებასთან, მაგრამ არანაკლებ ყველა დაკავშირებულია ჩინგის ხანის კონსტიტუციის პირველ სტატიასთან, მის პირველ დეკრეტთან: ბავშვებმა უნდა გაიგონ, გონებაში ჩაიდონ მამების დამრიგებლობითი, ზნეობრივი აზრები და განუხრელად შეასრულონ ის, პატარა ძმებმა – ყურებს გარეთ არ გაა-

ტარონ უფროსი ძმების სიტყვები; დიდებმა აღზარდონ პატარები. აღზრდის მიმართ ასეთი დამოკიდებულებადა მახასიათებელია, არამარტო მონღოლებისათვის, არამედ სხვებისთვისაც. ბრძენმა ხალხმა დიდი ხანია შეამჩნია, რომ კაცობრიობას მომავლისკენ გზა ერთი აქვს, ერთიანობა, მთლიანობა. მთავარი და ყველასათვის მუდმივია – შვილები და მათი აღზრდა; ხალხთა ცხოვრების უმაღლესი, დიდებული სიბრძნე – სწორედ ესაა.

თურქი და სხვა ხალხებისათვის ჩინგის ხანი დანყვევლილი და შერისხულია ბევრისგან, მისგან დაპყრობილი ხალხისგან გახდა პიროვნება-შიშბოლო. იმ მკაცრი დროის ეთიკა ძალიან განსხვავდება თანამედროვეობისაგან. ომის სისასტიკე გამართლებული იყო ორივე მეომარი მხარის მიერ. ომში იმარჯვებს არა ყველაზე სასტიკი, არამედ ყველაზე ორგანიზებული. თავისი ჯარის ორგანიზება ჩინგის ხანმა შეძლო სწორედ თავისი პირადი თვისებებისა და ბრწყინვალე პედაგოგიური თვისებების წყალობით. ის მილიონთა აღმზრდელი იყო. „შენ – საკუთარი აზრის წამიერი ნაპერწკლით მარტივად ერკვევი სიმართლეში და ტყუილში, ჩემო უმაღლესო ბრძენო!“ – მასზე თქვა, მონგოლმა სარდალმა მუკალიმ. ხალხის თვალში, მეხსიერებაში, მხოლოდ სულიერების უმაღლესი დონე განადიდებს ისტორიულ მოღვაწეს. პირველწყაროები ამტკიცებს, რომ ჩინგისხანი იყო სამართლიანი, ყოფით ცხოვრებაში თავმდაბალი, მოკრძალებული, ერთგული იყო მშობლიური ხალხის ძველი ტრადიციების მიმართ. უთვალავი სიმდიდრის მფლობელი, სიკვდილის ბოლო დღემდე თავს არიდებდა ფუფუნებასა და ზედმეტს. ის ატარებდა მომთაბარის ტანსაცმელს და იცავდა, მისდევდა სტეპის ადათებს და თავის მემკვიდრეებს და თავის მონგოლ ხალხს უანდერძა, რომ არ უღალატონ ამ წეს – ჩვეულებებს.

სიკვდილის წინ ჩინგის ხანმა თავისთან მოიხმო შვილები უგედეია და ტულაია, ასევე შვილიშვილი ისუნკე – აკა და გამოუცხადა თავისი ბოლო სურვილი: „ახლა ჩემი ანდერძი ასეთია: თქვენ მტრების დასამარცხებლად და მეგობრების განდიდებისათვის იქნებით ერთ აზრზე და ერთ პირზე, რათა იც-

ხოვროთ სიამით, მარტივად და დატკბეთ მეფობით.“ „იყავით ერთიანი“.ანდაზას „ძალა ერთობაშია“ აქვს პარალელები მსოფლიოს ყველა ხალხში.<sup>1</sup>

სასკოლო საქმიანობის ვერავითარი შემოქმედებითი მოდერნიზაცია უაზრობაა თავისი საკუთარი ტრადიციებზე დაყრდნობის გარეშე. ამ ტრადიციების იგნორირება იწვევს საზოგადოებისა და ადამიანის დეგრადაციას. ნებისმიერი პროდუქტიური პედაგოგიური გამოცდილება ეფუძნება ხალხურ ტრადიციებს, ყოველთვის შორს გამოდის იმ ისტორიული და კულტურული კონტექსტის ჩარჩოებიდან, რომელშიც ის წარმოიქმნა და ვითარდებოდა. მაგალითად, იაპონელების პედაგოგიურ კულტურას, რომელთაც ათასწლეული საკუთარი ტრადიციები ხელს არ უშლის სხვა ხალხის პედაგოგიური მიღწევების დანერგვაში. ამ ტრადიციების იგნორირება გამოირიცხავს განათლებისა და აღზრდის სისტემის დემოკრატიულობას.

### **13.4 მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება**

სამყაროში, რომელიც სწრაფ ცვლილებებს განიცდის და სადაც კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდატეხები ცხოვრების ტრადიციულ წესის ერთგვარი გამოწვევა ხდება, განათლებამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს სოციალური ერთობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად. იმ პროგრამების საშუალებით, რომლებიც წაახალისებს განსხვავებული კულტურის, რწმენისა და რელიგიის მქონე ადამიანთა შორის დიალოგს. განათლებას ძალა შესწევს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოებების განვითარებაში. ინტერკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გამოწვევაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული: „განათლება მიმართული უნდა იყოს

---

<sup>1</sup> Г. Н. Волков, этнопедагогика, М., 1999. 160 с.



ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადინებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი, თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთ გაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას...“

ტერმინებისადმი: „ინტერკულტურული განათლება“ და „მულტიკულტურული განათლება“. მიუხედავად იმისა, რომ სფეროს მკვლევრების უმრავლესობა განათლების საკითხებთან მიმართებით იყენებს ტერმინს „მულტიკულტურული განათლება“, ხოლო სამეცნიერო ნაშრომთა ნაწილში ამ ტერმინებს სინონიმებადაც შევხვდებით, ინტერკულტურალიზმი დინამიკური კონცეფციაა და აღნიშნავს კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობას. ის განისაზღვრება, როგორც „მრავალფეროვან კულტურებს შორის თანასწორი ურთიერთობები და დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე კულტურული თვითგამოხატვის გაზიარებულ ფორმათა შექმნის შესაძლებლობა“. ინტერკულტურული ურთიერთობები გულისხმობს მულტიკულტურალიზმს და ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეებზე კულტურათაშორისი გაცვლისა და დიალოგის შედეგია. დემოკრატიის განსამტკიცებლად განათლების სისტემამ მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოების მულტიკულტურული ხასიათი და მიზნად დაისახოს აქტიური მონაწილეობა მშვიდობიანი თანაარსებობისა და სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის პოზიტიური ინტერაქციისთვის პირობების შესაქმნელად. ტრადიციულად ორი მიდგომა არსებობს: მულტიკულტურული განათლება და ინტერკულტურული განათლება. მულტიკულტურული განათლება სხვა კულტურების შესახებ სწავლებას იყენებს ამ კულტურათა აღიარების, ან სულ მცირე, მათდამი ტოლერანტობის ჩამოსაყალიბებლად. ინტერკულტურული განათლება პასიური თანაარსებობის მიზანს სცილდება და მიზნად ისახავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში განვითარებადი და მდგრადი თანაცხოვრების მიღწევას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის გზით.

ამრიგად, ინტერკულტურული განათლება ემსახურება მულტიკულტურული გარემოს საგანმანათლებლო მიზნებს. მულტიკულტურული განათლების იდეა, მდგომარეობს ყველა მოსწავლისთვის (სტუდენტისთვის), განურჩევლად მათი გენდერული, ეთნიკური, რასობრივი, კულტურული, ლინგვისტური, სოციალური, რელიგიური და ა. შ. კუთვნილებისა, გარანტირებული უნდა იყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და თანასწორობა სკოლებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ გარანტირებული თანასწორობის ურყევი განცდა. მულტიკულტურული განათლების, ასევე ამ სფეროს რეფორმის მიზანია სკოლების იმგვარი ტრანსფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს ორივე სქესის მოსწავლეებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა კულტურულ, ენობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, ჰქონდეთ სწავლაში წარმატების თანაბარი შანსი. ამ თვალსაზრისით, მულტიკულტურული განათლების რეფორმის ერთ-ერთ ძირითად იდეად, რომლის განხორციელებაც გადაუდებელი საჭიროებაა, უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარკვეული ნიშნით მოსწავლეთა დომინანტური ჯგუფების არსებობის პრაქტიკის ნიველირება. მულტიკულტურული განათლება არის უწყვეტი პროცესი, რადგან საკმაოდ იდეალიზებული მიზნებით ის ცდილობს განახორციელოს განათლების თანასწორობა და აღმოფხვრას დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინება, ამასთან, ეს იდეები და შესაძლებლობები ყოველთვის როდია გაზიარებული მთელი საზოგადოების მიერ. მულტიკულტურული განათლება, რომელმაც აქტუალობა შეიძინა აშშ-ში 1960 – 1970-იანი წლების სოციალური პროტესტის დროს და პირობებში, არის საერთაშორისო გამოწვევა, რომელიც დღეისთვის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის დაეხმაროს მოსწავლეებს განივითარონ/გაიღრმავონ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საკუთარ და სხვა მიკროკულტურულ გარემოში, ასევე, მსოფლიო თანამეგობრობაში დაუბრკოლებელი ცხოვ-

რებისა და საქმიანობისთვის. მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუნქციონალური ჯეიმს ბენკსი თავის ნაშრომში „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“ აღნიშნავს, რომ მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში. მრავალფეროვნებას შემოქმედებითად და ეფექტურად რომ უპასუხოს, განათლების მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი დამოკიდებულება რასობრივი და ეთნიკური განსხვავებულობისადმი და შეიძინოს ისეთი პედაგოგიური ცოდნა და უნარები, რომელიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის, კულტურის, სქესის, სოციალური კლასისა და რელიგიის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს. მულტიკულტურული განათლება: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი“. მულტიკულტურული განათლების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი ან კულტურული მახასიათებლებისა უნდა ჰქონდეს სკოლაში სწავლის თანასწორი უფლება.

ბენკსი გვთავაზობს იმ ძირითადი მიზნების ჩამონათვალს, რომელსაც მულტიკულტურული განათლება ემსახურება. კერძოდ, მულტიკულტურული განათლება: 1. ეხმარება ინდივიდებს თვითშეცნობაში სხვა კულტურის პერსპექტივიდან საკუთარი თავის განხილვით; 2. უზრუნველყოფს ინდივიდებს სხვა კულტურული, ეთნიკური და ენობრივი ალტერნატივებით; 3. ინდივიდებს უვითარებს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც საჭიროა საკუთარი (შესაძლოა, უმცირესობის) საზოგადოების კულტურის, უმრავლესობის კულტურისა და სხვა კულტურების ფარგლებში ფუნქციონირებისთვის; 4. ამცირებს ტკივილსა და დისკრიმინაციას, რომელსაც ზოგიერთი ჯგუფი განიცდის საკუთარი რასის, რე-

ლიგის და კულტურის თავისებურებების გამო; 5. ეხმარება გლობალური ტექნოლოგიების სამყაროში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო წიგნიერების უნარების, სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებას, დემოკრატიული განათლების დაუფლებას. ინტერკულტურული განათლება არის განათლება თავისუფლებისთვის, რომელიც არსებითია თანამედროვე პოლარიზებულ სამყაროში და მისი განვითარებისა და მიღწევების შესახებ სიმართლე მეცნიერული ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით უნდა დავიცვათ. ბენკსი ხაზს უსვამს იმ მცდარ შეხედულებებს, რომელიც შორს არის რეალობისაგან: • მულტიკულტურული განათლება სხვებისთვისაა, კერძოდ, ამა თუ იმ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის; • მულტიკულტურული განათლება დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება; • მულტიკულტურული განათლება დაანანევრებს ქვეყანას. განათლების რეფორმაზე საუბრისას აუცილებელია მულტიკულტურული განათლების იმ განზომილებების გათვალისწინება, რომელსაც ბენკსი გვთავაზობს: შინაარსის ინტეგრაცია, ცოდნის აგების პროცესი, ცრურწმენების შემცირება, მიუკერძოებელი პედაგოგიკა და სკოლის კულტურისა და სოციალური სტრუქტურის ამაღლება.<sup>1</sup>

დღეისათვის 234 არაქართულენოვანი სკოლა (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 11%) და 404 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს. საქართველოში დაახლოებით 72 ათასი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა. რაც შეეხება არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა რაოდენობას, ისინი საქართველოში მომუშავე საჯარო სკოლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის (სულ 68779 პედაგოგი) 9,5%-ს (6541 პედაგოგს) შეადგენს. ინტერკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველოში რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს. მათგან ერთ-ერთია არა-

---

<sup>1</sup> დ. მალაზონია, შ. მაღლაკელიძე, ნ. ჭიაბრიშვილი, გ. გახელაძე. ინტერკულტურული განათლება პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017, 2 – 4;

ქართველი ახალგაზრდების სოლიდური ნაწილის მიერ უმაღლესი განათლების მიღება ქვეყნის საზღვრებს გარეთ (ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში). უკანასკნელ წლებში იკვეთება საპირისპირო ტენდენციაც, თუმცა აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ სერიოზულად დგას ქვეყნის წინაშე.

ახალმა რეალობამ კიდევ უფრო მძაფრად დააყენა ინტერკულტურული განათლებისა და კომპეტენციების საკითხი. ზემოაღნიშნული ცხადყოფს ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთობების არსებული მდგომარეობის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობას, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და დავსახოთ გამოვლენილი პრობლემების დაძლევის სტრატეგიები.

ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთიერთობების საკითხს ყურადღება ეთმობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ცალკეულ დოკუმენტებსა და სასწავლო გეგმებში. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა არ არის მშობლიური, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე. ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება“. იმავე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია: „სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“ და ა. შ. საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენისა და მშობლიური ენის სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული სასწავლო გეგმების ერთ-ერთ ძირითად მიზნად დასახულია ტოლერანტი, ადამიანის ღირსებე-

ბის და უფლებების მცოდნე და დამცველი მოქალაქის ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო დოკუმენტებში გაწერილი ეს და სხვა მოთხოვნები საერთაშორისო გამოცდილების ადეკვატურია, თუმცა, ძირითად პრობლემად კვლავაც რჩება მიღებული გადაწყვეტილებების დეკლარაციული ხასიათი, პრაქტიკაში მისი განხორციელების უუნარობა.

ინტერკულტურულ განათლებაზე საუბრისას, აუცილებელია განისაზღვროს თვით კულტური მნიშვნელობა. „კულტურა ინდივიდის მიერ გაზიარებული რომელიმე ჯგუფის გავრცელებულ შეხედულებათა და პრაქტიკის ნაკრებია“. ის პიროვნების ჯგუფის ნაწილად იდენტიფიცირების, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებს პიროვნების აღიარების საშუალებას აძლევს. „ჩვენ“ და „ისინი“ გამიჯვნა 21-ე საუკუნეშიც აქტუალურია და სწორედ კულტურული განსწავლულობა გვთავაზობს განსხვავებათა დანახვის, აღიარებისა და მართვის ინსტრუმენტებს გარკვეული, თუმცა არა თვითკმარი, უნივერსალიზებული სახით, ყოველი კულტურა ემიჯნება სხვას, თუნდაც ეპოქისა და შინაარსის მიხედვით. თუმცა, ეს მიჯნები, კულტურის ბუნებიდან გამომდინარე, თავისთავად არასოდეს იქცევა საზღვრებად, გადაულახავ წითელ ხაზებად. კულტურების საზღვრებში მოქცევა, როგორც წესი, მათი „დახარისხების“ საფუძველზე, უნდა განვიხილოთ არატოლერანტული პოლიტიკის შედეგად და არა თავისთავად, ბუნებრივ პროცესად. კულტურა წარმოადგენს საფუძველს რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში ჩვენს აზროვნებას, გრძნობებს და ქცევას. ჩვენ კულტურით არ ვიბადებით, მაგრამ ვსწავლობთ მას სოციალიზაციის გზით. ის გამოვლინდება საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, ცხოვრებისეულ გამოცდილებაში და ფიზიოლოგიური და ძირითადი მოთხოვნილებების მიღწევის გზების შერჩევაში. კულტურული იდენტობა ყალიბდება ჯგუფის წევრებს შორის ეთნიკურობის, რასის, რელიგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, კლასის, მშობლიური ენის, გეოგრაფიული რეგიონის და უნარების ურთიერთქმედებისა და გავლენის ხარისხის საფუძველზე. კულტურული განსწავლულობა არის ორგანიზაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის

ან ინდივიდის ღირებულებებისა და ქცევის კომბინაცია, რომელიც კულტურულად მრავალფეროვან გარემოში ეფექტური ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს ორგანიზაციასა თუ ინდივიდს.

კულტურული განსწავლულობა დემოკრატიის საუკეთესო გამოვლინებაა და მისი განვითარება ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ინსტრუმენტს მოიცავს: 1. წამყვანი პრინციპები – მიდგომის ძირითადი ფასეულობები; 2. კონტინიუმი – ენა, რომლითაც აღვწერთ ინდივიდუალურ ფასეულობებსა და ქცევებს, ასევე ორგანიზაციის პოლიტიკასა და პრაქტიკას; 3. ბარიერები – ინსტრუმენტები, რომლებიც გვეხმარება კულტურული განსწავლულობის გზაზე წინააღმდეგობებზე ეფექტურ რეაგირებაში; 4. არსებითი ელემენტები – კულტურული განსწავლულობის „გასაზომად“ და წინსვლისთვის საჭირო ქცევის სტანდარტები. კულტურული განსწავლულობის კონტინიუმი პირობითად ექვსი საფეხურის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: (1) კულტურული დესტრუქციულობა; (2) კულტურული უუნარობა; (3) კულტურული სიბეცე; (4) კულტურული წინარეკომპეტენცია; (5) კულტურული კომპეტენცია; (6) კულტურული განსწავლულობა. კულტურული განსწავლულობა ეფუძნება შემდეგ ძირითად ელემენტებს: (1) კულტურის შეფასება – სისტემაში არსებული კულტურების, მათ შორის ორგანიზაციული კულტურის, განსაზღვრა; (2) მრავალფეროვნების დაფასება – ჯგუფთაშორის და ჯგუფის ფარგლებში განსხვავების აღიარების დემონსტრირება; (3) განსხვავებათა დინამიკის მართვა – მრავალფეროვან გარემოში წამოჭრილი კონფლიქტებისა და საკითხების შესატყვისი და ეფექტური რეაგირება; (4) მრავალფეროვნებისადმი ადაპტაცია – როგორც მრავალფეროვნების, ისე ინკლუზიის ხელშეწყობი პოლიტიკისა და პრაქტიკის შეცვლა და ადაპტაცია; (5) კულტურული ცოდნის ინსტიტუციონალიზაცია – ორგანიზაციაში სისტემური და სისტემატური ცვლილებების გატარება. ყოველი ელემენტი სწავლებისა და სწავლის ერთგვარ სტან-

დარტს გვთავაზობს. მათი გამოყენება შესაძლებელია ცვლილების დაგეგმვის ან მისი შეფასებისთვის. ამ ელემენტების ცოდნა ქცევის ერთგვარ ჩარჩოს უზრუნველყოფს, რომელიც კულტურული განსწავლულობისთვის არის აუცილებელი. კულტურული განსწავლულობა არ არის განსხვავებებისადმი მიმართული ინსტრუმენტი, ის უფრო ისეთი გარემოს შექმნისათვის საჭირო ინსტრუმენტია, სადაც ყველას აქვს წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა. სხვადასხვა ავტორი ეხება კულტურული განსწავლულობის ბარიერებსაც: თავდაპირველად ცვლილების სირთულეებს აღნიშნავენ, ხოლო შემდეგ ცვლილების ფაზებს გვთავაზობენ დამახასიათებელი ემოციებისა და სირთულეების მინიშნებით. ცვლილება, მეცნიერთა აზრით, სამი ძირითადი ფაზისაგან შედგება: ძველისაგან გათავისუფლება, ცვლილება, ახლისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

### **13.5. იუნესკო, კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ**

იუნესკოს გენერალურ კონფერენციის 33-ე სესიაზე, რომელიც ჩატარდა 2005 წლის 3 – 21 ოქტომბერს მიღებულ იქნა კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“. მოცემული კონვენცია წარმოდგენილია შვიდი თავისა და 35 მუხლისაგან თან ერთვის დანართი „მორიგების პროცედურა“ ექვსი მუხლის სახით.

იუნესკოს გენერალური კონფერენციის 33-ე სესია, აცხადებს რა, რომ კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის დამახასიათებელ ნიშანს, აცნობიერებს რომ კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რომლის დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელია ყოველი ადამიანის საკეთილდღეოდ, რომ კულტურული მრავალფეროვნება კიდევ უფრო ამდიდრებს და მრავალმხრივს ხდის სამყაროს, რომელიც აფართოებს არჩე-



ვანის დიაპაზონს და ხელს უწყობს ადამიანების შესაძლებლობებისა ღირებულებებისათვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას. აქედან გამომდინარე, წარმოადგენს საზოგადოების, ადამიანებისა და ერების განუხრელი განვითარების მამოძრავებელ ძალას, ითვალისწინებს რა, რომ კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც ვითარდება დემოკრატიის, შემწყნარებლობის, სოციალური სამართლიანობის, ხალხებისა და კულტურების ურთიერთპატივისცემის პირობებში, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ, სახელწიფო და საერთაშორისო დონეებზე, განსაკუთრებით გამოყოფს კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას ადამიანის იმ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული განხორციელების საქმეში, რომელიც განცხა – დებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა, თუ საყოველთაოდ აღიარებულ სხვა დოკუმენტებში, ხაზგასმით აღნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ უნდა მოხდეს კულტურის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ელემენტის ინტეგრაცია განვითარების ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში, აგრეთვე განვითარებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო თანამშრომლობაში გაეროს ათასწლეულის დეკლარაციის (2000) გათვალისწინებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება სიღატაკის დაძლევის ეთმობა, ითვალისწინებს, რომ კულტურა დროსა და სივრცეში სხვადასხვა ფორმას იძენს, ხოლო ეს მრავალფეროვნება გამოიხატება იმ ხალხების, საზოგადოებების თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის უნიკალური და მრავალფეროვანი ფორმებით, რომლებიც შეადგენს კაცობრიობას, აღიარებს რა ტრადიციული ცოდნის, როგორც არამატერიალური და მატერიალური სიმდიდრის წყაროს, კერძოდ, მკვიდრი ხალხების ცოდნის სისტემების მნიშვნელობას და მათ დადებით წვლილს განუხრელ განვითარებაში, ასევე ამ ცოდნის შესაბამისი დაცვისა და წინსვლის აუცილებლობას, აღიარებს კულტურული თვითგამოხატვის ფორმების მრავალფეროვნების, მათ შორის, მათი შინაარსის დაცვისთვის საჭირო ზომების მიღების აუცილებლობას, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა კულტურულ თვითგა-

მოხატვას შეიძლება გაქრობა, ან სერიოზული ზიანი ემუქრებოდეს, ხაზგასმით აღნიშნავს კულტურის მნიშვნელობას ზოგადად სოციალური ერთობისთვის და, კერძოდ კი, მისთვის დამახასიათებელ პოტენციალს საზოგადოებაში ქალების სტატუსისა და როლის ამაღლებისათვის, რომ კულტურულ მრავალფეროვნებას აძლიერებს იდეების თავისუფალი გავრცელება, და რომ იგი მდიდრდება კულტურებს შორის მუდმივი გაცვლითა და ურთიერთქმედებით, კვლავაც ადასტურებს, რომ აზრის, შეხედულებათა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება, ისევე როგორც მედიის მრავალფეროვნება, ხელშემწყობ პირობებს უქმნის კულტურულ თვითგამოხატვას საზოგადოებაში, აღიარებს რომ კულტურა – ლი თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, მისი ტრადიციული ფორმების ჩათვლით, იმ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ადამიანებსა და ხალხებს თავიანთ იდეებისა ღირებულებების გამოხატვას და ერთმანეთისთვის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს. ითვალისწინებს, რომ ენობრივი მრავალფეროვნება კულტურული მრავალფეროვნების ძირითადი ელემენტია, და კვლავაც ადასტურებს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც განათლება ასრულებს კულტურული თვითგამოხატვის დაცვისა და ხელშემწყობაში. ითვალისწინებს კულტურების სიცოცხლისუნარიანობის დიდ მნიშვნელობას, მათ შორის იმ პირობისათვის, რომლებიც უმცირესობას და მკვიდრ ხალხებს წარმოადგენენ, რაც გამოიხატება მათ თავისუფლებაში, ქმნიდნენ, ავრცელებდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთი კულტურული თვითგამოხატვის ტრადიციულ ფორმებს და ხელი მიუწვდებოდეთ მათ გამოყენებაზე თავიანთი განვითარების მიზნით, ხაზგასმით აღნიშნავს, კულტურათა ურთიერთქმედების და შემოქმედების გადამწყვეტ მნიშვნელობას, რაც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს კულტურულ თვითგამოხატვას და ზრდის იმ ადამიანთა როლს, რომლებიც მონაწილეობენ კულტურის განვითარებაში მთლიანად საზოგადოების პროგრესის ინტერესებისათვის, აღიარებს რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მნიშვნელობას კულტურის სფეროში მოღვაწე ადამი-

ანების მხარდასაჭერად, მიაჩნია, რომ კულტურულ საქმიანობას, კულტურის საქონელს და მომსახურებას აქვს როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული ხასიათი, ვინაიდან ისინი განსახიერებს თვითმყოფადობას. გლობალიზაციის პროცესები, რომლებსაც ხელს უწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, უპრეცედენტო პირობებს უქმნის კულტურების უფრო ფართო ურთიერთქმედებას და იმავდროულად საფრთხის ქვეშ აყენებს კულტურულ მრავალფეროვნებას, კერძოდ, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის დისბალანსის რისკის თვალსაზრისით, აღიარებს რა იუნესკოს განსაკუთრებულ მანდატს, რომლის თანახმადაც გარანტირებული უნდა იყოს კულტურების მრავალფეროვნების პატივისცემა და რომელიც რეკომენდაციას უწევს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც ითვალისწინებს ზეპირი, თუ სახვითი გზით იდეების თავისუფალ გავრცელებას, იშველიებს რა იუნესკოს მიერ კულტურულ მრავალფეროვნებასთან და კულტურული უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტებს, კერძოდ, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ 2001 წლის საყოველთაო დეკლარაციას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპში მითითებულია, რომ კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებულია ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორცაა საკუთარი აზრის გამოთქმა, ინფორმაციის და კომუნიკაციის თავისუფლება და ასევე ცალკეულ პირთა შესაძლებლობა, აირჩიონ კულტურული თვითგამოხატვის ფორმა.

ყველა კულტურის თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის პრინციპში მითითებულია, რომ კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა გულისხმობს ყველა კულტურის თანასწორი ღირებისა და პატივისცემის აღიარებას, უმცირესობისა და მკვიდრი ხალხების წარმომადგენელთა კულტურების ჩათვლით.

განუხრელი განვითარების პრინციპში აღნიშნულია, რომ კულტურული მრავალფეროვნება ადამიანებისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მისი დაცვა, ხელშეწყობა და შენარჩუნება ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის მიზნით განუხრელი განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი მოთხოვნაა.

კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობის ზომებთან დაკავშირებით მონაწილეები ესწრაფვიან თავიანთ ტერიტორიაზე შექმნან ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები, ამასთან, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც უმცირესობებსა და მკვიდრ ხალხებს განეკუთვნებიან;

(ბ) ხელი მიუწვდებოდეთ მრავალფეროვანი კულტურული თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმაზე როგორც თავიანთ ტერიტორიებზე, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

განათლება და საზოგადოების ინფორმირებაში მითითებულია, რომ მონაწილეები:

(ა) წახალისებენ და მხარს დაიჭერენ კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის მნიშვნელობის უკეთ გაცნობიერებას, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამირების და საზოგადოების ინფორმირების გაუმჯობესების დახმარებით;

(ბ) ითანამშრომლებენ სხვა მხარეებთან და საერთაშორისო თუ რეგიონულ ორგანიზაციებთან წინამდებარე მუხლის მიზნების მისაღწევად;

(გ) ყველა ზომას მიმართავენ შემოქმედების და საწარმოო პოტენციალის განმტკიცების სტიმულირებისთვის კულტურის ინდუსტრიის სფეროში საგანმანათლებლო, ტრენინგისა და გაცვლითი პროგრამების შემუშავების გზით. ეს ზომები უნდა განხორციელდეს ისე, რომ მათ უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინონ წარმოების ტრადიციულ ფორმებზე.

## საკონტროლო კითხვები

1. რას გამოხატავს იდეალი?
2. რას ასრულებს ზნეობრივი იდეალი?
3. რით არის განპირობებული ინდივიდის სრულყოფილება?
4. რა არის ეთნოპედაგოგიკა?
5. რას შეისწავლის ეთნოპედაგოგიკა?
6. რას გვიჩვენებს ეთნოპედაგოგიკა?
7. რით არის თაობათა მემკვიდრეობა უზრუნველყოფილი?
8. მემკვიდრეობითობაში ყველაზე მეტად რა ფასობს?
9. როგორი აღზრდა წარმოადგენს ჭეშმარიტს?
10. რა არის ადამიანის, პიროვნების, სულიერების ფორმირებაში მთავარი?
11. რის გარეშე არ არსებობს რწმენა?
12. ვინც სიყვარულს გამოავლენს, რა უპირატესობები აქვს?
13. რას აღნიშნავს ინტერკულტურალიზმი?
14. რა იგულისხმება მულტიკულტურულ განათლებაში?
15. რა იგულისხმება ინტერკულტურულ განათლებაში?
16. ჩამოთვალეთ ძირითადი მიზნები, რომელსაც მულტიკულტურული განათლება ემსახურება?
17. იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე როგორ ჩამოყალიბდა კულტურული მრავალფეროვნება?

### გლობალიზაცია და ეთნიკურობა

#### 14.1. გლობალიზაციის პროცესის არსი და ისტორიული ეტაპები

სოციალური მეცნიერებებისათვის გლობალიზაციის პრობლემა გადაიქცა კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. უფრო ხშირად მკვლევარები საუბრობენ კულტურულ გლობალიზაციაზე, რომელიც წინა პლანზე აყენებს მულტიკულტურალიზმსა და კულტურათაშორის კომუნიკაციებს.

ბუნებრივია გლობალიზაციის პრობლემებს გარკვეული ყურადღება დაუთმეს ეთნოლოგებმა და სოციალური ანტროპოლოგიის მკვლევრებმაც. მეცნიერი მ. ნ. გუბოგლო ნაშრომში „იდენტურობის იდენტიფიკაცი“ გამოყოფს გლობალიზაციის სამ ფაზას:

1. პირველი ფაზა მოიცავს პერიოდს დაწყებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან, მე19-ე საუკუნის დასაწყისამდე. ის დაკავშირებულია კოლონიზაციის დასაწყისთან, სახელმწიფო საზღვრების ჩარჩოებიდან კაპიტალის, კულტურისა და პოლიტიკური ინტერესების გამოსვლასთან, მსოფლიო იმპერიების ფორმირებასთან და გლობალური პოლიტიკური მეტოქეობის დედამიწის მთელ კონტინენტზე გადატანასთან.

2. მეორე ფაზა დაკავშირებულია, შემდგომ ევროპულ კოლონიზაციასთან, ინდუსტრიალიზაციის დასაწყისთან, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარებით. ეს პერიოდი ხასიათდებოდა მასობრივი ემიგრაციით ევროპის ქვეყნებიდან, მსოფლიო ვაჭრობისა განვითარებითა და არაევროპული რესურსების ექსპლოატაციის გაძლიერებით.

3. მესამე ფაზა მოიცავს, მსოფლიოში სტრუქტურული ცვლილებების პერიოდს, დაწყებულს პირველი მსოფლიო ომიდან და გაგრძელებულს დღემდე. ამ პერიოდში ხორციელდება ეთნოპოლიტიკური და საომარი სიმძლავრის თავმოყრა თავდაპირველად ორი უდიდესი სახელმწიფოს – სსრკ-ის და

აშშ-ის ხელში, ხოლო შემდეგ მარტო აშშ-ის ხელში. ამ პერიოდშივე ხორციელდება, ისეთი კოლონიური სისტემების დაცემა, როგორცაა ესპანური, ფრანგული, ბრიტანული, პორტუგალიური, ნიდერლანდური, ოსმალური. ხალხთა განსახლების ცვლილებებთან ერთად (მასობრივი მიგრაციის გაგრძელებით) ხორციელდება ფართომასშტაბიანი ცივილიზაციათაშორისი და კულტურათაშორისი გაცვლა. გარდა ამისა შეიძლება დავამატოთ, რომ მე-20 საუკუნეში ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემა, დაფუძნებული საერთაშორისო უფლებებზე და ისეთი ორგანიზაციების საქმიანობაზე, როგორცაა ერთა ლიგა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლებიც თავის რიგებში აერთიანებს სულ უფრო მატ ქვეყნებსა და ხალხს.

თუ მივუბრუნდებით გლობალიზაციის არსობრივ მახასიათებელს, მაშინ აქ აქცენტი უფრო ხშირად უნდა გაკეთდეს მსოფლიო ინტეგრირებულობის, მთლიანობისა და ურთიერთდამოკიდებულობის ხარისხობრივ ახალ დონეზე. მკვლევრები გლობალიზაციის ახლანდელ ეტაპს განიხილავენ, როგორც ქვეყნების რომლებიც აძლიერებენ მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციას ინფორმაციული და სხვა სახის საქმიანობით, მზარდი ურთიერთდამოკიდებულობის დამატებას. ტრანსნაციონალიზაციას მივყავართ პოსტნაციონალიზმთან, როცა რეალური ხდება სახელმწიფოებისა და ერების „გახსნა, შერევის“ პერსპექტივა უფრო რთულ და ადრე არარსებულ საერთაშორისო სტრუქტურებში.

გლობალიზაციის ასეთი გაგება განაპირობებს, რომ ეთნიკური ფაქტორი კარგავს თავის მნიშვნელობას შიგა და საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ დომინირებულ მნიშვნელობას იძენს ახალი იდენტობები და ფასეულობების ახალი სისტემები, რომლებიც არღვევს წინანდელ კულტურულ საზღვრებს. ამასთან დაკავშირებით ინგლისელი მეცნიერი ენტონი სმიტი სვამს მართებულ კითხვას: „შეიძლება თუარა წარმოვიდგინოთ დრო, როცა არამარტო ეთნიკურ ნაციონალიზმის შეცვლაზე, არამედ ნაციონალურ სახელმწიფოებს, ნაციონალურ იდენტობებს და ნაციონალიზმთან, როგორც ასეთთან

მოვა კოსმოპოლიტიკური კულტურა და ზენაციონალური მართველობა?“<sup>1</sup> ანალიზებს რა ნაციონალიზმის პრობლემის იმ მკვლევარების პოზიციებს, რომლებიც მას გლობალიზაციის კონტექსტში განიხილავენ, ის აღნიშნავს, რომ ისინი წინასწარმეტყველებენ, პირველ ყოვლისა, „ნაციონალური სახელმწიფოს“ გარდაუვალ დაკნინება-დაქვეითებას, მეორე მხრივ, ნაციონალიზმის შეცვლა, შენაცვლება, მესამე მხრივ, ეთნიკურობის გადალახვა.

#### **14.2 გლობალიზაცია და ეთნიკურობის დაცვა – შენარჩუნების პრობლემა**

ის, ვინც იყენებს ცნებას „ზენაციონალიზმი“ და „გლობალური კულტურა“, მიუთითებს ნაციონალური იდენტობის ფრაგმენტაციაზე, ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოების გაზრდილ პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე, მაგრამ ამასთან ერთად იმის მტკიცებულებაც არსებობს, რომ „სოციალური ურთიერთზემოქმედების ნებაყოფლობითი კავშირების ეპოქაში, რომელიც წარმოქმნილია ინდივიდების მოთხოვნილებებისა და საქმიანობებიდან, ეთნონაციონალური ორგანიზაცია ემსახურება და წარმოადგენს ინდივიდთა იდენტიფიკაციისა და სოლიდარობის მნიშვნელოვან არხს... ეთნონაციონალური მოძრაობები პოლიტიკურად აქტიურნი და ამავდროულად წარმოადგენენ კულტურის ფორმირების საფუძველს.„ადგილი აქვს არა ეთნიკურობის დაძლევას, არამედ აღდგენა – განახლებას „ეთნიკური კვანძის, თავად გლობალიზაციის პროცესებით“. უფრო მეტიც,„მე – 20 საუკუნის ბოლო თწლეულის მოვლენებმა საშუალება მისცა ე. სმიტს გამოეთქვა აზრი ამჟამად „გლობალურ ეთნიკურ აღორძინებაზე.“

მართლაც, სანამ ჩვენ მოვლენებს ვაკვირდებით, არა ახალი გლობალური იდენტობათა ფორმირებანი, არა შეცვლა და

---

<sup>1</sup> Smith E. Nationalism and modernism. M., 2004. c. 388.



ეთნიკურობის გადალახვა „ზენაციონალიზმზე“, არამედ ადგილი აქვს აშკარა ეთნიკურობის აქტუალიზაციას დამატებული რეგიონალიზმის გაძლიერებას. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ „ევროპულ რეგიონებზე“. მართალია, გლობალიზაციის პროცესები განაპირობებენ ახალი ტრანსსასაზღვრო რეგიონების, ან „ევრორეგიონების“ ფორმირებას, რომლებიც ყალიბდება ადრე არსებული სახელმწიფო საზღვრების პირაპირზე. ასეთი „ევრორეგიონების“ მაგალითად შეიძლება დასახელდეს გაყოფილი ქალაქი ხაპარანდ/ტორნიო შვედეთისა და ფინეთის საზღვარზე, ევრო რეგიონი ნეისე – ნისა – ნისსა ჩეხეთის, პოლონეთისა და გერმანიის საზღვრის პირაპირზე, ანდა რეგიონი კარელია, რუსეთისა და ფინეთის საზღვრის ორივე მხარეს. ყველა ეს რეგიონი ხასიათდება თავისი წარმოქმნის მტკიცე ისტორიული და ეთნიკური საფუძვლით და მოწოდებულია დაეხმაროს, ხელი შეუწყოს სასაზღვრო ტერიტორიების მაცხოვრებლებს შორის კონტაქტების გაფართოებას, ადამიანებისა და ჯგუფებისათვის საზღვრის გადაკვეთის პროცესის შემსუბუქებას, ბუნებრივად ერთმანეთის მიმართ დამძიმებულ ტერიტორიებს შორის.

ამასთან ერთად ორმოცდაათამდე წლის ინტენსიური ევროპული ინტეგრაციის პერიოდში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბდა იმის პირობები, რომ შესაძლებელი იყოს რომ ვისაუბროთ საერთო ევროპულ კულტურაზე, ანდა საერთოევროპულ იდენტობაზე, თუმცა ერთის და მეორის ელემენტები არსებობს. ამგვარად, გლობალისაციის ბევრი აპოლოგეტის მთავარი შეცდომა ის არის, მათი დარწმუნება, რომ ახალი კულტურული სტანდარტები და ახალი გლობალური იდენტობები აუცილებლად შეცვლიან ძველს, უპირველეს ყოვლისა კი, ეთნიკურს. ამასთან ერთად თავად ეთნიკური თვითშეგნება არაერთხელ აჩვენებს სხვადასხავა იდენტობის თანაარსებობის შესაძლებელ ფორმებს. ეთნიკური საზოგადოების წევრები შეიძლება ფლობდნენ როგორც საერთო ეთნიკურ თვითშეგნებას, ისე სუბეთნიკურსაც, ე. ი. ერთდროულად შეუსაბამოს საკუ-

თარი თავი მთლიანად ეთნოსს და ეთნოგრაფიულ ჯგუფს, ანდა სუბეთნოსს, მაგალითად, ფრანგი და კორსიკელი, გერმანელი და ბავარიელი, ქართველი და მეგრელი ან კახელი.

მთავარია მხედველობაში გვექონდეს, რომ გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური არსი, გამოხატული ტრანსნაციონალური კომპანიებისა და საწარმოო სისტემების ინტეგრაციის დომინირებაში, რომელიც გვიჩვენებს, რომ თითქოს ანგრევს ეროვნული სახელმწიფოს დომინირების, ეპოქის ყველა საზღვარსა და შეზღუდვას, სინამდვილეში მკაცრად რეგლამენტირდება ეროვნული მთავრობის მიერ, მის ხელთ არსებული ინსტიტუციური ფორმებით. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა, როგორც ნესი (მიჯაჭულია), დაკავშირებულია განსაზღვრულ ეროვნულ სახელმწიფოებთან, სწორედ ეს უკანასკნელნი ინარჩუნებენ მათზე გადამწყვეტ ზემოქმედებას.

### **14.3. გლობალიზაცია და ეთნიკური საზოგადოებების პოლიტიკური კოოპერაცია**

გლობალიზაციის პროცესები, ეთნიკურობის გაუქმებისა და მოშლის, საზოგადოებრივ გამვითარებაზე მისი ზემოქმედების შესუსტების გარეშე აისახება ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების მდგომარეობაზე, ქმნის ახალ რეალობებსა და ახალ პერსპექტივებს ეთნიკური განვითარებისა და ეროვნურობის აქტუალიზაციისათვის. ძველი წინააღმდეგობების, ინფორმაციული და კულტურული კავშირების მსხვრევა საშუალებას აძლევს ეთნიკურად ნათესაურ გაერთიანებებს, საზოგადოებებს განამტკიცონ სოლიდარობა, გადმოიღონ თვითორგანიზების ეფექტური ნიმუშები, დაეყრდნონ და იმოქმედონ ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაციის ახალი სატანდარტებით.

ასეთი სახის იმედები აქვთ არამარტო ინტელიგენციისა და ეროვნული მოძრაობების აქტივისტებს, არამედ აკადემიურ გარემოშიც.

სწორედ გლობალიზაციის პროცესებმა განახორციელა, ძირძველი ხალხის პრობლემების აქტუალიზირება, რამდენადაც სამრეწველო განვითარების ინტერესებმა განაპირობა, მკვიდრი ხალხის დასახლებული მიწებზე შეჭრა, ხოლო ინფორმაციული სისტემის განვითარებამ და სახელმწიფო დაქვემდებარების პოლიტიკურ ინსტიტუტებს ეგონა, რომ ეს შეჭრა საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ცივილიზაციის უნიკალური ნაწილის ცხოვრების წესსა და კულტურას. ამჟამად, გაეროსა და მკვიდრი ხალხის საქმეებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის შეფასებით, დედამიწაზე ცხოვრობს 220 მილიონი მკვიდრი, ძირძველი ხალხის წარმომადგენელი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ტრადიციული კულტურა. ისინი იკავებენ ხმელეთის 20% - ს, მათი ცხოვრების რაიონები - ეს ეკოლოგიური კუთხით ყველაზე ფასეული ტერიტორიებია, რომელნიც უზრუნველყოფს პლანეტის უნიკალური გენოფონდის შენარჩუნებასა და ინდუსტრიული რეგიონების ატმოსფეროზე და წყლის სივრცეზე მასტაბილიზებელ ზემოქმედებას, რათა ეფექტურად იქნას გამოყენებული საერთაშორისო ინსტრუმენტები და მექანიზმები ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვის მიზნით, რამდენიმე ათეული წლის წინ (1982) ქვეკომისის ჩარჩოში, ადამიანთა უფლებების დაცვასა და წახალისებაზე გაეროს კომისიამ, ადამიანთა უფლებებზე დაყრდნობით შექმნა სამუშაო ჯგუფი. 1985 წელს ეს ჯგუფი შეუდგა ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის უფლებების დაცვის დეკლარაციის დამუშავებას, რომლის პროექტი 1993 წელს გადაეცა ქვეკომისიას განსახილველად. იქიდან მოყოლებული მიმდინარეობს მოცემული დეკლარაციის საბოლოო დამუშავება, ადგილობრივი ხალხის ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე.

ადგილობრივი, ძირძველი ხალხის წარმომადგენლებთან აქტიურმა მუშობამ აჩვენა, რომ აუცილებელი იყო შექმნილიყო სპეციალური ორგანო, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა ადგილობრივი, ძირძველი ხალხის პრობლემების შესწავლას და გაუწევდა მათ რეალურ საერთაშორისო დახმარებას. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭომ 2000 წელს მი-

ილო გადაწყვეტილებ – დაარსდეს მუდმივი ფორუმი ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის საკითხებზე, კონსულტირების, დახმარების ორგანოს სახით, რომელიც იმუშავებს ძირძველი მოსახლეობის განსაკუთრებულ საკითხებზე. ფორუმი შედგება 16 წევრისგან, მათგან რვა წარმოადგენს ექსპერტს, ადგილობრივი მოსახლეობიდან. ფორუმის მანდატი ითვალისწინებს, ძირძველი, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების შესწავლას, დაკავშირებულს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან, კულტურასთან, გარემოსდაცვასთან, განათლებასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან და ადამიანის უფლებებთან.

ფართო ინტეგრაციული პროცესები, რომელიც შეეხო ადგილობრივ, ძირძველ ხალხს განაპირობებს მათ ნაყოფიერ თანამშრომლობას მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, შრომის დამატებითი რესურსების მოზიდვით, სადაც საკუთარი შეზღუდულია.

ბევრი მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, იმას თუ გლობალიზაციის პროცესები, როგორ ზემოქმედებს ქვეყნებისა და ხალხის კულტურულ განვითარებაზე. ცხადია, რომ აღმოცენებული „გლობალური კულტურა“ თავის საფუძველში მოიცავს იმას, რასაც ადრე „ანგლო – საქსონური“ კულტურა ეწოდებოდა, რომელიც ისტორიულად დაკავშირებულია პროტესტანტულ ეთიკასთან. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მრავალი ქვეყანა და რეგიონი, სადაც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა სპეციფიკური მსოფლიო დონის **კულტურები**, რომლებიც მძლავრ ზემოქმედებას ახდენენ ასეულ მილიონ ადამიანის ღირებულებებზე – ესაა ინდოეთი, ჩინეთი, აღმოსავლეთ არაბეთი, იაპონია და საფრანგეთი, საქართველო, რუსეთი.

დამახასიათებელია, რომ თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში, მასშტაბური სოციალური ცვლილებების გაანალიზებისას, მეცნიერი ოსვალდ შპენგლერი ამბობდა, რომ პოლიტიკური რღვევის პროცესს მიყვავართ, ახალი უფრო ამბიციური და ავტორიტარული ცივილიზაციის ფორმირებასთან, მაშინ მე-20

საუკუნის ბოლოს დრამატულმა მოვლენებმა, რაც არ იყო ომებისა და რევოლუციების შედეგი, მეცნიერი სამუელ ხანტინგტონი აიძულა ეთქვა, რომ გლობალიზაციის პროცესები არამარტო არ ქმნის ერთიან ცივილიზაციას, არამედ მივყავართ ცივილიზაციათა შეჯახებასთან. ლონდონის მეტროში აფეთქებები, შეჯახებები ავსტრალიაში და ბევრი სხვა პროცესი და მოვლენა გვეგონა, რომ მარტო ამტკიცებდნენ ცივილიზაციათა შეჯახების იდეას და აჩვენებდნენ თანამედროვე მსოფლიოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის გაძლიერებას. ამასთან მკვლევარები აღნიშნავენ თანამედროვე გლობალიზაციის სხვა მხარეზეც, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ გლობალური ტრანზფორმაციის პროცესში არ ფორმირდება ახალი უნივერსალური კულტურული ფასეულობები, არამედ ხორციელდება კულტურული მოხმარების დასავლური სტანდარტების თავს მოხვევა.

მომავალი დაკავშირებულია რეგიონალიზმთან და ლოკალური იდენტობების ძიებით, გლობალიზაციამ მიგვიყვანა სოციალურ სისტემებს შორის კონფლიქტების ჩარევაში, ახალ კონფლიქტებთან და ცივილიზაციათა წინააღმდეგობებთან.

ამგვარად, გლობალიზაცია ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ იწვევს ეთნიკურობის შევიწროებასა და შეცვლას, არამედ ხელს უწყობს მის აქტუალიზაციასა და პოლიტიზებას. გლობალიზაცია შესაძლებელს ხდის გაფართოვდეს კულტურული პარტიკულირების პოლიტიკური და ინფორმაციული სივრცე,ის განაპირობებს მინორიტარული ეთნიკური საზოგადოებების გადაქცევას არა უბრალოდ პოლიტიკურად აქტიურ მოთამაშეებად, არამედ საერთაშორისო აქტორებადაც კი. გლობალიზაცია საშუალებას იძლევა რესურსები გადაწაწილდეს იმ ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებიც რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან, და მათ აძლევს დამატებით სტიმულებს თვითორგანიზებისა და გადარჩენისათვის.

იმ ფაქტზე ხაზის გასმა, რომ გლობალიზაცია არ ავიწროებს და არ ცვლის ეთნიკურობას, აუცილებელია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უდავოა, გლობალიზაციის პროცესები ეთ-

ნიკურობაზე ახდენენ დამანგრეველ ზემოქმედებას, მაგრამ კულტურათა და ენების კონკურენციას კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის ჰქონდა ადგილი, ისინი გლობალიზაციამ არ წარმოქმნა, მას შეუძლია მხოლოდ ამ მოვლენების ინტენსიფიცირება მოახდინოს, რომლებიც ხარისხობრივად სულ სხვა თვისებებს იძენენ. ამასთან ერთად გლობალიზაცია ეთნიკურ ჯგუფებს აძლევს ახალ რესურსებს უნიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესების წინააღმდეგობების გასაწევად.

ამასთანერთად პოლიტიკურმა მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თანამედროვე გლობალიზაცია კიდევ არის რისკების გლობალიზაცია. კერძოდ, როგორც აღნიშნავს პოლიტოლოგი ვ. ი. პანტინი, ნათელი ხდება, რომ მიმდინარეობს „სოციალურ – პოლიტიკური კონფლიქტების გლობალიზაცია, ეკოლოგიური კრიზისების გლობალიზაცია, ტერრორის მისა და ორგანიზებულ დანაშაულების გლობალიზაცია“<sup>1</sup>. მისი აზრით, გლობალიზაცია არის, არა ერთ-ერთი მრავალი პრობლემის, არამედ „პრობლემათა პრობლემა“, რომელიც რთულია და წინააღმდეგობრივია. ეთნიკური და ეთნოპოლიტიკური განვითარების კუთხით, ეს წინააღმდეგობა გამოვლინდება საკმაოდ თვალნათლივ. ის განსაკუთრებით ნათელია ევროპული მულტიკულტურალიზმის პრაქტიკაში, ევროპული ქვეყნების მართვის წრეებში თავისებურ პასუხს წარმოადგენს ეთნიკური მიგრაციების გაზრდილ მასშტაბზე.

თავად ეს მიგრაციები გამოწვეული იყო გლობალიზაციის პროცესებით, რადგანაც მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებამ მოითხოვა სამუშაო ძალის ფართო ბაზარის შექმნა, მაგრამ მიგრაციის მასშტაბები ისეთი აღმოჩნდა, რომ მულტიკულტურალიზმი თავად აღმოჩნდა გლობალიზაციის „მსხვერპლი“. ზოგიერთები თვლიან, რომ ევროპული მულტიკულტურალიზმი „კვდება“, რამდენადაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კულტურების მოთმინების პოლიტიკამ მიგვიყვანა „პარალელური საზოგადოებების“ ფორმირებასთან, რომლე-

---

<sup>1</sup> Пантин В. я. Глобальное расширение истории и современности // Филосовские науки. 2004. № 7, с. 77.

ბიცი ჩამოყალიბდა ეთნიკური მიგრანტებიგან და ამჟამად ცხოვრობენ თავისი კანონებით, მთლიანად იზოლირებული დომინანტური საზოგადოებიდან, როგორც ენის მხრივ, ისე კულტურული კუთხით. მულტიკულტურულ საზოგადოებაში ეთნიკური მიგრანტების საკუთარი კულტურა განიხილებოდა, როგორც მათი იდენტობის შენარჩუნების ფორმა. ამ კუთხით თანდათანობით ის გარდაიქმნებოდა კონტრკულტურაში, რომელიც მიგრანტების გაერთიანების მიერ მიღებული (აღქმული) საერთო ეროვნული კულტურის საწინააღმდეგოდ იდგა. კულტურული განცალკევებულობა აგრესიული ხდება და აგრესიულობის ხარისხი დამოკიდებულია ქვეყნის ძირითადი მოსახლეობიდან, იმიგრანტების ამა თუ იმ ჯგუფის გაუცხოების ხარისხზე. ამასთანავე კულტურული წინააღმდეგობები შეიძლება მარტივად ტრანსფრომირდეს მიგრანტების, დომინანტურად უმრავლესობის საწინააღმდეგო, პოლიტიკურ წინააღმდეგობებში.

### **საკონტროლო კითხვები**

1. დაასახელეთ სამი ისტორიული ეტაპი გლობალიზაციის განვითარების პროცესში.
2. რა კრიტერიუმები ახასიათებს გლობალიზაციის პროცესს?
3. ე. სმიტის შეხედულება გლობალიზაციაზე და „ზენაციონალიზმზე“.
4. ახდენს თუ არა გლობალიზაცია ეთნოსის შევიწროება გამოდევნას, ხოლო გლობალური კულტურა – ეთნიკური კულტურისას?
5. როგორ შეეფარდება ურთიერთს გლობალიზაცია და რეგიონალიზმი?
6. თანამედროვე მსოფლიოში როგორ ზემოქმედებს გლობალიზაცია ეთნოპო – ლიტიკურ პროცესებზე?

იმისათვის, რათა ეთნომენეჯმენტი და ზოგადად ეთნოეროვნული პოლიტიკა ეფექტიანი იყოს, მისი არსი უნდა ეფუძნებოდეს ეთნიკური საზოგადოებების, სახელმწიფოსთან დიალოგის ორგანიზაციას, პოზიტიურ თემთა შორის დიალოგს, ყველა დაინტერესებული მხარის მოქმედებების შეთანხმებულობას, ეთნოპოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირებას. ეს კი მოითხოვს ყველა სახელმწიფო ორგანოს ძალისხმევის კოორდინაციას.

ნათელია, რომ ეთნოპოლიტიკა უნდა წარმოადგენდეს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ძალისხმევის სინთეზს, ეთნიკური საზოგადოებების მდგომარეობის ოპტიმიზაციისა და მათი ინტერესების დაბალანსებურად გათვალისწინებისათვის, საერთო ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. მეცნიერი ჟ. ტ. ტომენკოს აზრით, „ეთნოეროვნული პოლიტიკა, ისევე როგორც მთლიანი პოლიტიკა წარმოადგენს რეგულატორ – კონტროლირებად სფეროს, მიმართულს ცხოვრების, საქმიანობისა და ურთიერთობების (თანხმობის, დაქვემდებარების, ბატონობისა და კონფლიქტების) სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური საზოგადოებებს შორის. ეროვნული პოლიტიკა ეს საშუალებაა და მეთოდიც, რომლის დახმარებითაც ურთიერთზემოქმედება განსხვავებულ ნაციონალობასა და ეთნოსებს მიკუთვნებულ ხალხს შორის ხორციელდება სოციალური და სულიერი ატრიბუტების საშუალებით (კულტურა, ენა, მენტალიტეტი, ტრადიციები და წეს – ჩვეულებები).<sup>1</sup>

როგორც არ უნდა იყოს, ეთნოპოლიტიკის განსაზღვრების არსი ნათელია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საუბარი ეხება ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების ჩართულობის საშუალებებს, სახელმწიფო პოლიტიკაში და მათი ქცევის სხვა-

---

<sup>1</sup> Ж. Т. Тощенко, Этнократия: история и современность (Социологические очерки). М., 2003. с. 127.



დასხვა სტრატეგიას, მათი ქვეყნების კონკრეტული პოლიტიკური სისტემეზე დამოკიდებულობით.

აქედან გამომდინარე, ეთნოეროვნული პრობლემების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ ქვეყნებში ნაკლებად შესაძლებელია ყველასთვის ერთიანი და მისაღები ეთნოეროვნული პოლიტიკის შექმნა, საერთო თანასწორობის რა იდეალებიც არ უნდა იყოს შიგ ჩადებული.

პრაქტიკაში ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების ინტერესები მაინც შეეჯახება და შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგოც კი იყოს.

ამასთანავე ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების თანასწორობა საქმეში ყოველთვის შემობრუნდება დომინანტური უმრავლესობის სასრებლოდ, რადგანაც მისი ამოსავალი პოზიციები უმჯობესია პოლიტიკური და კულტურული კონკურენციისათვის. აქედან გამომდინარე ხშირად დასაშვები ხდება დაშორება, თანასწორობის ზოგიერთი უნივერსალური პრინციპიდან და ზოგიერთი უპირატესობანი მიეცემათ ეთნიკურ უმცირესობებს. ამასთან ნათელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა საკუთარი გადანყვეტილება და მოქმედების განსაკუთრებული პროგრამა. აქედან გამომდინარეობს, რომ პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში არ შეიძლება ეთნოპოლიტიკა ერთვარიანტული იყოს, არამედ უნდა წარმოადგენდეს კონკრეტული სტრატეგიების ნაკრებს, ადაპტირებულს რეგიონის კონკრეტულ პირობებთან, მათი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან, ეთნოშორისი კავშირების ხასიათთან და ა. შ. ასეთი მიდგომა მოითხოვს, რომ სტრატეგიის დამუშავებით დაკავებულები იყვნენ, არა ადგილობრივი ბიუროკრატები, არამედ ეთნოპოლიტიკის სფეროს სპეციალისტები. სწორედ მათ უნდა შეიმუშვონ რეკომენდაციები და კონკრეტული მეთოდები ჩინოვნიკებისათვის რეგიონის ეთნოპოლიტიკის განხორციელებისათვის.

ამასთან ერთად, რეგიონული სტრატეგიები, ადაპტირებული ადგილობრივ პირობებთან, არამარტო არ უარყოფენ რალაც საერთო პრინციპებს და სახელმწიფო ეთნოპოლიტიკის საბაზო შინაარსს, არამედ ვარაუდობენ კიდევ მათ არსებობას,

რადგანაც სანინაალმდეგო შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესები შეიძლება მიტანილი იქნას (შეენიროს) მსხვერპლად, რეგიონული პოლიტიკის ლოკალურ ინტერესებთან და მისწრაფებებთან, პოლიტიკური სარგებლის მიღებისათვის ეთნიკური რესურსების ექსპლოატაციის ხარჯზე. ამ საერთო პრინციპებზე და ეთნოპოლიტიკის არსზე, უკვე მრავალი წელია ეთნოლოგები და პოლიტოლოგები პაექრობენ. ეს შედარებით უფრო სრულად ჩამოაყალიბა მეცნიერმა მ. გუბოგლომ: „ახალი ეთნოპოლიტიკის შინაარსი მდგომარეობს, ეთნიკურობის თვითგამოხატვის სპექტრის გაფართოებაში, მექანიზმების დამუშავების გზით, რომელთაც შეუძლია შერიგება (თანხმობა) სახელმწიფო პოლიტიკურ-სამართლებლივი ინტერესებისა და ინტეგრირებული ამოცანების, იურიდიულად დასაბუთებული მოქალაქეთა სოლიდარობასთან, ე. ი. თანამოქალაქეობა, ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალურ-დემოგრაფიული, კულტურული ენობრივი და ფსიქოლოგიურ აპექტებთან. მისი გრძელვადიანობა გამომდინარეობს მრავალეთნიკურობის მუდმივად მოქმედვაქტორად აღიარებიდან.“<sup>1</sup>

ეთნოპოლიტიკის, როგორც მისი კონცეპტუალური საფუძვლის მიღებისას, შეიძლება და საჭიროა კიდევ შეთავაზებული იყოს სახელმწიფო უწყებების პრაქტიკული საქმიანობის რეალიზაციისათვის შემდეგი ფუძემდებელი პრინციპები:

- მრავალეთნიკურობა, რომლის საფუძვლად წარმოდგენილია განსხვავებული ჯგუფების კულტურული მრავალფეროვნების აღიარება და ამ ეთნოკულ-ტურული სპეციფიკის განმტკიცება სამართლებლივ ნორმებსა და მისი მხარდაჭერის პროგრამებში;
- პოლიტიკურ განათლებაში, ეთნიკური მრავალფეროვნების აღიარება და პოლიტიკური პრაქტიკიდან ეთნი-

---

<sup>1</sup> Губогло М.Н. Идентификация Идентичность: Этносоциологические очерки. М., 2003. с. 721.

კურობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების დამთხვევის მოთხოვნის გამორიცხვა;

- ქვეყნის სახელმწიფო მთლიანობის განმტკიცებისათვის მიზანმიმართული პოლიტიკა, დაფუძნებული ფედერალიზმის გაგებაზე, როგორც ფედერალურ ცენტრსა და სუბიექტებს შორის და თავად სუბიექტებს შორისაც, ერთობლივი ორგანიზაციისა და თანამშრომლობის ჰარმონიულ და დინამიკურ სისტემაზე;
- საქართველოს ყველა სუბიექტის თანასწორობა, ერთმანეთში და ფედერალურ ცენტრს შორის;
- საქართველოს ეთნიკური ფედერალიზმის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აღიარება, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და სახელმწიფო მთლიანობას შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად, როგორც ეთნოშორისი კონფლიქტების განხილვისა და გადაწყვეტის ერთ-ერთი მექანიზმი;
- მოქალაქეთა თანასწორობა დამოუკიდებლად მათი ეთნიკურობისა, ენობრივი და რელიგიური კუთვნილებისა;
- განამტკიცოს ყოველი მოქალაქის უფლებები, განსაზღვროს თავისი ერთიანი, ანდა მრავლობითი ეთნიკური კუთვნილება და უფლება მისი ფიქსაციიდან უარი;
- წინააღმდეგობრივი გამოვლინებების პირობების შექმნა, დისკრიმინაციისა და მოქალაქეების შეზღუდული უფლებებისა და შესაძლებლობების, მათი ხელმისაწვდომობა რესურსებთან ეთნიკურობის, ენობრივი და რელიგიური კუთვნილების ნიშნებით;
- საქმიანობის აკრძალვა და სამართლებრივი დევნა, მიმართული ეთნოშორისი ურთიერთობების ყველა სფეროში სოციალური, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური კუთვნილების აღძვრაზე;
- გარანტიები ეთნიკური საზოგადოებების უფლებებზე, ბუნებრივი გარემოს დაცვაზე, როგორც ცხოვრების

ნების საფუძველზე და კულტურულ თავისებურებაზე, შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციასა და საკანონმდებლო აქტებთან, საერთაშორისო უფლებების ნორმებთან;

- დახმარება, ეთნიკური კულტურების დაცვა და განვითარებისათვის, ეთნიკური თანასაზოგადოებების, კულტურული ტრადიციების, თაობებზე გადაცემის საქმეში დახმარების აღმოჩენის მიზნით;
- ეთნიკურ ერთობათა ენების განვითარებისა და ფუნქციონირების დაცვა – შენახვის დახმარება, იმ გაგებიდან გამომდინარე, რომ ენა (ემსახურება) წარმოადგენს არამარტო ეთნოფსიქოლოგიურ სიმბოლოს და ეხმარება ეთნიკურ თვითგანმტკიცებას, არამედ ეთნოკულტურული თვითგამორკვევის მექანიზმსაც;
- უარის თქმა, ეთნიკური საზოგადოებების თავის განსაკუთრებულობის გადაჭარბებულად შექება ხოცბაზე, რომელიც ზღუდავს, ართმევს ერთობას მოქნილობასა და ათვისების უნარს, მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციული პროცესების გამონწვევების მიმართ;

ამგვარად, ეს პრინციპები ან სხვა ფორმულირებით მოცემულია ქართველი ხალხის ეროვნულ – კულტურული განვითარებისა და საერთაშორისო სამართებლივ აქტეში.ამასთან ერთად სახელმწიფოს არა აქვს უფლება ეთნიკურ საზოგადოებებს თავს მოახვიოს განვითარების ეთნოცენტრული მოდელი, რომელიც იწვევს ეთნიკური საზოგადოებების იზოლაციასა და განცალკევებას, არც ასიმილაციური მოდელი, რომელიც იწვევს წინაღმდეგობის განევას და კონფლიქტების პროვოცირებას, კულტურული თავისუფლების იდეა უნდა იყოს აქცენტირებული ეთნოეროვნული პოილიტიკის კონცეპტუალურ საფუძველებში. ნათელია, რომ სახელმწიფო არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნებაყოფლობით ასიმილაციას, რომელიც გარდუვალაია პოლიტიკურ და დინამიკურად განვითარებად საზოგადოებებში.

## ლიტერატურა

---

1. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, 2005, გვ. 380.
2. აგეევი ვ.ს. ჯგუფთაშორისი ურთიერთქმედება: სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები. მ., 1990..
3. ბარათაშვილი ე., ლამარა ქოქიაური. მენეჯმენტის პრინციპები, 2010.
4. ბარათაშვილი ი., ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ. „ეთნომენეჯმენტი, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება“, სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, N 2 – 3.2019.
5. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., მარიდაშვილი მ., ჩეჩელაშვილი მ., მახარაშვილი ი., ლამბაშიძე თ., შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია, თბ., 2016, გვ 15.
6. ბარათაშვილი ე., ქეჩბაია ბ. ი ბარათაშვილი ი., ეთნომენეჯმენტის ფორმირებისა და განვითარების თანამედროვე ტენდეციები, ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, N3, 2019.
7. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა, 21-ე საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 49.
8. ბარათაშვილი ე., ნასარაია ზ., გალახვარიძე ნ., მამულაშვილი ლ., „საქართველოს ეკონომიკა“, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2022. გვ 565.
9. ვანიშვილი მერაბ., ფარულავა დ., ფინანსების საფუძველი, თბ., 2015, გვ. 520.
10. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გაზეთი „ქნარი“, N5 ოქტომბერი 2001. „150 წლის წინათ რა ხდებოდა თბილისში პირველი საოპერო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით 1851 წელს?“ გვ. 3.
11. ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბ., 2008.

12. კლდიაშვილი ა., ანტიკური საბერძნეთი, თბ., 2014.
13. კვარაცხელია დ., „გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო და ეროვნული ეკონომიკა“ გაზეთი „ახალი ერა“, 2003, 9 სექტემბერი, გვერდი. 7-8.
14. მალაზონია დ. მალაკელიძე შ., ჭიბრიშვილი ნ., გახელაძე გ., ინტერკულტურული განათლება პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017, 2-4.
15. წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1990.
16. ჩარკვიანი დ., ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, თეორია, კვლევა პრაქტიკა, თბ., 2001, გვ. 33.
17. ფირანიშვილი თ. „ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“, სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებების სწავლების მონიტორინგის ცენტრი (EMC) თბ., 2019.
18. საქართველოს კონსტიტუტუცია. თბ. 1995
19. „ევროპის ქარტია, რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ“ 1992 წლის 5 ნოემბერი, სტრასბურგი.
20. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 2014 წლის 2 მაისი.
21. ჩარჩო კონვენცია „ევრონულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, 1995 წლის 1 თებერვალი.
22. Rokeach J. The Nature of Human Values, N.Y.: Free Press, 1973.
23. Hofstede G. Culture's Consequences. International Differences in Work Related Values, Beverly Hills: Sage, 1980.
24. Ronen S. Comparative and Multinational Management. – N.Y., 1986.
25. H.j. Morgenthau. Another “Great Debate” ....., p. 963.
26. I.K.W Deutch. The Analysis of International Relations. Prentice – Hall, Englewood Cliffs, 1968, p. 51.

27. J. Frankel National Interest. London, Praeger, 1970, pp. 31 – 39.
28. H.J. Morgenthau. In Defence of National Interest: A Critical Examination of American Foreign Policy. A Knopf, New York, 1951, pp. 33 – 34.
29. Hellpach W. Der Deutsche ჰერბონაჟი. ბონი, 954.
30. Eriksen T.H. Ethnicity and Nationalism: Anthropological perspectives. L.: PlutoPress, 1999. p. 12.
31. Dictionary of Race and Ethnic Relation. 4th ed. / Ed. by E. Cashmore. N.Y. Routledge, 1996. p. 124.
32. Vogelgesang, Klaus, Lubking, Uwe, Ulbrich, Ina – Maria, Kommunale Selbstverwaltung: Rechtgrundlagen, Organisation, Aufgaben, neue Steuerungsmodelle, 3., neubearb. Aufl., Berlin 2005, Rn. 22.
33. Hechter M. Containing nationalism. Oxford, 2000. p. 134.
34. Pepitone, Triandis, On the universality of social psychological theories // J. Of Cross Cultural Psychology 1987, Vol 18. p. 471 – 498.
35. Shwartz S.H Individualism – collectivism: Critique and proposed refinements // J. of Cross Cultural Psychology 1990. Vol 21. p. 139 – 157.
36. Berry J.W. Immigration, acculturation and adaption // Applied Psychology: An International Review. 1997. Vol 46 p. 5 – 34.
37. Ward C. Kennedy A. Acculturation strategies, psychological adjustment and socio – cultural competence during cross – cultural transitions // International J. of Intercultural relations. 1994. Vol 18. p. 329 – 343.
38. Шишков Ю., Глобализация – враг или союзник развивающихся стран?, журнал. МЭ и МО № 4, 2003 г., с. 4-5.

39. См.: Тишков В.А., Степанов В.В. Межэтнические отношения и этнокультурное образование в России // Вестн. Российской академии наук. 2017. № 10. с. 879–890.
40. Патнэм Р. Чтобы демократия сработала: Гражданские традиции в современной Италии. М.: Ad Marginem, 1996. с. 114.
41. Чешко С.В. Конституционная реформа и национальные проблемы в России // Этнографическое обозрение. 1993. № 6. с. 30.
42. Keating M. State and regional nationalism: territorial politics and the European state. L.: Harvester Wheatsheaf, 1988. p. 22.
43. Юри У. Этнические конфликты: что можно сделать? // Национальная политика в Российской Федерации / Под ред. В.А. Тишкова. М.: Наука, 1993. с. 77.
44. Ландабасо Ангуло А., Коновалов А. Терроризм и этнополитические конфликты. Кн. 1. Из истории басков. М., 2004. с. 15.
45. Лотман Ю.М. Беседы о русской культуре: Быт и традиции русского дворянства (XVIII – начало XIX века). С – Пб.: Искусство, 1994. с. 297.
46. Асмолов А.Г. Психология личности, Москва, 2001. с. 304.
47. Здравомыслов А. Г. Этнополитические процессы и динамика национального самосознания россиян // Социологические исследования. 1996. № 12. с. 23 – 32.
48. Козырев Г. Введение в конфликтологию, М., 1999.
49. Аклаев А.Р. Язык в системе национальных ценностей и интересов // Духовная культура и этническое самосознание наций / Под ред. Л.М.Дробижевой. М.: Институт этнографии АН СССР, 1990. Вып.1.с.12 – 38.
50. Ямское А.Н. Этнический конфликт: проблемы дефиниции и типологии // Идентичность и конфликт в постсоветских



- государствах / Под ред. М.Б.Олкотт, В.Тишкова, А.Малашенко. М., Моск. Центр Карнеги. М., 1997. с.205–224.
51. Лурье С.В. Историческая этнология. М., 1998.
- 52. Осипова О. А. Американская социология о традиций. М., 1985.**
53. Байбурин А. К. Некоторые вопросы этнографического изучения поведения, 1985. с. 7 – 21.
54. Уорд К. Азбука аккультурации // Культура и психология. 2003, с. 656-709.
55. Лебедева Н.М. Социально – психологические закономерности аккультурации этнических групп // Этническая психология и общество / Под ред. Н.М.Лебедевой. М.: Старый сад, 1997 в. с. 271–289.
56. Цветов В.Я. Пятнадцатый камень сада Рёандзи. М., Политиздат, 1991. 63.
57. Павленко В.Н., Таглин С.А. Общая и прикладная этнопсихология. Москва, 2005.
58. Этнопедагогика Г.Н. Волков, М., 1999.
59. Пантин В. я. Глобальное расширение истории и современности // Философские науки. 2004. № 7, с. 77.
60. Всесоюзная перепись населения 1926 года.М.: Издание ЦСУ Союза ССР, 1928 – 29. Том 10 – 16. Таблица VI. Население по полу, народности.
61. РГАЭ РФ (быв. ЦГАНХ СССР), фонд 1562, опись 336, ед.хр. 966 – 1001 (Разработочная таблица ф. 15А. Национальный состав населения по СССР, республикам, областям, районам)
62. 2. 3 РГАЭ РФ (быв. ЦГАНХ СССР), фонд 1562, опись 336, ед.хр. 1566а-1566д (Таблица 3,4 Распределение населения по национальности и родному языку)..

63. РГАЭ РФ, фонд 1562, опись 336, ед.хр.3998 – 4185 (Таблица 7 с. Распределение населения по национальности, родному и второму языку.)
64. РГАЭ РФ (быв. ЦГАНХ СССР), фонд 1562, опись 336, ед.хр. 6174 – 6238 (Таблица 9с. Распределение населения по национальности и родному языку).
65. Рабочий архив Госкомстата России.Таблица 9 с. Распределение населения по национальности и родному языку.
66. Гумилев Л.Н., Иванов К.П. Этнические процессы: два подхода к изучению // Социологические исследования. 1992. № 1. с. 51.
67. Ларюэль М. Теория этноса Льва Гумилева и доктрины западных «новых правых» // Этнографическое обозрение. 2006. № 3. с. 42.
68. Уяма Т. От «булгаризма» через «марризм» к националистическим мифам: дискурсы о татарском, чувашском и башкирском этногенезе // Новая волна в изучении этнополитической истории Волго – Уральского региона: Сб. статей / Под ред. К. Мацузато. Саппоро, 2003. с. 43.
69. Г. Н. Волков, этнопедагогика, М., 1999. 160 с.
70. Тощенко Ж.Т. Этнократия: история и современность (Социологические очерки). М., 2003. с. 127.
71. Губогло М.Н. Идентификация Идентичность: Этносоциологические очерки. М., 2003. с. 721.
72. Тишков В.А., Шабаев Ю.П. Этнополитология. политическая функция этнических м., 2011.
73. Т.Г. Стефаненко, Этнопсихология. М., 2007.
74. Арутюнян Ю. В. этносоциология. М., 1998.
75. Михеева Н.А., Галенская Л. Н., Менеджмент в социальной и культурной сфере. Санкт – Петербург, 2000.

**Evgeni Baratashvili**  
**Naira Galaxvaridze**  
**Zurab Nasaraia**

## **ETHNOMANAJEMENT**

დამკაბადონებელი  
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი  
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



ევგენი ბარათაშვილი  
ნაირა პალახვარიძე  
გურამ ნასარია

# ეთნოქოლოგიის